

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№15

2018

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2017 წლის 24 თებერვალს ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

რედაქოლებია:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

დავით ყოლბაია

კორექტურა: თამარ გოგოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

On February 24, 2017 the Gori State Teaching University held the IV International Scientific Conference, dedicated to David the Builder. The scientific conference papers are published in the present conference proceedings.

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

Reviewer: Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

საქართველო ძველსა და შუა საუკუნეებში
Georgia in the Ancient and Middle Ages

- ეკა ავალიანი* – კულტის რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია: არმაზ-ქალაქის ასტარტა საკითხის დასმისათვის 9
Eka Avaliani – A BONE PLAQUE WITH AN IMAGE OF A NAKED WOMAN FROM ANCIENT ARMAZI CITY
- რომან გოგოლაური* – დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში 29
Roman Gogolauri – AKHALTSIKHE-DAGESTAN KINGDOMS' RELATIONS IN THE FIRST PART OF XIX CENTURY
- ნიკა ზურიკაშვილი, ალექსანდრე ნინუა* – საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და გადასახადები ისტორიულ ჭრილში 43
Nika Zurikashvili, Aleksandre Ninua – GEORGIA ECONOMIC AND POLITICAL SITUATION AND TAXES IN HISTORICAL CONTEXT
- ელდარ მამისტვალიშვილი* – „მუსლიმანი“ ერეკლე I და მართლმადიდებლობა 59
Eldar Mamistvalishvili – “MUSLIM” EREKLE I AND ORTHODOXY
- თამარ მესხი* – იერუსალიმის პატრიარქი ქრისანთოსი (1707-1731 წწ.) და საქართველო 73
Tamar Meskhi – THE PATRIARCH OF JERUSALEM CHRYSANTHUS (1707-1731) AND GEORGIA

მურმან პაპაშვილი – ჯვაროსნული ლაშქრობის თეორიული პროექტები და საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში 105

Murman Papashvili – THEORETICAL PROJECTS OF CRUSADES AND GEORGIA IN THE FIRST HALF OF THE 14TH CENTURY

ლელა სარალიძე – საქართველოს საზღვრების საკითხი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია 154

Lela Saralidze – THE ISSUE OF BORDERS OF GEORGIA AND GEORGIAN POLITICAL EMIGRATION

გიორგი სოსიაშვილი – მოხელეთა და სოციალური შინაარსის აღმნიშვნელი ტერმინები შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერების მიხედვით 171

Giorgi Sosiashvili – TERMS DENOTING THE OFFICIALS AND SOCIAL TERMS IN SHIDA KARTLI AS ACCORDING TO THE LAPIDARY INSCRIPTIONS

საქართველოს ახალი ისტორია Modern History of Georgia

თამარ ანთაძე – სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ერთი მცდელობა 197

Tamar Antadze – AN ATTEMPT OF PROMOTION OF THE INDUSTRIAL REVOLUTION

ნუგ ზარ ბარდაველიძე – ისტორიული ვიზიტის კვალდაკვალ რომის პაპ ფრანცისკეს სამხრეთ კავკასიაში ვიზიტი, მისი მიზანი, მოლოდინები და შედეგები 217

Nugzar Bardavelidze – FOOTSTEPS OF HISTORICAL VISIT
THE GOAL AND RESULTS OF POPE FRANCIS’S VISIT OF TO
THE SOUTH CAUCASUS

ლატავრა ბუკია – თელო სახოკია - „ქართლიდან დაწყებული
ლი ქართული საქმე“, პედაგოგიური მოღვაწეობა 255
Latavra Bukia – TEDO SAKHOKIA - “GEORGIAN BUSINESS,
WHICH HAS BEGUN IN KARTLI”, PEDAGOGICAL WORK

დოდო ბერიძე – საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწე-
ობა ქართული რეგულარული ჯარის შექმნისათვის (1917-
1918 წ.წ) 273
Dodo Beridze – THE ACTIVITY OF THE NATIONAL
COUNCIL IN ORGANIZING THE GEORGIAN ARMY

გიორგი გოცირიძე – მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რე-
ჟიმის პირობებში (ივანე ჯავახიშვილის პირადი წერილების
მიხედვით) 296
Giorgi Gotsiridze – FORTUNE OF SCIENTIST IN THE
CONDITIONS OF TOTALITARIAN REGIME (ACCORDING TO
IVANE JAVAKHISHVILI’S PRIVATE LETTERS)

შოთა ვადაჭკორია – ეროვნული ფრონტის შექმნის საკითხი
და ქართული ემიგრაცია (1931-1940 წწ.) 312
Shota Vadachkoria – THE ISSUE OF CREATING THE NATION-
AL FRONT AND THE GEORGIAN EMIGRATION IN 1931-
1940

მერაბ კალანდაძე – ინგლისში სამრეწველო გადატრიალების
შესწავლა საქართველოში 346
Merab Kalandadze – STUDY ENGLAND INDUSTRIAL REVO-
LUTION IN GEORGIA

ირმა კეტხოველი – თანამედროვე ქართული საზოგადოების
ეროვნულ-ფუნქციონალური მაჩვენებელი 382

Irma Ketskhoveli – THE NATIONAL-FUNCTIONAL INDICA-
TOR OF MODERN GEORGIAN SOCIETY

მალხაზ მაცაბერიძე – ერის ობსტი და საქართველოს გეო-
პოლიტიკის საკითხები 394

Malkhaz Matsaberidze – ERICH OBST AND THE GEOPOLITI-
CAL PROBLEMS OF GEORGIA

დოდო ჭუმბურიძე – რუსი ისტორიკოსი ნიკალაი დუბროვინი
ქართლ-კახეთის სამეფოში 1802 წლის წინააღმდეგობრივი
მოძრაობის შესახებ 408

Dodo Chumburidze – RUSSIAN HISTORIAN NIKOLAI
DUBROVIN ABOUT THE 1802 YEAR'S CONTROVERSIAL
MOVEMENT IN KARTLI-KAKHETI KINGDOM

ოთარ ჯანელიძე – სრულიად რუსეთის 1917 წლის დემოკ-
რატიული თათბირი და ქართული პოლიტიკური სპექტრი 433

Otar Janelidze – ALL-RUSSIA DEMOCRATIC CONFERENCE
OF 1917 AND THE POLITICAL SPECTRUM OF GEORGIA

წყაროთმცოდნეობა Source Study

იოსებ ალიმბარაშვილი – შიდა ქართლის საბატონო გლეხთა
1818 წლის აღწერა 462

Ioseb Alimbarashvili – THE DESCRIPTION OF SLAVES,
WORKING FOR THEIR MASTER IN SHIDA KARTLI IN 1818

Даниеле Артони - КАРЛА СЕРЕНА О ГОРИ 494

Daniele Artoni – CARLA SERENA ABOUT GORI

თამარ გოგოლაძე – დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და კ. გამსახურდიას რომანის თარგმანები უცხოურ ენებზე 503

Tamar Gogoladze – DAVID THE BUILDER OF GEORGIA “THE CANON OF REPENTANCE” AND K. GAMSAKHURDIA'S NOVEL TRANSLATIONS OF FOREIGN LANGUAGES

იგორ კეკელია – ევროპელი ავტორები სამეგრელოს შესახებ (ედმუნდ სპენსერი) 520

Igor Kekelia – EUROPEAN AUTHORS ABOUT SAMEGRELO (EDMUND SPENCER)

თამილა კოშორიძე – ხალხური დღესასწაული, როგორც წყარო ქართულ-ოსური ურთიერთობის კვლევაში 546

Tamila Koshoridze – OSSETIAN FOLK HOLIDAYS AS HISTORICAL SOURCE FOR THE RESEARCH OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP

გურამ კუტალია – საქართველო XIII საუკუნის ინგლისელ ავტორთა ცნობებში 560

Guram Kutalia – GEORGIA IN THE STATEMENTS OF ENGLISH AUTHORS OF THE XIII CENTURY

მარიამ მარჯანიშვილი – თავისი მეფობით უკვდავი გვირგვინოსანი 574

Mariam Marjanishvili – THE GREAT KING IMMORTALIZED FOR HIS REIGN

მურად მთვარელიძე – ქალდეა და მისი საზღვრების საკითხი ძველი ქართული ლიტერატურული ტექსტების მიხედვით 584

Murad Mtvarelidze – CHALDEA AND ITS BORDERS IN THE ANCIENT GEORGIAN LITERARY TEXTS

მანანა მიჩიტაშვილი – XVII საუკუნის მეორე ნახევრის მეფის სადროშოს დავთარი, როგორც საისტორიო წყარო 598
Manana Michitashvili – THE MILITARY ARMY DISTRICT REGISTER OF THE KING AS THE HISTORICAL SOURCE FROM THE SECOND HALF OF THE 17TH CENTURY

საიდ მულიანი – აფხაზეთი და აფხაზები არაბ და სპარს მწერალთა ნაშრომებში 623
Said Muliani – ABKHAZIA AND ABKHAZIANS IN THE WORKS OF ARABIC AND PERSIAN WRITERS

ნესტან სულავა – სულიერი განვითარების საფეხურები საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ 626
Nestan Sulava – STAGES OF SPIRITUAL DEVELOPMENT IN THEOLOGY AND DAVIT THE BUILDER’S “HYMN OF REGRET”

**კულტის რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია:
არმაზ-ქალაქის ასტარტა
საკითხის დასმისათვის**

ჩემი ყურადღება მიიპყრო არმაზის ნაქალაქარზე, ე.წ. სვეტებიანი დარბაზის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ძვლის ფირფიტამ შიშველი ქალის გამოსახულებით. მოხდენილი, ფეხი-ფეხზე გადადებული ათლეტური აღნაგობის ქალი მაცდუნებელ პოზაში დგას. ერთი ხელი ბარდაყ-გავაზე აქვს დადებული. მეორე ხელი მხარ-მკერდის არესთან აქვს აწეული, ხოლო ხელის მტევანი არაბუნებრივი ფორმით შემობრუნებული, თითქოსდა, მნახველს სხეულს გამოუფენს და იზიდავსო. პროპორციულ და ესთეტურ ფორმებს არღვევს ზედმეტად ფართო კისერი, რომელზეც გამოხატულია სავსესაზიანი, სწორნაკვთიანი ქალბატონი, საგანგებოდ დაყენებული, მოვლილი თმის ვარცხნილობითა და პოლოსის ქუდით.

ჩემი აზრით, ამ გამოსახულებაზე საქმე გვაქვს ე.წ. „ვენუსის ან ასტარტას ტიპის“ ქალღმერთან, ან მისი კულტის მსახურთან. ასევე საინტერესოა, სიყვარულის ამ ქურუმის გამოსახულებას, თუ რომელ კულტურებთან, ან ქალღვთაებების კულტთან მივყავართ, ან არანაკლებ საინტერესოა, თუ რა გზით მოიკიდა ფეხი ამ ქალღმერთმა არმაზ-ქალაქში? ამ კითხვებზე შევეცდებით ქვემოთ გავცეთ პასუხი.

არტეფაქტის დათარიღების საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები: შიშველი ქალის სკულპტურა უკავ-

შირდება არმაზი I ფენას და მომდინარეობს სვეტებიანი და-
რბაზის სივრციდან, რომელსაც მეცნიერები განსხვავებულად
ათარილებენ: ა. აფაქიძე სვეტებიან დარბაზს ათარილებს ძვ.
წ. IV-III სს-ით,¹ ხოლო ნიკოლაიშვილს განსხვავებული მო-
საზრება აქვს, შენობა თარიღდება ძვ. წ. III - ძვ. წ. I საუ-
კუნეებით². შესაბამისად, მეცნიერების აზრით, ძვლის ფირფი-
ტაზე გამოკვეთილი შიშველი ქალის ფიგურა ამ საუკუნეებით
უნდა თარიღდებოდეს. რთული სათქმელია, თუ რამდენად
კარგად იცნობდა ამ ქალღმერთის ფუნქციებს და შესაძლებ-
ლობებს ძველი იბერიის მოსახლეობა, მაგრამ ძვალზე ამო-
ტვიფრული შიშველი ქალბატონი თავისი პოზით და ფორმე-
ბით, აქცენტირებას აკეთებს სექსუალურ ასპექტებზე. მე ის
ასტარტას მაგონებს.

არმაზის გარშემო საკვლევი ტერიტორია აღინიშნება
ელინისტური და რომაული პერიოდების (ძვ.წ. II - ახ.წ. IV
სს.) ძეგლთა განსაკუთრებული სიმრავლით.³

გ. ქავთარაძის აზრით, არმაზი ადრეული, აქამენიდების
ხანის და ელინისტური ხანის ქალაქი უნდა ყოფილიყო, სა-
დაც გავრცელებული იყო არამეული დამწერლობა.⁴ ამ

¹ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართვე-
ლოში I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
თბილისი, 1963, 22-28.

² ვ. ნიკოლაიშვილი, არმაზციხე ქართლის (იბერიის) სამეფო რე-
ზიდენცია, თბილისი, ფავორიტი, 2011.

³ არმაზის ნაქალაქარის შესახებ ძირითადი ინფორმაცია და ახალი
კვლევები იხ. ი. ღემეტრაძე, იბერიის კულტურული ლანდშაფტები: ნამო-
სახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში“ ძვ.წ. პირველ - ახ.წ. მესამე
საუკუნეებში. სადისერტაციო ნაშრომი არქეოლოგიის დოქტორის ხარის-
ხისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2014.

⁴ შდრ. გ. ქავთარაძე, მცხეთის უძველესი ადგილმდებარეობისა და
სახელწოდების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ.

მოსაზრებას მოწმობს არქეოლოგიური ნაგებობები, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით.¹ მაშასადამე, ეპოქების ცვლილებების მიუხედავად, ქალაქი პერმანენტულად იყო დასახლებული. არქეოლოგებმა გამოყვეს ქალაქის განვითარებაში სამი ფენა (არმაზი I, II, III). ე. წ. არმაზი I ფენას უკავშირდება „სვეტებიანი დარბაზი“, რომელიც ტერასაზე მდებარეობს. შენობა არის ერთგანყოფილებიანი, წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის (24მX12მ.). ოთხივე შემორჩენილი კედელი მშრალი წყობით, კარგად გათლილი ქვიშაქვის (ალიზის) ბლოკებისაგან არის აგებული. დარბაზს აქვს ერთი შესასვლელი კარი, საიდანაც დარბაზში ოთხსაფეხურიანი კიბე ჩადის.

დარბაზის იატაკი ვარდისფერი ტუფოგენური ფხვნილით იყო მოტკეპნილი, სახურავი იყო კრამიტის. დარბაზში იპოვნეს ექვსი სვეტის ბაზა და მართკუთხა კაპიტელი აბაკუსით. დარბაზში რამდენიმე არტეფაქტი აღმოჩნდა: ძვლის ფირფიტა შიშველი ქალის გამოსახულებით, ოქროს ფირფიტების ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები,

უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები - X-XI. თბილისი, 2010/2011. 5-53.

¹ არქეოლოგიური მასალის პერიოდიზაციის შესახებ იხ. „არმაზი“, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. (740 გვ.), რედ. გ. გამყრელიძე. საქ. ეროვნ. მუზეუმი, არქეოლ. ცენტრი. – I-ლი გამოცემა. თბ., 2013, 46-53.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
ელ-რესურსი,

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=86>
წვდომა განხორციელდა 25.10.2016.

ბრინჯაოს ბალთა და ბრინჯაოს ფარგალი.¹ სავარაუდოდ, და-
რბაზი საზოგადო შენობა უნდა ყოფილიყო (საჯარო თავშეყ-
რის შენობა), ან შესაძლებელია, ადგილობრივი ხელისუფლის
საკუთრება/რეზიდენცია.

მეთოდოლოგიური მიდგომა

საზოგადოდ, არქეოლოგიურ არტეფაქტებს ახასიათებთ
ზედროითი, სოციალური და კულტურული მენსიერება. ამდენ-
ნად, დიაქრონულ, შედარებითი კვლევების სისტემაში მოქცე-
ული არტეფაქტი, გაგვიყვანს რეგიონულ სისტემაში არსე-
ბულ ანალოგიურ წარმოდგენებზე, სოციალურ პრაქტიკაზე
და დაგვიხმარება ანალოგიური ძეგლების გავრცელების სტი-
ლისტური ზონების დადგენაში; ასევე, ამ კვლევის ფარგლებ-
ში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არტეფაქტის
ფუნქციური დანიშნულების გარკვევას და სავარაუდო წარ-
მომავლობის საკითხს.

„ძრავალსახელიანი“ ქალღმერთი

ასტარტა ძველ ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული
„ინტერნაციონალური“ ბაბილონელი იშთარის ელინიზირებუ-
ლი ვარიანტია, რომლის კულტმა მიაღწია რომაულ ხანამდე.
ასტარტა ქანაანელების, ფინიკიელების და სირიელების სიყ-
ვარულის და ხორციელი ვნების ქალღმერთი იყო, რომელმაც
თავისი ღვთაებრივი ავტორიტეტი შეინარჩუნა აქამენიდურ² და
ელინისტურ იმპერიების ხანებში. ელინისტურ სირიაში პა-

¹ აფაქიმე 1963, 26-27.

² ასტარტა აქამენიდურ ხანაში იხ. V. S. Jigoulov, *The Social History of Achaemenid Phoenicia: Being a Phoenician, Negotiating Negotiating Empires* (BibleWorld). London and New York: Routledge, 2014. 46-48.

ტივს მიაგებდნენ ასტარტას ბერძნულ ორეოულს - აფროდიტესაც. ამავე დროს, სელევკიდების იმპერიაში სირიულ ატარგატის-ასტარტას განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ.¹ ამ ქალღმერთის კულტი ჩნდება პართიის იმპერიაშიც და მისი ეპიცენტრი, უძველესი დროიდან მოყოლებული, კვლავ ბაბილონში იყო.

გვიანი ხანის რომის იმპერიაში შემავალი სირია ის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც ხელოვნებაში თავს იყრიდა როგორც სირიულ-შუამდინარეული, ასევე სირიულ-ბერძნულ-რომაული მოტივები.² რომაული ხანის სირიაში, პალმირაში უზენაესი პოზიცია ჰქონდა ასტარტას.³ სიყვარულის ქალღმერთის იკონოგრაფიული გამოსახულებები გავრცელებული იყო ამ ფართო რეგიონში, გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში და განსხვავებული მასალით არის წარმოდგენილი.

ძველ ანატოლიაში, გორდიონის ე.წ. ტერასული ნაგებობა 2-ის ცენტრალურ ოთახში (თარიღდება ძვ.წ. IX ს.) აღმოჩენილ ძვლის ფირფიტის ფრაგმენტზე (რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს), გამოსახულია არმაზელი ასტარტას პროტოტიპი, პოლოსის ქუდით. ძვლის ფირფიტა ცხენის აღკაზმულობის ნაწილი იყო.⁴

¹ N. L. Wright, *Seleucid Royal Cult, Indigenous Religious Traditions, and Radiate Crowns: the Numismatic Evidence*. *Mediterranean Archaeology* Vol. 18, 2005, 67-82.

² *The Cambridge History of Iran, Volume 3 (2): The Seleucid, Parthian and Sassanid Periods*, ed. E. Yarshater, Cambridge: Cambridge University Press, 1996, 1050.

³ L. Dirven, *The Palmyrenes of Dura-Europos. A Study of Religious Interaction in Roman Syria*, Leiden, Brill, 1999, 105-110.

⁴ შიშველი ქალღვთაებას ფიგურა N3. შდრ. K. DeVries, P. Ian Kuniholm, G. Kenneth Sams & Mary M. Voigt, *New dates for Iron Age Gordion*, in *Antiquity, A Review of the World Archaeology*, ed. Ch. Scarre.

ელ-რესურსი: <http://www.antiquity.ac.uk/projgall/devries296/>

მეორე არტეფაქტზე ნიმრუდიდან გამოსახულია შიშველი ათლეტური აღნაგობის ქალღვთაება, რომელსაც ხელებში ცხოველები უჭირავს. ფირფიტა განეკუთვნება სამხრეთ სირიულ სტილს, სადაც ერთმანეთში აღრეულია ეგვიპტური და სირიული მოტივები.¹ ამ შემთხვევაში ერთდროულად აქცენტირებულია ქალღმერთის ორი ტრადიციული ასპექტი – სიყვარულის და ცხოველთა მბრძანებლის.

ოქროს ფირფიტაზე გამოხატული ასტარტა-ანათის შიშველი გამოსახულება ტელ ლაქიშიდან ამჯერად ცხენზე დგას, სახე პროფილში აქვს გამოხატული და ხელში ლოტოსის ყვავილები უჭირავს. ფირფიტა გვიანი ბრინჯაოს ხანით თარიღდება (ძვ.წ. XIII ს.). ქალღმერთს თავზე ახურავს პოლოსის ტიპის ქუდი, რომელსაც რქები ამშვენებს.²

საზოგადოდ, ნეო-ასურული ხანის ძვლის ფირფიტებზე, რომელიც ავეჯის ნაწილია, დეკორატიული და თემატური ელემენტის სახით ხშირად ჩნდება ქალების გამოსახულება. ამ თემატურ გზავნილებს ვიზუალური, იკონოგრაფიული მედიის ფუნქცია ჰქონდათ. ავეჯის ამ დეკორატიულ ფირფიტებზე გამოსახული იყო ცნობილი მოტივები: „ქალი

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

¹ შდრ. „Horse frontlet carved in relief with a female figure flanked by lions“, მეტროპოლიტენის მუზეუმი. გალერეა 404, ნეო - ასურული პერიოდი. არტეფაქტის ნომერი 61.197.5. ძვ.წ. IX-VIII სს. შუამდინარეთი, ნიმრუდი,

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/325348>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

² შდრ. არტეფაქტი IAA 1978-1. ისრაელის მუზეუმი, იერუსალიმი. ელ-რესურსი:

<http://www.imj.org.il/imagine/collections/item.asp?itemNum=393974>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

ფანჯარაში“¹, „დიდებული ქალი“,² „შიშველი, მომხიბლავი ქალები“ (სავარაუდოდ, ასტარტას საღვთო როსკიპები) აქცენტირებული გენიტალიებით (სამკუთხედი), პოლოსის ქუდებით და ძვირფასი გულსაკიდებით;³ ასევე, „ფროთოსანი ქალღმერთი და საკრალური ხე.“⁴ ყველა ფირფიტა იყო დეკორატიული დეტალი და წარმოადგენდა სხვადასხვა ავეჯის ან საგნის ჩანართ პანელს.

სელეკციების ხანაში (ძვ. წ. 316-63 წწ. იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა მცირე აზია, სირია, ბაბილონია და ბაქტრია) და შემდეგ, პართიულ ხანაში (ძვ. წ. 247 – 224 ახ.წ.) „შიშველი ქალღმერთის“, ბაბილონელი იშთარის თემა კვლავ აქტუალური რჩება. პართიული იმპერია აკონტრო-

¹ მეტროპოლიტენის მუზეუმი. გალერეა 406, ფლეჩერის ფონდი 1957. ნეო-ასურული პერიოდი. არტეფაქტის ნომერი 57.80.12.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/324695>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

² მეტროპოლიტენის მუზეუმი. გალერეა 404. ნეო-ასურული პერიოდი. არტეფაქტის ნომერი 62.269.6.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/325567>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

³ მეტროპოლიტენის მუზეუმი. გალერეა 404. როჯერის ფონდი 1952. ნეო-ასურული პერიოდი. არტეფაქტის ნომერი 52.23.2. ძვ.წ. VIII-VII სს.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/324199>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

⁴ მეტროპოლიტენის მუზეუმი. ფლეჩერის ფონდი 1957. ნეო-ასურული პერიოდი. მომდინარეობს სირიიდან. არტეფაქტის ნომერი 57.80.10 . ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/324693>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

ლებდა ირანიდან დაწყებული, შუამდინარეთის ჩათვლით მი-
წებს, და პოლიტიკურად ამ რეგიონში ჩაანაცვლა სელევკი-
დები. ამ პერიოდში შექმნილი სკულპტურების ერთი ნაწილი
ბერძნულ-ადმოსავლურ სტილშია წარმოდგენილი.¹ პართიულ
ხანაში ალექსანდრისგან დამზადებული შიშველი ქალის ფიგუ-
რები ბაბილონელ იშთარს უნდა ასახავდეს.² გვხვდება ალე-
ბასტრის ფიგურები-წამოწოლილი ქალბატონები,³ და ასევე,
ძვლისაგან დამზადებული შიშველი ქალის ტორსი.⁴ სუზადან
(ირანი) მომდინარეობს კერამიკულ ფირფიტაზე ფრონტალურ

¹ T. Françoise, "Les rubis d'Ishtar : étude archéologique", in
Cornaline et pierres précieuses : la Méditerranée, de l'Antiquité à l'Islam,
Actes du colloque organisé au musée du Louvre par le Service culturel, les
24 et 25 novembre 1995 et établis par Annie Caubet, Paris, La
Documentation française, 1999, 229-243.

² შდრ. "Standing nude statuette of a goddess", Museum Louvre,
Department of Near Eastern Antiquities: The Middle East after Alexander's
Conquest. Necropolis of Hillah, Babylon, Mesopotamia. Accession Number
AO 20217. Author: Marie-José Castor.

ელ-რესურსი:

<http://www.louvre.fr/en/oeuvre-notices/standing-nude-statuette-goddess>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

³ მეტროპოლიტენის მუზეუმი. გალერეა 405, არტეფაქტის ნომერი
86.16.3.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/322114>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

⁴ მეტროპოლიტენის მუზეუმი. არტეფაქტის ნომერი 86.11.262,
პართიული ხანა, შუამდინარეთი.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/321887>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

პოზაში გამოხატული შიშველი ქალი (ძვ.წ. IV-III საუკუნეები, ირანი).¹

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გვიან პართიული ხანის (დაახ. ახ.წ. მესამე საუკუნის) კერამიკულმა რიტონმა ქალის თავის გამოსახულებით, რომელიც მომდინარეობს შუამდინარეთიდან.² არმაზის სკულპტურაზე ასახული ქალის სახე ზედმიწევნით იმეორებს რიტონზე გამოსახული ქალის პორტრეტულ ტიპაჟს - სავსე სახე და სწორი ნაკვეთები. ანალოგიურია თმის ვარცხნილობა და პოლოსის ქუდის მოყვანილობა. თუმცა რიტონის ზედა ნაწილი სტილიზებულ პოლოსის ქუდს გვაგონებს. ქალის სილამაზის აღქმაში იდენტური ვიზუალური ხედვა (ანალოგიური სახის მოყვანილობა, ნაკვეთები და თმის ვარცხნილობა) მაძლევს საფუძველს, ორივე არტეფაქტი საერთო პერიოდს, გვიან პართიულ ხანას დავეუკავშირო. ასევე შეიძლება ვარაუდის დონეზე გამოვთქვა მოსაზრება, რომ ორივე არტეფაქტი არის საერთო სტილისტური ზონიდან. თუმცა საკითხის დასაზუსტებლად, საჭირო იქნება არტეფაქტის წარმოების გეოგრაფიული ადგილის და მისი ზუსტი ფუნქციის განსაზღვრა.

¹ მეტროპოლიტენის მუზეუმი. არტეფაქტის ნომერი 54.55.3.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/324303>

წვდომა განხორციელდა 08.12.2016.

² მეტროპოლიტენის მუზეუმი.გალერეა 405, არტეფაქტის ნომერი 2001.178.

ელ-რესურსი:

<http://www.metmuseum.org/art/collection/search/328840>

წვდომა განხორციელდა 11.12.2016.

სპილოს ძვლის ნაწარმის სახელოსნოები, სტილისტური ზონები და ნაწარმის დისტრიბუციის მარშრუტი

ძვლის ნივთების წარმოება უკავშირდება ფართო რეგიონულ სივრცეს, ლევანტსა და ასურს. არქეოლოგიურად დასტურდება სპილოს ძვლის სახელოსნოების არსებობა ლევანტში ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში,¹ თუმცა ეს წარმოება დაიწყო უფრო ადრე, ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან. ლევანტის სახელოსნოებში ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში წარმოებული პროდუქცია ჩნდება ძვ.წ. VII საუკუნის ასურში, როგორც ელიტური ნაწარმი.² ამ პროდუქციაზე დიდი მოთხოვ-

¹ შდრ. G. Herrmann, "The Nimrud Ivories, 1, The Flame and Frond School," Iraq 51 (1989): 103-104, 109; I. J. Winter, "Art as Evidence for Interaction: Relations between the Assyrian Empire and North Syria," in Mesopotamien und seine Nachbarn: Rencontre Assyriologique Internationale, Berlin, 3. bis 7. Juli 1978, edited by Hans-Jörg Nissen and Johannes Renger, Berliner Beiträge zum Vorderen Orient 1, Berlin: D. Reimer, 1982, pp. 355-82; I. J. Winter, "Carchemish ša kišad puratti," AnSt 33 (1983): 177-97; I. J. Winter, "North Syrian Ivories and Tell Halaf Reliefs: The Impact of Luxury Goods upon 'Major' Arts," in Essays in Ancient Civilizations Presented to Helene J. Kantor, edited by Albert Leonard, Jr. and Bruce Beyer Williams, SAOC 47, Chicago, Ill.: University of Chicago Press, 1989, pp. 321-38; I. J. Winter, "Phoenician and North Syrian Ivory Carving in Historical Context: Questions of Style and Distribution." Iraq 38 (1976): 1-22.

² I. Winter, North Syria in the Early First Millennium B.C. with Special Reference to Ivory Carving." Ph.D. diss., Columbia University, 1973, 376-81; I. Winter, "Carved Ivory Furniture Panels from Nimrud: A Coherent Subgroup of the North Syrian Style." Metropolitan Museum Journal 11, 1976, 51-53.

ნილება იყო ეგეოსურ სამყაროში,¹ კართაგენში,² ესპანეთში³ და ჩრდილოდასავლეთ ირანში.⁴ ამავე დროს, ფინიკიურ-სირიული ძეგლის ნაწარმის მინაბაძები ჩნდება საბერძნეთში, აღმოსავლეთ ანატოლიურ სახელმწიფოების ტერიტორიაზე და ურარტუში.⁵ სამარიაში (ისრაელი) და არსლან თაშში (სირია) აღმოჩენილი სპილოს ძეგლის ფირფიტები ავეჯის დეკორატიულ მორთულობას წარმოადგენდა.⁶ შედარებით მცირე

¹ J. Boardman, *The Cretan Collection in Oxford*, Oxford: Oxford University Press, 1961; E. Kunze, "Orientalische Schnitzereien aus Kreta," *Mitteilungen des Deutschen Archaeologischen Instituts: Athenische Abteilung*

60-61 (1935-1936): 218-33; J. A. Sakellarakis, "The Idean Cave Ivories," in *Ivory in Greece and the Eastern Mediterranean from the Bronze Age to the Hellenistic Period*, edited by J. Lesley Fitton, *British Museum Occasional Paper 85*, London: British Museum, 1992, pp. 113-40.

² P. Gauckler, *Nécropoles puniques de Carthage*, Vol. I, Paris: 1915, pl. CXLIII, nos. 1, 2, pls. CL, CLI; P. Gauckler, *Nécropoles puniques de Carthage*, Vol. II, Paris: 1915, p. 419.

³ Hispanic Society of America, *Catalogue of Engraved Ivories*, in the Collection of the Hispanic Society of America from Excavations by George Edward Bonsor, New York, N.Y 1928;

I. J. Winter, "The Carmona Ivories and Phoenician Expansion in the Western Mediterranean," M.A. thesis, University of Chicago, 1967; C. Sagona, "The Phoenicians in Spain from a Central Mediterranean Perspective: A Review Essay," *Ancient Near Eastern Studies* 41(2004): 240-66.

⁴ R. Dyson, "Hasanlu Excavations," *Archaeology* 18 (1965): 157-59; R. Dyson, "Hasanlu and the Solduz and Ushnu Valleys: Twelve Years of Exploration," *Archaeologia Viva* 1 (1968): 82-101.

⁵ R. D. Barnett, "Excavations of The British Museum at Toprak Kale near Van," *Iraq* 12 (1950): 10, fig. 6a, pl. 14; J. B. Carter, *Greek Ivory-Carving in the Orientalizing and Archaic Periods*, New York, N.Y.: Garland, 1985.

⁶ J. W. Crowfoot and G. M. Crowfoot, *Early Ivories from Samaria*, London: Palestine Exploration Fund, 1938; G. A. Reisner et al., *Harvard Excavations at Samaria*, Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1924;

რაოდენობის სპილოს ძვლის ნივთები აღმოჩენილია სარეპტაში,¹ ტელ-ხალაფში² და ქარხემიში³. შუამდინარეთის ქალაქებში, ხორასბადში, ნინევში და ნიმრუდში, სასახლეებისა და ტაძრების კონტექსტში გამოვლინდა დიდი ოდენობით ძვლისაგან დამზადებული სხვადასხვა ნაწარმის და დანიშნულების ნივთი.⁴

მეცნიერები ლევანტში პირობითად გამოჰყოფენ სამ ძირითად სტილისტურ ზონას, ე.წ. „ფინიკიურს“, „ჩრდილოეთ სირიულს“ და „სამხრეთ სირიულს“.⁵

„ფინიკიური ზონა“ მოიცავდა ისრაელს, ლიბანს და სირიას,⁶ ხოლო სახელოსნოები მუშაობდა ტვიროსში, სიდონში და სარეპტაში. ფინიკიური სტილი ჰბაძავს, მაგრამ არ იმეორებს ეგვიპტურ ხელოვნებას.⁷

E. Rehm, *Kykladen und Alter Orient*, Karlsruhe: Badisches Landesmuseum, 1997, pp. 127-33, 355, 414-16; J. Thimme, *Phonizische Elfenbeine: Bildheft des Badischen Landesmuseum*, Karlsruhe: Badisches Landesmuseum, 1973; F. Thureau-Dangin, *Arslan-Tash*, Paris: Paul Geuthner, 1931, pp. 89-138.

¹ J. B. Pritchard, *Recovering Sarepta, A Phoenician City*, Princeton, N.J.: Princeton

University Press, 1978, pp. 139-40, 143, fig. 139.

² B. Hrouda, *Tell Halaf IV, Die Kleinfunde aus historischer Zeit*, Berlin: Walter de Gruyter, 1962, pp. 9-10, 21, pls. 9-12; A. Moortgat, *Tell Halaf III, Die Bildwerke*, Berlin: Walter de Gruyter, 1955, 13.

³ C. L. Woolley and R. D. Barnett, *Carchemish: Report on the Excavations at Djerabis on behalf of The British Museum, Part III*, London: Printed by order of the Trustees, 1952, 167, 211, pl. 71f.

⁴ A. R. Gansell, *Women of Ivory as Embodiments of Ideal Feminine Beauty in the ancient Near East during the First Millennium BCE*. Ph.D. diss., Harvard University Cambridge, Massachusetts, 2008, 33-34.

⁵ Gansell, 2008, 38.

⁶ M. L. Uberti, "Ivory and Bone Carving," in *The Phoenicians*, ed. S. Moscati, New York, N.Y.: Rizzoli, 1999, . 456-71.

⁷ Gansell, 2008, 39.

„ჩრდილოეთ სირიული“ ხელოვნების ზონა ვრცელდებოდა თანამედროვე ჩრდილოეთ სირიასა და სამხრეთ თურქეთში. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ესაზღვრებოდა ამანუს მთების აღმოსავლეთ მდებარე მიწებს და ევფრატის დასავლეთ ტერიტორიებს.¹ მისი ცენტრები მდებარეობდა ტელხალაფში, ალეპოსა და ქარხემისში. ეს სტილი განსხვავდებოდა ფინიკიური ეგვიპტიზირებული ტენდენციებისგან, ასახავდა ძლიერ და მასიურ ფიგურებს, გადმოსცემდა მათ მძაფრ დინამიკას. მაშინაც კი, თუ ჩნდებოდა ეგვიპტური იკონოგრაფია, ის გარდასახული იყო ადგილობრივ, ლოკალურ ვერსიად.²

„სამხრეთ სირიულ“ ზონას მიაკუთვნებენ სამხრეთ-დასავლეთ სირიას, რომლის სახელოსნოები უნდა ყოფილიყო ჰამასა და დამასკოში.³ აქ წარმოებულ პროდუქციას ახასიათებდა როგორც ფინიკიური, ასევე ჩრდილოეთ სირიული გავლენები და ჰიბრიდული მოტივების სინთეზს წარმოადგენდა.

ლევანტის სახელოსნოებში ძვლისგან სხვადასხვა ნივთი მზადდებოდა, ეს იყო პატარა ზომის სკულპტურები, სარკეების დეკორატიული ნაწილი, კოსმეტიკური ყუთები, ავეჯის დეკორატიული ჩანართები, ცხენის უნაგირის მორთულობა და სხვ., შესაძლებელია, რომ ეს სკულპტურები ამშვენებდა კედლებს და კარებს.⁴

ლევანტის სახელოსნოებში დამზადებული ნაწარმი ხშირად სცილდებოდა რეგიონის სტილს და ტენდენციებს, შემოკქონდა უფრო ფართო, ტრანსრეგიონული რეპერტუარი,

¹ Winter 1973, 32-39.

² Gansell, 2008, 40.

³ I. Winter, "Is There a South Syrian Style of Ivory Carving in the Early First Millennium B.C.?" *Iraq* 43, 1981: 101-30.

⁴ M. E. L. Mallowan, "The Excavations at Nimrud (Kalhu), 1955," *Iraq* 18, 1956: 1-21.

რომელიც ეპოქებისდა მიხედვით იცვლებოდა და განახლდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიშველი ქალის გამოსახულება ერთ-ერთი წამყვან თემად რჩებოდა. ამ თემის ფარგლებში ჩნდება შიშველი ქალბატონების გამოსახულება, აქცენტირებული სექსუალური ასპექტებით. რიგი მათგანი, ალბათ, მოკვდავ ქალებს ასახავდა(?), თუმცა რიგი ქალღმერთ იშთარის ელინიზირებულ გამოსახულებას წარმოადგენდა.

ამ კვლევის თეორიულ ჩარჩოებში არსებითი საკითხია რეგიონში ახალი პოლიტიკური ძალის ჩართულობა და მისი მიმართება სტილისტურ ზონებთან.

ძვ.წ. 64 წელს რეგიონში გამოჩნდა რომის იმპერია და დაიმორჩილა სირია, რომელიც რომის პროვინციად გადაიქცა. რომი პერიოდულად პართიულ მიწებზეც აცხადებდა პრეტენზიას და იჭრებოდა შუამდინარეთში. ეს პროცესი აისახებოდა ხელოვნების სტილზე, გამომსახველობით ფორმებზე და გემოვნებაზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, ტრადიციული ხელოვნების ჟანრები, დაკანონებული თემატიკა და სტილის მიმართულებები ახალ გამოწვევებს პასუხობდა ახალი მივნიებით.

ელინისტურმა ხელოვნებამ გავლენა იქონია პართიულ ხელოვნებაზე.¹ გვიანი ხანის პართულმა ხელოვნებამ მიიღო ბერძნულ-რომაული გამომსახველობითი ფორმები და გაითავისა მათი გემოვნება.² პართიულ სკულპტურებზე გამოჩნდა შიშველი ქალღმერთის ფიგურები. ირანში შეტანილი ეს ტენდენცია კბაძავდა ბაბილონიიდან, სელევკიიდან და ვარკადან

¹ A. Qaderi, F. K. Nadooshan, S. M. Mousavi Kouhpar, J. Neyestani, The Influence of Greek Aesthetic Characteristics on Parthian Sculpture: A Review on the Evolution of the Parthian Art. *Intl. J. Humanities*, 2015, Vol. 22 (2): 53-85.

² Qaderi, . Nadooshan, Kouhpar, Neyestani 2015, 63.

მომდინარე ბერძნულ-რომაულ შიშველი ქალღმერთის ნიმუშებს.¹ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია, ასევე უკავშირდებოდა ლევანტში გავრცელებულ ბერძნულ-რომაულ სტილს. ამდენად, ძვ.წ. II-I საუკუნეებში და ახ.წ. I საუკუნეში გამოქსახველობითი ფორმების, თემების და სხვადასხვა სტილის ასეთი მძაფრი სინთეზი აჩენდა ერთგვარ ჰიბრიდულ მოდელებს. ფეხზე მდგომი შიშველი ქალების გამოსახულება, მკერდზე მიდებული ხელებით ან მკერდის არეში აწეული ხელით კვლავ გვხვდება პართიულ-რომაულ ხანაშიც.²

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ არიან ეს ქალბატონები? ასტარტა, ატარგატის-ასტარტა, თუ იშთარ-ასტარტა-აფროდიტეს ვარიაცია. ნათელია, ამ ფართო რეგიონში ეს თემატიკა კვლავ პოპულარობით სარგებლობდა და მოსახლეობისთვის ეს ვიზუალური მედია ახლობელი იყო.

ბოლოსიტყვაობა

ჩემს ხელთ არსებულ მასალაში, რომელიც თარიღება პართიულ-რომაული ხანით, არ გამოვლინდა არმაზის იდენტური არტეფაქტები, ძვლის ფირიტაზე შესრულებული შიშველი ქალის გამოსახულება.

სახელოვნობის შესახებ მოპოვებულმა ლიმიტირებულმა ინფორმაციამ, რომელიც პართიულ-რომაულ ხანას უკავშირდებოდა, კვლავ დამაბრუნა უფრო ადრეულ ეპოქებში. ადრეული ხანის ინტერპრეტირებული მასალების მიხედვით შევეცდები, რომ განვსაზღვრო მომდევნო ეპოქის არტეფაქტის ფუნქციური დანიშნულება. ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებო მასალა მომდინარეობს ნეო-ასურული ხანის ნიმუშებიდან (დედაქალაქი, თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით).

¹ Qaderi, Nadooshan, Kouhpar, Neyestani 2015, 64.

² Qaderi, Nadooshan, Kouhpar, Neyestani 2015, 70.

ასურის მეფე, ასურნასირფალ მეორის მიერ ნიმრუდში აშენებულ სასახლეებში და საცავეებში განთავსებული იყო ათასობით ცალი მოჩუქურთმებული ძვლის ნაწარმი. სავარაუდოდ, ასურელ მეფეებს ძვლის ნაწარმის დიდი ნაწილი ვასალი ქვეყნებისგან ხარკის სახით ეძლეოდათ ნაწილი კი, დაპყრობილი მტრებისგან აღებული სამხედრო ალაფი იყო. ძვლის ზოგიერთი ნაწარმი დამზადებული იყო ნიმრუდის სახელოსნოებში.¹ ეს ნივთები განსხვავებულ სტილისტური ზონიდან მომდინარეობდა. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენდა ავეჯის ჩანართ დეტალს ან პატარა ყუთებს და დამზადებული იყო ჩრდილოეთ სირიის, ფინიკიის და ადგილობრივ სახელოსნოებში.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ სირიული ნივთები აღმოჩნდა ჩრდილოეთ სირიის გარეთ მყოფ ადგილებში და ერთდროულად ჩნდება მცირე აზიაში, ჰასანლუში, გორდიონში და ალთინთეფეში. ამ ადგილებში იწარმოებოდა ადგილობრივი ძვლის ნაწარმი, რომელიც ან კონკურენციას უწევდა ჩრდილოეთ სირიაში დამზადებულ პროდუქციას, ან მოგვიანებით, აქ ჩრდილოეთ სირიული სტილის გავლენით, ადგილობრივი სტილი განვითარდა.²

ფინიკიური საქონელი ნიმრუდის გარდა მხოლოდ სირიასა და პალესტინაში არის წარმოდგენილი, ანუ მცირე აზიაში ის არ ვრცელდება.

¹ ასურული სასახლეების საცავეებში სპილოს ძვლის მასალის შესახებ იხ. I. J. Winter, *On Art in the Ancient Near East, Volume I, Of the First Millennium B.C.E.*, Brill, Leiden-Boston, 2010.

² შდრ. Winter, 2010, 203. იხ. ძვლის წარმოების ცენტრები რუკაზე. ჭინტერ, 2010, სურ. 24. ჩრდილოეთ სირიის ძვლის ნაწარმის დისტრიბუცია; სურ. 25. ფინიკიური ძვლის ნაწარმის დისტრიბუცია; გორდიონის და ალთინთეფეს სახელოსნოების მდებარეობა 224-225 გვ.

როგორც ზემოთ ვახსენე, ნიმრუდის მასალებიდან ჩემი ყურადღება მიიპყრო სპილოს ძვლის დეკორატიულმა, სამკუთხედის ფორმის ფირფიტებმა, რომელზეც შიშველი ქაღალდმერთები არიან გამოსახულნი.¹ სავარაუდოდ, ასახულია იმთარ-ასტარტა.² ასეთი ძვლის ფირფიტა სხვადასხვა ავეჯის დეკორატიულ მორთულობას წარმოადგენდა (შდრ. ნიმრუდი ოთახი SW37).³

ჩემი აზრით, არმაზის ძვლის ფირფიტაც ავეჯის ჩანართია. სავარაუდოდ, ლევანტის სახელოსნოებში პართიულ-რომაულ ხანაში კვლავ მზადდებოდა ძვლით დეკორირებული ელიტური ავეჯი და ვრცელდებოდა მთელს რეგიონში, არ გამოვრიცხავ გორდიონის და ალთინთეფეს სახელოსნოების საქმიანობას.

ჩემი აზრით, არმაზის ძვლის ფირფიტა მცირე აზიაშია დამზადებული და მასზე გამოხატული ქაღალდმერთი ბერძნულ-პართიულ სტილშია წარმოდგენილი. პოლოსის ქუდი, იმთა-

¹ იხ. G. Hernnann, H. Coffey, S. Laidlaw, *The Published Ivories From Fort Shalmaneser, Nimrud*. Institute of Archaeology University College London, British School of Archaeology in Iraq, London 2004, 70-71.

² M. E. L. Mallowan and G. Herrmann, *Furniture from SW.7 Fort Shalmaneser, Ivories from Nimrud (1949-1963) III*, London: British School of Archaeology in Iraq, 1974, 43, სქ. 1.;

³ ძვლის ფირფიტების გამოყენება ავეჯის დეკორატიულ მორთულობაში შდრ. G. Herrmann, "Ivory Furniture Pieces from Nimrud: North Syrian Evidence for Regional Traditions of Furniture Manufacture," in *The Furniture of Western Asia: Ancient and Traditional*, edited by Georgina Herrmann, Mainz: Philipp von Zabern, 1996, pp.153-60; M. E. L. Mallowan and G. Herrmann, *Furniture from SW.7 Fort Shalmaneser, Ivories from Nimrud (1949-1963) III*, London: British School of Archaeology in Iraq, 1974.

რის ატრიბუტი იყო ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულიდან. ეს ქული ამშვენებს „არმაზელ“ ქალბატონს.

თუ გავითვალისწინებთ არმაზში აღმოჩენილი ნივთის უცხოურ წარმომავლობას, ეკზოტიკურ იკონოგრაფიას, მაღალი ოსტატობით შესრულებულ ნამუშევარს, ის უდაოდ მაღალი ფენისთვის განკუთვნილი საქონელი იყო. წარმოდგენილი „ქალების სიშიშველის“ თემა ელიტური ფენის საამებლად იყო განკუთვნილი.

იცნობდა არმაზ-ქალაქის მოსახლეობა იშთარ-ასტარტას? ქალღმერთი უნივერსალური ფუნქციით, რომელიც უკავშირდებოდა სიყვარულის თემას, ქალაქის მრავალეთნიკური მოსახლეობისთვის არ იქნებოდა უცხო.

Eka Avaliani

International Black Sea University

**A BONE PLAQUE WITH AN IMAGE OF A NAKED
WOMAN FROM ANCIENT ARMAZI CITY
RESUME**

The author offers an interpretation of the recently discovered a bone plaque with an image of a naked woman, found in the so-called colonnaded hall, in the ancient city of Armazi, Georgia, dated back to IV-III cc. BCE. Therefore, scholars believe that the bone plaque with a figure of a women should be dated to the same period.

This single object is used as a lens through which to speculate about the existence of possible cultural regional and even transregional networks of meaning and taste and, the author assumes, that a plaque from Armazi city served as a furniture inlay, presumably reflecting the images of naked goddess Ishtar-Astarte.



სვეტებიანი დარბაზის ინტერიერში აღმოჩენილი ძვლის ფიგურა



კერამიკულმა რიტონი ქალის თავის გამოსახულებით, მომდინარეობს
შუამდინარეთიდან.¹

¹ პეტროპოლიტენის მუზეუმი.გალერეა 405, არტეფაქტის ნომერი 2001.178.
ელ-რესურსი: <http://www.metmuseum.org/art/collection/search/328840>
წვდომა განხორციელდა 11.12.2016.

**დალესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა XIX საუკუნის
პირველ მესამედში**

1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან მიერთების შედეგად ვითარება ქვეყანაში ძირფესვიანად შეიცვალა. ამიერიდან აღარ არსებობდა დამოუკიდებელი ქართული სამეფო, ხოლო ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წარმომადგენლების რუსეთში გადასახლებით სახელმწიფოში მოისპოვის ოფიციალური წარმომადგენელიც, რომელიც პოლიტიკური ურთიერთობის წარმოებისას, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს ინტერესებს გაითვალისწინებდა. ამიერიდან ქართლ-კახეთის ბედს რუსი მოხელეები განაგებდნენ.

მეფის რუსეთის პერსპექტიული გეგმები საგარეო პოლიტიკის დარგში, საკმაოდ შორსმომავალი იყო და გულისხმობდა კონსტანტინეპოლისა და მცირე აზიის დაპყრობას. ამ მიზნის მისაღწევად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ახლად შემოერთებულ ქვეყანაში პოზიციების შენარჩუნება და მთელ ამიერკავკასიაში გაბატონება, რისთვისაც საჭირო იყო კავკასიელი მთიელების, კერძოდ კი დალესტნის დამორჩილება. დალესტნის ტერიტორიების შემოერთების გარეშე რუსეთის იმპერიის დამკვიდრება ამიერკავკასიაში შეუძლებელი იყო, რადგანაც იგი ფაქტობრივად თიშავდა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთისაგან, რომელთა შორისაც მისვლა-მოსვლა ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზით შეიძლებოდა. გარდა ამისა, რუსეთს გაუჭირდე-

ბოდა ეწარმოებინა მახლობელ აღმოსავლეთში აქტიური სა-
გარეო პოლიტიკა დალესტინის ხალხის დაუმორჩილებლად,
ვინაიდან მას ზურგში ეყობოდა დაუძინებელი მტერი მისი
სახით. ამასთანავე, რუსეთის ერთ-ერთ მთავარ მტერსა და
ამიერკავკასიაზე ბატონობაში მთავარ კონკურენტს – თურ-
ქეთს – დალესტანის ხალხებთან აკავშირებდა მაჰმადიანური
რელიგიის ერთიანი ძაღვი მიმდინარეობისადმი კუთვნილება,
რაც აამხედრებდა მთიელებს რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის
თურქეთთან სერიოზული კონფლიქტის შემთხვევაში და გა-
მოიწვევდა ომის ორ ფრონტზე წარმოებას, რისი შესაძლებ-
ლობაც იმჟამად რუსეთს არ ჰქონდა¹.

ზემოაღნიშნულ სტატიაში ჩვენი მიზანია საარქივო მა-
სალების, ძველი აქტების თუ სპეციალურ ლიტერატურაზე
დაყრდნობით წარმოვაჩინოთ დალესტან-ახალციხის საფაშოს
ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში.

XIX საუკუნის დასაწყისში დალესტანი დაქუცმაცებული
იყო მთელ რიგ ფეოდალურ სამფლობელოებად: ავარიის,
ყაზიყულძუხის, მეხტულინის, დერბენდის სახანოებად, ტარ-
კის საშამხლოდ, ყაიტაგის სამაისუმოდ, ტაბასარანის საყადი-
ოდ, ყუმიყელი თავადების – აქსაევსკის, კოსტეკოვსკის. ანდ-
რეევსკის მამულად და დაახლოებით 60-მდე სასოფლო
თემად. ამ პოლიტიკური ერთეულებიდან თითოეული დამოუ-
კიდებელი და პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა და ამ-
დენად, მათი დამოკიდებულების ხასიათიც, როგორც რუსეთ-
თან, ისე საქართველოსთანაც მკვეთრად განსხვავდებოდა
ერთმანეთისაგან.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლო წლებში დალეს-
ტნის მთელი რიგი ფეოდალური გაერთიანებები ერთმანეთის
მიყოლებით 1787-1789 წლებში რუსეთის მფლობელობაში

¹ АКТЫ, VII, д. 462, стр. 510.

შევიდნენ, ხოლო 1793 წელს რუსეთს სამუდამოდ ერთგულება შეჰფიცეს და ქვეშევრდომობა სთხოვეს ყუმიყელმა თავადებმა და ტარკის შამხალმა, შემდეგ დერბენდის მმართველმა შიხათ-ხანმა და სხვებმა¹. 1802 წელს კნორინგმა, ალექსანდრე I-ის მითითებით მოიწვია დაღესტნელი ხანების ყრილობა, რომლებმაც 1802 წლის 26 დეკემბერს დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა დაღესტნის ოთხი ფეოდალური სამფლობელო – ტარკის, ყაიჭალის, ტაბასარანისა და დერბენდის. მოლაპარაკების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ არასოდეს არ დაესხმებოდნენ მოკავშირეების ტერიტორიებს და მათი ქვეშევრდომები არაფრით არ შეურაცხეყოთ².

1802 წლის 3 ოქტომბერს ალექსანდრე I დათანხმდა რუსეთის მფარველობაში მიეღო ავარიის სახანო, 1803 წლის დასაწყისში კი სულთან ახმედ-ხანმა თავის მრავალ გამოჩენილ ქვეშევრდომთა თანდასწრებით საზეიმოდ დაიფიცა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. მან პირობა დადო, რომ რუსეთის ქვეშევრდომ მეზობელ ხანებთან და მთის მფლობელებთან ყოფილიყო მეგობრულად, მონაწილეობა არ მიეღო არავითარ შეიარაღებულ შეტაკებებში, დაეცვა ავარიისა და საქართველოს საზღვრები³.

1803 წლის მარტ-აპრილში გენერალ გულიაკოვის სარდლობით რუსეთის ჯარებმა რუსეთის ტერიტორიებს შემოუერთეს ჭარბელაქნის თავისუფალი თემები⁴, რასაც უდიდესი

¹ Гаджиев В. Русско-Дагестанские отношения XVIII начало XIX вв., М., 1990.

² Гаджоев В., დასახელებული ნაშრომი, გვ. 136.

³ სცსსა ფონდი, 29, საქმე № 17, ფურც. 1-2.

⁴ АКТЫ., т. II, стр. 728.

მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტნის შემდგომი შემოერთებისათვის.

1810 წლის შემოდგომაზე ჩოხის თავისუფალი საზოგადოება შევიდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ამავე წლის ზაფხულში ალექსანდრე I-ის ერთგულებაზე დაიფიცა ყაზიყუმუხის სახანო¹.

ყველა ზემოთ აღნიშნული სამფლობელოს წარმომადგენლებმა მფარველ სახელმწიფოს აღუთქვეს მისი კუთვნილი ტერიტორიების ხელშეუხებლობა, მაგრამ ყველა ეს ხელშეკრულება ფარატინა ქალაქად დარჩა და დაღესტნის მხრიდან რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებზე, მათ შორის საქართველოზე, თავდასხმები არ წყდებოდა. მაგალითად, 1802 წლის გეორგიევსკის მოლაპარაკების მონაწილეებმა (შიხალი-ხან დერბენდელმა, ტარკის შამხალმა, ავარიის ხანმა და მისმა მამამ სულთანმა ჯუნგუთაიელმა) უკვე დაივიწყეს თავიანთი ერთგულების ფიცი, შეეკვრნენ შირვანის მუსტაფა ხანს, გაუგზავნეს ელჩი ბაბახანს და შესთავაზეს რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედების დაწყება².

აღნიშნული ფაქტის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს მამია დუმბაძე, რომ დაღესტნის ხალხების რუსეთის ერთგულებაში შესვლა „შიშით ნაკარნახევი დროებითი მოვლენა იყო. შიშმა მალე გადაიარა და სახანოები ციციანოვის მუქარებს უკვე აღარ ეპუებოდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, მათ შორის დაღესტნიდანაც თავდასხმები ისე გრძელდებოდა“³.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველ მესამედში შეიმჩნევა დაღესტნელი ფეოდალებისა და

¹ Гаджоев В, დასახელებული ნაშრომი, გვ. 198.

² АКТЫ, т. II, стр. 784.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ, 1973, გვ. 841.

ტომთა ბელადების მხრიდან ორიენტაციის მეტისმეტად ხშირი ცვლა: თითქმის მთელი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაღესტნელები სისტემატურად ითხოვდნენ რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ შესვლას, მათი თხოვნის შესრულებისთანავე არღვევდნენ ერთგულების ფიცს, თავს ესხმოდნენ და არბევდნენ იმპერიის კუთვნილ ტერიტორიებს, აწიოკებდნენ მოსახლეობას და ამის შემდეგ იმწუთშივე მფარველობას იხვეწებოდნენ.

ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა ის ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა დაღესტან-ახალციხის საფაშოს შორის XIX საუკუნის პირველ მესამედში. ჯერ კიდევ 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატი ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გაუმჯობესებას მოასწავებდა, რაც თურქეთის დიპლომატიის მიერ განცდილი დიდი მარცხი იყო. ამან, რუსეთთან ისედაც გართულებული საგარეო ურთიერთობის პირობებში უფრო გააბოროტა ოსმალეთი.

მ. დუმბაძის შენიშვნით: „ქართლ-კახეთში რუსთა ჯარების გადმოყვანის გამო ოსმალეთის სახელმწიფოს შეშფოთება სავსებით გასაგები იყო. რუსეთის მიერ მრავალგზის დამარცხებულ, ყირიმიდან და ჩრდილო კავკასიიდან გამოდევნილ ოსმალეთს ახლა მისი უშუალო, თუ მინატაცებ-დაპყრობილი მიწების დაკარგვა მოელოდა. ძლიერმა რუსეთმა კავკასიონის მთაგრეხილი უომრად გადმოლახა, უშუალოდ გაუმეზობლდა სულთნის სამფლობელოებს და მას საქართველოდან „მეორე ფრონტი“ გაუხსნა (პირველი და ტრადიციული ფრონტი ბალკანეთის მიმართულებით იყო), რითაც დაემუქრა ანატოლიის ჩრდილოეთ პროვინციებს“¹.

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 696.

ახალციხის ფაშამ, სულეიმან ჯაყელმა, რომელსაც არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ ერეკლე II გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად აღიარებული იყო სამცხე-საათაბაგოს პატრონად, ვინაიდან თავის თავს „საათაბაგოს მფლობელად თვლიდა“, ჯავრის ამოყრის მიზნით „აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა“¹. XIX საუკუნის დასაწყისში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

მართალია, ამ პერიოდში ახალციხის ფაშა სიტყვით საქართველოს მთავრობას მეგობრობას ეფიცებოდა და პირდებოდა, რომ ლეკებს არ შეუშვებდა თავის სამფლობელოში, არ მისცემდა პურს და არ გააყიდინებდა იქ ტყვეებს², მაგრამ სინამდვილეში, როგორც ლაზარევი 1802 წლის 22 აგვისტოს მოახსენებდა კნორინგს: „ეს ახსნა-განმარტება მთლიანად სიმართლესაა მოკლებული, მას თავისი სამფლობელოდან ლეკები არ გამოუდევნია, არამედ ერთი ნაწილი გაგზავნა იმერეთის მეფესთან, მეორე კი ჰყავს თავისთან და იყენებს მათი საერთო ზრახვების სისრულეში მოსაყვანად... პოდპოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა არაერთგზის გარეკა ლეკები საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართლის მხრიდან, შერიფ-ფაშის სამფლობელოში, საითაც ისინი ყოველთვის მიისწრაფოდნენ და ნახულობდნენ კიდევ თავშესაფარს. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ თურქები ლეკებს უამხანაგდებოდნენ და ერთად არბევდნენ საქართველოს მიწა-წყალს“³. 1800 წელს კოვალენსკის მიერ საქართველოზე გაკეთებული შენიშვნების მიხედვით ჩანს, რომ ახალციხის ფაშას კეთილმეზობლური და-

¹ თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ. 58.

² АКТЫ., т. I, д. N 928, стр. 658.

³ იქვე., д. N 458, стр. 667-668.

მოკიდებულება საქართველოსთან გამოიხატებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ მან სხვადასხვა დროს გამოუსყიდველად გაათავისუფლა დაღესტნელთაგან მოტაცებული რამდენიმე ქართველი ტყვე, რომლებიც მათ ძალით წაართვა, ამ დაღესტნელების მოკავშირე თავისი ქვეშევრდომებიდან რამდენიმე კაცი კი სიკვდილით დასაჯა: გამოუსყიდველად დააბრუნა ლეკების მიერ გატაცებული პირუტყვიდან რამდენიმე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი; იმერეთსა და მისი ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფ სხვა ადგილებში მყოფი ყველა დაღესტნელი რუსეთის მოთხოვნის შესაბამისად შეაგროვა ერთად. წარადგინა საქართველოს მეფესთან და მკაცრად აუკრძალა მათ საქართველოს საზღვრებში შესვლა¹.

ყოველივე ეს მოჩვენებითი ღონისძიებები იყო: ახალციხიდან ლეკთა თავდასხმები საქართველოს სოფლებზე კიდევ უფრო მომრავლდა². მაგალითად, 1802 წლის 7 აგვისტოს სოფელ ქვიშხეთს თავს დაესხა ახალციხის მხრიდან 500 დაღესტნელი. მათ ტყვედ წაიყვანეს 96 ქალი და კაცი³. თავდასხმის მომწყობი და ორგანიზატორი ისევ ახალციხის ფაშა იყო. 1803 წლის ზაფხულში ახალციხიდან შემოჭრილმა ლეკებმა გაძარცვეს სოფელი ქარელი, ხოლო შემდეგ ტყეში შეიტყუეს და გაჟლიტეს რუსთა ასეული⁴. ციციანოვის ბრძანებით, რუსთა რაზმი, გენერალ ორბელიანის სარდლობით ახალციხეში შეიჭრა, რის შედეგადაც ახალციხის ფაშა იძულებული გახდა მისთვის 600 დაღესტნელი გადაეცა დასას-

¹ АКТЫ,, т. I, д. N 928, стр. 658.

² ЦГВИА, ф. 26, оп. I, д. Т 151,ст. 544.

³ АКТЫ,, т. I, д. N 928, стр. 658.

⁴ თ. ბაგრატიონი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 69.

ჯელად. რუსებმა ლეკები განაიარაღეს და მთელ ქართლსა და კახეთში ჩამოატარეს¹.

ახალციხის ფაშას ასეთი მუხანათური პოზიცია შეუძინეველი არ დარჩენია რუსეთის კავკასიურ მმართველობას. 1808 წლის თებერვალში კავკასიის მთავარმართველი გუდოვიჩი მოახსენებდა იმპერატორს: ახალციხის ფაშა უფლებას აძლევს ლეკებს და თავის ქვეშევრდომებს აწარმოონ ჩვენი ტერიტორიის ძარცვა-რბევა². ლეკების მიერ ქართლის სოფლების რბევის შესაწყვეტად გუდოვიჩმა შესთავაზა ახალციხეში მყოფ ყველა დაღესტნელს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა და აღუთქვა სამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნება, მაგრამ ფაშა მათ ამის ნებას არ აძლევდა და სხვადასხვა დაპირებებითა და საბაბით აკავებდა მათ³. თუ თურქეთი 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე მალულად იფარებდა ლეკებს, ომის დაწყების შემდეგ უკვე თურქეთის ანატოლიის მთავარსადრალი იუსუფ-ფაშა მაჰმადიანური რელიგიის დაცვის საბაბით ამკარად მოუწოდებდა დაღესტნის, აზერბაიჯანის ჭარ-ბელაქნის მფლობელებს, რომ თურქეთთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში და მოეწყოთ ერთობლივი ლაშქრობა ამიერკავკასიაში მათ დასაყრდენ თბილისზე, რის სანაცვლოდაც ჰპირდებოდა ჯილდოებს⁴.

ზემოაღნიშნულ გარემოებას დროზე მიქაცია ყურადღება ამიერკავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ⁵, მაგრამ დაღესტ-

¹ Покоренный Кавказ, СПб, 1869, ст. 303.

² Цагарели А., Грамоты, ст.207-208.

³ АКТЫ, т. III, стр. 433.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

ნელების რამდენიმე რაზმი მაინც გადავიდა ახალციხეში¹, საიდანაც მონაწილეობა მიიღეს საომარ მოქმედებებში და თურქთა შემოსევებში². მაგალითად, 1807 წლის ზაფხულში დაღესტნის პროვინციების ოსოქოლოსა და წულახარიდან 700 ლეკი მამასახლისების: ქოსა-ჰუსეინის, მუსტაფა-ჰასან-ოღლისა და აბდუ-ისმაილ-ოღლის წაქეზებით გადავიდნენ ახალციხეში, სადაც აწარმოებდნენ საქართველოს ტერიტორიებზე თავდასხმებსა და ძარცვას. ისინი 13 ივნისს თავს დაესხნენ ქარელს და გარეკეს დიდი რაოდენობით ცხვარი, ხოლო 18 ივნისს თურქებთან ერთად თავს დაესხნენ სოფელ მოხისს, ცახისს და მოიტაცეს მთელი ცხვარი³. 1808 წელს აულების ოსოქოლოს, ბალაბანის, ბაკეთლალის და ქონდოქის ახალციხეში მყოფი გულზადარები, რომლებიც ახალციხის ფაშას მიერ იყვნენ დაქირავებული, მეტისმეტად აწუხებდნენ ქართლის სოფლებს გამუდმებული თავდასხმებით⁴.

რუსეთ-თურქეთის ომი 1812 წლის მაისში ბუქარესტში ზავის დადებით დამთავრდა. ზავის VI მუხლის საფუძველზე რუსეთმა ამიერკავკასიაში შეინარჩუნა „ნებაყოფლობით შემოერთებული ტერიტორიები“. ამ ზავით „რუსეთის სარგებლობაში გადავიდა შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული მდინარე ბზიფიდან ვიდრე მდინარე რიონამდე. ფაქტობრივად კი რუსეთის გამგებლობაში ექცეოდა საქართველოს ზღვის ნაპირი ბზიფიდან ვიდრე მდინარე ჩოლოქამდე და ამ ნაპირზე მდებარე ნავსადგომები: სოხუმი, ყულევი და შეკვეთილი. მაგრამ აღნიშნული ზავის მიხედვით რუსეთი იძულებული გახდა ოს-

¹ სცსა ფონდი, 16 აღწ. I, საქმე №1082, ფურც. 5.

² იქვე, ფურც. 145, 148, 396.

³ АКТИ, т. III, д. N 690, стр. 369-370.

⁴ იქვე, д. N 697, стр. 372.

მალეთისთვის დაებრუნებინა ქალაქი ფოთი და ახლაქალაქი¹, რომლებიც კვლავ გადაიქცნენ ტყვეებით მოვაჭრე ოსმალო ყაჩაღების სათარეშო ასპარეზად.

ზემოაღნიშნულმა ზავმა ვერ მოსპო ახალციხიდან ლეკების თავდასხმები. ისინი ინტენსიურად გრძელდებოდა მომდევნო პერიოდშიც. თურქეთზე დაღესტნელების დამოკიდებულების გარდა ახალციხის ფაშას მიერ მათი დაქირავებისა და ამის შედეგად თავისი სურვილების მიხედვით გამოყენებისა, ის გარემოებაც იწვევდა, რომ რაც რუსეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო, დაღესტნისათვის ტყვეების გასაყიდად ერთადერთ ბაზრად ოსმალეთი გადაიქცა და ამიტომ მათი ინტერესები მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს².

აქვე არ შეიძლება არ აღენიშნოთ ცარიზმის ის ვანდალური პოლიტიკა, რასაც ისინი სჩადიოდნენ კავკასიაში. ცარიზმის მხრიდან ახალი ციხე-სიმაგრეებისა და კორდონების მშენებლობას თან ახლდა მთიანი აულების განადგურება და მოსახლეობის იძულებითი გადასახლება საცხოვრებელი ადგილებიდან. ნ. ნ. რაევსკი კავკასიაში რუსეთის შეუზღუდავი პოლიტიკის შესახებ წერდა: «Наши действия на Кавказе напоминают все бедствия первоначального завоевания Америки испанцами»³.

1817 წელს ჩენჩეთში სახალხო აჯანყება დაიწყო, რომელიც კავკასიაში რუსთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. სულთნის ემისრები გაძლიერებულ რელიგიურ პროპაგანდას ეწეოდნენ კავკასიის მთიანეთში და მთის მაჰჰმა-

¹ Договоры Россия с Востоком, сост. Юзефович, СПб, 1869, ст. 53.

² დ. მეგრელაძე, დასახელებული დისერტაცია, გვ. 41.

³ А. В. Фадеев, Россия и восточный Кавказ 20-их годов XIX века, Москва, 1958, стр. 309.

დიან მოსახლეობას „გაიურების“ მიმართ საომრად განაწყობდნენ.

ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებმა თავისებური გამოხმაურება ახალციხის საფაშოს მხრიდანაც ჰპოვეს. ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო მასალები მოწმობენ, რომ ამ პერიოდში, ახალციხის საფაშოდან ლეკთა თარეშებმა, ქართლის ტერიტორიაზე სისტემატური ხასიათი მიიღო.

1817 წლის იანვარში ახალციხიდან გადმოსული ლეკები ქვემო ქართლში, სოფელ დიდი შულავერის ახლოს თავს დაესხნენ კაზაკთა საგუშაგოს, ტყვედ ჩაიგდეს კაზაკი ზაქარ მიკულინი, ხოლო მასთან მყოფნი კი ამოხოცეს¹.

1817 წლის ივნისში საფაშოდან წამოსული ლეკები თავს დაესხნენ სოფელ ბალანთას, გაიტაცეს საქონელი და მწყემსი ბიჭი². იმავე წლის აგვისტოში ქართლის სოფელ იგოეთიდან ახალციხის ბინადარი ლეკების მიერ მოტაცებულ იქნა 3 კაცი³. აგვისტოშივე, ახალციხიდან გადმოსულმა ლეკებმა ქართლის სოფელ სურამიდან და ვარდუხნიდან მოიტაცეს 5 კაცი⁴. 1817 წლის ნოემბერში ლეკების მიერ სოფელ მარტყოფიდან წაყვანილ იქნა ორი ვაჟი, რომელნიც ახალქალაქის ციხეში მიიყვანეს⁵.

ლეკების თავდასხმები ქართლზე და აქედან ახალციხისაკენ უმთავრესად ზედაზენის მხრიდან წარმოებდა. თ. ბაგრატიონის აღნიშვნით: „მთა ზედაზენისა იყო კანონიერად კლდედ და კარად დაღესტნისა და აქედან დაეცემოდნენ ლეკნი ღართის-კარსა და დაცემით ტყვეთა, - განვლიდნენ ქართ-

¹ სცსა ფონდი, №2, აღწ. I, საქმე № 615, ფურც. 15.

² იქვე.

³ იქვე, ფურც. 16.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

ლსა და ავიდოდნენ ახალციხეს. დაბრუნებულნი მუნით, აქავე მოდიან და დაბინავდებიან უშიშრად – ესრეთ მღვთმარეობასა შინა იყო საქართველო დროთაგან მეფისა ვახტანგისა 1710-გან, ვიდრე 1817 წლამდე¹.

ახალციხეში დაღესტნელები ჭარის, ბორჩალოს დისტანციის და წალკის გავლითაც გადადიოდნენ².

მიუხედავად თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთმოტანილი ცნობისა, რომელიც „ლეკიანობის“ დასასრულად 1817 წელს ასახელებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეკთა წვრილ-წვრილ თარეშებს ქართლზე ახალციხის მხრიდან შემდგომშიაც ჰქონდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით 1819 წლის 16 აპრილს ერმოლოვი ახალციხის ფაშას დივან ეფენდ მაჰმედ-სეიდს სწერდა, რომ ახმედ-ალის საშუალებით შევიტყვე, რომ ხაფიზ-ალი ფაშას არზრუმში სერასკირად დანიშვნის გამო, თქვენ სულთანის დავალებით დაგეკისრათ ახალციხის საფაშოს მმართველობა. გავიგე, რომ თქვენ საფაშოდან დაითხივთ ყველა ლეკი, რომლებიც ყაჩაღურ თავდასხმებს ახდენდნენ საქართველოზე. ახლა ისინი ქართლის ტყეებში იმყოფებიან და თუ ისინი ნადავლით დატვირთულნი ახალციხეში დაბრუნდებიან, მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება: «что сѣй разбойники самом Ахалцихском правительством не выгнаны а посланы только были для произведения грабительства в Грузии»³.

ჭარ-ბელაქნის რუსეთის მიერ დაკავებამ და კავკასიონზე გადმოსასვლელი ბილიკების ჩაკეტვამ ლეკთა მოძრაობის მთავარი მაგისტრალი დაღესტანი – ჭარ-ბელაქანი – ახალციხის საფაშო თავდაპირველად ჯერ შეასუსტა, ხოლო

¹ თ. ბაგრატიონი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

² სცსსა ფონდი, № 16, აღწ. I, საქმე № 1192, ფურც. 6.

³ АКТЫ, т. VI, часть II, стр. 415-416.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ახალციხის საფაშოს ერთი ნაწილის (სამცხე-ჯავახეთი) შემოერთებამ ეს გენერალური საკომუნიკაციო ხაზი მთლიანად მოშალა.

დამოწმებანი:

1. АКТЫ, КАК, Т. VII, Тиф., 1878.
2. АКТЫ, КАК, Т. II, Тиф., 1868.
3. АКТЫ, КАК, Т. I, Тиф., 1876.
4. АКТЫ, КАК, Т. III, Тиф., 1869.
5. АКТЫ, КАК, Т. VI, Тиф., 1875.
6. სცსსა, ფ. 29, საქმე №17.
7. სცსსა, ფ. 16, აღწ. 1. საქმე №1082.
8. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1. საქმე №615.
9. თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
11. Гаджиев В., Русско-Дагестанское отношения XVIII-начало XIX вв. М., 1990.
12. Цагарели А., Грамоты . . . Т. I. Спб., 1891.
13. Федеев А.В. Россия и Кавказ 20-их годов XIX века, М., 1958.
14. Юзефович Т., Договоры России с Востоком, Спб., 1869.
15. Покоренный Кавказ, Спб., 1869.

Roman Gogolauri
Samtskhe-Javakheti State University
**AKHALTSIKHE-DAGESTAN KINGDOMS’
RELATIONS IN THE FIRST PART OF XIX CENTURY
RESUME**

Main aim of my work is to underline the Relations of Akhaltsikhe-Dagestan Kingdoms in the first part of XIX Century. The research is done under the information of the oldest articles and special literature.

After joining of the East Georgia to Russia in 1801, Russia has one and the main aim, to invade Constantinople and Small Asia. To make their wish true they have to make their positions stronger, of cause it was impossible if they did not unite Dagestan.

Some Feudal United of Dagestan have been joined in Russia empire since XVIII Century.

We can see the various point of view from Dagestan Feudal and ballads from thye beginning of XIX Century. At this time main highway was Char-Belacan-Akhaltsikhe of Dagestan_Akhaltsikhe Kingdom. In the current time Turkish and Leke Invaders were attacking in Kakheta and Kartli region of Georgia

Free regions of Char-Belacan were united with Russian Territory by the Leader of Russian soldiers General Guliakov in 1803. This was the main reason why highway of Caucasus was nearly closed but a little bit later this way to Dagestan-Char-Belacan-Akhaltsikhe Kingdom was completely closed after Russian-Turkish War in 1828-1829.

*ნიკა ზურიკაშვილი, ალექსანდრე ნინუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და
გადასახადები ისტორიულ ჭრილში**

საქართველოს, თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, მრავლად ჰქონია წარმატებებიც და წარუმატებლობაც. იგი ზოგჯერ გვეკვლინებოდა ძლიერ, პოლიტიკურად შეკრულ და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ. ზოგჯერ კი – პოლიტიკურად დანაწევრებულ და ეკონომიკურად განადგურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. გარდა გარეშე ფაქტორებისა – უამრავი მტრებისა და ძლიერი იმპერიების მიერ საქართველოს დამორჩილების მცდელობებისა, მის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა წარმოებისა, ხშირად ქვეყნის მდგომარეობა და მისი წარმატებულობა განპირობებული იყო სახელმწიფოს შიგა ფაქტორებით: მონარქების უნარიანობით, სამეფო კარის ინტრიგებით, ეკონომიკური პოლიტიკით, თავადაზნაურებისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულებით, გლეხებზე დაკისრებული გადასახადების სიდიდით, მათი გადახდის წესით და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების დასახელებებისა და მათი ოდენობის, გადახდის წესის, გადასახადების აკრეფის მექანიზმის შესახებ ისტორიოგრაფიაში ძნელად მოიპოვება მასალები, ჩვენამდე მოღწეული გუჯარ-სიგელები, „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა მიერ გადმოცემული ფაქტები თუ ბერძნული, სპარსული, სომხური წყაროების ანალიზით მაინც შესაძლებელია ვიმსჯელოთ გადასახადების, ყმა-გლეხე-

ბის სოციალური მდგომარეობის და ქვეყნის წარმატება-წარუმატებლობის შესახებ ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში.

საქართველოს ეკონომიკური ისტორია ქვის ხანის უძველესი ეტაპიდან – წინა აშელის ეპოქიდან იწყება. ამას მოწმობს უძველესი დროის ადამიანის ნაკვალევი მის ტერიტორიაზე,¹ სადაც, განსაკუთრებით ზღვისპირეთში, კიდევ უფრო ფართოდ სახლდება ადამიანი აშელის ეპოქაში. ამას ადასტურებს სოხუმის მახლობლად მდებარე იაშათხვის ნაბინავარი, ყვირილის აუზში მოპოვებული იარაღები, კუდაროს მღვიმეთა ჯგუფი, წონის გამოქვაბული ერწოს ტბის მახლობლად შიდა ქართლის მაღალმთიან ზოლში და ა.შ. ამ პერიოდში ისწავლა ადამიანმა ცეცხლის გამოყენება.

განსაკუთრებით ფართოდ არის ათვისებული საქართველოს დასავლეთი ნაწილი მომდევნო მუსტიეს ეპოქაში (100-35 ათასი წლის წინათ), როდესაც გაუმჯობესდა შრომის იარაღების დამზადების ტექნიკა და ადამიანმა ისწავლა ცეცხლის ხელოვნურად მიღება. ამ პერიოდში კოლექტიური ნადირობა და გარეულ მცენარეთა ნაყოფის შეგროვება ადამიანთა ძირითადი საქმიანობა იყო.

პალეოლითის ეპოქის წინაგვაროვნული საზოგადოების წარმოების იარაღები აღმოჩენილ იქნა დასავლეთ საქართველოში (ხარაგაულის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონებში), ხოლო მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქების გვაროვნული საზოგადოების წარმოების იარაღები – როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. პალეოლითის ეპოქაში შეიქმნა ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა, გავრცელდა ძვლისა და რქის იარაღები, გაუმჯობესდა ნადირობის წესები. მეზოლითის ეპოქაში წინაგვაროვნული საზოგადოებიდან გვაროვ-

¹ პაპავა ვ., ჩიქავა ლ. და სხვ. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“. თბ. 2012. გვ. 7.

ნულზე გადასვლით დაიწყო ახალი ეტაპი წარმოების იარაღების განვითარებაში, რაც საფუძვლად დაედო ნეოლითს. ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესი ეტაპია როგორც მთლიანად კაცობრიობის, ისე საქართველოს განვითარებაში. ჩამოყალიბდა მეურნეობრივი საქმიანობის ახალი ფორმები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, პირველად გაჩნდა თიხის ჭურჭელი. ნეოლითის დასასრულიდან და ენეოლითის ეპოქაში (სპილენძ-ქვის ხანა) მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეურნეობის წამყვან დარგებად იქცა. ენეოლითის ეპოქა საქართველოში ძვ.წ. VI-IV ათასწლეულია, ხოლო ბრინჯაოს ხანა – III-II ათასწლეული. ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა პერიოდის დასასრულს ტერიტორიაზე დაიწყო სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება, რაც განსაკუთრებით III ათასწლეულიდან განვითარდა. ლითონის საგნების დასამზადებლად იყენებდნენ ადგილობრივ დარიშხნიან სპილენძს. სწორედ ამ პერიოდში დაედო სათავე კავკასიურ მეტალურგიას, რითაც ასე განთქმული იყო საქართველო.

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისიდან საქართველოში ფეხს იკიდებს რკინის წარმოება. იგი ფართოდ გავრცელდა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, რითაც დასრულდა ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბების პროცესი. განსაკუთრებით განვითარდა მეთუნეობა, მჭედლობა, რთვა და ქსოვა, საიუველირო წარმოება. დამუშავების მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები, საკმაოდ მაღალ დონეზე ავიდა ბრინჯაოს დამუშავების ტექნიკა, განვითარდა რკინისა და სამთამადნო მეტალურგია. ამას მოჰყვა ვაჭრობის განვითარებაც. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის კოლხეთის ლითონის, განსაკუთრებით, ოქრომჭედლობის მრავალფეროვანი ნაწარმი და სელის ქსოვილები განთქმული იყო მთელ მსოფლიოში.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეების კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოყალიბებულმა ახალშენებმა – ტრაპეზუნდმა, კერასუნტმა, ფასისმა (ფოთი), დიოსკურიამ (სოხუმი), პიტიუნტმა (ბიჭვინთა) და ა.შ. დიდად შეუწყვეს ხელი უცხოეთთან ვაჭრობის გაცხოველებას. ლითონისა და სელის ნაწარმის გარდა, გაჰქონდათ ხე-ტყე, გაჰყავდათ ტყვეები, შემოჰქონდათ უმთავრესად ფუფუნების საგნები, რომლებსაც საზოგადოების ზედა ფენა მოიხმარდა. იმდროინდელ კოლხეთში აღებ-მიცემობის განვითარებაზე მეტყველებს ქართული ვერცხლის მონეტა – „კოლხური თეთრი“, რომელიც ძვ.წ. VI-III საუკუნეებით თარიღდება და მსოფლიოს უძველესი მონეტების რიცხვს განეკუთვნება.

ეკონომიკის განვითარებამ, რასაც, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებამ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის შექმნა წინაპირობები საქართველოს ტერიტორიაზე პირველი კლასობრივი საზოგადოების – მონათმფლობელური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში ისტორიულ საქართველოში დიაოხისა და კოლხას გაერთიანებების ჩამოყალიბებამ, ხოლო ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს ქართლის სამეფოს აღმოცენებამ გააძლიერა სავაჭრო ურთიერთობა გარე სამყაროსთან. ქართლის სამეფო (იბერია), ისევე როგორც კოლხეთის სამეფო, ითვლება ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოდ, პირველყოფილ-თემური საზოგადოების ძლიერი გადმონაშთებით.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული როლი ელინურმა ცივილიზაციამაც შეასრულა. აღნიშნულის დამადასტურებელი მრავალი საგნებია მოპოვებული არქეო-

ლოგების მიერ სხვადასხვა ადგილას, მათ შორის მცხეთასა და ვანში.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე მიუთითებს ის მრავალი, უძველესი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა, რომლებითაც იგი გარე სამყაროს უკავშირდებოდა. ძვ. წ. IV-III საუკუნეებში არსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიაზე გადიოდა. ეს გზა ინდოეთიდან იწყებოდა: მდინარე ოქსოსით (ამუდარია) დიდძალი ინდური საქონელი შემოჰქონდათ ჰირკანიის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან მდინარე მტკვრით, სურამის უღელტეხილითა და რიონ-ყვირილის მაგისტრალით შავ ზღვამდე (ევქსინის პონტო) გადაჰქონდათ. გარდა ამისა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თუ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი კიდევ მრავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ერთი დიდი სავაჭრო გზა ბარდაგ-შანქორ-ხუნანის გავლით მცხეთა-თბილისისაკენ მიემართებოდა, მეორე არანაკლები მნიშვნელობის გზა სამხრეთის ძველ ქალაქ არტაქშატსა და ჯავახ-სამცხის მიწა-წყალზე გადიოდა, ზეკარს გადასერავდა და ფასისზე გავლით დიოსკურიისაკენ, ხოლო, იქიდან მეოტიის (აზოვის) ზღვისა და ჩრდილოეთის ველებისაკენ მიემართებოდა. ეს გზა უძველესი იყო და ეკონომიკურის გარდა დიდი სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ გზის არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული „სტრაბონის გეოგრაფიაში“. იგი გადმოგვცემს, რომ აორსებს, რომლებიც მდინარე ტანაისის (დონი) მახლობლად სახლობდნენ და სირაკებს, რომლებიც კავკასიონის მთებიდან გამომდინარე აქარდენის* ახლოს ბინადრობდნენ, დიდძალი ინდური და ბაბილონური საქონელი შემოჰქონდათ აქლემებით არტაშატზე გა-

მავალი მეოტია-კოლხეთის გზით, რომელზეც მთავარი ქალაქები – ფასისი და დიოსკურია მდებარეობდა.¹

აღსანიშნავია ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, ანუ აბრეშუმის დიდი გზა, რომელსაც დასაბამი მიეცა ძვ. წ. II საუკუნეში. ეს გზა ჩინეთს დასავლეთთან აკავშირებდა. მისი ერთი განშტოება კასპიის ზღვის გავლით უკავშირდებოდა კავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფასისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა. ამრიგად, საქართველოს სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო გზები ოდითგანვე საერთაშორისო სავაჭრო გზათა შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც ადასტურებს რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი მსოფლიო სავაჭრო რუკაც. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქონლის უბრალო გამტარ აუზს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი თვითონაც იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში და როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოებთან გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა. ქართული ოქროს მონეტა – „კოლხური სტატერი“ იჭრებოდა ძვ. წ. I საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება მისი ტრადიციული დარგების – მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებით, რასაც თან ახლავს საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება.

IV საუკუნიდან, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად, ეკონომიკურ ურთიერთობებში მომხდარმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო მონათმფლობელობის წიაღში ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვას. ევროპისა და აზიის მრავალ

¹ პაპავა ვ., ჩიქავა ლ. და სხვ. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“. თბ. 2012. გვ. 9.

ქვეყანაში ფეოდალურმა ეკონომიკურმა სისტემამ, მონათმფლობელობის გვერდის ავლით, პირველყოფილი საზოგადოება შეცვალა, საქართველოში კი იგი, მონათმფლობელური ეკონომიკური სისტემის განვითარების საფუძველზე, VI საუკუნეში ჩამოყალიბდა. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართლის სამეფომ დიდ სამეურნეო აღმავლობას მიაღწია. გაუმჯობესდა სამიწათმოქმედო ტექნიკა, დაიწყო რკინის გუთნისა და სარწყავი ტექნიკის გამოყენება, ფართოდ გავრცელდა ვაზის კულტურა, განვითარდა ვაჭრობა.¹

ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან შენარჩუნებული ჰქონდა შიგა კონფლიქტებისა თუ უცხოელ მომხდურთა ბატონობის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დამპყრობთა, განსაკუთრებით კი არაბთა შემოსევებით, საქართველო ეკონომიკურ და პოლიტიკურ შევიწროებას განიცდიდა, ქვეყანაში სამეურნეო ცხოვრება სწრაფად ვითარდებოდა. მათმა შემოსევებმა ვერ შეწყვიტა ფეოდალური ურთიერთობების განვითარება საქართველოში. ამის დადასტურება ისიც არის, რომ საქართველოში ფართოდ დაიწყო ფულის მოჭრა. VI-VII საუკუნეებში იჭრება ქართულ-სასანური დრაქმები (სასანური დრაქმის ტიპის ქართული მონეტა), VIII-X საუკუნეებში – თბილურ-არაბული დირჰემები, X-XII საუკუნეებში – ვერცხლისქართული მონეტები ბიზანტიური ტიპულებით, ქართულ-ბიზანტიური მონეტები და ა.შ. XI საუკუნეში საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი სამეფოს უფლებების შავიზღვიდან კასპიის ზღვამდე გავრცელების შე-

¹ ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ტ. II, თბილისი, 1934, გვ. 61

მდეგ, კიდევ უფრო გაღრმავდა მისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.¹

ფეოდალურმა საქართველომ ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს XII საუკუნეში მიაღწია. ამ პერიოდში შეიქმნა ტირიფონის, რუის-ურბნისის, მუხრანის, ალაზნის, სამგორის, შიდა კახეთის სარწყავი არხები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მევენახეობის, მებალეობისა და მებამბეობის განვითარებაში. სწრაფად განვითარდა ხელოსნობა და გაღრმავდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. მეთუნეების, კალატოზების, მემადნეების (ოქროს, ვერცხლის, რკინის, სპილენძის დამამზადებლები), მჭედლების, ფეიქრების, ოქრომქანდაკელების, მეაბჯრეების, მეხმლეების, მემშვილდეების, ეტრატის (საწერი ტყავი) დამამზადებლების, ფერწერის ოსტატების, ოქრონემსეულის მოხელსაქმეთა, ცხენის იარაღ-საჭურვლის მჭედელ-მქსოველთა და ა.შ. ნაწარმი სულ უფრო ფართოდ ექცეოდა სავაჭრო ბრუნვაში, გადიოდა საზღვარგარეთ.

ამ პერიოდში შექმნილი მატერიალური დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილი საქონლურ ხასიათს ატარებდა. იმხანად, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „არ მოიპოვებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც კი არ გაყიდულიყოს.“²

ფეოდალური კლასის შინაგანი ორგანიზაცია მწყობრ იერარქიულ სტრუქტურაზე იყო დამყარებული. სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების - პატრონყმობის - საფუძველი მიწის ფეოდალური საკუთრება იყო.

¹ პაპავა ვ., ჩიქავა ლ. და სხვ. საქართველოს ეკონომიკა. გამოძიებული „სიანლე“. თბ., 2012, გვ. 10.

² ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი I. ტფ. „ქართული წიგნი“, 1930, გვ. 31.

იმ დროის ქარველი გლეხობის ძირითად მასას ფეოდალის მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხები შეადგენდნენ. გლეხობა მკაცრ ფეოდალურ ბატონყმურ ექსპლოატაციას განიცდიდა. იგი თავისი ბატონის სასარგებლოდ მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს იხდიდა (ღალა, შრომითი ბეგარა, ფულადი რენტა). მაგრამ გლეხობის ნაწილი XI ს. მანძილზე და XII ს. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირად თავისუფლებას და საკუთარ მიწას. ესენი იყვნენ მღაბიურნი, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მოლაშქრეთა ნაწილს შეადგენდნენ.

ფეოდალურ საქართველოში ცალკე წოდებრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ ვაჭრები. ისინი ორ ძირითად კატეგორიად - დიდვაჭრებად და წვრილ ვაჭრებად იყოფოდნენ. საქართველოს მრავალრიცხოვან ქალაქებში მრავლად იყვნენ ხელოსნებიც.

ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხთა და ხელოსანთა შრომა იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი.¹

საქართველოს „ოქროს ხანაში“, როგორც ეტყობა, ეკონომიკურ სიძლიერეს მნიშვნელოვნად განაპირობებდა საგადასახადო შეღავათები. აღნიშნული პირდაპირ არ მტკიცდება, “თუმცა XI-XII სს. საქართველოში სოფლის მეურნეობის მაღალ დონეს განაპირობებდა ის დიდი სარწყავი არხები და წყალსადენები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, კახეთსა და გაღმა მხარეში იქნა გაყვანილი. ამჟამად გარკვეულია, რომ ხსენებული

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები: 8 ტომად. ტ. 3 / საქართველო XI-XV საუკუნეებში / ტომის რედ.: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა. მეცნიერება, 1979. გვ. 2-3.

ნაგებობანი მეტად რთულსა და ნაირგვარ ბუნებრივ პირობებში დიდი ხელოვნებითა და ოსტატობითაა აგებული.

მშენებლობათა დიდი მასშტაბი და მაღალი დონე იმის აშკარა დადასტურებაა, რომ ჰიდროტექნიკა, სამშენებლო ხელოვნების ეს მეტად რთული დარგი, საქართველოში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დიდად იყო განვითარებული.

მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს სხალტა-შიომღვიმის 1202 წ. აგებული წყალსადენი. მის აგებას სამი წელი დასჭირვებია. ამასთან, წყალსადენის აგების შემდეგ სხალტას წყალი დაკლებია და ამის გამო მთელი რიგი მიწისქვეშა წყალშესაკრებელი (საკოპტაჟო) სამუშაოების ჩატარების შედეგად იმავე წყაროს დებეტი გაუდიდებიათ. წყალსადენის აგების შემდეგ ანტონ ჭყონდიდელს მის ექსპლოატაციაზე უზრუნია. მისი თხოვნით, თამარ მეფეს ორი კომლი გლეხი წყალსადენისათვის მიუჩენია მეთვალყურედ და მკაზმავად. ეს გლეხები სხვა ყოველგვარი ბეგარისაგან გაუთავისუფლებიათ იმ პირობით, რომ მათ თავიანთი შვილები ქუქანკებად (თანამედროვე ჰიდროტექნიკოსები) გაეზარდათ.¹

გლეხების შეღავათიანი გადასახადების შესახებ მიუთითებს არაპირდაპირ შემდეგი ისტორიული წყაროც: „XIII ს. შუა წლებში ქართლის მსხვილმა ფეოდალმა გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს შესწირა სოფ. ციხელიდს მცხოვრები გლეხი ქავთარელი მეწისქვილედ. ეს გლეხი წინასწარ გაათავისუფლეს ყოველგვარი საფეოდალო და საეკლესიო გადასახადებისაგან და მხოლოდ ერთადერთი მოვალეობა - წისქვილის კაზმვა დააკისრეს. წისქვილიც სურამელმა ააშენა მღვიმისათვის და ვალად იღო, თუკი წისქვილს მომა-

¹ იქვე. გვ. 63-64.

ვალში რამე დაუზიანდებოდა, სურამელთა სახლის სახსრებით შეეკეთებინა იგი „თუ წისქვილი დაშავდენ ... თქვენზე (ე.ი. სურამელის სახლით) შეიკაზმოდე“. მეწისქვილე, რაკი ის ყველა გადასახადისაგან თავისუფალია, მთელი გულისყურით წისქვილის მოვლა-პატრონობას და მის კეთილსინდისიერ მომსახურებას უნდება. მონასტრის წინამძღვარს, როგორც საკუთარ პატრონს, წელიწადში ერთხელ ძღვენს მიართმევს - **სამ სქელ პურს და ერთ კორჩხალა ღვინოს**. ამით ამოიწურება მეწისქვილის ვალდებულება ფეოდალის წინაშე. ფეოდალი, ამ შემთხვევაში მონასტერი, მეწისქვილეს უსაზღვრავს სარჩოს: წისქვილში დაფქვილი მარცვლეულის ხრილის (წისქვილის მტკერი) ნახევარი მეწისქვილეს ეკუთვნის, ნახევარი კი - მონასტერს.

სურამელმა გაათავისუფლა წისქვილის მოფქვავენი მინდის (საფქვავის ნაწილი, რასაც მოფქვავე უტოვებს მეწისქვილეს დაფქვის საფასურად) გადახდისაგან და მეწისქვილეს დაუტოვა უფლება ყოველი მოფქვავისაგან აეღო ე.წ. „საპატიო“ - მეწისქვილის პატივსაცემად განკუთვნილი ოდენობა ფქვილისა, თანაც განსაზღვრულია ამ „საპატიოს“ ოდენობაც: „მეწისქვილე ეზომსა საპატიოსა აიღებდეს, რომე ერთსა კაცსა ეყოფოდეს“. ეს წისქვილი შიომღვიმის კუთვნილ სოფელს ციხედიდს ემსახურება.

სოფლის პატრონი, ამ შემთხვევაში მონასტერი, ცდილობს არ გაუჭირდეთ ციხედიდელ გლეხებს წისქვილით სარგებლობა, ამიტომ ის ავალებს მეწისქვილეს **გაითვალისწინოს ციხედიდელი მოფქვავის ეკონომიკური შესაძლებლობა და გაჭირვებულ კაცს აღარც „საპატიო“ გამოართვას**. „ცოტაისა მქონებელსა ნუცა საპატიოსა აუღებენ ესე თქუენნი მეწისქვილენი“.

საერთო საქმედ ითვლება „წყლის კაზმვა“. გლეხი, რომელიც „წყლის კაზმვით“, ე.ი. წყლის არხისა და რუს მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული, თავისუფლდებოდა სხვა ყოველგვარი სახელმწიფო და საფეოდალო გადასახადებისაგან.¹

მონღოლების შემოსვლას საქართველოში თან მოჰყვა სახელმწიფოებრივი დაქვეითება და ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც გადასახადების გაზრდითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული. მონღოლური გადასახადი შედარებით ლიბერალური იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული თავადაზნაურობა არ ურიგდებოდა შემოსავლების შემცირებას, მონღოლური გადასახადი მთლიანად დააწვა გლეხობას. “ისტორიულმა ძნელბედობამ ყველაზე მეტად ყმა გლეხობა დააზარალა. მას თავს დაატყდა ექსპლოატაციის გამძლიერება, შიმშილი, რიცხობრივი შემცირება, მისი უფლებრივი მდგომარეობა. ბექა-აღბუღას სამართალი ცდილობს აღადგინოს და განამტკიცოს დარღვეული ბატონყმური რიგი - ბატონსა და გლეხს შორის დამოკიდებულების ნორმები, როგორც აუცილებელი პირობა, რათა გლეხმა შეძლოს დაკისრებული სოციალური ფუნქციის შესრულება.”²

საქართველოს ისტორიის ნარკვევებში მოყვანილია ასეთი ფაქტიც: „XIII ს. შუა წლებში სოფელ ხოვლეში დაახლოებით 42 კომლი გლეხი ცხოვრობდა. ეს რიცხვი შემდეგნაირად არის მიღებული: კახა თორელმა სოფელი ხოვლე, იქ მცხოვრები გლეხებითურთ, რკონის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა და ხოვლელ გლეხებს სხვა ვალდებულებებთან ერთად დააკისრა ეკლესიისათვის 340 თეთრის გამოღება. ეს 340 თეთრი კომლებზე უნდა დანაწილებულიყო და თითოე-

¹ იგივე, გვ. 60

² იგივე, გვ. 15-16.

ულ კომლს 8 თეთრი გამოელო. „სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდნენ ეკუტერს მისაღებელსა: თვითოი მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს“¹

საქართველოს ეკონომიკა მონღოლების წასვლის შემდეგაც ვერ გაიმართა წელში, რასაც უმეტესწილად გადასახადების მაღალი სიდიდე განაპირობებდა. გადასახადები მრავლად იყო იმპერიალისტური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც.

დღეისათვის ის ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან გადასახადების დაბალი დონით აღწევენ დიდ ეკონომიკურ წარმატებებს. ასე მოხდა ბოლო ათწლეულობის განმავლობაში აღმოსავლეთ აზიის ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა სინგაპური, მაღაიზია, ახალი ზელანდია, ფილიპინები და სხვა. ზოგჯერ სახელმწიფოები მიმართავენ ე.წ „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ შექმნას, რაც დიდი სტიმულია ინვესტიციების მოზიდვისა და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისათვის (მაგ., ღუბაი).

საქართველო თავისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიუხედავად არ ამცირებს საგადასახადო განაკვეთებს, უფრო - პირიქით. ჩვენი მოსახლეობა იხდის საშემოსავლო გადასახადს 20 %-ს, დამატებითი ღირებულების გადასახადს – 18%-ს, აქციზს სხვადასხვა საქონელზე, ისტორიული გამოცდილების და არსებული რეალობის გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად საჭიროა საგადასახადო ტვირთის შემცირება.

¹ იგივე. გვ. 16.

დამოწმებანი:

1. მსოფლიო ბანკის მონაცემები მშპ-ს შესახებ. საიტი:
[https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)).
გადამოწმებულია 20.10.2016;
2. მსოფლიო ბანკის მონაცემები ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს შესახებ. საიტი:
[https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)_per_capita](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita). გადამოწმებულია 20.10.2016;
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2015. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2016;
4. პაპავა ვ., ჩიქავა ლ. და სხვ. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა „სიანლე“. თბ., 2012;
5. ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ტ. II, თბილისი, 1934;
6. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი I. ტფ. „ქართული წიგნი“, 1930.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები: 8 ტომად. ტ. 3 / საქართველო XI-XV საუკუნეებში / ტომის რედ.: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა. მეცნიერება, 1979.
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. საიტი:
http://www.mof.ge/images/File/biujetiskanon2017/III_wardgena/TAVI_II.pdf. გადამოწმებულია 15.12.2016.

Nika Zurikashvili, Aleksandre Ninua
Georgian Technical University

**GEORGIA ECONOMIC AND POLITICAL SITUATION
AND TAXES IN HISTORICAL CONTEXT
RESUME**

Georgia during its long history has experienced many economic and political successes and failures. In the historical sources, there are scarce information on economic situation and especially the value of taxes, mechanism of tax collection. Despite this based on currently existing historical documents and charters, still is possible to create a more or less accurate overall picture of the country's socio-economic and political strength and existing at that period tax policy.

Currently Georgia belongs to less economically developed needy countries; according high is share of having the low-income population. In the country in high indicator of unemployment. The state cannot or will not complete using its favorable geopolitical location, which gives the possibility to perform the function of a transit bridge between East and West, according to the development of such an important sector of the economy, as transport. Will be establishment the regional logistics centers.

In the Middle Ages, while Georgia has reached its biggest successes in its history, was revealed the tax liberalization, and the after the Mongols invasion for the main mass of the population - peasantry was increased taxes, had collapsed the economic activity, followed by a political decline. This situation lasted during the Persians and Ottomans, as well as during the Russian Empire periods.

Moreover, even currently in Georgia, the tax burden is significant; it does not contribute to the attraction of investment

and economic development. Experience shows that only those countries have reached a sharp economic success that was able to create the right conditions for a liberal economy. Accordingly, the economic policy of Georgia will be directed in this direction.

„მუსლიმანი“ ერეკლე I და მართლმადიდებლობა

ერეკლე I, ქართლის მეფე (1688-1703), თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ბატონიშვილი დავითის ვაჟი.

რუსეთის კარმა 1649 წელს თეიმურაზ I-სათვის დახმარების გაწევის სანაცვლოდ მოითხოვა ერეკლეს მოსკოვში გაგზავნა „ალსაზრდელად“. თეიმურაზი, სხვადასხვა მიზეზით, ცდილობდა არ შეესრულებინა ხელმწიფის მოთხოვნა. როდესაც ცნობილი გახდა ბატონიშვილი ერეკლეს მოსალოდნელი გაგზავნის შესახებ მოსკოვში, ამას მოჰყვა ერეკლე მეფის ისედაც გაჭირვებული მდგომარეობის გაუარესება. გაღიზიანებულმა ყიზილბაშებმა გაახშირეს კახეთზე თავდასხმები. ქართლის მეფე როსტომ მეფესთან და შაჰთან დაკავშირებულმა ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა კახეთ-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ხელის შესაშლელად თვითონაც მოითხოვა ერეკლე მძევლად. ბატონიშვილის მოსკოვში გაგზავნის გასაჭიანურებლად თეიმურაზ მეფე თავის ცუდ ფინანსურ და პოლიტიკურად რთულ მდგომარეობას იმიზეზებდა. ის მოსკოვის ხელმწიფე მიხეილ თედორეს ძეს სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილებში სწორედ ამ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას.

1652 წლის აგვისტოში ყმაწვილი ერეკლე და მისი დედა ელენე თეიმურაზმა მოსკოვში გაგზავნა. ერეკლე, ფათერა-

კიანი მგზავრობის შემდეგ, რუსეთის სატახტოში ჩავიდა 1653 წლის 27 დეკემბერს¹.

თეიმურაზ მეფეს, რომელსაც ერეკლე/ნიკოლოზის მეტი მემკვიდრე აღარ ეგულებოდა, რუსეთის ხელმწიფესთან მის გაგზავნასთან დაკავშირებული იმედი არ გაუშართლდა და ცდილობდა რაიმე საშუალებით იგი საქართველოში დაებრუნებინა. თეიმურაზი 1659 წ. 18 სექტემბრის სიგელით მეფე

¹ მოსკოვში ერეკლეს მიღებისა და მისი იქ ცხოვრების შესახებ იხ. ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 107-166. იხ. აგრეთვე: ალექსი იველევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოსი ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ., 1969, გვ. 177, 178; *Полиевктов М., К вопросу об авторстве статейного списка „С“*. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, №1, 1940, გვ. 69, 73-74; *Армяно-русские отношения в XVII веке. Сборник документов под ред. проф. В. А. Парсамяна, Ереван, 1953, с. 21*; ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955, გვ. 255, 265; *Месхия Ш. А., Цинцадзе Я. З., Из истории русско-грузинских отношений X-XVIII вв., Тб., 1958, с. 75, 79*; ბერძენიშვილი ნ., XVII ს. საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 151; პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). „საისტორიო მოამბე“, 19-20, თბ., 1965, გვ. 445. 446. 459-461; *Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968, с. 178,192*; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ., 1970, გვ. 33-35, 39-41. 51-54. 75-84, 136, 138; ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბაზტრიონამდე, თბ., 1978, გვ. 188, 191; ტივაძე თ., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს-ის მეორე ნახევარში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 45-46, თბ., 1982, გვ. 21, №14.

ალექსი მიხეილის ძეს მოსკოვში აცნობებდა, რომ საქართველოში იმყოფებოდა იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც თხოვა ეშუამდგომლა რუსეთის ხელმწიფის წინაშე, რათა საქართველოში დაებრუნებინა თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე. პატრიარქმა მიიღო მისი თხოვნა და შავი ზღვით გაემგზავრა რუსეთს. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ პატრიარქს გააყოლა თავისი ელჩი, რომელსაც იგივე თხოვნა უნდა მოესხნებინა რუსთ ხელმწიფისათვის¹.

საინტერესოა პაისიოსმა, არცთუ ჯანმრთელმა ადამიანმა, რატომ იტვირთა ასეთი რთული (როგორც პოლიტიკური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) დავალების შესრულება. საფიქრებელია, პაისიოსი დაინტერესდა ორი მოსაზრებით. ერეკლე/ნიკოლოზის მოსკოვიდან წამოყვანით ქართლის სამეფო ტახტზე მართლმადიდებელი ქრისტიანის გამეფების შანსი ჩნდებოდა, რასაც იერუსალიმის საპატრიარქოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პატრიარქს, უფლისწულის გამო, კიდევ ერთხელ ეძლეოდა საბაბი მოსკოვში წასვლისა. პატრიარქი ერთხელ უკვე, 50-იანი წლების დასაწყისში, იყო რუსეთის სატახტოში, რუსეთის მეფეზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა ის დახმარებოდა ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით უკრაინაში პოლონეთის წინააღმდეგ დაწყებულ გამათავისუფლებელ ბრძოლას. ვითარება საგანგაშო იყო რუსეთისათვის, რადგან ბოგდან ხმელნიცკი ყირიმის ხანს დაუკავშირდა, რასაც შეიძლებოდა სახანოს გაძლიერება გამოეწვია. პატრიარქის გეგმაში კი სახანოს განადგურება და ამის შედეგად ოსმალეთის დასუსტება შედიოდა. მაგრამ მაშინ პაისიოსს უარი უთხრეს აღნიშნული გეგმის განხორციელებაზე იმ მოტი-

¹ საითიძე გ., მასალები საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII საუკუნის 50-იანი წლები). „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 5, თბ., 1998, გვ. 138-139.

ვით, რომ რუსეთს პოლონეთთან დადებული ჰქონდა „მუდმივი ზავი“¹.

1662 წელს ერეკლე დაბრუნდა საქართველოში და სცადა კახეთის ტახტის დაუფლება. მას თუშები და კახელები ეხმარებოდნენ. ვახტანგ V შაჰნავაზმა ერეკლეს წინააღმდეგ გაგზავნა ქართლის ჯარი. ერეკლემ და მისმა დედა ელენემ თავი შეაფარეს თორღვას ციხეს. შაჰნავაზმა მას ალყა შემოარტყა. ელენეს თხოვნით შაჰნავაზმა ერეკლე თუშეთში გაუშვა, კახეთი კი თვითონ დაიპყრო. ამის შემდეგ ქართლის მეფემ შაჰ აბას II-სთან შეთანხმებით თავისი უფროსი ვაჟი არჩილი დასვა კახეთის ტახტზე. ერეკლე ამის შემდეგაც ცდილობდა კახეთში გამეფებას, მაგრამ წარუმატებლად. იმავე წელს ის იძულებული გახდა მოსკოვში დაბრუნებულიყო, სადაც კიდევ 10 წელი გაატარა.

1674 წელს ერეკლე დაბრუნდა კახეთში, სადაც მას კვლავ მხარი დაუჭირეს კახელებმა და თუშებმა. ამჯერად შაჰმა სულეიმან სეფიმ (1666-1694), გაითვალისწინა კარისკაცების რჩევა და ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა. შაჰმა ერეკლეს კახეთის ტახტის სანაცვლოდ გამოუსლიმანება მოთხოვა. ერეკლე თავს იკავებდა. ერეკლე I, ვიდრე ქრისტიანად დარჩენის მინიმალური შანსი არსებობდა, მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას. იგი, მისივე სიტყვებით, წარმოგვიდგება, როგორც უღრეკი პატრიოტი და ქრისტიანობის დამცველი: „... მე იმისათვის კი არ წავედი მის უდიდებულესობასთან სპარსეთის შაჰთან, რომ ძალაუფლების მიღებისათვის სარწმუნოება გამომეცვალა, არამედ ღმერთს ვევედრებოდი და მსურდა, ჩემი სამფლობელო მოეცა იმ ხალხის ჯიბრზე, რომლებიც სამეფოს მისაღებად შაჰის უდიდებულესობას-

¹ Каптерев Н. Ф., Характер отношении России к Православному Востоку в XVI и XVII столетиях, с. 363-365.

თან თვითონ მიდიოდნენ თავისი რჯულის შესაცვლელად. თუ ღმერთი არ შემეწევა ჩემი მიწა-წყლის მიღებაში, ან ქრისტიანული სარწმუნოების გულისათვის შაჰის უდიდებულესობისაგან რაიმე ძალდატანება მექნება, მე მზადა ვარ, ქრისტეს გულისათვის მოვკვდე, რათა ასეთი სულმოკლენი ამის დანახვით დაისაჯონ. თუ ღმერთი არ შემეწევა, ჩემი სიკვდილით მაინც გზას ვუჩვენებ მათ, ჩემს გვარს და ქრისტიანულ სარწმუნოებას კი შესაგინებლად არ მივცემ...“¹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფრანგი მოგზაურის ჟოზეფ პიტონ ტურნეფორის ნათქვამი ერეკლე I-ზე შეიძლება გავიგოთ, როგორც ქართველი მეფის მიერ კათოლიკობისა და ისლამისადმი პატივისცემის გამოხატვა და არა რომელიმე მათგანის უპირატესობის აღიარება მართლმადიდებლობის მიმართ. აი რას წერს ტურნეფორი: „მეფე (ერეკლე I - ე.მ.) ორივე რელიგიას აღიარებსო: დადის მეჩეთშიც, ზოლო როცა კაპუჩინებთან სალოცავად მიდის, მისი უწმინდესობის პაპის სადღეგრძელოს სვამსო“². რა თქმა უნდა, ერეკლე I-ის ამგვარი მოქმედება მისი უპრინციპობის მაჩვენებელი კი არ იყო, არამედ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიების შედეგი. ერეკლე I და მისი დროის ფეოდალური ელიტის წარმომადგენლები რომ ისლამს იღებდნენ პრაგმატული მოსაზრებით (იგივე აზრი უნდა გავავრცელოთ XVII-XVIII საუკუნეთა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა „გამუსლიმანებულ“ მეფეზე), კარგად ჩანს იმავე ტურნეფორის სხვა ცნობიდან. ამ ფრანგი მეცნიერ მოგზაურის მიხედვით, ისლამის მოქმედების

¹ ციტირებულია: ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობა XVII ს. მეორე ნახევარში, თბ., 1977, 168-169.

² ტურნეფორი ჟ. პ. დე, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1988, 61.

არიალი იმდენად იყო შეკვეცილი თბილისში, ქართლის სამეფოს დედაქალაქში, სადაც ყველაზე მეტი მუსლიმანები იყვნენ, რომ თბილისის ციხეში არსებული მინარეთიდან მუეზინი ვერასოდეს ვერ ბედავდა მოეწოდებინა მორწმუნეებისათვის სალოცავად. თუ ის ამას გაბედავდა, ქრისტიანი მოსახლეობა ქვებს დაუშენდა¹.

ვიდრე ერეკლე მტკიცედ იდგა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე, შაჰმა სულეიმანმა მას შესთავაზა: „მოგცემ კახეთს, თბილისს, მთელს საქართველოს და ყოველივეს თერგიდან ვიდრე არაქსამდე, – ეს სპარსეთის ერთი მეხუთედია. მე განიჭებ ისპაანის დარაგის² წოდებას და შენც იმდენსავე ჯამაგირს მოგცემ, რამდენსაც შაჰნავაზ-ხანს ვაძლევედი. მხოლოდ სთქვი: ერთია ალაჰი და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველი. სთქვი, რომ ღებულობ ჩვეენს რჯულს, რათა აღსრულდეს სიტყვა ჩემი, რათა არ მკიცხავდნენ გარემო სახელმწიფოთა მეფენი იმის გამო, რომ მიწა, რომელსაც ფლობენ მუსულმანები, მე ქრისტიანს ვუბოძე. ხოლო, როცა საქართველოში დაბრუნდები, იქ ირწმუნე ის, რაც გინდოდეს“³. მაგრამ ერეკლე I-მა უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე. ამის შემდეგ იგი ორი წლის განმავლობაში საპრობილეში გამოკეტეს, მან ველარ გაუძლო ცდუნებასა და ზეწოლას და საბოლოოდ აღიარა ისლამი, თუმცა გულით ის, როგორც მოღწეული ცნობებიდან ჩანს, ბოლომდე მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა.

¹ იქვე.

² დარაგა – უმაღლესი ადმინისტრაციული პირი სპარსეთში, ოლქის მმართველი, გუბერნატორი.

³ Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770, Санкт-Петербург, 1861, с. 101.

რუსი დიპლომატი ივანე კაზარინოვი, როდესაც სპარსეთიდან მოსკოვში დაბრუნდა, საელჩო პრიკაზში განაცხადა, „რომ ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე (ერეკლე I – ე.მ.) ქრისტიანული სარწმუნოებიდან განდგომის შემდეგ სულ ცხარე ცრემლითა ტირის, ჩუმად წმინდა ხატებს ინახავს და მათზე ლოცულობს, წირვასაც ისმენს გამუდმებით, მას ფარულად ბელორუსი-ლიტველი მღვდელი გაბრიელი ემსახურება... შაჰის უდიდებულესობას აუწყეს, რომ იგი უფლისწული, ჩუმად ქრისტიანულ წესს მისდევს და ამისათვის შაჰი მასზე ჯავრს იყრის ხოლმე...“¹.

საინტერესოა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ის ეპისტოლე ერეკლე I-სადმი. როგორც ჩანს, მეფეს პატრიარქისათვის მიუწერია ქრისტიანობიდან თავისი განდგომის, ამის გამო სულიერი განცდისა და ამ ნაბიჯის გადადგმის არსებითი მიზეზების შესახებ. ერეკლეს პატრიარქისათვის ისიც უცნობებია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მართლმადიდებელ ქრისტიანად რჩებოდა. როგორც სხვა ცნობებიდან ირკვევა, ერეკლე სიმართლეს სწერდა იერუსალიმის პატრიარქს. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „და ესე ერეკლე იყო ისპაანს იღ წელსა, და არა უარჰყო ქრისტე, რამეთუ იყო აღზრდილი რუსეთს, რომელი წინაცა ვაკსენეთ. ამას შეუკრბნენ მის თანა მყოფნი კახნი და უმეტეს მოძღუარი მისი, მონაზონი ნაცვლიშვილი, და ესენი იტჯრთვიდნენ ცოდვასა მას, რათა დაუტეოს ქრისტე. ამისთვის გამაჰმადიანდა ცოლშვილითა სრულიად და უწოდეს ნაზარ-ალიხან და წარმოავლინეს ნიჭითა ქართლს მეფედ“².

¹ პაიჭაძე გ., რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII საუკუნის მეორე ნახევარში. „საისტორიო მოამბე“, ტ. 27-28, გვ. 542-543.

² ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 463.

ერეკლე I-ის მოჩვენებითი გამუსლიმანება, როგორც ჩანს, საკმაოდ ცნობილი იყო და ეს იცოდა საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედულმა, ზემოხსენებულმა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმაც. მან ისიც კარგად იცოდა, რამ აიძულა ქართველი მეფე შეეცვალა სარწმუნოება და გარკვეულ რჩევასაც არ იშურებდა, რათა მას რჯულის ფორმალურად შეცვლის მიუხედავად კვლავ ეზრუნა ქრისტიანობისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. მას სჯერა, რომ ერეკლემ გასაკიცხი ნაბიჯი გადადგა მხოლოდ ქვეყნის გადარჩენის სურვილით და იერუსალიმის პატრიარქს, როგორც ჩანს, სჯერა მისი გულწრფელობის. ამიტომაც, რომ დოსითეოსი ერეკლეს არიგებს ისე, როგორც პოლიტიკოსი, დიპლომატი და არა როგორც სულიერი მოძღვარი: „გარემოებამ გაიძულა შეგეცვალა მამისეული და უწმინდესი რწმენა. მაგრამ შენ ხომ ეს ცუდი განზრახვით არ გააკეთე, არამედ გარკვეული მიზნით. მიაღწიე განზრახულ ჩაფიქრებული მიზანს, რისთვისაც შეიცვალე უწმინდესი რწმენა. მაგრამ ძალზე მტკიცედ გახსოვდეს ეს მიზანი და განუხრელად ესწრაფე მისკენ. შენი მიზანი იყო, რომ მოჩვენებით ყოფილიყავი სხვა რჯულისა, გულში კი მართლმადიდებელი ქრისტიანი, გარეგნული სახით მრავალი სიკეთისათვის მორიგებულებიყავი ურწმუნოებთან, შინაგანად კი ემსახურებოდე უფლის ეკლესიას, არ გაკლდეს მისი დიდება. როგორც მეფე დავითი გარბოდა საულისაგან და სურდა დასხლტომოდა გათების მეფეს¹. როკავდა იგი დავით ხელში შერეკილივით, რათა მოეტყუებინა ბიწიერი მეფე და არ დაღუპულიყო². მაგრამ სულით წმინდა და უმწიკვლო იყო, ერთი და იგივე დავითი. როგორც ნაყამანი სირი-

¹ საულისაგან დევნილმა დავითმა თავი შეაფარა გათების მეფე აქიშთან (1 მეფ., 21: 10).

² 1 მეფ., 21: 14.

ელი თხოვდა ელისეს ისრაელის მიწის გოჯის ოდენა ნაწილს¹ და მოჩვენებით ატყუებდა ცოდვილ მეფეს, ასევე შენო უგანათლებულესობავ, დაიცავი ის მიზანი, რომელიც შენ წინასწარ დაისახე. დაე, გარეგნულად იყო უცხოტომელი, მაგრამ გულში კი იყავ ღვთისმოსავი, არ დაგავიწყდეს შენი ხსნა, რომელსაც მეტად ველარ მოიპოვებ. შეინარჩუნებ რა მიზანს, ბევრი უნდა გააკეთო შენი გამართლებისათვის“².

შაჰმა ერეკლე 14 წლის განმავლობაში სპარსეთში დატოვა. 1688 წელს იგი ქართლის მეფედ დაამტკიცეს გიორგი XI-ის მაგიერ. 1691 წლიდან დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ტახტისათვის ახლად გამეფებულსა და გადაყენებულ მეფეებს შორის. სპარსელების მხარდაჭერილმა ერეკლემ გაიმარჯვა. დამარცხებული გიორგი XI იძულებული გახდა სპარსეთში წასულიყო.

საინტერესოა ერეკლე მეფის დამოკიდებულება კათოლიკობისადმი.

საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას და კათოლიკებს განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა გრიგორიანული ეკლესია. სომხური ეკლესიის გააქტიურება კათოლიკების წინააღმდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა XVII ს. ბოლოდან. პატრი ამაღიო ბრეშიელი 1698 წლის 20 ივნისს რომში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ „კათოლიკობის მტერმა“ სომხებმა განსაკუთრებით გააძლიერეს შეტევა, რაც მისი თქმით, გამოწვეული იყო სომეხი კათოლიკების გამრავ-

¹ წინასწარმეტყველი ელისეს მიერ მდინარე იორდანის წყლით კეთრისაგან განკურნებულმა აბრამის მეფის სარდალმა ნაყამანმა ელისეს თხოვა: „მიეცეს შენს მორჩილს იმდენი მიწა, რამდენსაც წყვილი ვირი წაიღებს, რომ ამიერიდან უფლის გარდა სხვა ღმერთებს არ შესწიროს მსხვერპლი შენმა მორჩილმა“ (4 მეფ., 5:17).

² მაშისთვალისეილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 213-214.

ლებით და მათი სიარულით კათოლიკურ ეკლესიაში. ანტიკათოლიკურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სომეხთა პატრიარქის მიერ ეჩმიაძინიდან გამოგზავნილი ვართაპეტი, რომელსაც ევალებოდა სომხური ეკლესიის მრევლისგან გადასახადის ამოღება. ვართაპეტმა მღვდლებთან და ქალაქის გამორჩეულ ხუთ პირთან შეთანხმებით გადაწყვიტა თბილისიდან კათოლიკეთა განდევნა და მათი ეკლესიის დანგრევა, მაგრამ ამის გაკეთება მეფის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. სომეხთა დიდი ჯგუფი მეფის სასახლესთან მივიდა. მეფე ერეკლემ ისინი მიიღო და მოუსმინა. მათ მეფეს მოახსენეს, „რომ ნახევარი ქალაქი გაფრანგებულიაო (ისინი თბილისის სომხურ მოსახლეობას გულისხმობდნენ – ე.მ.), არც გვინდა სომხები მათს ეკლესიაში დადიოდნენო, ისინი მატყუვრები არიანო, აღარ გვინდა პატრები ქალაქში დარჩნენ, არამედ ქალაქს გარეთ უნდა გავიდნენო; სპარსეთის მეფემ რომ შეიტყოს, ნახევარი ქალაქი გაფრანგებულა, არც თქვენ მოგივათ კარგი საქმეო“. ყულარ-აღასმა მეფესთან დაიბარა უფროსი პატრი და პატრი ალექსანდრე. როცა ისინი სასახლეში მივიდნენ, იქ დახვდათ მეფე, ვართაპეტი ოთხი სხვა მღვდლით, მამასახლისი და ვინმე აბედინაშვილი. მეფემ და ყულარ-აღასიმ ვართაპეტს განუცხადეს, რომ კათოლიკე პატრები პაპის მიერ მოციქულებად იყვნენ გამოგზავნილნი წმინდა სახარების საქადაგებლად. ამავე დროს ისინი ხალხს მკურნალობდნენ და არ იყვნენ ჩამოსულნი სიმდიდრის მოსაპოვებლად. ვართაპეტმა, თავის მხრივ, მეფეს შეაგება: „ჩვენ არ გვინდა, რომ მაგათ ეკლესიაში რომელიმე სომეხი მივიდეს, ჩვენც ვიცით სწავლება და ჭეშმარიტი სასუფეველის გზის ქადაგება“.

მეფე ერეკლე I-მა შემრიგებლური პოზიცია დაიკავა და პატრებს მიმართა: „გაიგონეთ, რასაც ამბობს ეს ვართაპეტი,

მართლაც ძლიერ კარგი იქნება, რომ ყველანი თავის ეკლესიაში იარებოდნენ, მაშინ ერთმანეთში ძმასავით ვიქნებითო¹.

მეფე ერეკლეს არ უნდოდა, რომელიმე მხარეს დამდგარიყო, რადგან არც ერთის მომღურება არ იქნებოდა სასარგებლო, ორივეს ძლიერი მფარველი ჰყავდა – სომხებს - შაჰი, კათოლიკებს კი - პაპი.

სომხები ფრიად უკმაყოფილონი დარჩნენ მეფის პასუხით და გადაწყვიტეს ძალით მიეღწიათ კათოლიკე მისიონერების ქალაქიდან განდევნისათვის. მაგრამ სისხლისღვრა თავიდან აცილებული იქნა ხელისუფლების ჩარევის შედეგად. ამის შემდეგ მეფე იძულებული გახდა რაიმე ქმედითი ღონისძიება გაეტარებინა. მან გამოსცა ბრძანება: რომელი სომეხიც კათოლიკეთა ეკლესიაში შევიდოდა, ის გადაიხდიდა 12 თუმანს ხაზინის სასარგებლოდ. თუ დამნაშავე იგივეს გაიმეორებდა, მაშინ ან თვალები უნდა დაეთხარათ, ან წყალში დაეხრჩოთ. ბენებრივია, ამის შემდეგ სომხებმა, რომლებიც კათოლიკური სარწმუნოებისკენ იხრებოდნენ, შეწყვიტეს კათოლიკების ეკლესიასა და სახლებში სიარული. მეფის ამ ბრძანებით უკმაყოფილო პატრები რომს თხოვდნენ შაჰისგან მოეპოვებინათ რაყამი, რომელიც ძველებურ მდგომარეობას შეუნარჩუნებდა პატრებსა და მათ მისიონს². როგორც პატრი ამაღიო ბრეშიელი წერდა, მეფე სომხების მიერ ადრე მოწყობილი კათოლიკების რბევის დროს პატრებს ყოველთვის ეუბნებოდა: „მოიპოვეთ ნება სპარსეთის მეფისგან, მერე უყურეთ რას ვიქმ თქვენთვის: ეხლა არაფრის ქმნა შემიძლია, რადგან სომხები მეუბნებიან: რათ გყავსთ აქ ეს ფრანგები, რომლებსაც არა აქვსთ სპარსეთის მეფის ნებართვაო... ცხადია, რომ

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 290-291.

² იქვე, გვ. 293.

ამნაირად მისიონი აქ ბევრ ხანს ვერ გასტანს, ეს უწმინდური სომხები აქედან გვერეკებიან“. პატრებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ ერეკლე მეფის შემდეგ სპარსეთის შაჰი ქართლის სამეფოში მეფედ „ნამდვილ სპარსელ მაჰმადიანს გამოგზავნიდა, რათა ბაგრატიონთ ჩამომავლობა მთლად ამოაგლოს“¹. ამას წერდნენ და ამის მოსურნენი იყვნენ ქრისტიანი პატრები, რომ ქართლში ვინმე სულით და ზორციით მაჰმადიანი გამოეფებულიყო, რათა დასახული მიზნისათვის მიეღწიათ.

ქართლის სამეფოში ანტიკათოლიკური გამოსვლების აღსაკვეთად შესაფერისი ღონისძიებების გატარების სათხოვნელად ქართლიდან რომში გაგზავნეს პატრი ფილიპე სელანელი. პაპმა სპარსეთის შაჰთან ელჩად იგივე ფილიპე სელანელი გაგზავნა და 1699 წლის 26 იანვარით დათარიღებული წერილიც გაატანა. პაპი შაჰს თხოვდა, რომ მის სამეფოში კაპუცინებისა და, ზოგადად მისიონერებისათვის თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა და სომხების დევნულობისაგან დაეცვა. რომიდან ელჩი გაემგზავრა 3 თებერვალს და თან წაიღო ევროპის სხვა ქვეყნების მეთაურების წერილებიც².

ვიდრე ფილიპე სელანელი საქართველოში არ იმყოფებოდა, დევნილობა გრძელდებოდა, მაგრამ შედარებით შესუსტებულად, რადგან ქართველები და მაჰმადიანები ესარჩლებოდნენ კათოლიკებს. სომხებმა იმას მაინც მიაღწიეს, რომ თბილისში კათოლიკური ეკლესია დააკეთინეს და მასში კათოლიკებს შესვლას უკრძალავდნენ სიკვდილით დასჯის მუქარით.

ევროპიდან გაგზავნილმა პაპისა და სხვათა წერილებმა შედეგი გამოიღო. შაჰმა თავისი რაყამი გამოგზავნა თბილის-

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 296.

ში. შაკი ბრძანებდა, რომ კაპუცინებს ეძლეოდათ ნება აეშენებინათ ახალი ეკლესიები და ძველები შეეკეთებინათ; ეძლეოდათ ნება თავისუფლად ემოგზაურათ სპარსეთის სამფლობელოებში ყოველგვარი ბაჟის გარეშე; არავის უნდა შეეფერხებინა სხვა ქრისტიანების მისვლა მათ ეკლესიებში და არც კათოლიკობაზე გადასვლისათვის არავინ უნდა დასჯილიყო; ის სომეხი მღვდლები, რომლებიც კათოლიკებს დაემუქრებოდნენ, დაუყოვნებლივ უნდა დასჯილიყვნენ და სხვ.¹

არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით, ერეკლე I წარმოჩინდება მართლმადიდებლური რელიგიისადმი ერთგული, მაგრამ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ იგი აიძულა ფორმალურად გამაჰმადიანებულიყო. იმავე დროს მისთვის დამახასიათებელი იყო რელიგიური შემწყნარებლობა, ცდილობდა ქართლის სამეფოში გრიგორიანელებისა და კათოლიკების დაპირისპირების დროს შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი და ცდილობდა ორივე მხარის შერიგებას: „ძლიერ კარგი იქნება, რომ ყველანი თავის ეკლესიაში დაიარებოდნენ, მაშინ ერთმანეთში ძმასავით ვიქნებითო“ - ეუბნებოდა იგი დაპირისპირებულ მხარეებს.

ერეკლე I-ის ოჯახში, რომ მართლმადიდებლური სული ტრიალებდა გამოჩნდა შემდეგში: დედოფალმა ანა ჩოლოყაშვილმა და მისმა ერთ-ერთმა ასულმა (ერეკლეს და ანას სამი ასული ჰყავდათ) ორჯერ იმოგზაურეს იერუსალიმში. ანამ თავის დღენი მონაზონად დაასრულა მონასტერში 1716 წელს. მონაზონად შედგა, აგრეთვე, მათი ასული მაკრინე, რომელმაც შემდეგში თავი ისახელა, როგორც ქართული საეკლესიო საგალობლების შემქმნელმა და შემკრებმა². ჯერ

¹ იქვე, გვ. 296-297

² ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, გვ. 166.

კახეთის და შემდეგ ქართლის მეფე იყო მათი ვაჟი, ცნობილი
თეიმურაზ II.

ერეკლე I სპარსეთში გარდაიცვალა 1703 წელს.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University

**“MUSLIM” EREKLE I AND ORTHODOXY
RESUME**

According to the written sources, Erekle I is seen to be loyal to the Orthodox religion, but the political situation of that time made him become a Muslim. At the same time, a religious tolerance was characteristic of him, he was trying to maintain neutrality during the controversy between the Gregorians and the Catholics in the Kingdom of Kartli, and he was also trying to reconcile the both parties: “It will be good enough if everyone goes to his church, then we will be like brothers” – he used to say to the opposing parties.

თამარ მესხი
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გიორგი წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

(კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი HE15-025)

**იერუსალიმის პატრიარქი ქრისანთოსი (1707-1731 წწ.)
და საქართველო**

პატრიარქ დოსითეოსის გარდაცვალების (1707 წ. 7 თებერვალი) შემდეგ იერუსალიმის პატრიარქად აღსაყდრებულ იქნა ქრისანთოსი, რომელიც დოსითეოსის დისწული იყო. დოსითეოსმა ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ ქრისანთოსისა და მისი ძმის, ნეოფიტესათვის, შესაფერისი განათლება მიეცა. ორივე კონსტანტინეპოლის საპატრიარქო აკადემიაში წარგზავნა სასწავლებლად. სწავლის დასრულების შემდეგ, ორივე დიაკვნად აკურთხა (1684 წ.). ნეოფიტე მუდმივად გვერდით ჰყავდა,¹ ქრისანთოსს კი ხშირად აგზავნიდა მართლმადიდებელი ქვეყნების მეფეებთან და მთავრებთან, რომელთაგანაც ითხოვდა მხარდაჭერას იერუსალიმის სიწმინდეების კათოლიკე ბერებისა და მისიონერებისაგან დასაცავად. სწორედ ამიტომ 1686 და 1687 წლებში ქრისანთოსი ღუნაისპირა ქვეყნების ჰეგემონებს ეწვია, 1693 წელს კი – მოსკოვს,

¹ ნეოფიტე 1698 წლიდან გარდაცვალებამდე (1722 წ.) წმ. საფლავის საძმოს ეპიტროპოსად მოღვაწეობდა.

სადაც 1696 წლამდე დარჩა. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დოსითეოსმა ის ევროპაში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ქრისანთოსი ჯერ ვენასა და ვენეციაში სწავლობდა, შემდეგ კი პადოვას სახელგანთქმული უნივერსიტეტი დაამთავრა. 1700 წელს ქრისანთოსი პარიზში გაემგზავრა. საფრანგეთის კოლეჯში მოისმინა ლექციების კურსი თეოლოგიასა და ეკლესიის ისტორიაში. მოისმინა ცნობილი ასტრონომის ჯოვანი დომენიკო კასინის¹ ლექციები ასტრონომიაში, ითანამშრომლა ცნობილ ფრანგ თეოლოგებთან (C. Auguste Dupin და Natalie Aleqsander-თან) და იეზუიტ ბერთან, Mikhael Lequien-თან, რომელსაც დიდი ინფორმაცია მიაწოდა წიგნისთვის Orient Christianus.

ერთი სიტყვით, ქრისანთოსმა ევროპაში მრავალმხრივი განათლება მიიღო. ამიტომ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობაც მრავალმხრივია. მის კალამს ეკუთვნის თეოლოგიური, საეკლესიო-კანონმდებლობითი და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულებები; ნაშრომები მათემატიკასა და ასტრონომიაში; ქრისანთოსმა შეადგინა როგორც მისი თანამედროვე საბერძნეთის, ასევე მსოფლიოს ნახევარსფეროების რუკა.

1701 წლის თებერვალში ქრისანთოსი მეორედ გაემგზავრა რუსეთში, რათა პეტრე დიდისათვის დოსითეოსის დანაბარები გადაეცა იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უნდა დაეჭირა რუსთ ხელმწიფეს ოსმალეთის ხელისუფლებასთან, იერუსალიმის წმიდა სალოცავების დასაცავად. დიპლომატიური მისიის დასრულების შემდეგ, დოსითეოსმა ის პალესტინის კესარიის მიტროპოლიტად წარადგინა სინოდის წინაშე და 1702 წელს კიდევაც აკურთხა. მიუხედავად ამისა, ქრისან-

¹ ამ მეცნიერის პატივსაცემად შეერქვა Cassini კოსმოსურ ხომალდს, რომელიც 1997 წ. გაიგზავნა NASA-ს მიერ პლანეტა სატურნის დასაზვერად.

თოსი ისევ ბუქარესტში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ 1704 წლიდან კონსტანტინეპოლში გადავიდა, რათა დაუძღვრებულ დოსითეოსს მხარში ამოდგომოდა. 1707 წელს, დოსითეოსის გარდაცვალების შემდეგ, ქრისანთოსი კონსტანტინეპოლშივე აირჩიეს და აკურთხეს იერუსალიმის პატრიარქად.¹

ქრისანთოსმა შესანიშნავად იცოდა, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა იმ დროს იერუსალიმის საპატრიარქო, რადგან დოსითეოსმა თავისი პატრიარქობის ბოლო ათწლეულში ქრისანთოსს ბევრი სერიოზული საკითხის მოგვარება დაავალა. ეს ის წლებია, როდესაც იერუსალიმის საპატრიარქომ დაკარგა კონტროლი პალესტინის წმიდა სალოცავებზე, ხოლო კათოლიკეებმა სულთნის მხარდაჭერა მოიპოვეს. ამიტომ პატრიარქად ახლადნაკურთხმა ქრისანთოსმა იერუსალიმში გამგზავრების ნაცვლად, ვლახეთსა და მოლდავეთში იმოგზაურა საკალმასოდ. ასევე მოინახულა და შეისწავლა დაახლოებით 20 მონასტრის მდგომარეობა, რომლებიც დოსითეოსის მოღვაწეობის პერიოდში გადაეცა წმიდა საფლავის საძმოს იმ ქვეყნების სხვადასხვა ჰეგემონისაგან.

1708 წლის ბოლოს ქრისანთოსი უკვე პატრიარქის რანგში ჩავიდა იერუსალიმში. 1709 წლის დასაწყისში მოიწვია სინოდი და მაშინვე შეუდგა ბრძოლას პალესტინის წმიდა სალოცავების დასაბრუნებლად.

ქრისანთოსის პატრიარქობის წლებში ოსმალეთის იმპერიას განაგებდა სულთან ახმედ III (1703-1730 წწ.), რომელიც ფრიად განათლებული, ხელოვნებისა და მეცნიერების

¹ იერუსალიმის საპატრიარქოს კონსტანტინეპოლში მეტოქე ჰქონდა. მას შემდეგ, რაც პალესტინა ოსმალეებმა დაიპყრეს (1517 წ.), იერუსალიმის პატრიარქები ძირითადად იმ მეტოქეში ცხოვრობდნენ და საპატრიარქოს იქიდან მართავდნენ.

მოყვარული და მფარველი იყო. ქრისანთოსმა ისარგებლა სულთნის ამ თვისებებით და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა; გამოაცემინა რამდენიმე ფირმანი წმ. საფლავის საძმოს სასარგებლოდ და, რაც მთავარია, საგანგებებო ფირმანით, აღდგომის ტაძრის შეკეთების ნებართვა მოიპოვა.¹

ქრისანთოსმა შესანიშნავად იცოდა, რომ მიზნის მისაღწევად მხოლოდ სულთნის კეთილგანწყობა საკმარისი არ იყო. წმიდა სალოცავების დასაბრუნებლად და განსაახლებლად მას მოკავშირეები და სახსარი სჭირდებოდა. იერუსალიმის საპატრიარქოს ყველაზე დიდი მოკავშირე, მფარველი და მოამაგე საქართველო იყო მრავალი წლის განმავლობაში, მაგრამ მას შეძლევ, რაც პატრიარქმა დოსითეოსმა იერუსალიმის ჯვრისა და სხვა ქართული მონასტრები წმ. საფლავის საძმოს დაუქვემდებარა (1685 წ.), საქართველოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის ბზარი გაჩნდა. ეს ბზარი ნელ-ნელა ისე გაღრმავებულა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსს, დომენტი IV-ს (1705-1741 წწ.), საქართველოში იერუსალიმის საპატრიარქოს ექსარხოსისა² და მისი საძმოსათვის მეტოქე ჩამოურთმევია. ამის გამო, იერუსალიმში ჩასულმა ქრისანთოსმა კათოლიკოს დომენტის 1709 წელს ვრცელი ახსნა-განმარტებითი წერილი მისწერა: „თავიდან იბერიის ხუთი სამთავრო კარგ მღვდომარეობაში იმყოფებოდა, მდიდარი იყო და წმიდა იერუსალიმში ათასობით გროშს აგ ზავნიდა; მიუხედავად ამისა, თქვენმა წმიდა მამებმა თქვენი მონასტრები ათასობით გროშის ვალში ჩააგდეს, დატოვეს ისინი დაკეტილი და ჩარაზული და ყოველ დღე ბა-

¹ ქრისანთოსმა აღდგომის ტაძარი 1719 წ. შეაკეთა [თ. მ.].

² იგულისხმება არქიმანდრიტი სერგი (ქართულ დოკუმენტებში ხშირად მოიხსენიება როგორც პაპა სერგი), რომელიც 1683 წ. პატრიარქმა დოსითეოსმა წარმოგზავნა საქართველოში.

ზარზე გადიოდნენ მათ ვასაყიდად; თქვენი წმიდა პატრიარქები დრო და დრო ათასობით გროშს ხარჯავდნენ, რომ სამეფოსაგან ბრძანებულებები და ხატიშერიფები გამოეტანათ, რათა არ გაეყიდათ ისინი; გააღეს ისინი და აამოქმედეს და თქვენს მშობლებს მოიხსენიებდნენ; სადღეისოდ ნათლად ჩანს, რომ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა მონასტრები 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. იბერიელის ჩამოსვლა შეუძლებელი იყო მანამ, სანამ, ღმრთის წყალობით, მეფე ვახტანგ შენი ბიძა გიორგი,¹ ხოლო პატრიარქი – ჩემი ბიძა, ბატონი დოსითეოსი, რომელიც ვაისარჯა და ზღვასა თუ ხმელზე ხარჯი გაიღო, მიატოვა წმიდა საფლავის მსახურება და მანდ ჩამოვიდა; შეხვდა შენს ნეტარხსენებულ ბიძას და მამას² და ქართლის ყველა დიდებულს და ძალა დაატანა იმ კეთილ ხალხს, რომ სიღუხჭირის მიუხედავად, გაელოთ რაც კი შეეძლოთ; მისცეს მას, რაც კი ქრისტიანებმა შესწირეს და ისიც, რაც კი ნეტარხსენებულმა ბიძაჩემმა იშოვა – ანუ ღმრთისმსახურებისა. და, შეჰპირდნენ, რომ მისცემდნენ რამოდენიმე ათასს, იმ ვალის გასასტუმრებლად, რომელშიც თქვენმა კარგმა ბერებმა [მონასტერი] ჩაავდეს. თუმცა, როგორც ამას ბიძაჩემის ჩანაწერები მოწმობს, იმ დროისთვის, რომელიც მამაშენმა და ბიძაშენმა დაუთქვეს, თანხის ვაგ ზავნა ვერ შეძლეს, რადგან მწყობრიდან იყო გამოსული ზარაფხანა. ბიძაჩემი კი, პატრიარქი, რომელსაც სამეფო იმ სკანდალში ითრევდა, რომელიც ფრანკებმა წამოიწყეს, სასწრაფოდ წამოვიდა მანდელან, ბიძათქვენსა და მამათქვენს კი წერილი მისცა; ის, თუ რა წერია წერილში, ვფიქრობ, წაკითხული გაქვს. მათგანაც აიღო წერილები და საბუთი იმის შესახებ,

¹ იგულისხმება გიორგი XI (1676-1688, 1703-1709).

² იგულისხმება გიორგი XI-ის ძმა ლევანი, დომენტი კათოლიკოსის მამა.

რომ თავად გაელო თეთრი და მონასტრები ვალიდან გაენტავისუფლებინა და დაეცვა; ჯვრის მონასტრის წინამძღვარი კი, თუ წესიერად არ მოიქცეოდა და მონასტერს ისე არ უხელმძღვანელებდა როგორც სხვა მონასტრები იმართებოდა, პქონოდა მისი განთავისუფლებისა და გაძევების უფლება. ოღონდ, ამის შესახებ წერილობით უნდა ეცნობებინა იბერიის პევემონისათვის, რომელიც მას მოხსნიდა და სხვას წარგზავნიდა. მოკლედ, ამ სახის წერილები მისცეს ერთმანეთს და ბიძაჩემი კონსტანტინეპოლში წამოვიდა. შეპირებული თეთრი შენმა ბიძამ და მამამ მთლიანად ვერ იშოვეს. თუმცა, ნაწილი გამოგზავნეს. რა უნდა ექნა ბიძაჩემს გარდა იმისა, რომ იერუსალიმში წავიდა იმ ცოტადენი ფულით, რომელიც მანდედან გამოგზავნეს, და წმინდა საფლავი მრავალი ათასი გროშით დაავალიანა იმის გამო, რომ ბიძაშენმა და მამაშენმა მისწერეს, ვალი აელო და ჯვრის მონასტერი გაენტავისუფლებინა, ვალს კი ექვს თვეში გადაუხდიდნენ. ბიძაჩემსაც და იჯერა და წმიდა საფლავი ვალში ჩაავდო, გაენტავისუფლა ჯვრის მონასტერი, წარმოგზავნა არქიმანდრიტი, ბატონი სერგი, რომელიც ახლა მანდ იმყოფება, რათა ის თეთრი მოეპოვებინა, რომლის გამოგზავნასაც ბიძაშენი შეჰპირდა მევაღლეების გასასტუმრებლად, მაგრამ ამ დროს ის მოხდა, რომ სპარსეთის ხელმწიფემ ბიძაშენს მეფობა ხელიდან გამოაცავლა, მამაშენი კი გადაასახლა“.¹

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου) Αρχιμανδρίτου, Σχολάρχου τῆς Θεολ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ, Ἡ Ἱερά Μονή τοῦ Σταυροῦ καί ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικῇ Σχολῇ, Ἐν Ἱεροσολύμοις, 1905, 56. ეს წერილი არქიმანდრიტმა ქრიზოსტომოს პაპადოპულოსმა (ათენის მთავარეპისკოპოსმა 1923-1938 წწ.) 1905 წ. გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, ქრიზოსტომოსის დასახელებული ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი იყო. მოხმობილი წერილის და წინამდებარე სტა-

წერილის ბოლოს ქრისანთოსი დომენტი კათოლიკოსს საკმაოდ მკაცრად მიმართავს: „*გთხოვ დააბრუნო სახლი. და, თუ რაიმე გაფუჭდა, შეაკეთე ისე, როგორც საჭიროა, შენი უნეტარეობის თეთრით... ეს სახლი აუცილებლად გადაეცეს არქიმანდრიტ ბატონ სერგის*“.¹

ქრისანთოსის ერთ-ერთი სხვა წერილიდან ჩანს, რომ საქმეში ვახტანგ VI ჩაერია და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას შეეცადა. ქრისანთოსმა ვახტანგ VI-ს დომენტი კათოლიკოსისადმი მიწერილი წერილის ასლიც გაუგზავნა და თან მისწერა: „*როგორც კი ნეტარხსენებულმა მეუფემ ჩვენმა*² *ბინა სამარადისო სამკვიდრებელში დაიღო, ჯვრის მონასტრის მევალეებმა ისევ დაიწყეს ჩვენი შეწუხება ქალაქში (იგულისხმება კონსტანტინეპოლ – თ. მ.). იმისათვის, რომ თავი დავალწიოთ ჩვენც და ჯვრის მონასტერმაც ამგვარი შეწუხებისაგან, დავირაზმეთ და განვაახლოეთ ყველა ის ბრძანებულება, რომლებიც ნეტარხსენებულმა გამოაცემინა ჯვრის მონასტრის ვალებთან დაკავშირებით. გამოვაცემინეთ სხვა ახალი და უფრო ძლიერი ბრძანებულებაც, რომ ამიერიდან მევალეებს აღარ შეეძლოთ შეწუხება არც ჩვენი და არც ვინმე სხვისა, – ან ბერძენთაგან ან ივერიელთაგან, – ჯვრის მონასტრისა და იბერიელთა ვალების გამო. ეს ბრძანებულება ჩამოვიტანეთ აქ და წარვუდგინეთ ყადს. მან კი იძულებული*

ტიაში დამოწმებული ყველა სხვა ამონარიდის თარგმანი ჩემ მიერაა შესრულებული – თ. მ.).

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου) Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ..., 67.

² იგულისხმება იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707 წწ.)

გაგვხადა კონსტანტინეპოლში ჩავსულიყავით და იქ 1000 კროშზე მეტი გადაგვახდევინეს“.¹

იერუსალიმის ქართული ეკლესია-მოძნასტრების მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, იმავე წერილში ქრისტანთოსი ვახტანგს კათოლიკოს დომენტის შესახებ წერს: „კათოლიკოსთან დაკავშირებით, გვესმის. თქვენი ძმა რომ არ იყოს, ბევრი გზა გეპოვნდა, დაგვემცირებინა და გონებაზე მოგვეყვანა, მაგრამ ახლა სხვა აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ მოვითმინოთ ჩვენც და თქვენც. თუმცა, წინასწარ გეუბნებით: თუ არ მოინანიებს და არ გამოსწორდება, ცუდი და სავალალო ბოლო ექნება. აი, ნახეთ რას ვწერთ მას ჩვენი კეთილგანწყობილი და ქრისტიანული წერილით, რომლის ასლსაც თქვენს ღმრთისმოსავ უბრწყინვალესობას ვუგზავნით. ღმერთმა ინებოს, გაუნათლდეს გონება და გამოსწორდეს. გადაათარგმნინეთ ის ბატონ სერგის, რათა გაიგოთ, თუ რას ვწერთ. ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალეობას, გამოიჩინოთ გულმოდგინება და ეცადოთ, მშვიდობა დაამყაროს წმიდა საფლავთან. სახლი კი, რომელიც ავაშენეთ, დააბრუნოს და წმიდა საფლავის მეტოქედ დარჩეს, როგორც ამას მეფე გიორგი და შენი მამა შეჰპირდნენ ჩემს ბიძას, ხოლო შენი ბრწყინვალეობა ჩვენ შეგვპირდა თავისი საპატრიარქო წერილით, რომელსაც ვითარცა ოქროს საწილეს ისე ვინახავთ. გარდა ამისა, არქიმანდრიტმა იგი თქვენი სურვილის თანახმად ააშენა, და ახლა, ნუთუ სამარცხვინო არაა თქვენთვის და ყველა დიდებულისათვის, რომ კათოლიკოსს ასე სძულს წმიდა საფლავი და მას მტრობს? აქ უცხო ტომის ხალხი იცავს წმიდა საფლავს და მას ძლიერი ბრძანებულებებითა და სხვადასხვაგვარი გზებით ამყარებს, ხოლო ქრისტიანი ეპისკოპოსები და

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Η Ίερά Μονή του Σταυρού..., 66.

მღვდელმთავრები რომ ამის საპირისპიროდ იქცევიან, ნუთუ ღმრთის წინაშე ჩადენილი საშინელი სირცხვილი და ცოდვა არაა და უპატიებელი შეურაცხყოფა სულიწმიდისა? მოწყალეო და კეთილო ხელმწიფეო, ნუთუ სამარცხვინოდ არ მიგაჩნიათ წმიდა საფლავის სიძულვილი თქვენს სამკვიდრებელში, სადაც მტკიცე ქრისტიანული კანონები არსებობს?“¹

ქრისანთოსის ეს წერილები, ისევე როგორც მათში ხსენებული ინციდენტი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი იყო. ამიტომ შევეცდები ავხსნა, თუ რატომ გაილაშქრა კათოლიკოსმა დომენტიმ იერუსალიმელთა წინააღმდეგ და რატომ მიმართა ასეთ რადიკალურ ზომებს:

ვასუშტი ბატონიშვილის თანახმად, 1684 წელს ქართლის მეფემ, გიორგი XI-მ (1678-1688, 1703-1709 წწ.), ირანიდან „წარგ ზავნა იერუსალიმს ორიათასი თუმანი საკსრად გოლგოთისა და ჯუარის მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი“²

ქართველებმა ვალი რომ გაისტუმრეს, ამას იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსიც აღნიშნავს როგორც პირად წერილებში, ასევე თავის წიგნში „*იერუსალიმის პატრიარქების ისტორია*“³ მიუხედავად ამისა, 1685 წელს დოსითეოსმა, იერუსალიმის ეკლესიის სინოდის საგანგებო განჩინებით, ჯვრისა და სხვა ქართული მონასტრების განმგებლობა წმ. საფლავის საძმოს დაუქვემდებარა. ჯვრის მონასტრის წინამძღვა-

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Η Ίερά Μονή του Σταυρού..., 66-67.

² ვასუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, 482.

³ Δοσιθέου Ίεροσιλύμαν, Περὶ τῶν ἐν Ίεροσιλύμοις πατριαρχευσάντων, Βουκουρέστιον, 1715, 1235.

რი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქზე, მის ეპიტროპოსზე ან წმიდა საფლავის მამების საბჭოზე. დოსითეოსის ამ ქმედებამ ქართველთა გულისწყრომა გამოიწვია.¹ ბუნებრივია, გაანაწყენა და განარისხა ღომენტი კათალიკოსიც, რადგან გიორგი XI-ის მიერ გამოგზავნილი თანხა და „შესაძობნი“ იერუსალიმში მას წაუღია.²

1689 წელს, საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, ოსმალეთის სულთანმა, საგანგებო ფირმანით, იერუსალიმის წმიდა სალოცავები კათოლიკეებს გადასცა.³ იმ დღიდან კათოლიკეებსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ წმ. საფლავის საძმომ, ეპიტროპოსთან ერთად (რომელიც დოსითეოსის დისშვილი და ქრისანთოსის ძმა იყო), თავი დამას-

¹ როგორც ჩანს, ამ გულისწყრომამ დოსითეოსის ყურამდეც მიაღწია, რადგან ერთ-ერთ თავის წერილში წერს: „*თუ ქართველ ბერებს იერუსალიმში წასვლა არ უნდათ, განაცხადონ, რომ არ უნდათ. საბაბს ნუ ეძებენ და პატრიარქს ნუ განსჯიან, რადგან ჩვენ თუ ჩუმად ვართ, ღმერთი სამართლიანი მსაჯულია და ამას არ აიტანს. ვთხოვთ, წავიდნენ მამები და ემსახურონ მონასტერს*“, Χρυσοστόμου (Παπαδοπιστῆς), Ἡ Ἰερά Μονή τοῦ Σταυροῦ..., 59.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავ. იოსელიანმა, თბ., 1980, 45.

³ 1683 წ. ოსმალეთმა ავსტრიასთან, პოლონეთთან და ვენეციასთან ომი დაიწყო, რომელმაც თექვსმეტ წელს გასტანა. ორი წლის შემდეგ ამ ომში რუსეთიც ჩაება. საფრანგეთი დაემუქრა ოსმალეთს, რომ მის მოწინააღმდეგეებს შეეკვრებოდა, თუკი იერუსალიმის წმიდა სალოცავებს კათოლიკეებს არ გადასცემდა. სულთანმა უკან დაიხია და 1689 წელს, საგანგებო ფირმანით, კათოლიკეებს გადასცა: აღდგომის ეკლესიის ორი გუმბათი და ორი აფსიდა, გარდამოხსნის ლოდი, გოლგოთის ეკლესიის ნახევარი, ბეთლემის ეკლესია და მისი კლიტეები. უფლება მისცა კათოლიკეებს წირვა აღევლინათ უფლის საფლავზე.

კოს შეაფარა. დოსითეოსი მაშინვე ადრიანოპოლისს გაემგზავრა და სულთანს გამოაცემინა ბრძანებულება, რის საფუძველზეც წმ. საფლავის საძმო იერუსალიმში კი დაბრუნდა, მაგრამ ვითარება მაინც უკიდურესად დაძაბული დარჩა. 1699 წელს, ოსმალეთსა და ავსტრიას შორის კარლოვიცში დადებული ზავის შედეგად, კათოლიკეების პოზიციები იერუსალიმში კიდევ უფრო გამყარდა. დოსითეოსი სიცოცხლის ბოლო წუთამდე თავგამოდებით იბრძოდა სალოცავების დასაბრუნებლად. დრო და დრო გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა,¹ მაგრამ საბოლოო გამარჯვებას ვერ მოესწრო. 1707 წლის 7 თებერვალს დოსითეოსი გარდაიცვალა.

იმავე 1707 წელს დომენტი, უკვე კათოლიკოსის რანგში, ისპაჰანს გაემგზავრა. ქართველი მკვლევრები ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ იმ დროს მოუწესრიგებელი იყო საეკლესიო, განსაკუთრებით კი სვეტიცხოვლის მამულების საკითხი. მებატონეებს ეს მიწები მიტაცებული ჰქონდათ და საეკლესიო გლეხებს ჩვეულებრივ ახდევინებდნენ გადასახადებს. მათივე აზრით, ვახტანგ ჯანიშინის გავლენა ამ პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არ აღმოჩნდა და დომენტი კათოლიკოსიც 1707 წელს ამიტომ გაემგზავრა ისპაჰანს. არც იმას გამორიცხავენ, რომ ვახტანგიც ყოფილიყო დაინ-

¹ დოსითეოსმა 1695 წ. სულთან მუსტაფა II-ს განაახლებინა ჯვრის მონასტრისა და მისი მამულების ფირმანები. 1698 წ. მოიპოვა უფლება შეეკეთებინა წმ. თეკლას და ღმრთისმშობლის დიდი მონასტრები, აღდგომის ეკლესიის დიდი გუმბათი. ასევე, გამოაცემინა სულთანს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, კათოლიკეებს ეკრძალებოდათ კუუკლიის (ქრისტეს საფლავის) მცირე გუმბათში შესვლა. 1700 წ. მოიპოვა უფლება და შეაკეთა აბრაამის მონასტერი, Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Ιστορία τῆς Ἐκκλησίας Ἰεροσολύμων, ἐν Αθῆναις, 1970, 640, 642, 653..

ტერესებული, პატრიარქის მამულების ხარჯზე სახასო (სამეფო) მამულები გაეფართოვებინა.¹

ისპაჰანში მყოფმა დომენტი კათოლიკოსმა საკათალიკოსო სამფლობელოების დამამტკიცებელი ფირმანი მართლაც მოიპოვა, მაგრამ არ შეიძლება აქვე ყურადღება არ გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე:

მიხეილ თამარაშვილის თანახმად, სპარსეთში ჩასული კათოლიკოსი იქ მყოფმა კარმელიტმა მამებმა კათოლიკურ ეკლესიასთან შესაერთებლად განაწყვეეს. ამიტომ დომენტიმ პაპს ერთობის წერილი მისწერა. მართალია, მ. თამარაშვილს დომენტი კათოლიკოსის წერილი ვერ მოუპოვებია, მაგრამ გამოაქვეყნა „პროპაგანდას“ პასუხი, რომლითაც ნათლად ჩანს, რომ დომენტის პაპისტოვის წერილი მართლაც მიუწერია.²

¹ ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2014, 12-13.

² „პატონს საქართველოს პატრიარქს, 24 იანვარს 1711.

პაპს დიდად სათნო ეყო თქვენი დიდებულების წიგნი, რომლითაც აცხადებთ თქვენს დიდ წადილსა კათოლიკე სარწმუნოების აღსარებისათვის, ეგრეთვე რომის საყდრისადმი თქვენს მორჩილებას და პატივისცემას, რაის გამო მათმა უწმიდესობამ დიდად აქო ეგ თქვენი სურვილი და მოწადინება და მასთანვე თავისი მამობრივი სიყვარულით და კეთილმზებლობით შეგავგულიანებთ, რათა მტკიცედ იქონიოთ ეგ თქვენი საქებელი წადილი და მომზადებულად და გუნებურად ზელი მთაწერით კათოლიკე სარწმუნოების სიმბოლოს, რომელსაც ამ წერილთანვე გაახლებთ; ამნაირად ყოველის შეცთომილების მხრივ უშიშრად იქმნებით და მორწმუნებით შეუდგებით მოძღვრებას სამოციქულო საყდრისას, რომელიც არის პირველი კათედრა და ყოველთა ეკლესიათა დედა და მოძღვარი. არა მარტო თქვენ შეუდგებით მტკიცედ და შეურყეველად ამ მოძღვრებას, არამედ, ვითარცა მოითხოვს მწყემსებრივი მოვალეობა, სხვებსაც ასწავლით ყველანაირის

ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა: დომენტი კათოლიკოსი ასე ადვილი გადასაბირებელი იყო, თუ პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა?

ჩემი აზრით, დომენტი კათოლიკოსმა პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. დომენტი კარმელიტელმა მამებმა კი არ გადაიბირეს, არამედ თავად მოძებნა ისინი, რათა რომის პაპს დაკავშირებოდა. მეტიც; მიმაჩნია, რომ 1707 წელს დომენტის ისპაჰანში გამგზავრების უმთავრესი მიზანი სწორედ პაპთან დაკავშირება იყო და, აი, რატომ:

დომენტიმ იცოდა, რომ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე იერუსალიმის წმიდა სალოცავებზე უპირატესობას კათოლიკეები ფლობდნენ (ამის შესახებ თავად იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი წერდა ქართველ მეფეებსა და კათოლიკოსებს), მაგრამ ენერგიული დოსითეოსი მათ გარკვეულ დაბრკოლებებს მაინც უქმნიდა. რაკი დოსითეოსი გარდაიცვალა, დომენტიმ ჩათვალა, რომ კათოლიკეები უფრო გაძლიერდებოდნენ. ამიტომ მათთან ალიანსი უფრო სასარგებლოდ მიიჩნია, რათა ქართული მონასტრები დაებრუნებინა.

ასევე, ანგარიშგასაწევად მიმაჩნია კიდევ ერთი გარემოება: ჯერ კიდევ 1701 წელს დოსითეოსი პეტრე დიდს წერდა, რომ კათოლიკეებისა და სომხების წმინდა მიწაზე გაძლიერებას ხელს უწყობდა სპარსეთის შაჰი.¹ თუკი ეს ამბავი დოსითეოსმა იცოდა, არ შეიძლება დომენტისაც არ სცოდნოდა, რადგან მისი მამა და ბიძა (ქართლის კანონიერი მეფე

საშუალებით, როდენათაც შესაძლო არის“; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, 429-431;

იხ. აგრეთვე: მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ტფ., 1902, 307-308.

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Ιστορία τῆς Ἐκκλησίας Ἰεροσολύμων, 654.

გიორგი XI) შაჰის კარზე მსახურობდნენ და საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ისევ ჩნდება კითხვა: დომენტი IV-მ ასეთი სერიოზული გადაწყვეტილება მარტომ მიიღო თუ ქართლის კანონიერ მეფესთან ან ჯანიშინთან შეთანხმებით?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია. ერთი რამ კი ცხადია, რომ დომენტი კათოლიკოსი გაცილებით ადრე შეეცადა დასავლეთთან ალიანსში შესვლას, ვიდრე ვახტანგ VI იმავე მისიით სულხან-საბას წარგზავნიდა ევროპაში (1613 წ.).

1708 წელს დომენტი სამშობლოში დაბრუნდა და საკათალიკოსო მამულების შემომტკიცება დაიწყო.¹ იმავედროულად იერუსალიმის საპატრიარქოდან საქართველოში წარმოგზავნილი ბერძნების წინააღმდეგ გაილაშქრა. სხვა რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს კათოლიკოსის ამ საქციელს გარდა იმისა, რომ კარმელიტელი მისიონერებისაგან შეაგულიანებულმა, რომ პაპისგან დადებითი პასუხს მიიღებდა, მათთვის მამებელი პირველი ნაბიჯი გადადგა.

სანამ პაპმა პასუხისთვის მოიცალა (1711 წ. 24 იანვარი), ვითარება შეიცვალა. 1709 წელს ავღანეთში დაიღუპა ქართლის კანონიერი მეფე გიორგი XI, გარდაიცვალა დომენტის მამა, ლევანი.² დომენტი კათოლიკოსს მხარდამჭერები აღარ ჰყავდა, იერუსალიმის საპატრიარქოს ტახტზე კი იჯდა

¹ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, ტფ., 1900, 133.

² ამის შესახებ ქრისანთოსი ინფორმირებული ყოფილა, რადგან, როგორც ვნახეთ, დომენტი კათოლიკოსისადმი გაგზავნილ წერილში გიორგი XI-ს და მის ძმას, ლევანს, მოიხსენიებს როგორც „ნეტარხსენებულთ“.

დოსითეოსზე არანაკლებ ენერგიული და მეტად განათლებული ქრისანთოსი, რომელმაც 1709 წელს ვახტანგ VI-ს წმიდა საფლავის საძმოდან წარმოგზავნილი ბერებისა და მათი ქონების დაცვა მოსთხოვა.

ვახტანგ VI-ის მხარდაჭერითა და ძალისხმევით, საკითხი იერუსალიმელთა სასარგებლოდ გადაწყდა. წმიდა საფლავის საძმოს მეტოქე დაუბრუნეს. კათოლიკოსმა დომენტიმ კი მხარი დაუჭირა ქრისანთოსის წინადადებას: „*იყვნენ თქვენი მამები იერუსალიმში, ხოლო ჩვენები მანდ, თქვენთან*“, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ შესანახად იბერიიდან თუნდაც ხუთას გროშს გააგზავნიდნენ.

იმ ხუთას გროშს ქრისანთოსი ვახტანგ მეფისადმი გაგზავნილ წერილშიც ახსენებს და აღნიშნავს: „*მონასტრის მართვისათვის და მამათა შესანახად საჭიროა წელიწადში სულ მცირე კიდევ ხუთასი გროში, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, ნაწილი შემოდიოდა ბერძენი მომლოცველებისაგან, დანარჩენს კი ვიხდიდით ჩვენ, საპატრიარქოდან. მაგრამ ახლა ბერძენები გაღარიბდნენ და მომლოცველთა რიცხვი არა მხოლოდ შემცირდა, არამედ ისინიც კი, რომლებიც ჩამოდიან, არაფერს აძლევენ არც შიგნით და არც გარეთ მღებარე მონასტრებს, მხოლოდ საპატრიარქოს სწირვენ*“.¹

როგორც ჩანს, კათოლიკოსი და ვახტანგ VI შეთანხმდნენ, რომ გაეღოთ მოთხოვნილი ხუთასი გროში, რადგან 1709 წელს, იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში დაბრუნებულ ქრისანთოსს დახვედრია ჯვარის მამა ქრისტეფორეს²

¹ Χρυσοστόμου (Παπαδιοπούλου), Η Ίερά Μονή του Σταυρού..., 67- 68.

² იგულისხმება ქრისტეფორე ფალავანდიშვილი, რომელიც ვახტანგ VI-ის ბებიას შვილი იყო, ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, 97-98.

წერილი, რომლითაც იერუსალიმში ჩასვლის სურვილს გამოთქამდა და საამისოდ ნებართვას ითხოვდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ქრისანთოსმა ვახტანგ VI-ს მისწერა: „აქ ჩამოსულმა ეს საკითხი ჩვენს საბჭოს ვაცანი და გადაწყდა, ჩამოვიდეს, მაგრამ არა უბრალოდ და შემთხვევით, არამედ იმ შეგნებით, რომ ვალდებულია დაცვას ის 21 პუნქტი, რომლებსაც აქ ვარკვევით და სათითაოდ ვწერთ, და ისინიც, რომლებსაც შეიცავს ჩვენი ნეტარხსენებული მეუფის (გულისხმობს დოსითეოსს – თ.მ.) წერილები, რომელთა ასლებსაც თქვენს ღმრთისმოსაობას ვუგზავნით. ყველა ეს წერილი ითარგმნოს ქართულ ენაზე, დაიწეროს ბერძნულადაც და ხელი მოაწეროს ჯვარის მამამ. ორივე [ვარიანტი] უნდა დაამოწმოს თქვენმა ბრწყინვალეობამ და ჩვენმა უნეტარესმა ძმებმა (=კათოლიკოსებმა ზემო და ქვემო იბერიისა) და სხვა მღვდელმთავრებმა და დიდებულებმა და, თუ საჭიროდ ჩათვლით, ერისთავებმაც; შემდეგ დაბეჭდეთ ეს წერილები და გამოგვიგზავნეთ უსაფრთხოდ და დაცულად, ამის შემდეგ კი ჯვარის მამაც ჩამოვიდეს და ნებისმიერი სხვაც, ვინც კი მოისურვებს. სხვაგვარად ჯვარის მამა აქ ნუ ჩამოვა, რადგან პატიოსანი ჯვრის მონასტერი ისევ პირვანდელ ვალში ჩავარდება და გამოსწორება შეუძლებელი იქნება. თუ უნდა, მომავალ აღდგომას ქალაქში (იგულისხმება კონსტანტინეპოლი – თ.მ.) ჩამოვიდეს. ღმრთის წყალობით, ჩვენც იქ ვიქნებით, მიცემთ მას მითითებებსა და რაც საჭირო იქნება, და ჩამოვა აქ შეუწუხებელი და პატივდებული თვითონაც და ყველა ის, ვინც მისი რეკომენდაციით წამოვა“¹

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Η Ίερά Μονή του Σταυρού..., 65.

ქრისნანთოსმა ჯვარის მამა ქრისტეფოროესაც მისწერა წერილი და იერუსალიმში მიიპატიჟა, ოღონდ, ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვა მოსთხოვა. როგორც ჩანს, ქრისტეფორემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ჯვარის მამობაზე უარი განუცხადებია.

ამის გამო, აღშფოთებული ქრისნანთოსი ვახტანგ VI-ს წერდა: „ვერ გავგვივია ეს ყოფილი ჯვარის მამა ბატონი ქრისტეფორე რა ადამიანია. თუ არ უნდა ჯვარის მამობა, ძალიანაც კარგი, რაკი ასე სდომებია, ადრეც შეეძლო გადამდგარიყო. თუმცა, ეს მას არ ამართლებს, რადგან ჯერ უნდა წარმოედგინა სუფთა და უტყუარი ანგარიში იმისა, თუ რა მიიღო მონასტრისათვის, დიდი თუ მცირე, გადაეხარებინა¹ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადამდგარიყო; უნდა ეთხოვა შენდობა და მიიღებდა პატივსაც და მადლობასაც, მაგრამ ის სრულიად საწინააღმდეგოდ მოიქცა. ამრიგად, თქვენს უბრწყინვალესობას ვთხოვთ, უბრძანოს, რომ წარმოადგინოს რვა წლის ანგარიში, თუ რა მიიღო ჯვარის მონასტრისათვის ქარვასლიდან, სახელოსნოებიდან, მამულებიდან და ქრისტიანთა შემოწირულობებიდან. ხოლო ის, რაც ხელთ აქვს, ყველაფერი ჩვენს არქიმანდრიტს გადასცეს“.²

ერთი სიტყვით, იერუსალიმის წმიდა სალოცავების საკითხში ქრისნანთოსი ბიძის (პატრიარქ დოსითეოსის) კვალს მიჰყვებოდა. რა უპასუხეს ქრისნანთოსს ვახტანგ VI-მ და დომენტი კათოლიკოსმა, უცნობია. სავარაუდოდ, მათ მხარი დაუჭირეს ქრისტეფორეს გადაწყვეტილებას. არც ის არის გამორიცხული, ეს გადაწყვეტილება ქრისტეფორეს, კათოლიკოსსა და მეფეს ერთობლივად მიეღოთ, რადგან გვიანდელი

¹ იგულისხმება სამონასტრო ქონების გადაბარება.

² Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Ἡ Ἱερά Μονή τοῦ Σταυροῦ..., 66.

საბუთების მიხედვით, ქრისტეფორე ურბნელ ეპისკოპოსად ჩანს.¹ ასე იყო თუ ისე, ა. ცაგარელის დაკვირვებით, მას შემდეგ XVIII საუკუნის შუა წლებამდე იერუსალიმში არც იბერიელი ბერი და არც უბრალო მომლოცველი აღარ ჩასულა, საქართველოში კი წმიდა საფლავის საძმოს წარმომადგენლები რეგულარულად ჩამოდიდნენ.² ეს თვალსაზრისი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ შეცვლილა. თუმცა, ქრისნათოსის ერთი წერილის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმში თითოთროლა ქართველი XVII საუკუნის 20-იან წლებშიც მოღვაწეობდა, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ცხადია, არც დომენტი კათოლიკოსი და არც ვახტანგ VI იერუსალიმის წმიდა სალოცავებს ასე მარტივად არ დათმობდნენ, რომ არა 1709 წელს ქართლის სამეფოში დატრიალებული სავალალო მოვლენები: როგორც უკვე აღვნიშნე, 1709 წელს ავღანეთში დაიღუპა ქართლის კანონიერი მეფე გიორგი XI, 1711 წელს კი ავღანელებთან ბრძოლას შეეწირა ქართლის მეფე ქაიხოსრო. ამიტომ შაჰმა ვახტანგ VI-ს, ქართლის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად, ისპაჰანში ჩასვლა მოსთხოვა. 1712 წელს ვახტანგი ისპაჰანს გაემგზავრა. ვახტანგის არყოფნაში ქართლის სამეფო ტახტს ერთმანეთს ეცილებოდნენ ვახტანგის ძმები: სვიმონი და იესე, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ვახტანგი უკან აღარ დაბრუნებულყო. 1719 წელს ვახტანგი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვითარება ისე წარიმართა, რომ 1724 წელს იძულებული გახდა, რუსეთში გადახვეწილიყო და საქართველო სამუდამოდ დაეტოვებინა.

¹ ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის..., 97-98.

² А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, СПб, 1888, 82-83.

რაც შეეხება დომენტი კათოლიკოსს, მისი და იერუსალიმის საპატრიარქოს გზები მოგვიანებით ისევ გადაიკვეთა.

ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლის (1724 წ.) შემდეგ, დომენტი კათოლიკოსი, სულთნის მიწვევით, ოსმალეთში წავიდა. თავიდან სულთანმა კათოლიკოსი პატივით მიიღო, მაგრამ მალე მისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. 1727 წელს დომენტი კათოლიკოსი დააპატიმრეს, როგორც ოსმალთა მოწინააღმდეგე, და გადაასახლეს კუნძულ ტენედოსზე, სადაც ცხრა წელი დაჰყო.¹

იესე ტლაშაძის თანახმად, დომენტი კათოლიკოსი კონსტანტინეპოლში ჩასვლისთანავე იერუსალიმის პატრიარქ იერემიას შეხვდა.² თუმცა, იესე ტლაშაძეს შეეშალა, რადგან იმ დროისათვის იერუსალიმის პატრიარქი ისევ ქრისანთოსი (1707-1731 წწ.) იყო. ქრისანთოსი კი 1724 წლის მაისიდან კონსტანტინეპოლში არ იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ ავად იყო, მაინც გაემგზავრა იზმირში შეწირულობების შესაგროვებლად და კონსტანტინეპოლში მხოლოდ 1727 წელს დაბრუნდა. იმავე წლის ივნისში მოლდავეთში გაემგზავრა და უკან მხოლოდ 1729 წლის დასაწყისში დაბრუნდა.³ მართალია, ამის შემდეგ ქრისანთოსი უკვე კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, რადგან ძალიან ჰქონდა შერყეული ჯანმრთელობა, მაგრამ 1727 წლიდან დომენტი კათოლიკოსი იყო გადასახლებული კუნძულ ტენედოსზე. 1731 წლის 7 თებერვალს ქრისანთოსი გარდაიცვალა. იერუსალიმის შემდ-

¹ ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, 28.

² ი. ტლაშაძე, კათოლიკოზ-ბაქარიანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1895, 28-32.

³ Π. Στάθη, Χρυσανθός Νοταρᾶς, Πατριάρχης Ἱεροσολύμων, Πρῶτομοσ τοῦ Νεοελληνικοῦ Διαφωτισμοῦ (διδακτορικὴ διατριβή), Αθήνα 1995, 20-22.

გომი პატრიარქი მელეტიოსი (1731-1737 წწ.) გახდა. თუ იმ კონფლიქტსაც გავიხსენებთ, რაც ქრისანთოსსა და დომენტიის შორის მოხდა, ქრისანთოსი მის სანახავად თავს არ შეიწუხებდა. ამიტომ, ვფიქრობ, იესე ტლაშაძის მიერ ნახსენები პატრიარქი იერემია, უეჭველად, მსოფლიო პატრიარქი იერემია III (1716-1726 წწ.) უნდა იყოს.

იესე ტლაშაძის მიხედვით, ოსმალეთში დომენტი კათოლიკოსს ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება.¹ იძულებული გამხდარა, 1739 წლის 20 მარტს იერუსალიმის საპატრიარქოდან 4300 ლევი ესესხებინა. ამ ვალის გადახდას ითხოვდნენ იერუსალიმის პატრიარქები: მელეტიოსი (1731-1737 წწ.) და პართენიოსი (1737-1766 წწ.).²

ვინაიდან წინამდებარე სტატია ქრისანთოსის საქართველოსადმი დამოკიდებულებას ეხება, არ შეიძლება ყურადღება სხვა საკითხებზეც არ გავამახვილოთ.

ზემოთ მოხმობილი წერილებიდან ჩანს, რომ ქრისანთოსი ვახტანგ VI-ის მიერ გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულა. ზემოთ ხსენებული ერთ-ერთი წერილის ბოლოს ქრისანთოსი ვახტანგ VI-ს წერს: *„ვიმედოვნებთ, სტამბის საქმეს წარმატება ექნება. ძალიან გთხოვთ, როდესაც ყმაყოფილი ტიპოგრაფის უკან დაბრუნების დრო მოვა, ვინაიდან მის გარდა სხვას ვერავის ვიპოვით წარმოსავ ზავნად, მიეცეთ მას კიდევ 10 000 გროში, რათა შეაყოვნოთ და არ მისცეთ წამოსვლის ნება მანამ, სანამ არ*

¹ ი. ტლაშაძე, კათოლიკოზ-ბაქარიანი..., 26. ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, 28.

² ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, 28.

დატოვებს სრულყოფილ მოწაფეებს, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ წიგნების ბეჭდვას“¹

ქრისნანთოსს იმავდროულად არქიმანდრიტ სერგისთვისაც გამოუგზავნია წერილი, რომლითაც ავალებდა, რომ თვალ-ყური ედევნებინა სტამბის საქმიანობისათვის, რათა გარკვეული გარემოების გამო, ეს კარგი წამოწყება არ შეფერხებულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა უფლებას არქიმანდრიტს, იერუსალიმში დაბრუნებულიყო და თან თხოვდა, შეერჩია ერთი კარგი ქართულის მცოდნე ახალგაზრდა იერუსალიმში წასაყვანად: „გკონდეს კურთხევა იესო ქრისტესი და ჩვენი ნეტარხსენებელი მეუფისა.² იპოვე ვინმე განათლებული ახალგაზრდა, რომელმაც იცის იბერიული ენა და დაი-ახლოვე, რათა მიეჩვიოს ბერძნულს – ენასაც და წერასაც. ჩამოიყვანე შენთან ერთად, რითაც ძალიან გაგვახარებ. ოღონდ, აუცილებლად კარგად უნდა იცოდეს იბერიული ენაც და წერაც“³

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Η Ίερά Μονή του Σταυροῦ..., 69.

² იგულისხმება პატრიარქი დოსითეოსი (1661-1707 წწ.).

³ Παπαδοπούλου Χρυσοστόμου, Η Ίερά Μονή του Σταυροῦ ..., 69. კარგი ქართულის მცოდნე ახალგაზრდის შერჩევა, პირველყოფლისა, იმ გარემოებამ განაპირობა, რომ არქიმანდრიტმა სერგიმ, რომელმაც საქართველოში ოცდაორი წელი გაატარა, უკან დაბრუნების ნება ითხოვა. ქრისნანთოსმა არქიმანდრიტს უკან დაბრუნების ნება მისცა და ისიც აცნობა, რომ მისი დაწინაურება გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მისი შემცველელი ბერმონოზონი მაშინვე წარმოგზავნა, სერგის თხოვა, რომ მანამდე დარჩენილიყო საქართველოში, სანამ დაწყებულ საქმეებს (მათ შორის სტამბის საქმესაც) ბოლომდე არ მიიყვანდა. იმ ოცდაორი წლის განმავლობაში სერგის ქართული იმდენად კარგად შეუსწავლია, რომ თარჯიმნის მოვალეობასაც ითავსებდა. სავარაუდოდ, ქრისნანთოსს ქართულის მცოდნე ახალგაზრდა, პირველყოფლისა, მთარგმნელად სჭირდებოდა. თუმცა, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ მას, ისევე როგორც

წერილის ბოლოს ქრისანთოსი არქიმანდრიტ სერგის ავალებდა: ვახტანგ მეფისათვის შეეხსენებინა, რომ მადლობის წერილი მიეწერა ვლახეთის ჰეგემონისათვის, სასტამბო საქმის მცოდნის საქართველოში წარმოგზავნის გამო.¹

ვფიქრობ, მოხმობილი ამონარიდები ნათელი დასტურია იმისა, რომ სასტამბო საქმის მცოდნე მიხეილ იშტვანოვიჩი² საქართველოში ვლახეთის ვოევოდამ წარმოგზავნა და ეს იერუსალიმის პატრიარქების: დოსითეოსისა და ქრისანთოსის შუამდგომლობით მოხდა. ქრისანთოსის წერილის ეს მონაკვეთი მეტად მნიშვნელოვანია ქართული სტამბის დაარსების ისტორიისათვის, რადგან კამათი იმის შესახებ, თუ ვისი იდეა იყო ან ვისი ხელშეწყობით დაარსდა თბილისში ქართული სტამბა, დღემდე გრძელდება.³

1709 წელს გაგზავნილი ერთ-ერთი სხვა წერილით ქრისანთოსი ვახტანგ მეფეს ატყობინებდა: „ვიპოვეთ ბევრი

მის წინამორბედ პატრიარქ დოსითეოსს, თბილისის სტამბის დაარსება არ აკმაყოფილებდა და სურვილი ჰქონდა ქართული წიგნები მის სამფლობელოშიც დაბეჭდილიყო. ვფიქრობ, არქიმანდრიტმა სერგიმ პატრიარქს ეს თხოვნაც შეუსრულა, რადგან ქრისანთოსის მიერ სხვადასხვა სასულიერო პირთა მიმართ გაგზავნილ წერილებში ფიგურირებს ვინმე მელეტიოს იბერიელი, რომელსაც ქრისანთოსის წერილები და დანაბარები მათთან მიჰქონდა, იხ.: Σαφειοῦ Λεοντοπόλεως, «Πατριαρχῶν Γράμματα, Α' Χρυσανθοῦ Ιεροσολύμων», Νέα Σιών, ΚΖ' (1932), σσ. 535-550, 561-596, 625-633, 689-697.

¹ იქვე, გვ. 69.

² ბერძნულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიხეილ იშტვანოვიჩი მოიხსენიება როგორც მიხეილ სტეფანუ (Μιχαήλ Στεφάνου). არ ვიცი რამდენად სწორია, მაგრამ იმავე ლიტერატურის თანახმად, მიხეილ იშტვანოვიჩი წარმოშობით ბერძენი იყო.

³ ვრცლად ამის შესახებ იხ.: ე. მამისთვალიშვილი, საქართველოსა და იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 2008, 103-118.

იბერიული წიგნი, დიდი ზომის თუ მცირესი, რომელთაგან ბევრი, სიძველის გამო, დაზიანებულია, არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. თუმცა, ბევრი კარგადაა შენახული – განსაკუთრებით დიდი წიგნები. ეს წიგნები შევავროვეთ და მოვათავსეთ ბიბლიოთეკაში ჯვრის მონასტრისა, რომლის რამდენიმე კელიაც ახლახან შევაკეთეთ. წიგნების რაოდენობა სამას ტომს აღემატება. ზოგიერთი ისეთი დიდია, რომ ადამიანს მისი ხელში დაჭერა გაუჭირდება. ლამაზი ნაწერია, მაგრამ, სამწუხაროდ, წაკითხვა არ შეგვიძლია. წიგნებს ესაჭიროება როგორც შეკეთება, ასევე აკინძვა. ამიტომ საჭიროდ ვთვლით, ჩამოვიდეს მანდედან ვინმე სწავლული, რათა ნახოს ისინი და მოაწესრიგოს. საჭირო წიგნები ყდაში ჩასვას და ხარჯს ისევ ჩვენ გავიღებთ. ამასთან, უნდა ვააკეთოს ამ წიგნების კატალოგი, რომელიც თქვენ გამოგვეგზავნებათ, რათა თქვენმა ბრწყინვალეობამაც ნახოს, თუ რა წიგნებია. თუ ისეთი წიგნები აღმოჩნდება, რომლებიც მანდ გჭირდებათ, მიუთითეთ რომლებია, რათა გამოგვეგზავნოთ, ვინაიდან არ ვიცით, გამოგვეგზავნეს თუ არა ის წიგნები, რომლებიც ათონის მთიდან გამოითხოვეთ“¹

წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისანთოსი ქართული წიგნებით ვახტანგ VI-ის თხოვნითა და დავალებით დაინტერესებულა. სავარაუდოდ, ვახტანგს სურდა ათონსა და იერუსალიმში დაცული საუკეთესო ხელნაწერები მის მიერვე დაარსებულ სტამბაში დაებეჭდა, მაგრამ, სამწუხაროდ არ დასცალდა.

ამ წერილის გამო, ბერძენი მკვლევრები ქრისანთოსს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის დამარსებლად მიიჩნევენ. ცხადია, ისინი არ უარყოფენ, რომ ჯვრის

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Ἡ Ἱερά Μονή τοῦ Σταυροῦ..., 68.

მონასტერში დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკა, მაგრამ იმ გარემოებას, რომ ქრისანთოსმა თავი მოუყარა სხვადასხვა მონასტერში გაფანტულ ხელნაწერებს და ჯვრის მონასტერში დააბინავა, მონასტრის ახალი ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევენ. არც იმას უარყოფენ, რომ მოგვიანებით ჯვრის მონასტრის ახალი ბიბლიოთეკიდან, რამდენიმე ხელნაწერი სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა, ზოგი გაიყიდა, ზოგი კი უკვალოდ დაიკარგა.¹

ქრისანთოსისა და ვახტანგ VI-ის თანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითად მიმაჩნია აგრეთვე ქრისანთოსის მიერ არქიმანდრიტ სერგისადმი გაგზავნილი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ VI-ს მისთვის უთხოვია ისეთი მაგნიტი, რომელიც „250 დრამ რეინას ასწევდა“. ამის საპასუხოდ ქრისანთოსი წერდა: „ჩვენ შემოვიარეთ თითქმის მთელი ევროპა, ვაკვეცანით ყველა ქრისტიანულ სამეფოს, მათ აკადემი-

¹ კირილე ათანასიადისი გვიამბობს, რომ 1822 წ. იერუსალიმში ჩავიდა „რომელიდაც იბერიელი დიდებული წმიდა ადვილების მოსალოცად. მოინახულა პატიოსანი ჯვრის მონასტერი და მისი ბიბლიოთეკაც; დიდი თხოვნის შედეგად, ბიბლიოთეკიდან წაიღო იბერიულ ენაზე დაწერილი არც თუ მცირე რაოდენობის პერგამენტის ხელნაწერები, იმ პირობით, რომ შესწავლის შემდეგ, დააბრუნებდა, მაგრამ მათ საშუალოდ იბერიის ბიბლიოთეკებში დაიდეს ბინა“. მისივე თქმით, 1826 წელს, რამდენიმე ქართული ხელნაწერი ინგლისელ მისიონერებს მიჰყიდა წმ. საბას მონასტრის ბერმა პაისიოსმა, რომელსაც იმ დროს ჯვრის მონასტრის ზედამხედველობა ჰქონდა დავალებული (Κυρίλλου Ἀθανασιάδου, Περὶ τῆς Βιβλιοθήκης τῆς Μονῆς τοῦ Σταυροῦ, Ἱεροσολυματικῆ Βιβλιοθήκη τ. Γ', 1897, σ. 310, 314). ქრიზოსტომოს პაპადოპულოსის აზრით, კირილე ათანასიადისის მიერ დასახელებული ქართველი დიდებული, თავადი ავალონია, რომელმაც, ა. ცაგარელის თანახმად, იერუსალიმიდან წამოიღო 7 ხელნაწერი, რომლებმაც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აზიურ მუზეუმში დაიდეს ბინა (А. Цагарели, დასახ. ნაშრ., გვ. 101).

ებსა და სასწავლებლებს, მაგრამ ასეთი მავნიტი ვერსად აღმოვაჩინეთ, გარდა საფრანგეთის სამეფოს ქ. პარიზისა, ისიც სამეფო სასახლეში, იქ, სადაც მეფეს მათემატიკოსები და ასტრონომები ჰყავს; ერთ-ერთი სახლის ცენტრში მსხვილ ჯაჭვზე ჰკიდია დიდი მავნიტი, რომელიც სწევს არა თუ დრამებს, არამედ ოყებს. ამ ქვეყნად ის ერთადერთია, მისნაირი სხვა არ არსებობს. დიდი გარჯის ფასად, აქ ვიპოვეთ ერთი მავნიტი, რომელიც ორ თუ სამ გრამს იწონის, მაგრამ ორმოც დრამს სწევს. ეს დაუჯერებელია მათთვის, ვისაც ამის შესახებ მხოლოდ სმენია, მაგრამ არ უნახავს. მისი მფლობელია ერთი ინგლისელი, რომელსაც ვთხოვეთ, მოეყიდა. საფასურად 200 ვენეციური ფლორი მოითხოვა“¹

ვფიქრობ, მოხმობილი ამონარიდები ნათელი დასტურია იმისა, რომ მეფე და პატრიარქი განათლებისა და მეცნიერების სიყვარულმა ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა.² ქართლის სამეფოში განვითარებული ავბედითი მოვლენები რომ არა, ისინი კიდევ ბევრ საინტერესო და სასარგებლო საქმეში ითანამშრომლებდნენ.

1715 წელს ქრისანთოსმა გამოაქვეყნა სქელტანიანი ნაშრომი «ΣΥΝΤΑΓΜΑΤΙΟΝ» (სინტაგმატიონ). ამ წიგნში თავმოყრილია როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ასევე წმიდა საფლავის ეკლესიის კონსტანტინეპოლის მეტოქის ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურისა და ოფიციალის შესახებ. ქრისანთოსის უდიდესი დამსახურე-

¹ Χρυσοστόμου (Παπαδοπούλου), Η Ίερά Μονή του Σταυροῦ..., 66.

² აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ასეთი ცნობა: „ცხუ - 1709 წ. ვახტანგმა იწყო სწავლა ასტრონომიისა, გაკეთილებს აძლედა პატრების უფროსი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 47.

ბაა, რომ მან შეისწავლა ამ სტრუქტურათა დინამიკა და წარმოადგინა ის ცვლილებები, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურასა და ოფიცოზში XVIII საუკუნემდე მომხდარა. ქრისანთოსის ამ წიგნს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი აქტიურად გამოიყენება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

ეს წიგნი ჩვენთვის იმიტომაც საინტერესოა, რომ შეიცავს ცნობებს საქართველოსა და მისი ეკლესიის შესახებ. მართალია, ზოგიერთ ცნობას დაზუსტება სჭირდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქრისანთოსი, ისევე როგორც მისი ბიძა, პატრიარქი დოსითეოსი, ეჭვ ქვეშ არ აყენებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას.¹

¹ „საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ეწოდებოდა, ჰყავთ ორი ავტოკეფალი მთავარეპისკოპოსი, რომლებსაც, მათი ჩვეულების თანახმად, ეწოდება კათოლიკოსი და არა მთავარეპისკოპოსი, და, ასე მხოლოდ თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს და წერენ, მოიხსენიებიან აგრეთვე უნეტარეს მთავარეპისკოპოსებად; ამათგან ერთს, ე.ი. ქვემო იბერიისას, ეწოდება კათოლიკოსი იმერთა, ოდიშისა, გურიისა და სრულიად ქვემო იბერიისა, ან უბრალოდ: უნეტარესი კათოლიკოსი სრულიად იბერიისა, ვითარცა აღმატებულს ზემო იბერიის კათოლიკოსზე; მეორე კი, ანუ ზემო იბერიისა, [მოიხსენიება] როგორც უნეტარესი კათოლიკოსი ქართლისა, კახეთისა, ალბანეთისა და სრულიად ზემო იბერიისა.. ქვემო იბერია ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის ტახტს და მისი მიტროპოლიტი იყო მიტროპოლიტი ფაზისისა.. ეს სამთავარეპისკოპოსო რომელი კრების ან რომელი იმპერატორის დროს ჩამოყალიბდა, ზუსტად არ არის ცნობილი.. ზემო იბერია ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა; ავტოკეფალურ სამთავარეპისკოპოსოდ ჩამოყალიბდა ბასილევს კონსტანტინე მონომახისა და ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს დროს, რის შესახებაც ასე წერს ბალსამონი კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონში“, Χρυσόβαθμον, Συνταγματικόν, Ἐνετίησι, 1778, 96 [თარგმანი ჩემია - თ.მ].

1720 წლის აპრილში ქრისანთოსი პეტრიწონის მონასტერს სწვევია. მონასტრის ტიპიკონზე (როგორც ქიოსის, ასევე ბუქარესტის ნუსხაზე) მინაწერი დატოვა. ქიოსის ნუსხის მინაწერი შესრულებულია 7 აპრილს, ბუქარესტისა – 13 აპრილს. ბუქარესტის ნუსხის თანახმად, ქრისანთოსს ტიპიკონის ერთი ასლი დაუმზადებინებია და თან წაუღია («Ἦς τινος καὶ τὸ ἴσον μεταγράψεν ἔλαβον σὺν ἔμοισ»),¹ რაც იმის იმედს იძლევა, რომ ოდესმე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის კიდევ ერთი ასლი გამოვლინდება.

მას შემდეგ, რაც ვახტანგ VI ირანიდან დაბრუნდა (1719 წ.), ქრისანთოსს მასთან ურთიერთობის განახლება მოუწოდებია. ამის დასტურია ქრისანთოსის დღემდე გამოუქვეყნებელი ერთი წერილი, რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში (№42). წერილი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ქრისანთოსი ადასტურებს, რომ მისი მიმტანი, არქიმანდრიტი ავქსენტი, წარმოშობით იბერიელია; წმიდა საფლავის კინობიური მონასტრის წევრია და, იბერიელთა ჩვეულებისამებრ, ერთგულად ემსახურება სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიას. იმას, თუ რა მიზანი ამოძრავებდა ქრისანთოსს ამ ნაბიჯის გადასადგმელად, როგორც ჩანს, აქრიმანდრიტი მეფეს თავად მოახსენებდა.

ქრისანთოსის წერილი გამოგზავნილია კონსტანტინეპოლიდან, 1724 წლის 25 აპრილს. იმავე წლის ნოემბერში ვა-

¹ K. Αμάντου, Χειρόγραφα τῆς Μονῆς τοῦ Γρηγορίου Πακουριανοῦ παρὰ τὸν Στενήμαχον, Θρακικά, τ. 10ος, Ἐν Ἀθῆναις, 1938, 236. იხ. აგრეთვე: ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971, 48.

ხტანგ VI რუსეთს გაემგზავრა. ამიტომ მათი თანამშრომლობა ველარ განახლდა.

აი, სულ ეს არის, რაც ჯერჯერობით იერუსალიმის პატრიარქ ქრისანთოსის საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ მოვიპოვე. საბერძნეთში ყოფნისას გავიგე, რომ უკვე კარგა ხანია მზადაა გამოსაცემად იერუსალიმის პატრიარქების: დოსითეოსისა და ქრისანთოსის წერილები, მაგრამ მათ დაბეჭდვას ხელი შეუშალა იმ კრიზისმა, რომელმაც ამ ბოლო ათწლეულში საბერძნეთი მოიცვა. იმედი მაქვს, ამ წერილებში ჩვენთვის საინტერესო მასალაც გამოვლინდება.

დამოწმებანი:

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), კათალიკოსი დომენტი IV, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2014, 5-38.

გვინჩიძე ო., ანთიმ ივერიელი, თბ., 1973.

გაბაშვილი ტიმოთე, მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, პლ. იოსელიანის რედაქტორობით., ტფ., 1852.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

თამარაშვილი მიხეილ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ტფ., 1902.

თამარაშვილი მიხეილ, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, ტფ., 1900.

- კეკელიძე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
- კურდღელაშვილი შოთა, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959.
- მამისთვალისშვილი ელდარ, საქართველოსა და იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 2008.
- ჟორდანიას თედო, მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა XVIII ს., ჟურნ. „ივერია“, 1885, №10, 103-104.
- საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავ. იოსელიანმა, თბ., 1980.
- ტაბალუა ილია, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბ., 1987.
- ტლაშაძე იესე, კათოლიკოზ-ბაქარიანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ. 1895.
- შანიძე აკაკი, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), ძველი ქართული ენის ძეგლები 13, თბ., 1971.
- შარაშიძე ქრისტინე, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722 წწ.), თბ., 1955.
- ხახანაშვილი ალექსანდრე, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტ. I, ტფ., 1904.
- Цагарели А., Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, СПб, 1888.
- Αμάντου Κ., Χειρόγραφα τῆς Μονῆς τοῦ Γρηγορίου Πακουριανοῦ παρὰ τὸν Στενήμαχον, Θρακικά, τ. 10ος, Ἐν Ἀθήναις, 1938, σελ. 234 - 252.
- Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας, τ. Δ', ἐν Πετροῦπολει, 1897.

- Δοσιθέου Ἱεροσολύμων, Περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις πατριαρχεύσαντων, Βουκουρέστιον, 1715.
- Δοσιθέου Ἱεροσολύμων, Παραλειπόμενα ἐκ τῆς ἱστορίας περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις πατριαρχεύσαντων, ἐν: Α. Π. Κεραμέως, Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμίτικης Σταχιολογίας, τομ. Α', 1891.
- Κυρίλλου Ἀθανασιάδου, Περὶ τῆς Βιβλιοθήκης τῆς Μονῆς τοῦ Σταυροῦ, Ἱεροσολυμιτικὴ Βιβλιοθήκη τ. Γ', 1897.
- Οἰκονομίδης Δ., Ἐκδόσεις ἐκκλησιαστικῶν βιβλίων ἐν Μολδοβλαχία, Γεωργία καὶ Συρία, Ἐπ.Επ.Ετ.Βυζ. Σπ., τόμ. 39-40, 1972-1973, σ. 33-42.
- Παπαδοπούλου Χρυσοστόμου (Ἀρχιμανδρίτου, Σχολάρχου τῆς Θεολ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ), Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή, Ἐν Ἱεροσολύμοις, Ἐκ τοῦ τυπογραφείου τοῦ Ἱεροῦ Κοινοῦ τοῦ Παναγίου Τάφου, 1905.
- Παπαδοπούλου Χρυσοστόμου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις, 1970.
- Στάθη Πηνελόπη, Χρῦσανθος Νοταρᾶς, Πατριαρχῆς Ἱεροσολύμων, Πρόδρομος τοῦ Νεοελληνικοῦ Διαφωτισμοῦ (διδασκαλικὴ διατριβή), Ἀθήνα 1995.
- Σωφρονίου Λεοντοπόλεως, «Πατριαρχῶν Γράμματα, Α' Χρῦσανθου Ἱεροσολύμων», Νέα Σιών, ΚΖ' (1932), σσ. 535-550, 561-596, 625-633, 689-697.

Τρύφωνος Σ. Κατσαροῦ (Ιερομονάχου), Ὁ Πατριάρχης
Ἱεροσολύμων Δοσίθεος, διαπρεπῆς θεολόγος τοῦ
ΙΖ' αἰῶνος, Ἀθῆναι 1997.

Χρυσάνθου, Συνταγμάτιον, Ἐνετίησι, 1778.

Tamar Meskhi

*Iliia State University, Giorgi Tsereteli Institute for Oriental
Studies*

**THE PATRIARCH OF JERUSALEM CHRYSANTHUS
(1707-1731) AND GEORGIA
RESUME**

After the Patriarch Dositheos subjected the Monastery of the Cross and other Georgian monasteries to the Brotherhood of the Holy Sepulchre (1685) liaisons between Georgia and the Patriarchy of Jerusalem deteriorated enormously. This was accompanied by the political perplexity of Georgia conditioning that Georgian kings were not able to protect churches and monasteries of Jerusalem as before. Georgian pilgrims did not use to go to the Holy land frequently. Therefore, our knowledge about the condition of Georgian churches and monasteries on the Holy Land in the first half of the 18th century is enclosed by the scant notices reserved in the notes of foreign pilgrims.

In the presented article the letters sent to Vakhtang VI and Catholic Domenton IV by the Patriarch of Jerusalem Chrysanthus are reviewed. These letters were unknown for the Georgian historiography hitherto.

Chrysanthus was the Patriarch of Jerusalem in 1707-1731. Accordingly his letters adduces a very significant source to study relationship between Georgians and Patriarchy of

Jerusalem after the death of Patriarch Dositheos; to research the state of the Monastery of the Cross and other Georgian monasteries and etc.

From the above mentioned letters we can find out that:

I. Chrysanthus was leading the way of Patriarch Dositheos regarding the religious issues. He faced a conflict with Catholic Domenton IV, but the relations were redressing due to a lively interference of Vakhtang VI.

II. Chrysanthus did his best to retain good relations with Vakhtang VI. Therefore he took a vigorous participation in cultural-educational activities of Vakhtang VI: 1. Due to the intercession of Chrysanthus a connoisseur of typography of Vlakheti Voevoda Mihai Ishtvanovich was sent to Georgia. This notice is very essential for the history of establishing Georgian printing-house, because an argue regarding to who possessed the idea of foundation a Georgian printing-house or who assisted in launching it, does not finish. 2. Due to the request and order of Vakhtang VI, Chrysanthus has collected divergent Georgian manuscripts in Jerusalem churches and monasteries and has placed them at the Monastery of the Cross. Also, Chrysanthus was ready to send all those manuscripts to Vakhtang which was required by the King. Whether Chrysanthus has sent the manuscripts, unfortunately it is not clear. 3. Vakhtang VI asked Chrysanthus a magnet that could “*raise 250 dram iron*”. Chrysanthus has searched for this magnet through the whole Europe and supplied the King with the detailed information.

Briefly the love of education and science has closely linked the King and the Patriarch. If the Kingdom of Kartli did not face sinister events, they should certainly cooperate in many remarkable and worthwhile activities. It is not foreclosed ecclesiastical issues would be mended gradually.

მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ჯვაროსნული ლაშქრობის თეორიული პროექტები და
საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში**

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მიზანია ორი საკითხის გამოკვლევა: პირველი, რა როლი უნდა შეესრულებინა ქართულ-რომაული ეკლესიების უნიას ავინიონელი პაპის იოანე XXII-ის (1316-1334) აღმოსავლურ რელიგიურ პოლიტიკაში და, მეორე, რა ადგილი ეკავა საქართველოს ამავე პაპის მიერ წმინდა მიწების დასახსნელად დაგეგმილ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. საკითხის ასე დასმა უშუალოდ გამომდინარეობს ხსენებული პაპის აღმოსავლეთთან ურთიერთობაში დასახული ორი მიზნიდან: პირველი, აღმოსავლეთის მისიების ორგანიზაცია; მეორე, წმინდა მიწების დასაბრუნებლად ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა. ეს პრობლემა ისტორიოგრაფიაში ჯეროვნად შეუსწავლელ თემათა რიცხვს მიეკუთვნება და ამიტომ გახდა იგი ჩვენი ინტერესის საგანი. საკითხი შესწავლილია ძირითადად უცხოური ლიტერატურის საფუძველზე, რომელთა ძირითადი ნაწილი ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემის გარშემო პირველად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში.

ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი ავინიონელი პაპების როლი აღმოსავლეთის მისიების ჩამოყალიბების საქ-

მეში¹. მართალია, პირველი აღმოსავლური მისიები ავინიონში პაპობის დაბინავებამდე დაარსდა და მას თანმიმდევრული ორგანიზაციის სახე ჰქონდა², მაგრამ 72 წლის ავინიონელი პაპი იოანე XXII, წინამორბედი პონტიფეებსისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ენერჯითა და ენთუზიაზმით შეუდგა აღმოსავლეთში სამისიონერო პოლიტიკის გატარებას³ და აქ მისიების ორგანიზაციას⁴. ეს საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა გარკვეული და ამიტომ ჩვენ მასზე იმდენად შევჩერდებით, რამდენადაც კვლევის მიზნისთვის დაგვჭირდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ შემდეგ კონკრეტულ ფაქტებს: 1318 წელს კაფაში⁵, გენუელთა სავაჭრო ფაქტორიაში, წმ. აგნესას ეკლესია, რომელიც 1308 წელს დაინგრა თოხთა ყაენის შემოსევისას,⁶ აღდგენილი იქნა და პაპ იოანე XXII-ის 1318 წლის 26 თებერვლის ბუღით⁷ კათედრალური ეკლესიის სტატუსი მიიღო⁸. მის პირ-

¹ Richard J., *La Papauté et les missions d'Orient au Moen-Age (XIIIe-XVe siècles)*, (2e edition) Rome: Ecole Française de Rome, 1998.

² Ibid, pp.148-152.

³ Golubovich G., *Biblioteca bio-bibliografica della Terra Santa e dell'Oriente francescano*, Quaracchi, Firenze, Vol. II, 1913, p. 238-273.

⁴ Richard J., *Op. cit.*, 175-179.

⁵ თანამედროვე ფეოლოსია-უკრაინა.

⁶ Golubovich G., *Biblioteca bio-bibliografica della Terra Santa e dell'Oriente francescano*, Quaracchi, Firenze, Vol. III, 1919, p. 40.

⁷ ლუკა ვადინგოს მიხედვით, 1320 წლის 4 მარტის ბუღით (*Annales Minorum...Auctore A.R.P. Luca waddingo Hiberno... Tomus sextus, Romae, 1738, p.549*), რაც, ალბათ, ბეჭდვის ან ხელნაწერი დედნის მცდარი წაკითხვითაა გამოწვეული.

⁸ Richard J., *Op. cit.*, pp.157-158; Ryan J.D., *Christian Wives of Mongol Khans: Tatar Queens and Missionary Expectations in Asia// The Spiritual Expansion of Medieval Latin Christendom: The Asia Missions/Ryan J.D. (ed.)*.Farnham: Ashgate Publishing, 2013, p. 292.

ველ ეპისკოპოსად დადგინდა ფრანცისკანელი იერონიმე კატა-
ლონიელი¹, რომელმაც დიდი ენერგია შეაღია კაფას ეკლესი-
ის აღდგენას². 1320 წლისათვის უკვე კაფაში მრავალ ლა-
თინ მისიონერთან ერთად ფრანცისკანელთა ორი მონასტერი
არსებობდა. კაფას³ გარდა ფრანცისკელები მოღვაწეობდნენ
სოლდაიეში, ციმბალოსა (ბალაკლავა) და ყარასუში⁴. კაფას
ეპარქია მოიცავდა ვრცელ ტერიტორიებს „ბულგარეთის ქა-
ლაქ ვარნადან სარაიმდე და შავი ზღვიდან რუთენების (რუ-
სეთის – მ.პ.) ვრცელ მიწამდე (სამთავროებამდე - მ.პ.)“⁵.
1333 წელს ყირიმში კიდევ დაარსდა ორი კათოლიკური სა-
ეპისკოპოსო კათედრა-ხერსონესისა და ბოსფორის⁶. კათოლი-
კე მისიონერებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს უპირატე-
სად მართლმადიდებელ ალანებს, ადილეულებს, ჩერქეზებსა და
ჯიქებს (ზიხებს) შორის⁷.

კაფაში დაფუძნებულ მისიონერთა მონასტერში ბერები
სწავლობდნენ აღმოსავლურ ენებს⁸ და 1330 წლისათვის მათ
უკვე შედგენილი ჰქონდათ ლათინურ-სპარსულ-თურქული სი-

¹ Richard J. La Papauté et les missions..., p.149.

² Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica... Vol.III, p.40, 42, 44.

³ მის შექმნას ცენტრალურ აზიაში ბევრი დროებითი ეპარქიის
დაფუძნება მოჰყვა, რათა კაფასა და ჩინეთის საეპისკოპოსოებს შორის
ლათინური რელიგიური სტრუქტურის სიცარიელე შეევსოთ (Richard J.
Op. cit., pp.156-166). კაფას საეპისკოპოსომ იარსება 1475 წლამდე, ვიდ-
რე ქალაქი არ დაიპყრეს ოსმალებმა.

⁴Ibid.

⁵ Annales Minorum... Auctore A.R.P. Luca waddingo Hiberno...
Tomus sextus, Romae,1738, p.549.

⁶ თანამედროვე ქერჩი-უკრაინა.

⁷<http://www.pravenc.ru/text/469712.html>

⁸ პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ.,
1995, გვ. 91.

ტყვარი, რომელიც 110 გვერდისაგან შედგებოდა¹, ხოლო მისი მეორე ნაწილი - “Codex Cumanicus” 161 გვერდის მოცულობით შეიცავდა ანდაზებს, თქმულებებს, მოთხრობებს იესო ქრისტესა და ღმრთისმშობელზე². ევროპისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებზე ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენდა 1330-1340 წლებში შედგენილი წიგნი - „Livre de l’Estat du Grant Caan” („დიდი ხანის სახელმწიფოს წიგნი“), რომლის შექმნა მიეწერება თავრიზის ლათინ ეპისკოპოსს იოანე დე კორის³. ჩვენი აზრით, ეს ღონისძიებები უმთავრესად მიმართული იყო იქითკენ, რომ მონღოლთა შორის ქადაგების ლინგვისტური პრობლემები დაძლეულიყო და ამასთანავე ცხოვრებაში განეხორციელებინათ ვენის კრების (1311-1312) გადაწყვეტილება, რომ მისიონერებს შეესწავლათ ადგილობრივი ენები⁴. ამავე კრების მე-11 კანონი ბოლონიის, პარიზის, ოქსფორდისა და სალამანკის უნივერსიტეტებს ავალდებულებდა აღმოსავლური ენების ინტენსიურ სწავლებას⁵. ამით პირველი ბიბლიო ეძლეოდა ევროპაში აღმოსავლეთმცოდნეობას⁶, მაგრამ მისიონერთა ლინგვისტური არაკომპეტენტურობა XIV საუკუნის პირველ ნახევრამდე აქტუალურ პრობლემად დარჩა⁷.

¹ История Казахстана. Алматы, 1997, Т. 2, გვ. 568.

² იქვე, გვ. 234-235.

³ Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica... Vol. II, p.107.

⁴ Muldoon James. Missionaries and the Marriages of Infidels: The Case of the Mongol Mission//The Jurist, 1975, #2-3, p.125-141.

⁵ Хаутала Р., Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империи Монголов в XIII веке. Сходознавство. №57-58. Київ. Інститут сходознавства ім. А.Ю. Кримського Національної академії наук України, 2012. С.163.

⁶ Dr. Hayat Nasser Al-Hajji. The Crusading Deals During the Fourteenth and Fifteenth Century, p.35.

⁷ Хаутала Р., Коммуникативные аспекты..., с.163.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფრანგი და იტალიელი მისიონერებისაგან განსხვავებით, ინგლისელი, გერმანელი და უნგრელი მისიონერები შედარებით ადვილად სწავლობდნენ აღმოსავლურ ენებს¹.

კათოლიკე მისიონერთა გულმოდგინე შრომისა და ილხანთა სამფლობელოში არსებული ფრანცისკელთა ვიკარიატის საფუძველზე 1318 წლის 1 აპრილს პაპმა იოანე XXII-მ ბულით - “Redemptor noster” - ჰულაგუიანთა სახელმწიფოს დედაქალაქ სულთანეში² კათოლიკეთა ეპარქია (ლათ. Archidiocesis Soltaniensis) დაარსა. მის პირველ არქიეპისკოპოსად დაინიშნა დომინიკელი ფრანკო პერუჯელი (Franco da Perugia), რომელიც 1298 წლიდან ეწეოდა მისიონერობას აღმოსავლეთში, კერძოდ, კაფასა და ყივჩაყელ თათრებში მათ ენაზე ქადაგებდა სახარებას³. ერთი თვის შემდეგ მას დაექვემდებარა მცირე აზიაში, სომხეთსა და დასავლეთ საქართველოში (სოხუმში) არსებული საეპისკოპოსოები⁴. 1328-1329 წლებში იგი გარდაიქმნა და თბილისის, სამარყანდისა და კოლამის⁵ საეპისკოპოსოების დაქვემდებარებით უფრო გაფარ-

¹ Tanase Th., Le Royaume de Hongrie et les missions franciscaines dans les régions sous domination mongole du XIIIe siècle au XVe siècle: un exemple de géopolitique religieuse. Annuario. Istituto Romeno di cultura e ricerca umanistica, №5, 2003, p.124.

² სოლთანე, სულთანე-პატარა ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ზენჯანის პროვინციაში, თეირანიდან - 235 კილომეტრზე. ქალაქი დააარსა ჰულაგუიანთა მეოთხე ილხანმა არღუნმა (1284-1291). მისი მშენებლობა 1313 წელს დაასრულა ილხანმა მუჰამედ ხუდაბანდემ ოლჯეითუმ (1304-1317).

³[http://www.treccani.it/enciclopedia/franco-daperugia_\(Dizionario-Biografico\)/](http://www.treccani.it/enciclopedia/franco-daperugia_(Dizionario-Biografico)/)

⁴ Richard J., Op. cit. p.97, 127.

⁵ კოლამი (ინგლ. Collam) ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში, კერალის შტატში.

თოვდა¹. ერთი სიტყვით, ავინიონის კურიას მონღოლთა გაქრისტიანების დიდი იმედები ჰქონდა. უფრო მეტიც; „...პაპები ოცნებობდნენ ეხილათ გარდაქმნილი მონღოლი მთავრები, რომლებიც უნიფიცირებულნი და დამორჩილებულნი იქნებოდნენ“². ამის შთაბეჭდილებას ილხანები, როგორც ჩანს, წინასწარი განზრახვით ქმნიდნენ “... პაპობის მეთაურობით დასავლელი სუვერენებისაგან... დახმარების მიღების იმედით... და თამაშობდნენ დასავლეთის ოპტიმისტური პასუხების...”³ შესაბამისად. ყოველივე აქედან გამომდინარე, შემთხვევით როდი არჩევდნენ უცხოელებთან ურთიერთობაში გამოცდილ, აღმოსავლური ენების მცოდნე, ინტელექტუალურად მომზადებულ მენდიკანტ ძმებს, რომელთაც მატერიალურად და ფინანსურად უზრუნველყოფდნენ. ეს საბაზისო პრინციპები, კურიის შეხედულებით, უზრუნველყოფდა იმას, რომ „...მათ (მენდიკანტ ძმებს - მ.პ.) მონღოლთა კარზე სტრატეგიული პოზიციები დაეკავებინათ“⁴.

მკვლევარი რ. ხაუტალა მართებულად შენიშნავს, რომ მონღოლთა იმპერიაში სამისიონერო საქმიანობის განვითარებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მისიონერთა ცენტრების ორგანიზებას. „თბილისში დომინიკელთა კონვენტის შექმნა მიღებულია დაუკავშიროთ პაპ გრიგორი IX-ის 1240 წლის 13 იანვრის *Gaudeamus igitur*-ს, რომელიც გაეგზავნა მეფე რუსუდანს, როგორც პასუხი მო-

¹ Cristine Gadrat-Ouerfelli. Avignon, porte pour l’Orient. Première moitié du XIVe siècle. Villes méditerranéennes au Moyen Age. Rpresses Universitaires de Provence, 2014, p.298.

² Tanase Th., Op. cit., p.115.

³ Leopold A., How to Recover the Holy Land. The Crusade Proposals of the Late Thirteenth and Early Fourteenth Centuries. Burlington.Vermont:Ashgate, 2000, p.117.

⁴ Tanase Th., Op. cit., p.115.

წოდებაზე, მონღოლების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების შესახებ¹. პაპი გრიგორი IX შეუძლებლად მიიჩნევდა ჯვაროსნების გამოგზავნას კავკასიაში საქართველომდე განსაკუთრებული სიმორისა და ერთდროულად ესპანეთის მავრებთან ბრძოლის გამო; მაგრამ რუსუდან მეფეს ამშვიდებდა რვა დომინიკელის გამოგზავნით, რომელთაც ადგილობრივ ქრისტიანებსა და ამიერკავკასიის მუსლიმებს შორის უნდა დაეწყოთ სახარების ქადაგება². რ. ხაუტალა ასევე სწორად მიიჩნევს, რომ „თბილისის კონვენტის დომინიკელები ასევე ოსტატდებოდნენ ქართული და სომხური ენების შესწავლაში. მაგრამ გაგვანჩია საკმაოდ დამაჯერებელი მოწმობა, რომ დომინიკელები სწავლობდნენ სპარსულ ენას“³. პაპ ინოკენტი IV-ის 1254 წლის 25 თებერვლის ბულა - “Cum dilectos filios” - ადასტურებს, რომ ქართველ პრელატებს მონღოლთა შორის მისიონერული საქმიანობის გაშლის რეკომენდაცია ეძლეოდათ⁴. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში კათოლიკობამ გზა კარგად გაიკვლია. იმ დროს, როცა ჰულაგუიანთა ისლამიზაციის საფრთხე (XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან) რეალური გახდა⁵, პაპის კურია დაუყოვნებლივ

¹ Хаутала Р., Коммуникативные аспекты..., с.170.

² Richard J., Op. cit., p.55, 78.

³ Хаутала Р., Коммуникативные аспекты..., с.170-171.

⁴ იქვე, გვ. 171..

⁵ 1295 წელს ყაზან ყაენის (1295-1304) მიერ მუსლიმობის მიღებით დასრულდა მონღოლთა ტრადიციული შემწვანარებლური რელიგიური პოლიტიკა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მონღოლთა დიდი ტრანსფორმაცია დაიწყო. ამას მოჰყვა ყაზანის ბრძანება თავრიზში ყველა ეკლესიის განადგურების შესახებ. თუმცა მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთთან ალიანსის პოლიტიკას მიმართავდა. უფრო მეტიც, ის „1302 წლის 12 აპრილს რომის პაპს ბონიფაციუს VIII-ს, ინგლისის მეფე ედუარდ I-ს და ჰაიმე II არაგონელს წერდა, რომ ისლამზე უარს იტყოდა და

დაიწყო აპოსტოლატის გაძლიერება¹, რადგან მას უწევდა შეჯიბრება მსოფლიო რელიგიებთან. კერძოდ, ისლამთან და რუსულ მართლმადიდებლობასთან. მონღოლთა რელიგიური ინდიფერენტის პირობებში², XIII საუკუნის II ნახევრიდან რუსეთის სასულიერო პირთა მისიონერობამ იმ შედეგს მიაღწია, რომ XIV საუკუნის I ნახევარში ოქროს ურდოს ეთნოპოლიტიკურ სისტემაში სტაბილურად ფუნქციონირებდა მართლმადიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია³. ასეთ ვითარებაში მონღოლთა იმპერიაში საკუთარი საეკლესიო ორგანიზაციის განმტკიცების მიზნით პაპობის აღმოსავლურ რელიგიურ პოლიტიკაში საქართველოს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამგვარი ურთიერთკავშირით დასრულდა XIII საუკუნე საქართველო-წმინდა ტახტის ურთიერთობაში.

XIV საუკუნის დასაწყისში (1303-1313 წწ.) საქართველოში მრავალმა ფრანცისკელმა და დომინიკელმა მისიონერმა მოიყარა თავი. მათი მთავარი ამოცანა რომის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიის შეერთების საკითხის მომზა-

ქრისტიანად მონათლუბოდა, თუ ისინი შეუერთდებოდნენ ალიანსს ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ“. ანალოგიურ პოლიტიკას მიმართავდა ბავშვობაში ქრისტიანად მონათლული, მოწიფულ ასაკში ბუდიზმში გადასული, ხოლო ბოლოს სუნიტურ ისლამზე მოქცეული ოლჯეითუ (Kenneth Scott Parker. *The Indigenous Christians of the Arabic Middle East in an Age of Crusaders, Mongols, and Mamluks* (1244-1366). Royal Holloway College, Univerity of London, 2012, pp.183-196).

¹ Hautala R. Latin Sources on the Religious Situation in the Western Mongol Uluses in the late 13th early 14th centuries. *Научный ежегодник. Золотоордынская цивилизация*, 2013, №6, Казань, 2013, p. 274.

² Малышев А. Б., *Христианство в истории Золотой Орды*. Автореф. дисс. канд. ист. наук. Саратов, 2000.

www.disercat.com/content/khristianstvo-v-istorii-zolotoi-ordy.

³ იქვე.

დება და გადაწყვეტა იყო¹. ამ მიმართულებით თუ რას აღ-
წევდა ორივე მხარე, ჩვენ არ ვიცით. პაპობის ტრადიციული
ზრუნვა ეკლესიათა ერთიანობისათვის საქართველოში დავის
საგანი არ ყოფილა და ქართველთა მხრიდან პაპობაზე შესა-
ძლო მოკავშირის წარმოდგენას არ აფერმკრთალებდა. ალბათ,
ამის შედეგი იყო ის, რომ ჩვენს ქვეყანაში კათოლიკობის მი-
მართ სრულიად შემწყნარებლობას იჩენდნენ და უკვე ზოგი-
ერთი ქართველი მისიონერებთან უშუალო მუშაობაშიც ჩაე-
ბა². ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს დიმიტრი თბილი-
სელის მოწამეობრივი სიკვდილი 1321 წლის 5 აპრილს ინ-
დოეთს ქალაქ თჰანაში სამ ფრანცისკელ მისიონერთან ერ-
თად³. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, როცა პაპი იოანე XXII
კითხულობდა ჯორდან კატალას წერილს ფრანცისკელი მი-
სიონერების მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, ცრემლებს
ვერ იკავებდა⁴. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენ, სამწუ-
ხაროდ, არ ვიცით რით იყო განპირობებული იმ ქართველთა
კონფესიური არჩევანი, რომლებმაც კათოლიკობა მიიღეს: მი-
სიონერთა აქტიური ქადაგებით, რომელთა პროზელიტური
საქმიანობა ნაკლებად გათვითცნობიერებულ ფენებში ეფექტუ-

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 28; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 93.

² პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., თბ., 1995; ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა..., (XIII-XVI სს.), გვ. 91-92.

³ *Annales Minorum...Auctore A.R.P. Luca Waddingo Hiberno... Tomus sextus, Romae, 1738, p. 353*; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 28-29; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., (XIII-XVI სს.)...გვ. 94. დიმიტრი თბილისელის სომხური წარმომავლობა ამ შემთხვევაში მხედველობაში არაა მისაღები.

⁴ Golubovich G., *Biblioteca bio-bibliografica...*, Vol. II, 1913, p. 81.

რი აღმოჩნდა? მმართველი ელიტის პოლიტიკური ინტერესებით? პირადი სიმპათიებით? სოციალური მიზეზით? კულტურული მიზეზით? ეს ფაქტორები შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველომ გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346) წყალობით განვლილი დიდება დაიბრუნა. პოლიტიკურად გამაგრებისა და განმტკიცების შედეგად საქართველო ეკონომიკურად და პოლიტიკურად მოღონიერდა. ეს ძალზე დაეტყო თბილისს. ქრისტიანულ სამყაროში აღორძინებულმა საქართველომ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რაც საქართველოში მოღვაწე მისიონერებს საქმიანობაში ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ეს ფაქტი რომის ავინიონელ პაპს იოანე XXII-ს კათოლიკე მისიონერთა ერთმა ნაწილმა მოახსენა. ჩანს, გიორგი V-ის თუ სურვილს არა, რომისადმი მის კეთილგანწყობას ეყრდნობოდნენ, ალბათ, მისიონერები, როცა პაპს ეკლესიათა გაერთიანების შესაძლებლობაზე მოახსენებდნენ. ასეთი ცნობით კმაყოფილმა პაპმა საქართველოში მისიონერთა ახალი ჯგუფი გამოგზავნა და მათ ვრცელი ეპისტოლე (1322 15 ოქტომბრით დათარიღებული) გამოატანა მეფე გიორგი ბრწყინვალესთან. პაპი ქართველთა „უბრწყინვალეს მეფეს“ წერდა: „ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალი ქრისტესათვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას და ნაკლებად მნიშვნელოვნად არ ჩაითვალოს ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში უფლის შეგონებით და ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით ვაკეთებთ. ეს მორჩილი ძმები დაკავებულნი არიან თქვენი და თქვენის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ხალხთა განათ-

ლებით, წმინდა საღვთო წერილის ავტორიტეტის დახმარებით, რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ¹.

პაპი გიორგი V ბრწყინვალეს თხოვდა, რომ მისი მოწოდება თავის დიდებულებთან ერთად შეესრულებინა. ამავე დროს არწმუნებდა, რომ ის მატერიალურად სულ არ იყო დაინტერესებული. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რომთან შეერთება არ დაეყოვნებინა იმ საბაბით, რომ „ეს შეუძლებელია საყოველთაო კრების (მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის - მ.პ.) გარეშე, ჩვენ გიპასუხებთ: კეთილგანწყობით ვუყურებთ ასეთი კრების მოწვევას თქვენთვის და თქვენი ახალშემენილთათვის; მზად ვართ, თქვენი რწმუნებულებები და დესპანები პატივითა და გულითადობით მივიღოთ“. ამავე მოწოდების სასარგებლოდ გიორგი მეფის დადებითი გადაწყვეტილების იმედით აღფრთოვანებული პაპი ამავე წერილში წერდა: „მოვაწყობთ ქრისტეს მიერ საყოველთაო ლხინის ყველა მორწმუნეთათვის და აღფრთოვანებით და სიხარულით გამოვაცხადებთ, რომ კათოლიკური ეკლესია დაუბრუნდა თავის თავდაპირველ მშვენიერებას“². ეს წერილი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზეიმო ტონით, არამედ თავისი მიზანდასახულობით. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, პაპობა საქართველოში შეეცადა უნიის საკითხის განხილვას დაბრუნებოდა, რისთვისაც საქართველოს მეფეს „მინორიტეტის ორდენის საყვარელ შვილებს, მორჩილ ძმებს, ...სახელოვან ადამიანებს“³ უგზავნიდა. გიორგი V-ს უნიის საკითხების

¹ ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., (XIII-XVI სს.), გვ. 207.

² იქვე, გვ. 208; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 29-31; Archivio Segreto Vaticano, Registro Vaticano, vol. 62, ff. 5v-7.

³ Archivio Segreto Vaticano, Registro Vaticano, vol. 62, f. 5v.

³ Archivio Segreto Vaticano, Registro Vaticano vol. 62, f.7.

განსახილველად ეს პატრები დაბალი რანგის სასულიერო პირებად რომ არ მიეჩნია (ჩანს, მას პაპი თავისი ლეგატების ფუნქციას აკისრებდა - მ.პ.), პაპი აქვე განმარტებას იძლეოდა: „ჩვენ შეგვეძლო, თუ ჩავთვლიდით უფრო სასარგებლოდ და სასიამოვნოდ თქვენთვის გამოგვეგზავნა საეკლესიო პრელატები ან სხვა დიდებული პირები, მაგრამ საჭიროდ არ ჩავთვალეთ. მათ (მინორიტებს, ანუ ფრანცისკელებს - მ.პ.), როგორც ეს ჩვენ გვსურს, წარმატებით მოელაპარაკეთ ყოველივე ზემოაღნიშნულზე, განსაკუთრებით მშვიდობიან ურთიერთობაზე...“¹; მეორე, თუ ეკლესიათა გაერთიანება საქართველოში მიიღწეოდა, წმ. ტახტი, ლიონის უნიის ჩაშლის შემდეგ, თავის ავტორიტეტს აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში განამტკიცებდა. მესამე, როგორც ირკვევა, პაპმა იოანე XXII-მ უნიის საკითხში, რადგან ბიზანტიაში მას შედეგი არ მოჰყვა, უპირატესობა საქართველოს მიანიჭა, მაგრამ ძნელია ითქვას ეს გაერთიანება პაპს ლიონის უნიის, თუ რომელიმე სხვა საფუძველზე ჰქონდა წარმოდგენილი. თუ ქართული მხარე ამ გაერთიანებაზე მსოფლიო საეკლესიო კრების გარეშე უარს განაცხადებდა, პაპი მზადყოფნას გამოთქვამდა ასეთი კრების მოწვევაზე; თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ლიონის უნიის შემდეგ აღმოსავლეთში წმინდა ტახტისათვის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავისი მნიშვნელობით კონსტანტინოპოლის ადგილს იკავებდა. სხვას არაფერს ნიშნავს პაპის სიტყვა, რომ ეკლესიათა გაერთიანების შემდეგ „სიხარულით გამოვაცხადებთ... კათოლიკური ეკლესია დაუბრუნდა თავის თავდაპირველ მშვენიერებას“ (უნდა ვიგულისხმოთ მნიშვნელობას - მ.პ.). ამის სასარგებლოდ მოვიტანთ შემდეგ არგუმენტს: ლიონის უნიის „დავიწყების“ შემდეგ, მარ-

¹ იქვე, ფურც. 7; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., (XIII-XVI სს.), გვ. 208-209.

თალია, 1324 წლიდან 1327 წლამდე ბიზანტიის, საფრანგეთის სამეფო კარსა და ავინიონში ძლიერ სურდათ სქიზმისათვის ბოლო მოეღოთ¹, მაგრამ მხოლოდ 1350 წელს შედგა ბიზანტიის იმპერატორ იოანე VI კანტაკუზენის (1347-1354) მოლაპარაკება პაპ კლემენტე VI-ის (1342-1352) ლეგატებთან ახლო ორ წელიწადში კონსტანტინოპოლში მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ, რათა დოგმატური საკითხები განეხილათ, თუმცა უშედეგოდ². ერთი სიტყვით, თუ ეკლესიათა გაერთიანება მოხდებოდა, პაპ იოანე XXII-ის თვალსაზრისით, ქართული მართლმადიდებლური სამყარო ქრისტიანულ სივრცეში ყველაზე საუკეთესო კუთხით წარმოჩნდებოდა. საკუთრივ კი ფრანცისკელი მისიონერები წმინდა ტახტის აღმოსავლური პოლიტიკის განვითარებაში დომინიკელებთან ერთად ცენტრალურ ადგილს დაიკავებდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რომის პაპ იოანე XXII-ის მოწოდებას რა პასუხი გასცა გიორგი ბრწყინვალემ, ან რა აზრის იყო ეკლესიათა გაერთიანების საკითხზე. ჩანს, ამ იდეას საქართველოში ჰქონდა საყრდენი, მაგრამ იგი არარეალური გამოდგა. ეს იმიტომ, რომ მას მაინც ფრთხილად ეკიდებოდნენ და რომის ანალოგიურ მიზნებში თანმიმდევრულად ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იცავდნენ. ან შესაძლებელია, საეკლესიო უნიას დიპლომატიურ საშუალებად იყენებდნენ. ამასთან დაკავშირებით ძალზე სუსტ არგუმენტად მივიჩნევთ პატივცემულ მ. თამარაშვილის მიერ მოხმობილ იმ მიზეზს, რომ „...გიორგი მეფემ ვერ აღასრულა პაპის თხოვნა შეერთების შესახებ... ამ ნათხოვნის... სისრულეში მოუყვან-

¹ Hussey J.M., *The Orthodox Church in the Byzantine Empire*. Oxford University Press, 1986, p. 255.

² Кантакузен Иоанн. Беседа с папским легатом. СПб., 2008, 83-49.

ლობის მიზეზის სხვა არა იყო რა, თუ არა ისა, რომ გიორგი მეფე განუწყვეტლივ გართული იყოს სხვადასხვა საერო საქმეებში და საიმისოდ არ ეცალა¹. სხვა რომ არ ვთქვათ, ეს საკითხის ახსნა არ არის. თუ იმ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, რა წარმატებას მიაღწია მისიონერთა მოღვაწეობამ საქართველოში გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს, უნდა დავეთანხმეთ პატ. მ. თამარაშვილის დასკვნას, რომ „გიორგიმ თანაგრძნობა და მფარველობა აღმოუჩინა საქართველოში კათოლიკე სარწმუნოებას“, რის შედეგადაც „საქართველოს ბევრ პროვინციაში ქართველები გადავიდნენ კათოლიკობაზედ“².

ერთი სიტყვით, ქართული მხარე უარს ამბობდა უნიაზე. ცხადია, ამას შეეძლო დასავლეთთან კავშირის გაწყვეტა მოჰყოლოდა, რაც ქართველ მესვეურებს არ სურდათ. ამიტომ კათოლიკე მისიონერებს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. უნიის მოთხოვნის კონტექსტში ამის ასრულება ძნელი არ იყო და ამავე დროს უნიაზე უარის კომპენსაციას ახდენდა. ასევე მუსლიმთა წინააღმდეგ საერთო საქმე რელიგიურ უთანხმოებებს უკან სწევდა, ხოლო გიორგი V-ის სრულ ტოლერანტობას კათოლიკობის მიმართ პოლიტიკური კონტექსტი გააჩნდა. ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა პაპმა იოანე XXII-მ 1328 წლის 9 აგვისტოს ბულით “Rex Regum Altissimus”³ გააუქმა სმირნის საეპისკოპოსო და აღნიშნული

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 31.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 31; Michel Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 439; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 498; პაპაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 94.

³ Michel Tamarati, L'Eglise..., p. 439.

კათედრა თბილისში გადმოიტანა¹. ეს გადაწყვეტილება ცარიელ ნიადაგზე არ იდგა. თამარაშვილის მართებული აზრით, თბილისში მთელი ეპარქიის გადმოტანა უდავოდ მოწმობს ქართველი კათოლიკეების მრავალრიცხოვნობას საკუთარი სამღვდელოებით. რომში მისიონერების რჩევით დიდხანს უმსჯელიათ კარდინალებს ხსენებული გადაწყვეტილების მისაღებად. საბოლოოდ დაადგინეს, რომ თბილისში აეშენებინათ „საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და უწოდეს თბილისის საეპისკოპოსო ეკლესია“². ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ პაპობას საქართველოს მიმართ არ ჰქონდა ჩაფიქრებული გლობალური გეგმა, მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ამ ეტაპის მიმართ შეუძლებელია. ამის დამადასტურებელი არც ერთი წყარო, როგორც ამ პერიოდის, ასევე მომდევნო საუკუნეების მიმართ არ გაგვაჩნია. ამიტომ შეიძლება განზოგადებულად დავასკვნათ, რომ საქართველოში კათოლიკეთა ეკლესიას არასოდეს უცდია, რომ ქვეყნისათვის თავისი კონფესია მოეხვია თავზე, თუმცა მას ჰქონდა გავლენიანი პოზიცია და განსაზღვრავდა საქართველოს კავშირებს დასავლეთ ევროპასთან³.

ამდენად, პაპ იოანე XXII-ის ეკლესიათა უნიის იდეა მჭიდროდ უკავშირდებოდა მის მიერ ჩაფიქრებული ჯვაროსნული ლაშქრობის იმ გეგმას, რომლის რეალიზაციისათვის მოქმედება ავინიონელმა მამამ ტახტზე ასვლისთანავე დაიწ-

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 32; მისივე, ქართული ეკლესია..., გვ. 498; პაპაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 94.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 32; M Michel Tamarati, L'Eglise..., p. 441. მისივე, ქართული ეკლესია..., გვ. 499.

³ პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII-XV საუკუნეები), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, კრებული I, თბ., 2013, გვ. 105.

ყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1291 წლის 18 მაისს ეგვიპტის ახალგაზრდა მამლუქმა სულთანმა ალ-აშრაფ ხალილმა სირიაში ჯვაროსანთა საყრდენი პუნქტი წმ. ჟან დ'აკრა აიღო. რამდენიმე კვირის შემდეგ ტირი, სიღონი და ბეირუთი ეგვიპტის სულტანატის ხელში გადავიდა. ასე რომ, პირველი ჯვაროსნებისაგან არაფერი დარჩა. თვით აკრას დაცემამ რეალურად დაასრულა იერუსალიმის დაბრუნების პოლიტიკური და სულიერი იმედები. საკუთრივ ასეთმა გარემოებამ წმინდა ტახტის მისიონერულ პოლიტიკას ახალი ასპექტი შესძინა. კერძოდ, წმინდა მიწების დასაბრუნებლად კათოლიკე მისიონერებს უნდა ეღვაწათ აღმოსავლეთის ეკლესიებთან უნიის მისაღწევად, რაც საქართველოს მაგალითზე უკვე ვნახეთ. თითქოს აქ ისე ჩანდა, რომ პაპი იოანე XXII საქართველოს ეკლესიასთან უნიას პოლიტიკურ კონტექსტში საერთოდ არ ეხებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეცდომა იქნება, თუ ასე ვიფიქრებთ. უფრო მეტიც; აკრას დაცემის შემდეგ შექმნილმა საერთო განწყობამ, როგორც ჩანს, შეიარაღებულ ჯვაროსნულ ლაშქრობასთან შედარებით, თეორეტიკოსთა მცირე ნაწილში წარმოქმნა წარმოდგენა, რომ მუსლიმებში მისიონერობას მისცემოდა უპირატესობა. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს კატალანელი მისიონერის, დოქტორ რაიმონ ლულის (1235-1316)¹ აზრი, რომ წმინდა მიწის აღდ-

¹ რაიმონ ლული (ლათ. Raymundus Lullius), თავისი დროის გამოჩენილი სწავლული, პოეტი, ფილოსოფოსი, მწერალი, რამდენიმე ასეული წიგნის ავტორი, მაიორკის კუნძულ ქ. პალმეში დაიბადა. იცოდა აღმოსავლური ენები და განსაკუთრებით არაბული. ლული ითვლება ყველაზე ადრეულ აღმოსავლეთმცოდნედ, რომელმაც ისწავლა არაბული ენა და არაბული პოეზიაც შეთხზა. მას მიაჩნდა, რომ მისიონერებისათვის უცხო ენების ცოდნა აუცილებელია. მან თავის წიგნში - "Liber de Fine" - წამოაყენა ჯვაროსნული ლაშქრობის ახალი სქემა, რომელშიც ყველაზე მისაღებად თვლიდა, თუკი ევროპაში მუსლიმებს გააქრისტიანებდნენ. ეს

გენის ყველაზე საუკეთესო ხერხია მშვიდობიანი მისიონერული მუშაობა, რომელიც მიმართული უნდა იყოს ყველა მუსლიმის გასაქრისტიანებლად¹. მის ამ სქემაში ომი მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა².

მიუხედავად ამისა, სირია-პალესტინის დასაბრუნებლად პაპობის დიპლომატიაში მნიშვნელოვან მომენტს ჯვაროსნული ლაშქრობის განახლებისკენ სწრაფვა წარმოადგენდა. 1309 წელს პირველმა ავინიონელმა პაპმა კლემენტ V-მ (1305-1314) დაგეგმა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა³, რო-

ნაბიჯი, მისი აზრით, საბოლოოდ წმინდა მიწაზე მთელი მუსლიმური სამყაროს უსისხლოდ და ძალდაუტანებლად გაქრისტიანებას მოითანდა (Dr. Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p.38). რაიმონ ლულის აზრით, „ბიზანტიის იმპერიის ინკორპორაცია რომაულ კათოლიკობაში აუცილებელი პირობაა სარკინოზებში, თათრებსა და სხვა არაქრისტიან ხალხებში [კათოლიკური დასავლეთისადმი] პატივისცემის ჩასანერგად“ (Cornel Bonta. La croisade tardive: des plans du début du XIV-e siècle à la défaite de Nicopolis. UniversitéMontréal, 2012, pp. 23).

¹ Cornel Bonta. Op. cit., pp. 22-24;

² Dr.Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p. 38

³ არსებობს მტკიცება რომ ინიციატივა ეკუთვნოდა ოლჯეითუ ყაენს. მან 1307 წელს, ახლა მეორედ, 1305 წლის შემდეგ, ევროპაში ელჩად გაგზავნა ტომაზო უჯი სიენელი (Tommaso Ugi di Siena) საფრანგეთის მეფე ფილიპ IV-სთან და ინგლისის მეფე ედუარდ II-სთან მამლუქების წინააღმდეგ სამხედრო ალიანსის წინადადებით. ტომაზომ პაპ კლემენტ V-ს გადაუშალა დიდი შესაძლებლობა, რომ მონღოლებს შეეძლოთ ქრისტიანებისათვის გადაეცათ წმინდა მიწები. პაპი ოლჯეითუსადმი საპასუხო წერილში ამის გამო დიდ კმაყოფილებას გამოხატავდა (Alireza Karimi, Mahdi Nasiri. The political relations between Iran and Europe during the Mongols period. Ученые записки Таврического национального университета имени В.И. Вернадского. Серия „Филология. Социальные коммуникации“. Том 27 (66). №3. Симферополь, 2014, с. 30). ცნობილია ისიც, რომ კვიპროსისა და იერუსალიმის მეფე ჰენრი II დე ლუზინიანმა (1285-1324) პაპ კლემენტ V-ს შესთავაზა თავისი შეხედულება ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ. მას

მელსაც უმეთაურებდა ჰოსპიტალიერთა ორდენი. ამ მიზნით მან დიდი თანხა - 300,000 ოქროს ფლორინი შეაგროვა¹. „1309 წლის მაისში ჰოსპიტალიერთა ორდენის სარდალმა გი დე სევერაკმა (Guy de Severac) ყველა პრელატს წარუდგინა ბულა და გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პაპმა საფრანგეთის მეფესთან ერთად დანიშნა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელსაც ჰოსპიტალიერთა დიდი მაგისტრი უხელმძღვანელებდა. კვიპროსისა და სომხეთის ქრისტიანებს კი მოუწოდებდა, რომ ამ წმინდა მისიაში საკუთარი წვლილი შეეტანათ ფულისა და მეომრების გაგზავნით“². ამ მიზანმა განხორციელება ვერ პოვა რომში წინააღმდეგობების გამო³. „1313 წელს პაპმა კლემენტ V-მ ისევ მოუწოდა ევროპის ხელმწიფეებს ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ იმ იმედით, რომ ქრისტიანულ სამყაროს მუსლიმებთან შეიარაღებული შუღლიდან შექმლო უპირატესობა მოეპოვებინა, მაგრამ დასავლელი რაინდები და თავადაზნაურები უფრო მოხიბლულნი იყვნენ ტურნირებით, ვიდრე ბრძოლის ველით“⁴. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური სიტუაცია ევროპულ სამყაროში სამუდამ-

მამლუქთა სულტანისა და მუსლიმების სამხედრო ძლიერების დასასუსტებლად ეფექტიან ინსტრუმენტად ეგვიპტისა და სირიის საზღვაო ბლოკადა მიიჩნდა. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „...ევრაგი ქრისტიანების ალაგმვას, რომელთაც ახალი თეთრი მონები მოჰყავდათ, რათა მამლუქთა ჯარი გაეძლიერებინათ...“ (Dr. Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p.29).

¹ Hill George Francis Sir., A History of Cyprus. Vol.II. Cambridge University Press, 1972, p.238; Dr.Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p.30, სქოლიო 2.

² Hill George Francis Sir.,Op. cit., p.239; ; Dr.Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p.30.

³ Dr.Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p.31.

⁴ Setton Kenneth M. The Papacy the Levant (1204-1571). V.I. The thirteenth and fourteenth centuries. Philadelphia. 1976, p.179. შენიშვნა 72.

მოდ არ შეცვლილა და ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა საბოლოო დავიწყებას არ მისცემია.

მოკლედ რომ ვთქვათ, სირიასა და პალესტინაში ჯვაროსანთა ხელისუფლება საბოლოოდ განადგურდა. „ამით ერთი პერიოდი დასრულდა ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიაში და მეორე დაიწყო„¹. წმ. მიწაზე ლათინთა სამეფოების დაცემის შემდეგ სამი-ოთხი ათწლეული გაგრძელდა დაკარგულის აღდგენის პროპაგანდა. ამ მიზნით მეტ-ნაკლები წარმატებით მოღვაწეობდნენ სხვადასხვა პირები (ჰეიტონი, პიერ დიუბუა, მარინო სანუტო ტორსელო, რაიმონდ ლული, ბურკარდი)². მართალია, ახალი კამპანია ჯვაროსნული ლაშქრობის სახელს ატარებდა, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ძველი ექსპედიციებისაგან. მიუხედავად ამისა, მათ ჰქონდათ ერთი საერთო თვისება, დაებრუნებინათ სირიის ქალაქები და წმ. მიწა პალესტინაში. სინამდვილეში ეს იყო სრულიად ახალი პროექტი, თუმცა კარგად ცნობილი ძველი მიზანი ჰქონდა³. მთელი XIV საუკუნის მანძილზე ნოსტალგია წმ. მიწაზე არსებობას განაგრძობდა, რასაც მოწმობენ ამ პერიოდის ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტები⁴. ერთი სიტყვით, დიდხანს სენ ჟან დ'აკრას დაცემა აღიქმებოდა როგორც ეპილოგი და შედეგები განიხილებოდა, როგორც მობრუნების მომენტი⁵. უფლისადმი სამსახური XIV საუკუნის ადამიანისათვის ნიშნავდა მისთვის ბრძოლას, ხოლო ბრძოლა ფაქტობრივად იყო ჯვაროსნული ლაშქრობა. ამ საუკუნის

¹ Dr. Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p. 35.

² Cornel Bonta. Op. cit., pp.15-32.

³ Dr. Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p. 35.

⁴ დაწვრ. იხ: Cornel Bonta. Op. cit., pp. 2-86.

⁵ იქვე, გვ. 86.

ადამიანის ხედვით ჯვაროსნული ლაშქრობა ნიშნავს იმას, რომ ქრისტეს მიწა გათავისუფლდეს მუსლიმებისაგან¹.

ჯვაროსნული ლაშქრობის თეორეტიკოსთა ძირითად საზრუნავს ეგვიპტის მამლუქ სულტანთაგან წმ. მიწების გამოხსნა წარმოადგენდა. მათ შრომებში პოლიტიკური კონტექსტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ჯვაროსნობა პოლიტიკის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა. იგი ასევე სრულად გამოხატავდა სარწმუნოებას და ქრისტიანული სამყაროს ერთიანობას ქმნიდა. ავტორები გულდასმით აღწერდნენ ახალი ექსპედიციის მოწყობის გეგმას (ჯვაროსნების დაფინანსება, ჯარის შეკრება და ორგანიზება, სამხედრო კავშირის წესები, ეგვიპტის საზღვაო ბლოკადა), განიხილავენ სამხედრო კავშირებს, გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს ეგვიპტის ემბარგოსა² და პოლიტიკურ, ტაქტიკურ საკითხებზე³. აქვე არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ ჯვაროსნული ომების დროს მუსლიმები აღმოსავლეთის ქრისტიანებს ფრანკებისადმი, ხოლო შემდეგ მონღოლებისადმი სიმპათიების გამო ეჭვით უყურებდნენ. საბოლოოდ ისე გამოჩნდა, რომ ჯვაროსნულმა მოძრაობამ, რომლის ერთ-ერთი მიზანი აღმოსავლელი ქრისტიანებისადმი დახმარება იყო, ქრისტიანთა მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია იმ ტერიტორიებზე, რომელიც მუსლიმთა ხელისუფლების ქვეშ იყო. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ჯვაროსნული ლაშქრობები უნდა შეწყობოდა ახალ გარემოებებს,

¹ იქვე, გვ. 14.

² დაწვრ. იხ: Stefan K. Stantchev. Embargo: The origins if an idea and the implications of a Policy in Europe and the Mediterranean, ca. 1100-ca 1500. University of Michigan, 2009, pp. 175-236.

³ Cornel Bonta. Op. cit. p.14.

რომელიც ჯერ კიდევ 1274 წლის ლიონის მეორე კრებაზე განიხილებოდა¹.

XIV საუკუნის 10-20-იან წლებში ილხანი მონღოლები (ყაზან ყაენი, ოლჯეითუ) შეეცადნენ, რომ მამლუქთა სირია დაეპყროთ. ამ ბრძოლაში ილხანები ცდილობდნენ პაპობის, არაგონის მეფის, საფრანგეთისა და ინგლისის მონაწილეობით მამლუქთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შეექმნათ², მაგრამ სამხედრო ალიანსის გეგმებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამასობაში ირანისა და მამლუქთა სასულტნოს 61 წლიანი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება დასასრულს უახლოვდებოდა. 1320 წელს დაიწყო მოლაპარაკებები მონღოლებსა და მამლუქებს შორის, რომელიც 1323 წლის 20 ივნისს საზავო ხელშეკრულების დადებით დაგვირგვინდა³. აბუ საიდ ყაენის ეს ნაბიჯი ევროპისაგან იმედგაცრუების შედეგი იყო⁴. ასე რომ, ილხანების ევროპასთან პოლიტიკური კავშირის მთავარი მოტივაცია გაქრა⁵. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მივიჩნევთ მოკლედ შევხვით შემდეგ საკითხს: ისტორიოგრაფიაში დღეს კარგადაა გარკვეული იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის გადაცემის ისტორია. ყაზან ყაენის გარდაცვალების შემდეგ (1304) საქართველოში მონღოლთა ბატონობა შესუსტდა, რამაც ქართველებს მამლუქებთან დაახლოების საშუალება მისცა⁶. საქართველოში

¹ Джонатан Райли-Смит. Истрия крестовых походов. М., 1998, გვ. 140.

² Kenneth Scott Parker. Op. cit., pp.194-196; Leopold A. Op. cit., p. 92.

³ ჯაფარიძე გ., საქართველო და ევკვატის მამლუქები, თბ., 2016, გვ. 62-64.

⁴ Alireza Karimi, Mahdi Nasiri. Op. cit., p. 30

⁵ Ibid., p. 31.

⁶ Kenneth Scott Parker. Op. cit., p.226.

ველოს სამეფო კარმა 1305-6 წელს ეგვიპტის მამლუქ სულ-ტანთან დიპლომატიური ძალისხმევით მიაღწია პრინციპულ შეთანხმებას იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის დაბრუნების თაობაზე, მაგრამ მისი რეალიზაცია 1310 წლამდე გაჭიანურდა. ქართულმა დიპლომატიამ 1310-1311 წლების მიჯნაზე დიდი წარმატება მოიპოვა და მონასტერი ქართველებს დაუბრუნდა¹. ეს შეთანხმება მომდევნო ორი ასწლეულის მანძილზე ქართველთა და მამლუქთა ურთიერთობის საფუძველი გახდა².

მიუხედავად ამისა, ეგვიპტის სასულტნოს უმაღლეს ხელისუფალთა დამოკიდებულება ქართული სამონასტრო თემისადმი დროდადრო მაინც ირღვეოდა³, რის გამოც ქართველი ბერები ეჯახებოდნენ ადგილობრივ ოპოზიციას⁴. ამის მიზეზი ადგილობრივი მუსლიმი ულემების წინააღმდეგობა იყო. ისინი ჩამორთმეული და მეჩეთად გადაკეთებული მონასტრის არამუსლიმებისათვის გადაცემას საკუთარ ანათემად მიიჩნევდნენ და აღნიშნული აქტით დიდად შეშფოთებულნი იყვნენ⁵. ამასობაში კი დინასტიური დავებით დასუსტებული ილხანატი თავის დასასრულს მიუახლოვდა და, ცხადია, მათი აგრესიაც ეგვიპტის მიმართ შესუსტდა. ასეთ ვითარებაში ეგვიპტელ მამლუქთა დიპლომატიური მიმართვის ფორმა საქართველოს სამეფოს მიმართ ზომიერი გახდა⁶. „მამლუქები აგრძელებდნენ ქართველებთან კარგ ურთიერთობას, რადგან კავკასიაში სა-

¹ ჯაფარიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 94-108; მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2014, გვ. 130-136.

² Kenneth Scott Parker. Op. cit., p. 226

³ დაწვრ. იხ: ჯაფარიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 94-108; ასევე მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 130-136).

⁴ Kenneth Scott Parker. Op. cit., p. 339

⁵ Ibid., p.227; ჯაფარიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 107.

⁶ Kenneth Scott Parker. Op. cit., p. 273.

ქართველო იყო ძირითადი წყარო და მეგზური სამხედრო ტყვეებისათვის (ანუ მამლუქებისათვის), რომელზეც სულტანატი დიდად იყო დამოკიდებული.¹ იმ დროს, როცა ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტში შავიზღვისპირეთიდან „...ყმაწვილების იმპორტის...“ შეწყვეტა ეგვიპტის საზღვაო ბლოკადის ერთ-ერთი ელემენტი იყო², შესაძლებელია, მამლუქი სულტნების მიერ საქართველოსთან ურთიერთობის დალაგების ერთ-ერთი მოტივი ესეც იყო. მართალია, ამ ჯერზე საქართველოსა და მამლუქთა ეგვიპტის სულტანატს შორის სამხედრო კავშირის შექმნა არ იგეგმებოდა³, მაგრამ ქართველთა მხედრულ მამაცობას მამლუქთა კარზე დიდად აფასებდნენ, რომელიც შეერწყა წმინდა მიწაზე ბერმონაზონთა პრივილეგიების დაცვას⁴. ყოველივე ამის საფუძველზე პრაგმატიკოსმა პოლიტიკოსმა გიორგი V ბრწყინვალემ ოსტატური დიპლომატიური სვლებით (მონღოლებთან და ჯვაროსნებთან ღიად მოკავშირეობის უგულვებლყოფით) 1323 წლის შემდეგ⁵ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის სრული

¹ Ibid, p.340.

² ეს პროექტი ფრანცისკანელმა ფიდენციო პადუელმა (Fidenzio of Padua) ჯერ კიდევ აკრას დაცემამდე წარმოადინა თავის ნაშრომში “Liber Recuperations Terre Sancte” (დაწვრ. იხ. Dr. Hayat Nasser Al-Hajji, Op. cit., pp. 37-38).

³ Pahlitzsch J., Mediators Between East and West: Christians under Mamluk Rule. In Mamluk Studies Review. Vol.9, #2, 2005. The University of Chicago, p.33.

⁴ Kenneth Scott Parker. Op. cit., p. 274.

⁵ ალასანია გ., ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში. - ნოდარ შენგელია 75, თბ., 2008, გვ. 31.

განთავისუფლება შესძლო¹. რაც შეეხება, ქართველებისათვის „იერუსალიმის კლიტეების „გადაცემის“² აქტს, საფიქრებელია, მამლუქებმა მიზნად დაისახეს ილხანებთან საქართველოს საბოლოოდ ჩამოცილება და თავის მოკავშირედ გადაქცევა.

აკრას დაცემის შემდეგ აღმოცენებული ჯვაროსნული პროექტები-დახმარებოდნენ წმ. მიწას, კვიპროსსა და კილიკიის სომხეთს, დაეყრით კონსტანტინოპოლი, როგორც წმ. მიწების დაბრუნების პირველი ეტაპი, მხოლოდ თეორიული განხილვის საგანი იყო. „თითქმის ყველა ეს გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა რომელიმე ექსპედიციები მაინც შედგა...“ 1309-1312 წლებში ჩრდილოეთ იტალიაში, გრენადასა და ეგეოსის ზღვაზე³. მომდევნო წლებში 1329 წლამდე ჯვაროსნული პროექტები მუდმივად გვერდზე იდებოდა. საკუთრივ ეგვიპტის სასულტნოს მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადგილობრივ ქრისტიანებს მძიმე დღეები ედგათ⁴. პაპ იოანე XXII-ის მხარდაჭერით საფრანგეთის მეფე შარლ IV ლამაზმა (1322-1328) 1327 წელს მამლუქთა კარზე დესპანი გიიომ დე ბონესმეინი (Guillaume de Bonnesmains) გაგზავნა, რათა შუამავლობა გაეწიათ და ად-

¹ დაწვრ. იხ: მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2014, გვ. 128-143; ჯაფარიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 91-113.

² მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 141..

³ Джонатан Райли-Смит., დასახ. ნაშრ., გვ. 143.

⁴ ანგლო-ირლანდიელი ბერი საიმონ ფიტზსიმონსი (Simon Fitzsimons), რომელიც 1322-23 წლებში ჩავიდა წმინდა მიწაზე მოსალოცად, წერს: „იესოს სახელით“ ჩვენ გვაფურთხებდნენ, ქვებს კვიშენდნენ, სხვა სალანძღავი სიტყვებით გვაძკობდნენ და დილიდან საღამოს 6 საათამდე საყვედურით გვაკვებდნენ“ (ციტ-ა: Kenneth Scott Parker. Op. cit., p. 371).

გილობრივი ქრისტიანების მდგომარეობა შეემსუბუქებინათ¹, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ამასობაში მამლუქთა გამარჯვებების ტალღა ანატოლიის ემირატებიდან თურქების თავდასხმების ტალღამ გადაფარა. „1282 და 1302 წლებს შორის პერიოდი კატასტროფული აღმოჩნდა, რადგან თურქთა დაპყრობები ყალიბდებოდა“². უკვე 1302 ანდა 1303 წელს თურქებმა დაიწყეს ზომალდების აგება და ეგეოსის კუნძულის (ეგეიდას) გატიალება³. 1307 წლისათვის სელჩუკთა რუმის სასულტნო არანაკლებ 18 დამოუკიდებელ ბეილიქად (სამთავროდ) დაიშალა⁴. მათგან ლიდერი როლი ამ ეტაპისათვის ეკავა მენტეშეს საემირატოს, ხოლო შემდეგ-აიღინისას. მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განუწყვეტელი თავდასხმები წარმოებდა მენტეშეს ემირის მეთაურობით. ისინი იყვნენ პირველნი, რომელთაც ისარგებლეს ბიზანტიის ფლოტის არარსებობით და როგორც პირატებმა ხელთ იგდეს ეგეოსის ზღვა. დაახლოებით 1300 წელს ისინი თავს დაესხნენ კუნძულ როლოსს, მაგრამ მათ აქ შეხვდათ პირველი რეალური წინააღმდეგობა⁵. ჰოსპიტალიერთა ორდენის რაინდთა, რომელნიც როლოსში პირველად

¹ Kenneth Scott Parker. Op. cit., p. 373.

² Setton Kenneth M. Op. cit., p. 142.

³ Makris G., Studien zur spätbyzantinische Schifffahrt. Genua, 1988. S.206; Колотова О. Е. Пиратство ордена госпитальеров в Восточном Средиземноморье (1291-1522 гг.). Античная древность и средние века. Екатеринбург. Урал. гос. унт : Волост, 1999, вып. 30, с.224. სქოლიო 15.

⁴ იქვე, გვ. 224; სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999, გვ. 14.

⁵ Setton Kenneth M. Op.cit., 142.

1306 წელს გადასხდნენ¹, აქ განმტკიცების შემდეგ მენტეშეს ეპირატმა რეგიონში წამყვანი როლი დაკარგა და წინა პლანზე გამოვიდნენ აიღინის თურქები, რომელთაც 1304 წელს ხელთ იგდეს ეფესო².

შემდეგში მენტეშეს ეპირატებიდან ჩრდილოეთით მდებარე აიღინის (ძველი ლიდია) ეპირმა მეჰმედმა 1317 წელს ხელთ იგდო სმირნას ზემო ციტადელი და რამდენიმე წელი იბრძოდა ქიოსისა და როლოსის რაინდების სამხედრო-საზღვაო ძალების წინააღმდეგ³. „მისმა მეტად ცნობილმა ვაჟი-შვილმა უმურ ბეგმა, „ღვთის ლომად“⁴ წოდებულმა, 1328-1329 წელს აიღო სმირნა⁵ და ეგეოსის ზღვაზე თურქთა ბატონობა დაამყარა⁶. ამდენად გენუელებმა საბოლოოდ დაკარგეს სმირნა და იგი თურქი პირატებისათვის საყრდენ ბაზად იქცა“⁷, რომელსაც სათავეში ედგა უმურ ფაშა. აქვე აუცილებელია ითქვას, რომ სმირნას კათოლიკეთა საეპისკოპოსო ამ მოვლენის შედეგად იქნა გადატანილი თბილისში და არა იმის გამო, რომ იქ კათოლიკეთა ელემენტი შემცირდა, როგორც ამას მ. თამარაშვილი წერდა. უმურ ფაშას პირატული ზომალღები აღწევდნენ ვენეციის სამფლობელო ნეგროპონტეზე⁸ (იტ. Signoria di Negroponte) ანუ კუნძულ ევბეაზე.

¹ Runciman St., *Geschichte der Kreuzzüge*. München, 1995. S.1218; Колотова О. Е., დასახ. ნაშრ., გვ. 224. სქოლიო 8.

² Колотова О. Е., დასახ. ნაშრ., გვ. 225.

³ Setton Kenneth M., *Op. cit.*, p. 177.

⁴ Donald M. Nicol. *The Last Centuries of Byzantium, 1261-1453*, second edition, Cambridge University Press, 1993, p. 144.

⁵ Setton Kenneth M., *Op. cit.*, p. 181.

⁶ Donald M. Nicol. *Op. cit.*, p. 144.

⁷ Lemerle P., *L'Emirat d'Aydin, Byzance et l'Occident, recherché sur la "gesta d'Umur Pacha"*, Paris, 1957, p. 7-18; Колотова О. Е., დასახ. ნაშრ., გვ. 225.

⁸ Donald M. Nicol. *Op. cit.*, p. 144.

ეგეოსის ზღვის გახსნის შემდეგ თურქებმა უფრო ფართო თავდასხმები გააჩაღეს¹.

შედარებით მცირე და სუსტი ბეილიქის მფლობელმა ოსმან I-მა 1301 წელს „...ხელთ იგდო იენიშეჰირი და იქ გადაიტანა თავისი რეზიდენცია. 1302 წელს ოსმანმა დაამარცხა პრუსის (ბურსა) ბიზანტიის გამგებელი...“ და „...1326 ოსმალებმა იგი დაიპყრეს“². ოსმან I-ის შვილმა ორხანმა ბურსაში გადაიტანა დედაქალაქი და 1327 წელს მოჭრა პირველი „...თურქული ვერცხლის ფული (მონეტა) ახჩა. ეს კი იმის დამადასტურებელი იყო, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა“³.

„ვენეციაში, ავინიონსა და პარიზში თურქების თავდასხმების სითამამემ და გახშირებამ მუდმივი შიში დანერგა“⁴. 1318 წლიდან თურქები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს კუნძულ კრეტას და ვენეციის სავაჭრო ზომალდებს. უცხოური ვაჭრობის ხარჯზე მცხოვრები ვენეციელები შეშფოთებულნი იყვნენ მუსლიმი პირატების მოქმედებებით⁵. ერთი სიტყვით, სელჩუკთა ბეილიქების სამხედრო-საზღვაო ძლიერება საფრთხის ქვეშ აყენებდა იტალიის რესპუბლიკების ლევანტის ვაჭრობას.

ევროპისათვის მახლობელ აღმოსავლეთში ასეთ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთის მეფე ფილიპ VI (1328-1350) ვალუა, „...მისი წინამორბედის⁶ მსგავსად მხარს უჭე-

¹ Setton Kenneth M., Op. cit., p. 181.

² სვანიძე მ., დასახ. ნაშრ., გვ.18.

³ იქვე.

⁴ Setton Kenneth M., Op. cit., p.181.

⁵ Ibid.

⁶ იგულისხმება შარლ IV ლამაზი (1322-1328). მან, როგორც მისმა წინამორბედმა ფილიპ V გრძელმა (1316-1322), ჩამოაყალიბა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აღმოსავლეთის ქრისტიანებისადმი დახმ-

რდა ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტს¹. პონტიფიკმა იოანე XXII-მ კი საფრანგეთის მეფის მიერ გამოჩენილი ენთუზიაზმი მეტად წაახალისა² და ეს უკანასკნელი პაპის რჩევით შეუდგა მოლაპარაკებებს წმ. მიწაზე ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის განახლების შესახებ³. ამაში თავისებური როლი შეასრულა იერუსალიმის პატრიარქმა პიერ დე ლა პალუმ⁴, რომელიც 1331 წლის დასაწყისში დაბრუნდა პარიზში და პაპ იოანე XXII-ის მხარდაჭერით მრავალი პრელატისა და დიდებულების თანდასწრებით მუსლიმთა ლიდერის მოქმედებები ისე წარმოადგინა, რომ ყველა მსმენელმა ერთსულოვნად გამოთქვა აზრი: დაეწყეთ წმინდა მიწების დაბრუნება⁵. „პაპმა, ფილიპ დე ვალუას თხოვნით, - წერს ჟ. ვიარი, - უბრძანა პატრიარქსა და ყველა ეპისკოპოსს, რომ ექადაგათ და ექადაგათ ჯვაროსნული ლაშქრობა. აძლევენ რეკომენდაციებს აელოთ ჯვარი და მომზადებულიყვნენ გასაგზავრებლად“⁶. საკუთრივ პაპმა 1331 წლის 5 დეკემბერს ყველას,

რებას (დაწვრ. იხ. Viard Jules. Les Projets de croisade de Phillipe VI de Valois. In Bibliothèque de L'Ecole des Chartes. 1936. tome 97, p. 306).

¹ Cornel Bonta. Op. cit., p.27.

² Ibid.

³ Runciman St., Op. cit., s.1218; Гаген С. Я., Политический фон папской миссии 1334/1335 г. в Константинополь. «Античная древность и средние века. Вып. 34. 2003, с.384.

⁴ პიერ დე პალუ (Pierre de la Palu) დომინიკელი ბერი. 1329 წლის 27 მარტს პაპმა იოანე XXII-მ დანიშნა იერუსალიმის პატრიარქად. ამავე წლის ივლისის დასაწყისში ის გაემგზავრა კუნძულ კვიპროსზე. მისი მისიის მიზანი იყო კლერმონის გრაფის ლუის ქალიშვილის კვიპროსის მეფის ვაჟიშვილზე დანიშვნის საკითხის მოგვარება (Viard Jules. Op. cit. pp. 306-307. შენიშვნა 5).

⁵ Viard Jules. Op. cit., p.307.

⁶ Ibid.

ვინც ჯვარი აიღო, ინდულგენცია უბოძა¹. მას მიიღებდა უკლებლივ ყველა, ვინც „...მეფეს აღმოსავლეთში გაჰყვებოდა და საფრანგეთის სამეფომდე მისი დაცვის ქვეშ იქნებოდა“²

ფილიპ VI ვალუამ წმ. მიწების გათავისუფლების საქმეში საკუთარ თავს სერიოზული როლი დააკისრა³. დომინიკელი მისიონერი ბურკარდი⁴ საფრანგეთის „...მეფეს არწმუნებდა, რომ მხოლოდ მას შესწევს უნარი დაამარცხოს თურქები, ეგვიპტელები, არაბები, თათრები, სპარსელები და ინდოელები“. მის მიხედვით, „ფილიპ VI ხვდა წილად, რომ სარკინოზებს ხელიდან გამოგლიჯოს წმინდა მიწები“. ბურკარდის სიტყვით, „საფრანგეთის მეფეს აქვს წმინდა ვალდებულება პირადად აწარმოოს ჯვაროსნული ლაშქრობა და სარკინოზებს ხელიდან გამოგლიჯოს წმინდა მიწა, რადგან იგი წინასწარმეტყველებისაა და მემკვიდრეობით ქრისტიანებს ეკუთვნით“⁵. ბურკარდის მანიფესტის თანახმად, „კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, ქრისტიანები უნდა დაიდრნენ

¹ Christiane Deluz. Croisade et paix en Europe au XIVe siècle. “Cahiers de recherches médiévales et humanistes”. Journal of medieval and humanistic studies, №1, 1996, p. 59.

² Ibid.

³ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფილიპ VI ვალუამ 1331 წლის დასაწყისში კასტილია-არაგონის მეფის ალფონსო III-ის თხოვნით ივალდებულა ესპანეთში დამკვიდრებული მავრების წინააღმდეგ ბრძოლა (Viard Jules. Op. cit., p.306).

⁴ დომინიკელი მისიონერი ბურკარდი (Brocardus) 1308 წლიდან მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ის 20 წელზე მეტხანს იმყოფებოდა და კათოლიკურ სარწმუნოებას ქადაგებდა. როცა ის დაბრუნდა ევროპაში, ფილიპ VI ვალუა უკვე გეგმავდა ჯვაროსნულ ლაშქრობას. მან სწრაფად მოამზადა ნაშრომი „Directorium ad passagium faciendum“ და 1332 წელს გაუეზავნა საფრანგეთის მეფეს (Cornel Bonta. Op. cit., p.27; Dr. Hayat Nasser Al-Hajji, Op. cit., pp. 45-46).

⁵ Cornel Bonta. Op. cit., p.28.

მცირე აზიაში, რათა გაბედულად გამოვიდნენ თურქების წინააღმდეგ. ეს აბსოლუტურად აუცილებელია თურქების დასამარცხებლად და მათდამი ერთმორწმუნეების დახმარების ჩასაშლელად¹. ამდენად, ბურკარდის ტაქტიკური რჩევა ითვალისწინებდა პირველად თურქების, ხოლო შემდეგ ეგვიპტელების წინააღმდეგ შეტევას².

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ფილიპ VI ვალუამ 1331 წლის დასაწყისში არაგონის მეფის ალფონსო IV-ის (1327-1336) თხოვნით ივალდებულა ესპანეთში დამკვიდრებული მავრების წინააღმდეგ ბრძოლა³. ამან საფრანგეთის მეფე არჩევანის წინაშე დააყენა: წმინდა მიწა, თუ ესპანეთი. პირველის სასარგებლოდ საფრანგეთის მეფის გეგმა შეცვალა იმან, რომ კასტილიის მეფე ალფონსო XI-მ (1312-1350) „...სარაცინებთან დროებითი ზავი დადო⁴. ერთი სიტყვით, ფილიპ VI-მ არჩია „...მოძხადებულოყო ომისათვის აღმოსავლეთში ურწმუნოების წინააღმდეგ, ვიდრე ეფიქრა ესპანეთში მავრებთან ბრძოლაზე“⁵.

ასეთ ვითარებაში კილიკიის სომხეთის მეფემ ლევონ V-მ⁶ (1320-1342) 1331⁷ წლის მეორე ნახევარში საფრანგე-

¹ Ibid, p.30.

² Ibid.

³ Viard Jules. Op. cit., p. 306.

⁴ Ibid, pp. 307-308.

⁵ Ibid, p. 307.

⁶ მას ლევონ IV-დაც ასახელებენ.

⁷ ვფიქრობთ, გ. მიქაელიანი ცდება, როცა ამ ელჩობის გაგზავნის თარიღად 1332 წელს ასახელებს (Микаелян Г.Г., История Киликийского армянского государства. Ереван, 1952, с. 455). პაპი იოანე XXII საფრანგეთის მეფეს ფილიპ VI ვალუას 1331 წელს ატყობინებდა სტეფანესა და რაინდი გრეგორი ლეიეს ავინიონში ჩამოსვლისა და მათთვის 500 ფლორინის გადახდის შესახებ. ინგლისის მეფე ედუარდ III-სთან ელჩობა კი ჩავიდა 1332 წლის მარტში (Déprez Eugène. Les

თის მეფე ფილიპ VI ვალუასა და ინგლისის მეფე ედუარდ III-სთან გაგზავნა დესპანი, თარსის არქიებისკოპოსი სტეფანე, რათა „...მხარი დაეჭირათ ქრისტიანებისათვის...“ მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც „...უწინდებურად აჩანაგებენ მის ქვეყანას“¹. საფრანგეთის მეფის 1332 წლის 2 ივნისის წერილიდან ჩანს, რომ ფილიპ VI-მ თავის ხაზინადარს მისცა განკარგულება, რომ მეფე ლევონ V-სათვის სუბსიდიის სახით 10 ათასი ოქროს ფლორინი გაეცა². ამ განკარგულებაში ასევე ნათქვამი იყო: „ჩვენმა ძვირფასმა ძმამ, სომეხთა მეფემ გვაცნობა, რომ სარაცინები ემუქრებიან მის ქვეყანას. ჩვენ გვსურს, რომ მას დავეხმაროთ, რათა შეინარჩუნოს ციხე-სიმაგრეები და წინააღმდეგობა გაუწიოს სარაცინებს. ეს ღირსეული ქვეყანა მზადაა მიიღოს ჩვენი ხალხი (ჯვაროსნები - მ.პ.), თუკი გავაგზავნით მათ წმინდა მიწაზე საზღვაო გზით ლაშქრობაში. ამით ვიქნებით მშვიდად, ღმერთს ვანდობთ სურვილსა და ერთგულებას“³. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ფილიპ VI ვალუა სერიოზულად ფიქრობდა აღმოსავლეთში ლაშქრობაზე⁴.

დასახული ამოცანის განხორციელება საფრანგეთის მეფემ პირველ რიგში ვენეციასთან კავშირში შესვლით დაიწყო. მართალია, პრაგმატული ვენეციელები ჯვაროსნულ ლაშქრობას მშვიდობას არჩევდნენ, მაგრამ „...1331 წლის 17 დე-

préliminaires de la guerre de Cent ans. La papauté, la France et l'Angleterre (1328-1342). Paris, 1902, pp. 85-86, შენიშვნა 2. ეს ფაქტი არის ამოსავალი, რომ აღნიშნული ელჩობის გაგზავნის თარიღად 1331 წლის მეორე ნახევარი მივიჩნიოთ.

¹ Viard Jules. Op. cit., p.308.

² Ibid, p.308; Микаелян Г.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 455.

³ Viard Jules. Op. cit., p. 308; Микаелян Г.Г. დასახ. ნაშრ., გვ. 455.

⁴ Микаелян Г.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 455.

კემბერს ვენეციის მთავრობამ საფრანგეთის მეფე ფილიპ VI ვალუასგან მიიღო წერილი (18 ნოემბრის), რომელშიც ითხოვდა... რამდენი და რა სახის გემები და მასალები იქნებოდა აუცილებელი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, რომელსაც ის გეგმავდა. რა ხარჯების გაწევა იქნებოდა საჭირო და თვით ვენეცია იქნებოდა თუ არა მზად ხომალდები მიეწოდებინა¹. „თურქების შიში იმდენად დიდი იყო, რომ ვენეციელებმა, ბოლოს გადაწყვიტეს უფრო მიზანმიმართულად ემოქმედათ“². საბოლოოდ კი თითქმის ერთწლიანი დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ, 1332 წლის 26 აგვისტოს, ვენეციას, ბიზანტიასა და როდოსელ იოანიტებს შორის დაიდო კავშირი თურქების პირატული თარეშის წინააღმდეგ, რომელსაც წმინდა ლიგა ეწოდა³. მას 1334 წელს შეუერთდა საფრანგეთი, პაპობა და კვიპროსი⁴. ამ ანტითურქული კავშირების აღმოცენება გამოწვეული იყო მუსლიმთა, უწინარეს ყოვლისა, აიდინისა და სარუხანის ზღვისპირა ბეილიქების საზღვაო ძარცვა-გლეჯის გაძლიერებით⁵. ეს საზღვაო ჯვაროსნული ლაშქრობა ფილიპ VI ვალუას მეთაურობით უნდა დაეწყოთ 1336 წლის აგვისტოში, რათა იერუსალიმი გაეთავისუფლებინათ⁶. ამდენად საფრანგეთის მეფეს ლაშქრობის მოსამზადებლად 6 წელი ეძლეოდა. საკუთრივ ის „ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ლაპარაკობდა დაახლოებით ოთხი წელი, ვიდრე 1331

¹ Setton Kenneth M., Op. cit.p.178.

² Ibid.

³ Ibid, p.180.

⁴ Edbury P.W., The Kindgom of Cyprus and the Crusades, 1191-1374. Cambridge, 1991, p.157.

⁵ Колотова О. Е., დასახ. ნაშრ., გვ. 227.

⁶ The Routledge Companion to the Crusades Peter Lock, New York, 2006, p.189.

წლის 1 ოქტომბერს პარიზში არ აიღო ჯვარი¹, მას შემდეგ, როცა პიერ როჟემ, რუანის არქიეპისკოპოსმა (მოგვიანებით პაპმა კლემენტე VI) იქადაგა ჯვაროსნული ლაშქრობა ფრანგი პრელატებისა და ბარონების კრებაზე, სადაც ფილიპ II ნავარელმა, ბრაბანტის, ბურგუნდიისა და ბურბონთა ჰერცოგებმა აიღეს ვალდებულება ორტემერში წმინდა გამგზავრებაზე“². მეფემ პაპ იოანე XXII-ს უფლება მისცა ექადაგა ჯვაროსნული ლაშქრობა და ექვსი წლის მანძილზე სამღვდელთებისაგან ერთი მეთაული გადასახადი აეკრიფათ³.

1332-1333 წლებში პაპი იოანე XXII აქტიურად იყო დაკავებული ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებით. 1332 წლის თებერვალში პონტიფიქსი ფილიპ VI მოუწოდებდა, რომ ინგლისის მეფე ედუარდ III-სთან საზავო ხელშეკრულება დაედო და ერთობლივად ეწარმოებინათ ჯვაროსნული ლაშქრობა⁴. ამავე წლის „...ივლისში პაპმა საფრანგეთის მეფეს მისცა ნებართვა, რომ ლაშქრობის ხარჯების დასაფარავად მეთაული აეკრიფათ“⁵. 1332 წლის 26 სექტემბერს პაპმა საფრანგეთის მეფეს სთხოვა, რომ „...ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადება დაეჩქარებინა“⁶. 1333 წლის ბოლოს რუანის არქიეპისკოპოსი პიერ როჟე (Pierre Roger) კარდინალ ლეგატის დაჟინებული მოთხოვნით პარიზში ქადაგებით იყო დაკავებული, ხოლო წმინდა ტახტი ქრისტიან მთავრებთან აქტიურ მოლაპარაკებებს ეწეოდა⁷. კურიის კარზე ბრიტანეთის

¹ Ibid.

² Setton Kenneth M., Op. cit. p. 178.

³ The Routledge Companion to the Crusades Peter Lock. Op. cit., p.189.

⁴ Déprez Eugène. Op. cit., p. 86. შენიშვნა 1.

⁵ Ibid, p. 86. შენიშვნა 2.

⁶ Ibid; Viard Jules. Op. cit., pp. 308-309.

⁷ Déprez Eugène. Op. cit., p. 99.

ელჩის მეშვეობით პაპი ედუარდ მეფეს საკუთარ მოსაზრებებს უზიარებდა¹. „1333 წლის 26 ივლისს პაპმა წერილობით აცნობა კოალიციის მეთაურებს, რომ წმინდა მიწების დაბრუნება დაევალა ფილიპ დე ვალუას, რომელსაც გადაეცა განსაკუთრებული ინდულგენციები საკუთარ ჯვარსა და იმათზე, ვინც მისი არყოფნისას საფრანგეთის მთავრობას წარმოადგენდა“². „ეკლესიის რისხვა ემუქრებოდა იმას, ვინც საფრანგეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა“³. დასახელებული წერილის მეორე ნაწილში პაპი „...მთელი ქრისტიანული სამყაროს ეპისკოპოსებსა და არქიეპისკოპოსებს რეკომენდაციას აძლევდა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობა ექადაგათ“⁴. ამავე წერილის ინფორმაციით, ლაშქრობის დაწყების დღედ დადგენილი იყო 1336 წლის 3 აგვისტო⁵.

ასეთი იდეური⁶ და დიპლომატიური მომზადების პერიოდში, ჩვენი ვარაუდით, წმ. ლივის სულისჩამდგმელი პაპ იოანე XXII-ის რჩევით საფრანგეთის მეფემ ფილიპ VI ვალუამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გიორგი V ბრწყინვალე თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაება. ჯერჯერობით ამის ამსახველი ერთადერთი წყარო, კერძოდ, ფი-

¹ Ibid, pp. 86-87.

² Viard Jules. Op. cit., p. 309.

³ Viard Jules. Op. cit., p. 310.

⁴ Ibid.

⁵ Ibid.

⁶ ლაშქრობის წარმატებისათვის ლოცვებიც კი დადგინდა. საფრანგეთის მთელ სამეფოში ჯვაროსნული ლაშქრობის იდეას ქადაგებდნენ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან მცირე ნაწილმა გამოთქვა მზაობა, რომ ჯვარი აეღო. ადამიანებს, ვინც ჯვაროსნულ იდეას არ იღებდა, სჯეროდათ: სასულიერო პირები „...იმისთვის ქადაგებდნენ, რომ ფული აეღოთ...“ (Viard Jules. Op. cit., p. 311). ეს ნათლად მოწმობდა იმას, რომ ევროპაში ჯვაროსნული ლაშქრობის იდეამ პირველი ჯვაროსნობის მნიშვნელობა საგრძნობლად დაკარგა.

ლიბ VI ვალუას წერილობით წინადადებაზე, რომ გიორგი V-ს მონაწილეობა მიელო სარკინოზების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ამ უკანასკნელის მოკლე პასუხი საფრანგეთის მეფისადმი, პირველად 1919 წელს გამოაქვეყნა ჯიროლამო გოლუბოვიჩმა¹. აქედან აიღო იგი შემდეგში გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან რიშარმა თავის ცნობილ ნაშრომში². ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული წყარო სათანადო წყაროთმცოდნეობითი კვლევითა და მეცნიერული ანალიზით პირველად წარმოადგინა პროფ. ვ. კიკნაძემ³. შემდეგ მას შეეხო პროფ. ი. ტაბალუა⁴. ცხადია, ამან თავიდან აგვარიდა საქმის ფაქტობრივ მხარეზე დაწვრილებით შეჩერება. ამიტომ შემოვიფარგლებით ძირითადი მოვლენების ახსნით.

ჯ. გოლუბოვიჩის ინტერპრეტაციით, საფრანგეთის მეფე ფილიპ VI ვალუამ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის წინადადებით მიმართა „თავრიზის იმპერატორ შაჰ აბუ საიდ ხანს და ტეფლისიის ...“ ანუ საქართველოს მეფეს გიორგი V ბრწყინვალეს⁵. ადრესატებთან, სავარაუდოდ, წერილი მიჰქონდა ფრანგ მისიონერს, რიკარდო

¹ Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica., Vol. III, 1919, pp. 414-415.

² Richard J., La Papauté et les missions..., p. 54.

³ კიკნაძე ვ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. ჟურნ.: „მნათობი“, №9, 1982, გვ. 158-159; მისსივე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. ჟურნ.: „მნათობი“, №4, 1983, გვ. 158-163.

⁴ ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 22-23.

⁵ Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica., Vol. III, 1919, pp. 414; კიკნაძე ვ., საქართველოს ისტორიის ევროპული..., გვ. 158; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. III, გვ. 22.

მერჩერს¹, რომელიც სპარსეთში 1332-1333 წლებში ჩავიდა. ამ უკანასკნელს საფრანგეთის მეფის წერილი უნდა გადაეცა თავრიზის ფრანცისკელთა პრიორისა² და ლათინი³ მთავარი ვაჭარებისათვის⁴, რათა მათ ეზრუნათ იგი საჩუქრებთან ერ-

¹ შესაძლებელია ფრთხილად ვივარაუდოთ, რომ ეს იყოს ხერსონესის ეპისკოპოსი რიკარდო ინგლისელი, რომელიც ბოსფორის არქიებისკოპოს ფრანჩესკო და კამერინოსთან ერთად პაპ იოანე XXII-ის ლეგატის სახით იმყოფებოდა 1334-1335 წლებში კონსტანტინოპოლში და ეწეოდა მოლაპარაკებებს ეკლესიათა უნიის განახლების შესახებ (Гаген С. Я., დასახ. ნაშრ., გვ. 380).

² პრიორი (იტ. Priore, ლათ. Prior)- ამ შემთხვევაში ფრანცისკელთა ორდენის მონასტრის წინამძღვარი.

³ პროფ. ი. ტაბალუა თავისუფალ თარგმანს მიმართავს და იგი გადმოაქვს, როგორც „მთავარი ფრანგი ვაჭრები“, რაც წყაროში არ წერია (ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. III, გვ. 22).

⁴ თავრიზში 1264 წლიდან დასტურდება ვენეციელი ვაჭრების ყოფნა, ხოლო გენუელებისა - 1280 წლიდან (Кикнадзе Р. К., Города и городская жизнь в государстве Хулагидов. Реф. Канд. Дис. Тбилиси, 1956, с. 9-10; Карпов С. П., Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII-XV вв. М., 1981, с. 21). XIV საუკუნის I მესამედში თავრიზში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიამ თავისი აყვავების აპოგეას მიაღწია. გენუელთა სავაჭრო თემის მეთაურები ხშირად ილხანთა დიპლომატიურ სამსახურშიც იდგნენ (Patrick Wing. "Rich in Goods and Abounding in Wealth": The Ilkhanid and Post-Ilkhanid Ruling Elite and the Politics of Commercial Life at Tabriz, 1250-1400. "Politics, Patronage and the Transmission of Knowledge in 13 th-15 th Century Tabriz. Edited by Judith Pfeiffer". Leiden-Boston, 2014, pp. 307-309). გენუა და ვენეცია ერთმანეთს ექიშპებოდნენ თავრიზში განმტკიცებისათვის, თუმცა ვენეციელი და გენუელი ვაჭრები XIV საუკუნის 20-იანი წლებიდან განსაკუთრებულ წარმატებას აღწევდნენ ილხანთა დედაქალაქში. 1331 წლის ბოლოსა და 1332 წლის დასაწყისში ვენეციის რესპუბლიკასა და ილხან აბუ-საიდს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც განსაზღვრა თავრიზში სპარსელი და იტალიელი ვაჭრების ურთიერთსავაჭრო პირობები (Карпов С. П., დასახ. ნაშრ., გვ.51-52). გამოთ-

თად გაეგზავნათ აბუ-საიდ ილხანისა და საქართველოს მეფისათვის¹. მოკლედ რომ ვთქვათ, საფრანგეთის მეფის წინადადების ირგვლივ ადრესატებთან დიპლომატიური მოლაპარაკების გამართვა დაევალა თავრიზის ფრანცისკელთა პრიორსა და ლათინელ ვაჭართა თემის მეთაურებს².

იმავე ჯ. გოლუბოვიჩის განმარტებით, ფრანცისკელთა მონასტრის წინამძღვარმა და ლათინ³ ვაჭართა თემის მეთაურებმა მოიწვიეს თათბირი, იმსჯელეს და გადაწყვიტეს: საფრანგეთის მეფის ფილიპ VI ვალუას წერილი არ გადაეცათ აბუ-საიდ ყაენისათვის (1317-1335) და შესაბამისად არ შეეთავაზებინათ მისთვის ალიანსი ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ, რადგან „...მათ (ილხანმა მონღოლებმა - მ.პ.) ამ დროისათვის კავშირი დადეს⁴ ეგვიპტის სულტანთან...“⁵. ამავე თათბირზე კომისიამ გადაწყვიტა, რომ საფრანგეთის მეფის

ქმულია არცთუ უსაფუძვლო მოსაზრებაც, რომ ვენეციის რესპუბლიკამ ილხან აბუ საიდთან დადებული ხელშეკრულებით თავრიზში გახსნა სავაჭრო კონტორა და საქმიანობა დაიწყო ვენეციის კონსულმა (Махмудов Я.М., Взаимоотношения государств Акроюнлу и Сефевидов западноевропейскими странами (II половине XV-начало XVII века). Баку, 1991, с. 25-26).

¹ Golubovich G., *Biblioteca bio-bibliografica.*, Vol. III, 1919, pp. 414; კიკნაძე ვ., საქართველოს ისტორიის ევროპული., გვ. 158; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. III, გვ. 22.

² დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომელს, გენუელ ვაჭართა მეთაურს, თუ ვენეციელ ვაჭართა მეთაურს დაევალა დიპლომატიური მოლაპარაკებების გამართვა ადრესატებთან.

³ უფრო იტალიელი ვაჭარების მეთაურებმა.

⁴ ივულისხმება 1323 წლის 20 ივნისის მონღოლებსა და მამლუქებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება.

⁵ Golubovich G., *Biblioteca bio-bibliografica.*, Vol. III, 1919, p. 414; კიკნაძე ვ., საქართველოს ისტორიის ევროპული., გვ. 158; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. III, გვ. 22.

„...წერილი გაეგზავნათ საქართველოს ქრისტიან მეფესთან...“, რომელიც არ წარმოადგენდა ილხანთა ვასალს და მეტად კეთილგანწყობილი იყო საქართველოში მოღვაწე ფრანცისკელი და დომინიკელი მისიონერების მიმართ¹. ამ დიპლომატიური მისიის შესრულება დაევაღათ ფრანცისკელ რიკარდო მერჩერისა და ალექსანდრე ინგლისელს, რომლებიც გიორგი V-მ თბილისში დიდი პატივით მიიღო და მათ ორი თვის მანძილზე მასპინძლობდა².

მოტანილი წყაროს ინფორმაციიდან საგანგებოდ შევჩერდებით ერთ ფაქტზე: როგორც ვხედავთ, საფრანგეთის მეფე ფილიპ VI ვალუა ილხან აბუ-საიდს ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ სთავაზობდა ალიანსს. ჩვენ საკმაო მტკიცებით ვაჩვენებთ, რომ მოცემულ საერთაშორისო ვითარებაში დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალისხმევა 1331-1334 წლებში მიმართული იყო ანტითურქული კოალიციის შექმნისაკენ. ვინაიდან ხელთ არა გვაქვს საფრანგეთის მეფის წერილი აბუ-საიდისადმი, არც დამატებითი ინფორმაცია, თუ ვის წინააღმდეგ სთავაზობდა ფილიპ VI ყენს ალიანსს, დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით. უფრო საფიქრებელია, რომ საფრანგეთის მეფე აბუ-საიდს ანტითურქულ კოალიციაში იწვევდა, თუმცა არც წყაროს ინფორმაციის უარყოფა შეიძლება. მასში პირდაპირ არის ნათქვამი: ფრანცისკელთა პრიორმა და ლათინ ვაჭართა მეთაურებმა საფრანგეთის მეფის წერილი აბუ-საიდს იმიტომ არ გადასცეს, რომ ეს უკანასკნელი ეგვიპტის სასულტნოსთან დაზავებული იყო. ცხადია, ეს მათ-

¹ Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica., Vol. III, 1919, pp. 415; კიკნაძე ვ., საქართველოს ისტორიის ევროპული., გვ. 158-159.

² Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica., Vol. III, 1919, pp. 415; კიკნაძე ვ., საქართველოს ისტორიის ევროპული., გვ. 159.

თვის იმას ნიშნავდა, რომ ილხანი აბუ-საიდი ეგვიპტის სულტანთან კარგ ურთიერთობაში იყო და ევროპასთან ალიანსზე სასულტნოს წინააღმდეგ არ წავიდოდა. საკუთრივ ავინიონსა და საფრანგეთის მეფის კარზე, ნაკლებად სავარაუდოა, ეს არ სცოდნოდათ. თუ ვირწმუნებთ იმას, რომ საფრანგეთის მეფე ილხან აბუ-საიდს ეგვიპტის სასულტნოს წინააღმდეგ ალიანსში იწვევდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ფილიპ VI ერთიანი ფრონტით გამოდიოდა მუსლიმების წინააღმდეგ და ილხანატის მოკავშირეობას წმინდა მიწების დაბრუნებაში უწინდებურ მნიშვნელობას ანიჭებდა. თუ ეს ასეა, ჩანს, რომ პარიზსა და ავინიონში ილხანატის როლს მათი გეგმების განხორციელებაში რეალურად ვერ აფასებდნენ. ისლამიზაციის ფართო გზაზე მდგარი ილხანატი ევროპას მუსლიმების წინააღმდეგ მოკავშირედ არ გამოადგებოდა.

როგორც ვხედავთ, მოტანილი წყარო ასევე გვაწვდის ინფორმაციას, რომ თავრიზში შემდგარმა კომისიამ გადაწყვიტა, ფილიპ VI ვალუას წერილი თბილისში გიორგი მეფისათვის გაეგზავნათ დიპლომატიური მისიით აღჭურვილი პირების ხელით. ეს მოწმობს იმას, რომ ავინიონსა და პარიზში ქრისტიანული საქართველო და მისი მეფე გიორგი V ბრწყინვალე, რომელიც „...მეტად კეთილგანწყობილი იყო...“ კათოლიკე მისიონერებისადმი ანუ კათოლიკობისადმი, ანტიმუსლიმური კოალიციის პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნეოდა. თავრიზის თათბირში მონაწილეებს ასევე შეუძლებელია არ სცოდნოდათ, რომ გიორგი V-ს ეგვიპტის სასულტნოსთან 1323 წლის შემდეგ მიღწეული შეთანხმებით დალაგებული ურთიერთობა ჰქონდა. ცხადია, ეს ფაქტორი გამორიცხავდა ანტიეგვიპტურ კოალიციაში, თუ საფრანგეთის მეფე გიორგი V-ს მასში სთხოვდა ალიანსს, საქართველოს გაერთიანებას. ჩვენი ვარაუდით, ფილიპ VI ვალუა ილხან აბუ-საიდს მოუ-

წოდებდა ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისაკენ, ხოლო გიორგი V-ს, ალბათ, ანტითურქულ კოალიციაში იწვევდა. სხვა გარემოებაში თავრიზის თათბირის წევრები, როგორც აბუ-საიდის შემთხვევაში, არც გიორგი V-სთან გაგზავნიდნენ საფრანგეთის მეფის წერილს და მასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებს არ გამართავდნენ. უდავოა, ანტითურქული ალიანსის გეგმაში კათოლიკური სარწმუნოებისადმი კეთილად განწყობილი გიორგი V-ის საქართველოს უმნიშვნელო როლი როდი ეკისრებოდა, რასაც საფუძველი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ჩაეყარა.

ასეა თუ ისე, ავინიონისა და პარიზის გათვლა მცდარი აღმოჩნდა. წყაროს თანახმად, გიორგი V ორი თვის მანძილზე მასპინძლობდა რიკარდოსა და ალექსანდრეს. თუ ეს მართლა ასე იყო, გიორგი მეფე, ალბათ, არაერთხელ მიუბრუნდა საფრანგეთის მეფის წინადადების განხილვას. შესაძლებელია, ამ ხნის მანძილზე აგროვებდა ინფორმაციას საფრანგეთის მეთაურობით წამოწყებულ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე. არაა გამორიცხული, ამ ლაშქრობის მზადებისა და მასში მონაწილე წევრი-სახელმწიფოების შესახებ მანამდეც გააჩნდა გარკვეული ცნობები. იმ საერთაშორისო ვითარებაში, როცა საქართველოს ეგვიპტის სულტნებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ილხანებისაგან ქვეყანას არანაირი საფრთხე არ ელოდა, ხოლო თურქთა მხრიდან საშიშროება ხელშესახები არ იყო, საქართველოს მეფემ, არ იყო რა დარწმუნებული ჯვაროსნული ლაშქრობის რეალობაში, ყოველ შემთხვევაში წმ. მიწების დაბრუნებისა და მამლუქების განადგურების მიზნით, დიპლომატიურად აიცილა თავიდან ანტითურქულ ალიანსში მოკავშირეობის წინადადება. შესაძლებელია, პრაგმატულად მოაზროვნე გიორგი მეფე ითვალისწინებდა, რომ საფრანგეთი შორს იყო საქართველოსაგან. სწორედ ასეთ გააზრებებს ემ-

ყარება, ჩვენი აზრით, გიორგი V-ის პასუხი საფრანგეთის მეფისადმი, რომელიც ამ უკანასკნელს, „...ცხადია, არ ესიამოვნებოდა...“¹. მოკლედ, საქართველოს მეფე ფილიპ VI ვალუას სწერდა: „საფრანგეთის ღვთისმოსავი მეფეები ხშირად შეაგულიანებდნენ ხოლმე აღმოსავლეთის ხელმწიფეებს სარკონოზების წინააღმდეგ [საბრძოლველად], დაჰპირდებოდნენ მათ დახმარებას, ხოლო შემდეგ თვითონ არ მიდიოდნენ დასახმარებლად და მათ მარტო მიატოვებდნენ; ისინი ასეთი ომებიდან სამწუხარო შედეგებს იღებდნენ. ასე რომ, თქვენ დაადგინეთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მაშინვე მიხილავთ თქვენი განკარგულების შესაბამისად 30 ათასიანი ლაშქრით“².

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გიორგი V-ის წერილის ეს მოკლე ფრაგმენტი საფრანგეთის მეფის წინადადებაზე დიპლომატიურად უარის თქმის ბრწყინვალე ნიმუშია. მის პოლიტიკურ კონტექსტში უფრო მეტი იკითხება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: პირველი, მასში ზოგადად მინიშნებულია იმ მწარე ისტორიულ გამოცდილებაზე, როცა საფრანგეთის მეფეები წააქეზებდნენ აღმოსავლეთის ხელმწიფეებს მუსლიმების წინააღმდეგ საბრძოლველად და შემდეგ დაპირებულ დახმარებას არ უწევდნენ, რის გამოც სამწუხარო შედეგებს იმკიდნენ; მეორე, ამას ადგილი ბევრჯერ ჰქონია. წერილში ფრაზა - „ხშირად შეაგულიანებდნენ“ - გამოყენებულია იმ სამწუხარო შედეგების ამოსავალად, რაც საფრანგეთის მეფეების დაპირებული დახმარების შეუსრულებლობას მოსდევდა აღმოსავლეთის ხელმწიფეებისათვის. ჩვენი აზრით,

¹ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. III, გვ. 22.

² Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica., Vol. III, 1919, pp. 415; კიკნაძე ვ. საქართველოს ისტორიის ევროპული..., გვ. 159; ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა..., ტ. III, გვ. 22-23.

ამაში იგულისხმება XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში წმინდა მიწების დასაბრუნებლად პაპობის, ინგლისის და საფრანგეთის მესვეურების ილხანებთან ერთობლივი სამხედრო მოქმედების უშედეგო დაპირებები, რაზეც შემოთ უკვე გვქონდა საუბარი. შესაძლებელია გიორგი მეფემ ისიც კარგად უწყოდა, „...საფრანგეთის ყოველი მეფე ტახტზე ასცლისას...“ თუ როგორი გატაცებით „...იღებდა ჯვაროსნულ პროექტებს, რომელიც აქამდე წარუმატებლობას განიცდიდა, როცა მათი განზორციელება გარდაუვალი ჩანდა“¹. ცხადია, ამას შეეძლო გიორგი V დაერწმუნებინა, რომ კათოლიკურ ევროპას მეტად არ აინტერესებდა წმინდა მიწები. შესაძლებელია გიორგი მეფემ ისიც იცოდა, რომ 1326 წლიდან „მამლუქთა სასახლე გახდა ევროპელ დესპანთა ის ადგილი, სადაც ისინი ებებდნენ სულტნისაგან დახმარებას კომერციული ან რელიგიური მიზნებისათვის“². თუ ეს ასეა, შეცვლილ ვითარებაში, საქართველოს მეფე, ალბათ, მეტად უფრთხოდა იმ უპირატესობის დაცვას, რომელიც მან მიიღო ეგვიპტის მამლუქი სულტნებისაგან; მესამე, გიორგი V საფრანგეთის მეფეს ირიბად მიანიშნებდა, რომ კათოლიკურ დასავლეთთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად დაემთხვეოდა ერთმანეთს მათი საგარეო პოლიტიკური ინტერესები და რამდენად რეალური იქნებოდა ფილიპ VI წამოწყება. სხვა აზრის ამოკითხვა შეუძლებელია გიორგი მეფის სიტყვებიდან: „...თქვენ დაადგინეთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მაშინვე მიხილავთ თქვენი განკარგულების შესაბამისად 30 ათასიანი ლაშქრით“. მეფის ეს გადაწყვეტილება ასევე გვაძლევს საშუალებას დავას-

¹ Cornel Bonta. Op. cit., p. 13.

² Dr. Hayat Nasser Al-Hajji. Op. cit., p.33.

კნათ, რომ გიორგი V ბრწყინვალე რეალურ ვითარებაში უარს არ ამბობდა ჯვაროსნულ იდეაზე, რომელიც ემყარებოდა კათოლიკური ევროპის პრაქტიკულ და აქტიურ სამხედრო მოქმედებას, რაც ჯერჯერობით მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი იყო.

დამოწმებანი:

ალასანია გ., ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში. - ნოდარ შენგელია 75, თბ., 2008.

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

კიკნაძე ვ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. ჟურნ.: „მნათობი“, №9, 1982.

კიკნაძე ვ., საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. ჟურნ.: „მნათობი“, №4, 1983.

მამისთვალისშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2014.

პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995, გვ. 91.

პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII-XV საუკუნეები), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, კრებული I, თბ., 2013.

სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999.

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984.

ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნ-საცავებში, III, თბ., 1987.

ჯაფარიძე გ., საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016.

Archivio Segreto Vaticano, Registro Vaticano, vol. 62.

Annales Minorum... Auctore A.R.P. Luca waddingo
Hiberno... Tomus sextus, Romae, 1738.

Alireza Karimi, Mahdi Nasiri., The political relations between Iran and Europe during the Mongols period. Ученые записки Таврического национального университета имени В.И. Вернадского. Серия „Филология. Социальные коммуникации“. Том 27 (66). №3. Симферополь, 2014.

Cornel Bonta. La croisade tardive: des plans du début du XIV-e siècle à la defaite de Nicopolis. Universite Montréal, 2012.

Cristine Gadrat-Ouerfelli., Avignon, porte pour l’Orient. Première moitié du XIVE siècle. Villes méditerranéennes au Moyen Age. Rpresses Universitaires de Provence, 2014.

Christiane Deluz. Croisade et paix en Europe au XIVE siècle. “Cahiers de recherches médiévales et humanists”. Journal of medieval and human istic studies, №1, 1996.

Déprez Eugène., Les préliminaires de la guerre de Cent ans. La papauté, la France et l’Angleterre (1328-1342). Paris, 1902.

Donald M.Nicol., The Last Centuries of Byzantium, 1261-1453, second edition, Cambridge University Press, 1993.

Edbury P.W., The Kindgom of Cyprus and the Crusades, 1191-1374. Cambridge, 1991.

Golubovich G., Biblioteca bio-bibliografica della Terra Santa e dell’Oriente francescano, Quaracchi, Firenze, Vol. II, 1913.

Golubovich G., *Biblioteca bio-bibliografica della Terra Santa e dell'Oriente francescano*, Quaracchi, Firenze, Vol. III, 1919.

Dr. Hayat Nasser Al-Hajji., *The Crusading Deals During the Fourteenth and Fifteenth Century*, 1976.

Hautala R., *Latin Sources on the Religious Situation in the Western Mongol Uluses in the late 13th early 14th centuries*. *Научный ежегодник. Золотоордынская цивилизация*, 2013, №6, Казань, 2013.

Hill George Francis Sir., *A History of Cyprus. Vol. II*. Cambridge University Press, 1972.

Hussey J.M., *The Orthodox Church in the Byzantine Empire*. Oxford University Press, 1986.

Kenneth Scott Parker., *The Indigenous Christians of the Arabic Middle East in an Age of Crusaders, Mongols, and Mamluks (1244-1366)*. Royal Holloway College, University of London, 2012.

Lemerle P., *L'Emirat d'Aydin, Byzance et l'Occident, recherché sur la "gesta d'Umur Pacha"*, Paris, 1957.

Leopold A., *How to Recover the Holy Land. The Crusade Proposals of the Late Thirteenth and Early Fourteenth Centuries*. Burlington. Vermont: Ashgate, 2000.

Makris G., *Studien zur spätbyzantinische Schifffahrt*. Genua, 1988.

Muldoon J., *Missionaires and the Marriages of Infidels: The Case of the Mongol Mission//The Jurist*, 1975, #2-3.

Pahlitzsch J., *Mediators Between East and West: Christians under Mamluk Rule*. In *Mamluk Studies Review*. Vol.9, #2, 2005. The University of Chicago.

Richard J., *La Papauté et les missions d'Orient au Moyen-Age (XIIIe-XVe siècles)*, (2e edition) Rome: Ecole Française de Rome, 1998.

Ryan J. D., *Christian Wives of Mongol Khans: Tatar Queens and Missionary Expectations in Asia// The Spiritual Expansion of Medieval Latin Christendom: The Asia Missions*/Ryan J.D. (ed.).Farnham: Ashgate Publishing, 2013.

Runciman St.Geschichte der Kreuzzüge. München, 1995.

Setton Kenneth M., *The Papacy the Levant (1204-1571)*. V.I. The thirteenth and fourteenth centuries. Philadelphia. 1976.

Stantchev S. K., *Embargo: The origins if an idea and the implications of a Policy in Europe and the Mediterranean*, ca. 1100-ca 1500. University of Michigan, 2009.

Tamarati, Michel., *L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos jurs*, Rome, 1910.

Tanase Th., *Le Royaume de Hongrie et les missions franciscaines dans les régions sous domination mongole du XIIIe siècle au XVe siècle: un exemple de géopolitique religieuse*. Annuario. Istituto Romeno di cultura e ricerca umanistica, №5, 2003.

The Routledge Companion to the Crusades Peter Lock, New York, 2006.

Viard J., *Les Projets de croisa de de Phillipe VI de Valois*. In *Bibliothèque de L'Ecole des Chartes*. 1936. tome 97.

Wing P., "Rich in Goods and Abounding in Wealth": The Ilkhanid and Post-Ilkhanid Ruling Elite and the Politics of Comercial Life at Tabriz, 1250-1400. "Politics, Patronage and the Transmission of Knowledge in 13 th-15 th Century Tabriz. Edited by Judith Pfeiffer". Leiden-Boston, 2014.

Гаген С. Я., *Политический фон папской миссии 1334/1335 г. в Константинополь. «Античная древность и средние века*. Вып. 34. 2003.

Джонатан Райли-Смит. *Истрия крестовых походов*. М., 1998.

История Казахстана. Алматы, 1997, Т. 2.

Кантакузен Иоанн. Беседа с папским легатом. СПб., 2008.

Карпов С. П., Трапезундская империя и западно-европейские государства в XIII-XV вв. М., 1981.

Кикнадзе Р. К. Города и городская жизнь в государстве Хулагидов. Реф. Канд. Дис. Тбилиси, 1956.

Колотова О. Е., Пиратство ордена госпитальеров в Восточном Средиземноморье (1291-1522 гг.). Античная древность и средние века. Екатеринбург. Урал. гос. унт : Волост, 1999, вып. 30.

Мальшев А. Б. Христианство в истории Золотой Орды. Автореф. дисс. канд. ист. наук. Саратов, 2000.

Махмудов Я.М. Взаимоотношения государств Аккоюнлу и Сефевидов западноевропейскими странами (II половине XV-начало XVII века). Баку, 1991.

Микаелян Г.Г. История Киликийского армянского государства. Ереван, 1952.

Хаутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империи Монголов в XIII век е. Сходознавство. №57-58. Київ. Інститут сходознавства ім. А.Ю. Кримського Національної академії наук України, 2012.

Murman Papashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THEORETICAL PROJECTS OF CRUSADES AND
GEORGIA IN THE FIRST HALF OF THE 14TH
CENTURY
RESUME**

The author has studied primary sources and recent academic literature first of all with the purpose of exploring the Georgian-Roman churches junction in the light of the Oriental missionary policy of the Popes of Avignon. The issue of this union is closely connected with the two aims pursued by Popes of Avignon, namely by Pope John XXII in their relations with the East. The first aim was to organize oriental missions and the second one was connected with organizing crusades for returning the Holy Land.

In 1322 Avignon and King of Georgia Giorgi Y the Splendid started discussing the issue of organizing the World Council of Churches dedicated to the junction of churches. As a result, the author concludes that it is impossible to say how popular the idea of junction was in Georgia, but it was really supported which is proved by the dialogue between the two parties. The Georgian leaders were cautious with regard to the union of Churches and consistently defended the independence of the Georgian Church when Rome pursued the same goals. For Georgia, the idea of the union of churches in the face of an international threat was the means of achieving its diplomatic purposes in its relations with the West (with Pope of Rome and western kings). Thus, Georgia was against the junction. Undoubtedly, it could result in breaking off relations with the west which was not what the Georgian leaders wanted. Therefore, they gave free hand to catholic missionaries. In the

context of the Union it was not hard to fulfill and at the same time it compensated for the recession of the union. Besides, the facts that the common cause against Muslims made religious squabbles take a back seat and that King George V showed absolute tolerance for Catholicism, equally possessed political context.

After that, the author considers the preparation (which began in 1331) of the anti-Turkish crusade under the leadership of the King of France Philip VI Valois and in this light the reason why Giorgi Y refused the offer of the King of France to become his ally. The King of Georgia was quite well informed about the theoretical and practical preparation of the crusade and was not sure that it would be carried out. In the international situation when Georgia had good relations with Egyptian sultans, and no danger lay in wait for the country from the Ilkhanate, and a threat from Turkey was insignificant, the Georgian king diplomatically avoided participating in the anti-Turkish alliance. The mentality of King Giorgi Y was completely subordinated to active military actions, and not to various theoretical projects that existed at the time.

ლელა სარალიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**საქართველოს საზღვრების საკითხი და ქართული
პოლიტიკური ემიგრაცია**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.), ამიერკავკასიის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, საქართველოს მიმართ გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, თან ახლდა საზღვრების გამიჯვნის პრობლემა. ეს ეხებოდა საზღვრის საკითხს არა მარტო რუსეთთან, არამედ ოსმალეთთან და სომხეთ-აზერბაიჯანთან. პრეტენზიები, ძირითადად, ბათუმის ოლქის ტერიტორიას ეხებოდა. სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერდნენ აშშ-ს და ევროპის სახელმწიფოთა მეთაურები, ცდილობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკებები საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ეწარმოებინა. სარგებლობდა რა, როგორც წამყვანი სახელმწიფოების, ასევე, რუსი თეთრგვარდიელი გენერლების მხარდაჭერით, სომხეთის ხელისუფლება შავ ზღვაზე გასასვლელს ითხოვდა, ანუ კონკრეტულად ის პრეტენზიას აცხადებდა ბათუმის ოლქზე. სომეხ დაშნაკებს თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ გენერალ დენიკინის შტაბთან, შემდეგ კი გენერალ ვრანგელის შტაბთან. თავის მხრივ, სომხეთში იყვნენ თეთრგვარდიელების ოფიციალური

წარმომადგენლები.¹ სომხეთის ხელისუფლება ითხოვდა ყარსიდან ბათუმამდე და ბათუმიდან - რიზემდე რკინიგზის გაყვანას, მასზე სომხეთის კონტროლის დაწესებას, ასევე, ჭკოროხის მთელ მარცხენა სანაპიროს. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად სომხებმა რუკა გაამზადეს, სადაც როგორც სომხეთში შემავალი ტერიტორიები, აღნიშნული იყო – თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი.² სომეხი დაშნაკები, ასევე, ბათუმის ოლქში მყოფი ბრიტანული ადმინისტრაციის (1918-1920 წწ.) ხელმძღვანელის – ეუკ-კოლისის მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ.³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, სომეხ დაშნაკთა მიერ წამოწყებული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც სულ მალე სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდა, იმ ერთიანი ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში 1918 წლის ბოლოსთვის ახლადშექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე იყო გათვლილი.⁴

¹ სომეხი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან 1921 წლამდე, დავით მერკვილაძის რედაქციით, რუსულიდან თარგმნა ერეკლე ხუციშვილმა, გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა და კომენტარები დაურთო დავით მერკვილაძემ, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016, გვ. 245.

² ვ. ნოზაძე, „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, თბილისი, 1989, გვ. 13.

³ A son exellance le haut commissaire de la Grande Bretagne, Republique democratique Géorgienne, Ministre des affaires étrangères, 17 Mai, 1920, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე 371 /4941 №565 (2).

⁴ ა. ჩაჩხიანი, „რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავი-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის მმართველებს შორის შედარებით მოკავშირული ხასიათის ურთიერთობა არსებობდა, თუმცა ნაკლები მადით არც აზერბაიჯანის ხელისუფლება გამოიჩინოდა. აზერბაიჯანი, როგორც ნავთობით მდიდარი ქვეყანა, შავ ზღვაზე გასასვლელისთვის იბრძოდა. აზერბაიჯანელთა სურვილი იყო, ბათუმის ნავსადგურიდან ნავთი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაეტანათ. პარიზის საზავო კონფერენციაზე წარსადგენად, მათ საკუთარი მოთხოვნები შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო: საინგილო (ზაქათალა), ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი. ზაქათალის ოლქზე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაც აცხადებდა პრეტენზიას. ამიერკავკასიის სახელმწიფოები, ნაცვლად შეთანხმებული მოქმედებისა, ერთმანეთს ტერიტორიული საკითხის გამო დაუპირისპირდნენ, რამაც ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან მოახლოვებული საფრთხის პირობებში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღნიშნული ქვეყნების დამოუკიდებლობის დაკარგვას. 1921 წლის 11 თებერვალს, ლორეს¹ რაიონში ბოლშევიკებმა

ზღვისპირეთში (1918-1920 წლები)“, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 237.

¹ **ლორე** – ძირძველი ქართული მხარე. ლორეს ისტორიულ რეგიონს საუკუნეების მანძილზე ხან ქართველი, ხან სომეხი მონარქები აკონტროლებდნენ. XIX საუკუნის განმავლობაში ლორეს ტერიტორია თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში შედიოდა. 1918 წელს საქართველოს და სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ლორე საქართველოს შემადგენლობაშია, როგორც თბილისის გუბერნიის ნაწილი. პროვინციის მოსახლეობის უმრავლესობას ამ დროს სომეხები შეადგენდნენ. 1918 წლის დეკემბერში, სადავო ტერიტორიების მითვისების მიზნით, სომხეთი თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სომხეთ-საქართველოს ომი, ლორეს ტერიტორიის ნეიტრალურ ზო-

ნად გამოცხადებით დასრულდა. ჩრდილოეთ ნაწილში ქართული არმია, ხოლო სამხრეთ ნაწილში სომხეთის არმია უნდა მდგარიყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო წინადადება ომის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მოითხოვა სტატუს ქვო ანტებელუმის აღდგენა, ე.ი. ომის დრომდე არსებული მდგომარეობის დამტკიცება, ასევე, სადავო საზღვრების შეთანხმებით გამორკვევა. 1918 წლის 25 დეკემბერს ინგლისელმა გენერალ-მაიორმა რაიკფორტმა, ფრანგმა პოლკოვნიკმა შარდინიმ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ დაადგინეს: ინგლისელ, ფრანგ, ქართველ და სომეხ წარმომადგენელთა შერეული კომისია სასწრაფოდ გაემგზავრება ფრონტზე, რათა შემდეგი შეთანხმება განახორციელოს: კომისია განსაზღვრავს გარნიზონების რიცხვს, რომელიც უნდა დატოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილო ნაწილში და რამდენი უნდა დატოვონ სომხებმა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში. ინგლისური პიკეტები ჩადგებიან რკინიგზაზე ქართულ და სომხურ ჯარებს შორის. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული. 1918 წლის 30 დეკემბერს, სომხეთის მთავრობამ ეს დადგენილება მიიღო და 31 დეკემბერს 12 საათზე საქართველო-სომხეთის ომი შეწყდა. (იხ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე №254). ადგილობრივი მოსახლეობა, ლორეს რაიონის საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა, რასაც დამფუძნებელი კრებისადმი არაერთი მიმართვა ადასტურებს. ლორეს ნეიტრალურ ზონას შერეული (ქართულ-სომხური) ადმინისტრაცია განაგებდა. 1920 წლის 13 ნოემბერს, მთავრობათა შეთანხმებით გადაწყდა, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას სამი თვით მთლიანად საქართველოს ჯარები დაიკავებდნენ. სამი თვის მანძილზე თუ სადავო ტერიტორიის გამიჯვნაზე შეთანხმება ვერ მოხდებოდა, მაშინ საქართველოს ჯარი ნეიტრალურ ზონას დატოვებდა და იქ შერეული ადმინისტრაციის მმართველობა აღდგებოდა. აღნიშნული შეთანხმების შემდეგ, სომხეთი საბჭოთა რუსეთმა დაიკრო და საბჭოთა სომხეთის მთავრობამ, რუსეთის ხელისუფლების მითითებით, ქართულ მხარეს ლორეს ნეიტრალური ზონიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. 1921 წლის 13 თებერვალს, ლორეს რაიონში ქართული ჯარის ყოფნის ვადა იწურებოდა, რის გამოც რუსეთს აჯანყების ინსცენირება უნდა მოეხდინა. ლორეს რაიონში აჯანყების მოწყობა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, ასევე, პირადად ორჯონიკიძემ სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავა-

აჯანყების პროვოცირება მოახდინეს. დივერსიულმა ჯგუფებმა, ბორჩალოში დისლოცირებულ ქართულ ნაწილებზე იერიში მიიტანეს, რასაც მალე საქართველოში XI არმიის რეგულარული ნაწილების შემოსვლა და საქართველოს გასაბჭოება მოჰყვა.¹

საზღვრების საკითხთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის ქვეყნების ემიგრანტ პოლიტიკოსებს შორის დავა უცხოეთშიც გაგრძელდა, რაც ქართული ემიგრაციული პრესის ფურცლებზე აქტიურად შუქდებოდა. 1927-1939 წლებში, პარიზში, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი – „ახალი ივერია“, გამოდიოდა. სულ ჟურნალის 12 ნომერი გამოი-

ლა. 1920 წელს საქართველოს მთავრობამ, სომხეთის გასაბჭოების გამო, ორთენახევრით შეძლო ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე თავისი დე-ფაქტო და დე-იურე იურისდიქციის აღდგენა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის 7 ივლისს, რკპ (ბ) კავკასიის ბიურომ, იოსებ სტალინის მეთაურობით, დაადგინა: ე.წ. ნეიტრალური ზონა – ლორეს ოლქი სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცეს. აღნიშნული დადგენილებით, ლორეს ოლქზე ქართული მხარის პრეტენზიები საბოლოოდ გაუქმდა. 1921 წელს კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის კავბიუროსა და საქართველოს კომპარტიის პოლიტბიუროს დადგენილებით, სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი ე.წ. ლორეს რაიონი – 2367 კვ.კმ ფართობით. მოგვიანებით, 1925 წელს სომხეთს ასევე გადაეცა ბორჩალოს მაზრის კიდევ ერთი ნაწილი 207,94 კვ.კმ ფართობი. ერთობლიობაში 1921-1925 წლებში სომხეთს საქართველოს ტერიტორიის 2575.38 კვ.კმ დაუთმეს.

¹ ლ. სარალიძე, „აჯანყების პროვოცირება ლორეში და შულავერის კომიტეტი“, წიგნი: „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით)“, წიგნი II, დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, რედაქტორი - დ. ჭუმბურიძე, რეცენზენტი – ო. ჯანელიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 242.

ცა¹. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლები მტკიცედ იდგნენ საქართველოს, როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის, ისე მისი ტერიტორიული საზღვრების დაცვის სადარაჯოზე.

1938 წელს, ჟურნალის - „ახალი ივერია“, ფურცლებზე დაიბეჭდა ემიგრაციაში მოღვაწე ემიგრანტის - გრიშა ნადარეიშვილის („ნარი“) სტატია: „საზღვრებზე და არასაზღვრებზე“. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს, პარიზში რუსულ ენაზე გამოძავალი თურქოფილური ჟურნალის - „კავკაზი“ და მისი რედაქტორის ჰაიდარ ბამატის მოსაზრებებს საქართველოს ისტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია: „რუსული „კავკაზ“-ის წარსული წლის დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ბამატის მეთაური „კიდევ კავკასიის საზღვრებზე“. იწყება იგი ისე პრეტენზიულად, რომ მკითხველს უნებლიედ გაეცინება: „უგუნებოდ ვუბრუნდები ამ უმაღურ თემასო“ - აცხადებს იგი. გეგონებათ ეს საკითხი მისთვის მეორეხარისხოვანი რამ ყოფილაო. წერილის კითხვის დროს კი აღმოჩნდება, რომ ბამატისათვის ეს საკითხი მთავარი და პირველხარისხოვანი ყოფილა. ბამატი სწუხს, რომ ჩვენ აპრიორი არა ვღებულობთ, რაც მან ბრძანა და რასაც აწ გვიბრძანებს. ქართველი ემიგრაცია მას აღარ ასვენებს, კავკასიის ამ ამომავალ მზეს, მხსნელსა და ბელადს! ამიტომ ის იძულებული ხდება მოიცალოს ისეთ წვრილმანებისათვის, როგორცაა ტერიტორიაზე და საზღვრებზე ლაპარაკი. „ძნელია და საშიში ჩაგრულ ერისათვის საზღვრების საკითხიო“ - აცხადებს ბამატი. გასაკვირია მისი ამდენი მიხვედრილობა... ბარემ გვითხრას: რათ გინდათ ქართველობა, ჩინი და მენდლები შეიძინეთო. დიად, ქართველს ქართველობა აღარ ექნება თუ ბამატის ანკესზე წამოვეგო... ბამატის მიკი-

¹ გ. შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 517-518.

ბულ-მოკიბული ნათქვამის თანახმად, კავკასიაში, გარდა აზერბაიჯანისა და მთისა, ყველა რუსეთის მომხრეა და ამიტომ ჩვენ, ე. ი. აზერბაიჯანელები და მთიულები, ოსმალეთის მომხრე უნდა ვიყოთ. თუ პირველი დებულება უსირცხვილო სიყალბეა, მეორე – უტიფარი გულწრფელობაა ამ ადამიანის თავის ქვეყნისადმი მოღალატეობაში. ბამატს სურს, რომ კავკასია, რუსეთ-ოსმალეთ-ირანს შორის ბრძოლის არენა გახდეს და ჩვენს დროშიც სისხლის წვიმები მოვიდეს. ბამატს რა ეკარგება, თუ ამით კავკასიის ერები დაზარალდებიან. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს ოსმალეთი და ირანი თავიანთი განვითარების ისეთ საფეხურზე არიან, რომ ბამატის ტიპის ავანტიურისტები დიდი ხანია მონივლეს. ბამატი პირად მაგალითზე მიგვივითებს: მეცა მაქვს სადაო ჩრდილოეთის საზღვრები, მაგრამ ხომ ხედავთ, ყუბანელებს მოვურიგდი. მართალია, დღეს ამ შეთანხმებას ყავლი აღარ აქვს, მაგრამ „ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ახალ პირობებში ჩვენი ხალხები დაუბრუნდებიან ამ ხელშეკრულებას“. ბამატს უთუოდ ჰგონია, რომ ძალიან დელიკატურად მსჯელობს და ვერ ამჩნევს, რომ წინააღმდეგობათა ქსელში ფართხალობს... ერთობ კავკასიისათვის იქნება უმჯობესი ბამატებმა ხელი აიღონ ქართველებისათვის სამარის გათხრის ტრადიციაზე, თორემ ქართველობამ თავის დაცვა ცოტა უკეთ იცის, ვიდრე ბამატსა ჰგონია... დღეს ჩვენს წინაშე ჩრდილოეთის საზღვრების საკითხი სდგას, ჩვენ ვებრძვით ჩრდილოეთის სლავიანურ სტიქიას და არა სამხრეთს. ამ ბრძოლაში სამხრეთის მეზობლებს, მათი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩვენს მოკავშირედ ხდის. ეს კარგად ესმით, სადაც ჯერ არს. ამას აშკარად ხედავს ჩრდილოეთიც. ამიტომ რუსეთი მუდამ ცდილობდა სამხრეთის მეზობლებთან ჩვენი ურთიერთობა გაემწვაკებინა და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების სოლიდარობა დაე-

რღვია. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ მიზნით მომუშავე ბამატიც ჩრდილოეთიდან მოდის“.¹

ჟურნალ „კავკაზი“-ს გამოსვლას, ქართველი ემიგრანტები თავდაპირველად თანაგრძნობით შეხვდნენ, რადგან იგი კავკასიის კონფედერაციის იდეის მქადაგებლად გამოდიოდა. 1930 წელს, ემიგრაციაში მყოფმა ა. ჩერმოვემა და ჰ. ბამატმა, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მეთაურთა სახელით, აზერბაიჯანის წარმომადგენელ მირ იაკუბთან ერთად, ოფიციალურად მიმართეს ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ელჩს – აკაკი ჩხენკელს, რათა მას კავკასიის კონფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ეშუამდგომლა. შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში, კავკასიის წარმომადგენელთა ძალების გაერთიანებას, ისინი სასიცოცხლოდ მიიჩნევდნენ². თუმცა, მალევე გაირკვა, რომ ჟურნალის ხელმძღვანელს – ჰაიდარ ბამატს, კავკასიის ერთა თანამშრომლობა და კონფედერაცია ცუდად ესმოდა.

ჟურნალმა - „ახალი ივერია“, 1939 წლის №12-ში გადმობეჭდა, პავლე ინგოროყვას მიერ 1918 წელს კონსტანტინოპოლში გამოქვეყნებული ნაშრომის – „საქართველოს საზღვრები“, ერთი ადგილი – „მესხეთის პროვინცია“, რომელსაც წინ უძღოდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პუბლიცისტის, ჟურნალის ერთ-ერთი დამფუძნებლის - ალექსანდრე ცომაიას (1907-1956 წწ.) წერილი. იგი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო. ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ საფ-

¹ გ. ნადარეიშვილი, „საზღვრებზე და არასაზღვრებზე“, №8, პარიზი, 1938.

² საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 882, ფურცელი 6.

რანგეთში და გერმანიაში მოღვაწეობდა, სადაც აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ქართულ ემიგრაციულ პრესაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ა. ცომაია საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, სადაც 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ნიუ-იორკში. ა. ცომაიას წერილი, ასევე, მიმართული იყო პარიზში გამომავალი ჟურნალის - „კავკაზი“ და მისი რედაქტორის ჰაიდარ ბამატის წინააღმდეგ. ბამატი მოუწოდებდა ქართველ ემიგრანტებს, რათა ოსმალებთან მეგობრობის ნიშნად, ქართულ მიწა-წყალზე უარი ეთქვათ და თურქების საკუთრებად ელიარებინა. ამასთან, იგი ყარსის ხელშეკრულებით, კავკასიისათვის დადგენილ საზღვრებს, ხელსაყრელად მიიჩნევდა. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ბოლშევიკური რუსეთის და ოსმალეთის გარიგებით, ყარსში დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უძველესი ქართული ტერიტორია – არდაგან-ოლთისი-ართვინის მხარე, ოსმალეთს გადაეცა (სულ 13.046 კვადრატული კილომეტრი), ხოლო ბამატი აცხადებდა, რომ ოსმალეთთან არსებული ეს ახალი საზღვრები ქართველებმა უდავოდ უნდა მიიღონო. ამ ფაქტით აღშფოთებული ა. ცომაია კითხულობს: „რა უფლება აქვს ბ. ბამატს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხებში ჩაერიოს და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადამსინჯველად გამოვიდეს? ვინ მისცა მას უფლება საქართველოს სახელით ილაპარაკოს?“¹ ალექსანდრე ცომაია, აკრიტიკებს რა ბამატს, აღნიშნავს, რომ ყარსის ხელშეკრულება არ გამოხატავს ქართველი ერის ინტერესებს და იგი არ ცნობს რუსეთის მიერ ძალით დამყარებული საოკუპაციო ხელისუფლების არც ერთ დოკუმენტს და დასძენს, ბოლშევიკებს იმდენივე უფლება

¹ ა. ცომაია, „საქართველოს საზღვრები“, ჟურნალი „ახალი ივერია“, №6, პარიზი, 1937.

ჰქონდათ საქართველოს სახელით ელაპარაკათ, რამდენიც ამჟამად ჰაიდარ ბამატს აქვს. ა. ცომაიას მიაჩნდა, რომ საქართველოს საზღვრების გასაყვანად და მეზობლებთან რაიმე შეთანხმების მისაღწევად, ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, მომავალი საქართველოს ეროვნული მთავრობა იქნებოდა.

ჰ. ბამატმა ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს ისტორიული საზღვრები და ბათუმი კავკასიის ქალაქად გამოაცხადა. ა. ცომაია, მკაცრად აკრიტიკებს ჰ. ბამატს ბათუმის საკითხის გამო, რადგან მას ქალაქი ბათუმი არა ქართულ ქალაქად, არამედ კავკასიის კუთვნილებად მიაჩნდა. იგი წერს: „ბატონი ბამატი არ კმაყოფილდება ამ საკითხების გადაჭრით, მას საქართველოსთან სხვა ანგარიშებიც ჰქონია: ის ვერ ურიგდება, რომ ბათუმი ქართული ქალაქია. მისი გაგებით, ბათუმი ერთობ კავკასიის კუთვნილება ყოფილა და არა საქართველოსი. მაგრამ ეს დებულება მხოლოდ შესავალია მთავარი აზრის სათქმელად. ბათუმი კავკასიის საერთო კუთვნილებად იმიტომ აქცია, რომ თვითონაც წილი დაეღოს – ეს კი უფლებას ანიჭებს ამ ქალაქის ბედის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღოს. ასეთი გზით, ბათუმის მესაკუთრედ ქცეული ბ-ნი ბამატი ბრძანებს: „ბათუმი, ჩვენის წარმოდგენით, არა იმდენად ნაჭერია ქართული ტერიტორიისა, რამდენადაც უმთავრესი პორტი საერთო კავკასიური მნიშვნელობისა. ბათუმი, რომელიც გამოსავალია ბაქოს ნავთისათვის, აღერბაიჯანისათვის არა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე საქართველოსათვის. ბათუმი ერთადერთი პორტია კავკასიის მთელი სომხური ჰინტერლანდისა... მაგრამ მოვიყვანოთ ჩვენი აზრი აქაც ლოლიკურ ბოლომდე და ვაღიაროთ, რომ ბათუმს აკრავს ვრცელი რაიონები ყარსისა და არდაგან-ართვინისა – და მომავალ ეროვნულ კავკასიას უთუოდ დასჭირდება ოსმალეთთან გამონახოს ისეთი მოდუს ვივენდი, რომელიც მისცემს ამ რაიონებს სავაჭრო

გზას დიდი კავკასიური პორტისაკენ-ო¹. ალექსანდრე ცომაია აკრიტიკებს ბამატს და დასძენს: „ჩვენის აზრით, ბამატის მთელი სული და გული ამ უკანასკნელ დებულებაშია და ბათუმის კავკასიურობაც ამის სათქმელად დასჭირდა. ჯერ ძველთაძველი ქართული მიწა-წყალი წაიღო და ქართველთა დაუკითხავად გაასაჩუქრა; ეხლა ბათუმსაც ეწვია, რადგან მის მიერ გატაცებულ ყარსისა და არდაგან-ართვინის ვრცელ რაიონებს თურმე ზღვაზე გასასვლელი გზა და პორტი სჭირდებათ! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ბამატი მიუხედავად დაპირებისა, თავის აზრს „ლოლიკურ დასრულებას“ არ აძლევს. მისი სტატიის ბუნება, ყოველი დებულების არსი და სული აშკარად ამბობს, რომ ყარს-არდაგან-ართვინთან ერთად ბ-ნი ბამატს ურჩევნია ბათუმიც ოსმალეთს გადასცეს, მაგრამ ახდით ვერ ამბობს, შუა გზაზე ჩერდება და მიუდგომელი არბიტრის პოზით, ფარისევლურად „მოდუს ვივენდის“ დაეძებს... ბ-ნი ბამატი ივიწყებს, რომ ჩვენი საზღვრების დღევანდელი მოხაზულობა შედეგია ქვეყნის ავანაკურად დაკავებისა, სამხედრო ოკუპაციისა“².

ალექსანდრე ცომაია თავის წერილში, აკრიტიკებს, ასევე, ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეებს. მისი აზრით, „მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილებმა, არსებობისა და მუშაობის უჩვეულო პირობებში მყოფმა ქართველებმა ვერ შეინარჩუნეს ეროვნული ბრძოლის ტრადიციები და სისხლით შედუღებული ეროვნული ერთობა, უცხოეთში პარტიულ, ჯგუფურ და პიროვნულ კინკლაობამდე დაიყვანეს, რითაც ერთმანეთს მორალური და მატერიალური ზარალიც მიაყენეს... მარადი-

¹ ა. ცომაია, „საქართველოს საზღვრები“, ყურნალი „ახალი ივერია“, №6, პარიზი, 1937.

² ა. ცომაია, „საქართველოს საზღვრები“, ყურნალი „ახალი ივერია“, №6, პარიზი, 1937.

ულს და უზენაეს ეროვნულ ინტერესებს ხშირად პირადი სარგებლიანობის საზომით მივუდევით და ეროვნული დამოუკიდებლობისა და ბრძოლის ბევრი ძირითადი საკითხი – საუკუნეების გასწვრივ ეროვნული პოლიტიკისათვის მუდამ უდავოდ მიჩნეული – დღეს სადავოდ გადავაქციეთ“¹.

3. ბამატის მზაკვრულ პოლიტიკას აკრიტიკებს, ასევე, საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი – ელისე პატარიძე (1896-1975 წწ.). პარიზში გამომავალ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში – „სამშობლო“, მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“. ავტორი გულისტკივილით საუბროს დაკარგულ ქართულ ტერიტორიებზე, რამაც განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იძულებით გასაბჭოების შემდეგ, ინტენსიური ხასიათი მიიღო. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მტრებს გარკვეული მიზანი ამოძრავებდათ, რათა საქართველოს დანარჩენი ტერიტორია კიდევ დაენაწილებინათ, ჯერ ავტონომიური რესპუბლიკების სახით და შემდეგ კი სრულიად მოეგლიჯათ ეს ნაწილები საქართველოს სხეულიდან. იგი აკრიტიკებს ჰაიდარ ბამატს ბათუმის საკითხის გამო და წერს: „ბამატმა დაიწყო ამ მისიის აღსრულებისათვის მოღვაწეობა ბათუმის საკითხის დაყენებით და შეიძლება ბამატმავე განაახლოს თავისი ძველი მოღვაწეობა, რომელსაც ის ჩვენი დამოუკიდებლობის დროს აფხაზეთში აწარმოებდა ოსმალეთის დავალებით... ტერიტორია ფუძეა ეროვნული ცხოვრებისა. მხოლოდ საკუთარს ტერიტორიაზედ დასახლებული ერი არის ერი ნამდვილი ამ ცნების მნიშვნელობით. ერის მიერ მისი საკუთარი ტერიტორიის დაკარგვა მისი ეროვნული მეობის დაკარგ-

¹ ა. ცომაია, „საქართველოს საზღვრები“, ჟურნალი „ახალი ივერია“, №6, პარიზი, 1937.

ვას უდრის“.¹ ელისე პატარიძე ხაზს უსვამს რუსეთის ხელი-სუფლების ინტერესებს ამიერკავკასიაში და აღნიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს, საქართველო საბჭოთა რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული და ქართული ჯარი ბათუმისაკენ იხევდა. ოსმალეთის ხელისუფლება, თითქოსდა ქართველებს ეხმარებოდა, სინამდვილეში ბათუმში ჯარები შემოიყვანა და ქალაქში გამაგრდა, როგორც შემდეგ გამოირკვა ბათუმის საქართველოსგან ჩამოსაგლეჯად. საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში დამარცხებულმა ქართულმა ჯარებმა ბათუმიდან ოსმალეთის ჯარი გამორეკეს და ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნეს. ასეთ ვითარებაში ჰაიდარ ბამატი, ოსმალეთის ინტერესებს იცავს და ჟურნალ „კავკაზ“-ში წერს: „არავითარი ტერიტორიული უთანხმოება, არც ოსმალეთთან და არც სპარსეთთან. ჩვენ საბოლოოდ დაუბრუნებლივ ვცნობთ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებას დადებულს კავკასიის საზღვრებზე“².

ელისე პატარიძე აკრიტიკებს ბამატის მავნებლურ შეხედულებებს საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებით და წერს: „ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოს უდავო საკუთრებაა, მისი ნავთსადგურია, მისი კარებია დასავლეთ ევროპისაკენ გამოსავალი. მისი ბედიც ქართული ეროვნული პოლიტიკის საქმეა და არა მთიელ კუმიკის ბამატის, რომელსაც ვურჩევთ, თავისი საკუთარი ქვეყნის სადაო საზღვრებზედ იფიქროს და იზრუნოს, რომ მოსარიგებელი ენა მონახოს მის მეზობელ ყაზახთა მომავალ სახელმწიფოსთან. ამ უკულო ხარისთვის არც ბუზების შემოსე-

¹ ე. პატარიძე, „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1932, გვ. 39-42.

² ე. პატარიძე, „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1932, გვ. 39-42.

ვა გვიცნობებია და არც მათი მოგერიება გვითხოვია. ბამატი უცხო ქვეყნის მთებიდან ჩამონადენი მღვრიე წყლის ტალღებს ჩამოყოლილია და იგივე წყალი წაიღებს მას უცხო ზღვისაკენ“¹.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლას, საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბოლშევიკური ხელისუფლება აქტიურად აგრძელებდა საქართველოს დაშლა-დანაწილებას, რასაც კავკასიელი ემიგრანტებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს.

დამოწმებანი:

1. A son exellance le haut commissaire de la Grande Bretagne, Republique democratique Géorgienne, Ministre des affaires étrangères, 17 Mai, 1920, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე FO 371 /4941 #565 (2).
2. ალექსანდრე ცომაია, „საქართველოს საზღვრები“, ჟურნალი „ახალი ივერია“, №6, პარიზი, 1937.
3. არჩილ ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 237.
4. გრიგოლ ნადარეიშვილი, „საზღვრებზე და არასაზღვრებზე“, ჟურნალი „ახალი ივერია“, №8, პარიზი, 1938.
5. გურამ შარაძე, „ამერიკელი ქართველები“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1992.

¹ ე. პატარიძე, „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1932, გვ. 39-42.

6. ელისე პატარიძე, „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1932, გვ. 39-42.
7. ვიქტორ ნოზაძე, „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, თბილისი, 1989, გვ. 13.
8. ლელა სარალიძე, „აჯანყების პროვოცირება ლორეში და შულავერის კომიტეტი“, წიგნში: „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII–XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, რედაქტორი - დ. ჭუმბურიძე, რეცენზენტი - ო. ჯანელიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 242.
9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 882, ფურცელი 6.
10. სომეხი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან 1921 წლამდე, დავით მერკვილაძის რედაქციით, რუსულიდან თარგმნა ერეკლე ხუციშვილმა, გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა და კომენტარები დაურთო დავით მერკვილაძემ, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016, გვ. 245.

Lela Saralidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

**THE ISSUE OF BORDERS OF GEORGIA AND
GEORGIAN POLITICAL EMIGRATION
RESUME**

On the basis of the archive and emigration press materials, Georgian emigration politicians views about of the territorial borders of Georgia, as well as the issue of Batumi discussed in the article. Georgian emigration press is actively fighting against Russian Bolsheviks the spread of lies and for restoration of Georgia's territorial integrity.

Georgian politicians and public figures, attached great importance to the issue of Batumi. The Bolsheviks also acknowledged that, one of the main goals of the occupation the Democratic Republic of Georgia was to connect Baku to Batumi. The article deals with the emigration figure Alexander Tsomaia and Gregory Nadareishvili articles, which are printed in magazine `New Iveria“. Magazine published in Paris in the years 1927-1939. The article concerns the issue of the territorial borders of Georgia. The author criticizes the article printed by Haidar Bamat - Mountaineers Republic representative, emigration figure. H. Bamati suspects the issue of presence the Batumi in Georgia's borders. He considers Batumi as a Caucasian city. Alexander Tsomaia on the basis of historic documents approved, that Batumi is an inseparable part of Georgia. He also criticizes the Georgian emigration politicians figures, who considered Kars agreement as a favorable for Georgian people. Elise Pataridze, known immigrant, member of the National Democratic Party

published in emigration magazine – “Samshoblo“ an article: “The issue of Georgia's territory“. He also criticizes H. Bamats for his mistaken views about of the Georgian borders. Georgian emigrants, their patriotic publicist letters were served the Georgian people, who lived under the Bolshevik occupation. The issue is still relevant today, because the territorial boundaries of Georgia are still violated by various hostile forces.

**მოხელეთა და სოციალური შინაარსის აღმნიშვნელი
ტერმინები შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერების
მიხედვით**

IX-X საუკუნეების ასომთავრული წარწერები, რომლებიც შიდა ქართლში – დიდი და პატარა ლიახვის, ასევე მეჯულის და ფრონეს ხეობებში – არსებულ ტაძრებზეა შესრულებული, ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს არა მხოლოდ შიდა ქართლის ამ უძველესი კუთხეში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური პროცესების შესახებ. აქ გვხვდება ისეთი ხასიათის ტერმინები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადრეფეოდალურ საქართველოში არსებული სამოხელეო იერარქიასთან დაკავშირებით. შიდა ქართლის ლაპიდარულ წარწერებში შემდეგი სახელისუფლო და სოციალური შინაარსის ტერმინები გვხვდება: **უფალი, ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი, ხევისუფალი, მამასახლისი, პატრიკოსი.**

უფალი

ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე შესრულებული წარწერაში, სადაც საუბარია აფხაზთა მეფის, კონსტანტინეს, პერეთში ლაშქრობაზე, მოიხსენიება **ქართლის უფალი** ივანე ტბელი. წარწერაში ვკითხულობთ: „[სახ]ელითა ღ(მრთის-ა)ითა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[ადითა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ²შ]ობელისაითა, [შეწევნითა წმ(ი)დ-

(ი)სა გი(ორგი)სითა, ჳელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამყარ-
 [ე]პ[უ]ლისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ
 ბრძანა და ჩავიდა ჳერე⁴თს [შ]იგან, ჳერთა მეფ[ე]დ გა(ა)[ქ]-
 ცია და მუნით მშუიღობით იქცა, ცისკრად ა⁵ლავერდს ილო-
 ცა, [მ]წუხრი ბრეძას გადატა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვე-
 ჯინ⁶ისა ციხე დაღეწა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა
 ივანესა, მთავარ⁷ებ[ი] სკო[სო]ბასა სანატრელისა ყუარყუარე-
 სა*, ჯ(უა)რითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ⁸ე[ლი]სა - სანა-
 ტრ[ელი]სა სტეფანე ებისკოსისაიდათა, ძალითა, შეწევნითა მო-
 ყუას⁹თაიდათა, მე თ(ევდორ)ე თაფლადსემან დავდე საძირკვე-
 ლი - წელნი იყ(უ)ანეს ხფი, ქრონიკ[ონ]სა ჩკვ.¹

ერედვის ტაძრის წარწერა 906-914 წ.წ. თარიღდება.
 როგორც ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს: „1 წარწერაში აღნიშნუ-
 ლი თარიღი „ხფი“-6510 (-906 წ.) წარწერის თარიღი კი
 არ არის, არამედ ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწე-

* ამ სიტყვის აღდგენა პირობითია.

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16. P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იხსენიებს ეგზარქოს ვლადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმომხილველი, იღუმენი კირიონი (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), თუმცა დაზიანების და, ალბათ, დროის უქონლობის გამოც მან ეს წარწერა ვერ ამოიკითხა. იხ. И. К. Обзорение Каргалинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии, стр. 20.

რას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე.ი. 906 წლიდან დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ; 2) წარწერაში აღნიშნული ლაშქრობა აფხაზთა მეფის კონსტანტინესი ჰერეთს, წყაროების ცნობით, მოხდა აბულ-კასიმის ლაშქრობის (914) შემდეგ.¹ ტბელთა დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე IX საუკუნიდან იწყება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწყისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გაძლიერება და მათი გაერისთავება.“² ტბელები სარგებლობენ აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ. ტბელების ძლიერება ზენიტს აღწევს ივანეს დროს. ის კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირეა, ამიტომაც იწყება ერედვის წარწერა ჰერეთში კონსტანტინე აფხაზთა მეფის ლაშქრობის აღწერით. ტბელთა საფეოდალოს დიდ მნიშვნელობას სძენდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც რამდენიმე ციხით იყო გამაგრებული, ასეთი ციხეები იყო: აჩაბეთი, კეხვი და სხვ.³

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 171.

² მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 255.

³ რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, ძეგლის მეგობარი, №14, 1968, გვ. 11. ტბელთა ფეოდალური საგვარეულოს შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52; გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის

ერედვის წარწერაში არ ჩანს როდის გახდა „ქართლის უფალი“ ივანე ტბელი. წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, ის საკმაოდ მაღალი იერარქია, ქართლს განაგებს. თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტს, რომ ქართლის ტერიტორიაზე ამ დროისათვის არაერთი ფეოდალური საგვარეულო არსებობდა, რომლებიც თავიანთ კუთვნილ ტერიტორიებს მესვეურობდნენ, „უფალი“ ამ საფეოდალოთა და საერისთავოთა შორის ყველაზე უფრო მაღლა მდგომი სახელისუფლო შინაარსის მქონე ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო — მეფის მონაცვლე. ამ დროისათვის ქართლის ტერიტორიაზე პრეტენზიებს აფხაზთა მეფეები აცხადებდნენ, შესაბამისად, ქართლის გამგებელს-უფალს აფხაზთა მეფეები ნიშნავდნენ. წარწერის შინაარსში, ამ მხრივ, გარკვეული სუბოორდინაციაა დაცული. „უფალი“, როგორც სახელისუფლო ინსტიტუტი, მემკვიდრეობითი არ იყო, რადგან ივანე ტბელის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამდე ტბელთა ფეოდალური სახლის სხვა წარმომადგენელი „უფალის“ სახელის მფლობელად არ ჩანს. ამ თანამდებობაზე არც ივანეს მემკვიდრეები გვევლინებიან.¹ „უფალი“ გვხვდება ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში. საკურთხეველის

ინსტიტუტი, შოთა მესხიას დაბ. 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2016, გვ. 227-249.

¹ ქართლის ცხოვრებაში ტერმინი „უფალი“ რამდენჯერმე გვხვდება: „ჯუანშერი რომელმაც ვახტანგ გორგასლის ცხოვრება აღწერა ამ ტერმინს ასეთი სახით იყენებს: (მოძღვარი პეტრე მიმართავს მეფე ვახტანგს) „არა უკუე შენ უფალ გყო ამათ ყოველთა ზედა, და შენ შეგიდგინა/ყოველნი.“ ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 165; სუმბატ დავითის-ძე აშოტ კურაპალატის მკვლევლობასთან დაკავშირებით წერს: „ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი-იგი იყვნეს დოლისყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ჴხელთა ოროზ-მოროზის ძეთათა.“ იქვე, გვ. 377.

ჩრდილო კალთაზე არსებულ ათსტრიქონიან ასომთავრულ ტექსტში, რომელიც სტეფანოზ მამფალის ეპიტაფიას წარმოადგენს. წარწერა სამეცნიერო ლიტერატურაში დათარიღებულია 739 წლით. წარწერაში სტეფანოზთან მიმართებაში ორივე ტერმინი გვხვდება, „მამფალიც“ და „უფალიც“.

1. [ქ: ზეობას] ა კა ღ(მრ)თ(ი)გვრგვზნ [ოსანისა]
2. [არჩილისი, კე] თ(ი)ლადმსახურ [რებასა შ(ინ)ა]
3. მ [ე] ფ [ისა] ჩუენისასა, ჳელმწიფო
4. ბასა [სა] რკინოზთასა რ კ ა, აღესრუ
5. ლა კუ [რ] თხეული მ(ამ)ფ(ა)ლი სტეფანოზ,
6. ღ(მრ)თ(ი)სა მ [იერ] ქ(არ)თ(უე)ლთა და მ(ე)გრ(ე)ლთა ერის
7. თავე [რისთა] ვსთა უფ(ა)ლი თ(თუეს)ა ოკლომბე
8. რსა [იდ], ღღესა ოთხშაბათსა, ჟამს
9. ა ღ[მისასა] ა, ამას ზ(ედ)ა წელსა ღღისა მ
10. თ [ავრობისა მო] ხრდილი კთ.¹

მამფალი სტეფანოზის საპატიო წოდება უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩანაწერი - „ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი“ სხვა ერისთავთა მალღა მდგომ სახელისუფლო იერარქის შინაარსს უნდა გამოხატავდეს.²

¹ ქართული წარწერებს კორპუსი, ფრესკული წარწერები, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, ტ. I, თბ., 1989, გვ. 90.

² საქართველოში გავრცელებული მამფალი, შესაძლებელია, იმავდროულად ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულის მფლობელიც ყოფილიყო, ამას ადასტურებს აბასთუმანთან ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტზე არსებული წარწერა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში 685-711 წ.წ არის დათარიღებული, მამფალი ამ წარწერის მიხედვით პატრიკოსის ტიტულსაც ატარებდა:

“ჴ [შ(ე)წ(წენ)თა ქ(რისტ)წსითა], დვ(ს)ტ(ინ)ი(ა)ნ(ე) მ(ე)ფ(ი)სა [ზე, მე]² [-----] ვ(ი)ქ(მე)ნ ღ(მრ)თ(ისაგა)ნ გ(ა)ნღიდ(ებუ)ლი

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უფალი“ შიდა ქართლში შემორჩენილ სხვა წარწერაშიც გვხვდება. X საუკუნით დათარიღებულ ბიეთის წარწერაში (მეჯუდის ხეობა) იხსენიება იოანე ერისთავთ-ერისთავი (ყანჩაელი), „უფალი“: „ქ(რისტ)ე, მე(უ)[ფეო]/ყოველთ(ა)ო, ა[დ](ი)/²დე ე(რისთავთ)-ე(რისთავი) ი(ოვან)ე//ძე ბაკ(ურ)/³ ყ(ა)ნჩაელ(ისა)//დ, უფალი და /⁴ პ[ატ]რ[ო]ნი ამ(ი)ს წ(მი)დისა/⁵ ეკლ(ე)სი(ის)ა//[დ]ადც(ე)ვ წ(მი)და(დ)/⁶ [მრ]ქმლი ს(ა)მე/-[ბის]ა][დ] ყო[ც(ე)ლი.]“¹ ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ოდნავ მოგვიანებით, ტერმინი „უფალი“ „პატრონმა“ ჩაანაცვლა. დიდი მეცნიერის აზრით, X-XI საუკუნეებში სოციალურ ცხოვრებაში ახალი ტერმინი „პატრონი“ ჩნდება.² თუმცა, როგორც ბიეთის წარწერიდან ჩანს, ტერმინები „უფალი“ და „პატრონი“ ლაპიდარულ წარწერებში ერთდროულადაც გამოიყენებოდა. ჩვენი აზრით, „უფალს“ X საუკუნეში სახელისუფლო მოხელის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო „პატრონს“ მისი, როგორც ფეოდალის, როგორც კერძო მფლობელის შინაარსი. ბაკურ ყანჩაელის ძე იოანე ამ წარწერაში მოხსენიებულია როგორც ქართლის მო-

ნ(ა)თ(ესა)ვთ/³ [აყ(ოველ)თა ჩ(ემთ)ა]: ბძ(ან)ებ(ი)თა ღ(მრ)თ(ი)ვ ღ(ა)ც(უ)ლ(ის)ა მ(ამ)ფლ(ის)ა/⁴ [არ(შუ)შა პ(ა)ტ(რი)კ(იოსი)სა და ნ(ე)ბ(ი)თად(მრ)თ(ისა)დ)თა ქ(ართ)ველთა ერ(ის)თ(ავის)ა, /⁵ ქ(რისტ)ე პ(უ)ლ(ის) ც(ი)ხ(ე)ს(ა)თა ბოძებით(ა), მ(ო)წ(უ)ე ულ ვიყავ და/⁶ ა(ღ)ვმ(ართ)ე პ(ა)ტ(იოს)ს(ანი) ჯ(უარ)ი, წ(მი)დისა ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ე)ლისა ს(ა)ხ(ე)ლ(ს)ა/⁷ ს(ა)ლ(ო)ც(ვე)ლ(ად) ჩ(ემ)და და/⁸ ძმ(ა)თა ჩ(ემ)თა, მეო/⁹ ხ(ე)ბ(ი)სათ(ჯ)ს ყ(ოვე)ლ[ს(ა) კ(ი)რსა]/¹⁰, ამ(ა)ს ს(ა)წ(უ)თრ(ო)ს [დ]ა ს(აუ)კ(უ)ნეს./¹¹ და ვ(ი)ნ აღ(მო)კ(ით)ხ(ო)ს ღ(ო)ცვ(ას)ა მ(ომი)ჯს(ე)ნ(ე)[თ]. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, იქვე, გვ. 103.

¹ იქვე, გვ. 193.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 58.

ხელე უფალი და ამავდროულად ბიეთის ეკლესიის პატრონი. შესაძლოა ბიეთის ტაძარი იოანე ყანჩაელმა თავისი გვარის ერთ-ერთ საძვალედ აქცია.* როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასაწყისში ქართლში კონსტანტინე აფხაზთა მეფის დროს ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო დიდგვაროვანი ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლის“ პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს „მატიანე ქართლისას“ ცნობა: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი

* ეს წარწერა სხვაგვარადაც შეგვიძლია წავკითხოთ: იოანე ყანჩაელი – უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა, ორივე ტერმინი დავუკავშიროთ მხოლოდ ბიეთის ტაძრის ყანჩაელისადმი კუთვნილების აღნიშვნას, მაგრამ, ვფიქრობთ, ორივე ტერმინის ამ კონტექსტში გამოყენება არ უნდა იყოს სწორი. წარწერის ამომკვეთს, ალბათ, იმის თქმა სურდა, რომ იოანე ყანჩაელი, რომელიც იმ დროს ქართლს განაგებდა, ბიეთის ეკლესიის ამშენებელი იყო.

მრავალი აზნაურნი.“¹ კონსტანტინეს ბანაკში რომ ყანჩაელიც ყოფილიყო, ამას მემატთანე უსათუოდ აღნიშნავდა. სიტყვებში „სხუანი მრავალნი აზნაურნი“ ტბელთა დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა წვრილი აზნაურები (შესაძლოა ხევის უფალნიც) უნდა იგულისხმებოდეს. გიორგი აფხაზთა მეფისათვის მხარი ბიეთის წარწერაში მოხსენიებულ იოანე ყანჩაელს უნდა დაეჭირა, რომელმაც შემდეგ ერისთავთ-ერისთავობა და ქართლის „უფლობა“ მიიღო. ყანჩაელების და ტბელების ფეოდალური საგვარეულოების შესახებ აზრი გამოთქვა ჯ. გვასალიამ, მკვლევარი წერს: „IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევებიდან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯუდის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაზმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი. X საუკუნისათვის ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან, წინაურდება ტბელთა სახლი.“² ყანჩაელების IX საუკუნეში აღზევების დათარიღებისას მკვლევარი ბიეთის სამშენებლო წარწერის რ. მეფისაშვილისეულ დათარიღებას ეყრდნობა.³ თუმცა, ბიეთის წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. პა-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 267.

² ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

³ P. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6-A, თბ., 1963, გვ. 44-45.

ლეოგრაფიული ნიშნების გარდა,¹ ამ დათარიღებას მხარს უჭერს „მატიანე ქართლისა“. ყანჩაელთა გვარი გიორგი აფხაზთა მეფის დროს (X საუკუნის I ნახევარში იხსენიება). ჩვენი აზრით, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა კი არ ჩაანაცვლა ყანჩაელთა სახლი, როგორც ჯ. გვასალიას მიაჩნია, არამედ პირიქით. ტბელთა საფეოდალოს პირველობა ქართლში, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ყანჩაელთა ფეოდალურმა სახლმა წაართვა.

ერისთავი და ერისთავთ-ერისთავი

დიდი ღიახვის ხეობის ერთ-ერთი ტაძრის - დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე არსებულ წარწერაში გვხვდება ტერმინი „ერისთავი“.

წარწერაში ვკითხულობთ: „სახელით/²ა ღ(მრ)თი(სადთა) ივანე ე/³რ[ისტ]ავმ(ა)ნ ტბ(ელ)მ(ა)ნ/⁴ აღ(ა)შენა ესე წ(მიდა)ღ ე/⁵კლესიაღ სალო/⁶ცველად მისთ/⁷ის და ხუთთა ძე/⁸თ[ა მისთ]/⁹ათუ[ის].“² ამ წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი, როგორც ზემოთ მივუთითებდით, ერედვის წარწერაში გვხვდება, როგორც „უფალი.“ დოდოთის წარწერა წინ უნდა უსწრებდეს ერედვის წარწერას, რადგან აქ ივანე, ერედვის წარწერისაგან განხვავებით, ჯერ მხოლოდ ერისთავის სახელის მფლობელია.*

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 192.

² იქვე, გვ. 176.

* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა მ. ბახტაძემ. მისი აზრით, დოდოთის წარწერა, სადაც ივანე ერისთავი იხსენიება და ერედვის 914 წლის წარწერა დაახლოებით ერთი პერიოდის უნდა იყოს. მისი განმარტებით, დოდოთის და ერედვის წარწერებში საქმე გვაქვს ივანე ტბელის მოღვაწეობის ორ პერიოდთან. ის ერედვის

წარწერაში ჯერ კიდევ არ ფლობს ქართლის ერისთავის თანამდებობას, დოდოთის წარწერაში კი ის უკვე ერისთავია. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, 2005, გვ. 84. მკვლევარი იმოწმებს დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ივანე ტბელი ჯერ გახდა კონსტანტინეს (ივლისხმება აფხაზთა მეფე) ვასალი, შემდეგ კი მოხელე ერისთავი. იქვე, გვ. 84. მ. ბახტაძე წერს: „ჩვენ ვთლით, რომ ქართლის საერისთავო შეიქმნა კონსტანტინეს დროს, დაახლოებით 914 წელს და მისი პირველი ერისთავი იყო ივანე ტბელი.“ იქვე, გვ. 84. როგორც უკვე მივუთითებდით, ივანე ტბელი დოდოთის წარწერაში მოხსენიებულია ერისთავის ტიტულით, ხოლო ერედვის წარწერაში ის იხსენიება როგორც ქართლის უფალი. ვერ გავიზიარებთ მ. ბახტაძის შეხედულებას, რომ ივანე ჯერ ქართლის უფალი გახდა, შემდეგ კი ერისთავის ტიტული მიიღო. აქ, ჩვენ აზრით, პირიქით უნდა ყოფილიყო. ივანე ტბელმა, მას შემდეგ რაც კონსტანტინე აფხაზთა მეფის ვასალი გახდა, ერისთავობა მიიღო („ამ კონტექსტში ტერმინ „ქართლის ერისთავის“ გამოყენება დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან ქართლის ერისთავი ამ დროისათვის არც დოკუმენტური წერილობითი წყაროებით დასტურდება და არც ლაბიდარული წარწერებით, ამ დროისათვის არსებობდა მხოლოდ ქართლის უფალი და ქართლის ტერიტორიაზე უფალს ექვემდებარებოდა რამდენიმე საერისთავო), ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, ის იმავე კონსტანტინე მეფის დახმარებით ქართლის უფალი გახდა. სხვა შემთხვევაში მას ერედვის წარწერაში „ქართლის ერისთავად“ მოიხსენიებდნენ. მ. ბახტაძის შეხედულებით, კონსტანტინეს შემდეგ ქართლს მისი ძმა ლეონი განაგებდა. იგი „მატიანე ქართლისაის“ თანახმად ქართლის ერისთავი იყო. მკვლევრის აზრით, ლეონი ერისთავად 957 წლამდე უნდა ყოფილიყო. მ. ბახტაძე სვამს კითხვას: „გასარკვევია, თუ ვინ გახდა ერისთავი მას შემდეგ, რაც ლეონი გამეფდა. ამ მხრივ, საინტერესოა წორბისის მახლობლად ნაპოვნი წარწერა.“ იქვე, გვ. 85. ამ წარწერაში მკვლევარი გულისხმობს ყორნისის რაიონში სოფ. წორბისთან ი. მეგრელიძის მიერ აღმოჩენილ წარწერას, სადაც ივანე ერისთავი იხსენიება. (თუმცა ლეონის ერისთავობის შემდეგ მკვლევარის მიერ ყორნისის წარწერის ამ კონტექსტში დამოწმება ცოტა გაუგებარია, რადგან არ ჩანს მკვლევრის პოზიცია, თვლის თუ არა ლეონის შემდეგ ქართლის ერისთავად წორბისის წარწერაში მოხსენიებულ ივანე ერისთავს). მ. ბახტაძე არ იზიარებს წორბისის წარწერის აღმოჩენის - ი. მეგრელიძისეულ დათარიღებას (880 წ.) მისთვის წორბისის წა-

ქრონოლოგიურად დოღოთის წარწერასთან ახლოს უნდა იყოს ფრონის მარცხენა ნაპირზე წორბისთან არსებულ

რწერის ო. ტყეშელაშვილისეული დათარიღებაა მისაღები (960 წ.), რომლის აზრით, აქ მოხსენიებული ივანე ერისთავი პატრიკ ტბელის ძე და ქავთარ ტბელის მამა უნდა ყოფილიყო. აქაც ვერ დავეთანხმებით მკვლევარის მოსაზრებას. წორბისის წარწერა სამეცნიერო ლიტერატურაში 880 წლით არის დათარიღებული. ჯერ ერთი წორბისის წარწერაში ივანე მოხსენიებულია ერისთავი და არა ქართლის ერისთავი. მეორეც, ივანე ტბეთის წარწერაში მოხსენიებული პატრიკის ძე ვერ იქნებოდა. რადგან პატრიკ ტბელის წარწერაში პატრიკი ქავთარის ძედ იხსენიება და, სავარაუდოდ, მის შვილს ქავთარი ერქმეოდა და არა ივანე. ამ აზრს ნ. შოშიაშვილის მიერ დადგენილი ტბელთა გენეალოგიაც ამყარებს. მკვლევრის განმარტებით, დოღოთის და ტბეთის წარწერებში ტბელთა ოთხი თაობაა. ივანე-ქავთარ I — პატრიკი-ქავთარ II. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 179. ტბელთა წარწერები ერედვის და დოღოთის წარწერებში მოხსენიებული ივანე ტბელის გარდა სხვა ივანე ტბელს არ იცნობს. წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე რომ ქართლის ერისთავი ყოფილა, ასეთ შემთხვევაში წარწერის შემქნელები ფეოდალს ტიტულს ვერ დააკლებდნენ.

მ. ბახტაძის შეხედულებით, ლეონ III ქართლის ერისთავი 957 წლამდე იყო, შემდეგ ის აფხაზთა მეფე გახდა და ქართლის ერისთავობა პატრიკ ტბელს გადასცა. მ. ბახტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86. პატრიკის ქართლის ერისთავობა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. პატრიკი, რომლის სახელი სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით), იხსენიება ტბეთის ბორცვისჯვრის ბალავრის ქვის წარწერაში. ის ერისთავის ტიტულსაც კი არ ფლობს. ამ წარწერის თანახმად მას რამდენიმე შვილი ჰყავდა. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 180. ჩვენი აზრით, ამ დროისათვის ტბელების ქართლის ერისთავობა არ დასტურდება. ქართლის ერისთავთა რიგში ივანე ტბელის, ან პატრიკის მოხსენიება არასწორია. ივანე ტბელი იყო თავდაპირველად ტბელთა საფეოდალოს მფლობელი ერისთავი, ხოლო შემდეგ გახდა ქართლის უფალი, ხოლო პატრიკი ერისთავის ტიტულით საერთოდ არ გვხვდება. ივანე შემდეგ ტბელებმა ქართლში პირველობა დაკარგეს. გ. სოსიაშვილი, დიციის წარწერები, თბ., 2017, გვ. 71.

წარწერაში, რომელიც ი. მეგრელიძემ აღმოაჩინა. აღნიშნულ წარწერაშიც ივანე ერისთავი იხსენება.*

წარწერა მკვლევარმა შემდეგნაირად ამოიკითხა: „ს(ა)ხ-ელითა ღ(მრ)თის(აი)თა ესე კ(ო)ნქიშ(ე)მნ(ა) ივ(ა)ნე ერ(ი)-სთ(ა)ვმან (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნიკ(ო)სარს ს(ა)ბაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა“.* მკვლევარი აღნიშნულ წარწერას 880 წლით ათარიღებდა. ჩვენი აზრით, წორბისის და დოდოთის წარწერებში მოხსენიებული ივანე ერისთავი ერთი და იგივე პიროვნებაა და ის ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს. ივანე ტბელი წარწერებში ჯერ ერისთავია, შემდეგ კი ქართლის უფალი. მან ერისთავობის დროს წორბისის ეკლესიის კონქი ააშენა, შემდეგ დოდოთის ცხრაკარის ეკლესია, ხოლო როდესაც ქართლის უფალი გახდა, ივანე ტბელის ბრძანებით ერედვის ეკლესია აიგო. როგორც ჩანს, ივანემ ქართლის სხვა ფეოდალებზე უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ამ საგვარეულოებს „მატიანე ქართლისაც“ იცნობს. ცოტა უფრო მოგვიანებით კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძის – გიორგის მოღვაწეობის დროს ქართლში რამდენიმე ფეოდალური სახლია, მათ შორის: „გოდერძი მგლეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სსკლოსელი, სარა და გრიგოლ ფხუენელი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სსხუა“.¹ წორბისის წარ-

* ტერმინი „ერისთავი“ გვხვდება ატენის მცირეუძმათიანი ეკლესიის 982-989 წ.წ საამშენებლო წარწერაში, სადაც ტაძრის ამშენებელი ლიპარიტ ერისთავის ძე რატი ერისთავი იხსენიება. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 202. ერისთავობის ინსტიტუტის შესახებ იხ. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია, 2005; ცენტრალური და სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2017, გვ. 129.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 269.

წერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი, იგივე ტბელი, ქართლის სხვა აზნაურებზე, მათ შორის ფხუენელებზე და ყანჩაელებზე მეტად დაწინაურდა* და ის ქართლის „უფალი“ გახდა. როგორც უკვე მივუთითებდით, მეჯულის ხეობაში არსებულ ბიეთის ტაძრის X საუკუნით დათარიღებულ წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი ბაკურ ყანჩაელის ძე იოანე. იოანე ყანჩაელი ერთდროულად არის ერისთავთ-ერისთავი, ასევე უფალი და პატრონი.** ერისთავთ-ერისთავის ინსტიტუტთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. ი. ჯავახიშვილის აზრით: „ერისთავთ-ერისთავს მრავალი ქვეშეთი მოხელე ხელისუფალიც კი ჰყავდა, მათ შორის, რასაკვირველია, მისი თემის ერისთავნიც.¹ დ. გვრიტიშვილის შეხედულებით: „შინა-არსობრივად ერისთავთ-ერისთავი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მისი ქვეშეთი მოხელენი ერისთავნიც არიან. ერისთავთ-ერისთავების ტერიტორია უფრო დიდ სამხედრო ადმინისტრაციული ერთეულია. საერისთავო ერისთავთ-ერისთავების ტერი-

* სოფელი ფხვინისი, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა, ცხინვალიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით და ფხუენელთა ფეოდალური სახლის ცენტრი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო.

** ძალზე საინტერესოა, რომ „ერისთავის“ და ერისთავთ-ერისთავის“ გვერდით ქართულ წყაროებში, კერძოდ, ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ტერმინი „დიდი ერისთავი“. მაგ., ფლავის ეკლესიის მოსახსენებელში, რომელიც დათარიღებულია X-XI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება იხსენიება დვთაების ჯვარის აღმართველი დიდი ერისთავის რატის ასული, მირიან რთანისა(?) ცოლი. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 227.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნ. II, ნაკვ. I, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 331.

ტორიის განუყოფელი ნაწილია.¹ ე. თაყაიშვილის მოსაზრებით: „ერისთავი, რომელსაც სხვა ერისთავი თუ ერისთავები ჰყავდა ვასალებად, ერისთავთ–ერისთავად იწოდებოდა. ეს იყო უდიდესი ხარისხი მეფის ხარისხის შემდეგ.“² ნ. შოშიაშვილის აზრით: „XI-XV ს.ს. საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში ერისთავთ–ერისთავები მეფის მოხელეები იყვნენ, მათ ხელქვეითი ერისთავები არ ჰყავდათ და ამდენად ერისთავთ–ერისთავის პირდაპირი მნიშვნელობა რეალურ ვითარებას არ ასახავს.“³ ი. ანთელავას აზრით: დიდ ერისთავს (ერისთავთ–ერისთავს) ემორჩილებიან უფრო მცირე ერისთავები. მაგრამ ოფიციალური ადმინისტრაციული დაყოფა როგორც ჩანს, არ არსებულა. საერისთავ–ერისთავო და არც ერისთავთ–ერისთავის თანამდებობა.“⁴ მ. ბახტაძის შეხედულებით, ერისთავობა იყო ოფიციალური თანამდებობა, ხოლო ერისთავთ–ერისთავობა კი საპატიო ტიტული. მკვლევრის მოსაზრებით, ამ ორ ინსტიტუტს შორის არანაირი იერარქიული დამოკიდებულება არ ყოფილა.⁵ ჩვენი აზრით, ბიეთის წარწერაში იოანე ბაკურ ყანჩაელის ძეს აფხაზთა მეფეებისაგან ჰქონდა ბოძებული ერისთავთ–ერისთავის საპატიო ტიტული, ის ამ დროს იყო

¹ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბ., 1962, გვ. 67.

² ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო–კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, №27, 1949, გვ. 44.

³ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 191.

⁴ ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, თბ., 1983, გვ. 191–192.

⁵ მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2005, გვ. 191. (ერისთავთ–ერისთავობის ინსტიტუტის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოდგენილია მ. ბახტაძის ნაშრომში: ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2005.)

ქართლის გამგებელი „უფალი“, ე.ი. მეფის მიერ ქართლში დანიშნული მოხელე და ყანჩაელთა საკუთრებაში არსებული მამულის პატრონი.*

მამასახლისი

წორბისის წარწერაშივე იხსენიება „მამასახლისი“. როგორც ჩანს, მამასახლისი ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო და იგი უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს განაგებდა. თუმცა მას იმხელა პრივილეგია ჰქონდა, რომ ერისთავის ინიციატივით ამოკვეთილ წარწერაში მოიხსენიეს. მამასახლისები თვითონაც აგებდნენ ტაძრებს. ამას ადასტურებს მდ. რეხულის ზემო წელზე არსებული 864 წლით დათარიღებული არმაზის ტაძრის წარწერა, სადაც იხსენიება მამასახლისი გიორგი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობა დაუწყია.¹

მამასახლისები რომ ქრისტიანულ ტაძრებს აშენებდნენ, ატენის ხეობაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკზე არსებული ვეჟან ატენელი მამასახლისის VIII საუკუნის მოსახსენებელიც ადასტურებს: “ესე ჯ(უარ)ი ქ(რის)ტ(წ)სმ მე, ვეჟან ატ(ე)ნ(ე)ლ მ(ამასა)ხლ(ისმა)ნ² აღმართე შესაკედრებელად და ს³ აწსრად სულისა ჩემისა და⁴ ყ(ოვე)ლთათჳს თავყუანისმცე⁵ მელთა ქ(რის)ტ(წ)მ-

* ერისთავთ-ერისთავები შიდა ქართლის სხვა წარწერებშიც გვხვდებიან. იკორთის მონასტრის 1172 წლის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულნი არიან: ერისთავთ-ერისთავები ბეშქენი და ვარდანი. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ. „ოსთა საკითხი“, გვ. 142. აქვეა, ერისთავთ-ერისთავების: ვარდანის, არსენის, ჭიაბერის, ბასილისა და თვალის გუგასი. იქვე, გვ. 142.

¹ ლაპიძარული წარწერები, ტ. I, გვ. 168; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1956, გვ. 22. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ. „ოსთა საკითხი“, თბ., 1996, გვ. 129.

ს(ა)თა. ქ(რის)ტე ყ(ოვე)ლნი შეგ⁶ ჯწყალენ ძ(ალი)თა ჯ(უ-
არ)ი(ს)ა შ(ენ)ი(სა)თთა, ა(მწ)ნ.⁷ იყ(ავ)ნ. და, რ(ომელ)თა
აღმოიკითხოთ, მე, ვე⁸[ჟან ც(ო)დ(ვი)]ლი ლოცვასა მ[ომი-
ჯ]სენ[ეთ].¹

მამასახლისის ინსტიტუტი საკმაოდ გავლენიანი იყო უფრო გვიანდელი წყაროების მიხედვითაც. ამას ადასტურებს მათი მოსახსენებელი წარწერების ამოკვეთა შიდა ქართლის სხვა ტაძრებზე. 1920-იანი წლების დასაწყისში, ქარელის რაიონში ა. შანიძემ არადეთის ძველ ნასოფლარში წმ. გიორგის ეკლესიაში წარწერას მიაკვლია, რომელიც მარადელი მამასახლისების მოსახსენებელს წარმოადგენს. წარწერა თარიღდება X-XI ს. ს. „[წ(მიდა)ო გ(იორგ)ი]“² ადი[დ(ე)ნ]³ მ(ა)რ(ა)დ(ე)ლნ[ი] მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლი/“⁴სნი“². ჯვარის აღმართვის აღსანიშნავად წრომის ეკლესიაში მოსახსენებელი შექმნილი ჰქონდა გრიგოლ მამასახლისს. მოსახსენებელი IX საუკუნით თარიღდება: „ესე ჯ(უარ)ი ქ(რისტ)წ(ს)ი მე, მ(ა)მ²ას(ახლის)მ(ა)ნ გრ(იგ)ოლ ზ(ედ)ა ავმა³რთე, სალოცვე[ლ]ად ჩ(უე)ნ/“⁴და, მოსაჯ[ს]ენებლად⁵ ს[ულის]ა კურთხეულ[ი]⁶[სა მამისა ჩ(უე)ნ(ი)]სა“³ მამასახლისების მოსახსენებლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც გვხვდება.* ერთ-ერთი

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 107.

² იქვე, გვ. 113

³ იქვე, გვ. 132.

* ადრევეოდალური ხანის საქართველოში არსებული მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ ვრცლად იხ. ხ. გვარამე, ადრევეოდალური ხანის მამასახლისის ინსტიტუტისათვის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, II, თბ., 2002, გვ. 22. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ატენის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკზე არსებულ წარწერაზე დაყრდნობით ხ. გვარამე აღნიშნავს, რომ რაკი ვეჟან ატენელი მამასახლისი წარწერაში სხვა იერარქებს არ

ასეთი წარწერა, რომელიც თეთრიწყაროს რაიონშია შემორჩენილი, X საუკუნით თარიღდება და ასეთი შინაარსისაა:

იხსენიებს, იგი ატენის ხეობის სრული ბატონ-პატრონია. იქვე, გვ. 22. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება სწორი არ უნდა იყოს. როგორც წორბისის წარწერაში ვნახეთ ჯერ მოიხსენიება კონქის ამშენებელი ივანე ერისთავი, ხოლო შემდეგ კი მამასახლისი საბაი. ჩვენი აზრით, მამასახლისები ერისთავებისაგან კონკრეტულ ადგილებზე დანიშნული მოხელეები იყვნენ და იქ არსებულ მეურნეობას, მათ შორის ტაძრის მშენებლობასა უძღვებოდნენ. საეკლესიო წარწერებში მათი მოხსენიება არ ნიშნავს იმას, რომ მამასახლისები როგორც მოხელენი ადრეფეოდალური პერიოდის ქართლში არსებულ დიდგვაროვნებს გავუთანაბროთ. ხ. გვარაძე ერთგან წერს: „აღნიშნულ ძამელთა, ტბელთა მსგავს მთავრებად წარმოგვიდგებიან სწორედ ცალკეული ხეების გამგებელი-ხელისუფალნი, ანუ ზემოთ მოყვანილ წარწერებში დასახელებული ატენელი, არმაზელი, მარადელი, წრომელი მამასახლისები, რომლებიც მათ მფლობელობაში მოქცეული ტერიტორიების მემკვიდრეობით მფლობელობის საფუძველზე ფორმალურად ემორჩილებიან უფრო დიდი „ქვეყნების“ მფლობელ „მთავრებს“. იქვე, გვ. 26. ჩვენი აზრით, არასწორია ატენელი, არმაზელი მარადელი, ან სხვა მამასახლისების გათანაბრება ისეთ დიდგვაროვნებთან, როგორებიც იყვნენ ტბელები, ძამელები და სხვ. მამასახლისთა შემთხვევაში „ელ“ სუფიქსით ნაგულისხმევი არ უნდა იყოს, მათი წარმომავლობა და მესაკუთრეობა. ვეჟან მამასახლისის ატენელედ იხსენიება, აქ არ უნდა გავიგოთ, რომ იგი ატენის „ქვეყნის“ მფლობელია, არამედ ის, რომ ვეჟანი კონკრეტულად ატენს მამასახლისობს, ე.ი. ატენში არსებულ სამეურნეო საქმეებს უდგას სათავეში. იგივე შეიძლება ითქვას სხვებზეც, მარადელზე, არმაზელზე. წორბისის წარწერაში ჯერ ერისთავის, ხოლო შემდეგ მამასახლისის მოხსენიება მათ შორის გარკვეულ იერარქიაზე მიუთითებს. ქართლის დიდაზნაური ივანე ტბელი, რომელიც ქართლის „უფალი“ იყო არ შეიძლება მამასახლისად მივიჩნიოდ. ტბელებს, ძამელებს, კორინთელებს, ყანჩაელებს, თავიანთ „ქვეყნებში“ რამდენიმე მამასახლისი მაინც ეყოლებოდათ, რომელთაც კონკრეტულად მიჩენილ ადგილებზე ევალეობდათ თავიანთი სამოხელეო უფლებების შესრულება. თუმცა, არ გამოვიცხავთ, რომ ფეოდალურ ასპარეზზე ბევრმა მამასახლისმა გარკვეული პრივილეგია მოიპოვა და შემდგომში უფრო მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულის პატრონად გადაიქცა.

„...[გ₁ე]²[ლი მა]² [მ][ასახლი/³ [ს]ი ვარ“¹. ქართულ ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ტერმინი: „სამამასახლისო დაწერილი“. X-XI ს.ს მიჯნით დათარიღებულ შეწირულობის აქტის ფრაგმენტში ვკითხულობთ: „[ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა] ღ(მრ)თისა(ღ)თ||²[ა და მეოხებითა]||³ [წმიდისა ღ(მრ)თ(ი)სმშობლის(აღ)თა]...||⁴ თის ეკლესი(ი)სა შ(ე)წ(ი)რ(უ)ლი ჩნდეს ||⁵[წ-ლი]სა გ-სადა ||⁶ ვაკუ||⁷რთხე ს(ა)მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო) და-წ(ე)რ(ი)ლი წ||⁸[მ](ი)და. ვ(ი)ნცა ვ(ი)ნ შეუც||⁹ვალოს წ(მი-და)ი იოვ||¹⁰ან||¹¹ე ნ(ა)თლ(ი)სმც(ემე)ლი თ(ჯ)თ გ(ა)სჯ(ი)ს წ(ინაშ)ე ღ(მრთ)ისა“.² ხომ არ იყო „სამამასახლისო დაწერილი“ ეკლესიის წინამძღვრის, ან ეკლესიის პატრონის (ფეოდალის) მიერ სპეციალურად შექმნილი დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივ მამასახლისს ტაძრის, მისი მეურნების მოვლის გარკვეულ ვალდებულებას უჩენდა. ლაპიდარული წარწერებიდან ერთი რამ ნათელია, რომ მამასახლისები, როგორც ჩანს, სატაძრო მეურნეობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი და ეკლესიების მოვლა-პატრონობაში გარკვეული წვლილი შეჰქონდათ, სხვანაირად მათი მოსახსენებლების ტაძრების კედლებზე დატანას ეკლესია არ დათანხმდებოდა. ამას ადასტურებს აკად. ექვ. თაყაიშვილის მიერ ამოკითხული უბისის XII საუკუნის წარწერა: „ქ. ბერძნის წმიდად გიორგისად შემოოსაწირავი (sic) კეთილი შემოსწირა სტეფანე და მე დღეი უბოძე წმიდაისა სტეფანესი. ვინცა მამასახლისი ბრძანდებოდეთ, გარდიკდიდეთ, თაყას ღმერთმან მოგკსადოს ამინ.“³ მამასახლისი ქართულ აგიოგრაფიულ ტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. „ევსტათი მცხეთელის

¹ იქვე, გვ. 140.

² იქვე, გვ. 242.

³ Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки: Вып. V, Тиф., 1915, стр. 13.

მარტვილობაში“ მამასახლისი იხსენიება, როგორც ქართლის მოხელე: „რაჟამს ამხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოსი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხვანი სეფეწულნი...“¹ მამასახლისი მონასტრის ხელმძღვანელის აღმნიშვნელ ტერმინსაც გამოხატავდა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ხოლო მან ეპიფანეესი ბრძანა ჟამის წირვად, რამეთუ იგი დაედგინა მამასახლისად ხანძთას.“²

ხევისუფალი

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ტერმინი ხევისუფალი.* ამ მხრივ, საყურა-

¹ მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1978, გვ. 44.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 134.

* ხეცს ქართულ საისტორიო წყაროებში ისეთივე დატვირთვა ჰქონდა, როგორც „ქვეყანას“. სუბპატ დავითის ძის თხზულებაში ხევი ისეთი ტერიტორიული ერთეულია, რომელშიც რამდენიმე სოფელი შედის. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 379. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით: „ხევისუფალი წინ უსწრებს ერისთავს. ერისთავი ხევისუფლის შემცველი ინსტიტუტია, ხევისუფლის გადაშენების ნიადაგზე შექმნილი“. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 74. დ. მუსხელიშვილის აზრით, ადრეფეოდალურ პერიოდში ქვეყანა დანაწევრებული იყო „ხეკებად“, რომლებიც მოგვიანებით უფრო დიდ „ქვეყნებად“ გადაიქცნენ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 193. თუმცა, აღნიშნული ინსტიტუტის დეგრადაციის მიუხედავად, დოკუმენტურ წყაროებში, თუ ლაპიდარულ წარწერებში ხევისუფალი ერისთავთან ერთად განაგრძობს არსებობას. ოღონდ ხევისუფალი მხო-

დღებო ინფორმაციას შეიცავს მდ. მეჯუდას ხეობაში, სოფ. ჭალისუბანში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა. წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს.¹ მასში კკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღმრთისადთა ესე ჰელი [ჩუენ] რამინ და გიორგი დავწერეთ ოდეს [კოსტა]ნტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ჰევის ჰევისუფლად [ვ]იყვენით, მას უამსა ავაგეთ წისქოვლნი და ზემოთ სახლი ერთი სამსახოვრი, ჰვიდავს ც კაცი. ქე ა ცისკარ ამინ. ესე ჰელი მე გიორგი დავწერე. ქრისტე განმგებლო ორთავე ცხორებათაო, დაწესე სოლი ფარაისი წიალთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო ჩ ამ[ა]“.² ძალზე საინტერესოა, რომ ჭალისუბნის წარწერაში, რომელიც კონსტანტინეს გამგებლობის დროს არის შექმნილი (923-926 წ.წ) ცხრაზმის ხევისუფლები ადგილობრივ, მათზე იერარქიულად ძალა მდგომ ერისთავს არ იხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხევისუფლები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. ამის დასადასტურებლად მეცნიერი, როგორც ა. ბაქრაძემაც შენიშნა, შიომღვიმისადმი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის მიერ ბოძებულ „დაწერილს“ იმომბებს.³ იმ გარემოებას, რომ ჭალისუბნის წარწერაში ადგილობრივი ერისთავები არ იხსენიებიან, ყურადღება მიაქცია ა. ბაქრაძემ. იგი წერს: „თუ ჰევისუფალნი მართლაც ერისთავებს ემორჩილებიან, ისმება კითხვა, თუ რატომ არ იხსენიებენ ჩვენი წარწერის (იგულისხმება ჭალისუბნის 923-926 წ.წ. წარწე-

ლოდ ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეა და მათი მოქმედების არეალი მკვეთრად დავიწროებულია.

¹ საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925.

² ა. ბაქრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯუდას ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, 1956, გვ. 6.

³ იქვე, გვ. 7; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, ტფ., 1928, გვ. 207;

რა – გ. ს) პირები მას, როგორც თავიანთ უშუალო უფროსს, რატომ იხსენიებენ ისინი ქართლის გამგებელს და არა ადგილობრივ ფეოდალს?“¹ ა. ბაქრაძე ამ ფაქტს შემდეგნაირ ახსნას უძებნის: „რადგანაც იურიდიული ხასიათის ასეთ იშვიათ საბუთში, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი, არ იხსენიება ადგილობრივი ფეოდალი (ამ შემთხვევაში ერისთავი) უნდა ვიფიქროთ, რომ ცხრაზმის ჯგუფში ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა.“² *

ლაპიდარული წარწერების მიხედვით ხევისუფლები არიან არამართო ეკლესიების ამშენებლები, არამედ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებლები, მაგ. თეთრი წყაროს რაიონში, დაღეთ-ხაჩინის წყაროს ქვაზე, რომელიც X საუკუნით თარიღდება ვკითხულობთ: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ქობ(უ)ლ² ჯევ(ი)სუფ(ა)ლდ:/³ ესე დაკრ(ა)კნილდ წყ(ა)რ(ო)დ მ(ა)ნ ქ(მ)ნ(ა).“³ თბილისიდან 18 კმ.-ის დაშორებით ე.წ. მაჩხანის ეკლესიაზე მიკვლეულ X ს. საამშენებლო წარწერაში ხაზგასმულია, რომ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია დიდგორის ხევისუფლის დროს აიგო: „ქს(ა)ხ-

¹ ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

² იქვე, გვ. 8.

* მეჯულის ხეობა ცხრაზმის ხევს ემიჯნება, არ არის გამორიცხული, რომ ცხრაზმის ხევისუფალთა რეზიდენცია სწორედ ამ არეალში იყო. სავარაუდოდ X საუკუნეში მეჯულის და მის მეზობლად არსებული ხეობები ყანჩაელთა საკუთრებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი ხევისუფალნიც ჰყავდათ. თუმცა, შესაძლოა, მამისაგან განდგომილმა აფხაზთა მეფის ძემ კონსტანტინემ თავის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არსებული ყანჩაელების დაქვემდებარებაში არსებული ცხრაზმის ხევისუფალნი გადმოიბირა და მათ თავიანთი უშუალო ხელმძღვანელი წარწერაში არ მოიხსენიეს.

³ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 141.

(ე)ლი(თ)ა ლ(მრთისაჲ)თა, მ(ეო)2|ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ლ(მრთისმშობლისაჲ)თა, შ(ე)წ(ეწი)3|თა წ(მიდი)სა თ(ე)ვ(დო)-რ(ესი)თა4| ა(ლე)შ(ე)ნა ს(აყდა)რ(ი) ესე ღი(დგო)5|რის(?) ჳ(ევისუფ)ლ(ო)ბ(ა)სა გ(უ)ლ/6|ს (ურ)აბ(ი)სა(?) ლ. † ას(ა)ნო/7|ბ(არ)სა (?) ამ(ი)ს ლავრი8|სა იოვ(ანე)ს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)ვ(ე)ნ.“1 აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში არსებობდა სახევისუფლო გადასახადი. გიორგი II მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულ სიგელში აღნიშნულია: „აწ ჩუენცა მას ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმიანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან სახელმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთავოისა, სახევისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმისა მოქმედთაგან.“2

პატრიკოსი

დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე გამოსახულ ასომთავრულ წარწერაში ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე იხსენიება. იმავე დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტბელის ძე ქავთარია მოხსენიებული. დოდოთიდან 10 კმ.-ის დაშორებით მდებარეობს ტბეთის „ბორცვის ჯვრის“ სახელით ცნობილი დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერებშიც ტბელთა საგვარეულოს წევრები იხსენიებიან. ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი* ქავთარის

¹ იქვე, გვ. 226.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 10.

* იგი სამხრეთის ფასადის კარის თავზე ყოფილა ჩადგმული. გარკვეული პერიოდი, ის სამხრეთის კედელთან მიწაზე ყოფილა. 1954 წელს

ძე პატრიკ ტბელი იხსენიება: „+სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაღ)ა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი მე, ტბ(ე)ლმ(ა)ნ პ(ა)ტ(რი)კმ(ა)ნ, ძ(ე)-მ(ა)ნ ქ(ა)ვთ(ა)რ(ი)სამან² დ(ა)ვდ(ე)ვ, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათუი)ნ. ჯ(უ)არო ბ(ო)რც(ვსა)ო, მ(ე)ოხ (მე)ქ(მე)ნ.“¹ ტბეთის ეკლესიის კედელზე X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული პატრიკ ტბელის მოსახსენებელიც ყოფილა, წარწერიანი ქვის შესახებ ინფორმაციას მ. ბროსე და ვ. თოფურია გვაწვდიან, ქვა შემდგომში დაკარგულა.² წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, ვ(ანუ)ს(უ)ენე ს(უ)ლ(ს)ა ტბ(ე)ლ(ი)სა/² პ(ა)[ტ(რი)კ](ი)ს, დ[ლ](ე)სა მას.“³ აღნიშნული წარწერა დატანილი ყოფილა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის შუა სარკმლის თავზე, ოვალურ რელიეფურ ფონზე, ჩუქურთმის ზემოთ. ტბელის ძეგლის ოქროპირისა და ქავთარის მოსახსენებელის ქვემოთ.⁴

აკად. ვ. თოფურია წარწერაში არსებულ სიტყვას „პტკნ“ კითხულობს როგორც „პატკანმან“,⁵ რ. მეფისაშვილი კითხულობს – „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“ – არამედ საკუთარი სახელი „პეტ-

ქვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180.

¹ ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 48.

² ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133; M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Académie Impériale des Sciences. 2 de livr. VI, St. Pétersbourg, 1851, p. 58.

³ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.

⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 183.

⁵ ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924, გვ. 134.

რიკი“.¹ ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი არ გამორიცხავენ, რომ „პატრიკი“ ივანე ტბელის ტიტულს წარმოადგენდა.² მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამდროინდელი ტბელების პატრიკიოსობასთან დაკავშირებით გვახსენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკიოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების „პატრიკიოსობა, რამენაირად ეხმაურებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკიოსობას. წყაროების სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. ჰერეთის პატრიკი ადარნასე; კახეთის მეფე კვირიკე მაგისტროსი (ადარას ვამბობ ტაოკლარჯეთის ბაგრატიონებზე). ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სვლა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ?“.³ მ. ბახტაძე, პატრიკ ტბელის წარწერასთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ პატრიკი უნდა იყოს არა ტიტული, არამედ სახელი.⁴ პატრიკიოსს, როგორც საკარისკაცო ტიტულის აღმნიშვნელ ტერმინს ვხვდებით 595–605 წ.წ მცხეთის ჯვრის ტაძარში შემორჩენილ წარწერებში, აღნიშნული წარწერები სტეფანოს პატრიკიოსის და მისი სახლის წევრების მოსახსენებლებს წარმოადგენს. ერთ-ერთ მათგანში იხსენიება „სტეფანოს ქარ-

¹ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 115.

² ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქ. სახ. მუზეუმის „მოამბე“. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 98.

³ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

⁴ მ. ბახტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

თლისა პატრიკიოსი“¹, მეორე მოსახსენებელში სტეფანოზის გარდა ტიტულით არიან მოხსენიებული დემეტრე და ადარნარსე, როგორც წარწერიდან ჩანს, ისინი ეპატოსის ტიტულს ფლობდნენ.² პატრიკიოსი, როგორც საკარისკაცო ტიტულის აღმნიშვნელი ტერმინი გვხვდება აბასთუმნის 685–711 წ. წასომთავრულ წარწერაში, სადაც იხსენიება ქართველთა ერისთავი არშუმა პატრიკიოსი.³ არ გამოვრიცხავთ, რომ დოდოთის წარწერებში მოხსენიებული პატრიკი ტბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ქავთარის ძის ბიზანტიური ტიტული ყოფილიყო. ამ დროის სხვა წარწერებსა, თუ საისტორიო დოკუმენტებში მსგავსი საკუთარი სახელი არ გვხვდება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვქვათ, რომ შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ადრეფეოდალურ საქართველოში გავრცელებული სამოხელეო, თუ სოციალური შინაარსის ტერმინთა შესახებ, როგორებიც იყო: ხევისუფალი, მამასახლისი, ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი, უფალი, პატრიკიოსი. წარწერებიდან სრულად არ ჩანს თითოეული მათგანის დატვირთვის, სახელისუფლებო, თუ სოციალური ფუნქციის შესახებ, მაგრამ მოპოვებული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მოხელეთა და სოციალურ ფენათა შორის არსებული იერარქიის შესახებ, რაც კიდევ უფრო ავსებს და ამდიდრებს ნარატიულ წყაროებსა, თუ დოკუმენტურ მასალებში დაცულ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 160.

² იქვე, გვ. 96.

³ იქვე, გვ. 103.

Giorgi Sosiashvili

Gori State Teaching University

**TERMS DENOTING THE OFFICIALS AND SOCIAL
TERMS IN SHIDA KARTLI AS ACCORDING TO THE
LAPIDARY INSCRIPTIONS
RESUME**

The Xth century Asomtavruli inscriptions, which in Shida Kartli is located in the churches in Didi and Patara Liakhvi gorges, also in Prone and Mejuda Gorges contains important information not only about Shida Kartli, about its socio-economic, cultural and political processes, but we also encounter information about terms, which gives us a certain notion on how the official hierarchy was functioning in the early feudal Georgia. In Shida Kartli, in particular in Didi and Patara Liakhvi Gorges we encounter lapidary inscriptions of IX-X century, where the terms contain information about the official and social content, such as: Ufali (Lord), Eristavi (Duke), Eristavt-eristavi (Duke of Dukes), Khevisufali (district chief), Mamasakhlisi (prefect or a head of the certain community), Patrician.

Lapidary inscriptions in Shida Kartli provides us with valuable information in terms of situation in Georgia regarding the terms denoting official or social context during the early feudal period. We cannot fully understand the meanings of the terms, in terms of meaning, social function, however the inscriptions gives us a picture about the hierarchy between the classes, and which undoubtedly enriches the narrative sources and the information kept in the documents.

თამარ ანთაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ერთი მცდელობა

საქართველოში მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესახებ, მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით განებივრებული არც წინათ და არც ახლაც არ ვყოფილვართ და მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის ნებისმიერი მცდელობა, მიუხედავად მისი პლუს მინუსებისა, წინადადებულ ნაბიჯად მიგვაჩნია და მისასაღებელი უნდა იყოს¹.

წინამდებარე ნაშრომში შევეხებით საქართველოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ერთ მცდელობას, რომელიც თითქმის დღემდე სრულიად შეუსწავლელია, რაც, მნიშვნელოვანწილად, იმით აიხსნება, რომ მისი, როგორც სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომების მნიშვნელობას, გულგრილად ეკიდებოდნენ. ჩვენი აზრით, ეს არ იყო სწორი მიდგომა. ჩვენ შევეცადეთ გაგვესწორებინა ეს ხარვეზები და ამ ნაშრომს საგანგებო ყურადღება მივაპყროთ. ამ საკითხის გაშუქება საშუალებას მოგვცემს შევაგსოთ

¹ მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე, ქართული მედიავისტიკის სათავეებთან, თბ., 2009. მ. კალანდაძე, ამერიკის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი.

XVIII საუკუნეში ინგლისში სამრეწველო გადატრიალებებზე ქართულ ენაზე ძალიან მწირი ლიტერატურა მოგვეპოვება. ის უმთავრესად სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და ძირითადად ასახვა პპოვა სასწავლო ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებში. სპეციალური გამოკვლევა ან სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი სამრეწველო გადატრიალებებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ მოგვეპოვება. ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს 1933 წელს გამოსული წიგნი „დასავლეთ ევროპის ისტორია“, განაკვეთი პირველი, „სამრეწველო გადატრიალება ინგლისში“¹. ფაქტობრივად, ეს არის სპეციალურად სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის პირველი მცდელობა ქართულ რეალობაში. მისი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობდა.

ეს ისტორიული ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. მისი არც შეუფასებლობა არ ივარგებდა და არც გადაჭარბება არ იქნებოდა სწორი. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. უწინარესად, საჭიროა სწორი კრიტერიუმის შემუშავება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ ნარკვევის ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას შეგვიქმნიდა.

ამ წიგნის მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმით განსჯა სწორი არ იქნებოდა და სუპერკრიტიკად მიგვაჩნია. ასეთ მაღალ ამოცანებს ის არ ისახავდა. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა, რომელიც ითვალისწი-

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933.

ნებდა ამ პრობლემის პოპულარიზაციას და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურტრევერულ მისიას ურიგოდ როდი გაართვეს თავი. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. მკაცრი მეცნიერული კრიტიკიუმები აქ საზოგადოდ არ გამოდგება.

აღნიშნული ნაშრომი სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში XVIII საუკუნის ინგლისის სამრეწველო გადატრიალების სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც აღნიშნულ საკითხზე ფაქტობრივად არაფერი არ გაგვაჩნდა ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მის მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დანიშნულება განსაზღვრავს. დღევანდელი გადასახედიდან, მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების გამო მისი მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს მარტივი, პრიმიტიული, ინფორმაცია დღეს ღიმილს იწვევს, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია, რომ ის ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლე-ახალგაზრდობას სამრეწველო გადატრიალებაზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

X X X

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, წამოიჭრება საკითხი, რატომ სამრეწველო გადატრიალება? დასავლეთ ევროპის ისტორიიდან რატომ გამოარჩიეს მაინც და მაინც სამრეწველო გადატრიალება? ასეთი არჩევანი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფართოდ ფეხმოკიდებული „სავაჭრო კაპიტალის“ თეორიის

გამოძახილი უნდა დავინახოთ. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ის კარგად გამოხატავდა იმ პერიოდის განათლების სისტემის სულისკვეთებას, როდესაც ისტორიის სწავლება ჩანაცვლა საზოგადოებათმცოდნეობამ, რომელიც წარმოადგენდა ისტორიის ფილოსოფიის და პოლიტიკონომიის ნაჯვარს. ეს კიდევ ერთი წარუმატებელი ექსპერიმენტი იყო, რომელზეც შემდგომში თავად საბჭოთა ხელისუფლებამ თქვა უარი. 30-იანი წლების შუა ხანებიდან კიდევ აღდგა ისტორიის სწავლება, რომელიც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი¹.

როგორც წიგნის ბოლოშია აღნიშნული, ის ძირითადად შედგენილია კ. მარქსის კაპიტალის მიხედვით. გამოყენებულია ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ. ლუკინის წიგნი „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“² და, ალბათ, რაც ყველაზე მთავარია ის მთლიანად ეყრდნობა კ. მარქსის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავს³. ფაქტობრივად, ის გვეკვლინება წიგნის მეთოდოლოგიურ ბაზად. მეთოდოლოგიურად, წმინდა კონცეპტუალურად, ეს წიგნი დიდი ხანია, რაც მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. მასში თავმოყრილი ემპირიული, ფაქტოლოგიური, მასალა საინტერესოა და, იმ პერიოდის ქართული ისტო-

¹ ნ. მამუკელაშვილი, ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორადის სახელობის კრებული, თბ., 1993. ნ. მამუკელაშვილი, საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორადის სახელობის კრებული, თბ., 1993.

² ნ. ლუკინი, დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია, თბ., 1924.

³ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატვირთვა ინგლისში, თბ., 1933, გვ. 78.

რიოგრაფიის ფონზე, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია მიუღებელია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა, რასაც ვერ ვიტყვით მეთოდოლოგიურ, კონცეპტუალურ, მხარეზე.

დღეს, რა თქმა უნდა, ეს წიგნი მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ XX საუკუნის 30-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ის წინგადადგმული ნაბიჯი იყო და თავისი როლი შეასრულა აღნიშნული პრობლემის სწავლების და შესწავლის პოპულარიზაციის საქმეში. ის ამართლებს თავის დანიშნულებას.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა არჩევანი გაეკეთებინათ სხვა ლიტერატურაზე და სხვა პოლიტიკურ სიტუაციაში ისინი, ალბათ, ასეც მოიქცეოდნენ, მაგრამ მაშინ სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. წიგნის შემდგენლების ეს ნაბიჯი ძალიან კარგად თავსდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. სურდათ შეეცნოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი და თავისი წვლილი შეეტანათ სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში. ეს წიგნი დაეხმარებოდა ქართველ ახალგაზრდობას ამ საკითხის შესწავლის საქმეში. მას წმინდა შემეცნებითი და პრაქტიკული დანიშნულება გააჩნდა. ამიტომ მისი მკაცრი მეცნიერული კრიტიკიუმიების მიხედვით განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული სამრეწველო რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა. სამრეწველო გადატრიალების აკვანი ინგლისში დაირწა. „სამრეწველო გადატრიალება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა დროს მოხდა. ყველაზე ადრე და ყველაზე მკვეთრი ტიპური ფორმით

სამრეწველო გადატრიალებას ინგლისში ჰქონდა ადგილი მე-
XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს
რევოლუცია შედეგი იყო ევროპის კაპიტალისტური განვითარებისა
ასეული წლების მანძილზე.

თუმცა ინგლისი ევროპის სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან
შედგა კაპიტალისტური და კოლონიური განვითარების გზა-
ზე, მაგრამ მაინც მან პირველმა და ყველაზე სწრაფად და-
იწყო სამრეწველო კაპიტალისტური განვითარება... მაგრამ
სამრეწველო რევოლუცია ყველაზე უფრო ადრე დაიწყო ინგ-
ლისში. მანქანა ყველაზე უწინ წარმოიშვა ინგლისში და აქე-
დან გავრცელდა სხვა ქვეყნებში“.¹

თავის ამოცანა წიგნის შემდგენლებს ასე ესმით: „განაკ-
ვეთის მიზანია პირველ ყოვლისა გაარკვიოს ინგლისის ეკო-
ნომიკური განვითარების მსვლელობა, მეორე, განმარტოს თუ
რატომ ინგლისი და არა სხვა რომელიმე ქვეყანა შედგა პირ-
ველად მანქანური წარმოების განვითარების საფეხურზე“.²
შიეძლება ითქვას, რომ მათ ამ მისიას ურიგოდ როდი გაარ-
თვეს თავი მოგვცეს საკითხის მარქსისტული გადაწყვეტა,
რომელიც ძალიან კარგად თავსდებოდა საბჭოთა ისტორიოგ-
რაფიის თეორიულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. ამის გამო
მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს. „ეს იყო ჩვენი
უბედურება და არა დანაშაული“. აქ თავმოყრილი მეცნიერუ-
ლი ინფორმაცია, ფაქტობრივი მასალა საინტერესოა მისი
მარქსისტული ინტერპრეტაცია მიუღებელია.

„ამიტომ სანამ შეუდგებოდეთ ინგლისის მე-XVIII საუ-
კუნის მეორე ნახევრის ეკონომიური რევოლუციის მსვლე-
ლობის შესწავლას, საჭიროა თვალი გადავაკლოთ მის სოცი-

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატ-
რიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 2.

² იქვე.

ალურ-ეკონომიკურ წყობილებას რეკლუციის (ე.ი. სამრეწველო გადატრიალების - თ.ა.) წინ. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ სამრეწველო რეკლუცია წარმოებდა არა ერთს ან რამოდენიმე წლის განმავლობაში, არამედ მთელი ათეული წლების მანძილზე¹ საკითხისადმი მიდგომა სწორია, მისი მარქსისტული გადაწყვეტა მიუღებელია.

ახლა გადავიდეთ ამ წიგნის არსობრივ მხარეზე. მის გეგმაზე და შინაარსზე. დავიწყოთ გეგმით. მას ასეთი სახე აქვს: იგი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. ინგლისის სოციალ-ეკონომიური წყობილება სამრეწველო გადატრიალების წინ. 2. ეგრეთ წოდებული პირველადი დაგროვება. 3. სამრეწველო გადატრიალების პროცესი. თავის მხრივ ეს სამი ნაწილი კიდევ მოიცავს საკითხებს. პირველ შემთხვევაში ეს არის: ა. აგრარული წყობილება, ბ. მრეწველობა, გ. მანუფაქტურები. მეორე მონაკვეთი ყველაზე უფრო მეტადაა დახუნძლული თემებით: აქ საუბარია შემდეგ საკითხებზე. ა) პირველადი დაგროვების საიდუმლოებანი, ბ) სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაცია, გ) სისხლიანი კანონმდებლობა ექსპროპრიაცია ქმნილთა წინააღმდეგ, XV საუკუნის ბოლოდან დაწყებული. დ) კაპიტალისტური ფერმერის წარმოშობა. ე) მიწათმოქმედებაში მომხდარი რეკლუციის უკუ გავლენა მრეწველობაზე. შინაური ბაზრის შექმნა სამრეწველო კაპიტალისათვის, ვ) სამრეწველო კაპიტალის წარმოშობა, ზ) კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული მნიშვნელობა. და ბოლოს, მესამე მონაკვეთი, წიგნის ყველაზე უფრო წონადი ნაწილი, საკუთრივ სამრეწველო გადატრიალება. აქ საუბარია შემდეგ თემაზე: ა. მანქანების მცნების ანალიზი. ბ. სატექნიკო რეკლუცია ბაშბის მრეწველობაში, გ. ორთქლის მამოძრავებლის გა-

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 2.

მოგონება. დ. მიმოსვლის ახალი საშუალებანი, ე. მანქანების გამოგონება, როგორც ისტორიული აუცილებლობა, ვ. სამრეწველო რევოლუციის ეკონომიკური შედეგები, ზ. ახალი კლასები. სამრეწველო ბურჟუაზია და პროლეტარიატი.¹

რა შეიძლება ითქვას ამ გეგმაზე? რა თქმა უნდა, ეს არის მარქსისტული გეგმა, რომლის მთავარ მეთოდოლოგიურ ამოსავალს წარმოადგენს კარლ მარქსის თხზულება „კაპიტალი“. წიგნი ამ გეგმას მიჰყვება. მისი შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხვად არ უნდა იქნას. ის ძალიან დანაწევრებული გვეჩვენება. სასურველი იქნებოდა საკითხების უფრო კომპაქტურად დალაგება. ეს გეგმა ცოტა მარტივად, მიაბიჭურად, გვეჩვენება. მაგალითად ასეთად მიგვაჩნია პირვანდელი დაგროვების საიდუმლოებანი, კაპიტალისტური დაგროვების საიდუმლოებანი, კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია. ალბათ უმჯობესი იქნებოდა არა საიდუმლოებანი, არამედ მიზეზები, არა ტენდენცია, არამედ ისტორიული მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

წიგნში ხაზგასმულია ინგლისის ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპი. დამაჯერებლად ცხადვეს ინგლისის ეკონომიკური აღმავლობის თავისებურებანი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ სიახლეები ერთნაირად სწრაფი ტემპით იკავავდა გზას ინგლისის სოფელში და ქალაქში. აღნიშნეს, რომ ეს პროცესი კონტინენტურ ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ეს იყო სწორი მიდგომა, რომელიც ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება.

ამ გეგმის გაცნობის შემდეგ თვალში მოგხვდება ერთი გარემოება. საქმე ისაა, რომ ეს გეგმა ცოტა უცნაური ჩანს,

¹ იქვე.

რაც იმით გამოიხატება, რომ ისტორიულ ფონს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა და შეიძლება დომინირებს მთავარ საკითხზე. წიგნის შინაარსის გაცნობის შემდეგ ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ წიგნში ისტორიულ ფონს ეთმობა 53 გვერდი¹, ხოლო მთავარ პრობლემას, საკუთრივ სამრეწველო გადატრიალებას დათმობილი აქვს სულ რაღაც 23 გვერდი² ეს შეუსაბამობა, ჩვენი აზრით, ამ წიგნის აქილევის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ.

სამრეწველო გადატრიალების მიზეზებზე ყურადღების გამახვილება, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია, მაგრამ მისი მიზეზებს ისინი ძალიან შორიდან იწყებენ XV საუკუნის ბოლო XVI საუკუნის დასაწყისი, თიუდორთა ხანა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესს, რომელიც ინგლისში კლასიკური სახით მიმდინარეობდა. აქედან XVIII საუკუნის ინგლისის სამრეწველო გადატრიალების მიზეზების ძიების დაწყება ძალზე შორი ხომ არ იქნებოდა? ალბათ, უფრო უპრიანი იყო ეს გაგვეკეთებინა XVIII საუკუნის მიწურულიდან, კონკრეტულად კი 1688 წლის გადატრიალების შემდეგ.^{3,4}

რით იყო გამოწვეული ასეთი მიდგომა? წიგნში ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ვფიქრობ, შემთხვევითი არ იყო

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 2-55.

² დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 55-78.

³ ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.

⁴ მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

და, ჩვენი აზრით, ორ გარემოებასთან არის დაკავშირებული. ეს არის საკითხის მარქსისტული გაშუქება, რომლის მთავარ ამოსავალ წერტილს, როგორც აღნიშნულია წიგნში, წარმოადგენს კარლ მარქსის თხზულება „კაპიტალი“. ეტყობა, მარქსის ნაწარმოებმა ისინი ძალიან გაიტაცა და თხრობა საკმაოდ შორიდან დაიწყეს, დიდი ყურადღება დაუთმეს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის გაშუქებას. ამის მეორე მიზეზი შეიძლება იყო წმინდა შემეცნებითი, პრაქტიკული. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იყო დაწერილი და ისინი შეეცადნენ გამოესწორებინათ ეს ხარვეზი - და ქართული საზოგადოებისათვის, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, სტუდენტებისათვის, მიეწოდებინათ ინფორმაცია კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესზე, რომელიც მათ ამ საკითხზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით ასეთი გადაწყვეტილება გამართლებული ჩანს, მაგრამ მეცნიერულად საკმაოდ შიშველი იყოს. სამრეწველო გადატრიალების მიზეზებს ძალიან შორიდან იწყება.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის ვარდისფერებში, შელამაზებულად, წარმოჩენა, ცხადია, არ ღირს, გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ კიდევ უფრო მიუღებელია კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის ისტორიული მნიშვნელობის შეუფასებლობა და მუქი ფერების პრიმატობა. ამგვარმა მიდგომამ ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიაში და მის მთავარ მეთოდოლოგიურ ამოსავალს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა კ. მარქსის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავი. მან მოგვცა აღნიშნული საკითხის საკუთარი ხედვა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ

მიდგომას ყავდა როგორც მომხრეები, ისე სერიოზული ოპონენტები. რა თქმა უნდა, ის არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას, როგორც ამას საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია ამტკიცებდა. ეს ჩიხური გზა იყო. ისტორიას არ ხელიწეფება ერთი ჭეშმარიტება.

წიგნში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი, რა თქმა უნდა, მარქსისტული პოზიციებიდანაა გაშუქებული და ისინი კვალში მიყვებიან კარლ მარქსის წიგნის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავს. ესაა მათი მთავარი მეთოდოლოგიური ამოსავალი. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მათ ფართო არჩევანი არ ჰქონდა. ან უნდა გაეკეთებინათ ასე ან სულ არ უნდა გაეკეთებინათ. მათ კომპრომისზე წასვლა არჩიეს და პირველ გზას დაადგნენ. ეს იმ რთულ ვითარებაში ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი იყო. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა სწორი არ იქნება. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ მსოფლიო ისტორიაში, მათ შორის სამრეწველო გადატრიალებაზე ინგლისში, ქართულ ენაზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“¹.

წიგნში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, ფაქტობრივი მასალა საინტერესოა და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია კი მიუ-

¹ მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე, ქართული მედიავისტიკის სათავეებთან, თბ., 2009. მ. კალანდაძე, ამერიკის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.

ღებელია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული რეტროს სურნელი დაკრავს.

ინგლისში მიმდინარე კაპიტალის თავდაპირველი დავროვების პროცესი, უეჭველად, პროგრესულ ხასიათს ატარებდა და გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები. მისი უარყოფითი მხარეების დრამატიზება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ძალუმად იგრძნობა განსახილველ ნაშრომში. ეს ამუქებს საქმის ვითარებას.

ინგლისის სოფლის მეურნეობაში ახალი პროგრესული ტენდენციების შედეგად გამოწვეული გლეხთა ექსპოპრიაციის, გაბოვანობის, დრამატიზება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ეს აზრი აქვს გატარებული კარლ მარქსს თავის წიგნის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავში და შემდგომ ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ჩვენთვის საინტერესო წიგნი მთლიანად კ. მარქსის თხზულებას ეყრდნობა და საკითხის მარქსისტული გაშუქების საუკეთესო ნიმუშია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მაწანწალათა წინააღმდეგ კანონებისადმი დამოკიდებულება. მათი განსჯა, ალბათ, მაინც ღიდ სიფრთხილეს მოითხოვენ და მიზანშეწონილი არ იქნებოდა.¹ კანონების მაწანწალების წინააღმდეგ ხელს უწყობდა იაფი მუშა ხელის შექმნას. ეს თავისუფალი მეწარმეობის განვითარების მნიშვნელოვანი წინა პირობა იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი რუსი ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ალექსანდრე სავინი აღნიშნავდა, რომ სულ სხვაა გლეხთა ექსპოპრიაცია კანონ-

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 30-38.

ნიერ საფუძველზე და მეორეა უკანონო საფუძველზე¹. ამ ნო-
ვაციებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ლოგიკურ შე-
დეგს წარმოადგენს თიუდორთა, განსაკუთრებით ელისაბედის
მმართველობისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ამ კანონე-
ბის ცხოვრებაში გატარების გამო თიუდორების აუგად მოხ-
სენება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მიუ-
ღებელია. ეს იყო საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა, რო-
მელიც ძალიან კარგად თავსდება XX საუკუნის 30-იანი
წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში.
თავისუფალი მეწარმეობის დამკვიდრების კლასიკური ვარიან-
ტი ინგლისი იყო. მისი განვითარების ინგლისური ვარიანტი
იყო ყველაზე სწრაფი, ყველაზე სრული და ამავე დროს სას-
ტიკიც. ეს იყო პროგრესის ჩრდილოვანი მხარეები და მისი
დრამატიზება, რომელიც შეინიშნება მარქსისტულ იდეოლო-
გიაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტი.

XVIII საუკუნის ინგლისის აგრარული ყოფიდან გლე-
ხობის გაქრობის დრამატიზება, რაც ფრიად ნიშანდობლივი
იყო მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის და სათავეს იღ-
ებს კ. მარქსის ნაშრომიდან „კაპიტალი“, გადაჭარბებული
უნდა იყოს. ამგვარი დამოკიდებულება ძალუმაღ იგრძნობა
ჩვენთვის საინტერესო წიგნში და საკითხისადმი მარქსისტუ-
ლი მიდგომის ლოგიკური შედეგია. ისტორიული რეალობა
პესიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა. სინამდვილე სულ
სხვაა. ინგლისის რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სოციალურ
ყოფაში ადგილი აქვს გრანდიოზული მნიშვნელობის ცვლი-
ლებას, რომლის შედეგადაც მოხდა ქონების გადანაწილება
მეფესა და ძველი არისტოკრატის ხელიდან, როგორც თანა-
მედროვეები უწოდებდნენ, მოკავშირე კლასების, ახალი თა-

¹ А. Савин, Англиская деревня эпохи Тюдоров, М., 1903.

ვადანაურობის, ჯენტრის, სკვაიერების და მდიდარი გლეხობის ხელში. ამან საბოლოო ჯამში სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ძველ ურთიერთობებს ინგლისში. ამიტომ როიალისტური წრეები მისტიროდნენ მიწაზე საკუთრების დაკარგვას და რესტავრაციის დროს კიდევ შეეცადნენ სტატუს-კვოს აღდგენას, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, მათ არ ძალუძდათ ისტორიის ჩარხის უკან შემობრუნება¹. გლეხობის გაქრობას გადამწყვეტი გავლენა არ ჰქონია XVIII საუკუნის ინგლისის სოციალურ ყოფაზე. მისი აღმავალი ხაზით განვითარება გრძელდება. ფერმერული მეურნეობის განვითარებამ მძლავრი სტიმული მისცა ინგლისის სოფლის მეურნეობის აღმავლობას. მიწა აღმოჩნდა იმ ადამიანების ხელში, რომლებმაც ყველაზე კარგად მოუარა და უპატრონო მას. გლეხთა ერთი ნაწილი მოიჯარადე ფერმერი გახდა, ხოლო მეორე უფრო დიდმა ნაწილმა მუშათა კლასის რიგები შეაგსო².

წიგნის დასკვნით აკორდად გვევლინება მესამე ნაწილი, რომელიც უშუალოდ სამრეწველო გადატრიალებას შეეხება და რომელიც ნებისით თუ უნებლიედ გადაფარა ისტორიულმა ფონმა, მის ჩრდილში აღმოჩნდა. ეს შეუსაბამობა ამ წიგნის მთავარი ნაკლია. ეს წიგნი იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია და თვისი სიტყვა თქვა საქართველოში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში. ის იმ პერიოდის გადასახედიდან მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. მასში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა საინტერესოა და მოცემულია, იმ დროისთვის სწორი მარქსისტული ინ-

¹ გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწ. 2, თბ., 1983.

² ქრესტომათია ახალ ისტორიაში, მ. მამფორიას და გ. კილურაძის რედაქციით, ნაწ. 1, თბ., 1979.

ტერაპრეტაცია. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მას გააჩნდა წმინდა შემეცნებითი დატვირთვა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლე ახალგაზრდობას, ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა XVIII საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალებაზე, დაეხმარებოდა ამ საკითხში ცოდნის გაღრმავებაში. ის ამართლებს თვის დანიშნულებას. ის ძალიან კარგად თავსდება იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში. ნაშრომში თავმოყრილია მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, ფაქტობრივი მასალა და მოცემულია მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ეს წიგნი 30-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საკითხისადმი მიდგომა არის მეცნიერული, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მარქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. საკითხის მარქსისტული ინტერპრეტაცია ცხადება ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. მათ აირჩიეს მეცნიერული საკითხი და მოგვცეს მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს იმ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ფართო არჩევანი არ იყო. უნდა აგერჩია უარესა და ცუდს შორის. მათ ფსონი უკანასკნელზე დადეს. ეს სწორი ნაბიჯი იყო. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, თუ არა ეს კომპრომისი მაშინ მსოფლიო ისტორიაზე, მათ შორის სამრეწველო გადატრიალება-

ზე, ის მწირი ინფორმაცია არ გვექნებოდა რომელიც ქართულ ენაზე გავგაჩნია. ეს ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელსაც ნაკლოვანებები მეტი გააჩნდა, ვიდრე ღირსებები. ასეთი იყო მკაცრი რეალობა. არც არაფერს ვალამაზებთ და არც არაფერს არ ვამუქებთ. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. თუ ამ მსჯელობას მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, მასში რაღაც ღირებული, უეჭველად, რჩება. ესაა აქ თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა. მას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ახლა მას სულ სხვა ინტერპრეტაცია მიეცემა^{1,2}.

X X X

დასკვნის სახით: ეს წიგნი არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვისაც კი შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი და მივიწყების ნისლში გაეხვია. ჩვენ ვცადეთ გადაგვეწმინდა მივიწყების მტვერი და ამ წიგნს საგანგებო ყურადღება მივაპყარით. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემს შევაგოსთ ამ დარგში

¹ მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე, ქართული მეღიავისტიკის სათავეებთან, თბ., 2009. მ. კალანდაძე, ამერიკის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.

² მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი. ეს წიგნი შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში. წიგნში თავმოყრილია მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა და მოცემულია მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია, რომლის მთავარ მეთოდოლოგიურ ამოსავალს, ცხადია, წარმოადგენს კარლ მარქსის თხზულების „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავი. ეს წიგნი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ქართულ ენაზე ამ თემაზე, ფაქტობრივად, არაფერი იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, სწორი არ იქნება. ამ წიგნმა თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა, წინ წაეწია საქართველოში მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად კი, სამრეწველო გადატრიალების სწავლება და შესწავლა-პოპულარიზაცია. მათ წინაშე მეტად მოკრძალებული ამოცანა იდგა და მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. XVIII საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს იყო. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტიერიუმები საზომად არ გამოდგება. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი თვალშისაცემია და ამას ვერავინ უარყოფს. მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია, მიუღებელია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოდგენას. ამ წიგნმა უნდა ითქვას თავისი როლი შეასრულა აღნიშნული საკითხის სწავლების და პოპულარიზაციის საქმეში. ის ამართლებს თავის დანიშნულე-

ბას. ეს არის ქართულ სინამდვილეში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ნაშრომი რომელიც საგანგებოდ სამრეწველო გადატრიალებას შეეხება. მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად კი სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ეს მცდელობა პოზიტიურად მიგვაჩნია და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. დღეს ეს წიგნი, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

დამოწმებანი:

1. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე, ქართული მედიავისტიკის სათავეებთან, თბ., 2009. მ. კალანდაძე, ამერიკის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
2. დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933.
3. ნ. მამუკელაშვილი, ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორადის სახელობის კრებული, თბ., 1993. ნ. მამუკელაშვილი, საზოგადოებათ მეცნიერების სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორადის სახელობის კრებული, თბ., 1993.
4. ნ. ლუკინი, დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია, თბ., 1924.
5. კ. მარქსი, კაპიტალი, თბ., 1930.
6. ივ. მენთემშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.

7. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
8. А. Савин, Англиская деревня эпохи Тюдоров, М., 1903.
9. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწ. 2, თბ., 1983,
10. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, მ. მამფორიას და გ. კილურაძის რედაქციით, ნაწ. 1, თბ., 1979.
11. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015.

Tamar Antadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**AN ATTEMPT OF PROMOTION OF THE INDUSTRIAL
REVOLUTION
RESUME**

The paper focuses on an attempt of promoting the industrial revolution that took place in the XVIII century England. The society at large is hardly aware of this attempt of promotion by means of a book published in 1933 under the title „The History of Western Europe. Part 1.Industrial Revolution in England“.

This book largely contributed to the promotion and teaching of the industrial revolution in Georgia. On the background of the historiography of that period the book was a

significant step forward. It fully corresponded with the requirements of the Soviet historiography of the 1930s. The book contains important scientific information, there are numerous interesting facts that are interpreted in Marxistical way. The authors have selected a serious scientific issue and offered its Marxistical solution, as there was no other alternative.

On the empirical, factual level, the book is a significant step forward. However, the Marxistical concept is unacceptable. Nowadays the book is outdated and belongs to the past stage of historiography.

ისტორიული ვიზიტის კვალდაკვალ
რომის პაპ ფრანცისკეს სამხრეთ კავკასიაში ვიზიტი, მისი
მიზანი, მოლოდინები და შედეგები

წმინდანად შერაცხული პაპის იოანე-პავლე II-ის მოღვაწეობაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი განხორციელებულმა პოლიტიკურმა, და არა მხოლოდ, საქმიანობამ, მისმა აქტიურმა „ოსტპოლიტიკურმა“ კურსმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არადემოკრატიული რეჟიმების შერყევაში. დამკვიდრდა კიდევ პაპის, ამ აღმოსავლური აქტივობის აღმნიშვნელი ტერმინიც - „იოანე-პავლე II-ის ოსტპოლიტიკური კურსი“. პონტიფიკობის ოთხი წლის მანძილზე ამჟამინდელი პაპი ფრანცისკე, თავის საერთაშორისო და ეკლესიათშორისო საქმიანობით, საკმაოდ აქტიურ და მნიშვნელოვან ქმედით ნაბიჯებს ახორციელებს და ვფიქრობთ უკვე საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა მისი პოლიტიკის ორიენტირები, და ამ ფართომასშტაბიან საქმიანობაში შესაძლოა პაპის ოსტპოლიტიკური ვექტორების დანახვაც.

2013 წელს (არჩევის პირველივე წელსვე) ჟურნალმა „TIME“-მა, პაპ ფრანცისკეს, წლის ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში მესამე ადგილი მიაკუთვნა. „ეს არის ძალიან იშვიათი, რომ აქამდე ყველასათვის უცნობმა ადამიანმა, ასეთი მოკლე დროის განმავლობაში, შეძლო მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ყურადღების მიპყრობა - ახალგაზრდებისა და

მოხუცების, მორწმუნეებისა და ცინიკოსების“, - განაცხადა ინტერვიუში BBC-ის მთავარმა რედაქტორმა ნენსი გიბსმა.¹

2016 წელს პაპი ფრანცისკე ჟურნალ „Forbes“-ის მსოფლიო გავლენიან ადამიანთა სიაში მეხუთე ადგილს იმკვიდრებს. პაპ ფრანცისკეს, უპირველეს ყოვლისა, როგორც თავმდაბალ, გულმოწყალე, უპოვართა და სნეულთა თანამდგომ, მშვიდობისმყოფელ, გახსნილ და არსებული სტერეოტიპების მსხვრევის გამო, ახალგაზრდების საყვარელ პიროვნებად მოიაზრებენ. თუმცა ამასთანავე პაპი ფრანცისკე საკმაოდ წარმატებულ დიპლომატს და პოლიტიკურ მოღვაწეს წარმოადგენს. მისი პაპობის დროს, მისი აქტიური მონაწილეობით, განხორციელდა ვატიკანსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების უფრო მაღალ ხარისხში აყვანა. კუბასთან ვატიკანის დაახლოება და აშშ-სა და კუბას შორის ნახევარსაუკუნოვანი ინტერვალის შემდგომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. და, რაც მთავარია, პაპი ფრანცისკე არის რომის ეკლესიის ის მეთაური, რომელმაც პირველად ისტორიაში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთა შეხვედრა და ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა განახორციელა. აქვე აღვნიშნავ, რომ მიუხედავად თავისი დიდი მცდელობისა და სსრკ-ის პოპულარული ლიდერის მ. გორბაჩოვის სურვილისა, პაპმა იოანე-პავლე II-მ ვერ შესძლო რუსეთის ეკლესიის საჭეთმყრობელთან შეხვედრა.

პაპ ფრანცისკეს მიერ 2016 წლის 13 თებერვალს ჰავანის აეროპორტში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილთან შეხვედრა, მაშინვე მონათლა ათასწლეულის მოვლენად. თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ კათოლიკე და მართლმადიდებელი უპირველესი მწყემსმთავრების ათასწლეულის პირველი შეხვედრა 1967 წელს შედგა, როდესაც რო-

¹ WWW.MediaMall.ge

მის პაპი პავლე VI ესტუმრა მსოფლიო პატრიარქ ათანაგორას, მაგრამ რუსეთის პატრიარქისა და პაპის შეხვედრა მართლაც პირველია.¹

13 თებერვალს, კუბაზე, ჰავანის ხოსე მარტის საერთაშორისო აეროპორტში, შედგა რომის წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურის, პაპ ფრანცისკესა და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ეკლესიის პატრიარქის, კირილეს ოფიციალური შეხვედრა. ეს ვიზიტი, უაღრესად გასაიდუმლოებულად, ორი წლის განმავლობაში იგეგმებოდა და მის შესახებ მსოფლიომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მხოლოდ თებერვალში შეიტყო. რომისა და მოსკოვის ეპისკოპოსებმა გულთბილად, სამგზის ამბორით მოიკითხეს ერთმანეთი და ჩვეულებრივ, დიპლომატიური პროტოკოლით გათვალისწინებულზე უფრო თბილ, მეგობრულ ატმოსფეროში გააგრძელეს საუბარი.

მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩენილმა შეხვედრამ იმ კვირას გადაფარა ყველა გლობალური მოვლენა. მიმოძხილველთა უმრავლესობა დადებითად აფასებდა ამ ვიზიტს, თუმცა დასავლეთის პრესაში საკმაოდ იყო ნეგატიური და ირონიული კომენტარებიც. ცალსახად პოზიტიურად და დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად იქნა შეფასებული ეს შეხვედრა რუსეთის მედიაში. გასაოცარი იყო საქართველოს მედიისა და საეკლესიო წრეების სრული ინდიფერენტული დამოკიდებულება პაპისა და მოსკოვის პატრიარქის შეხვედრისადმი და მათ მიერ ზარ-ზეიმით ხელმოწერილი დოკუმენტის მიმართ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ტელევიზია „ახალი საქართველო“, რომელმაც ამ

¹ ნ. ბარდაველიძე, ჰავანის ისტორიული შეხვედრის შექ-ჩრდილები, ჟურ. „საბა“, 3 (243). 2016, გვ. 16.

შეხვედრის ანალიზს, 19 თებერვალს, ერთსაათიანი ეთერი დაუთმო.

ამ ისტორიული შეხვედრის შედეგი გახლავთ პაპის და პატრიარქის ოცდაათპუნქტიანი ერთობლივი განცხადება. მართალია, ამ ერთობლივ ტექსტში არაფერია ნათქვამი დოგმატურ საკითხებზე, ანუ იმაზე, რაც თიშავს ორ ეკლესიას ერთმანეთისაგან, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აღმოსავლეთის ეკლესიათა ქრისტიანული თემი ჯერ არ არის მზად საღვთისმეტყველო დიალოგისა და ეკლესიური დაახლოებისათვის. ამ პროცესის დაჩქარება უცილობლად გამოიწვევს ახალ ერესებსა და სქიზმებს, განსაკუთრებით რუსეთის ქრისტიანებში, რომლებიც დიდი სენსიტიურობით გამოირჩევიან. ჰავანის ვიზიტი, ეს არის ორი, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი მრევლის მომცველი, ეკლესიის მწყემსმთავართა პირველი შეხვედრა და მისი მთავარი შედეგი ის არის, რომ შეხვედრა შედგა და მხარეებმა შეძლეს ერთობლივ ტექსტზე შეთანხმება; გამოხატეს სურვილი, ითანამშრომლონ ქრისტიანთა კეთილდღეობისათვის, გააგრძელონ ორ ეკლესიას შორის დიალოგი, არ დაუშვან ქრისტიანული ფასეულობებისა და ტრადიციების იგნორირება, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ლიბერალურ ევროპაში.¹

შემდგომ პაპ ფრანცისკე, სამხრეთ კავკასიური ვიზიტის დროს, ამ პრინციპს ერთგულად მიჰყვება, რომ ისაუბრონ მხოლოდ იმაზე, რაც აერთიანებს ეკლესიებს და თავი აარიდონ მწვავე დოგმატური თუ სხვა პრობლემების წამოწევას. მართალია, უმცირესობების წარმომადგენლებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ პაპი მათ პრობლემებსაც წამოწევდა, მაგრამ

¹ ნ. ბარდაველიძე, ჰავანის ისტორიული შეხვედრის შუქ-ჩრდილები, ჟურ. „საბა“, 3. (243). 2016, გვ. 17.

ოფიციალური ვატიკანის საერთაშორისო და ეკლესიათშორისო პრინციპი გახლავთ მუდმივი დიალოგის და სამშვიდობო, კეთილმეგობრული, ნდობაზე, თანასწორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის დამყარება სახელმწიფოებთან და რელიგიურ კონფესიებთან. დიალოგი კი დაპირისპირებისა და პრობლემების გააქტიურებით არ მყარდება. სავარაუდო იყო, რომ პაპისა და მოსკოვის პატრიარქის ამ შეხვედრის ფონზე, კიდევ უფრო უნდა დამთბარიყო ურთიერთობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და წმინდა საყდარს შორის. ოფიციალურ ნარატივის დონეზე ეს ასეც მოხდა, თუმცა რიგითი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომ, პოპულარულ დონეებზე კი ეკლესიათშორის ურთიერთობებს არაფერი სასიკეთო არ დატყობია.

რომის პაპის ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც პოლიტიკური და სულიერი თვალსაზრისით, ასევე მასპინძელი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვედრის კუთხით. პაპების უცხოეთში ვიზიტები მთელი წლით ადრე იგეგმება, მრავალი ფორმალური, საოქმო დეტალების დაზუსტებითა და შეთანხმების შედეგად. საქართველოს პრეზიდენტისა და კათალიკოს-პატრიარქის თხოვნით და პაპის უშუალო სურვილის მიხედვით, დაიგეგმა მიმდინარე წლის ვიზიტი საქართველოში. თუმცა იყო სხვა, არანაკლებ საგულისხმო, საერთაშორისო მნიშვნელობის ნიუანსები, რომელთა გათვალისწინებაც წინ უძღოდა პაპ ფრანცისკეს ვიზიტს საქართველოში.

პაპი ფრანცისკე განსხვავებული იმიჯის პონტიფიქსი და სახელმწიფო ლიდერია. მისი პრიორიტეტი ამქვეყნიური პრობლემებით, გაჭირვებითა და სნეულებით გატანჯული ადამიანების თანადგომა, საომარი კონფლიქტების გამო დევნილთა შემწეობა და გამხნეებაა. ამიტომაც მისი ვიზიტები არ

იგეგმება წარმატებულ და მდიდარ ქვეყნებში. პაპი მსოფლიოს ცხელ წერტილებს სტუმრობს, სადაც განსაცდელის წინაშე დარჩენილთა გამხსნევებას და მათთვის ლოცვით შეწვევას ცდილობს.. ამ მოწოდების ერთგული პაპი, თავისი არჩევის დღიდან, დღენიდან ამ მისიის შესრულებისთვის იღვწის.

ამ მიზნის განხორციელების რეალურობაში გამოვლენა პაპის ვიზიტები დევნილთა ბანაკებში ლამპედუზოსა და ლესბოსზე, ისრაელში და თურქეთში. პაპის დიდი სურვილი იყო, ჩასულიყო და მშვიდობის დამყარებისათვის შეეწყო ხელი სირია-ერაყის საომარი კონფლიქტის ზონაში. პონტიფექსის განზრახვას, სტუმრებოდა ახლო აღმოსავლეთის ამ ცხელ რეგიონს, მრავალი პოლიტიკური მიზეზის გამო, დღეისათვის გადაულახავი წინააღმდეგობები შეხვდა. თუმცა პონტიფექსი მაინც აქტიურად არის ჩაბმული კონფლიქტის მსხვერპლთათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენის პროცესში.

2016 წლის დასაწყისში, კიდევ ერთმა მიძინებულმა - მთიანი ყარაბაღის საომარმა კონფლიქტმა, კვლავ შეგვახსენა თავი. სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის მშვიდობის დამყარებისათვის ხელშეწყობა, სამხედრო კონფლიქტის გამო დაზარალებულთა თანადგომა მიმდინარე წლის ახალი პრიორიტეტი გახდა პაპ ფრანცისკესთვის. სწორედ სამხრეთ კავკასიის დაპირისპირებულ ქვეყნებში ჩასვლა და მშვიდობისათვის ლოცვა გახდა აქ პაპის ვიზიტის დაგეგმვის მიზეზი. ვინაიდან, სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, შეუძლებელია ორ დაპირისპირებულ ქვეყანაში ერთიანი ვიზიტის განხორციელება, გადაწყდა, პაპის ვიზიტი ორ ეტაპად გაყოფილიყო. პირველი - ივლისის თვეში (25-27.06.2016) სომხეთში; ხოლო მეორე აზერბაიჯანში - შემოდგომაზე.

საქართველოში ვიზიტიც მეორე ეტაპზე დაიგეგმა, სადაც პაპის სტუმრობა, ოფიციალურ მოწვევებთან ერთად,

გადაწყდა იმ გარემოებით, რომ პონტიფეს სურდა ჩასულიყო დაპირისპირებულ სახელმწიფოებში და ხელი შეეწყო მშვიდობის პროცესისათვის. ხოლო სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან, ორში ვიზიტი და მესამის გამოტოვება დიპლომატიური თვალთახედვით არაკორექტულია, მით უმეტეს, რომ საქართველოში კათოლიკე მრევლი, როგორც ლათინური, ასევე სომხური და ასირიულ-ქალდეური, საუკუნეებია, რაც მშვიდობიანად ბინადრობს და ერთაშორისი თანაცხოვრების მაგალითს აძლევს მთელ რეგიონს.

საქართველოში პაპის ვიზიტის ფარგლებში, თბილისის ასირიულ-კათოლიკურ ტაძარში დაიგეგმა უზენაესი პონტიფექსის შეხვედრა ასირიულ-ქალდეური წესის პატრიარქ მარსაქოსთან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან სპეციალურად ჩამოფრინდებოდა ფრანცისკესთან შესახვედრად. ეს ორი მღვდელმთავარის პირველი შეხვედრა იქნებოდა და ამ მხრივაც თბილისში რომის პაპის ვიზიტს კიდევ ერთი ისტორიული მისიაც დაეკისრებოდა.

2016 წლის 30 სექტემბერს, საქართველოში სტუმრობით დაიწყო პაპ ფრანცისკეს სამხრეთ კავკასიური ტურნე მეორე ნაწილი. უმაღლესი პონტიფექსის სავარაუდო ვიზიტის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო, როდესაც ვატიკანში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი (2015 წლის 9-10 აპრილი). ხოლო მანამდე, 2014 წლის სექტემბერში (13-16 სექტემბერი), საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა წმიდა საყდრის სახელმწიფოებთან ურთიერთობის მდივანი, მთავარეპისკოპოსი დომინიკ მამბერტი, რომელიც შეხვდა სახელმწიფოს პირველ პირებს: პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს. იგი ასევე შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესი-

ის პატრიარქს, ილია II–ს. ოდნავ მოგვიანებით, საქართველოში იმყოფებოდა ვატიკანის ქრისტიანთა ხელშეწყობის პაპის კომისიის მდივანი, კარდინალი კურტ კონი.

თბილისში პაპ ფრანცისკეს ვიზიტი უაღრესად გადატვირთული გრაფიკით წარიმართა, შეხვედრები პრეზიდენტის, კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციებში, კათოლიკურ საკრებულოებში და წმ. წირვა ათასობით მორწმუნისთვის, რომელსაც, კათოლიკე მრევლთან ერთად, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ... და მაინც, ყველაზე განსაკუთრებული, თავისი მნიშვნელობითა და სიმბოლური დატვირთვით, გახლდათ მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამართული რომის პაპისა და საქართველოს პატრიარქის შეხვედრა.

პაპის საქართველოში ვიზიტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილმა დაგმო ეს ვიზიტი და მისი ჩაშლით იმუქრებოდა. რადიკალმა ჯგუფებმა პაპის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, 21 სექტემბერს, ვატიკანის საელჩოს წინ ე.წ. ლოცვითი აქცია მოაწვევეს, სადაც მათ მიერ გამზადებულ ბანერებზე პაპი ერეტიკოსად იყო მოხსენიებული, ისინი აცხადებდნენ, რომ პაპი საქართველოში არ იქნებოდა თბილად მიღებული. აქციაზე ბევრი ხალხი არ იყო, თუმცა ეს მოვლენა მაინც აისახა საერთაშორისო პრესაში. სამწუხაროდ, საპატრიარქომ ამ მოვლენაზე არ გააკეთა მყისიერი კომენტარი, მან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ (28.09.2016) გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ საპატრიარქო გმობდა ასეთი სახის აქციებს, რომ რომის პაპი მოწვეული იყო პატრიარქისა და სახელმწიფოს პრეზიდენტის მიერ და რომ საპატრიარქო პატივისცემით მიესალმება სტუმარს და იმედოვნებს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწ-

ყოფს მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და რეგიონში მშვიდობას. ამავე განცხადების ბოლოს კი იკითხებოდა: „შეგნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენსა და რომის კათოლიკე ეკლესიას შორის შუა საუკუნეებიდან შეწყვეტილია ლოცვით - ექვარისტიული კავშირი; და ვიდრე არსებობს დოგმატური სხვაობები, საეკლესიო სამართლის მიხედვით, მართლმადიდებელი მორწმუნეები არ იღებენ მონაწილეობას მათ მსახურებაში“. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი შეთანხმებით პაპის წირვას უნდა დასწრებოდა მართლმადიდებელი სასულიერო პირების ჯგუფი, ამ განცხადებით აშკარა იყო, რომ მათგან არავინ დაესწრებოდა წმ. წირვას; ამით, საპატრიარქომ ასევე ირიბად მოუწოდა თავის მრევლს, რომ პაპის წირვაზე დასწრება არ იყო მათთვის რეკომენდებული.

ვიზიტის პირველი დღე

პაპის რიგით მე-16 სამოციქულო ვიზიტი 30 სექტემბერს დღის 3.00 საათზე დაიწყო, როდესაც იგი შოთა რუსთაველის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა. აქ მას მიეგებნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მეუღლესთან ერთად, საქართველოს პატრიარქი ილია II, წარმომადგენლები საქართველოს მთავრობიდან და საქართველოს საპატრიარქოდან, კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად. საჰაერო ლაინერიდან გამოსვლის შემდგომ პირველივე შესტი, რაც პაპმა გააკეთა, ეს იყო საქართველოს პატრიარქის ჯვარზე მთხვევა, ეს მონემტი, შეიძლება ითქვას, დღის მოვლენად იქცა სოციალურ ქსელში.

გემის მიხედვით, პირველი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის სამთავრობო რეზიდენციაში. პირისპირ შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა და რო-

მის პაპმა პრეზიდენტის სასახლეში სამასამდე მოწვეულ სტუმარს - აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, საპატრიარქოს და სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს სიტყვით მიმართეს.

პრეზიდენტმა მიმართვაში მადლობა გადაუხადა პაპს თანადგომისათვის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს. მან ხაზი გაუსვა საქართველო-ვატიკანის ურთიერთობის საუკუნოვან ტრადიციებს და აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტი ვატიკანიდან საქართველოში XII საუკუნეში შედგა და მას შემდეგ ამ ორ ქვეყნას შორის კულტურული და პოლიტიკური კავშირები ჩამოყალიბდა, გაიხსენა 1629 წელს პირველი ბეჭდური წიგნი ქართულ ენაზე, რომელიც კათოლიკე მისიონერების მიერ გამოიცა და სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი. პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციასა და მოსახლეობის 15%-ის დევნილობაში ყოფნაზე და რომ ამ პრობლემის მოგვარებისათვის საქართველოს მთავრობა მუშაობს არა კონფრონტაციის გზით, არამედ დიალოგითა და მშვიდობით. პრეზიდენტმა ბოლოს იმედი გამოთქვა, რომ პაპის ვიზიტი გააძლიერებს არა მხოლოდ ვატიკანისა და საქართველოს თანამშრომლობას, არამედ იქნება მძლავრი გზავნილი ჩვენს რეგიონში უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად!“

თავის საპასუხო გამოსვლაში ფრანცისკემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტსა და პატრიარქს მოწვევისა და ქართველი ერის სახელით თბილი დახვედრისათვის. პაპმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს, როგორც მრავალსა-

უკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას, თავისი გამორჩეული ადგილი უნდა ეკავოს ევროპული ცივილიზაციის წიაღში. პაპმა საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის იყო ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, „ხიდი, რომელიც ხალხებს აკავშირებს და ურთიერთობას უადვილებს, ხიდი, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შესაძლებელი გახადა განსხვავებულ სამყაროთა შორის როგორც სავაჭრო ურთიერთობები, ასევე დიალოგი და აზრთა თუ გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა. თქვენი ეროვნული ჰიმნიც ხომ ამაყად გვიცხადებს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა, განათებული მთა-ბარი წილნაყარია ღმერთთანა“. სამშობლო მართლაც ხატია, მეობას რომ გვიყალიბებს, იერსახეს გვანიჭებს და ისტორიას გვისახავს,“ – აღნიშნა პაპმა.

წმიდა მამამ ასევე ისაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვებიდან 25 წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე და იმ დიდ მსხვერპლზე, რომელიც ქართველმა ხალხმა გაიღო ნანატრი თავისუფლების დასაცავად. მან საქართველოს უსურვა მშვიდობისა და განვითარების გზაზე საზოგადოების ყველა წევრის ხელიხელჩაკიდებული სიარული, რათა შეიქმნას სტაბილური, სამართლიანი და კანონისადმი პატივისცემით აღსავსე გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ზრდას და ყველასათვის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნას. ამისათვის კი, როგორც პაპმა აღნიშნა, არსებობს წინაპირობაც: „ესაა რეგიონის ერებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა. საამისოდ კი აუცილებელია მათ შორის ურთიერთპატივისცემის განმტკიცება, რაც უცილობლად გულისხმობს თითოეული მათგანის სუვერენული უფლებების პატივისცემას და მათთვის ანგარიშის გაწევას საერთაშორისო სამართლის ფა-

რგლებში. ხანგრძლივი და ჭეშმარიტი მშვიდობისაკენ მიმავალი გზის გასაკვალად კი იმის შეგნებაა საჭირო, რომ სახელმწიფოთა შორის სამართლიანი და სტაბილური ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელი პრინციპები ქვეყნებს შორის კონკრეტულ, მოწესრიგებულ და მშვიდობიან თანაარსებობას უნდა ემსახურებოდეს... აუცილებელია, რომ ყველა ჩვენგანის გულში უპირველესი ადგილი ეკავოს ადამიანის ბედს, ამ სიტყვის კონკრეტული გაგებით, მოთმინება და ძალისხმევა არ დავიშუროთ, რათა უთანხმოება ძალადობაში არ გადაიზარდოს. ნებისმიერი განსხვავებულობა – ეთნიკური, ენობრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური – უნდა იქცეს არა წარმოშობილ უთანხმოებათა დაპირისპირებასა და გაუთავებელ ტრაგედიაში გადაზრდის საბაბად, არამედ, რაც სავსებით შესაძლებელია, ურთიერთგამდიდრების წყაროდ და საყოველთაო სიკეთედ. საამისოდ კი, ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი სპეციფიკურობის სრულად და სასიკეთოდ გამოყენება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობა უნდა მიეცეს მშვიდობიანად იცხოვროს საკუთარ მიწაზე. . ვისურვებდი, რომ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე პირებმა განსაკუთრებით გაითავისონ ამ ადამიანების მდგომარეობა, ეძიონ მათი პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები, თუნდაც გადაუჭრელი პოლიტიკური საკითხების პირობებშიც კი. აქ საჭიროა შორსმჭვრეტელობა და სიმტკიცე, რათა განვსაზღვროთ თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სიკეთე ხალხთათვის და გაბედულად და გონიერებით მივყვეთ მას. ამავე დროს, მუდამ თვალწინ უნდა გვედგას ტანჯული ადამიანი, რათა თავდაჯერებით ვიაროთ მშვიდობის მშენებლობის ძნელად სავალ, მაგრამ მიმზიდველ და გამათავისუფლებელ გზაზე“.

მიმართვის დასასრულს პაპმა დასძინა, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესიას საუკუნეების მანძილზე შექჷონდა თავისი დიდი წვლილი საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში და სურვილი აქვს კიდევ დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობასა და მშვიდობაში. „ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენი საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართა სასიკეთოდ გაწეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით“.

საზოგადოების ნაწილი ელოდა, რომ პაპი აშკარად გააკეთებდა განცხადებას რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და დევნილებზე, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვატიკანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და პაპ ფრანცისკეს, ასევე მისი წინამორბედი პაპის ბენედიქტე XVI-ის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ პაპი საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საპატრიარქოში, სადაც ორივე ეკლესიის იერარქმა წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა.

პატრიარქის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, პაპმა საკმაოდ ვრცელი სიტყვით მიმართა დამსწრეებს:

... ჩემთვის დიდი სიხარული და განსაკუთრებული მადლია შევხვდე თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას, ღრმადპატივცემულ მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებსა

და ეპისკოპოსებს, წმიდა სინოდის წევრებს. მივესალმები ბატონ პრემიერ-მინისტრს და მეცნიერებისა და კულტურის სფეროების გამოჩენილ წარმომადგენლებს.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ გადაფურცლეთ ახალი გვერდი ურთიერთობებისა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და კათოლიკე ეკლესიას შორის, როცა აღასრულეთ საქართველოს პატრიარქის პირველი ისტორიული ვიზიტი ვატიკანში. მაშინ თქვენ და რომის ეპისკოპოსმა მშვიდობის ამბორი მიაგეთ ერთურთს და შეჰპირდით, რომ ილოცვბდით ერთმანეთისთვის. ამგვარად, გაძლიერდა ის მნიშვნელოვანი კავშირები, რომლებიც ჩვენს შორის არსებობდა ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან. ეს კავშირები განვითარდა და კვლავაც რჩება ურთიერთპატივისცემისა და გულისთად ურთიერთობად. ამის ნათელი დასტურია აქ ჩემი წარგზავნილებისა თუ წარმომადგენლების თბილი მიღება, ქართველ მართლმადიდებელთა მიერ გაწეული სასწავლო და კვლევითი საქმიანობა ვატიკანის არქივებსა და პონტიფიკალურ უნივერსიტეტებში, მართლმადიდებლური საკრებულოს არსებობა რომში, ჩემი ეპარქიის ერთ-ერთ ეკლესიაში და ადგილობრივ კათოლიკურ საკრებულოსთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით კულტურის სფეროში.“

როგორც დაგეგმილი იყო დღის მესამე შეხვედრა თბილისის სიმონ ბარ-საბას სახელობის ასირო-ქალდეური წესის კათოლიკურ ეკლესიაში შედგა, სადაც პაპი შეხვდა ბაღდადიდან (ერაყი) საგანგებოდ ჩამოსულ სტუმრებს, ბაბილონის ქალდეველთა პატრიარქ ბარ ლუის საკოს, წმინდა სინოდის თორმეტ წევრს, საქართველოში მკვიდრ და ევროპის, ამერიკისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ასირო-ქალდეური წესის კათოლიკე სასულიერო პირებსა და მრევლის წევრებს. ერაყის ქალდეური ეკლესია 21-ე საუკუნეში მოწა-

მეთა ეკლესიად არის შერაცხული, ქრისტიანობისათვის წამებულ იმ ასეულობით მორწმუნის გამო. პაპი არამეულ ენაზე მიესალმა ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს და მათთან ერთად ილოცა სირიასა და ერაყში მცხოვრები ხალხისათვის, ვისთვისაც ომი, ძალადობა, რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დევნა ყოველდღიურობად იქცა. ამ ფონზე ჩამოსული სტუმრების გაოგნება გამოიწვია ტაძრის წინ გამართულმა, პაპის ვიზიტის საპროტესტო აქციამ.

ასირიულ-ქალდეური ტაძრიდან გამოსულმა პაპმა მშვიდობის სიმბოლო, მტრედი გაუშვა. მან ასევე აკურთხა მისი ვიზიტის საპროტესტოდ შეკრებილებიც. ამ შეხვედრით მოხდა ერთგვარი კომპენსირება პაპის ამ ეტაპზე განუხორციელებელი სურვილისა, ერაყში ადგილობრივ ქრისტიანებთან ერთად ელოცა მშვიდობისათვის. ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების და ქრისტიანთა მასობრივი დევნის გამო ათასობით მორწმუნე და ღვთისმსახური იძულებულია უკვე მერამდენედ, სხვადასხვა ქვეყნებს შეაფაროს თავი. მაგალითად, საქართველოში რომის ეკლესიასთან ერთიანობაში მყოფი ასირიელები პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოსახლდნენ.

პაპი საზეიმო წირვა თბილისში

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თბილისში პირველ ოქტომბერს საზეიმო წირვის დროს წარმოთქმული პაპ ფრანცისკეს ქადაგება. შემდგომ ყველა ექსპერტი საგანგებოთ გაანალიზებს ამ ქადაგების შინაარსსა და მასში გაუღერებულ გზავნილებს და ყველა ერთხმად აღნიშნავს ქადაგების ტექსტის ღრმა შინაარსს, ქართული თემის კარგ გააზრებას და სწორ აქცენტებს..

„თქვენი მშენიერი ქვეყნის მდიდარ საგანძურში გამოჩენილი ადგილი უკავია იმ დიდ ფასეულობას, რომელსაც ქალი ჰქვია. როგორც ყრმა იესოს წმიდა ტერეზა წერდა, რომელსაც დღეს მოვისხსენიებთ, „ღმერთი გაცილებით მეტ ქალს უყვარს, ვიდრე მამაკაცს“ (ავტობიოგრაფიული ნაწერები, ხელნაწერი, VI). საქართველოში უამრავი ბებია და დედაა, რომლებიც კვლავაც ინახავენ და გადასცემენ ქართულ მიწაზე წმიდა ნინოს მიერ დათესილ რწმენას, და ღვთაებრივი ნუგეშის მაცოცხლებელი წყალი მიაქვთ უამრავ გაუდაბურებულ და მტრულ ვითარებაში.

პაპ ფრანცისკეს ეს ქადაგება ცხადია, მხოლოდ თბილისის სტადიონზე შეკრებილ 7 ათასიან მრევლს არ შეეხებოდა. როგორც ყოველთვის პაპის ჰომილიები მთელი კათოლიკური სამყაროსადმი არის მიმართული. პრობლემა საკუთარ ნაჭუჭში, საკრებულოსა თუ სამრევლოში ჩაკეტივისა თვითიზოლაციისა მწვავე პრობლემად რჩება ყველა ადგილობრივი ეკლესიისათვის. ეს არის პრობლემა რომელიც ყველა ქვეყნის ქრისტიანთა უმთავრეს გამოწვევად რჩება. თბილისურ ქადაგებაშიც პაპმა ყურადღება გაამახვილა, ქალის და დედის განუზომლად დიდ როლზე, ასევე ნუგეშისცემაზე. ქადაგების ძირითადი ქვაკუთხედი გახდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები, რომელიც სიტყვის ლიტურგიის საკითხავში იყო მოცემული „როგორც დედა ანუგეშებს შვილს, ისე განუგეშებთ მეც“ (ესაია 66, 13.).

ნუგეშისცემა გახდა მთავარი გზავნილი პაპის ჰომილიის პირველი ნაწილისა. ნუგეშისცემა, ცხადია, ყოველ ადამიანს ესაჭიროება და ყველა მოელის იყოს ნუგეშცემული, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური არის ნუგეშისცემა შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთათვის, ოკუპირებულ ტერი-

ტორიაზე მოქცეულთათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

„ნუგეშისცემა, რომელიც ცხოვრების ორომტრიალში მყოფთ ასე გვჭირდება, სწორედ ესაა - ჩვენს გულში დავანებული ღმერთი. მისი ყოფნა ჩვენში არის წყარო ჭეშმარიტი ნუგეშისა, ჩვენში რომ ისადგურებს, ბოროტისაგან გვისხნის, სიმშვიდითა და სიხარულით გვავესებს. ამიტომაც, ნუგეშის მსურველთ ვემართებს ჩვენს ცხოვრებაში შემოვუშვათ უფალი; და თუ გვსურს უფალი ჩვენში დამკვიდრდეს, კარი უნდა გავუღოთ მას და გარეთ არ ვამყოფოთ. ნუგეშის კარი მუდამ ღია უნდა გვქონდეს, რადგან იესოს იქიდან სჩვევია შემოსვლა. ასეთი კარია: სახარება, რომელსაც ყოველდღე ვკითხულობთ და მუდამ თან დაგვაქვს, ლოცვა სიჩუმესა და თაყვანისცემაში, აღსარება, ევქარისტია. სწორედ ამ კართა საშუალებით შემოდის ჩვენში უფალი და ყოველ საგანს ახლებურ გემოს ანიჭებს. ხოლო თუ გულის კარი დაკეტილია, აღარც უფლის ნათელი აღწევს და სიბნელეში ვრჩებით. შედეგად, ვვარდებით პესიმიზმში, ვეგუებით წარუმატებლობას, აღარ გვჯერა, რომ რამე შეიცვლება. ბოლოს კი ჩვენსავე სევდაში ვიძირებით, შფოთვის ჯურღმულებში ვიკეტებით, საკუთარ თავში ვმართოვდებით. მაგრამ ნუგეშის კარს თუ გავაღებთ, იქიდან უფლის სინათლე შემოიჭრება!”

მეორე მთავარი გზავნილი პაპისა გახლდათ უბრალოება. თავის სიტყვების დასადასტურებლად აქ პაპმა მაგალითები სახარებიდან მოიტანა თუ როგორ ცხადდება ღიდი სასწაულები უბრალოებით და მოკრძალებით, სიწირფელით და სისადავით. აქ პაპმა პარალელი ბავშვებთან გაავლო, ბავშვებთან, რომელთა უბრალოებაზე საუბრისას პაპმა მნიშვნელოვანი გზავნილი გაუგზავნა კავკასიის კათოლიკურ საკრებულოებს – ისინიც ხომ მცირე რიცხოვანი და ბავშვებივით სუს-

ტები არიან და ამ სისუსტეშია მათი ძლიერებაც. პაპმა პაპმა ისევ დამოწმა წმინდა ტერეზა და საქართველოს მცირე რიცხოვანი კათოლიკური მრევლი, რომელიც ქველმოქმედებაზე და სწავლა-განათლებაზეა მუდამ ორიენტირებული შეადარა „მამის მკლავებში მინებებულ და უშფოთველად მიძინებულ პატარა ბავშვის ნლობას“ და ისევ წმ. ტერეზას სიტყვებით დამოწმებით, პაპმა შეახსენა მორწმუნეებს, რომ „იესო არ ითხოვს საგმირო საქმეებს, არამედ მხოლოდ მინებებას და მადლიერებას“. როდესაც ვაანალიზებთ პაპის ქადაგების ამ ნაწილს, უმთავრესი შეგონება ქართველი და კავკასიელი კათოლიკეებისთვის არის ის, რომ გული არ უნდა გაიტეხონ იმ გარემოებით, რაც მათ მცირერიცხოვნობით გამოწვეულ პრობლემებს, სიძნელეებს, ზოგჯერ დისკრიმინაციულ ან არაადეკვატურ დამოკიდებულებას აწყდებიან ხელისუფლების, დომინანტი ეკლესიების ან საზოგადოების მხრიდან. კონფესიურობა არ არის პოლიტიკური მიკუთვნება არ ეკლესია არის პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლებისა და მისი წევრების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იღწვის. ეკლესია მარადიული ფასეულობების დამკვიდრებისა და დაცვისთვის არის მოწოდებული და სულთა ხსნისათვის იღწვის. თუმცა დემოკრატიულმა და სოლიდარულმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს უმცირესობათა უფლებების განუხრელი დაცვისათვის. აქვე ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ კავკასიაში კათოლიკეების ნაწილი სრულიადაც არ აღიქვამს თავს უმცირესობად, პირიქით, ისინი ისტორიულად თავს ევროპულ საგანმანათლებლო-კულტურული ფასეულობათა დამცველ, საზოგადოების ღირსეულ, გამორჩეულ ფენად თვლიან თავს. პაპის გზავნილი უბრალოების შესახებ ამ მენტალობის ადამიანთა შეგონებაცაა, რათა ამპარტავენების ნიბლმა არ აცდუნოს ისინი.

ქადაგება პაპმა წმინდა ტერეზას სიტყვებით დაასრულა და შეახსენა საზოგადოებას, რომ „სიყვარული გულის სიღრმეში არ უნდა იკეტებოდეს“. ის რომ ნუგეშისცემა და სიყვარული გაზიარებულ უნდა იქნეს ყველასადმი, არის პაპი ცხოვრების კრედი და ეს არის მისი გზავნილი არა მხოლოდ საქართველოს, სამხრეთ კავკასიისადმი არამედ მთელი სამყაროსადმი. „მაშ, ვითხოვთ დღეს, ყველამ ერთად, მადლი უბრალო გულისა, რომელსაც სწამს და ცოცხლობს სიყვარულის თვინიერი ძალით; ვითხოვთ, რომ უშფოთველად და სრულად მივენდოთ ღმერთის გულმოწყალებას” .

პაპმა წირვის დასრულებისას დამსწრეებს მისთვის ლოცვა სთხოვა და, თავის მხრივ, თვითონაც დაჰპირდა, რომ მოინსენიებდა მათ თავის ლოცვებში. მადლობის ნიშნად ქართულად წარმოთქვა „დიდი მადლობა“.

წირვის დასრულებიდან რამდენიმე საათში პაპი თბილისის ზეცად აღყვანების კათოლიკურ კათედრალში შეხვდა ბერმონაზვნებსა და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე პაპი თავისი გამოსვლა ერთი ამბავის გაიხსენებით დაიწყო, რომელიც სომხეთში ვიზიტის დროს შეემთხვა. გიუმრიში, როდესაც იგი ადგილობრივ ეპისკოპოსებთან ერთად მანქანიდან გადმოვიდა ხალხთან შესახვედრად, დაინახა ერთი მოხუცებული, ოთხმოც წელს გადაცილებული ქალბატონი, რომელიც მათკენ ცდილობდა წამოსვლას, პაპმა იგრძნო ამ ქალბატონის დიდი სურვილი მიახლებოდა ჰეტრეს მემკვიდრეს და თავად მივიდა მასთან. აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი იყო საქართველოში მცხოვრები, ეროვნებით სომეხი, რომელსაც 8 საათი ემგზავრა ავტობუსით, იმისათვის რომ პაპი ენახა. პაპი აღაფრთოვანა ქალბატონის ქმედებამ. მეორე დღეს, როდესაც გიუმრიდან ერევანში წავიდნენ, პაპმა ეს ქალბატონი კვლავ შენიშნა, მასთან მივიდა და ჰკითხა,

თუ რისთვის იყო ჩასული. ქალბატონისაგან მან მოისმინა, რომ მას კვლავ უნდოდა ენახა პეტრეს მემკვიდრე. პაპისთვის ეს ქალბატონი იქცა ამ მოგზაურობიდან ერთ-ერთ დასამახსოვრებელ ეპიზოდად. საქართველოს კათოლიკური სამრევლოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პაპმა ეს ამბავი მტკიცე რწმენის ნიმუშად მოიყვანა.

რწმენის სიმტკიცეზე საუბრისას, პაპმა აღნიშნა: „რწმენაში სიმტკიცე ნიშნავს მიიღო ეს რწმენა სხვისგან, შეინახო და შემდეგ სხვას გადასცე“, იმას, რასაც აკეთებდნენ ჩვენი ბებიები, დედები. „მოციქული პავლე, როდესაც ესაუბრებოდა თავის საყვარელ მოწაფეს, ტიმოთეს, ეუბნებოდა, რომ მტკიცედ შეენახა ის რწმენა, რომელიც მიიღო დედისა და ბებიისაგან. ვინაიდან ეს არის გზა, რომელიც უნდა გავიაროთ, მივიღოთ, დავამუშაოთ და შემდეგ სხვას მივცეთ. ხე ვერ იარსებებს ფესვების გარეშე, რწმენა, რომელსაც არ აქვს ფესვები, დედაში, ბებიაში არ იზრდება. რწმენა, რომელიც მე მომეცა, უნდა გავცე სხვაზე, „ჩემს შეილებზე“, ასეთი რწმენა იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ არ დავივიწყოთ იმ ქალის სურათი, ვინაიდან ეს არის ქართველი ქალის ხატი, რომელიც განთქმულია თავისი რწმენის სიმტკიცით“.

რაც შეეხება ოჯახის თემას, „ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთმა შექმნა ქალი და კაცი თავის ხატად. როდესაც ისინი ერთმანეთს უერთდებიან, ხდებიან ღვთის ხატი. და როდესაც დგება ოჯახის დანგრევის საკითხი, იცით, ვინ ზღავს ამისათვის? ბუნებრივია, წყვილი, მაგრამ ასევე ზღავს ღმერთიც. როდესაც ოჯახი, ერთი სხეული იხლიჩება, ზიანდება ღვთის ხატი, გარდა ამისა, ამისათვის ზღავენ ბავშვები. თქვენ არ იცით, როგორ იტანჯებიან ბავშვები, როდესაც ხედავენ კონფლიქტს ოჯახში, ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რომ გადაარჩინოთ ოჯახი. ნორმალურია ქორწინების დროს

კამათი, მაგრამ თუ ნამდვილი სიყვარულია, მაშინვე მშვიდობა ისადგურებს. ვურჩევდი ოჯახებს, შეგიძლიათ იკამათოთ რამდენიც გინდათ, მაგრამ ის დღე არ დასრულდეს შერიგების გარეშე, რადგან ცივი ომი, თუ მეორე დღეს გაგრძელდა, უფრო საშიშია. რამდენი ოჯახი გადარჩენილა დანგრევას, როდესაც კონფლიქტის შემდეგ ქმარი ცოლს უბრალოდ ლოყაზე მოფერებია. ... მე რომ მეკითხა ცოლ-ქმრისათვის: გიყვართ ერთმანეთი? - პასუხი იქნებოდა: დიას. როდესაც რომელიმე მხარე რაღაც კარგს აკეთებს, ამ დროს შეგიძლიათ მადლობა უთხრათ? ან კიდევ, თუ ვინმე რამე შეურაცხმყოფელს აკეთებს, შეგიძლიათ მოუბოდიშოთ? ან კიდევ, როდესაც საერთო ჩანაფიქრი გაქვთ, ვთქვათ, ერთად გსურთ გაატაროთ ერთი დღე სოფელში, ამ დროს ეკითხებით მეორეს, რა აზრისაა? ამისათვის გვაქვს სამი ოქროს სიტყვა: შეგიძლია, მადლობა და ბოდიში. თუ ეს სიტყვები ხშირად იქნება ოჯახში წარმოთქმული, ეს ოჯახი წინ წავა“.

პაპი ასევე შეეხო ეკუმენიზმის საკითხს, „არასოდეს იკამათო, ეს საკითხი დავუთმოთ თეოლოგებს, რომლებიც დოგმატურ საკითხებზე უკეთ საუბრობენ და როგორ უნდა მოვიქცე ჩემს მართლმადიდებელ მეგობრებთან და მეზობლებთან, ძალდატანებით უნდა მოვაქციოთ ისინი? ეს არის ძალიან დიდი ცოდვა, რომელსაც პროზელიტიზმი ჰქვია. არასოდეს არ უნდა გავწიოთ პროზელიტიზმი მართლმადიდებლებთან, ისინი ჩვენი დები და ძმები არიან, იესო ქრისტეს მოწაფეები. ჩვენ ვაღიარებთ მამას, ძეს და სულიწმიდას, და ღვთისმშობელ მარიამს. გასული რთული საუკუნეების გამო, არ განვსაჯოთ ერთმანეთი, ვიმეგობროთ, ერთად ვიაროთ და პატივი ვცეთ ერთმანეთს, ერთად გავწიოთ ქველმოქმედება - ეს არის ეკუმენიზმი“.¹

¹ საბა, N10 (250), გვ. 10.

შეხვედრის დასასრულს, პაპმა აკურთხა ქვა, რომელიც რუსთავის ტაძრის საძირკველში დაიდება.

პაპისა და პატრიარქის შეხვედრა სვეტიცხოველში

1999 წელს, სვეტიცხოველში წმიდა პაპის იოანე-პავლე II-ისა და კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის შეხვედრას და ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა იყო ძალზე ამადელვებელი და ერთგვარად საეტაპო შეხვედრა, რომელსაც შემდგომ დიდი ემოციითა და სითბოთი იხსენებდა როგორც იოანე-პავლე II, ასევე ილია II-ც. ასევე 2016 წლის 1 ოქტომბერს პაპ ფრანცისკესა და კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შეხვედრა შეიძლება ითქვას საეტაპო განსაკუთრებით და საქართველოს საპატრიარქოს ურთიერთობებში.

სვეტიცხოველში პაპის სტუმრობამდე კარგა ხნით ადრე იწყეს მოწვეულმა სტუმრებმა თავმოყრა. ათასამდე სპეციალური საშვი საპატრიარქომ გაანაწილა მთავრობის, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების, შემოქმედებითი კავშირების, დიპლომატიური კორპუსის, მედიის და, ზოგადად, ბომონდის წარმომადგენლებზე.

პაპის ვიზიტის და განსაკუთრებით მისი სვეტიცხოველში არშემვების მომხრეთა ჯგუფი, რომელიც ჩამოსვლის დღიდან აპროტესტებდა ამ ვიზიტს, მიუხედავად მათი მხრიდან არაერთგზის მოწოდებისა და რეიტინგზე ორიენტირებული ტელეეთერებით ამ მოწოდების გადაცემისა, არც პროტესტის მომხრეთა რაოდენობით გაიზარდა და არც მართლმადიდებელი სასულიერო პირებიდან ან მორწმუნეებიდან ვინმე შეერთებია მათ. ეკლესიის იზოლაციის მხარდამჭერები არც სვეტიცხოველის ეზოში შეუშვეს და შეხვედრაზე მოწვეულთა მხრიდან სავსებით სამართლიან, უარყოფით დამოკიდებულებას იმსახურებდნენ.

შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სვეტიცხოველში მობრძანდა პატრიარქი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი. ისინი ტაძრის შესასვლელში ელოდნენ მაღალ სტუმარს, მაგრამ რადგანაც პაპის დელეგაცია 20 წუთით აგვიანებდა, მასპინძლები ტაძარში შევიდნენ და იქ დაცული სიწმინდეები მოილოცეს. მცხეთაში პაპის დელეგაციის შემოსვლისთანავე სვეტიცხოველის ყველა ზარი ახმიანდა, პატრიარქი და პრემიერ-მინისტრი სვეტიცხოველის ტაძრის წინ ელოდნენ ფრანცისკეს და გულთბილი მისალმების შემდგომ ერთად შემოუძღვნენ პაპს მრავალჯამიერით აგუგუნებულ ტაძარში. პატრიარქმა და პაპმა ერთად დაანთეს სანთლები მაცხოვრის ხატთან, პირველი გადაისახეს და გულში მცირე ლოცვაც წარმოთქვეს... შემდგომ საკურთხევის წინ დადგმულ სავარძლებში დაბრძანდნენ.

მისი უწმიდესობა ილია II მიესალმა პაპ ფრანცისკეს, პრემიერ-მინისტრსა და დამსწრე საზოგადოებას. პატრიარქმა თავის მიმართვაში ხაზი გაუსვა სვეტიცხოველის ისტორიულ და რელიგიურ მნიშვნელობას საქართველოსა და ზოგადად ქრისტიანობისათვის, ქართველთა ქრისტესადმი რწმენისა და ქრისტიანული ტრადიციებისადმი ერთგულებას და სიმტკიცეს. მისალმების ბოლოს პატრიარქმა ხაზი გაუსვა თავის დიდ პატივისცემასა და ძმურ სიყვარულს პაპ ფრანცისკეს მიმართ და ამ პატივისცემის ნიშნად სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ძვირფას სტუმარს.

თავის საპასუხო სიტყვაში პაპმა მადლობა შესწირა უფალს, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, ქართულ მიწაზე მომლოცველობის დასასრულს, ლოცვაში ჩაღრმავებულიყო ამ წმინდა ტაძარში; მადლობა გადაუხადა საქართველოს პატრი-

არქს მასპინძლობისათვის და რწმენის ამაღლებელი დამოწმებისა და ქართველი ხალხის კეთილი გულისათვის.

პაპმა ფრანცისკემ მისთვის დამახასიათებელი უშუალოდ ბით, დიპლომატიური ნორმებისა და კლიშეებისაგან თავისუფალი გულითადი სიტყვებით, გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი. პაპმა ხაზი გაუსვა თანხმობის, გახსნილობის, ინტეგრაციისა და ღიაობის აუცილებლობას, ასევე, ისაუბრა რა ქრისტეს კვართის განუყოფლობაზე, აქცენტი გააკეთა იმ სამწუხარო ფაქტზე, რაც ეკლესიის დანაწევრებით გამოიხატება. „უფლის მაგალითისამებრ, ძმური ქრისტიანული სულისკვეთებით აღვსილებმა, ვიდგაწოთ გულწრფელი სიყვარულის, დანაწევრებული ქრისტეს სხეულის გამთლიანებისათვის“.

სიტყვის დასასრულს პაპმა იმედი გამოთქვა, რომ დაპირისპირებებს მოეკლება, წინააღმდეგობანი დაიძლევა, რომ „არასოდეს არ უნდა ვიუაროთ შეხვედრა და საუბარი, უნდა შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ უკვე არსებული“. ასევე, პაპმა ხაზი გაუსვა, რომ „მიუხედავად ჩვენი თავისებურებებისა და კულტურული განსხვავებებისა, მოწოდებულნი ვართ, ვიყოთ ერთნი ქრისტე იესოში და წინა პლანზე წამოვწიოთ არა მონათლულთა შორის არსებული უთანხმოებანი და დაყოფანი, არამედ ის, რაც გვაერთიანებს. და რაც გვაერთიანებს, უფრო ბევრია, ვიდრე ის, რაც გვაშორებს“.

პაპი შეეხო ქართული ენის კეთილშობილებას, რომელსაც ქრისტიანული ცხოვრების სილამაზესთან მივყავართ, „რომელიც ნათელმოსილი, ასეთივედ დარჩება, თუ სიკეთის ნათელს შეინარჩუნებს; თუ, საკუთარი ფესვების ერთგული, არ აჰყვება კარჩაკეტილობის ცდუნებას, არამედ იქნება მიღებისა და სწავლისადმი განწყობილი, რათა გაბრწყინდეს იმით, რაც მშვენიერი და ჭეშმარიტია, რათა ერთურთის თანადგო-

მით გავიზარდოთ სიკეთეში. ვილოცებ, რათა განმტკიცდეთ ყოველივე იმის ძიებაში, რაც დაგვაახლოებს, შეგვარიგებს და გაგვაერთიანებს, „რათა ყოველნი ერთ იყვნენ.“

მისაღმების შემდეგ პაპმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ილია II-ს. მაღალი სტუმრის პატივსაცემად საქართველოში მცხოვრებმა მართლმადიდებელმა ასირიელებმა ასურულ ენაზე აღავლინეს გალობა. ამ გულში ჩამწვდომი გალობის ჰანგებმა გულგრილი არ დატოვა არავინ, ხოლო უზენაეს მღვდელმთავრებს ცრემლიც კი მოჰვარა.

თბილისის ასირიულ-ქალდეურ ტაძარში გამართული შეხვედრით და სვეტიცხოველში აღვლენილი ასირიული გალობით პაპმა ერთგვარად, ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილა თავისი სურვილი, ერაყის მიწაზე შეხვედროდა ასურულ ქრისტიანებს.

საგალობლებისა და სამღვდელმთავრო ზარების რეკვის, დამსწრე საზოგადოების სულიერად ამაღლებული განწყობის ფონზე, პაპმა და პატრიარქმა დატოვეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. ამაღელვებელი იყო ორი ეკლესიის მწყემსმთავართა კიდევ ერთი გულთბილი და ქრისტესმიერი სიყვარულით აღვსილი დამშვიდობება. პაპი და პატრიარქი შეპირდნენ ერთმანეთს, რომ ილოცებენ ერთურთისათვის. „მე ვნახე ღმერთის კაცი“, - ამგვარად გაიხსენებს ორიოდე დღის შემდგომ, ბაქოდან რომში მგზავრობის დროს გამართულ საჰაერო პრესკონფერენციაზე, პაპი ფრანცისკე ილია II-ს.

2 ოქტომბერს, პაპი ფრანცისკე, კავკასიური ტურნეს ფარგლებში, აზერბაიჯანში გაემგზავრა. აეროპორტში წმიდა მამა საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს პატრიარქმა გააცილეს.

აზერბაიჯანში, სადაც კათოლიკე მრევლი დაახლოებით შვიდასამდეა, მათ შორის, სამასამდე ეროვნებით აზერბაიჯან-

ნელი, პაპმა ათი საათი დაჰყო. ვიზიტის ფარგლებში, მან წირვა აღასრულა ქალწული მარიამის უმანკოდ ჩასახვის რომის კათოლიკურ ტაძარში, სადაც მან შეკრებილ მრევლს მცირე, თუმცა ღმერთის თვალში ძალიან ძვირფასი სამრევლო უწოდა. წმ. წირვის შემდეგ პაპი მიიღო პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, რომელმაც ამ შეხვედრას ისტორიული უწოდა. „თქვენი ვიზიტი აზერბაიჯანში ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც აზერბაიჯანისა და ვატიკანის ურთიერთობის გასაღრმავებლად, ასევე ცივილიზაციებს შორის დიალოგისათვის, აზერბაიჯანში სხვადასხვა კონფესიის ადამიანი ცხოვრობს მეგობრულად, როგორც ერთი ოჯახი“, - აღნიშნა ალიევმა მისასალმებელ სიტყვაში. პაპმა ალიევთან შეხვედრისას ინტერრელიგიურ დიალოგსა და ტოლერანტობაზე ისაუბრა.

შემდეგ პაპი შეხვდა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს ჰეიდარ ალიევის სახელობის მეჩეთში, სადაც დაგმო ღმერთის სახელით ფუნდამენტალიზმის გამართლება. „წულარასოდეს იქნება ძალადობა ღმერთის სახელით! ღმერთი არ შეიძლება გამოვიყენოთ პირადი ინტერესებისათვის ან ეგოისტური მიზნებისათვის; შეუძლებელია, მისი სახელით გავამართლოთ ფუნდამენტალიზმი, იმპერიალიზმი ან კოლონიალიზმი“, - მიმართა პაპმა იქ შეკრებილ მუსლიმებს, ქრისტიანებს, იუდეველებსა და სხვა აღმსარებლობის პირებს.

პაპი ასევე შეხვდა მთავარ მუფთის და გამოსამშვიდობებელი სალამოს შემდეგ დატოვა აზერბაიჯანი.

სიმბოლოები

პაპის ვიზიტი დატვირთული იყო სხვადასხვა სიმბოლოებით, რომლებიც საქართველოს კათოლიკეების, უფრო კონკრეტულად კი საორგანიზაციო ჯგუფის წევრების მიერ იქნა მოფიქრებული და განხორციელებული. კერძოდ კი: პა-

პის თეთრი სამოსი (კაზულა) და ანაფორაც, რომლითაც პაპი წირვაზე იყო შემოსილი, ქუთაისელმა მქარავამა ქალებმა, მათი უმრავლესობა მართლმადიდებელია, შეარჩიეს და მოქარგეს. მასზე ამოქარგული იყო ქართული ქრისტიანული ტრადიციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნები. უფლის ჯვარი, შემდგარი ოთხი პატარა ჯვრისაგან (როგორც ქართულ დროშაზეა) და ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ჯვარი. წმ. ნინოს ოთხი ჯვრის გამოყენებით შეიქმნა წმ. ანდრიას ჯვრის ფორმა. პაპის თავსაბურავზე (ტიარა) ამოქარგულ იქნა მცხეთის ჯვრის რელიეფი „ჯვრის ამალღება“. საკურთხეველზე დადგმული იყო რეკოლუციებსა და რეპრესიებს გადარჩენილი თითბრის ჯვარი, რომელიც ერთ-ერთმა მორწმუნემ შესწირა ეკლესიას. ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსთავის სამრევლოს კარიბჭე, რომელიც მომავალში ამ ქალაქში ააგებულ ტაძარს დაამშვენებს. პაპს საქართველოს კათოლიკე მრევლის სახელით საჩუქრად გადასცეს მე-19 საუკუნის დასაწყისში კათოლიკეების მიერ პეტერბურგში ქართულად დაბეჭდილი სახარება. ეს ის პერიოდის როდესაც საქართველოში ქართული ენა იღვევებოდა. ასევე პაპს უსახსოვრეს საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომი, მ. თამარაშვილის პორტრეტი და საქართველოში მ. ლუიჯი მონტოვანის მიერ მომზადებული იტალიურ-ლათინურ-ქართული ლექსიკონი. წირვისთვის მომზადებულ სცენის თავზე კი ეკიდა დიდი ჯვარი, რომელიც თავდაპირველად გორის კათოლიკურ ეკლესიის ინტერიერს ამშვენებდა, შემდგომ გორის მუზეუმს და 90-იან წლებში გორის კათოლიკურ საკრებულოს გადაეცა. საკურთხეველთან აღმართული იყო მაცხოვრის ქანდაკება, რომელიც ახალციხის სახელმწიფო მუზეუმმა რამოდენიმე დღით ათხოვა პაპის კიზიტის საორგანიზაციო ჯგუფს.

ვიზიტის მოლოდინები და შეფასებები

პაპის მთავარი გზავნილი საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიისთვის არის მშვიდობა, რაც მკვერთით აღმდგარი ქრისტეს პირველი მადლია. ასევე საქართველოს კათოლიკეთათვის ძირითად გზავნილად შეიძლება ჩაითვალოს პაპის ქადაგებაში გაჟღერებული სიტყვები „საქართველოს პატარა და ძვირფასო მრევლო, რომელმაც თავი შესწირე ქველმოქმედებასა და სწავლებას, მიიღე კეთილი მწყემსის გამხნეება, მიენდე მას, ვინც მხრებით გატარებს და ნუგეშს გცემს”.

მოლოდინებიდან ყველაზე მთავარი გახლდათ პაპის მხრიდან რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, წართმეულ კათოლიკური ტაძრების შესახებ მკვეთრი განცხადებების გაკეთება.. სირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები მოელოდნენ პაპთან პირისპირ შეხვედრისას საკუთარი პრობლემების წარმოჩენას. ასევე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, როგორც 1999 წელს, ახლაც მოხდებოდა მათი შეხვედრა პაპთან. მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი შიშობდა პაპის ვიზიტი პროკათოლიკურ განწყობის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, ხოლო მართლმადიდებელთა შეურიგებელი ფრთა იმედოვნებდა პაპი ჩაეთრიათ მწვავე და უაზრო კონფესიურ დიალოგში. პრორუსული და ანტირუსული ძალები იმედოვნებდნენ პაპის მკვეთრი განცხადებების ფონზე საკუთარი რეიტინგის აწევას, ან გენოციდის შესახებ ნებისმიერი სახის მოსაზრების გამოთქმას, ანტიქრისტიანული ძალები ალბათ იმედოვნებდნენ პაპ ფრანცისკეს, წინამორბედი ბენედიქტე XVI მსგავსად, რაიმე

რეაქციული ფრაზა წამოცდებოდა და მერე ამაზე მძაფრ განცხადებების გაკეთების საშუალება მიეცემოდათ.

კეთილისმყოფელთა თუ არაკეთილისმყოფელთა არც ერთი მოლოდინი არ გამართლდა. პაპი ფრანცისკე ბევრად უფრო ბრძენი, გამოცდილი და წინდახედულია და დიპლომატიური უზუსტობები და შეცდომები არ უშვებს. და არ უშვებს არა იმიტომ, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს, არამედ იმ მიზეზით, რომ თავისი უბრალოებით, სიმართლით და გულისხმიერების წყალობით, ყოველთვის სწორ აქცენტებს აკეთებს. პაპის ყოველი საჯარო გამოსვლა, ჰომილია თუ უბრალო რეპლიკა ყოველთვის არის ზუსტი, ღრმა შინაარსის, რომლის სიღრმეში ჩაწვდომა დაფიქრებასა და ანალიზს მოითხოვს. სამხრეთ კავკასიური ვიზიტისას, მისი გამოსვლები იყო ძალიან თბილი, კეთილგანწყობილი, თუმცა მათ მიღმა პრინციპული ტონი აშკარად შეინიშნება. ამ შემთხვევაში ქართული ანდაზა კარგ მთქმელსა და გამგონებზე ნამდვილად უპრიანია.

რაც შეეხება პაპ ფრანცისკეს დამოკიდებულებას და დაპირისპირებული მხარეების მიმართ, შეიძლება ამგვარად განვსაზღვროთ, რომ პაპი პოზიცია არ არის განსაჯოს მტყუან-მართალი კონფლიქტურ სიტუაციებში, ვინაიდან საფუძველი ყოველთვის არის რეგიონალური პირველობისათვის და ძალაუფლებისათვის ბრძოლა, რომელსაც ფრანცისკე ამაო პრეტენზიას უწოდებს.

წავიდა პაპი და დავრჩით ჩვენ ჩვენი პრობლემების პირისპირ, თუმცა ამ ვიზიტმა ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს კათოლიკეთა ცხოვრებაში, იმედია, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ქრისტიანული სულისკვეთების განმტკიცებას. ერთი რეალური შედეგი კი სახეზეა: ზოგიერთი პოლიტოლოგის სიტყვას თუ დავესესხებით, საქართველო, რომე-

ლიც ბოლო ხანს გაქრა საერთაშორისო რადარებიდან, პაპის ვიზიტის დროს მსოფლიო მედიის ყურადღების ეპიცენტრში აღმოჩნდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიათა შორის ურთიერთობებშიც კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად გამოიღებს კეთილ ნაყოფს; მხოლოდ ამისთვის ლოცვა, სიკეთისკენ სვლა, სასოება და სიყვარული უნდა მოვიმარჯვოთ. და გვახსოვდეს სვეტიცხოველში წარმოთქმული პაპის სიტყვები: „რაც გვაერთიანებს, უფრო ბევრია, ვიდრე ის, რაც გვაშორებს... განვმტკიცდეთ ყოველივე იმის ძიებაში, რაც დაგვაახლოებს, შეგვარიგებს და გაგვაერთიანებს”.

დასკვნის მაგივრად

ცნობილმა პუბლიცისტმა და ვატიკანის პოლიტიკის ექსპერტმა ანდრეა გალიარდურჩიმ, რომელიც თან ახლავდა პაპ ფრანცისკეს კავკასიურ ტურნეში, ამ ვიზიტს რობერტს ძემუკისის განმაურებული ფილმების „უკან მომავალში“ ასოციაციით უწოდა - „მოგზაურობა „უკან მომავალში“. მიგვაჩნია, რომ საინტერესო იქნება პაპის თანმხლები ექსპერტის მოსაზრებები კავკასიური ვიზიტის შესახებ.

ანდრეა გალიარდურჩი ოთხ მიზეზს გამოყოფს, რომელთა გათვალისწინებითაც პაპის კავკასიური ტურნე „უკან მომავალში“ მოგზაურობაა.

პაპის კავკასიურ ვიზიტში და ა. გალიარდურჩის ციტირებას თუ მოვახდენთ, „კავკასია, ეს არის ის მიწა, რეგიონი, სადაც ისტორია ითვლის არა საუკუნეებს, არამედ ათასწლეულებს. უძველესი ისტორიის მქონე აღმოსავლეთის ეს ქვეყნები შესაძლოა ახლო მომავალში კათოლიკური სამყაროსთვის გამოწვევად იქცეს“. „უკან მომავალში“ მოგზაურობის

პირველი მიზეზი, ა. გალიარდუჩის აზრით, უკავშირდება ეკუმენურ დიალოგს.

„სომხეთი და საქართველო უძველესი ქრისტიანული ტრადიციის მქონე ქვეყნებია. ორივე ეკლესიას აქვს ძლიერი, დამოუკიდებელი ისტორიული ფესვები. ორივე ავტოკეფალიური, სომხური სამოციქულო და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, წარმოადგენს ეკუმენური დიალოგისათვის უზარმაზარ გამოწვევას. სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ აირჩია ერთგვარი ჩაკეტილობის ფორმა, რომელსაც მისივე მიძღვერები მონოფიზიტობას უწოდებენ. გარდა იმისა, რომ დოქტრინალური საზღვრები მასსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის დარღვეულია, რჩება კიდევ ერთი გარემოება: ეს არის პეტრეს პრიმატი. მოციქულების - თადეოზისა და ბართლომეს მიერ დაფუძნებული სომხური სამოციქულო ეკლესია თავის კათოლიკოსს ისეთივე ავტორიტეტის მქონედ აღიარებს, როგორც პაპს აქვს. პაპის პრიმატი ყოველთვის რთულად გადასალახ ბარიერად რჩება ეკუმენურ დიალოგში”.

მიუხედავად ამისა, კათოლიკე ეკლესიის მხრიდან მრავალჯერ იყო გადადგმული შერიგების ნაბიჯები, დაწყებული იოანე პავლე მეორის 1995 წლის ენციკლიკიდან „*Ut Unum Sint*“, და 2007 წლის რავენას დოკუმენტით, შემდეგ უკვე 2016 წლის კიეტის დოკუმენტით გამოხატული. უკანასკნელი ორი დოკუმენტი მიღებულ იქნა კათოლიკურ-მართლმადიდებლური თეოლოგიური დიალოგის ერთობლივი კომიტეტის შეხვედრებზე, რომლებიც უკვე თოთხმეტჯერ გაიმართა (ყოველ ორ წელიწადში ერთი შეხვედრა). ბოლო შეხვედრა შედგა ერთი თვის წინ, კიეტში, რომელზეც მიღებული დოკუმენტი ეხება პაპის პრიმატსა და სინოდალურობას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ სცნო. ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მხრი-

დან არ ყოფილა დათმობა პაპის პრიმატის საკითხზე, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ისინი აღიარებენ ჭეშმარიტ რწმენას – მიუხედავად ამისა, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს დიალოგის ფორმით. საუბარი ძირითადად ფოკუსირებულია მარგინალურ საკითხებზე, რომლებსაც აქვთ ექსტრემალური შედეგები. მაგალითად: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მონაწილეობს სხვა რელიგიის ღვთისმსახურებაში, გარდა მართლმადიდებლურისა. ეს, თავის მხრივ, იწვევს არამართლმადიდებლების გადანათვლას. მაგალითად, თუ კათოლიკეს სურს დაქორწინდეს მართლმადიდებელზე, კათოლიკე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაინათლოს, ვინაიდან კათოლიკური ნათლობა არ არის მიჩნეული სრულფასოვან ნათლობად. ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ არაერთხელ დააყენა ეს საკითხი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს. იგი თვლის, რომ ის გარემოება, როცა კათოლიკური ნათლობა არ არის მიჩნეული სრულფასოვნად, ნიშნავს, თითქოს კათოლიკე არ იყოს ქრისტიანი, ვინაიდან ქრისტიანად ყოფნა სწორედ ნათლობიდან მომდინარეობს: მოუნათლავი პიროვნება, რომელსაც სწამს ქრისტე, არის კათაკმეველი (კატეხუმენი), სანამ ის მოინათლება. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ლოგიკით, პაპიც შეიძლება არ ჩავთვალოთ ქრისტიანად.

მეორე მიზეზი, თუ რატომ იყო კავკასიაში პაპის ვიზიტი მოგზაურობა „უკან მომავალში“. თეოლოგიური ჩაკეტილობა საქართველოში სათავეს ახლო წარსულში, საბჭოთა პერიოდიდან იღებს. საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, რუსეთში განათლებამიღებულმა მართლმადიდებელმა თეოლოგებმა დაიწყეს საქართველოში „ექსკლუზიური მართლმადიდებლობის“ დაფუძნება. ეს თეოლოგია შეაჩერა პატრიარქ ილია

II-ის კათოლიკურ სამყაროსთან დაახლოების მცდელობამ 1980 წელს; საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, იგი იყო პირველი ქართველი მართლმადიდებელი პატრიარქი, რომელიც ეწვია პაპს ვატიკანში.

ილია II-ის დიალოგის სურვილი დადასტურდა პაპის ამჟამინდელი ვიზიტის დროს, როდესაც პატრიარქმა უმასპინძლა პაპს. მან თავად გააცილა პაპი აეროპორტში, რაც საკმაოდ იშვიათობაა მისი მხრიდან. პატრიარქი არის საზოგადო პირი, რომელიც ქართველი ხალხის ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს და ამ ჟესტით მან მისცა მათ გარკვეული ნიშანი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრესრელიზიც, რომელიც საპატრიარქომ პაპის ვიზიტამდე გაავრცელა, გამამხნეველ ტონს შეიცავდა: საპატრიარქო კიდევ ერთხელ აცხადებდა, რომ მართლმადიდებლები არ მიიღებდნენ პაპის წირვაში მონაწილეობას, თუმცა, ამავე დროს, ემიჯნებოდნენ ზოგიერთი ულტრა-ტრადიციონალი მართლმადიდებლის მიერ გამართულ საპროტესტო აქციებს.

თუმცა ეს მართლმადიდებლური სამყარო, რომელიც რუსული თეოლოგიის დიდ გავლენას განიცდის, არის ის სამყარო, რომელთანაც წმ. საყდარმა უნდა იურთიერთოს. პატრიარქ ბართლომეს ქმედებები, რომელიც, როგორც მსოფლიო პატრიარქი, დაუღალავად მუშაობს, რათა იყოს ხიდი ქრისტიანულ კონფესიებს შორის, არ არის ერთადერთი ყურადსაღები ფაქტი მართლმადიდებლურ სამყაროში. ასევე, მხედველობაში მისაღებია რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც უდიდესი მართლმადიდებელი ეკლესიაა მსოფლიოში სიდიდის მიხედვით.

ანდრეა გალიარდუჩის აზრით არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება რომ „პაპ ფრანცისკეს შეხვედრა პატრიარქ კირილესთან არის წინგადადგმული ნაბიჯი, საიდანაც შეიძლება

რადაციის დაწყება. თუმცა, წმიდა საყდრის დათმობა აღმოსავლური წესის კათოლიკეების საკითხზე, რომელთაც მართლმადიდებლები მოიხსენიებენ როგორც უნიატებს, განსაკუთრებით უკრაინის შემთხვევაში, გარკვეულწილად სახიფათოა“. მოგვიანებით, პაპმა დააბალანსა ეს დათმობა უკრაინის მისამართით გაკეთებული განცხადებებით. რუსული მხარე ცდილობს, ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განიხილოს, რაც კარგად ჩანს რუსეთის საპატრიარქოს პრესრელიზში, რომელიც გამოიცა კიეტის შეხვედრის შემდეგ, სადაც იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს უკრაინის საკითხს. ეს პრობლემა, რომელიც არსებობს რუსეთის ეკლესიასა და უკრაინულ უნიატურ (ბერძნულ-კათოლიკურ) ეკლესიას შორის, უკვე საუკუნეებს ითვლის და გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ახალი ძალით ამოქმედდა.

იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ აღმოსავლურ-მართლმადიდებლური სამყარო თავადაა დაყოფილი ადგილობრივ ავტოკეფალურ ეკლესიებად, ასევე აღიარების მომლოდინე ეკლესიებად, მაგ., უკრაინის, რამდენად რეალურია ეკლესიათშორისი, ეკუმენური დიალოგი სხვა კონფესიებს შორის? ა. გალიარდინის აზრით ამ მომენტიისათვის, ეს შესაძლებელია მხოლოდ პრაგმატულ საკითხებზე საუბრით და **ეს არის მესამე მიზეზი**, რომელიც ახასიათებს პაპ ფრანცისკეს ვიზიტს კავკასიაში, როგორც მოგზაურობას „უკან მომავალში“. თავისთავად ცხადია, რომ ეს დოქტრინალური საკითხები ვერ გადაწყდება მოკლე პერიოდში, თუმცა, შესაძლებელია, ქრისტიანულმა ეკლესიებმა ითანამშრომლონ ოჯახის, სიცოცხლის და ქველმოქმედების საკითხების ირგვლივ.

სწორედ ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევს საქველმოქმედო საქმიანობას. შემთხვევითი არაა, რომ პაპმა ფრანცის-

კემ, საბერძნეთში ვიზიტისას პატრიარქ ბართლომესთან და საბერძნეთის კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად მონაზულა კუნძულ ლესბოსზე მდებარე ლტოლვილთა ბანაკი. შემთხვევით არ აურჩევიათ პაპ ფრანცისკესა და პატრიარქ კირილეს ერთობლივი დეკლარაციის ცენტრალურ თემად - ოჯახების დაცვა და სიცოცხლე. ეს საკითხები არსებითია ეკუმენური დიალოგისათვის, რომლებიც განმტკიცებულია სხვა მოვლენებით. ზუსტად პაპის ვიზიტის შემდეგ, ანგლიკანური ეკლესიის პირველი პირი, ჯასტინ ველბი ეწვია რომს და მონაწილეობა მიიღო პაპის მიერ წმ.გრიგორის ბაზილიკაში აღვლენილ მწუხრის ლოცვაში. პაპმა და ანგლიკანების პრიმასმა გამოსცეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც არ ძალავს დოქტრინალურ განსხვავებებს, თუმცა ხაზს უსვამს „ერთად ლოცვის“ აუცილებლობას. ლოცვა და ვალდებულება ეს არის პაპ ფრანცისკეს ორი გასაღები ეკუმენიზმისათვის.

ამ ფუნდამენტური საკითხების ირგვლივ გაერთიანებულ ყველა ქრისტიანულ კონფესიას შეუძლია დაძლიოს თანამედროვეობის დიდი საკითხები, ევროპული გამოწვევებით დაწყებული. არსებითია თემა, თითქოს ევროპა მოსწყდა თავის ქრისტიანულ ფესვებს, თითქოს იდეოლოგიები დაიბადა ევროპის გარეთ და მოგვიანებით განვითარდა სხვა კონტინენტებზე. რაც არ უნდა ითქვას, ევროპა კვლავ რჩება ცივილიზაციის აკვნად.

ევროპის აღმოსავლეთიდან, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, მომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ეკლესიამ უნდა დაძლიოს: ეს არის ისლამი. ა. გალიარდუჩის აზრით, დიალოგი ისლამთან, ეს არის **მეოთხე მიზეზი**, თუ რატომ წარმოადგენს პაპ ფრანცისკეს ვიზიტი კავკასიაში მომავლის ყველა გამოწვევას, ერთად აღებულს.

აზერბაიჯანი არის მჭიდროდ დასახლებული შიიტური მუსლიმური ქვეყანა, სადაც კათოლიკეთა რიცხვი რამდენიმე ასეულია. აზერბაიჯანი, ასევე, ცნობილია რელიგიური თავისუფლების შეზღუდვებით, განსაკუთრებით სუნიტი ისლამის წარმომადგენლების მიმართ. თუმცა აქვე ვხვდებით ინტენსიურ დიალოგს კათოლიკე უმცირესობასთან, რომელიც ვატიკანის დიპლომატიის დამსახურებაა.

ცხადია, წმ. საყდარი აწარმოებს ღია დიალოგს ისლამთან, რაც კარგად ჩანს ურთიერთობების ხელახლა წამოწყებაში ქაიროს ალ-აჟარის მეჩეთთან, რომელიც, ამავდროულად, არის სუნიტური ისლამის ბასტიონი. სუნიტური ისლამი ამ ბოლო დროს საინტერესოდ ვითარდება: სუნნას წევრები, გროზნოში გამართულ შეხვედრაზე, იყვნენ პირველები ისლამურ სამყაროში, რომლებმაც დაადასტურეს მათი სრულიად გამიჯვნა ვაჰაბისტური ისლამისაგან, რომლის მიმდევრებად ძირითადად ექსტრემისტები გვხვდებიან.¹

ასე რომ, იტალიელი ექსპერტის აზრით და მის მოსაზრებას სხვა ანალიტიკოსებიც იზიარებენ, პაპ ფრანცისკეს 2016 წლის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში სრულიადაც არ არის უბრალო რეგიონალურ-კონფესიური მასშტაბის მოვლენა. ეს ვიზიტი მისგან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგებით, რომლებიც როგორც ახლო, ისევე შორეულ პერსპექტივაში შეგვახსენებენ თავს. კათოლიკე ეკლესიის სამომავლო პრიორიტეტები, რაც ეკლესიისგან დამოუკიდებლად თავად ცხოვრებამ მოიტანა, დადებით შედეგებს მოუტანენ საზოგადოებას, რომელიც ახალ-ახალი პრობლემების წინაშე პირისპირ რჩება და გამოსავალს არც თუ იშვიათად ისევ ეკლესიისგან ელის.

¹ Andrea Galiarduci. /www.mondayvaticano.com./ თარგმნა შორენა პარუნაშვილმა

ისლამთან, ქრისტიანულ კონფესიებთან დიალოგი, ეკლესიათშორისი ურთიერთობები იყო და კვლავაც დარჩება მთავარი პრიორიტეტები წმინდა საყდრისათვის 21-ე საუკუნეში - ასკვნის ანდრეა გალიარდუჩი და მისი ეს მოსაზრებები ნამდვილად ასახავენ იმ რეალობასა და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას წმინდა საყდარი, კათოლიკე ეკლესია და, შესაძლოა, მთელი ქრისტიანული სამყაროც.

Nugzar Bardavelidze

Georgien Technical University

**FOOTSTEPS OF HISTORICAL VISIT
THE GOAL AND RESULTS OF POPE FRANCIS'S
VISIT OF TO THE SOUTH CAUCASUS
RESUME**

During four years of patronage, Pope Francis pursues very active and important steps with its international and inter-state work and has clearly demonstrated its policy objectives. In this large-scale activity, it may be possible to see the papal "posteo-political" vectors.

On February 13, 2016, at the Havana airport, meeting with Patriarch Kirill of Moscow and all Russia was baptized as a Millennium Event. Also it was very important the visit of the Pope in two countries of South Caucasus in the summer-autumn of 2016. The main task of the visit was to visit the Azerbaijan and Armenia peacekeeping mission to Karabakh and visit the Catholic community in all three countries of the South Caucasus.

During this visit, the main message of the Pope in the whole of Georgia and the whole South Caucasus was peace and

as well as support for the small Catholic parish. Another positive result of Pope Francis's visit can also be considered the fact that these days the media has attracted the attention of the entire world towards the South Caucasus.

**თელო სახოკია - „ქართლიდან დაწყებული ქართული საქმე“,
პედაგოგიური მოღვაწეობა**

საქართველოს ისტორიაში თელო სახოკია ცნობილია, როგორც - ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი. სამეცნიერო, საზოგადოებრივ პოლიტიკური საქმიანობის გარდა მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ თელო სახოკია სწავლას აგრძელებს საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, ჟენევაში. ოჯახური პირობების, კერძოდ, მამის გარდაცვალების გამო, 1887 წელს ის ბრუნდება საქართველოში, მაგრამ მისი სურვილი სწავლის მიღებისა არ განელებულა, პირიქით, საქართველოში, კერძოდ, ქალაქ სოხუმში, ჩამოსული ყოველ ღონეს ხმარობს და ეძებს სახსრებს, რათა სწავლა გააგრძელოს.

ამ მიზნით თელო სახოკია ისევ ბრუნდება შვეიცარიაში. აქედან გადადის საფრანგეთში და სწავლას აგრძელებს სორბონის უნივერსიტეტში საისტორიო ნაწილზე, მაგრამ სასწავლო კურსსაც კი ვერ ამთავრებს და 1889 წელს ბრუნდება საქართველოში. მის შესახებ ის წერს: „სამწუხაროდ და საკალალოდ ჩემდა, ველარც პარიზს შევრჩი დიდხანს“.¹

მამასადამე, თელო სახოკიას პირველი ორი გამგზავრება საზღვარგარეთ - ჟენევასა და საფრანგეთში უშედეგო აღმოჩნ-

¹ თელო სახოკია. ავტობიოგრაფია. - იხ.: თელო სახოკია. კრებული თბილისი, 1969, გვ. 220.

ნდა. მიუხედავად ამისა, სამი წელი უცხოეთში მის ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია, მან საკმაოდ კარგად ისწავლა ფრანგული ენა და საქართველოში დაბრუნებული ცდილობს თავისი ცოდნა გამოიყენოს და გააგრძელოს ის საქმე, რასაც სამშობლო ქვეყნის ინტერესების დაცვა მოითხოვს.

1889-დან 1900 წლამდე, სანამ თელო სახოკიას სამშობლოში ყოფნას საფრთხე არ შეუქმნია მთავრობისათვის, ის რჩება საქართველოში და საქმიანობას ეწევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ქართლის სოფლებში, დედაქალაქში, განსაკუთრებით კი - სოხუმში. მნიშვნელოვანი იყო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. ამჟღავნებდა რუსი მოხელეების უკანონო საქციელს და მათ თარეშს, ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორული და კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელებას.

თელო სახოკია აფხაზეთში სათავეში უდგება „ქართული პარტიის“ სახელით ცნობილ პოლიტიკურ მოძრაობას. ის წერს: „ეს წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმ ხანად, როცა მართლაც, რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად, თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელი ახალგაზრდული აღფრთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსეთის იმპერიალიზმის მიერ ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხის გამარუსებელი პოლიტიკის გატარების საქმეს“.¹

საყურადღებოა, თუ რა მდგომარეობა იყო საქართველოში თელო სახოკიას პედაგოგიური მუშაობის დაწყებამდე სწავლა-აღზრდის მხრივ. აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში ამ საქმეს ერთადერთი ეგრეთწოდებული, „მთიელთა სკოლა“, ახორციელებდა, რომელიც აფხაზეთის მკვიდრთა გარუსებას ემსახურებოდა. თელო სახოკიას ვრცლად აქვს აღწერილი

¹ იქვე. გვ. 223.

სკოლის შესახებ, იქ შექმნილი მდგომარეობა თუ როგორ გავლენას ახდენდა ახალგაზრდების აღზრდაზე. მან უშუალოდ საკუთარ თავზე გამოსცადა ცოტა ხნით აფხაზეთში „მთიელთა სკოლის“ ბედი. მისი ბიოგრაფიიდან ვიკებთ: „ქართულის ხსენებაც-კი არა ყოფილა, და ვერც-კი წარმოედგინათ, თუ არა რუსულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყოს“.¹

ასეთივე მდგომარეობაა სამეგრელოში, მარტვილის სასწავლებელში, სადაც აგრძელებს თედო სახოკია სწავლას. ის იხსენებს; „იმ ტანჯვას, რომელსაც მაშინ „სწავლას“ ეძახდნენ და რომელიც გვიხშობდა ყოველგვარს ადამიანურს სახიერებასა და გონებას, გვაძულებდა საერთოდ სწავლას, გვაძულებდა სასწავლებელს, საცა ყველა საგანს რუსულის საშუალებით გვასწავლიდნენ, ე.ი. უცნობი უცნობის საშუალებით შეგვეთვისებინა“.²

თედო სახოკია, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას. მასწავლებლად გადადის გორის მაზრაში, სოფელ ტირძნისში, იქაურ სოფლის სამრევლო სკოლაში. ის, აგრეთვე, თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლის შვილების სასწავლებლად ჩადიოდა გორში. ის წერს: „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოვეყვი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულს ენას ძალიან ვეტანებოდი, მეგონა სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა, ასე თუ ისე, ვიცი-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართულების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი მუშაომა მჭიროდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა. პირდაპირ აღმაფრ-

¹ თედო სახოკია. ავტობიოგრაფია. – იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969, გვ. 204.

² იქვე. გვ. 210.

თოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვიერებამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... აქვე ჩაეყარა საძირკველი ჩემს მიერ ქართულ ხატოვან თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზათა შეკრების საქმეს. ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამეცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად.¹

ერთწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა და აღმზრდელიობითი საქმიანობა ძალიან ნაყოფიერი საწყისი აღმოჩნდა მისი მომავალი სამსახურის საწყისად ქართველი ერის წინაშე.

ამავე პერიოდში დაიწყო თელო სახოკიამ თავისი საგაზეთო პუბლიცისტური წერილებისა თუ საეთნოგრაფიო, საისტორიო ხალხური წეს-ჩვეულებების ჩაწერა, შეგროვება და გამოქვეყნება.

თელო სახოკიას ნაწერების ბიბლიოგრაფიის საწყისი ტირძნისიდან გამოგზავნილი კორექსონდენციაა გაზეთ „ივერიისადმი“. წერილი ეხება მოსახლეობის ჩივილს სოფელ ტირძნისში მოუსავლიანობის გამო გადასახადების გადაუხდელობის სირთულეს. ავტორი ამასთანავე საუბრობს ახლად გახსნილ სკოლაზე და მის მნიშვნელობაზე. წერილში კკითხულობთ: „ეს მესამე წელია, რაც სკოლა არსებობს, ამ სამვილიშვილო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე სულხანიშვილს, რომელმაც სოფელს უსასყიდლოდ დაუთმო სასკოლო ადგილი და სკოლის მასალის უმეტესი ნაწილი.... დღეს უკვე 40-მდე შეგირდი დადის ამ სასწავლებელში და მათ შორის 5 ქალი. იმათ მალხაზსა და ცქრიალა პირისაზე რომ უყურებს კაცი, გული უმზიარულდება“.²

¹ იქვე გვ. 220.

² თელო სახოკია. ტირძნისი (გორის მაზრა) – მოსავალი, სკოლა და მისი მზრუნველი. – გაზ. „ივერია“, 1889, №267.

ის ამავე პერიოდში პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად იწყებს ხალხური ზეპირსიტყვიერების, ზღაპრებისა თუ სხვა მასალების შეგროვებას, აქვეყნებს მასალებს იმდროინდელ გაზეთ „ივერისში“, მათ შორისაა, „ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ასევე ქართლში ტირძნისში აქვს ჩაწერილი.¹

სოფელში პედაგოგიური მოღვაწეობა თედო სახოკიას საშუალებას აძლევდა, დაახლოებოდა ხალხს, ყოფილიყო ხალხის სამსახურში. გაცნობოდა იმ ადამიანებს, რომლებმაც ქართველი ერის, ქართული სულის გადარჩენა შეძლეს გარუსება-გადაგვარებისაგან, თავდაუზოგავად იბრძოდნენ ქართული ენის გადარჩენისათვის. მათთან ურთიერთობამ ხელი შეუწყო მისი შემოქმედების განვითარებას.

ასეთ ადამიანების რიგებში აღმოჩნდა ნიკო ლომოური, ქართველ ხალხში ცნობილი ხალხოსანი მწერალი. თედოს დიდად ეამაყებოდა ასეთი ადამიანის გვერით ყოფნა და საგანგებოდაც აქვს აღნიშნული თავის მოგონებებში „ჩემი საუკუნის ადამიანები“: „გაცნობისას მომხიბლა ნიკო ლომოურმა, რომელიც ესოდენ გამოირჩეოდა მის გარშემო მყოფ ადამიანთაგან. სიტყვა „მომხიბლა“ დიახაც მეცოტავეა იმ გრძნობასთან, რაც მე განმაცდევინა მისმა პირველმა გაცნობამ. ტყვედმქმნა მისმა ფაქიზმა გარეგნობამ, მისმა ალერსიანობამ, მისმა ტკბილმა, მუსიკალურმა ქართულმა ლაპარაკმა. ჩემს სიცოცხლეში, რაც მე ხალხი მინახავს როგორც ჩვენში ისე უცხოეთის ქვეყნებში, ვერავინ დამედარებინა ნიკო ლომოურისათვის, ის რომ გელაპარაკებოდათ, იტყოდით - ტკბილ რამე მუსიკას ისმენო. წარმოვიდგენიათ, რარიგ მენატრებოდა ამ ადამიანის ნახვა და მასთან ლაპარაკი! მეც, როგორც მოვი-

¹ თედო სახოკია. ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“. – გაზ. „ივერია“, 1890, №7, 8.

ხელთებდი დროს, სოფლიდან გორში ჩამოვდიოდი მის სანახავად და მასთან საბაასოდ”.¹

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება თელო სახოკიას პირადი ფონდი. აქვე არის თელო სახოკიასა და ნიკო ლომოურს შორის მიწერილი წერილები. საიდანაც შეიძლება იმის თქმაც, თუ როგორი კეთილმეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა ამ ორ ადამიანს შორის. ამონარიდი წერილიდან: „თელო! გუშინ მივიღე შენი წერილი ვასრულებ შენს თხოვნას! მანდეთ მომავალი მგზავრი შემხვდა და ამას ვატან რუსულ გაზეთს,... მართლაც მეტად საინტერესო იქნება მაგ მხარის მცხოვრებთა გაცნობა, მათი აწმყოსა და წარსულის შესწავლა... თქვენი ძმა ნ. ლომოური”.²

გორში ნიკო ლომოურის სკოლის რიგებში იყვნენ: - ძმები რაზიკაშვილები, აგრეთვე საქალებო პროგიმნაზიიდან ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი, ამ სკოლის წარმომადგენელთა შორის შეიძლება დავსახელოთ ეთნოგრაფი ნიკო ჯანაშია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიოგრაფიაში. თელო სახოკია მას სოხუმიდან იცნობდა და ერთგვარად გაიხარა კიდეც მისი გორის საოსტატო სასწავლებელში მოწყობით, ვინაიდან კიდეც ერთი ქართველი, რომელიც გადაურჩა აშკარად სამუდამო გარუსებას, ქართველთა წრეში მოხვდა.

თელო სახოკია მხოლოდ ერთი წელი დარჩა ქართლში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისთვის ამ ერთწლიან გარჯას უშედეგოდ არ ჩაუვლია, ეს ერთი წელი გახდა საწყისი მისი შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობისა. ესე იგი 1890 წლის

¹ თელო სახოკია. ნიკო ლომოური. — იხ.: თელო სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი, 1984, გვ. 81.

² გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თელო სახოკიას ფონდი. №11166.

დეკემბრისათვის მან უკვე თავი დაანება ტირძნისს, მისი მოლვაწობის საწყისი, პედაგოგიური საქმიანობა, ძალიან დიდი ხნით გადაიდო.

„თედო სახოკია თავისი ცხოვრების ამ ერთ მონაკვეთს დიდად აფასებდა. ხუმრობით არაერთგზის უთქვამს, - იგონებს მისი შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე, - „ქართლში უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე ვასწავლეო“. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმებისა და ანდაზების შეგროვებას. ასე რომ, სამეგრელოში დაბადებულ-გაზრდილის წიგნით ნასწავლმა ქართულმა თანდათან ქართლური მეტყველების ელფერი შეიძინა და ჭაბუკობიდან მოკიდებული სალიტერატურო ქართულის ეს საყრდენი კილო მუდამ ბურჯად ჰქონდა შეყენებული მის მართლაც მდიდარსა და წვნიან ენას, რეზო ინანიშვილი „შამპანურივით შუშხუნას“, რომ უწოდებდა. ქართლურივე ქართულით დაზარდა პაპამ ძიმაგადიებისაგან მობრუნებული და მეგრულად ამეტყველებული ადრე დაობლებული შვილები (ე.ი. დედაჩემი და ბიძაჩემი) შემდგომ კი – მეც”¹.

ქართლში მოლვაწობაზე საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული ლეონარდ ჯულაბაშვილს 1968 წელს გორის გამოცემულ გაზეთში „გამარჯვება“. წერილის ავტორი რომელიც თედო სახოკიას ქართლში ყოფნის პერიოდს ეხმიანება. გაზეთში ვკითხულობთ: „თედო სახოკიას სამწერლო და საზოგადოებრივ საწყისებზე დავაჟკაცება და მომწიფებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართლმა და ქალაქმა გორმა.... გორში ფეხადგმული ახალგაზრდა მწერალი დაუახლოვდა

¹ შუქია აფრიდონიძე, მოგონება მოუგონელი. – ჟურნალი „მწიგნობარი“, 1988, №98, გვ. 33-49.

ელენე კოროშიძე. ნათელი ადამიანები. – გაზ. „განათლება“, 1998, №11, გვ. 10.

ნიჭიერ მკვიდრს, შემდგომში ღვაწლმოსილ აღმზრდელს - გრიგოლ გლურჯიძეს და მას სულიერად დაუკავშირდა ნიკო ლომოურის წახალისებით და დაამყარა კავშირი ტირძნისის, ძევერის, ბერშუეთის და სხვ. გლეხებთან.... გონიერ სოფლებს გადმოაქვს ზეპირსიტყვიერების მარგალიტები: ანდაზები, იგავები, გამოცანები, ხატოვანი თქმები და სხვ.

წერილის ავტორს მოჰყავს თედო სახოკიას სიტყვები: „ქართლის იერმა დამკრა და ჩემი ქვეყნის ამ ბრძენმა მხარემ შემეძევანა სიტყვიერების წიაღშიო“. ის ისევ განაგრძობს: დიმიტრი ტატიშვილი, რაჟდენ მაისურაძე, სიმონ გოგლიჩიძე, სერგო კარიჭაშვილი, სახეები, რომელთანაც ერთად, ეცნობოდა ქართლის ამ შუაგულ მხარეს,... ხშირად სწვევია ხელთუბნელებს ბალ-ვენახებში და სულიერი სიმშვიდე უგვრძნია, შეუსვამს ხელთუბნის საამო ანკარა წყალი, ზაფხულის სიცხისაგან გახურებული შუბლი გაუგრძობია. ხელთუბნელების წეს-ადათებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ კვირა დღეებში და საეკლესიო დღესასწაულებზე მოუსმენია: შაირები, სამეტყველო ჯირითები, და ა.შ. ასეთი რწმენისა იყო ჩვენს მხარეზე და ქალაქ გორზე ქართლის მოსიყვარულე თედო სახოკია“.¹

პედაგოგიური საქმიანობა და მისთვის ზრუნვა თედო სახოკიას არ შეუწყვეტია. ყველანაირად ეხმარებოდა, ეხმანებოდა სასკოლო პრობლემებს, განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც თვითონ ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი. გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს, ერთ-ერთი ასეთი წერილი სოხუმიდან ეხება სამრევლო სკოლების ზედამხედველის ჩამოსვლას. 1898 წელს პეტერბურგიდან შემიაკინის მიერ სამასწავლებლო რჩევების შესახებ საგანგებო სხდომის მოწვევას: „სამ-

¹ ლეონარდ ჯულაბაშვილი. თედო სახოკია - ქართლისა და გორის მოამაგე. - გაზ. „გამარჯვება“, გორი, 1968. 16 მარტი.

რევლო საეკლესიო სკოლებში სწავლა, სამშობლო ენის და-
უხმარებლად სწარმოებს, ის აზრი, რომ უცხო ტომთა შვი-
ლების სწავლების დროს, მათი სამშობლო ენის უყურადღე-
ბოდ დატოვება ნიშნავს პედაგოგის ელემენტარულ მოთხოვ-
ნილებათა წინააღმდეგ მოქმედებას. საეკლესიო გალობის
მტკიცე ნიადაგზე დაყენება და სოფლებში სასკოლო რჩევის
დაარსებაზე, რომელიც უნდა შესდგებოდეს მღვდლისა, მას-
წავლებლისა, მამასახლისისა და ორი საპატო მოქალაქისა-
გან“.¹

ემიგრაციაში ყოფნის (1909-1916 წწ.) დროინდელ სა-
ინტერესო წერილებს ვხვდებით საგაზეთო კორესპონდენციე-
ბის სახით, გამოგზავილს ქართველი მკითხველისათვის. ერთ-
ერთი ასეთი სამეცნიერო წერილი არის გამოგავნილი პარი-
ზიდან, რომელშიც საუბარია პედაგოგიკაში სასწავლო პრო-
ცესებზე, არასწორი სასწავლო პროცესის შესახებ, რაც უა-
რყოფით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. წერილებში ასა-
ხულია მონაცემები საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის
სკოლების შესახებ. ერთ-ერთ გაზეთში ვკითხულობთ: „თანა-
მედროვე სკოლა, როგორც მიზეზი სიბეცისა, კუზიანობისა.
მავნებლობა ირიბად წერისა, ქართულ (პირდაპირ) წერის
უპირატესობაზე; სიბეცე – განათლებულ ქვეყნებში, იაპონი-
აში ყოველ ას ბავშვში 14 წლის ასაკში ვაჟებში არის 32,
ქალებში კი – 37. სიბეცესთან ერთად, საფრანგეთში - ას
მოსწავლეში 60 კუზიანია! გერმანიაში ასიდან ხერხემალი
გამრუდებული აქვს 68-ს. სიბეცე და სქოლიოზი თანამედრო-
ვე სკოლის ღვიძლი შვილია“².

¹ თედო სახოკია. სამრევლო სკოლების უმთავრესი ზედამხედვე-
ლის მობრძანება. – გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, №545. გვ. 2.

² თედო სახოკია. სამეცნიერო საუბარი. თანამედროვე სკოლა. –
გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2740.

ქართულად წერისას ქართული ხასიათის თავისებურებაზე საუბრისას თედო სახოკია აღნიშნავს: „თუ გინდათ ქართული წერის დროს ნამდვილი ქართული ხასიათი დაიცვათ, იძულებული იქმნებით, რვეული თუ ქალაღი პირდაპირ დასდოთ, ნაწერს თვალი პირდაპირ მიაშტეროთ, კისერი და თავი სწორად გეჭიროთ, წელში სრულებით თავისუფლად იგრძნოთ თავი და არ განიცადოთ ის ტანჯვა, რომელსაც ირიბად წერის დროს განიცდით ხოლმე“.¹ აქ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს ქართულად წერისას რუსული წერისთვის დამახასიათებელი ჩვევები. ის აღნიშნავს, რომ სკოლებში ქართულად წერას ძველებურის (სწორე) წერით ასწავლიდნენ და ნაწერი ბეჭდურისაგან თითქმის არ განირჩეოდა, მაგრამ რაკი რუსულ წერას უფრო მეტ დროს ანდომებდნენ, რუსულის გავლენას დაემორჩილა.

ერთ-ერთ წერილში ის საუბრობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის „ქართული წერის დედანი“. მის წერილში კვითხულობთ: „ეს ძველებური ხასიათი ქართულის წერას სრულებით დაეკარგებოდა, რომ ამ საქმეს არ მიშველებოდა ჩვენი სახელოვანი პედაგოგი და მამულიშვილი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი. ის სამსახური, რა სამსახურსაც ბ-ნი გოგებაშვილი ჩვენს მოზარდ თაობას უწევს. მოსწავლეს არა მარტო სწორ გზას ასწავლიდა, სწორედ აჭვრინებდა სხეულს წერის დროს“.²

პედაგოგიურ მოღვაწეობაზე საუბრისას აღსანიშნავია თედო სახოკიას წვლილი ქართული ენის სიწმინდის დაცვაში. ამ მხრივ, საყურადღებოა 1911 წელს „სახალხო გაზეთ-

¹ იქვე.

² თედო სახოკია. სამეცნიერო საუბარი. თანამედროვე სკოლა. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2740.

ში“ დაბეჭდილი ფელეტონების სერია, ქართული ენა (თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა). მთელ რიგ შემთხვევაში დღესაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული. მათში წამოჭრილია ბევრი საგულისხმო საკითხი და ჯეროვანი ღონისძიებაც არის დასახული ბარბარიზმებისა თუ სხვადასხვა საფრთხისაგან ქართული ენის დასაცავად. ეს ის პერიოდი იყო, როცა ცარიზმი წაშლას უქადდა ადგილობრივ ენასა და ნაციონალურ ერთეულებს.

თედო სახოკია, ამჩნევდა რეაქციის მძვინვარების პირობებში ქართული ენის შევიწროებას, მის დაცემასა და შერყვნას. ის დასახელებულ ნაშრომში აღნიშნავს: „დევნილია ქართული ენა სკოლიდან, დევნილია საზოგადო დაწესებულებებიდან... მწერლობა და თეატრილა შეგვრჩა.... ენა გასაჭირშია, რაკი ენა მახინჯდება, რაკი ჩვენი აზრის გამოსახვატი იარაღი დაჩლუნგდება, გაჰქრება თვით აზროვნებაც, გაჰქრება თვით ამ ენაზე მოლაპარაკე ქართველობაც: პირველი რომ მოისპობა, მეორესაც ბოლო მოელება. ერი უენოდ და ენა უეროდ არ გაგონილა“... თედო საყვედურებდა იმ პერიოდის, ე.ი. 1911 წლის გაზეთებსა და მათს რედაქტორებს, რომ ისინი მარტო ერთი მიმართულებით (ენის სკოლებიდან და დაწესებულებებიდან განდევნის მიმართულებით) ამახვილებდნენ ყურადღებას და ენის დაცვის სადარაჯოზე არ იდგნენ: ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხისათვის ნაკლებს ზრუნავდნენ. „სანამ გაზეთი „ივერია“ გვქონდა - წერდა იგი, - ჩვენი ენა ასეთ საფრთხეში არა ყოფილა. ილია ჭავჭავაძის ორგანო ჩვენში, სხვათა შორის, ქართული ენის სკოლაც იყო... ახლა აი უმეტესი ნაწილი კალმოსანთა ისე წერს, როგორც მოეგუნება... თავს არავინ იცხვლებს თავისი ნათქვამი თუ ნაწერი კანონს რასმე დაუმორჩილოს... ისე გავკანიერდით, რომ უკანონობას კანონიერებად ვასაღებთ, ვითომ საკუთარ კანონსა

ექმნით. ეგრედ ხელს ვუწყობთ სრული ანარქია დავამყაროთ ქართულს ლაპარაკსა და წერაში”¹.

თედო სახოკია, როგორც პედაგოგი, ქართული პედაგოგიკის მამამთავრის - იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის კვალზე იყო შემდგარი. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ცნობილი დებულების - დედაენაზე სწავლის დაწყება - მისთვის შეუცვლელი კანონი იყო. თედო სახოკიას შვილიშვილი ზემოალწერიელ თავის მოგონებაში იხსენებს, რომ სკოლის ასაკამდე არათუ რომელიმე უცხო ენა დაუწყებინებიათ მისთვის, არამედ არაქართველი მეზობლებისთვისაც კი უთხოვია, ბატონ თედოს, რომ მხოლოდ ქართულად ელაპარაკათ მასთან, მაგრამ სკოლაში რომ შევიდა და ქართულ წერა-კითხვაში უკვე კარგად იყო გავარჯიშებული, შემდეგ ეთხოვათ, მათ რუსულში გაეტეხინებინათ ენა.

თედო სახოკია ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა 1916 წელს. 1916 წლიდან 1924 წლამდე პედაგოგიურ მუშაობას ეწევა, ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში – ფრანგული ენის მასწავლებლად, შემდგომ მე-8 გიმნაზიაში. ცნობა თედო სახოკიას მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისადმი ფრანგული ენის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ დაცულია კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ცენტრში თედო სახოკიას პირად ფონდში. იქვეა, აგრეთვე, დაცული საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული დანიშვნის ცნობა, 1917 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული. დოკუმენტის შინაარსი ასეთია: „თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას თეოდოტი ტიმოთეს ძის სახოკიას თხოვნა. „ამით პატივი მაქვს ვსთხოვო მმართველობას - ჩამრიცხოს ფრანგული ენის მასწავლებ-

¹ თედო სახოკია. ქართული ენა (თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა). გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, №339-348.

ლად ხსენებულ სემინარიაში, მისწავლია ტფილისის სასულიერო სემინარიაში - გასული, 1888 წლის მეორე კლასიდან; მოწმობა სემინარიაში სწავლისა დაკარგული მაქვს.

1904 წელს დავამთავრე სწავლა პარიზის საანთროპოლოგიო სკოლაში (უმაღლესი სასწავლებელია). სამწუხაროდ აქაური მოწმობაც დაკარგული მაქვს. შემდგომ წერილში ჩამოთვლილი აქვს გამოცემული და დაწერილი წიგნები და აღნიშნავს, რომ არის პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოების კორესპონდენტი. 1917 წლის ღვინობისთვის 25-ს. თ. სახოკია. ამ თხოვნას აქვს ხელმოწერა ივანე ბერიტაშვილი”¹

სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად მუშაობის წლებში თედო სახოკია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში აქტიურადაა ჩართული, არის საკათალიკოსო საბჭოს წევრი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება 1917 წლის 10 მარტს შედგა სინოდიში. სასულიერო პირების გარდა საერო პირებიც იყვნენ მოწვეული საზოგადოების, მათ შორის, იყო თედო სახოკია.

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თედო სახოკიას პირად არქივში, დაცულია ცნობები პედაგოგიური მუშაობის შესახებ. აქ არის სწავლისა და სწავლების მიმდინარეობის შესახებ, თედოს მიერ შედგენილი პროგრამები, მოსწავლეთა ნამუშევრები, აგრეთვე, პედაგოგიური საბჭოს დადგენილების ოქმები, სასწავლებელში ახალი სასწავლო წლის დაწყება-დამთავრებისას გაცემული ცნობები, შევებულების ფურცლები, ამასთან ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ხელახლა დანიშვნის ცნობები და ა. შ.²

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი №8.

² იქვე. №11. №20. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი №11. №20.

ამ ცნობებს თან ერთვის აგრეთვე პირადი განცხადება თედო სახოკიას სამსახურიდან ნებაყოფლობით განთავისუფლების შესახებ: „ტფილისის მე-3 ტექნიკუმის გამგის სეით იაშვილის მიერ გაცემულ მოწმობა-დახასიათებაში მასწავლებელ თედო სახოკიას სახელზე აღნიშნულია, რომ მასწავლებლობას თავს ანებებს თავისი თხოვნით. 1923 წ. 2 ოქტომბერი“¹

მოწმობა გაცემული სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ და დახურვის გამო უმუშევარია 1924 წლიდან, ცნობა გაცემულია 1926 წლის 21 იანვარს.²

თედო სახოკია თავისი ცხოვრების პირველი ნახევარი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ამის გამოხატულებაა მისი ცხოვრება (რამდენიმე პატიმრობა, ციმბირიდან გაქცევა, ემიგრაციის წლები). რუსეთის საიმპერატორო მთავრობის მიერ ნებართვის გაცემა და სამშობლოში დაბრუნება, რომლის შემდეგაც თედო აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში - იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ჩართული იყო პარტიულ (რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია) საქმიანობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ის სხვა საქმიანობასთან ერთად იწყებს პედაგოგიური მოღვაწეობას. საქართველოს გასაბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შედარებით უცნობია მისი პოლიტიკური საქმიანობა. ეს პერიოდი ემთხვევა თედოს ნებაყოფლობით განთავისუფლებას პედაგოგიური საქმიანობისაგან.

თედო სახოკია „ავტობიოგრაფიაში“ მოკლედ აღნიშნავს „უცხოეთში დავრჩი ემიგრანტად, სანამ ნიკოლოზის ტახტს საბოლოოდ არ გამოეცალა ლიბო ქვეშიდან. 1916 წელს, სა-

¹ იქვე. №21.

² იქვე. №22.

მშობლოში დავბრუნდი, ერთ ხანს ვიყავ ტფილისის სასული-
ერო სემინარიაში ფრანგულის მასწავლებლად. მერე მე-VIII
გიმნაზიაში (სემინარია და ქართული გიმნაზია ერთად შეერ-
თებული) ქართულისა და ფრანგულის მასწავლებლად ვიდრე
1924 წლამდე. 1924 წელს პედაგოგობას თავი დავანებე და
მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურა გავიხადე არსებობისა
და შემოსავლის წყაროდ“.¹ ე.ი. თედო სახოკია სიცოცხლის
ბოლომდე, აგრძელებს ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმი-
ანობას.

თედო სახოკიას პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ
შეფასებას ვხვდებით, ასევე, მისი მეგობრის ალექსანდრე მი-
ქაბერიძის მონოგრაფიაში, რომელიც ხელნაწერის სახით
ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზე-
უმში. მცირე ამონარიდი ამ მონოგრაფიიდან: „მასწავლებლო-
ბის დროს თედო ხშირად გამოდის მოსწავლე ახალგაზრდო-
ბის წინაშე დახელოვნებული ლექტორის როლში. თავისი
ფართო ცოდნის გამოყენებით მრავალ საგულისხმო საკით-
ხებს მჭერმეტყველურად აშუქებს მოსწავლე ახალგაზრდობით
გაჭვდილ თბილისის, სხვადასხვა სასწავლებლების აუდიტო-
რიებში.“²

თედო სახოკიამ ქართლში დაწყებული ქართული საქმე
პედაგოგიური მოღვაწეობით დაიწყო და დაგვირგვინდა, ქართ-
ლში საძირკველჩაყრილი ორმოცდათწლიანი ნაშრომის საწყი-
სის, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ გამოქვეყნებით.

¹ თედო სახოკია. ავტობიოგრაფია. – იხ.: თედო სახოკია. კრებუ-
ლი თბილისი, 1969, გვ. 242.

² გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი. თედო სახოკიას ფონდი. ხელნაწერი,
№19868/302.

ამდენად, თელო სახოკიამ სამოღვაწეო ასპარეზზე გამო-
სვლა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა თავის მო-
ვალეობად დაისახა. ის გახდა გამგრძელებელი მე-19 საუკუ-
ნის მამულიშვილთა - ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვი-
ლის და სხვათა - ქართული საქმეებისა, რომელთათვისაც ქა-
რთველი ერის წინაშე მსახურება, ერთგულება წმიდათაწმიდა
მოვალეობას შეადგენდა.

თელო სახოკიამ სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად
ატარა საზოგადო მოღვაწის მძიმე უღელი და სიცოცხლის
მიმწუხრს დაასრულა კიდევ ადრე წამოწყებული ყველა დი-
დი საქმე. დაიმსახურა განსაკუთრებული სიყვარული ქართვე-
ლი ხალხისგან, თავისი სიყვარულით ქართული ყოფისა და
კულტურის, ქართული სიტყვის ამაგისა გამო.

საამაყო და სამაგალითოა ცხოვრება მასწავლებლისა,
რომელიც ღვთიური, ჭეშმარიტი მამულიშვილობისა და ერის-
კაცობის შეუბღალავი სახელით იმოსება.

დამოწმებანი:

1. **თელო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული.** თბილისი, 1969.
2. **თელო სახოკია.** მოგონებათა ფურცელი - ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი, 1969.
3. **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული.** საქართველოს გა-
ნუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან ნაკვეთი II. თელო
სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1989-1904) თბი-
ლისი, 1999.
4. **თელო სახოკია.** ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბი-
ლისი, 1979.
5. **შუქია აფრიდონიძე.** მოგონება მოუგონელი. თბილისი,
1988.

6. რამაზ სურმანიძე. ნაცნობი და უცნობი თელო სახოკია. ბათუმი, 2004.
7. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თელო სახოკიას ფონდი.
8. კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თელო სახოკიას ფონდი.

Latavra Bukia

St. Andrew the first-called Georgian University of the Patriarchate of Georgia

TEDO SAKHOKIA - "GEORGIAN BUSINESS, WHICH HAS BEGUN IN KARTLI", PEDAGOGICAL WORK RESUME

Tedo Sakhokia worked in the ninety years of the XIX century and the first half of the XX century. Great is his role as a historian in Historiography and he opposed actively the political regime.

In the history of Georgia Tedo Sakhokia is known as a worker of the soviet period as a historian, an ethnographer, a lexicographer, a translator, a folklorist and etc.

Tedo Sakhokia is an important person for his educational, scientific, social and political activities.

After coming back from France to Georgia, he started to work as a teacher in a small village of Gori, called Tirdznisi. Tedo assessed this period immensely: "I gained more education here than I taught". Later he decided to quit teaching and involve in political-social life. (immigration, imprisonment)

In 1916 he returned from immigration and carried on his educational activities. He began teaching French and Georgian

languages, first in Theological Seminary and then in Georgian High School.

In 1924 he finished his pedagogical performance. Till the end of his life, he spent time on literary activities.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ქართული რევულარული ჯარის შექმნისათვის (1917-1918 წ.წ.)

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის მარტში დანიშნა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანო-ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). 1917 წლის თებერვალ-მარტის ამბების შემდეგ თბილისში შეიქმნა რევოლუციური ხელისუფლების ორგანო-თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას). თბილისშივე ფუნქციონირებდა ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას) და კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი). 1917 წელს აპრილის დამდეგიდან ფუნქციონირებას იწყებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოს მსგავსი ჩანასახი - ქართული „ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი).

ქართული რევულარული ჯარის შექმნის იდეა საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში დაიბადა. ქართული ჯარის შექმნის საჭიროების საკითხი პირველ ქართულ ეროვნულ ყრილობაზეც დაისვა. ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ დიდი მუშაობა გაწია რევულარული ქართული ჯარის შექმნის მიზნით. ეროვნულმა საბჭომ შეძლო თეორიულთან ერთად პრაქტიკული ღონისძიებე-

ბის გატარება, შეძლო თავის მოღვაწეობის პერიოდში საფუძველი ჩაყროდა ქართული ჯარის მშენებლობის საქმეს.

იმის შესახებ თუ როგორ უნდა შევსებულიყო ნებადართული ქართული კორპუსი, ეროვნული ყრილობის სამხედრო სექციამ შემდეგი დაადგინა: ვინაიდან ქართულ სამხედრო ერთეულების შედგენასა და დაუყოვნებლივ შევსებას მოითხოვს დღევანდელი მომენტი, სამხედრო სექცია მიმართავს ეროვნულ ყრილობას, რათა მან მომავალ ეროვნულ საბჭოს დაავალოს შემდეგი ღონისძიებათა მიღება: 1. ეროვნულმა საბჭომ იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა ყოველ მსურველ ქართველ ჯარისკაცს ნება მიეცეს ქართულ ერთეულებში გადმორიცხვისა. 2. ეროვნულმა საბჭომ მიმართოს ქართველ ერს ამ დიად მომენტში მიიღოს მონაწილეობა ქართულ ერთეულების შევსებაში და თავის ნებით ჩაეწერონ ისინი, ვისაც სამხედრო სამსახური შეუძლია. 3. ეროვნულმა საბჭომ დაადგინოს: ქართველი დეზერტირები განსაზღვრულ დროს გამოცხადნენ ქართულ ერთეულებში სამხედრო ბეგარის მოსახდელათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნულმა საბჭომ მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი¹.

ეროვნული საბჭო შექმნისთანავე (1917 წლის 22 ნოემბერი) შეუდგა ეროვნული ყრილობის მიერ მიცემულ დავალების შესრულებას. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 28 ნოემბრის სხდომის ყურნალში მოცემულია, რომ სხვა და სხვა საქმეების გასაძლოლად შეიქმნა სპეციალური კომისიები. შეიქმნა სამხედრო კომისიაც, რომელსაც უნდა დანიშნონდა გამგე აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან².

¹ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N149, ფურც. 1.

² სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N2. ფურც. 5.

1917 წლის 3 დეკემბრის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სამხედრო კომისიის გამგედ დაინიშნა ნოე რამიშვილი, სექციის წევრებად: ვ. გობეჩია, არჩ. საყვარელიძე, დ. ვაჩნაძე, ნ. ქარცივაძე¹.

ქართული ჯარის შექმნის დასაწყისისათვის განვითარებული მოვლენების შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა საარქივო მასალა „განმარტებითი წერილი ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ“, სადაც ვკითხულობთ: 1917 წელს, გიორგობას, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის ნებართვით დაწყებულ იქნა შედგენა ქართული არმიის კორპუსისა, როგორც კავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენელის ნაწილისა. ამ დღიდან დაიწყო შედგენა მხოლოდ ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი დივიზიონისა, მაგრამ როდესაც იანვრის თვეში გამოირკვა საქართველოს დიდი მნიშვნელობა ახალციხე-არტაანის მიმართულებისა, გადაწყვეტილი იქნა, იმავე დროს დაწყებულიყო შედგენა ქართველთა მესამე ქვეითი დივიზიონისაც. იმ დროს, არასახარბიელო გარემოებიდან გამომდინარე, ფერხდებოდა ქართული კორპუსის, როგორც სამხედრო საბრძოლო ნაწილის ჩამოყალიბება. სამხედრო პოლკებში მიმდინარეობდა სხვადასხვა რყევები. ვრცელდებოდა ბოლშევიკური აზრები, რასაც ემატებოდა ჯარისკაცთა დეზერტირობა, რომელთაც შინ მიჰქონდათ ყველაფერი, რაც მათთვის დიდი სიმწელით იყო შექენილი².

რეგულარული ქართული ჯარის შედგენას უპირველესად ხელი შეუწყო მობილიზაციის გამოცხადების საჭიროება. ეროვნული საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამობი-

¹ სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N2. ფურც. 9.

² სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N183. ფურც. 9.

ლიზაციო პროექტები. 1917 წლის 26 დეკემბერს სამხედრო სექციის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს განსახილველ საკითხად წარუდგინა სამობილიზაციო პროექტი და აუხსნა ეროვნულ საბჭოს მობილიზაციის გატარების აუცილებლობა. ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ ერთადერთი საშუალება რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად და ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ძლიერი ჯარის შედგენა. ამისთვის კი მობილიზაციის გამოცხადება აუცილებელ საჭიროებად დაასახელა. სამობილიზაციოდ წარადგინა ორი პროექტი. პირველი პროექტით ჯარში 19 წლიანები უნდა ყოფილიყვნენ გაწვეული და მათთვის ყველანაირი შეღავათი უქმდებოდა. მეორე პროექტი ითვალისწინებდა 32 წლის ასაკის და მათზე უფრო ახალგაზრდების ჯარში გაწვევას. ნოე რამიშვილის მოსაზრებით კორპუსის შედგენა შესაძლებელი იქნებოდა 19 წლიანების გაწვევით, ყველა დეზერტირების უკანვე დაბრუნებით და აგრეთვე იმ სამხედრო სამსახურს ვალდებულ პირთა მოწოდებით, რომელნიც სახელმწიფო თავდაცვის სხვა და სხვა დაწესებულებაში მსახურობდნენ¹. საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-IV სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მობილიზაციით ჯარში გაწვეულთა რიცხვი 19 წლის ასაკის 12 000 კაცი უნდა შეგროვილიყო, ამდენივე უნდა გაეწვიათ 32 წლიანების კატეგორიაც. სრული კორპუსის შესადგენად საჭირო ყოფილა 27 000 კაცის გაწვევა. ჯარის შესანახი ხარჯი მთავრობას უნდა გაეღო.

1917 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ V სხდომაზე ხელახლა დააყენა განსახილველ საკითხად ორი სამობილიზაციო პროექტი. სამობილიზაციო პროექ-

¹ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N3. ფურც. 2.

ტები წარადგინა სამხედრო სექციის თავმჯდომარემ ნოე რამიშივილმა, რომელმაც აღნიშნა: „... ჩვენ დავადგინეთ მოწვეულნი იქმნენ ექვსის თვით, როგორც 19 წლიანები, აგრეთვე ვინც უკვე მსახურობდა ჯარში, ე.ი. ისინი ვინც გაწვეულნი იყვნენ, მაგრამ რამე მიზეზით ან არ გამოცხადნენ ჯარში, ან გამოცხადნენ, მაგრამ შემდეგ ჯარიდან გაიქცნენ. - ჩვენ ვფიქრობთ, ამით საკმაო ძალას შევკრებთ, რომელიც შეძლებს დაიცვას შინაური წესრიგი და გარედან მოსალოდნელი საფრთხე“¹.

სამხედრო სექციის თავმჯდომარე ნოე რამიშივილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ჯარში ნამსახურებ გამოცდილ პირებზე, მათზე, ვინც სამი წლის განმავლობაში მსახურობდა. ეს კატეგორია მხოლოდ დასვენების ვადის გასვლამდე უნდა დარჩენილიყვნენ სახლში. ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა არტილერიისტების გაწვევას ჯარში².

ეროვნულ საბჭოში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ 15 იანვარი დასახელდა მობილიზაციის დაწყების თარიღად და გადაწყდა: „საბჭო იღებს მოწვევის ვადათ-15 იანვარს“³.

ამავე კრებაზე დაკონკრეტდა მიზანი მობილიზაციის საჭიროებისა და დასახელდა მისი მოქმედების, განხორციელების ტერიტორია. კრების თავმჯდომარე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ჩვენ ჩვენის ქვეყნის საზღვრებს არ გავცილებით - ჩვენ მობილიზაციას მოვახდენთ შინაურ წესრიგის დასაცავად და გარედან მტრის შემოსევისაგან ქვეყნის დასაფარავად. - ჩვენ ჩვენს მოწოდებაში ვიტყვით ამის შესახებ“⁴.

¹ სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N3. ფურც. 31-32.

² სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N3. ფურც. 32.

³ სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N3. ფურც. 12.

⁴ სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N3. ფურც. 41.

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და სამხედრო სექცია ანალიზებდა შექმნილ კრიტიკულ სიტუაციას, რის საფუძველზეც 1917 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: ქართული რევულარული ჯარის შექმნისათვის აუცილებელი იყო ახალი სამხედრო დოქტრინის, ახალი კონცეფციის შემუშავება. სწორედ ახალი დოქტრინის საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო ქართული რევულარული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი. ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტის შემუშავებული კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა გენერალ-ლეიტენანტი ვასილ გაბაშვილი, მდივნად - პორუჩიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი. კომისიაში შევიდნენ ქართველი გენერლები და უფროსი ოფიცრები. კომისიის წევრი იყო გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გიორგი კვინიტაძე.

1918 წლის 27 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ვასილ გაბაშვილისა და გიორგი კვინიტაძის მიერ შემუშავებული „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი“. 1918 წლის 17 მარტს ვასილ გაბაშვილმა და გიორგი კვინიტაძემ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარუდგინეს პროექტის საბოლოო ვარიანტი. „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი“ შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1. ჯარის ფორმირების ძირითადი დებულებანი; 2. ქართული ჯარის ორგანიზაცია; 3. ჯარის დაკომპლექტება; 4. ოფიცერთა შემადგენლობა; 5. წესდებათა გადამუშავება; 6. შეიარაღება, სურსათი, აღჭურვილობა და დაბინავება; 7. ჩაცმულობა; 8. დასკვნა.

ვახტანგ გურული ქართული სამხედრო დოქტრინის პირველი დოკუმენტის - „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტს“ ასე აფასებს: „მთლიანობაში აღებული, გენერალ-

ლეიტენანტ ვასილ გაბაშვილისა და გენერალური შტაბის პოლკოვნიკის მიერ შედგენილი „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი ქართული სამხედრო ხელოვნების უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რაც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდსა და შესაბამის მატერიალურ უზრუნველყოფას ითხოვდა, საქართველოს ეყოლებოდა ბრძოლის უნარიანი რეგულარული ჯარი, რომელიც შესძლებდა ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას“¹.

შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ, ამიერკავკასიის ფრონტის აშკარა განხეთქილებამ და ჯარის არარსებობამ საქართველო ახალ გზაზე დააყენა. ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამტკიცებული ჯარების ორგანიზაცია ამიერკავკასიის მასშტაბით იყო შემუშავებული, რომელიც იყო შემდგარი ომის წარმოების გარემოებების მიხედვით².

ეროვნული საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობას რეგულარული არმიის ჩამოყალიბების შესახებ ალ. ბენდიანიშვილი ასე აფასებს: ქართული ეროვნული კორპუსის და სხვა საჯარისო ერთეულების შექმნისათვის საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობდა ეროვნული საბჭო, მასთან არსებული სამხედრო კომისია. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული არმიის შექმნის საქმე უფრო მკვიდრ (სამართლებრივ) საფუძველზე დადგა. ახალშობილი რესპუბლიკის შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა თავიდანვე დიდი სირთულით ხასიათდებოდა და მისი უშიშროების დაცვისათვის, რა თქმა უნდა, არ კმაროდა მოხალისეთაგან დაკომპლექტებული სახალხო გვარდია. გადაუდებელ აუ-

¹ ვ. გურული, ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (1917-1918), თბ., 1998; 20-25.

² სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N193, ფურც. 6.

ცილებლად გამოცხადდა რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, საერთოდ სამხედრო საქმის მაღალ დონეზე დაყენება¹.

მას შემდეგ, როდესაც ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსი, გერმანიას საშუალება მიეცა ღიად გამოეხატა საქართველოსთვის მხარდაჭერა და თანადგომა. საქართველოს გერმანია ეხმარებოდა ჯარის მშენებლობის საქმეში. საქართველო ჯარის შესაქმნელად საჭიროებდა როგორც გამოცდილ მრჩეველს, ისე ტექნიკურ საშუალებებს, რის უზრუნველყოფაც გერმანიას შეეძლო. ერთად გაწეული მუშაობის შედეგად შეიქმნა სამი ძირითადი კანონპროექტი სამხედრო საქმეების შესახებ: 1. ჯარის მოწყობის კანონი, 2. შეესების კანონი და 3. უმაღლესი მმართველობის კანონი².

სანამ კანონი საბოლოო სახეს მიიღებდა, სხვადასხვა პროცედურას გადიოდა. ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ კანონპროექტის განხილვა ხდებოდა ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის კრებაზე, ასევე მთავრობისა და სამხედრო კომისიის წევრების ერთობლივ სხდომებზეც. მთავრობასთან შეერთებულ კრებაზე უკანასკნელად შემუშავებული კანონპროექტი ისევ სამხედრო კომისიას უბრუნდებოდა. საჭიროების შემთხვევაში სამხედრო კომისიას თავის მხრივ შესწორებები შეჰქონდა, რის შემდეგაც უკვე ეროვნულ საბჭოს გადაეცემოდა განსახილველად³.

¹ ალ. ბენდიანიშვილი, 2001, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001. გვ. 114.

² სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N183, ფურც. 10.

³ სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N193, ფურც. 6-11.

განმარტებით წერილში „ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღების ძალების შესახებ აღნიშნულია, რომ პროექტის ავტორები თავდაპირველად ფიქრობდნენ სამი ქვეითი დივიზიის შექმნას, თუმცა არასაკმარისი ფინანსური მდგომარეობის გამო ორზე შეთანხმდნენ. მათი აზრით, ორი ქვეითი დივიზია, ერთი ცხენოსანი ბრიგადა ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი და სათანადოდ გაწვრთნილი საკმარის კადრად შეიქმნებოდა, რომლის გარშემო თავს მოიყრიდა საჭიროების დროს „მთელი შეჭურვილი ხალხი, შემძლები საერთო რიცხვით 200 000 ჯარისკაცის გამოყვანისა“. წერილში განმარტებულია, რომ ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობა და ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის რაოდენობას. იმავე წერილიდან ვგებულობთ, რომ საზღვრების დასაცავად საველე ჯარების გარდა განზრახული ყოფილა ერთი სანაპირო სამპოლკიანი ბრიგადის ყოლა. ჯარების რაოდენობის შემოკლების გამო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შეიარაღებული ძალების განწყობაზე, ბრძოლის ტექნიკური საშუალებით აღჭურვაზე – განსაკუთრებით არტილერიით. რადგან ადამიანის ფიზიკური რესურსი არ იძლეოდა საშუალებას წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცოცხალი ძალის ნაცვლად სამხედრო ტექნიკა. განმარტებით წერილში ნაჩვენებია, რომ „ჯარების გაშლის დროს 35 200 ათასის შემადგენლობამდე ჩვენ უნდა გვეყვანდეს და გვექონდეს ამ ჯარისათვის მშვიდობიანს დროს მომზადებული ტექნიკები და ტექნიკური საშუალებები. უნდა მხედველობაში გვექონდეს ის გარემოებაც, რომ ძლიერებით ერთი ტყვიის მფრქვეველი ენაცვლება 50, ერთი ზარბაზანი ას (100) მებრძოლსა და დანა-

შაული იქნებოდა, რომ არ გამოგვეყენებინა შესაძლებლობა ათასობით ადამიანის სიცოცხლიდ ღაცვისა“¹.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 20 ივლისის სამხედრო კომისიის სხდომაზე წაკითხული იქნა მთავრობასთან შეერთებულ კრებაზე საბოლოოდ შემუშავებული საქართველოს მუდმივი ლაშქრის ორგანიზაციის კანონპროექტი. კრებას ესწრებოდნენ სამხედრო კომისიის წევრები: „ბ. აფხაზი, ბ. ლომთათიძე, ბ. ვაჩნაძე. კრებაზე მოწვეული იყო გენ. ყიფშიძე, გელევანიშვილი, ყაზბეგი. პოლკოვნიკი ზაქარიაძე, კარგარეთელი, გელევანიშვილი, ექიმი მგელაძე“².

1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცდა სპეციალური კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის სტრუქტურას, ცალკეულ სახეობათა შემადგენლობას.

დასახელებული კანონის პირველი მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შედიოდა ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, ერთი საკავალერიო ბრიგადა, ერთი საარტილერიო ბრიგადა, მესანგრეთა ერთი ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ჯავსნოსანი მატარებლის ერთი ასეული, ერთი საავიაციო გუნდი. საქართველოს საზღვრების დაცვისათვის შეიქმნა არმიის განსაკუთრებული ნაწილი - „სანაპირო ჯარი“, რომლის სათავეში იდგა „განსაკუთრებული უფროსი“. დივიზიის ქვეგანაყოფი იყო სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ესკადრონი, საარტილერიო და მესანგრეთა ასეულები, საბარგო ქარავანი და ექიმ-სანიტართა ჯგუფი. კავალერიაში შედიოდა სამი პოლკი, სათაღარიგო ესკადრონი და სამთო-საარტილერიო დივიზიონი.

¹ სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N183, ფურც 10.

² სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე N193, ფურც 11.

კანონი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა დივიზიის, ცხენოსანთა ბრიგადის, პოლკის და სხვა შედარებით მსხვილ საჯარისო ერთეულთა უფროსებს. თითქმის ყველა მათგანთან არსებობდა „ჯარის მართვა-გამგეობისათვის საჭირო შტაბი“. დასახელებული კანონის სათანადო მუხლის შესაბამისად შეიქმნა „იუნკერთა მოსამზადებელი სასწავლებელი“¹.

სამხედრო სამინისტროს შტაბისა და გერმანელების მიერ ერთად გაწეული მუშაობის შედეგად შექმნილ სამ ძირითად კანონპროექტთაგან მნიშვნელოვანია შევსების კანონი, ანუ დებულება სამხედრო ბეგარისა და საქართველოს მუდმივი ჯარის შევსების შესახებ. 1918 წლის 24 ივლისის ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომაზე ყურადღება გამახვილეს რამდენიმე ძირითად საკითხზე, მათ შორის აღიძრა საკითხი, თუ რა მიზეზით არიან განთავისუფლებულნი სამხედრო ბეგარისაგან მუსლიმანები. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის ასე დასმა ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა თათრებზე, რადგან ამით გამოიხატებოდა მათდამი უნდობლობა. ამიტომ კომისიამ დაადგინა, პირველი მუხლიდან ამოიშალოს „გარდა მუსულმანებისა“ და მუხლს მიემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: მთავრობას აქვს უფლება ზოგიერთი კატეგორია საქართველოს მოქალაქეებისა გაანთავისუფლოს სამხედრო ბეგარისაგან. კომისიამ ყურადღება გაამახვილა კანონპროექტის მე-7 მუხლზე, სადაც შეტანილი იქნა შემდეგი: სამხედრო სამსახურის პირნი, რომლებიც ირიცხებიან მუდმივ ჯარში სათადარიგო ხარისხში და ლაშქარში და როდესაც ისინი იმყოფებიან იარაღის ქვეშ, უნდა იღვწენ პოლიტიკის გარეშე. მე-10 მუხლი კი შეცვლილ იქნა შემდეგი რედაქციით: ახალგაზრდების ჯარში გაწვევა იქნება ყოველ წელს 1

¹ ალ. ბენდიანიშვილი, 2001, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001. გვ 116.

ნომბერში. გაწვეული იქნება ყველა, ვისაც შემდეგ იანვრის პირველადე შეუსრულდება 20 წელი. ახალგაზრდების გაწვევის წეს-რიგი და მათი სამედიცინო შემოწმება აღნუსხულია „სამხედრო ბეგარის უსტავში“. მე-12 მუხლის რედაქცია აღნიშნავს: „ის პირნი, რომლებიც ირიცხებიან სათადარიგო და ლაშქრის ხარისხის ჯარში, განსაკუთრებულ ანგარიშის და სამხედრო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. სათადარიგო ხარისხის მეომარნი უნდა გამოწვეულ იყვნენ განმეორებით სავარჯიშოთ ყოველი სამი წლის შემდეგ სამი კვირის ვადით, ლაშქარი კი - მარტო ერთხელ იმავე ვადით. განმეორებით სავარჯიშოთ გამოწვევის დრო - ინიშნება ყოველ წლივ სამხედრო მინისტრის განკარგულებით. იმ პირთ, რომლებიც, სავარჯიშოთ გამოწვეულ იქნებიან რაიმე სახელმწიფო და საზოგადო სამსახურიდან, ადგილი ენახებათ“¹.

ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის 1918 წლის 12 აგვისტოს განსახილველი საკითხი იყო: „სამხედრო კომისიის მიერ წარმოდგენილი, მისგან უკვე განხილული კანონპროექტი - ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვების და გაწვევის შესახებ იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896- 1899 წ.წ.“²

ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება „კანონპროექტის ასლი სასწრაფოდ გაეგზავნოს ფრაქციებს და თვით კანონპროექტი წარედგინოს ეროვნულ საბჭოს განსახილველად ხვალინდელ, აგვისტოს 13 კრებაზე“³.

საქართველოს პარლამენტმა, 29-ე კრებაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 13 აგვისტოს, კანონპროექტი უცვლელ-

¹ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N 193, ფურც. 12.

² სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N179, ფურც. 9.

³ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N179, ფურც. 9.

ლად მიიღო¹. კანონი „ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირობა, რომელნიც დაბადებულან 1896-1899 წლებში“, 1918 წლის 20 აგვისტოს ეროვნული საბჭოს დადგენილებით 6 მუხლისაგან შედგებოდა: „1) ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 და 1897 წლებში და იმყოფება ეხლა რესპუბლიკის ჯარში, დატოვებულ იქნეს ნამდვილ სამსახურში განსაკუთრებულ განკარგულებამდე; 2) ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1898 წელს და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის სავალდებულო ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა; 3) ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1899 წ. და დღეს ჯარში მსახურობს უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლევა დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა; 4). რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, I-სა და მე-2 მუხლში აღნიშნულის ასაკისა, თუ რაიმე მიზეზით ეხლა ჯარში არ იმყოფება, დაუყოვნებლივ უნდა გაწვეულ იქნეს ნამდვილს სამხედრო სამსახურში; 5) რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, 1 და 2 მუხლში ნაჩვენების ასაკისა, მოვალეა არ მოუცადოს განსაკუთრებულს მოწვევას და თვით გამოცხადდეს არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 10-სა სათანადო სამხედრო უფროსთან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხად, ვინც ამ დღისთვის არ გამოცხადდება, ჩაითვლება დეზერტირად და შეპყრობილი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს; 6) ვინც 1895 წლამდე, ან 1895 წელში დაბადებულია და ეხლა ჯარში მსახურობს, დათხოვნილი იქნება სათადარიგოდ სამხედრო მინისტრის განკარგულებით, იმის კვალობაზედ, როგორც კი გამოცხად-

¹ სეცსსა, ფ. 1836, აღ, 1, საქმე N179, ფურც. 10.

დებიან ისინი, რომელნიც გაწვეულ იქნებიან ამ კანონის 4 მუხლის თანახმად, ხოლო არა უგვიანეს ოქტომბრის პირველისა“¹. ამ კანონის სისრულეში მოსაყვანად განკარგულების მოხდენა დაეკისრა სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს. კანონს ხელს აწერს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“. დებულება 12 მუხლისაგან შედგებოდა: 1) სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და საპირადო ყოველი მოქალაქისათვის (ქვეშევრდომისათვის). შენიშვნა: ეს მუხლი კანონისა არ შეეხება მაჰმადიან მოქალაქეებს; 2) რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოციდან ორმოცდახუთ წლამდე მოვალეა პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა; 3) ვისაც სამხედრო ბეგარა ეხება, მაგრამ ჯარში სამსახურის შესრულება არ შეეძლება, გაწვეული იქნება არმიაში და შეასრულებს ისეთ მოვალეობას რომელიც შეეფერება მის ფიზიკურ მდგომარეობას, ცოდნასა და გამოცდილებას; 4) საქართველოს შეიარაღებული ძალა შედგება მუდმივი ჯარისა და ლაშქრისაგან; 5) არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზადყოფნაშია ომის სამსახურისათვის. სათადარიგო ჯარის დანიშნულებაა საჭიროების შემთხვევაში შეავსოს და გააძლიეროს მუდმივი არმია მობილიზაციის დროს. 6) ლაშქრის გაწვევა საკანონმდებლო დაწესებულების მიერ მოხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს საფრთხე მოელის და ამ შემთხვევაში ლაშქარში შეიძლება გაწვეულ იქნეს ქუდაზე კაცი,

¹ სეცსსა, ფ. 1836, აღ, 1, საქმე N179, ფურც. 15.

ჩვიდმეტიდან ორმოცდაათ წლამდე; 7) ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს; 8) სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25 წელიწადია: ნამდვილ სამსახურში 2 წელიწადი, სათადარიგოში 15 წელიწადი და ლაშქარში 8 წელიწადი; 9) ვინც მოიხადა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვალდებულება და შეუძლია განაგრძოს ჯარში მომსახურება განსაკუთრებული წესდების დაცვით; 10). სამხედრო ბეგარის გადადების უფლება აქვს: კონტიგენტის შევსების გამო დარჩენილ სამხედრო ბეგარის ასაკის ახალგაზრდას, რომელიც არ ყოფილა მიღებული ნამდვილ სამსახურში; ისეთ ავადმყოფობაში მყოფები, რომლებიც საშუალოდ არ არიან განთავისუფლებულნი სამხედრო სამსახურისგან და საშუალო სკოლის მოსწავლეს სწავლის დასრულებამდე, 22 წლამდე ბეგარის გადაება შეუძლია; 11) სამხედრო ბეგარისთვის გაწვევა მოხდება ყოველ წელს 15 ნოემბერს. გაწვეულნი იქნებიან ახალგაზრდები, რომელთაც შემდეგი წლის 1 იანვარს შესრულებათ 20 წელი. ჯარში გაწვევის წესი და საექიმო შემოწმება აღნიშნულია სამხედრო ბეგარის წესდებაში; 12) სათადარიგო და სალაშქრო სამსახურში მყოფნი აღინუსხებიან და ექვემდებარებიან სამხედრო კონტროლს. ასეთი პირები ყოველ წელს სამი კვირის ვადით გაივლიან შეკრებას სამხედრო ვარჯიშისა და წვრთნისათვის¹.

1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული იქნა დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“. დებულების თანახმად ომიანობის დროს მოქმედი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელად ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელიც ემორჩილებოდა პირ-

¹ საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990, გვ. 55-57.

დაპირ მთავრობის თავმჯდომარეს, მაგრამ „ომის ოპერატიულ საქმეებში“ “მთავარსარდალს ჰქონდა სრული თავისუფლება, თუმცა თავის მოქმედების შესახებ მოხსენება უნდა წარედგინა პრემიერისათვის. თავდაცვის საქმის საერთო ხელმძღვანელობა ევალებოდა სამხედრო სამინისტროს, რომლის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა ექვსი განყოფილება-საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმინისტრაციო, სამხედრო სამინისტრო და სამხედრო საბეითლო. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გენერალური შტაბი. მას ჰქონდა ექვსი სექცია: საოპერაციო, საორგანიზაციო, საარტილერიო, საინჟინერო-სატექნიკო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საინსტორიო. პირველ სექციას ხელმძღვანელობდა უშუალოდ შტაბის უფროსი, რომლის ფუნქციებში შედიოდა ჯარის ორგანიზაცია, მობილიზაცია, საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვა, დაზვერვა, კავშირგამბულობა, ჯარის წრთვინა და აღლუმების მოწყობა¹.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ეროვნული საბჭოს მიერ ქართული რეგულარული ჯარის შესახებ კანონისა და დებულებების დამტკიცებამდე ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიას არსებული კანონპროექტების საფუძველზე მიუღია დებულება „რესპუბლიკის ჯარისა“. 1918 წლის 7 აგვისტოს საკონსტიტუციო კომისიამ, უკვე შემუშავებული კანონპროექტების საფუძველზე, თითოეული მუხლის განხილვის შემდეგ მიიღო დებულება „რესპუბლიკის ჯარისა“, რომელიც 9 მუხლისაგან შედგებოდა: „1. ყოველივე მოქალაქე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა, თანახმად სამხედრო კანონებისა. 2. ყოველივე მოქალაქე, ვისაც იარა-

¹ ალ. ბენდიანიშვილი, 2001, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 114-115.

ღის ტარება შეუძლია, 20-დან 45 წლამდე რომელიმე ნაწილში ითვლება. 3. მუდმივი ჯარი მშვიდობიანობის დროს შედგება რესპუბლიკის მცხოვრებთა არაუმეტეს I %-სგან. 4. სამხედრო ძალის უზენაესი ორგანო არის პარლამენტი, რომელიც ახორციელებს თავის უფლებას მთავრობის საშუალებით. 5. განსაკუთრებულს შემთხვევაში მთავრობას შეუძლია პარლამენტის დაუკითხავათ გამოიწვიოს საჭირო რიცხვი ჯარისა არაუმეტეს სამასი კაცისა წესიერების აღსადგენად, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში აცნობებს პარლამენტს ამ ზომის დასადასტურებლად. 6. საქართველოს ტერიტორიაზე ვერ იმოქმედებს უცხო სახელმწიფოს ჯარი, ვერც დაქირავებული, ვერც მოწვეული; ვერც დაიჭერს რესპუბლიკის მიწა-წყალს და ვერც გაივლის მასზე, თუ არა რესპუბლიკის კანონების მიხედვით. 7. ჯარის ნაწილების წყობილება, გადაჯგუფება და ყოველივე წესები სამხედრო ძალთა შესახებ განისაზღვრება ამისთვის გამოცემულ კანონებით. 8. ჯარი სახელმწიფო ფიცსა სდებს (აღთქმას სდებს) დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთგულებისა. 9. ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველ წლივ ადასტურებს პარლამენტი. კანონი მოქმედებს ერთს წელიწადს¹.

ეროვნული საბჭოს მიერ რეგულარული ჯარისათვის მიღებული კანონები შედეგზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. მას უნდა ეზრუნა დროულად აღეკვეთა ყველა ის დამბრკოლებელი გარემოებები, რომელიც ხელს შეუშლიდა დასახული მიზნის მიღწევას. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ეროვნული საბჭოს მიერ საგანგებო სამხედრო სასამართლოს შემოღებისა და „ზოგიერთა სამხედრო დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ კანონ-პროექტის

¹ სეცსა, ფ.1823, აღ. 2, საქმე N1.

შემუშავება¹. კანონპროექტს, ხელს აწერს გენ. გედევანიშვილი. კანონპროექტის დასაწყისში მითითებულია, რომ დროებით უნდა გაძლიერებულიყო იმ ზოგიერთი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა, რომელიც სამხედრო წესდების მიხედვით იყო გათვალისწინებული.

ჯარის მოწესრიგების საქმეში დიდი ყურადღება დაეთმო კანონმდებლების მიერ ჯარის დისციპლინარული წესრიგის შექმნას. 1918 წლის 17 აგვისტოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომაზე წაიკითხეს დისციპლინარული წესრიგის პროექტი. კომისია შეუდგა ამ პროექტის უკანასკნელი ვარიანტის შედგენას და სამი დღის განმავლობაში სამხედრო კომისიისათვის წარდგენას. კომისიაში აირჩიეს თავმჯდომარე - პოლკ. როინიშვილი, წევრები - პოლკ. ჭავჭავაძე, კარგარეთელი, ბალგაია, მაჩაბელი და ჩიჭავაძე².

1918 წლის 2 ენკენისთვის ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომაზე ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო - დისციპლინარული წესრიგი. ამავე სხდომაზე გადაწყდა დისციპლინალური წესდების მუხლების მიღება³. საარქივო მასალაში „განმარტებითი ბარათი სადისციპლინო წესდების“ ვკითხულობთ, რომ პარლამენტის სამხედრო კომისიისა და სოციალ-ემიკრატიული ფრაქციის მიერ მიღებული იქნა სადისციპლინო წესდება, მაგრამ თვით პარლამენტს ვერ მოუხწვრია მისი მიღება.

სადისციპლინო წესდება შედგება ექვსი თავისაგან: 1) საზოგადო დებულება; 2) დისციპლინალური დანაშაული და სასჯელი; 3) უფროსთა დისციპლინალური უფლებანი; 4)

¹ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N193, ფურც. 37-38.

² სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N193, ფურც. 22.

³ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N193, ფურც. 31.

დისციპლინალურ სასჯელთა მინიჭება განსაკუთრებულ შემთხვევებში; 5) დასჯის ჟურნალი; 6) საჩივარი¹.

მიუხედავად საქართველოს მძიმე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისია ძალას არ იშურებდნენ ძლიერი ქართული რეგულარული ჯარის შესაქმნელად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად გამოცხადდა საქართველოს პარლამენტი და მისი არსებობის მანძილზე ქართული რეგულარული ჯარის შექმნისათვის ჩატარდა არაერთი ღონისძიებები. გატარდა სამხედრო მმართველობის რეორგანიზაცია, სამხედრო მინისტრის თანაშემწე (მოადგილე) იმავე დროს იყო მთავარსარდალი; ეროვნული საბჭოს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის შესახებ“ განისაზღვრა ქვეყნის შეიარაღებული ჯარის სტრუქტურა და შემადგენლობა, გამოცხადდა ქართული ჯარის ახალი შტატები; შეიქმნა საგანგებო სამხედრო სასამართლოები; ეროვნული საბჭოს არსებობის პერიოდში დაარსდა ქართული არმიის სამხედრო სკოლა, რომელიც ამზადებდა ოფიცრებს ქვეითთა მსროლელი ჯარის, საარტილერიო, კავალერიისა და საინჟინრო ტექნიკური ქვეგანაყოფებისათვის. სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 2 წლის ვადით. მისაღები კონტიგენტის ასაკი იყო 18-25 წელი, აუცილებელი პირობა კი-საშუალო განათლება. სკოლის პირველ უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრია ბენაშვილი, მის თანაშემწედ-ალექსანდრე ჩხეიძე. შემდეგ ანდრია ბენაშვილი გადაყვანილ იქნა ტოპოგრაფიულ გა-

¹ სეცსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე N455, ფურც. 2-16

ნყოფილების უფროსად და მის ნაცვლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე.

საინტერესოა საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემი, რომელიც აღწერს საქართველოს არმიის შემადგენლობას მშვიდობიანობის დროს. ამასთან დაკავშირებით გიორგი ანჩაბაძის „სამხედრო ისტორიაში“ ვკითხულობთ: „საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს არმია მშვიდობიან დროს შედგებოდა სამი ქვეითი ბრიგადის (თითოში 4 ქვეითი ბატალიონი,-1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი და მეტყვიაძმურქვევთა ბატალიონი); ერთი ცალკეული ცხენოსანი ბრიგადისა (2 ცხენოსანი პოლკი და 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი) და ცალკეული ქართულ-მუსლიმანური დივიზიონისაგან. საარმიო არტილერია ითვლიდა ხუთ მსუბუქ და ერთ მძიმე არტილერიის დივიზიონს. მათგან ოთხი მსუბუქი არტილერიის დივიზიონი, როგორც აღინიშნა, ცხენოსანი და ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში იყო, ხოლო ერთი მსუბუქი და მძიმე დივიზიონები კი უშუალოდ ემორჩილებოდნენ სამხედრო სამინისტროს. რეგულარულ არმიას ჰყავდა აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკური ჯარები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა: მესანგრეთა ბატალიონი; რადიოტელეგრაფის ასეული; ავტოჯავშნოსანი რაზმი; სატანკო დივიზიონი; საავტომობილო ასეული; 6 ჯავშანმატარებელი და საავიაციო გუნდი. გარდა ამისა თავდაცვის სამინისტროს ემორჩილებოდა აგრეთვე სანაპირო ჯარი, შემდგარი 7 პოლკისაგან (თითოში 354 ან 461 კაცი, მათგან 24 ოფიცერი) და ორი საყარაულო ბატალიონი. ომის შემთხვევაში რეზერვისტების გაწვევით ხდებოდა ბრიგადების დივიზიებათ, ხოლო ბატალიონების პოლკებათ გადაქცევა (გაშლა). პოლკის საშტატო შემადგენლობა იყო 2225 ჯარისკაცი და ოფიცერი. საქართველოს საზღვაო

ფლოტში შედიოდა კონტრნაღმოსანი „პატარა კახი“, 4 ხის კორპუსიანი გამანადგურებელი, 4 ნაღმოსანი კატარღა და 10 სხვადასხვა დანიშნულების ხომალდი. გარდა ამისა სანაპირო ჯარს 22 ორთქლის კატარღა ჰყავდა“¹.

ეროვნულმა საბჭომ ქართული რევულარული ჯარის შესაქმნელად არაერთი ღონისძიება გაატარა, რასაც ხელს უწყობდა კომპეტენტური სამხედრო სპეციალისტების საკმარისი ინტელექტუალური ძალა. ქართული ჯარის სიძლიერეზე მიუთითებს მის მიერ წარმოებული არაერთი მძიმე ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიაში. ქართული ჯარი ნებას არ აძლევდა ირგვლივ შემოსეულ მტრებს დაესამარებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართული ჯარის მთავარი მიზანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მან აიცდინა, როგორც ბოლშევიკური ავანტიურა და სამოქალაქო ომი, ისე სეპარატისტული გამოვლინებები - აფხაზეთში, სამაჩაბლოში (შიდა ქართლში) და მესხეთ-ჯავახეთში.

¹ გ. ანჩაბაძე, სამხედრო ისტორია, თბ, 2002, გვ. 75-76.

Dodo Beridze

Samtskhe-Javakheti State University

**THE ACTIVITY OF THE NATIONAL COUNCIL IN
ORGANIZING THE GEORGIAN ARMY
RESUME**

Organizing the Georgian regular army started even before restoring the Independence of Georgia (May 26, 1918). International and internal political situation of those days Georgia had required organizing the regular army.

1917 was taken the decision to take a new military doctrine, a new conception for organizing the Georgian regular army.

After announcing the independence of Georgia, the issue of establishing the National Army became more legal.

It is a fact that Georgia needed an experienced adviser and technical means. Germany could do both. So, Germany had an opportunity to support Georgia openly and help Georgia to organize the army. Three main laws about military were taken as a result of joint work. They were: 1. The law on organizing the army 2. The law of filling the army and 3. The Law of Higher Governing.

Special law about organizing the regular army of the Republic of Georgia was adopted on August 20, 1918. On the same day the Parliament of Georgia adopted the main regulation about “The Military Service of The Republic of Georgia and Filling The Regular Army”. In August, 1918 the National Council of Georgia and the Government of the Republic of Georgia adopted the resolution “About the Military Governing of the Republic of Georgia”.

Great attention was made to the creation of Disciplinary Regulation issues. It consists of six chapters: 1. General

regulation; 2. Disciplinary crime and punishment; 3. Chiefs' disciplinary rights; 4. Disciplinary punishment in special cases; 5. Punishment register; 6. Appea.

The main aim of the Georgian army was to depend the territorial integrity of Georgia. Georgian regular army avoided Bolsheviks' adventure and Civil War, as well as separatists' manifestations in Abkhazia and Samachablo (Shida Kartli) and Meskhet-Javakheti.

გიორგი გოცირიძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში
(ივანე ჯავახიშვილის პირადი წერილების მიხედვით)**

XX საუკუნის 20-30-იანი წლები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდს წარმოადგენს. საბჭოთა რუსეთის მოღერნიზებული იმპერიის შემადგენლობაში ძალადობრივი გზით გაერთიანებულ ქვეყანას არაერთი განსაცდელი მოეწვინა, რომელთა შორის ქართველი ინტელიგენციის ყველაზე წარჩინებული ნაწილის მორალური და ფიზიკური განადგურებისაკენ მიმართული კამპანია სამარცხვინო ფურცლად დარჩა ქვეყნის ისტორიაში. ყველასათვის ცნობილია, რომ მოაზროვნე, პრინციპული და ღირებულებებისადმი ერთგული პროფესიონალების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას არ ახასიათებდა. ასეთი ადამიანები ყოველთვის წარმოადგენენ სერიოზულ საფრთხეს ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმის მესვეურთათვის. მათ წინააღმდეგ ბრძოლა აფერხებს ერის წინსვლას და მისი განვითარების პროცესს.

ამ ფაქტების წარმოჩენა-გამოაშკარავება და შეფასება ისტორიკოსის ვალია. XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი სანტაიანა წერდა: „ვისაც წარსული არ ახსოვს, განწირულია, გაიმეოროს იგი.“ ამდენად, XX საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის წარ-

მოჩენა ფაქტების უბრალო კონსტატაცია კი არ არის, არამედ შემდგომში მსგავსი მოვლენების თავიდან არიდების მცდელობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთ დავინახოთ პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები, ჩავწვდეთ იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არსს, ღრმად შევისწავლოთ ავტორის პიროვნება, მისი ინტერესები თუ ფსიქოლოგიური პორტრეტი.

XIII საუკუნის ცნობილი მოღვაწე არსენ ამარტოლი წერდა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერლისაი საუკუნოდ, რომელისამე საქებელ ყოფად, ზოლო სხვისა განქიქებად“.¹ ივანე ჯავახიშვილის პირადი წერილები სწორედ ის მეტყველი ძეგლებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ დავინახოთ XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირში არსებული ტოტალიტარული რეჟიმის სისასტიკე და უსამართლობა, ჩადენილი მის წინაშე.

აღნიშნული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში არსებული დაპირისპირება სტალინის გამარჯვებით მთავრდებოდა. საუნივერსიტეტო განათლებამიღებულ ინტელიგენციას კარგად ესმოდა, რომ ორივე ბანაკის მიზანი მოწინააღმდეგეზე გამარჯვების შემდეგ ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამყარება იყო. ამ პირობებში ინტელიგენციას ან ქედი უნდა მოეხარა ახალი ხელისუფლების წინაშე და ფიზიკურად გადარჩენილიყო, ან დაეწყო ბრძოლა მასთან, რასაც დიდი ალბათობით, მათი ფიზიკური განადგუ-

¹ამარტოლი, ა., ქ. კბი, II, გვ. 109.

რება მოჰყვებოდა. დიდმა ნაწილმა ღირებულებებისადმი ერთგულება არჩია. „მას არ შეეძლო შეგუებოდა იმ ხელისუფლებას, რომლის დევიზი იყო: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“.¹

ასე დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ კონტრატივერინასთან ბრძოლის პერიოდში ივანე ჯავახიშვილისა და ბევრი სხვა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების დევნა და შევიწროება, რომლის მიზანი იყო „ურჩ“ მეცნიერთა განდევნა სასწავლებლებიდან, მათი იზოლირება საზოგადოებიდან.

ტოტალიტარული რეჟიმი, ძირითადად, უნებისყოფო, უბრინციპო და, რაც მთავარია, არაპროფესიონალ ადამიანებზე დგას ნებისმიერ დროსა და სივრცეში. მათი დანაშაული შეიძლება გაცილებით მეტიც იყოს ასეთი სისტემის შექმნაში, ვიდრე თავად სისტემის მაღალ ეშელონებში მოქცეული თანამდებობის პირებისა. ასე იყო XX საუკუნის 20-30-იან წლებში, როდესაც ივანე ჯავახიშვილი აიძულეს, მის მიერ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა დაეტოვებინა, მაგრამ, ტოტალიტარული რეჟიმის მესვეურთა აზრით, ეს საკმარისი არ იყო - ივანე ჯავახიშვილს მისივე კოლეგები და სტუდენტები უნდა დაპირისპირებოდნენ და მისი უნივერსიტეტიდან გაძევება მოეთხოვათ.

ძნელია, არ დაეთანხმო ნინო კაკულიას, რომელიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნებულ თავის

¹ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, (2004), დოკუმენტები და მასალები (XX ს-ის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩინაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, გვ. 12.

სტატიაში - „როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან“ - წერდა: „გამაოგნებელია, მაგრამ არა ულოგიკო, 1930-1936 წლებში პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლისა და იმდროინდელი სახელმწიფო იდეოლოგიის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან დევნის ფაქტები ლოგიკას კი იმ პერიოდის პოლიტიკურ სისტემაში ვპოულობთ, რომლის ბატონობის დროსაც წყობილება ადამიანებს ისე ამახინჯებდა, რომ შეეძლოთ ხელისუფლებისადმი მონურ მორჩილებას გადაეყოლებინათ სხვათა ნიჭიერება, ზნეობრიობა, მაღალი ფასეულობები. ასეთ ადამიანებს შეეძლოთ, განუკითხაობისა და საზოგადოებაში გამეფებული შიშის გამო, უბრალოდ, გაჩუმებულიყვნენ და ამ ფორმით მიეჩქმალათ თავიანთი პროტესტი არსებული სადამსჯელო წყობილების წინააღმდეგ მათ შეეძლოთ, უბრალოდ, არ გაეჩილიკებინათ და არ დაპირისპირებოდნენ ერის სულიერების მკვებავ ლიდერებს. მაგრამ მათ უსამართლო სისტემის ერთგული ჯარისკაცობა ანაცვალებს სინდისს, ქართველობას, გონიერებას, ჭკუას, კაცობას“.¹

რა თქმა უნდა, ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს. მაგ.: ლუკა ციხისთავმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის მოადგილის თანამდებობა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ „თავგამოდებული ბრძოლის სანაცვლოდ მიიღო“.²

¹www.Tbiliselebi.ge 2012.12.10
dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10953/1/TbilisisUniversiteti_2011_IvaneJavaxishvili.pdf მოძიებულია 20.01.2017.

²ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, (2004), დოკუმენტები და მასალები (XX ს-ის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მო-

1928 წელს უნივერსიტეტის რექტორი ღლონტი აღნიშნავდა, რომ ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრებებმა დაღუპეს თბილისის უნივერსიტეტი და ახლა ჩვენ მათი გაუფუჭებული საქმის გამოსწორება გვიწევსო.¹

პროფესორები მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული ასეთ შეფასებას აძლევენ საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1930 წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ გამართულ დისკუსიას: „დისკუსია ამაზრზენი იყო ჩვენი, ქართული საზოგადოების, ფიზიონომიის აღქმის თვალსაზრისით. ბოლშევიკური ტირანიის დამყარებიდან ათი წელიც არ გასულიყო, თუმცა ამ ათ წელიწადში საზოგადოების სულიერმა დეგრადაციამ წარმოუდგენელ ღონეს მიაღწია“.²

არანაკლებ საინტერესოა მათი დასკვნა დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლების შესწავლის შედეგად: „მთელს საზოგადოებაში და მათ შორის უნივერსიტეტშიც, იყო ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელთაც შექმნილი ვითარების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება სცადეს. ისინი ხედავდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილი განწირული იყო. განწირული ადამიანის დაწინაურებით ისინი, უარეს შემთხვევაში, თავის გადარ-

ამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, გვ. 10.

¹www.Tbilisebi.ge 2012.12.10 dspace. nplg. gov. ge/ bitstream/ 1234/10953/ 1 Tbilisis Universiteti_2011_Ivanejavaxishvili.pdf მოძიებულია 20.01. 2017.

²ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, (2004), დოკუმენტები და მასალები (XX ს-ის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, გვ. 14.

ჩენას, ხოლო უკეთეს შემთხვევაში პოლიტიკური და მეცნიერული კარიერის გაკეთებას გეგმავდნენ. ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ვერ გამოიჩინა მოქალაქეობრივი გამბედაობა და თავის გაწირვას ისევ ივანე ჯავახიშვილის გაწირვა არჩია. კიდევ უფრო მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მოქალაქეობრივ და მეცნიერულ სინდისს ვერ უღალატა და ხელისუფლების თვალის ახვევის მიზნით ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის ზერეულე (უკბილო) კრიტიკის ფონზე პრაქტიკულად დაიცვა ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი. ეს იმ ადამიანებს მეცნიერული კარიერის დაღუპვისა და, შეიძლება, სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდათ“.¹

ამ პირველი „დისკუსიის“ შედეგი ივანე ჯავახიშვილის სასწავლებლიდან მოკვეთა იყო, ხოლო მეორე „დისკუსია“, რომელიც 1936 წლის მარტ-აპრილში გაიმართა, მიზნად ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის საბოლოო განადგურებას ისახავდა.

ივანე ჯავახიშვილის პირადმა წერილებმა შემოგვინახა ტოტალიტარული სისტემის ამსახველი არაერთი ფაქტი. სიმონ ჯანაშიასა და ვარლამ თოფურიასადმი მიწერილ წერილებში კარგად ჩანს, თუ რა რთულ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილი და რამდენად მძიმედ მოქმედებდა მასზე დატრიალებული ამბები.

როგორც უკვე აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის რექტორის პოსტი 1926 წელს დატოვა, მაგრამ

¹ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, (2004), დოკუმენტები და მასალები (XX ს-ის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, გვ. 16.

მის წინააღმდეგ ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ვფიქრობთ, სწორედ ამ ბრძოლის გამოძახილია 1930 წლის 31 სექტემბერს სიმონ ჯანაშიასადმი მიწერილ წერილში ივანე ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „უკანასკნელ დროს ძილი გამიტყდა: ფიქრები მოსვენებას არ მძლევს. ერთი აზრი მომივიდა, რომელსაც ჩამოსვლისთანავე გაგიზიარებთ. მე ჯერ კიდევ საქმის კეთილად მოგვარების იმედი არ დამიკარგავს“.¹ სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის იმედები არ გამართლდა, საქმე კეთილად ვერ მოგვარდა - იგი უნივერსიტეტიდან გააძევეს.

მის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მეორე ეტაპის ამსახველია ვარლამ თოფურიასადმი მიწერილი წერილები. 1936 წლის 12 აპრილის ბარათში ივანე ჯავახიშვილი ლენინგრადში მყოფ ვარლამ თოფურიას მისთვის წიგნების შეძენას სთხოვს და ამის მიზეზსაც განმარტავს – უნივერსიტეტში ჩემს წინააღმდეგ განახლებული ბრძოლის გამო წიგნები უნდა დავაბრუნო და მათ გარეშე მუშაობა გამომხდებოდეს: „რექტორმა კ. ორაგველიძემ 3 საათიანი მოხსენება წაიკითხა უ-ტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომების უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა. ამას მოჰყვა „კამათი“ ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბევრი შხამი პროექტორმა გრ. ჯანელიძემაც წამოანთხია. და ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა. ამბობდნენ, რომ ეს ვითომც ჩვეულებრივი კამპანიის დასაწყისია და ყურადღება არ უნდა მიაქციოთო, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ ამის შემდგომ უ-ტში დარჩენა აღარ შეიძ-

¹ივანე ჯავახიშვილი, (1996), წარსული ფურცლები, პირადი მიმოწერა, შემდგენელი ედიშერ ხოშტარია-ბროსე, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, გვ. 27.

ლებოდა, რათგან ეს ჩემი თავმოყვარეობის სრულ შელახვას უდრიდა და ამიტომ განათლების კომისარს განცხადება გადავეცი, რომ ტ.ს.უ-ს თავს ვანებებ, შევწყვიტე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნებაც და სულ სხვა სპეციალობის საკითხებზე უნდა დავიწყო მუშაობა.“ აქვე მოგვყავს ივანე ჯავახიშვილის მრავლისმეტყველი სიტყვები, რომელიც ამავე წერილის ბოლოშია მიწერილი: „ჩვენები ყველანი კარგად გახლავან. ჩემს მდგომარეობას კი ადვილად მიუხვდებით“.¹

ტოტალიტარიზმის მარყუჟებში მოქცეული ივანე ჯავახიშვილის მძიმე სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას საუკეთესოდ გადმოგვცემს ვარლამ თოფურიასადმი მიწერილი წერილი, რომელიც 1936 წლის 7 მაისით არის დათარიღებული: „ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდექი. ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლუელს სწორედ ათი წელიწადი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად -კი გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შევძლო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის იქნებ უცნაური იყოს კიდევაც წიგნების შეძენაზე ზრუნვა, მაგრამ მაინც კვლავ შეგაწუხეთ და ფული 1500 გადმოგიგზავნეთ თელეგრაფით. თუ ჩემი საქმე ისე წა-

¹ივანე ჯავახიშვილის მიმოწერიდან, (1987), ჟურნალი „მნათობი“, N8: 165-170, გვ. 168.

ვიდა, რომ მათი გამოყენება აღარ დამცალდა, ჩემ შვილს გა-
მოადგება, თუ სამეცნიერო კვლევა-ძიებას შეუდგება”.¹

არანაკლებ მნიშვნელოვანია 1937 წლის 23 იანვარს
დათარიღებული წერილი, რომელიც, მართალია, წინა წლის
ამბებს ეხება (საუბარია კ. ორაგველიძის 1936 წელს გაკე-
თებულ მოხსენებაზე), მაგრამ ის უნივერსიტეტის ორგანოში
ახლად დაბეჭდილი იყო. ივანე ჯავახიშვილი თავის ემოციებს
უზიარებს ვარლამ თოფურიას: „ვერ წარმოვიდგენდი, თუ
რომ ადამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე ურცხვად წაბილ-
წვა შესაძლებელი იყო. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა გუ-
ნებაზე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც 39 წლის განმავ-
ლობაში სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ თავის ნამუშევ-
რის ასეთს დახსნიათებას წაიკითხავს, ამასთანავე იმ დაწესე-
ბულების სათავეში მოქცეულ პირისაგან, რომლის შექმნას
მთელი თავისი ძალღონე და ჯანმრთელობა შეაღია!.. მაშინვე
განცხადება შევიტანე, რომ უნივერსიტეტში ლექციების კით-
ხვას მომავალ სემესტრში (თავს) ვანებებ მეძნელებოდა ამა-
ზე მოწერა, მაგრამ სულ არაფრის თქმაც არ შემეძლო. ეს-
ლაც ჩემს თავს ძლივს დავატანე ძალა, რომ ამაზე სიტყვა
ჩამომეგდო. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის გასაგები გახ-
დეს ჩემი ღუმილი, ამან მომაწერინა, თორემ აქაც ამაზე არა-
ვისთან საუბარი არა მაქვს და ჩუმად ჩემს გულში ვიკლავ
ჩემი მოღვაწეობის ამ საზიზღარი გაწბილების მცდელობას“.²

წერილებიდან კარგად ჩანს, რომ მის წინააღმდეგ დაწ-
ყებულ კამპანიაზე ივანე ჯავახიშვილი პრაქტიკულად არავის
ელაპარაკება. ის კი არა, თავსაც არ უყადრებდა სამარცხვი-

¹ივანე ჯავახიშვილი, (1996), წარსული ფურცლები, პირადი მი-
მოწერა, შემდგენელი ედიშერ ზოშტარია-ბროსე, თბილისი, გამომცემლობა
„მერანი“, გვ. 42-43.

²იქვე, გვ. 50-51.

ნო პასკვილების ავტორებს და არ ესწრებოდა ამ დისკუსიებს. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობის შემომქმედნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებს მიღმა იყვნენ და უნივერსიტეტის კედლებში მყოფ ადამიანებს ალაპარაკებდნენ. ეს უკანასკნელნი კი მონური მორჩილებით ასრულებდნენ მათ დაკვეთას. ტოტალიტარული რეჟიმისთვისაა დამახასიათებელი საზოგადოებაში სიბუღვილის, ზიზღის, ურთიერთგაუტანლობის დათესვა, რაც ხელისუფლებას ძალაუფლების შენარჩუნებაში ეხმარება.

1937 წლის 8 იანვარს მეცნიერი ვარლამ თოფურიას წერს: „ბედმა ბევრი უსიამოვნება მარგუნა მეტადრე უკანასკნელ ათეულში და ერთადერთი ნუგეში ჩემთვის სამეცნიერო კვლევა-ძიება იყო, ყოველთვის ასეთ შემთხვევაში თანდათანობით მღელვარება მიმშვიდდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწარეს მივიწყებდა ხოლმე“.¹

იმავე წერილში, როდესაც საუბრობს საქართველოს, კაკკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებზე წერს: „დამშვიდებული მუშაობაა საჭირო, მაგრამ მოსვენება არ მეღირსა!“²

ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში შეინიშნება ერთი საინტერესო პასაჟი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამოვთქვათ მოსაზრება ჯავახიშვილისადმი ხელისუფლების წარმომადგენელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულების შესახებ. ერთი მხრივ, მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ტოტალური ბრძოლა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორები ახმოვანებენ, ხოლო, მეორე მხრივ, მას სთავაზობენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევ-

¹იქვე, გვ. 55.

²იქვე.

რობას, რაც, რა თქმა უნდა, მთავრობის მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა (ვფიქრობთ, სტალინის) თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა. ჩვენი მოსაზრებით, საქმის არსი შემდეგშია: ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების მიერ ჯავახიშვილის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას დაბალ ეშელონებში, მათ შორის, სამეცნიერო წრეებშიც მხურვალე მომხრეები გამოუჩნდა კარიერისტების, დაბალი ინტელექტის მქონე პიროვნებების სახით, რომელთა მიზანიც ივანე ჯავახიშვილის დაწინაურებით ხელისუფლების წარმომადგენელთა კეთილგანწყობის მოპოვება იყო. ეს პროცესი, როგორც ჩანს, „ცენტრალიზებული“ წესით არ მიმდინარეობდა და ამიტომ იყო ასეთი გაორებული დამოკიდებულება ჯავახიშვილის პიროვნებისადმი. „სწორე მოგახსენოთ, დ. კანდელაკის დროს შემომთავაზეს წარგადგენთო, მაგრამ მისგან მოგზავნილის პირით მაღლობა შევუთვალე, მაგრამ ჯანმრთელობის გამოცა და სხვა მოსაზრებითაც თავითგან ავირიდე. მას შემდგომ მომდევნო წლებში ჩემდამი დამოკიდებულება ისე შეიცვალა, რომ მით უმეტეს ასეთი შესაძლებლობა ჩემთვის წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში ჩემდამი დამოკიდებულება საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ორაგველიძის საქციელი მაინც დამაზახსიათებელია: მტრულად განწყობილნი მაინც არ გამოლუულან, გენკოს საქციელიცა და მის მფარველთა განზრახვაც მაფიქრებინებს, რომ მანდაც ზოგიერთ აკადემიკოსთა მხრივაც ჩემდამი მაინცდამაინც კეთილმოსურნეობით გამსჭვალული დამოკიდებულება არ უნდა იყოს. ასეთ პირობებში კანდიდატურის წამოყენება სახიფათო იყო და ადვილად შესაძლებელია მარცხითაც დამთავრდეს, რაც ორაგველიძის მსგავსად განწყობილი პირებისათვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა მით უმეტეს, რომ ვერავის დააჯერებთ, რომ აკადემიკოსობის პრეტენზიები არ გქონია და

წარდგენის შესახებაც არა გცოდნია რა“ - სწერს ივანე ჯავახიშვილი ღონღუას 1937 წლის 27 მარტს.¹

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულების შეცვლის მიზეზები. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებებს დიდწილად განსაზღვრავდა სტალინის პირადი პოზიციები. ევროპაში XX საუკუნის 30-იან წლებში ბევრს საუბრობდნენ იოსებ სტალინზე, როგორც ველური ქვეყნის ველურ შვილზე. ამ შეხედულების გაბათილებას ემსახურებოდა სტალინის ღირექტივა - საქართველოს მეცნიერებს წარმოეჩინათ ყოველივე საუკეთესო ქართული. ასე აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი.

ივანე ჯავახიშვილისადმი საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციის შეცვლისთანავე, შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება არა მხოლოდ უნივერსიტეტში. ესეც ტოტალიტარული სისტემისთვის დამახასიათებელი სამარცხვინო შტრიხია, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ცხოვრობს არა საკუთარი აზროვნებით, არამედ უფროსების კარნახით. კონფორმიზმი, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ნიშანდობლივი მოვლენაა, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგრამ მას განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ამ პერიოდში ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილი ვარლამ თოფურიას 1936 წლის 29 მაისს წერს: „წინა წერილის შემდგომ (საუბარია 1936 წლის 7 მაისს მიწერილ წერილზე - გ. გ.) ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება ძირიანად შეიცვალა, რაზედაც დაწვრილებით მოგახსენებთ, როცა თბილისში გნახავთ. ამ ცვლილებასთან დაკავ-

¹ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი, (1968), ჟურნალი „მნათობი“, N9: 134-163, გვ. 143.

შირებით, შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა“.¹

ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებას, 1937 წლიდან - რუსთაველის მუზეუმს, 1939 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. თუმცა, მის წინააღმდეგ წარმოებულმა რეპრესიებმა დიდი დავი დაასვა მის ჯანმრთელობას, რაც, ფაქტობრივად, გახდა კიდევ მისი გარდაცვალების მიზეზი (გულის შეტევა).

ელჟარდ კარი, თავის ცნობილ წიგნში „რა არის ისტორია?“ წერდა: „ისტორიაში მიიჩნევა, რომ ადამიანს შეუძლია წინაპრების გამოცდილების თავის სასარგებლოდ გამოყენება და რომ პროგრესი ისტორიაში, მოპოვებული ქონების გადაცემას ეფუძნება. ეს მონაპოვარი მოიცავს როგორც მატერიალურ ქონებას, ისე უნარს, მოხდეს არსებული გარემოს დახვეწა, შეცვლა და გამოყენება“². საზოგადოებას წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა შეეძლოს არსებული გარემოს უკეთესობისაკენ შეცვლა. ამ კონტექსტშიც ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია დღეს, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების დროს, იმ შეცდომების თუ დანაშაულებების თავიდან ასაცილებლად, რასაც ადგილი ჰქონდა უახლოეს წარ-

¹ ივანე ჯავახიშვილი, (1996), წარსული ფურცლები, პირადი მიმოწერა, შემდგენელი ედიშერ ხოშტარია-ბროსე, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, გვ. 44.

² ელჟარდ ჰელეტ კარი, რა არის ისტორია? კემბრიჯის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლი 1961 წ. იანვარი-მარტი, ინგლისურიდან თარგმნა მანანა ბეზარაშვილმა, თბილისი, 2001, გვ. 107

სულში. გამოამკარავება პროგრესული და რეაქციული მოვლენებისა, მათი შეფასება და ადგილის მიჩენა ისტორიული განვითარების პროცესში, პირველ რიგში, აწმყოს, დღევანდელ თაობას სჭირდება.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის პირადი წერილები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისდამი ტოტალიტარული რეჟიმის დამოკიდებულებაზე, რომელიც, ზოგადად, „სისტემისა და მეცნიერის“ ურთიერთობას ასახავს. სისტემის ქვეშ აგრესიული, მორჩილი უმრავლესობასაც იგულისხმება, რომელიც რეჟიმის დასაყრდენს წარმოადგენს. მეცნიერის ბედისა და მეცნიერებისადმი ამ სისტემის დამოკიდებულების საკითხები დღესაც, სამწუხაროდ, აქტუალურია, რადგანაც დღევანდელი საზოგადოება არ არის განთავისუფლებული ე. წ. „ვულგარული ავტორიტარიზმის“ ტყვეობისაგან. საზოგადოების დიდი ნაწილს კვლავ ახასიათებს არა ჭეშმარიტებისადმი და პროფესიონალიზმისადმი ერთგულება, არამედ ხელისუფლებისადმი, ზოგადად კი, უფროსისადმი ლოიალობა, რაც აზარალებს არა მხოლოდ მეცნიერების განვითარებას, არამედ, ქვეყნის წინსვლას, რადგანაც ასეთი სისტემა ყოველთვის ეწინააღმდეგება პროგრესს.

დამოწმებანი:

1. ამარტოლი, ა., ქ. კბი, II.
2. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, (2004), დოკუმენტები და მასალები (XX ს-ის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.

3. ივანე ჯავახიშვილი, (1996), წარსული ფურცლები, პირადი მიმოწერა, შექმნილი ედიშერ ხოშტარია-ბროსე, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“.
4. ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი, (1968), ჟურნალი „მნათობი“, N9: 134-163.
5. ივანე ჯავახიშვილის მიმოწერიდან, (1987), ჟურნალი „მნათობი“, N8: 165-170.
6. კაკულია, ნ., 2012.12.10, როგორ გააძვევს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, [www. Tbilisebi.ge dspace. nplg. gov. ge/ bitstream/ 1234/10953/ 1 Tbilis University_2011_Ivanejavakhishvili.pdf](http://www.Tbilisebi.ge/dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10953/1/Tbilis%20Universiteti_2011_Ivanejavakhishvili.pdf) მოძიებულია 21.01.2017
7. ეღვარდ ჰელგეტ კარი, რა არის ისტორია? კემბრიჯის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლი 1961 წ. იანვარი-მარტი, ინგლისურიდან თარგმნა მანანა ბეზარაშვილმა, თბილისი, 2001, გვ. 107.

George Gotsiridze

Iakob Gogebashvili Telavi State University

**FORTUNE OF SCIENTIST IN THE CONDITIONS OF
TOTALITARIAN REGIME
(ACCORDING TO IVANE JAVAKHISHVILI'S
PRIVATE LETTERS)
RESUME**

The private letters of Ivane Javakhishvili represent bright evidence about attitude of totalitarian regime towards him, reflecting common relationship between ‘system and scientist’. Under ‘system’ aggressive obedient majority is considered too,

which often becomes a foothold of regime. The issues of scientist's fortune and attitude of system towards science unfortunately keep actuality, because today's society is not free from captivity of 'vulgar authoritarianism'. The large part of society is still characterized by devotion not towards professionalism and truth, but towards the authority, in general, by loyalty to the boss, which damages not only development of science, but also the country's development since such a system is contrary to progress.

შოთა ვადაჭკორია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**ეროვნული ფრონტის შექმნის საკითხი და ქართული
ემიგრაცია
(1931-1940 წწ)**

დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის საქმიანობა ევროპაში მიმდინარე უძძიმეს პოლიტიკურ პროცესებს დაემთხვა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ქართველებისადმი დამახასიათებელი შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, გათითოკაცებული ფორმით პირველობისათვის ბრძოლა. მართალია, ყოველი მათგანი ერის დაკარგული თავისუფლების აღდგენაზე და საქართველოს საბჭოური უღლისგან განთავისუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ, „ავიწყდებოდათ“, რომ დასახული მიზნის მიღწევა ღრმად გააზრებული ერთიანი სამოქმედო გეგმის შექმნაზე და მისი ამოქმედებით იყო შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ხშირად ანგარიშს არ უწევდნენ ჯერ კიდევ ოფიციალურად მოქმედ საქართველოს კანონიერ მთავრობას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნოე რამიშვილის მკვლევლობით, ქართულ ემიგრაციასა და მის ხელმძღვანელ ლეგიტიმურ მთავრობას, უდიდესი პოლიტიკური, იდეოლოგიური და მორალური დარტყმა მიაყენეს. ამ სიმძიმეს, განსაკუთრებით საქართველოში, არალეგარულად მოქმედი ანტისაბჭოური ძალები განიცდიდნენ. იმ პერიოდის საარქივო მასალებით ირკ-

ვევა, რომ ქართულ ემიგრაციაში არსებული არაფჯანსადი მდგომარეობა, საქართველოში არალეგარულად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრისთვის მიუღებელი იყო. ამის უღაო დადასტურებას იმავე პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 19 აგვისტოს არალეგარულ სხდომაზე „ამირანის“ მოხსენების საფუძველზე მიღებული რეზოლუცია წარმოადგენს. ამ დოკუმენტში, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების პარალელურად, ქართული ემიგრაციის მესვეურებისადმი კატეგორიული ფორმის მიმართვაა გაკეთებული: „ქართველი ერი - ვკითხულობთ დოკუმენტში - დაყენებული კატასტროფის წინაშე, მოითხოვს თავისი მეთაურებისგან გამოსავლის გამონახვას, მოუწოდებს თითოეულ თავის შვილს დაივიწყოს ყველაფერი: პირადი ცხოვრება, აზრთა სხვადასხვაობა და დადგეს ერთი დროშის ქვეშ, რომელსაც აწერია საქართველოს განთავისუფლება.“¹

ჩემს მიერ მოტანილი დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური პარტიების „გამოფხიზლებასა“ და პარიზის ქართულ ეროვნულ ცენტრთან ურთიერთობის განახლების გადაწყვეტილების მიღებაზე გარკვეული როლი შეასრულა. მხედველობაში მაქვს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის 1932 წლის 12 მარტის კრებაზე მიღებული დადგენილება. იგი საქართველოს გასანთავისუფლებლად პოლიტიკური ძალების გაერთიანების პათოსითაა დატვირთული. „ვარშავაში არსებული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია - ვკითხულობთ დოკუმენტში - მოგესალმება თქვენ, როგორც ორგანოს... გაერთიანებისას... ყოველი პატიოსანი ქართველის მოვალეობაა,

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში იხ. სცსა). ფ. 2117, აღწ. 1. საქ. 295. ფურც. 18

რითაც შეუძლია იბრძოლოს მტრის წინააღმდეგ. ჩვენი ორგანიზაცია, როგორც ერთი კაცი, მზათ იქნება თავი შესწიროს საქართველოს საქმეს... პირველივე თქვენი დაძახებისთანავე. ჩვენ... ყოველთვის ვიქნებით ბარიკადების პირველ რიგში და ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი ძვირფასი სამშობლოს გასანთავისუფლებლად. ჩვენი ლოზუნგია გაერთიანებული შეუდრეკელი... ბრძოლა ყოველი სჯულის მტრების წინააღმდეგ, როგორც ემიგრაციაში, ისე იქ საქართველოში. მაშ გაუმარჯოს გაერთიანებულ ბრძოლას გამარჯვებამდე.¹ ლოკუმენტს ხელს კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ კუპრაშვილი და მდივანი ასლან ციციქილაძე აწერდნენ. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის ბეჭდით იყო დადასტურებული.

პარიზის ქართული ეროვნული ცენტრისადმი ოფიციალური ფორმით მხარდაჭერა, მისი ხელმძღვანელობით საქართველოს გასანთავისუფლებლად მზადყოფნის გამოთქმა, იმ მძიმე პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, განსაკუთრებულ იდეოლოგიურ და მორალურ-ზნეობრივ დატვირთვას იძენდა. ამ ფაქტით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის მესვეურებმა სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს პირდაპირ მიანიშნეს: როცა სამშობლო მტრისგანაა ოკუპირებული და ქართველობა მონობის უღელქვეშ გმინავს, ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ელიტას ურთიერთშორის კინკლაობის უფლება არ ქონდა. სურდა თუ არა, ერთმანეთთან საერთო ენა უნდა გამოეძებნა და ერთობლივი ძალებით ქვეყნის ხსნაზე ეზრუნა. აღნიშნული საზიდან გადახვევა, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მხრიდან, ბორკილებით დამძიმებული საქართველოსადმი დალატის ტოლფას ქმედებას წარმოადგენდა.

¹ სცსა. ფ. 1861. აღწ. 3. საქ. 244. ფურც. 3

არსებული პოლიტიკური სიტუაცია პარიზის ქართველთა ეროვნული ცენტრსა და ემიგრაციული მთავრობის მესვეურთ, ეროვნულ-დემოკრატებისგან (რ. გაბაშვილის ჯგუფისაგან) 1929 წელს ეროვნული ცენტრის თვითნებურად დატოვების ფაქტის „მივიწყებას“ და გარკვეულ კომპრომისზე წასვლას ავალდებულებდა. მითუმეტეს იმავე ვარშავიდან საქართველოს მთავრობისადმი მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციაში შ. ამირეჯიბისა და ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის დაჯგუფებას შორის უშიშმეს დაპირისპირებას ქონდა ადგილი. ამის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და დემოკრატიული კავშირის (დ.კ.) დელეგაციების გაერთიანებული სხდომის (1931 წლის 28 თებერვალი) სტენოგრაფიული ანგარიში. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ამის შესახებ სხდომის მონაწილეებს ნ. ჟორდანიამ დაწვრილებით მოახსენა და იქვე დასძინა: „ჩემთან იყვნენ ვაჩნაძე-გაბაშვილი და მათ გადავეცი ვარშავიდან მიღებული ცნობა. მათ დაიწყეს ლაპარაკი შეთანხმებაზე და მე ვუთხარი, რომ მოელაპარაკეთ გვაზავას ჯგუფს მეთქი. ისინი აყენებდნენ საკითხს, რომ იყოს პარალელური მუშაობა. ამაზე მე ვუთხარი, რომ ეს ფორმის საკითხია და მოვიფიქრებთ მეთქი.“ ამ შემთხვევაში მხედველობაში იყო მისაღები ასათიან-გაბაშვილის ჯგუფის წაჯექუჯექის წარსული ქმედებებიდან გამომდინარე გამოცდილება, რის გამოც მისაღმი განსაკუთრებული ნდობის გამოცხადება და გ. გვაზავას ჯგუფის განაწყენება დაუშვებელი იყო. აქედან გამომდინარე, საკითხი ოფიციალური მსჯელობის დონეზე უნდა დასმულიყო და გადაწყვეტილების მიღება პარტიეტის პრინციპს დაფუძნებოდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ალ. ასათიან-რ.გაბაშვილის ჯგუფთან მო-

ლაპარაკების საკითხი, საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებისა და პოლიტიკური პარტიების დელეგაციის 1931 წლის 13 ივნისის გაერთიანებული სხდომის განხილვის საგანი გახდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის ჯგუფზე დაყრდნობა, თათბირის მონაწილეებმა დაუშვებლად მიიჩნიეს. ს. ფირცხალავა და ე. გეგეჭკორი, ალ. ასათიანის გულწრფელობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ და საკითხის გულდასმით შესწავლას პრინციპულად მოითხოვდნენ. მეორე მხრივ, გ. გვაზავას ჯგუფთან შეთანხმების გარეშე, ასათიან-გაბაშვილის ჯგუფის შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას დაუშვებლად თვლიდნენ. რაც შეეხება ივ. ზურაბიშვილს, მან პრინციპული ფორმით განაცხადა, რომ ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გ. გვაზავას ჯგუფთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის ჯგუფთან რაიმე სახის მოლაპარაკების გამართვა მიზანშეუწონელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „ერთ მშვენიერ დღეს, გვაზავას ჯგუფი შეიძლება იძულებიდან გამომდინარე ფრონტიდან გავიდეს, ხოლო ასათიანის ჯგუფი კი არ არის სანდო კონტინგენტი, რომელზედაც შეიძლებოდა თქმა, რომ ბოლომდე შერჩება ფრონტს და თუ ისიც გავიდა, მაშინ კვლავ დადგება ის კრიზისი, რომელიც წინათ იყო, როცა ამ ჯგუფმა ცენტრიდან თავისი ხალხი გამოიყვანა.“

ხსენებული ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ზემოაღნიშნული სხდომის მონაწილეები, ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის ჯგუფის სანდოობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური კონიუნქტურისა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მათთან შეთანხმების საკითხზე მოლაპარაკებას ცდილობდნენ. ამ პრინციპს დაეფუძნა იმავე

სხდომის მიერ მიღებული წინადადებები: „1) ნაციონალური ცენტრი მომხრეა შეთანხმება მოხდეს ასათიან-გაბაშვილის ჯგუფთან; 2) ეს გადაწყვეტილება ეცნობა ნაციონალურ ცენტრში შემაჯავალ ნაციონალ-დემოკრატიების წარმომადგენლებს, რათა მათ დაამთავრონ მოლაპარაკება თავის მოძმე ჯგუფთან; 3) მოლაპარაკების საკითხი გადაეცეს პარტიათა დელეგაციას თავისი აზრის წარმოსადგენათ ცენტრში.“

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ეროვნულ ცენტრში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები, ასათიან-გაბაშვილის ჯგუფის მიღებაზე თანახმანი იყვნენ, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ყველაზე სანდო და საერთო საქმეში დასაყრდენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გ. გვაზავას ჯგუფს მიანდევს. ეს იყო პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ასათიან-გაბაშვილის ჯგუფის მომდევნო საქმიანობასთან მიმართებაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გ. გვაზავას ჯგუფს დაეკისრებოდა, რადგან გადამწყვეტი სიტყვა მას უნდა ეთქვა და საეჭვო პოლიტიკური რეპუტაციის ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის ჯგუფისათვის რეკომენდაცია გაეწია.

ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის ჯგუფის ეროვნულ ცენტრში მიღების საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს ეროვნული მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებისა და დემოკრატიული კავშირის დელეგაციების 1932 წლის 5 ნოემბრის გაერთიანებულმა სხდომამ საგანგებოდ იმსჯელა. სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ სხდომას შემდეგი სახის დადგენილება მიუღია: „საქართველოს ეროვნული ცენტრი დგას მის მიერ არაერთხელ გამოთქმულ აზრზე, რომ გაფართოებული იქნას საერთო ფრონტი ყველა ქართული ანტიბოლშევიკური ძალებით, რომელნიც მომხრე იქნებიან ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის. სა-

ხეში იღებს მთავრობის იმ განცხადებას, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იმ მიმდინარეობამ, რომელმაც ამ სამი წლის წინათ ეროვნული ცენტრი დატოვა, შემდეგ თავისი საჯარო გამოცხადებით თუ მთავრობასთან მოლაპარაკებით ცხადყო სურვილი საერთო ფრონტში შემოსვლის და ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის. რომ ასეთი თანამშრომლობა არ იქნება ნაყოფიერი თუ მათ წარმომადგენლებს მჭიდრო კავშირი არ ექნებათ ცენტრთან და ამიტომაც ადგენს: შემოვიდეს ეროვნულ ცენტრში ერთი მათი წარმომადგენელი სხვა პარტიების წარმომადგენლებთან თანასწორი უფლებით (ერთი ხმა) და ერთი წარმომადგენელიც სათათბირო ხმით.“

ამ დოკუმენტს იმ ეტაპზე განსაკუთრებული პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მრავალგზის წაჯექ-უკუჯექის მიუხედავად, ეროვნული ცენტრის წევრები, ქართული ემიგრაციის ძალთა კონსოლიდაციის მიზნით, ერთხელ კიდევ კომპრომისზე წასვლის ოფიციალურ სურვილს აცხადებდნენ. ამ ფაქტით, ემიგრაციის ყველა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობის და ჯგუფის წარმომადგენლებს ერთხელ კიდევ შეახსენეს მათ წინაშე მდგომი ამოცანები და ის პასუხისმგებლობა, რომელიც უცხოეთში გადახვეწილ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და დამფუძნებელი კრების წევრებს გააჩნდა ქართველი ერის წინაშე. ჩემს მიერ არქივსაცავებში მოპოვებული დოკუმენტური მასალით აშკარად იკვეთება, რომ პარიზის საქართველოს ეროვნულ ცენტრში გაერთიანებული ემიგრაციის ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, ზემოაღნიშნული პრინციპით განიხილავდნენ პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულებისა და ოკუპირებულ საქართველოსთან მიმართებაში არსებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

რაც შეეხება „ეროვნული ცენტრის“ შემადგენლობას და მის უფლებებს, ეს საკითხი საქართველოს ემიგრაციული მთავრობის 1933 წლის 17 ნოემბრის სხდომამ საგანგებოდ განიხილა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. „დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების და საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლი პარტიების წარმომადგენლების შეერთებული სხდომა - ვკითხულობთ დოკუმენტში, - წარმოადგენს საქართველოს „ეროვნულ ცენტრს,“ რომელიც აერთიანებს საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის აღნიშნულ პარტიებს არსებულ შეთანხმებათა ნიადაგზე... ეროვნული ცენტრი იმუშავებს საერთო პოლიტიკურ ხაზს, იღებს სამოქმედო გეგმას და დადგენილებებს და პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს მათ შესრულებაში მთავრობასთან ერთად თავისი კომისიების საშუალებით.“

ამონაწერის მიხედვით კარგად ჩანს, „ეროვნული ცენტრის“ მდგომარეობა და მისი უფლებები. ამ ფონზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ნაჩვენები იქნას „ეროვნულ ცენტრში“ გაერთიანებულ ძალთა (მთავრობა, პარტიათა წარმომადგენლობა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი) სრული სახე. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ იმ ეტაპზე (1933 წელი) საქართველოს ემიგრაციულ მთავრობაში 4 სოციალ-დემოკრატი (ნ. ჟორდანია - თავმჯდომარე, აკ. ჩხენკელი, კ. კანდელაკი, ე. გეგეჭკორი) და ერთი ეროვნულ-დემოკრატი - ი. ზურაბიშვილი შედიოდა. რაც შეეხება პარტიათა წარმომადგენლობას, ანუ კოლეგიას, მასში პოლიტიკური პარტიებიდან 7 კაცი იყო გაერთიანებული: სოციალ-დემოკრატები - 2, ეროვნულ-დემოკრატები - 3, სოციალისტ-ფედერალისტები - 1. კ. ჩხეიძის გარდაცვალების შემდეგ, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში ერთი ეროვნულ-დემოკრატი და

ერთი სოციალისტ-ფედერალისტი დარჩა, რომლებიც ეროვნულ ცენტრში თითო ხმის უფლებით სარგებლობდნენ.

ზემოაღნიშნული ამ სამი ორგანიზაციის (მთავრობა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, პარტიათა წარმომადგენლობითი კოლეგია) ბაზაზე შეიქმნა პარიზის ქართული ეროვნული ცენტრი. მისი შემადგენლობა წარმომადგენლობითი თვალსაზრისით იმ ეტაპზე შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სოციალ-დემოკრატები - 6, ეროვნულ-დემოკრატები - 4, სოციალისტ-ფედერალისტები - 1, სოციალისტ-რევოლუციონერები - 1.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, თუკი იმ პერიოდის ქართული ემიგრაციის შესახებ არსებულ დოკუმენტურ მასალებში საფუძვლიანად ჩავლრძავდებით, ეროვნული ცენტრისადმი დაპირისპირებულ მდგომარეობაში გ. კერესელიძისა და ვლ. ახმეტელის ხელმძღვანელობით მოქმედი ბერლინის დაჯგუფება წარმოჩნდება. ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარის მ. წულუკიძის მიერ ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გ. კერესელიძეს არ სწამდა ქართველთა ერთიანობა. აქედან გამომდინარე, იგი ებრძოდა საერთო ფრონტს და ეროვნულ მთავრობას. ანალოგიური პოზიცია ეჭირა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოფილ სრულუფლებიან ელჩს გერმანიაში ვლ. ახმეტელსაც. გ. კერესელიძისგან განსხვავებით, იგი ნ. ჟორდანიას უცხადებდა ბრძოლას და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ჯგუფებად დანაკუწებას მას აბრალებდა. ამის დადასტურებას, მის მიერ დ. შარაშიძისადმი 1932 წლის 15 მაის გაგზავნილი წერილი წარმოადგენს. „შორსმჭვრეტელ ხელმძღვანელობას მოკლებული ქართული ემიგრანტობა - ვკითხულობთ დოკუმენტში - დაიყო ჯგუფ-ჯგუ-

ფებად, წინანდელი პარტიობის მთლიანობა დაიშალა. საზოგადოებრივი აზრი აღარ არსებობს, გაჩნდა მარტო ჯგუფობრივი ორგანოები და თავისუფლად მოაზროვნე ქართველს არ შეუძლია მიაწოდოს თავისი ხმა უშუალოდ მკითხველ საზოგადოებას. ნ. ჟორდანიას კი უნდა ეთამაშა სხვა როლი, როგორც მთავრობის სათავეში მყოფს. იურიდიულ უფლებებადაკარგულს მას უნდა გაეძლიერებია ზნეობრივი, ეთიური, სამართლიანობის სავსე გავლენა, რაც სრულიად მოსპობდა ჯგუფობრიობას და უაზრო შეხლა-შემონლას. ამით დამტკიცდებოდა, რომ ის მართლაც ერის ნამდვილი მეთაური და ხელმძღვანელია. ახლა ის, არა თუ ერის, არც პარტიის წარმომადგენელია. მას ჰყავს თავისი მცირე ჯგუფი, ასე ვთქვათ, თავისი მრევლი. ამ ჩემი შეხედულების აზრს-სინდისიერს და მართალს არ ვმაღავდი და არ ვმაღავ, რადგან ჭეშმარიტებისათვის მე მხოლოდ ერთი ქისა მაქვს და არა რამდენიმე, როგორც დაუვიწყარ ილიას „ოთარანთ ქერისს“.

როგორც ვხედავთ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ჯგუფებად დანაკუწების მიზეზად, ნ. ჟორდანიას დასახელებული. ვლ. ახმეტელის „მტკიცებით,“ იურიდიულად უფლებდაკარგულ მთავრობის თავმჯდომარეს, ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური პარტიის ლიდერებზე ზნეობრივი, ეთიური და სამართლიანობის გავლენა უნდა გაეძლიერებინა. მისი ეს განცხადება, რიტორიკულ ელფერს ატარებდა, რადგან მთავრობის თავმჯდომარისადმი დაუმორჩილებლობის პირველი ნაბიჯი თავად ვლ. ახმეტელმა გადადგა. მხედველობაში მაქვს მისი ელჩობიდან გადაყენების შესახებ ნ. ჟორდანიას ბრძანებისადმი არდამორჩილება იმ მოტივით, რომ ელჩი საქართველოს პარლამენტის მიერ იყო დამტკიცებული და მთავრობის თავმჯდომარეს მისი გადაყენება-არგადაყენების საკითხის გადაწყვეტის უფლება არ ქონდა. სოციალ-დემოკრატი-

ული პარტიის წარმომადგენლის მხრიდან საქართველოს კანონიერი მთავრობის თავმჯდომარის არაფრად ჩაგდების ფაქტი, ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და ჯგუფებისთვის, სამოქმედო ხაზის თვალსაზრისით, გარკვეულ მინიშნებას წარმოადგენდა.

პარვარდისა და ლევილის საარქივო ფონდებში დაცული მასალების მიხედვით, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდ ნაწილში, პოლიტიკური პარტიების შიგნით ამბიციურობამ და პირველობისათვის ბრძოლამ იჩინა თავი. ემიგრაციის პირველ წლებში ეს რღვევითი პროცესი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში დაიწყო, რის შედეგადაც ქართულმა ემიგრაციამ ამ პოლიტიკური პარტიისგან რამდენიმე ჯგუფური მიმდინარეობა მიიღო. მოგვიანებით (XX საუკუნის 30-იანი წლები) ანალოგიური მოვლენა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც განხორციელდა. პოლიტიკურ ჯგუფობრიობაზე დაფუძნებული გათითოკაცებული ქმედება, ევროპაში მიმდინარე რთული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ერთიანი ფრონტის შექმნისა და საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების დელეგატთა კონფერენციაზე (1934 წლის 22 აპრილი) ვასო წულაძე ქართველი ერის განთავისუფლებისათვის ორი მიმართულებით მუშაობის საკითხს აყენებდა: 1) მეორე ინტერნაციონალის დახმარების შესაძლებლობის გამოყენება და 2) ევროპის სახელმწიფოებისგან დახმარების რეალური მიღება. აქედან გამომდინარე, იგი ეროვნული ცენტრისა და მთავრობის ერთობლივ მუშაობას, ორ ფრონტზე – ინტერნაციონალში და სახელმწიფოებთან აუცილებლობად თვლიდა. პარალელურად, საომარი მოქმედებების საქართველოს სასარგებლოდ გამოყე-

ნებასაც არ გამორიცხავდა. „მე იმის მომხრე ვარ - ამბობდა ვ. წულაძე, - რომ ომი თუ მოხდა, ის ჩვენდა სასარგებლოთ მოვიხმართ.“¹ დასახული ამოცანის შესასრულებლად, მაღალ პროფესიულ დონეზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა აუცილებლობას წარმოადგენდა. იგი ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით უნდა შექმნილიყო. სწორედ ამისთვის იყო საჭირო ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების ერთ საერთო ცენტრში – ფრონტში გაერთიანება. მის გარეთ ყოფნა იმ ეტაპზე ეროვნული საქმისადმი ზურგშექცევას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, ეროვნული ცენტრის მიერ დასახული მიზნები და ამოცანებია გასათვალისწინებელი, რომლებიც ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა ურთიერთთანამშრომლობით უნდა განხორციელებულიყო. თუ რა ძირითადი საკითხების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად ეროვნული ცენტრი, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი კ. ქავთარაძისა და ს. მენაღარიშვილის მიერ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი 1933 წლის 10 მარტს გაგზავნილ მოხსენებაში. ამ დოკუმენტის ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენისათვის შესაბამისი საფეხურის მოსამზადებლად უნდა იყოს მიმართული; 2) საერთაშორისო მასშტაბით ეროვნული ცენტრის სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ერთა ლიგის, ადამიანთა უფლებების დამცველი საზოგადოების და პოლიტიკური წრეების მხარდაჭერის მოპოვებაზე უნდა ყოფილიყო აგებული; 3) საქართველოს საკითხის, როგორც საერთაშორისო ხასიათის მოვლე-

¹ სცსა. ფ. 2117. აღწ. 1. საქ. 356. ფურც. 12

ნის პოლიტიკური სივრციდან მოხსნის მცდელობის არდაშვება საქართველოს ეროვნული ცენტრის მუშაობით უნდა განხორციელდებოდეს; 4) ქართველი ხალხის თავისუფლების მოსაპოვებლად პერმანენტული ბრძოლის შენარჩუნება ეროვნული ცენტრის პრინციპულ პოზიციაზე დგომით უნდა მომხდარიყო. იმავე მოხსენების შემაჯამებელ ნაწილში კვითხულობთ: „ეროვნული ცენტრი, როგორც სრული გამოხატულება საქართველოს ყველა ანტისაბჭოთა მიმდინარეობის, სავესბით დგას ეროვნული მთავრობის, საქართველოს ამ მეზობელი შტაბის პოლიტიკური და პრაქტიკული მუშაობის ხაზზე... ჩვენ არასოდეს დაუშვებთ, რათა ეროვნული ძალების დაქსაქსვა მტერმა შეძლოს. ამავე დროს ჩვენი მიზანია ამ ჯოჯოხეთურ პირობებში საშუალება მივცეთ, ხელი შევეწყუყოთ ეროვნულ მთავრობას იმ მიზნების განხორციელებაში, რომელიც მას ერმა და ისტორიამ დააკისრა. ჩვენ იმედი გვაქვს, ეროვნული ცენტრი ამ ბრძოლაში მის მშობელ ერთან იქნება და შეეცდება მას მეგობრები, თანამებრძოლნი მოუპოვონ და მით ქართველ ერს თავისუფლების მოპოვება გაუადვილოს.“

ჩემს მიერ მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, ეროვნული ცენტრის ის საპასუხისმგებლო მისია, რომელიც ქართველი ერის ხვალისდელ დღესთან, მისი თავისუფლების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული. მასში გამოკვეთილი ფორმით წინა პლანზეა წამოწეული ერთიანი ძალებით იდეოლოგიურ ფრონტზე საბჭოთა იმპერიის საინფორმაციო საშუალებებისადმი დაპირისპირების აუცილებლობა და ერში მომავლისადმი რწმენის შენარჩუნება. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ პარიზის საქართველოს ეროვნული ცენტრი, ქართული ემიგრაციისა და ამიერკავკასიის ერების ემიგრაციული მთავრობების ანტისაბჭოური საქმიანობის საყრდენ სა-

ფეხურს წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები მის დასაშლელად და ცენტრის შემადგენლობაში შემავალი პოლიტიკური პარტიების წევრთა ურთიერთდასაპირისპირებლად ყოველგვარი სახის საშუალებებს - მათ შორის მოსყიდვის ფორმასაც მიმართავდა. აქედან გამომდინარე, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლების მხრიდან პარიზის ქართველთა ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულებრივ ქმედებად უნდა შეფასდეს, რადგან ნებისთიე უნებლიედ, ისინი საბჭოთა სპეცსამსახურების ხელშემწყობ საქმეს აკეთებდნენ. სამწუხაროდ, ეს ფაქტი ქართული ემიგრაციის ზოგიერთი ჯგუფის წარმომადგენლებს სიღრმისეულად არ ჰქონდათ გაცნობიერებული და პოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე, ეროვნულ ცენტრში განხეთქილების შესატანად „ხმალამოწვილი“ იბრძოდნენ.

ამ მიმართულებით, მათი მხრიდან გაწეული საქმიანობისათვის დანაშაულის სამართლებრივი ფორმის მიცემას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის საქართველოს ეროვნული ცენტრის მიერ 1933 წლის 15 ივლისს შექმნილი კომისიის დასკვნები. მასში გარკვევითაა მითითებული: „1) ეროვნული ცენტრი არის საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის უმაღლესი ორგანო უცხოეთში; 2) მისი შემადგენლობა აგებული არის საფუძველზე: დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული მთავრობა და საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიების წარმომადგენლობა, ერის სათავეში მყოფი საფუძველს უყრის ჩვენი ბრძოლის უფლებრივსა და რეალური მოქმედების ფაქტორებს; 3) ეროვნული ცენტრი იმუშავებს საერთო ხაზს და სამოქმედო გეგმას, არჩევს და წყვეტს საქმეებს და პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს მათ შესრულებაში მთავრობასთან ერთად თავისი კომისიების საშუალებით; 4) ეროვნული ცენტრი აარსებს შემდეგ კომისიებს: 1)

საფინანსოს, 2) საიდუმლო საქმეების, 3) საემიგრაციოს, 4) პოლიტიკურს; 5) არცერთი ეს ორგანიზაციები არ შეიძლება შედგეს მხოლოდ ერთი რომელიმე პარტიის წარმომადგენლისგან; 6) საფინანსო კომისია ზრუნავს ქონებრივი სახსრებისათვის, განიხილავს მთავრობის მიერ შემუშავებულ ხარჯთაღრიცხვას ცენტრში წარდგინებამდე და დაურთავს მას თავის მოსაზრებებს: 1) ადევნებს თვალყურს ხარჯების წესიერ გაწევას და წლის ბოლოს ახდენს რევიზიას (ფორცხალავას ფორმულა); 2) პოლიტიკური კომისია – პოლიტმუშაობა უცხოეთში (ივ. ზურაბიშვილის ფორმულა); 3) საიდუმლო საქმის კომისია – კავშირი საქართველოსთან და საიდუმლო საქმეები; 4) საემიგრაციო კომისია – განმტკიცება ეროვნული ფრონტის იდეის და მის გარშემო შემოკრება ემიგრაციის, როგორც საფრანგეთში ისე სხვაგან.“¹

ასეთი სახის დოკუმენტის მიღების მიუხედავად, ევროპაში შექმნილმა უმძიმესმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და საბჭოთა იმპერიის მხრიდან საქართველოში მდგომარეობის გაუარესებამ, ეროვნული ცენტრის წინაშე პრინციპულად დააყენა საკითხი პრაქტიკული საქმიანობის პოლიტიკური პროცესების შესატყვის ფორმებში წარმართვის შესახებ. მხედველობაში მაქვს, 1921 წლიდან 1933 წლის მონაკვეთში განვლილი მუშაობის გამოცდილების შედეგები. მისი ანალიზიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სამთავრობო წარმომადგენლობა დარწმუნდა, რომ ყველა მნიშვნელოვან პრობლემასთან მიმართებაში, ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაიდუმლოებას საჭიროებდა. ამ მიმართულებით, ქმედითი ღონისძიების გასატარებლად, ეროვნული ცენტრის 1933 წლის 27 ივლისის სხდომაზე მიღებული დადგენილებით, ეროვნული ცენტრის ზემოაღნიშნული

¹ სცსა. ფ. 1861. აღწ. 3. საქ. 254. ფურც. 91

სტრუქტურის მუშაობის გარკვეული ფორმით კორექტირება იქნა დასახული. ახლადშექმნილი დოკუმენტის მიხედვით, ცენტრის თავმჯდომარესთან განსაკუთრებული ვიწრო პოლიტიკური კომისია უნდა შექმნილიყო, რომელიც თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ცენტრის პოლიტიკური კონტროლის ქვეშ განახორციელებდა მუშაობას. განსაკუთრებული პოლიტიკური კომისიის ძირითადი საქმიანობა შემდეგი უფლებებით შემოიფარგლებოდა: 1) ზედამხედველობას უწევდა ეროვნული ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა კომისიის მუშაობას; 2) კავშირს ამყარებდა საქართველოსთან და აწარმოებდა კონსპირაციულ საქმიანობას; 3) განსაკუთრებული პოლიტიკური კომისია ვალდებული იყო სცოდნოდა ყველა სახის საიდუმლოება. განსაკუთრებული პოლიტიკური კომისიის წევრთა შემადგენლობის შერჩევა თავმჯდომარის რეკომენდაციით ხდებოდა. მისივე უფლებებში შედიოდა იმავე კომისიის საქმეთა გამგის დამტკიცებაც.

ეროვნული ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ „განსაკუთრებულ პოლიტიკურ კომისიას,“ მართალია, მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება ქონდა დაკისრებული, მაგრამ, მისი არსებობა და საქმიანობა ემიგრაციული მთავრობის გაუქმებას ან დისკრედიტაციას სრულებითაც არ ნიშნავდა. ამასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული დოკუმენტის პირველ და მეორე შენიშვნაში ვკითხულობთ: „განსაკუთრებული პოლიტიკური კომისია... ჩვენს შემთხვევაში არ გულისხმობს მთავრობის გაუქმებას პოლიტიკურათ როგორც ქვეყნისთვის ისე ემიგრაციისათვის. მას მხოლოდ იურიდიულად მოუხდება ოფიციალური ნაბიჯების გაკეთება უცხოეთში... განსაკუთრებული პოლიტიკური კომისია ეროვნული ცენტრის, ე.ი. მთავრობისა და პარტიათა დელეგაციის ორგანოა და პასუხისმგებელია მის წინაშე. ცენტრი მთლიანად... ჩაბმულია საქვეყნო მუშაო-

ბაში. ხოლო მუშაობის გეგმას განსაკუთრებული კომისია უდგენს დასამტკიცებლად.“ ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ განსაკუთრებული პოლიტიკური კომისია, მისი მაღალი უფლებების მიუხედავად, მთავრობისა და პარტიების დელეგაციათა ორგანოს წარმოადგენდა და, რაც მთავარია, გაწეული საქმიანობის შედეგებზე მის წინაშე იყო პასუხისმგებელი.

დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ზემოაღნიშნული „ეროვნული ცენტრისა“ და მასთან არსებული „განსაკუთრებული პოლიტიკური კომისიის“ წევრებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, – საბჭოთა რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს დასარღვევად და თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდებოდა, თუკი იგი მხოლოდ ქართველთა შესაძლებლობების იმედად დარჩებოდა. აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები იმ ხელშემწყობი საფეხურის შემზადებას ცდილობდნენ, რომელიც დაპყრობილი ერების ძალთა კონსოლიდაციას შეუწყობდა ხელს. პირველი რიგის ამოცანად ქართული ემიგრაციის მესვეურებმა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების ემიგრაციის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთობა, ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და პოლიტიკური სიტუაციის შექმნისთანავე მისი ამოქმედება დაი-სახეს მიზნად. ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავებას ითვალისწინებდა რუსეთის ჩაგრულ ერებთან კავშირის დასამყარებლად შექმნილი საგანგებო კომისია, რომლის წევრთა შემადგენლობა (ე. გეგეჭკორი - მთავრობის წარმომადგენელი, გ. გვაზავა, ს. ფირცხალავა, ივ. ზურაბიშვილი, ალ. ასათიანი, ს. მენაღარიშვილი) ეროვნული ცენტრის 1934 წლის 20 ივნისის სხდომამ დაამტკიცა. იმავე დადგენილებით, კომისიის მიზნები და ამოცანებიც იქნა განსაზღვრული. „კომისია - აღნიშნულია დოკუმენტში - იღებს ზომებს რუსეთის ფარგლებ-

ში მოქცეული ჩაგრულ ერებთან დასაახლოებლად. აწყობს მათ წარმომადგენლებთან უცხოეთში შეხვედრებს, საუბრებს, კრებებს, არკვევს მოქმედების პირობებს და იმუშავებს გეგმებს საერთო გამოსვლებისათვის.“ ეს დადგენილება, ევროპაში იმ ეტაპზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შეესაბამებოდა და საბჭოთა იმპერიისადმი დასაპირისპირებლად, რუსეთის ჩაგრული ერების ემიგრაციულ მთავრობებთან საერთო ენის გამოძებნაზე იყო გათვლილი.

ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი (ეროვნულ ცენტრში შემავალი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები) თუკი ეროვნული მთავრობის და ერთიანი სამოქმედო გეგმის მხარდამჭერად გამოდიოდა, მათი კომპრომისული ნაბიჯის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების მეორე ფრთა, განცალკევებით ყოფნას და დამოუკიდებელი ჯგუფების სახით მოქმედებას ამჯობინებდა. განცალკევებული და ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური საქმიანობა ქართულ ემიგრაციას სასიკეთოს არაფერს უქადდა. ასეთი წვრილ-წვრილი ჯგუფების უსისტემოდ მოქმედება და მათი ლიდერების ამბიციურობა, საერთო საქმისადმი ზიანის მომტანი იყო. მითუმეტეს, გათითოკაცებულ და ოცნების „პოლიტიკურ მწვერვალზე ასულ“ ამა თუ იმ ჯგუფის ლიდერს, ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ყველაზე დაბალი ჩინოვნიკიც არ ცნობდა. ეს ფაქტორი, ქართული ემიგრაციის უმეტესი წარმომადგენლის მხრიდან სწორად იქნა გაცნობიერებული, რამაც მათ ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის ნაბიჯი გადაადგმევინა. ამის საუკეთესო გამოვლენას, რ. გაბაშვილ-ალ. ასათიანის ჯგუფის მხრიდან ეროვნულ ცენტრში დაბრუნების სურვილის გამოთქმა წარმოადგენდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი კ. ქავთარაძის და ს. მენაღა-

რიშვილის მიერ 1933 წლის 10 მარტს გაგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ცენტრის მიზანი იყო... გაბაშვილ-ასათიანის ჯგუფი დაეახლოებია და საერთო მუშაობაში ჩაება. ამის განხორციელებას ის სულიერი გარდატეხაც უწყობდა ხელს, რომელიც... ამ ჯგუფში დაიწყო და ეროვნული ბრძოლის გაერთიანების ხაზით მიმდინარეობდა. ცენტრიც და მთავრობაც ამ გარემოებას ალღოს უღებს და დღეს... ასათიან-გაბაშვილის ჯგუფი ცენტრში შემოვიდა. მათ მიეცათ ერთი გადაწყვეტილი ხმა.“ მომხდარი ფაქტი, იმის დადასტურებაა, რომ საერთო საქმის საკეთებლად, ეროვნული ცენტრი და საქართველოს ემიგრაციული მთავრობა, ემიგრაციაში მყოფი ყველა პოლიტიკური ძალისა და დაჯგუფებების გაერთიანებას, მათთან საერთო ენის გამოძებნას ცდილობდა. ამას იმ ეტაპზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი ალღოს სწორად აღების და ევროპის მასშტაბით საქართველოს ემიგრაციის ავტორიტეტის შენარჩუნების აუცილებლობა მოითხოვდა. ქართულ ემიგრაციას, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებისთვის, სულ მცირე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ერთობლივი ბრძოლის გარეგნული ფორმა უნდა შეენარჩუნებინა. ამ ფაქტორს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლეოდა იმ თვალსაზრისით, რომ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების თვალში, თუ როგორ აღიქმებოდა ქართული ემიგრაციის ურთიერთდამოკიდებულება და, რაც მთავარია, ამ მიმართულებით თითოეული მათგანის მხრიდან გაკეთებულ დასკვნებს, განმსაზღვრელი როლი უნდა შეესრულებინა მათდამი დახმარება-არდახმარების საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებაში. ამ გარემოების გათვალისწინებით იყო ნაკარნახევი ერთიანი ეროვნული ცენტრის შექმნის იდეაც. ამ ცენტრში გაერთიანებული პოლიტიკური ძალების საქმიანობა, არა ურთიერთდასუსტების, არამედ, ერთმანეთისადმი თანადგომის,

საერთო საქმის კეთებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. ეს ელემენტარული აუცილებლობა ხშირად ირღვეოდა, რაც პოლიტიკური ლიდერობისადმი სწრაფვის სინდრომით იყო განპირობებული. მათი ყოველი ქმედება, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ვლინდებოდა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში კ. ქავთარაძეს, როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების დელეგატთა 1934 წლის 21 აპრილის კონფერენციაზე აცხადებდა: ცენტრში გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების „მიზანი, მათი ტაქტიკა არის ერთი: სოციალ-დემოკრატიული პარტიის დისკრედიტაცია. საჭიროა ეს საკითხი სერიოზულად გავარჩიოთ. რასაკვირველია ჩვენ ერთიანი ფრონტის მომხრენი ვართ, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ისინი წავიდნენ და თავისთვის აწარმოონ პარალელური მუშაობა საქართველოს განთავისუფლებისათვის.“¹

ასეთი პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირების მიუხედავად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურნი ეროვნული ცენტრის მთლიანობის შენარჩუნებას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ყოველგვარ პრეტენზიას კომისიებს გადასცემდნენ განსახილველად და ამის შემდეგ ღებულობდნენ შესატყვის დადგენილებასაც. ასეთი დამოკიდებულება გამოავლინეს რ. გაბაშვილის მიერ წარდგენილი განცხადების მიმართაც. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, 1937 წელს რ. გაბაშვილმა თავისი ორგანიზაცია დაშლილად გამოუცხადა და ეროვნულ ცენტრს შეკითხვით მიმართა: მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოეთქვა – სურდა თუ არა პირადად მისი დარჩენა იმავე ცენტრში სამუშაოდ. რ. გაბაშვილის მიერ ვითომდა დაშლილად გამოცხადებული ორგანიზაციის ხელმძ-

¹ სცსა. ფ. 2117. აღწ. 1. საქ. 35. ფურც. 9

ღვანელობიდან, იმავე ეროვნულ ცენტრში რ. გაბაშვილის სა-
წინააღმდეგო ვრცელი განმარტებითი წერილი იქნა შეტანი-
ლი, სადაც ეროვნული ცენტრიდან რ. გაბაშვილის გაწვევის
მოთხოვნა კატეგორიული ფორმით იყო დასმული. ასეთ
რთულ ვითარებაში (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღ-
ნიშნულ ჯგუფში ურთიერთდაპირისპირება), ეროვნულმა ცენ-
ტრმა სწორი დადგენილება მიიღო. „ეროვნული ცენტრი -
ვკითხულობთ დოკუმენტში - სდგას თავისი სტატუსის ნია-
დაგზე, თანამშრომლობს და კოალიციაშია მხოლოდ პოლიტი-
კურ პარტიებთან და მათ წარმომადგენლებთან, ამიტომ ბნ.
გაბაშვილის მიერ წარმოდგენილი ფორმა მისი თანამშრომ-
ლობისა ცენტრისთვის მიუღებელია. იმავედროულად ცენტრი
ავალებს პარტ. კოლეგიის თავმჯდომარეს კალ. ქავთარაძეს
გამოარკვიოს ნაც. დემოკ. პარტიის აღნიშნული დაჯგუფების
ორგანიზაციული მდგომარეობა და თავისი დასკვნები მოახსენ-
ოს ცენტრის მორიგ სხდომას.“

წარსულში რ. გაბაშვილის წაჯექ-უკუჯექობა ეროვნუ-
ლი ცენტრისათვის სიანხლეს არ წარმოადგენდა, მითუმეტეს,
იგი ქართული ემიგრაციის ძალთა დაქსაქსვას და პოლიტი-
კურად გაკოტრებას ისახავდა მიზნად. ასეთი განცხადების
რეალურ საფუძველს იძლევა: ა) ქართული ემიგრაციისგან
შექმნილ ეროვნულ ცენტრში 1925-1937 წლებში რ. გაბაშ-
ვილის მიერ შესვლა-გამოსვლის „მართონულ რბენაზე“ და-
ფუძნებული პროცედურა; ბ) საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ
ბრძოლის სანაცვლოდ, რ. გაბაშვილის ჯგუფის მხრიდან
ეროვნული ცენტრისა და ემიგრაციული მთავრობის წინააღმ-
დეგ ხმალამოწვდილი ბრძოლის ფაქტები.

ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფებების მისამართით,
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ 1937
წელს გაკეთებულ ერთ-ერთ დასკვნაში ხაზგასმით იყო მითი-

თებული: „სხვა პარტიებთან ჩვენი კოალიცია აგებულია არა დოქტრინის და იდეოლოგიის, არამედ მხოლოდ ნაციონალური ბრძოლის ნიადაგზე... პირველ რიგზე დაყენებულია გამაერთიანებელი მომენტი, ერის თავისუფლების და სუვერენობის დროშა. რა რეჟიმები იქნება განთავისუფლებულ ერში, ეს თვით ამ ერის საქმეა, რომლის წინაშე თავისთავად წარსდგება თითოეული პარტია თავისი გეგმებით.“¹

აღნიშნული დებულება იმ ეტაპზე ემიგრაციაში მყოფი ყველა პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებებისათვის უნდა ყოფილიყო მისაღები, თუკი ისინი მართლაცდა საქართველოს დეოკუპაციით, საბჭოური მონობისგან ქართველთა განთავისუფლებითა და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენით იყვნენ დაინტერესებულნი. აქედან გამომდინარე, ქართული ემიგრაციის პოლიტიკურად საღად მოაზროვნეთა წინაშე ერთხელ კიდევ დაისვა საკითხი - ევროპის სახელმწიფოებში გაბნეული ქართული ემიგრაციის პოლიტიკურად გაერთიანებისა და ქვეყნის სასიკეთოდ ერთიანი პროგრამით მოქმედების შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს ეროვნული მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებისა და პარტიათა წარმომადგენლობის 1939 წლის 30 მარტის სხდომა იქცევს. საოქმო ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ სხდომას ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანიას, კ. კანდელაკი, ივ. ზურაბიშვილი, სამ. ფირცხალავა, კალ. ქავთარაძე, ივ. ჭავჭავანიძე, ალ. ასათიანი და სარ. მენაღარიშვილი. სათათბირო ხმით კ. გვარჯალაძე, აკ. ჩხენკელი და იოს. სალაყაია. სხდომის თავმჯდომარედ კ. კანდელაკი იქნა არჩეული, ხოლო მდივნად ს. მენაღარიშვილი.

პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმების საკითხზე მოხსენება ს. მენაღარიშვილმა გააკეთა და სხდომას მთავრო-

¹ სცსა. ფ. 1861. აღწ. 3. საქ. 173. ფურც. 26

ბის მიერ შემუშავებული პროექტი წარუდგინა. მწვავე დისკუსიის შედეგად, დოკუმენტში ზოგიერთი ცვლილება იქნა შეტანილი. მასში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) გართულებული საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ერთი ნაციონალური მიზნით ახდენდა გაერთიანებას საქართველოს სუვერენიტეტის აღსადგენად. დასახული ამოცანის განსახორციელებლად ქმნიდა ერთ ნაციონალურ ფრონტს, ირაზმება ეროვნული მთავრობის ირგვლივ დასახმარებლად და ერთობლივად აწარმოებდა ბრძოლას საერთო მიზნის მისაღწევად; 2) ნაციონალური ფრონტი აერთებდა: ა) ეროვნულ ნიადაგზე მდგომ ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას განურჩევლად მისი იდეოლოგიური და პროგრამული განსხვავებისა; ბ) ფრონტში შედიოდნენ უპარტიონი, პერსონალური შერჩევით; 3) ფრონტის საერთო ორგანოს - საბჭოს წევრებს პოლიტიკურ მიმდინარეობათა ორგანიზაციები ირჩევდნენ. მისი რაოდენობა წინასწარი შეთანხმებით ზუსტდებოდა; 4) საბჭოსა და მთავრობის თანამშრომლობის წესების შემუშავება ერთობლივ სხდომაზე ხდებოდა. იმავდროულად, საბჭო ირჩევდა პრეზიდიუმს.

იმავე სხდომის დადგენილებით, პოლიტიკურ დაჯგუფებებთან მოლაპარაკება ე. გეგეჭკორს და კ. ქავთარაძეს დაევა. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საკითხზე მიღებულ დადგენილებას, მასში გარკვევით იყო მითითებული: „ვინაიდან აუცილებლად მიგვაჩნია ქართული პოლიტიკური ძალების გაერთიანება და, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ მხრივ მიღწეულია დიდი შედეგები, თათბირი ირჩევს კომისიას, რომელიც გააგრძელებს საჭირო მუშაობას ერთობის დასამყარებლად და ბოლომდე მიიყვანს დიდ ეროვნულ გაერთიანებას.“ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის გამოცხადებას წარმოადგენ-

და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის მხრიდან, პარიზში არსებული მთლიანი ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ემიგრაციული მთავრობისადმი ოფიციალური მხარდაჭერა. ამის დადასტურებას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის მიერ 1940 წელს მიღებული წესდების №6, 7, 8, 9 მუხლები წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „6) ორგანიზაცია აგრეთვე დგას რა მთლიანი ფრონტის ნიადაგზე, მხარს უჭერს პარიზში არსებულ მთლიან ეროვნულ ცენტრს და მთავრობას, ეცდება ყველა მისი დადგენილებანი და დავალებანი ცხოვრებაში გაატაროს; 7) პარიზში მყოფი ეროვნული მთავრობა არის ქართველი ხალხის მიერ კანონიერად არჩეული და საჭიროა ჩვენი გამთლიანებული მოძრაობისათვის. ამიტომ ორგანიზაცია სცნობს მას და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას თავის მუშაობაში; 8) ორგანიზაცია ყოველნაირად ეცდება ებრძოლოს ყველა იმ პირებს თუ დაჯგუფებებს, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს ხელს შეუშლიან თავის მუშაობაში; 9) ამრიგად, ორგანიზაციის მიზანია ერთობა ყველა ქართული ეროვნული ძალების მტრის წინააღმდეგ, მხარის დაჭერა ყველა ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლებისადმი,.... გაძლიერება-გამაგრება პარტიათა ფრონტის და ბრძოლა ყველა იმ არანორმალურ მდგომარეობასთან, რომელიც სახელს გვიტეხენ უცხოელ მეგობრებს შორის.“¹

დამოწმებული ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს: ა) რ. გაბაშვილისა და მისი ჯგუფისაგან განსხვავებით, თუ რა მაღალ დონეზე აზროვნებდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის წარმომადგენლები; ბ) ეს ორგანიზაცია უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა ყველა იმ

¹ სცსა. ფ. 2117. აღწ. 1. საქ. 344. ფურც. 3

დაჯგუფებას (მათ შორის რ. გაბაშვილის ჯგუფსაც), ვინც პარიზის ეროვნული ცენტრის და კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა, მის დისკრედიტაციას ცდილობდა და ხელს უშლიდა მუშაობაში; გ) ორგანიზაცია ქართული ემიგრაციული პოლიტიკური ძალების ერთობასა და კონსოლიდაციაში ხელაძემა მტრის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისა და დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობებს. რაც შეეხება ემიგრაციის შიგნით მტრულ პოლიტიკურ დაპირისპირებას, ასეთ ქმედებას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაცია არანორმალურად მიიჩნევდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის ზემოაღნიშნული პოზიცია სრულად შეესაბამებოდა იმ ეტაპზე ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ქართული ემიგრაციის ერთობა-შესამჭიდროებლად უმნიშვნელოვანეს პრეცედენტს წარმოადგენდა. ემიგრაციაში მყოფი ასეთი პოლიტიკური ძალების პოზიციამ განსაკუთრებული როლი დამფუძნებელი კრების 1940 წლის 4 თებერვლის სხდომაზე (თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი) მიღებული გადაწყვეტილებების საქმეში შეასრულა. სტენოგრაფიულ ანგარიშიდან ირკვევა, რომ ე. თაყაიშვილმა, კრების მონაწილეებს „ამ ისტორიული გარდატეხის მომენტში გაერთიანებისკენ და საერთო მუშაობისკენ მოუწოდა. ამისთვის - განაცხადა მან - საჭიროა შეიქმნას ერთი ორგანო, რომელიც შემოიკრებს რაც შეიძლება მეტ შეგნებულ ქართველობას და მთავრობასთან ერთად იმუშავეს სამშობლოს განთავისუფლებისათვის.“ ამ შემთხვევაში, პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, ე. თაყაიშვილი, ქართულ ემიგრაციას ერთ ორგანოში გაერთიანებას და მთავრობასთან ერთად საქართველოს თავისუფლების მისაღწევად ერთობლივი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებდა.

შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის ფონზე, იმავე სხდომაზე კ. გვარჯალაძემ ურთიერთშორის კინკლაობის აღკვეთისა და საერთო საქმის საკეთებლად შეთანხმებული მუშაობის აუცილებლობის საკითხი პრინციპულად დააყენა. ქვეყნის განთავისუფლებისთვის შესამუშავებელ ღონისძიებებთან მიმართებაში, რამდენად მისაღები იყო პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ერთ პოზიციაზე დგომა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება იმ ეტაპზე - ძნელი სათქმელია. საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების მიზანშეწონილობას სიტყვიერად ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა იზიარებდა, მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში პრაქტიკულად ვერაფერზე თანხმდებოდნენ. წარსულის ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, იმავე სხდომაზე ნ. ჟორდანიას ხაზგასმით ამბობდა: „დაიწყო მათ შორის მოლაპარაკება, მაგრამ შედეგი არაფერი გამოვიდა, მიზანს ვერ მივალწიეთ. ამის შემდეგ დაისვა საკითხი დამფუძნებელი კრების წევრების მოწვევისა. დღეს პარტიულ და ჯგუფურ დავას ადგილი არ უნდა ქონდეს. ერთადერთი ნაციონალური მიზნები გვაქვს... საჭიროა მუშაობა სხვადასხვა წრეებში, რათა შევქმნათ პოლიტიკური ორგანო. მასში უნდა შემოვიყვანოთ გამოსადეგი პირები შერჩევით, პრაქტიკული საქმიანობის და მორალური სიფაქიზის მიხედვით. დამფუძნებელი კრების წევრებს უნდა დაემატოს ეს შერჩეული პირები. მუდმივმოქმედი ორგანოები უნდა იქნენ მთავრობა და ამ ორგანოს პრეზიდიუმი, რათა თანამშრომლობის და ურთიერთობის წესები წინასწარ იქნეს გამომუშავებული.“

მართალია, საკითხი სწორად იყო დასმული, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელება ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში გრ. ურატაძეს,

რომელმაც ყურადღება ქართული ემიგრაციის გაერთიანების ხელშეშლელ მიზეზებზე გაამახვილა. მან წინა პლანზე ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული ფორმები წამოსწია. მხედველობაში მაქვს ისეთი ორგანიზაციული გაერთიანების შექმნის მოთხოვნა, რომელიც მთავრობის შეცვლას ითვალისწინებდა. „ამის მიღება - ამბობდა გრ. ურატაძე - ჩვენთვის ყოველად მიუღებელია, რადგან მთავრობის არსებობაში და მის დაცვაში, ჩვენ ვხედავთ ჩვენი ერის სუვერენული უფლებების დაცვას და მისი დახურდავება ემიგრანტულ ორგანიზაციებზე დაუშვებლად მიმაჩნია. არასოდეს ჩვენს პარტიას არ უსარგებელია თავისი უმრავლესობით. თქვენ იცით, რომ ყველა ემიგრანტულ ორგანიზაციაში ჩვენ ვკმაყოფილდებით იმდენი ადგილით, რამდენიც სხვა პარტიებს აქვს. აქაც ამ ორგანიზაციაში არ გვინდა იმაზე მეტი ადგილი, რამდენიც ექნება სხვა რომელიმე პარტიას. ჩვენ ძალიან შორს წავალთ დათმობაზე და ამიტომ ჩვენი უმრავლესობა არავის არ უნდა აფრთხობდეს. პრაქტიკულად ამის მოგვარება შეუძლია კომისიას, მის არჩევას მე მხარს ვუჭერ.“¹

გრ. ურატაძის გამოსვლიდან მოტანილ ამონაწერში, გამოკვეთილი ფორმითაა წარმოდგენილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა მხრიდან პარიტეტზე დაფუძნებული ის კომპრომისული პოზიცია, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ერთ პოლიტიკურ ორგანოში ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციას – მის გაერთიანებას. ამის აუცილებლობა იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ქართული ემიგრაციის დაშლა-დაქუცმაცებისა და ურთიერთდაპირისპირებისთვის რუსული მემარჯვენე ძალები აქტიურად მოქმედებდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იმავე თაობირზე ე. გეგეჭკორმა ხაზგასმით მიუთითა: „ჩვენს წინა-

¹ სცსა. ფ. 1861. აღწ. 3. საქ. 167. ფურც. 7

აღმდეგ დღეს გააფთრებით იბრძვის ორი ძალა, მემარჯვენე რუსები, რომელთანაც არიან ზოგი მემარცხენეც და კომუნისტებიც. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ რათა ემიგრაცია დაშალონ. ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ საქმისთვის ასათიანი და მისი ჯგუფები გამოიყენონ საქართველოს და მისი ინტერესების წინააღმდეგ. მე არ ვამბობ, რომ ასათიანი ამას ჩაიდენს შეგნებულად, მაგრამ, ფაქტიურად ეს ასე მოხდება, ამაში დაწმენებული ვარ. ვისაც დღეს შესაძლებლად მიაჩნია ცალკე დაჯგუფება და თითო ოროლა პირების საშუალებით მოქმედება, ისინი ჩვენ საქმეს კი არ აკეთებენ, არამედ მტრისას. დღეს საჭიროა ერთი მოქმედი ორგანო. მას არავითარი დაბრკოლება მთავრობასთან თანამშრომლობაში არ ექნება, თუ ის, რასაკვირველია, გამოწვეული იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებით. დღეს საჭიროა საერთო მუშაობა და აქეთკენ მოგუწოდებ მე ყველას ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის გადარჩენაში.“

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ის ადამიანები და დაჯგუფებები, რომლებიც ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას უშლიდნენ ხელს, ე. გეგეჭკორმა მტრის სამსახურში მყოფებად და მათი საქმის მკეთებლებად გამოაცხადა. პრობლემისადმი ასეთ პრინციპულ მიდგომას და იმის ოფიციალურად წარმოჩენას - თუ ვინ ვინ იყო! იმ ეტაპზე შექმნილი უმძიმესი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართული ემიგრაციის იმ დაჯგუფებათა ლიდერების შესახებ, რომლებიც პოლიტიკური ამბიციების გამო ან 30 ვერცხლად ქართველთა დაუძინებელ მტრებთან აშკარად თუ ფარულად თანამშრომლობდნენ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ. მითუმეტეს, ფულზე არგაყიდული და მტრებთან თანამშრომლობაზე არწამსვლელი ქართული ემიგრაციის წარმომადგენ-

ლები, უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდნენ. მათაც შეეძლოთ ზნეობისა და ღირსებისადმი ზურგშექცევა, ქართველთა დაუძინებელ მტრებთან თანამშრომლობის ნაბიჯის გადადგმა და პირადი ცხოვრებისა და ოჯახების ეკონომიკურად უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის კლასიფიკაციის ფონზე, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს: 1) მტრებისგან ვერმოსყიდული, მათთან თანამშრომლობაზე არწამსვლელი და ქართველთა ერთგულების ნიადაგზე დარჩენილი პოლიტიკური მიმდინარეობა და პიროვნებები; 2) საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ქართველთა დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეების მხრიდან მოსყიდული, მათთან თანამშრომლობაზე წამსვლელი, ქართული ემიგრაციის დაშლა-დაქუცმაცებით დაინტერესებული დაჯგუფებები და მათი ლიდერები. ამ შემთხვევაში, ნებისმიერმა მკვლევარმა, შექმნილი სტერეოტიპებისგან თავდალწევა უნდა შეძლოს და საზოგადოებას დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს ამა თუ იმ პიროვნებისა და პოლიტიკურ მიმდინარეობათა მიერ ემიგრაციაში გაწეული საქმიანობის შესახებ. მითუმეტეს 1919 წელს, დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ქართველი ერისგან მიცემული ნდობის მანდატის ღირსეულად ტარება, ემიგრაციაში წასულმა დამფუძნებელი კრების ზოგიერთმა წევრმა ვერ შეძლო და პოლიტიკური პროცესების ცვალებადობიდან გამომდინარე, შინაგანი და ზნეობრივი ფერიცვალება განიცადა. მათი ასეთი ქმედება, უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებდა ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ძალების მხრიდან ეროვნული ხაზით მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობებს.

ცნობილია, რომ XX საუკუნის 40-იან წლებში ევროპაში პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. არსებუ-

ლი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის წინაშე პრინციპულად დაისვა საკითხი – მოსალოდნელი გართულებების ასაცილებლად შესატყვისი პოლიტიკური კურსის შემუშავების შესახებ. აღნიშნულ საკითხებს იმავე პარტიის ბიუროს (აკ. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი, კ. გვარჯალაძე, ვ. ჭავჭავანიძე, პ. სარჯველაძე, გრ. ურატაძე, ვ. ინწკირველი) 1940 წლის 23 მაისის სხდომა მიეძღვნა. სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება კ. გვარჯალაძემ გააკეთა. ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვის ფონზე, მან პრინციპულად დასვა საკითხი – შექმნილ ვითარებასთან მიმართებაში როგორი უნდა ყოფილიყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ელიტისა და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულება. იგი სხდომის მონაწილეებს შეახსენებდა: „ჩვენი პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ უცხოეთში ეროვნული მუშაობის საშუალებები. წინდახედულება და მოულოდნელობების აცილება, ასეთი უნდა იყოს მთავრობის დღევანდელი ზრუნვის საგანი. ბიურომ უნდა გამოსთქვას სურვილი და სთხოვოს მთავრობას მიიღოს წინასწარი თადარიგი ეროვნული ორგანოების მუშაობის გასაგრძელებლად და მოსალოდნელ შემთხვევაში მათ სალიკვიდაციო.“ იმავე დოკუმენტის მიხედვით, სიტყვაში გამომსვლელება: გრ. ურატაძემ, პ. სარჯველაძემ, ვ. ჭავჭავანიძემ, ე. გეგეჭკორმა, აკ. ჩხენკელმა მხარი დაუჭირეს მომხსენებლის ძირითად დებულებებს და აუცილებლობად მიიჩნიეს მთავრობის მხრიდან ეროვნული საქმიანობის გაგრძელება. მიუღებლად ჩათვალეს ოპოზიციური ჯგუფებისგან მთავრობის ფუნქციონირების შეწყვეტის მოთხოვნა. იმავედროულად დაა-

ყენეს საკითხი, საშიში ზონიდან მთავრობის და სხვა ორგანოების გაყვანის მიზანშეწონილების შესახებ. ე. გეგეჭკორის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე, სხდომამ შეძღვეი სახის დადგენილება მიიღო: „ითვალისწინებს რა საერთაშორისო რთულ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია შექმნას ეროვნული საქმიანობის ხელშემსლელი პირობები, უცხოეთში საზღვარგარეთული ბიურო მოუწოდებს საქართველოს მთავრობას მიიღოს წინასწარი ზომები, მოსალოდნელ შემთხვევაში თავისი შემადგენლობის და სხვა თანამშრომელთა პარიზიდან გასაყვანად და მუშაობის გასაგრძელებლად, თანახმად მასზე დაკისრებული მოვალეობისა.“¹

ამრიგად: 1) საქართველოში არალეგარულად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის ლიდერთა მოწოდებები, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური მიმდინარეობების „ეროვნულ ფრონტში“ გაერთიანებას და ევროპის მასშტაბით ერთიანი სამოქმედო გეგმით გამოსვლას ითვალისწინებდა. ეროვნული მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდენუმისა და პარტიათა წარმომადგენლობითი კოლეგიის წევრთა სამოქმედო გეგმა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სამი მიმართულებით გამოყენებაზე იყო გათვლილი: ა) მეორე ინტერნაციონალიდან იდეოლოგიურ ფრონტზე მაქსიმალური თანადგომის მოპოვება; ბ) ევროპის ქვეყნებიდან რეალური დახმარების მიღება და გ) საომარი მოქმედებების საქართველოს სასარგებლოდ გამოყენება.

პარიზის ქართულ „ეროვნულ ცენტრთან“ შექმნილი განსაკუთრებული პოლიტიკური კომისიისათვის საზედამხედველო ფუნქციის მინიჭება და საქართველოსთან კონსპირაციული ურთიერთობის დამყარება, შესაბამისი ინფორმაციის

¹ სცსა. ფ. 2117. აღწ. 1. საქ. 405. ფურც. 1

სრულფასოვნად მიღებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებაზე იყო გათვლილი; 3) ალ. ასათიან-რ. გაბაშვილის ჯგუფის „ეროვნულ ცენტრში“ გაწევრიანებისადმი საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მხარდაჭერა ოპოზიციური დაჯგუფებებისადმი კომპრომისული დამოკიდებულების დადასტურება იყო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვარშავის ორგანიზაციის მიერ 1940 წელს მიღებული წესდების შესაბამისი მუხლებით (№6, 7, 8, 9), საქართველოს ეროვნული მთავრობისა და „ეროვნული ცენტრისადმი“ თანადგომის გამოცხადება ეროვნული მთავრობის პოლიტიკური კურსისადმი ოფიციალურ მხარდაჭერას წარმოადგენდა; 4) ემიგრაციული მთავრობისა და „ეროვნული ფრონტის“ გაუქმების მოთხოვნის ფონზე, ალტერნატიული ორგანიზაციის შექმნის საკითხის დაყენება, ქართული ემიგრაციის დაქუცმაცებაზე, რუსული მემარჯვენე და კომუნისტური ძალების ინტერესთა გათვალისწინებაზე იყო გათვლილი. დოკუმენტური მასალის საფუძვლიანმა შესწავლამ დაადასტურა: ა) ემიგრაციის უმრავლესობის მხრიდან, ქართველი ერის მიერ 1919 წელს მინიჭებული ნდობის მანდატის ღირსეულად ტარება; ბ) ზოგიერთი პოლიტიკური მიმდინარეობის წევრებისგან, პირადი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ქართველთა დაუძინებელ მტრებთან თანამშრომლობის გზის არჩევა. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის შეფასებისას ეს ფაქტორი პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

Shota Vadachkoria

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology*

**THE ISSUE OF CREATING THE NATIONAL FRONT
AND THE GEORGIAN EMIGRATION IN 1931-1940
RESUME**

On the basis of the documentary materials it is stated that: 1) Call out of the Warsaw organization leaders of the underground Social-Democratic and National-Democratic parties in Georgia aimed to unite Georgian parties of different political directions in emigration in “The National Front” for acting with a single plan in Europe. The plan of action of the members of the national government, the Constituent Assembly presidium, representative board of the parties aimed to be active in three directions: a) to have maximum support of the Second International on the ideological front; b) to get real aid from the European countries and c) to use military action for the benefit of Georgia. 2) Providing the special political centre of the Georgian “National Centre” in Paris with the function of the supervision of the political committee and establishing conspirative relations with Georgia, aimed to obtain needed information completely and deepen the national liberation movement. 3) The emigration government of Georgia supported joining “The National Centre” by the group of A. Asatiani-R. Gabashvili. It was a confirmation of the emigration government’s loyalty towards oppositional groupings. According to the corresponding paragraphs (# 6, 7, 8, 9) of the plural regulations accepted by the Democratic Party Warsaw organization in 1940 in fact it announced its support and loyalty towards the national government of Georgia and “The National Centre”. It meant that it acknowledged officially

the political course of the government. 4) The establishing alternative organization on the background of the demand of the annulling the emigration government and “The National Centre” meant the disintegration of the emigration government and taking into consideration the interests of the Russian Rightist and Communist forces.

Thorough investigation of the documentary materials showed that: a) majority of the members of the emigration honorably carried out a vote of confidence given to them by the people of Georgia in 1919. b) Members of some political parties cooperated with the sworn enemies of Georgians for their personal well-being. This is the factor that has to be taken into consideration initially while evaluating the activity of the Georgian political emigration.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესწავლა საქართველოში

ინგლისში სამრეწველო გადატრიალებამ მძლავრი სტიმული მისცა და ლომის წილი დაიდო ახალი ინდუსტრიული ცივილიზაციის ფორმირების პროცესში. ინგლისში სამრეწველო გადატრიალების და საფრანგეთში დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შემდეგ ინდუსტრიული ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამრეწველო გადატრიალების დამთავრების შემდეგ საბოლოოდ ყალიბდება ინდუსტრიული ცივილიზაცია. ახალი დროის ისტორია ეს არის ინდუსტრიული საზოგადოების ჩასახვის, განვითარების დ დამკვიდრების ხანა. ყველა გზას თავისუფალი მეწარმეობისკენ მივყავართ.

სამრეწველო გადატრიალების შედეგად ინგლისი მე-19 საუკუნეში „მსოფლიოს სახელოსნოდ“ მოგვევლინა და ამ პოზიციებს ის ინარჩუნებდა კიდევ დიდხანს. ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნის ბოლომდე. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში ახალი ეპოქის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური თემაა. ინგლისელი ისტორიკოსის დ. ლენდლსის თქმით: „სამრეწველო რევოლუცია, საფრანგეთის რევოლუციასთან და ამერიკის სამოქალაქო ომთან ერთად, არის დიდი ისტორიულ მოვლენათაგანი, რომლებიც რჩებიან მუდამ ახალგაზრდები და ხელახლა იბადებიან მკვლევართა ახალი

თაობებისთვის“¹. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, თვალი გადავაკვლოთ აღნიშნული პრობლემის შესწავლას საქართველოში. რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში? საკითხი არის საინტერესო და მის შესწავლას აქვს მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა, ეს საშუალებას მოგვცემს საერთო წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოში ამ საკითხის შესწავლის, პოპულარიზაციის, მდგომარეობაზე. გვიჩვენებს, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში და რა არის საჭირო კიდევ რომ გაკეთდეს. გაკეთებული მეტად ცოტაა, ხოლო გასაკეთებელი ბევრია. ჩვენ ვცადეთ გავარკვიოთ ამ მემკვიდრეობის მეცნიერული მნიშვნელობა და განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესება უმთავრესად პოპულარულ ხასიათს ატარებდა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ავხსენით მისი გამომწვევი მოტივები. ეს საკითხი ამ კუთხით ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ეს ნაშრომი ამ თემის გაშუქების პირველი მცდელობაა.

* * *

ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მეტად მოკრძალებული ამოცანა იდგა და ამ პრობლემის მეც-

¹ Ерофеев Н., Англиская промышленная революция в освещении буржуазной историографии – «Вопросы истории», 1964, №11, с. 99.

ნიერულ კვლევას, შესწავლას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ პოპულარიზაციას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ მან უმთავრესად, ასახვა ჰპოვა არა სამეცნიერო - საკვლევ ლიტერატურაში. არამედ სასწავლო ლიტერატურაში, პირველ ყოვლისა კი, სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებში. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია. ამ კულტურტრეგერულ მისიას ქართულმა ისტორიოგრაფიამ, შეიძლება ითქვას, ურიგოდ როდი გაართვა თავი და ეს უნდა იყოს მთავარი.

ამ შრომების მნიშვნელობას განსაზღვრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი კრიტერიუმის შერჩევას. მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი აქ საზომად არ გამოდგება. ისინი არ ისახავდნენ მიზნად ასეთ მაღალ ამოცანებს. აღნიშნული პრობლემის მეცნიერულ კვლევას. ამ საკითხისადმი ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულების მთავარ ღირსებად პრაქტიკული, პრაგმატული, მიდგომა მიგვაჩნია. მათ კარგად გათვალეს თავიანთი შესაძლებლობები და აქცენტი აიღეს აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციაზე. ეს იყო სწორი მიდგომა.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხის პერიოდიზაციის თემა. საიდან უნდა დავიწყოთ საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების ათვლა? რა ეტაპები განვლო საქართველოში ამ საკითხით დაინტერესებამ? რა სახეცვლილება განიცადა მან ამ ხნის განმავლობაში? ჩვენ შევეცდებით, შესაძლებლობის ფარგლებში, პასუხი გავცეთ ამ შეკითხვებს.

საქართველოში გასაბჭოებამდე აღნიშნული პრობლემით დაინტერესების მხოლოდ პირველი სიმპტომები ჩანს, რომე-

ლიც მოლოდინის ჩარჩოებს არ სცილდება და ძალზე ძუნწ ინფორმაციას შეიცავს აღნიშნულ თემაზე. სამრეწველო გადატრიალებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად, მისი წმინდა აკადემიური ხასიათით იყო გამოწვეული. ეს არ იყო ისეთი აქტუალური თემა, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და მისი ბელადები. თუმცა ინგლისის სწრაფ ეკონომიკურ წინსვლას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოება, ალბათ, გულგრილი არ უნდა დაეჭოვებინა. აქ შეიძლებოდა საქართველოსთვის ბევრი სასიკეთო რამის დაძებნა, მაგრამ ჩვენი ეკონომიკური განვითარება მჭიდროდ აღმოჩნდა მიბმული რუსეთზე. აღნიშნული პრობლემის გაშუქებას მხოლოდ მოლოდინის დონეზე თუ ჰქონდა ადგილი. ეს ძუნწი, მწირი, ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და აღნიშნულ საკითხზე ქართულ საზოგადოებას ამომწურავ, სრულყოფილ, წარმოდგენას ვერ შეუქმნიდა. რა უნდა იყოს ეს? რა ადგილი უნდა მივუჩინოთ აღნიშნულ მონაკვეთს ამ თემით დაინტერესების საქმეში? ეს მწირი ინფორმაცია ქართულ სინამდვილეში აღნიშნული პრობლემის გაშუქების სიმპტომია, რომელიც მოლოდინის ჩარჩოებს არ სცილდება. ეს, როგორც ითქვა, ძალიან ცოტაა და ამ მონაკვეთის ცალკე გამოყოფა, როგორც აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველი პერიოდის, ალბათ, ძნელი იქნებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ეს თემა გაშუქებული იქნებოდა, მაგრამ ასე არაა და ხელსაყრელი შანსი რეალიზებული არ ყოფილა. საქართველოში გასაბჭოებამდე ამ პრობლემით დაინტერესება მოლოდინის რეჟიმშია. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება სწორედ ამაში მდგომარეობს.

აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ მოსალოდნელი იყო ამ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვეძიებინა ა.

ბიკოვის წიგნში „ამბები ინგლისის ისტორიიდან (XI-XIX საუკუნეები)“ და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოცემული ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, მაგრამ აქ სულ სხვა სურათი დაგვხვდა. რა თქმა უნდა, ეს მასალა ძალიან ცოტაა და ფაქტობრივად, აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასია. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და პოლიტიკური ისტორიის პრიმატობის ლოგიკური შედეგია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ამგვარი ხედვა ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსალოდნელი იყო, რომ აღნიშნულ თემაზე ინფორმაციას გადავაწყდებოდით ა. ბიკოვის საინტერესო წიგნში „ამბები ინგლისის ისტორიიდან (XI-XIX საუკუნეები)“, სადაც საკმაოდ ვრცლად იყო მოთხრობილი ამ ეპოქის ინგლისის ისტორია, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეს თემა წიგნში განხილული არ ყოფილა. ის საუბრობს მე-19 საუკუნის ინგლისის ისტორიაზე. შეეხება სამრეწველო გადატრიალების შედეგებს, მაგრამ თვით სამრეწველო გადატრიალების ისტორია კადრს მიღმა რჩება.¹ ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და, ძირითადად, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. პოლიტიკური ისტორიით გატაცებით და ამ თემის სირთულით. ის, შესაძლოა, პოპულარული ნაშრომის ეკონომიკური პრობლემებით გადატვირთვას მოერიდა. ეს ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. ჩვენი აზრით, ეს არ იყო სწორი. წიგნში სამრეწველო გადატრიალება ინგლისში სასურველი იყო, რომ სათანადოდ ყოფილიყო ასახული. ეს ამ საინტერესო წიგნს შინაარსობრივად კიდევ უფრო

¹ ბიკოვი ა., ამბები ინგლისის ისტორიიდან (XI-XIX საუკუნე), თბ., 1901, გვ. 330-335.

გამდიდრებდა და მომგებიან ქულებს შესძენდა. ასე იქნა გაშვებული ხელიდან საქართველოს გასაბჭოებამდე ამ საკითხის პოპულარიზაციის პირველი ხელსაყრელი შანსი.

საქართველოში ინგლისის სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში, 1918-1921 წლებში. ვვარაუდობდით, რომ ამ პერიოდში საქართველოში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში სამრეწველო გადატრიალების გაშუქებას თავისი ადგილი და ყურადღება დაეთმობოდა. ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. აღნიშნული საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, ამ სახელმძღვანელოების აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთნი ამ საკითხს საერთოდ გვერდს უვლიან და არ განიხილავენ, ხოლო მეორენი კი, ამ თემას ეხებიან მხოლოდ გაკვრით, სასწავთაშორისოდ და ძალზე ზოგადად, რაც, ფაქტობრივად, ამ საკითხის იგნორირების ტოლფასია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ძუნწი, მწირი ინფორმაცია ამ თემაზე ქართული საზოგადოების პირველ რიგში კი მოსწავლეებს, ზოგად წარმოდგენას ვერ შეუქმნიდა. ის არ ამართლებს თავის დანიშნულებას.

დ. უზნაძის და ი. გველესიანის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში ინგლისის სამრეწველო გადატრიალებაზე არაფერია ნათქვამი¹. ცნობილი ისტორიკოსი ალ. წერეთელი ამ თემას საერთოდ გვერდს უვლის და კრინტს არ ძრავს.² ეს ერთი მიდგომა იყო. არის სხვა მიდგომაც. ს. ავალიანი თავის სახელმძღვანელოში გაკვრით ეხება ამ თემას

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.

² წერეთელი ალ., მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.

და ძალიან ზოგადად, საერთო ხაზებში მიმოიხილავს მას. პირველი მიდგომის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მაგრამ გარკვეული უკმარობის გრძნობა მაინც გერჩება. ალბათ, უფრო მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო¹. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება თ. ჭუმბურიძის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო. ის სამრეწველო გადატრიალების ათვლის წერტილად იღებს მე-18 საუკუნის 70-იან წლებს.² ნახსენებია ჰარგრივისის, უატის და არკრაიტის გამოგონებები. ის ამ საკითხს ეხება მე-19 საუკუნის ინგლისის ისტორიის განხილვის დროს და საკუთრივ სამრეწველო გადატრიალების ისტორიას არ განიხილავს. მიუხედავად ამ ხარვეზისა საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს შორის ამ თემის გაშუქების დროს საუკეთესოდ თ. ჭუმბურიძის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩინია.³ ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ეს საკითხი სათანადოდ ყოფილიყო განხილული და ცალკე გამოეყოთ. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა. საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და პოლიტიკური ისტორიის პრიმატობის ლოგიკური შედეგია. ამგვარი ხედვა სავსებით შეესატყვისებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში სოციალ-ეკონომიკური ისტორია შედარებით სუსტად, მკრთალადაა გაშუქებული. სამრეწველო გადატრიალებისადმი გულგრილი დამოკი-

¹ ავალიანი ს., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.) თბ., 1920.

² ჭუმბურიძე თ., ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920, 370.

³ ჭუმბურიძე თ., ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.

დებულება ამგვარი მიდგომის კულმინაციად, მწვერვალად, მიგვაჩნია.

როგორც ხედავთ, საქართველოს გასაბჭოებამდე საქმე გვაქვს ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის პირველ მცდელობასთან. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესწავლის პირველ მცდელობასთან გვაქვს საქმე, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ეს საკითხი ან სავსებით უგულვებელყოფილი იყო ან აღნიშნული თემა გაშუქებული იქნა მკრთალად, სუსტად, რაც, ფაქტობრივად, ამ პრობლემის იგნორირების ტოლფასია. მან სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა ა. ბიკოვის საინტერესო წიგნში „ამბები ინგლისის ისტორიიდან (XI-XIX სს)“ და მეტად ზოგადააა გაშუქებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-21 წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. აი, ეს არის სულ.

* * *

საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესება თვისობრივად ახალ ფაზაში შედის საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების სულ სხვა ეტაპია. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ საქართველოში სამრეწველო გადატრიალების ისტორიით დაინტერესების ათვლის წერტილად ავიღებთ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა. საკითხისადმი მიდგომამ მეცნიერული ხასიათი შეიძინა, მაგრამ ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში იქნა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი მარქსისტულ-

ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტალინური, ინტერპრეტაცია გამოცხადდა, ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი იდევენებოდა. იმ წამსვე იწყებოდა ხელების გადაგრეხა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა კონცეპტუალური ხასიათი მიიღო. და მაინც, მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური შეფასება, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და მთლად დამაჯერებელი ვერაა. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, სწორი არ იქნებოდა. ამ შრომებში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია, მდიდარი ფაქტობრივი მასალა, საინტერესოა და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია კი მიუღებელია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაჰკრავს.¹

ამ სფეროში საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტურად შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს. დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის გავლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს ერთი უკიდურესობა იყო. ერთ უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. მარქსისტული შტამებისა და სტერეოტიპების გამო ამ შრომების მიწასთან გასწორება, განქიქება მიზანშეწონილი არ იქნება. ეს

¹ კალანდაძე მ., საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური კონფერენცია. თბ., 2015.

უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. საჭიროა გამოვინახოთ შუალედური გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე წინგადადგმული ნაბიჯი აშკარაა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ასეთია მკაცრი რეალობა, რომელსაც გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

აღნიშნული პრობლემის დამუშავების დროს ქართულმა ისტორიოგრაფიამ ტრადიციული გზა აირჩია. მან ხელი მოკიდა სერიოზული მეცნიერული თემის დამუშავებას და ის მარქსისტული პოზიციიდან გააშუქა. იმ ექსტრემალურ ვითარებიდან ეს ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. დიდი არჩევანი არ არსებობდა. უნდა აგერჩია ცუდსა და უარესს შორის. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ფსონი ამ უკანასკნელზე გააკეთა. ეს სწორი ნაბიჯი იყო. ამ კომპრომისის გამო, მათი მკაცრად განსჯა სწორი არ იქნებოდა. თუ არა ეს კომპრომისი, მაშინ ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც ამ თემაზე მშობლიურ ენაზე გავგაჩნია¹.

საქართველოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების ისტორიით დაინტერესების პირველ პერიოდად საბჭოთა დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის შესწავლა უნდა მივიჩნიოთ. თავის მხრივ ეს პერიოდი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ქვეპერიოდად. ფაქტობრივად, ეს იქნება საკითხის შიდა პერიოდიზაცია.

¹ კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999; კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006; კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი 1. თბ., 2011; კალანდაძე მ., პროფესორი კოტე ანთაძე, თბ., 2014; კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხების შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.

აღნიშნული პრობლემით საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესება პირობით სამ მონაკვეთად შეიძლება დაიყოს, პირველი ქვეპერიოდია გასული საუკუნის 20-30-იანი წლების შუა ხანები, როდესაც თავი იჩინა აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა. მეორე ქვეპერიოდში ადგილი აქვს მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. ეს არის 30-იანი წლების შუა ხანებიდან ი. სტალინის გარდაცვალებამდე. მესამე ქვეპერიოდია ი. სტალინის გარდაცვალებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე – 50-იანი წლებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე. მას მკვეთრად გამოკვეთილი ორი მონაკვეთი გააჩნია: „დათბობის ხანა“ და „უძრაობის პერიოდი“.

ქართულ რეალობაში სამრეწველო გადატრიალების გაშუქების პირველ სერიოზულ მცდელობად ცნობილი ისტორიკოსის პროფ. ნიკოლოზ ლუკინის სახელმძღვანელო „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“ გვევლინება. ეს წიგნი ის. თალაკვაძის რედაქციით 1924 წელს გამოვიდა და რუსულიდან გადმოუთარგმნიათ ვ. ეგნატაშვილს და ქრ. რაჭველიშვილს. ეს წარმოადგენდა უმაღლეს სასწავლებელთა და მეორე საფეხურის პარტსკოლათა სახელმძღვანელოს. მისი გამოცემის ინიციატივა თავის თავზე აიღო ამიერკავკასიის კომუნისტურმა უნივერსიტეტმა¹. ამ წიგნის თარგმნა ამართლეს თავის დაინიშნულებას და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ხარვეზის შევსების ერთ-ერთ მცდელობად გვევლინება. მთავარი, სწორედ ეს უნდა იყოს.

¹ ლუკინი (ანტონოვი) ნ., „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“, თბ., 1924.

უწინარესად თვალში მოგხვდება ერთი გარემოება. თვით იმ პერიოდის გადასახედიდან ინგლისში სამრეწველო გადატრიალებით უახლესი ისტორიის დაწყება უხერხულად მიგვაჩინია და მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს. ეს ახალი ისტორიაა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული „სავაჭრო კაპიტალიზმის“ თეორიის გამოძახილს წარმოადგენს. სახელმძღვანელოში ამაზე მინიშნება საკმაოდ გამჭვირვალეა. „ევროპის საზოგადოებათა ევრეთწოდებულ ახალი ისტორიის დასაბამად შეიძლება მე-16 საუკუნე მივიჩნიოთ, რამდენადაც ეს დასავლეთ ევროპის უმთავრეს ქვეყნებში სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქა სწორედ ამ დროიდან იწყება. მე-18 საუკუნის დამლევდიან სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქის ადგილს სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქა იჭერს“.¹ ამგვარი პერიოდიზაცია მიუღებელია და მასში სერიოზული კორექტივები შეიტანა თვით საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ის სულ სხვა გზით წავიდა. ამიტომ მე-18 საუკუნის მიწურულს ინგლისში სამრეწველო გადატრიალებიდან უახლესი ისტორიის დაწყება ნაადრევი უნდა ჩანდეს და მიუღებლად მიგვაჩინა.

სახელმძღვანელოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების გაშუქებას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ექცევა და დიდი ადგილი აქვს დათმობილი.² აქ განხილულია შემდეგი თემები: 1. ინგლისის სოციალ-ეკონომიკური წყობილება სამრეწველო გადატრიალების წინ. აქ განხილულია თემები: აგრარული წყობილება, მრეწველობა და ვაჭრობა. მიმოსვლის

¹ ლუკინი (ანტონოვი) ნ., „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“, თბ., 1924, გვ. 10.

² ლუკინი (ანტონოვი) ნ., „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“, თბ., 1924, გვ. 19-51.

საშუალებანი. 2. აგრარული გადატრიალება ინგლისში მე-18 საუკუნის ნახევარს. 3. ინგლისის ვაჭრობა მე-18 საუკუნის ნახევრისთვის. 4. სატეხნიკო რევოლუცია ბამბის მრეწველობაში. 5. ორთქლის მამოძრავებლის გამოგონება. 6. გადატრიალება მეტალურგიული მრეწველობის დარგში. 7. მიმოსვლის ახალი საშუალებანი. 8. ახალი სამრეწველო კლასები. 9. ქალაქების ზრდა. ფაქტობრივად, ჩვენს წინაშეა საკითხის გეგმა. რა შეიძლება ითქვას მის შესახებ? იგი პირობით ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. სამრეწველო გადატრიალების მიზეზები, რომელიც მოიცავს პირველ სამ თავს და სამრეწველო გადატრიალების ისტორია, რომელიც იწყება მეოთხე თავიდან და სრულდება მე-9 თავით. ეს არის მარქსისტული გეგმა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი ეკონომიკური ფაქტორის პრიმატობა. ეს არის საკითხისადმი მონისტური მიდგომა. არსებობს საკითხისადმი მეორე პლურალისტური მიდგომა, რომელსაც უფრო ახლოს მივყავართ ისტორიულ რეალობასთან და გაცილებით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე ეს დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგონა.¹ სამრეწველო გადატრიალების პოლიტიკური და იდეური მოტივები პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელოში ნაჩვენებია შედარებით სუსტად, მკრთალად, რაც, ჩვენი აზრით, ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის შედეგების დრამატიზება, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა მარქსისტული ისტორიოგრაფიისთვის და რომლის მთავარ მეთოდოლოგიურ ამოსავალს, ცხადია, წარმოადგენდა კარლ მარქსის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავი² არ ღირს,

¹ Тоинби А., промышленный переворот в Англии, М., 1898.

² მარქსი კ., კაპიტალი, თბ., 1930.

ზედმეტია. ამგვარი მიდგომა ძალუმად იგრძნობა პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელოში „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“. აქცენტი კეთდება არა ამ პროცესის პოზიტიურ მხარეზე, არამედ ნაკლოვანებებზე და დომინანტური როლი ამ უკანასკნელს ენიჭება. მუქი ფერების უპირატესობა სწორედ ამით აიხსნება. კონსტიტუციური მონარქიის დამყარებამ ინგლისში დიდად შეუწყო ხელი თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. მე-17 საუკუნის მიწურულს და მე-18 საუკუნის დასაწყისში ინგლისის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები, რომელიც ეყრდნობოდა სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს. ამას მივყავართ სამრეწველო გადატრიალებამდე ინგლისში.

სახელმძღვანელოში ვრცლად არის განხილული სამრეწველო გადატრიალების ისტორია. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე-ახალგაზრდობას კარგად დააკვალთანებდა და დაეხმარებოდა ამ საკითხის შესწავლაში. აი, ეს იყო, სწორედ, მთავარი. ის ამართლებს თავის დანიშნულებას.

ამ მონაკვეთის ყველაზე უფრო წონად ნაწილად გვევლინება შემდეგი თავები. სატეხნიკო რევოლუცია ბამბის მრეწველობაში, ორთქლის მამოძრავებელი გამოგონება, გადატრიალება მეტალურგიის დარგში. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის ხერხემალს წარმოადგენს. ეს მსჯელობა სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება.

პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელოში თავმოყრილია მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა და მოცემულია მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ეს ფაქტობრივი მასალა საყურადღებოა და იმდროინდელი ქარ-

თული ისტორიოგრაფიის ფონზე წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენს, ხოლო მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია, მიუღებელია.

ყურადღება გავამახვილებთ ორ გარემოებაზე.

მე-18 საუკუნეში ინგლისის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის გამოძწევეი მთავარი მოტივები, პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელოში „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“, ჩვენი აზრით, შედარებით მკრთალად, სუსტადაა გაშუქებული. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ კიდევ უფრო ხაზგასმით, მკაფიოდ უნდა ყოფილიყო აღნიშნული ინგლისის ეკონომიკური განვითარებისათვის მახასიათებელი მთავარი თავისებურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინგლისის ეკონომიკაში აგრარული და სამრეწველო სექტორს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. ორივე სექტორი დიდ ზემოქმედებას ახდენდა ერთმანეთზე. მე-18 საუკუნეში ინგლისის სწრაფი ეკონომიკური აღზევება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უმთავრესად, განპირობებული იყო მთელი რიგი ობიექტური გარემოებებით, რომელთა შორის, უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ეკონომიკაში სიახლეების შეღწევა ერთნაირი ინტენსივობით მიმდინარეობდა ინგლისის სოფლებში და ქალაქებში. ამან მნიშვნელოვანწილად დააჩქარა და უზრუნველყო მე-18 საუკუნეში ინგლისის სწრაფი ეკონომიკური წინსვლა, რომელიც მომდევნო მე-19 საუკუნეში „მსოფლიო სახელოსნოდ“ მოგვევლინა.

მარქსისტული იდეოლოგია არ უარყოფდა ინგლისში სამრეწველო გადატრიალების ისტორიულ მნიშვნელობას, მის პროგრესულ ხასიათს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მაგრამ უმთავრესად აქცენტებს აკეთებდა არა პოზიტივზე, არამედ მის ჩრდილოვან მხარეებზე, რაც გამუქებულად წარმოგვიდ-

გენდა საქმის რეალურ ვითარებას. ამგვარი დამოკიდებულება სავსებით მართლზომიერი იყო და მის მთავარ იდეოლოგიურ ამოსავალს კარლ მარქსის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავი წარმოადგენდა. ეს სულაც არ იყო უკანასკნელი ჭეშმარიტება, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფია ირწმუნებოდა. არსებობს სხვა ხედვაც. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შედეგების დრამატიზება, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის, არ ღირს, ზედმეტია. ამგვარი მიდგომა, სხვათა შორის, ძალუმაღ იგრძნობა ნ. ლუკინის სახელმძღვანელოში „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“. გლეხების პაუპერიზაციაზე აქცენტირება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და საკითხისადმი მარქსისტული მიდგომის ლოგიკური შედეგია. „ხალხის მიწა-წყლის მსხვილი მემამულეთაგან კოლოსალურ ფლანგვას (მარქსის თქმით, „მარცვის ამ პარლამენტურ ფორმას“) ის მოჰყვა, რომ მე-19 საუკუნისათვის ინგლისში გლეხობა თითქმის მოისპო“¹. აქცენტი კეთდება არა იმაზე, რომ მე-19 საუკუნეში ინგლისი „მსოფლიო სახლოსნოდ“ იქცა, არამედ იმაზე, რომ ინგლისში გლეხობა გაქრა. მე-18 საუკუნის ინგლისის აგრარული ყოფიდან გლეხობის გაქრობის დრამატიზება, როგორც ამას ხაზს უსვამდა პროფ. ნ. ლუკინი, გადაჭარბებული უნდა იყოს და მუქ ფერებში წარმოაჩენს საქმის რეალურ ვითარებას. ისტორიული რეალობა ოპტიმიზმის საფუძველს უფრო მეტს იძლევა, ვიდრე პესიმიზმის/ ინგლისის რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სოციალურ ყოფაში ადგილი აქვს გრანდიოზული მნიშვნელობის ცვლილებებს, რომლის შედეგადაც მოხდა ქონების გადანაწილება მეფის და ძველი

¹ ლუკინი (ანტონოვი) ნ., დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“, თბ., 1924, გვ. 29.

არისტოკრატიის ხელიდან, მოკავშირე კლასების, ე.ი. როგორც თანამედროვეები უწოდებდნენ, ახალი თავადაზნაურობის, ჯენტრის, სკვაიერების და მდიდარი გლეხობის ხელში. ამან საბოლოო ჯამში სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ძველ ურთიერთობებს ინგლისში. ამიტომ როიალისტური წრეები მისტიროდნენ მიწაზე საკუთრების დაკარგვას და რესტავრაციის წლებში კიდევ შეეცადნენ სტატუს კვოს აღდგენას, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. მათ არ ძალუძდათ ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება. გლეხობის გაქრობას გადაშწყვეტი მნიშვნელობა არ ქონია მე-18 საუკუნის ინგლისის სოციალურ ყოფაზე. მისი აღმავალი ხაზით განვითარება გრძელდება. ფერმერული მეურნეობის განვითარებამ მძლავრი სტიმული მისცა ინგლისის სოფლის მეურნეობის აღმავლობას. მიწა აღმოჩნდა იმ ადამიანების ხელში, ვინც ყველაზე კარგად მოუარა და უპატრონა მას. გლეხთა ერთი ნაწილი მოიჯარადე ფერმერი გახდა, ხოლო მეორე, უფრო დიდმა ნაწილმა, მუშათა კლასის რიგები შეავსო.

პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელოში „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“ თარგმანი ამართლებს თავის დანიშნულებას, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნდა და პოზიტიური დატვირთვა ენიჭება. ის ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და თავისი, უდაოდ დადებითი როლი შეასრულა ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში, მაგრამ ეს მსჯელობა უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის გავლილი ეტაპია. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონზე პროგრესი აშკარად თვალმისაცემია და ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია, ხოლო მასში ჩადებული მარქსისტული კონცეფცია მიუღებელი.

პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელოს „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორიის“ ქართული თარგმანით კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა. ეს გვეხმარება შევავსოთ ის ხარვეზი, რომელიც ამ დარგში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. ამ სახელმძღვანელომ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. ამ კულტურტრევერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საქართველოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის მეორე მცდელობად გვევლინება 1933 წელს გამოსული წიგნი „დასავლეთ ევროპის ისტორია“ განაკვეთი 1. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში¹. ფაქტობრივად, ეს წარმოადგენს სახელმძღვანელოს ერთ მონაკვეთს და შეეხება მე-18 საუკუნის ინგლისში მომხდარ სამრეწველო გადატრიალებას. ეს ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და ქართულ რეალობაში ამ კონკრეტული საკითხის პოპულარიზაციის პირველ სპეციალურ მცდელობად გვევლინება. მასში ფართოდაა გამოყენებული პროფ. ნ. ლუკინის სახელმძღვანელო და მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. წიგნის შემდგენლად მოიხსენიება დ. ლორთქიფანიძე. ის დასძენს „განაკვეთი შედგენილია ლუკინის „დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორიის“ მასალების მიხედვით. კ. მარქ-

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933.

სის „კაპიტალიდან“ თავი 24 აღებულია მთლიანად, ზოგიერთი შემოკლებით¹.

უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორიის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ნებისმიერი მცდელობა დადებითად უნდა იქნას აღქმული და ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმის შევსების კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც აღნიშნულ თემაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იწერებოდა, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და ამის უგულვებელყოფა, იგნორირება, სწორი არ იქნებოდა.

ამ წიგნის მკაცრი მეცნიერული კანონებით განსჯა, რა თქმა უნდა, სწორი არ უნდა იყოს. და ქართულ ისტორიოგრაფიაში მის ადგილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ასეთ მაღალ ამოცანებს ის არ ისახავდა. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა და მიზნად ისახავდა ამ პრობლემის პოპულარიზაციას. მას წმინდა შექმნებითი დატვირთვა გააჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერულ მისიას ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი ეს იყო.

აღნიშნული ნაშრომი სავსებით შეესატყვისებოდა 30-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს. ნაშრომში თავმოყრილია მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა და მოცემულია მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. წიგნმა პოზიტიური როლი შეასრულა, თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში მე-18 საუკუნის ინგლისში

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 78.

სამრეწველო გადატრიალების სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

მარქსისტული სტერეოტიპების და შტამების გამო ამ წიგნის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური შეფასება სწორი არ უნდა იყოს. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის გვერდის ავლა, წაყრება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია, მიუღებელია, მოძველდა, ყავლი გაუვიდა, წარსულს ჩაბარდა.

ახლა ძალიან მოკლედ შევეხოთ წიგნის შინაარსს, არქიტექტონიკას. იგი სამი ნაწილისაგან შედგება, რომელიც დაყოფილია პატარა მონაკვეთებად. 1. ინგლისის სოციალ-ეკონომიკური წყობილება სამრეწველო გადატრიალების წინ. აქ განხილულია შემდეგი თემები: ა. აგრარული წყობილება, ბ. მრეწველობა. გ. მანუფაქტურები. 2. ეგრეთწოდებული კაპიტალის პირვანდელი დაგროვება. აქ განიხილება შემდეგი საკითხები: ა. პირვანდელი დაგროვების საიდუმლოებანი, ბ. სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაცია მე-15 საუკუნის ბოლოდან დაწყებული. დ. კაპიტალისტური ფერმერის წარმოშობა ე. მიწათმოქმედებაში მომხდარი რევოლუციის უკუგავლენა მრეწველობაზე. შინაური ბაზრის შექმნა სამრეწველო გადატრიალებისათვის. ე. სამრეწველო კაპიტალის წარმოშობა. ზ. კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული მნიშვნელობა. 3. სამრეწველო გადატრიალების პროცესი. აქ საუბარია: ა. მანქანების მცნების ანალიზი, ბ. სატექნიკო რევოლუცია ბამბის მრეწველობაში, გ. ორთქლის მამოძრავებლის გამოგონება დ. მიმოსვლის ახალი საშუალებანი, ე. მანქანების გამოგონება, როგორც ისტორიული აუცილებლობა, ვ. სამ-

რეწველო რეკლუციის ეკონომიკური შედეგები, ზ. ახალი კლასები სამრეწველო ბურჟუაზია და პროლეტარიატი¹.

მე-18 საუკუნის ინგლისის სამრეწველო გადატრიალების მიზეზებს ძალიან შორიდან იწყებენ და მას ეძებენ მე-16 საუკუნეში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესიდან. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, რომ ისტორიული ფონი დომინირებს ძირითად თემაზე.

ეს წიგნი განხილულია ისტორიკოს თამარ ანთაძის ნაშრომში და ამიტომ მასზე სიტყვას მეტი აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ გარეგან განხილვას დავჯერდებით².

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების შუა ხანები საქართველოში ინგლისის სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ოპტიმალურ ხანად უნდა მივიჩნიოთ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მასში საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი სხივები უნდა დავინახოთ. ფაქტობრივად, ამით მთავრდება საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველი პერიოდის პირველი ქვეპერიოდი.

საბჭოთა მარქსისტული ისტორიოგრაფია ამ პრობლემას მიუდგა ცალმხრივად, ტენდენციურად, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ არასწორი მეთოდოლოგიური ორიენტირები დასახა. აქცენტს აკეთებდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციაზე და კერძო მესაკუთრეობაზე, ხოლო ადამიანის უფლებები, გადაადგილების თავისუფლება, ხელისუფლების ძალადობისაგან დაცვა ჩრდილში რჩებოდა. ამგვარი მიდგომის მეთოდოლოგი-

¹ დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933, გვ. 2.

² ანთაძე თ., წიგნი სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ერთი მცდელობა – იბეჭდება ამავე კრებულში.

ურ ამოსავლად კარლ მარქსის „კაპიტალის“ ოცდამეოთხე თავი გვევლინება.

აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საქმეში საინტერესო სახეცვლილება ხდება 30-იანი წლების შუა ხანებში, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიცირებას, სტალინიზაციას. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. მხოლოდ საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა იყო მეცნიერული, სწორი და მისაღები¹. განსხვავებული აზრი იღვევებოდა, ითრგუნებოდა. იმ წუთში იწყებოდა ხელების გაადაგრების ესოდენ ნაცნობი სურათი. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ ძევის. მან წმინდა კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური ხასიათი მიიღო. ამან, ცხადია, თავისი გამოძახილი ჰპოვა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის მე-18 საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში შექმნილი ვითარება ამის ლოგიკური შედეგი იყო. ის სრული შტილი, რომელიც საქართველოში ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში შეინიშნება 30-იანი წლების შუა ხანებიდან, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. ამ უნიფიკაციით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დაწერილა საშუალო და უმაღლესი სკოლის ახალი ის-

¹ სტალინი ი., კიროვი ს., ჟდანოვი ა., შენიშვნები სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო, ისტორიის შესწავლისათვის. თბ., 1937.

ტორიის ეროვნული სახელმძღვანელო. დასაშვები იყო მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოს თარგმნა. ასე ისწავლებოდა ახალი ისტორია სკოლაში¹. ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის ქართული სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, სათანადო ადგილი და ყურადღება დაეთმოზოდა სამრეწველო გადატრიალების ისტორიას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კიდევ ერთი ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. მოგვიანებით, უძრავობის პერიოდში, 70-იან წლებში პროფ. გივი კილურაძე შეეცადა ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი შეეკვსო. მან დაწერა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, რომელიც მთლიანად თეორიულ ხასიათს ატარებდა და ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხებს შეეხებოდა². მას განზრახული ჰქონდა მეორე ნაწილის დაწერა, მაგრამ ისე გაიტაცა ინგლისის რევოლუციის ისტორიაზე მუშაობამ, რომ მას ცალკე სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია მიუძღვნა³. მას ჩაფიქრებული ჰქონდა ამგვარი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიების დაწერა ახალი ისტორიის სხვა საკვანძო საკითხების შესახებ. მათ შორის, ალბათ, მე-18 საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალებაზე. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ მისი ნაადრევი გარდაცვალების გამო, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. ასე იქნა ხელიდან გაშვებული ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის კიდევ ერთი კარგი შანსი,

¹ მამუკელაშვილი ნ., ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებული, თბ., 1993; მამუკელაშვილი ნ., საზოგადოებათ მეცნიერების სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორაძის კრებული, თბ., 1993.

² კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწილი პირველი. თბ., 1970.

³ კილურაძე გ., მე-17 საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. ნაწილი 1., თბ., 1979 წ. ნაწ. 2, თბ., 1983.

გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა პერიოდში რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა ძალზედ ადვილი ხელმისაწვდომი იყო და ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო-ლიტერატურის დეფიციტი ისე მწვავედ არ იგრძნობოდა. ქართველ ისტორიკოსთა ინერტულობის მეორე მიზეზი შეიძლება აქ ვეძიოთ.

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება ახალ ისტორიაში ქრესტომათიის პირველი წიგნის გამოცემა. მისი რედაქტორები იყვნენ მიხეილ მამფორია და გივი კილურაძე. ის ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს ინგლისის რევოლუციიდან საფრანგეთის რევოლუციამდე (1640-1789) საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით ახალი ისტორია იწყებოდა ინგლისის რევოლუციიდან.

ახალი ისტორიის ქრესტომათიაში, ბუნებრივია, განხილულია მე-18 საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალება. მასში მოთავსებულია ამ ეპოქის ამსახველი წყაროები. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. აგრარული რევოლუცია (გადატრიალება). აქ განხილულია შემდეგი საკითხები: 1. კ. მარქსი გლეხობის გაჩანაგების შესახებ, 2. შემოღობების პროცედურა პარლამენტის 1766 წლის აქტის მიხედვით. 3. არტურ იუნგი „შემოღობვათა სარგებლიანობის შესახებ“. 4. გლეხთა პეტიცია შემოღობების საწინააღმდეგოდ, 2. კაპიტალისტური მანუფაქტურა. აქ საუბარია შემდეგ საკითხებზე: 1. კ. მარქსი კაპიტალისტური მანუფაქტურის შესახებ, 2. მაუდის მანუფაქტურა (მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი), 3. რკინის მრეწველობის მანუფაქტურა (მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი). 4. ადამ სმიტი მანუფაქტურის უპირატესობის შესახებ, 3. სამრეწველო გადატრიალება, მანქანების შემოღება მრეწველობაში. აქ განხილული თემების ჩამონათვალი ასეთია: 1. კ. მარქსი მანქანების განვითარების შესახებ, 2. მუშა-

ობის პირობები მანჩესტერის ფაბრიკაში 1784 წელს. თვითმხილველის აღწერის მიხედვით 3. რობერტ ოუენი ბამბეულის მრეწველობაში გადატრიალების შესახებ (მე-18 საუკუნის 80-90-იანი წლები), 4. ფ. ენგელსი ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შედეგების შესახებ¹. რა შეიძლება ითქვას წყაროების ამ პუბლიკაციის შესახებ? სამრეწველო გადატრიალებაზე ქართულ ენაზე წყაროების პუბლიკაციით არა თუ მაშინ, არამედ დღესაც არა ვართ განებივრებული. ამიტომ ამ მიმართულებით განხორციელებული ნებისმიერ ღონისძიებას პოზიტიური მუხტი გააჩნია და სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ფაქტობრივად, მან სათავე დაუდო საქართველოში სამრეწველო გადატრიალების წყაროთმცოდნეობას. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე თვისობრივი, ხარისხობრივი, სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, წყაროები შერჩეულია მარქსისტული კუთხით. მუქი ფერების დომინანტობა ამის ლოგიკური შედეგია. აქცენტი კეთდება სამრეწველო გადატრიალების სუსტ მხარეებზე. ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და ქრესტომათია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენად გვევლინება. მან თავისი მოკრძალებული წვლილი დაიდო საქართველოში ინგლისის სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში და სათავე დაუდო სამრეწველო გადატრიალების წყაროთმცოდნეობას. წმინდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დღეს ეს ქრესტომათია უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ახლა ამ წყაროებს უკვე სულ სხვა ინ-

¹ ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი 1. რედაქტორები მ. მამფორია და გ. კილურაძე, თბ., 1979, გვ. 56-77.

ტერაპრეტაცია გაუკეთდება. ემპირიის დონეზე პროგრესი მაინც იყო და მთავარი სწორედ ესაა. მათ აირჩიეს სერიოზული მეცნიერული პრობლემა, სამრეწველო გადატრიალება ინგლისში და მოგვცეს მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. დიდი არჩევანი არ ჰქონდათ. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ასე უფრო სწორი იქნებოდა.

* * *

90-იანი წლების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი. ამით სრულდება საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველი პერიოდი. ინგლისში სამრეწველო გადატრიალების სწავლება და შესწავლამ, პოპულარიზაცია საბჭოთა ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). ის პირობით სამ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. 90-იანი წლების დასაწყისიდან იწყება საქართველოში მე-18 საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ახალი მეორე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს არის მე-18 საუკუნის ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული პრობლემით დაინტერესება შედარებით უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს, რაც უახლესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსად მიგვაჩნია. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გათავისუფლდეს მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამებისაგან და სწორ გზას დაუბრუნდეს. აღნიშნული საკითხით დაინტერესება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება,

რომ მან ძირითადად ასახვა ჰპოვა სასწავლო ლიტერატურაში საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებში.

მე-18 საუკუნეში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების მარქსისტული ინტერპრეტაციისაგან გათავისუფლების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად მე-8 კლასის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია¹. აქ აქცენტი კეთდება არა ნეგატივზე, არამედ პოზიტივზე. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული სამრეწველო გადატრიალების ისტორიული მნიშვნელობა. „კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებამ ინგლისში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას შეუწყო ხელი, რასაც მნიშვნელოვანი ტექნიკური აღმოჩენები და გამოგონებები მოჰყვა“².

ამ კარგი ტრადიციის ლოგიკური გაგრძელებაა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები. მე-18 საუკუნეში ინგლისის სამრეწველო გადატრიალებაზე მოკლედ, ლაკონურად, არის საუბარი ჩვენს სახელმძღვანელოში „ინგლისის ისტორია. კულტურა. გეოგრაფია“³. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: სამრეწველო გადატრიალების წინამძღვრები, მანუფაქტურული წარმოება, სამრეწველო გადატრიალება. ხაზგასმულია მისი ისტორიული მნიშვნელობა.

დეტალურადაა ეს თემა განხილული პროფ. ივ. მენტე-შაშვილის წიგნში „ინგლისის ისტორია“⁴. აქ თავმოყრილი

¹ ანთაძე კ., ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, მე-8 კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.

² ანთაძე კ., ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, მე-8 კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 39.

³ კალანდაძე მ., ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005, გვ. 131-136.

⁴ მენტეშაშვილი ივ., ინგლისის ისტორია. თბ., 2004, 133-141.

მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია საინტერესოა და მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ეს სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტებს გაიფართოვონ თავისი ცოდნა ინგლისში სამრეწველო გადატრიალებაზე. საზგასმულია მისი ისტორიული მნიშვნელობა. აქცენტი კეთდება სამრეწველო გადატრიალების დადებით მხარეებზე და არა ნაკლოვანებებზე. ეს სწორი მიდგომა იყო. სასურველი იქნებოდა ეს საკითხი დაყოფილი ყოფილიყო პატარა მონაკვეთებად. ეს გაუადვილებდა სტუდენტებს თემის აღქმას.

ჩვენთვის საინტერესო თემას ეხება პროფ. რევაზ გაჩეჩილაძის სახელმძღვანელო „ინგლისის გეოგრაფია, კულტურა და ისტორია“. ამ საკითხს ერთ პარაგრაფი აქვს დათმობილი.¹ მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და თავისი წვლილი მიუძღვის სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის საქმეში. „სამრეწველო რევოლუციამ“ დიდი უპირატესობა შესძინა ბურჟუაზიას. მექარხნებს შეეძლოთ ფართოდ გამოეყენებინათ ბავშვებისა და ქალების იაფი შრომა, ხოლო უმუშევრები და ღარიბები შეერეკათ „შრომით სახლებში“, სადაც მათ უმძიმეს პირობებში ინახავდნენ. ერთი სიტყვით, ასეთ დიდი ეკონომიკურ განვითარებას არავითარი ბედნიერება არ მოჰქონდა ხალხის ფართო მასებისათვის. ინგლისი კი ამ დროს ყველაზე მძლავრი და ინდუსტრიული ქვეყანა გახდა. მისი საქონელი მსოფლიოს ყველა კუთხეში იყიდებოდა და „იუნონ ჯეკი“ ფრიალებდა ყველა ნავსადგურში“². რამდენად მართლზომიერი უნდა იყოს აქცენტების ამგვარი დასმა? ნებისით თუ უნებლიეთ ხომ არ ვამუქებთ საქმის ვითარებას? პე-

¹ გაჩეჩილაძე რ., ინგლისის გეოგრაფია, კულტურის ისტორია, თბ., 1994, გვ. 103-108.

² გაჩეჩილაძე რ., ინგლისის გეოგრაფია, კულტურის ისტორია, თბ., 1994, გვ. 108.

სიმისტურად ხომ არ გაისმის ასეთი დასკვნა? აი, ის შეკითხვები, რომელიც გვიჩნდება. სამრეწველო გადატრიალების შედეგად მე-19 საუკუნეში ინგლისის „მსოფლიო სახელოსნოდ“ მოგვევლინა. აი, რა იყო მთავარი.

ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესახებ საინტერესო ინფორმაციას მოვწახვავთ პროფ. ვაჟა თვალავაძის „ახალი ისტორიის“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში. აქ ეს საკითხი განხილულია მე-18 საუკუნის ინგლისის ისტორიაში. სამრეწველო გადატრიალების ისტორიის გაშუქება ამ მონაკვეთის დასკვნით აკორდად გვევლინება¹. ხაზგასმულია, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების ისტორიული მნიშვნელობა. „დაწყებული სამრეწველო რევოლუციის მნიშვნელოვანი შედეგები იყო: შრომის ნაყოფიერების ზრდა და კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფი განვითარება, წარმოების თვითღირებულების შემცირება, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გააქტიურება, ახალი სამრეწველო ქალაქების და ფაბრიკა-ქარხნების დაარსება. მე-18 საუკუნის ბოლოსთვის მანჩესტერი, ბირმინჰემი, ლონდონი, შეფილდი, ლიდსი, მსხვილ სამრეწველო ცენტრებად იქცნენ. სამრეწველო წარმოების მხრივ განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქვეყნის ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონები.

სამრეწველო რევოლუციას დიდი სოციალური ცვლილებები მოჰყვა: გაიზარდა დაქირავებულ მუშათა რაოდენობა და ჩამოყალიბდა სამრეწველო პროლეტარიატი, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი კლასები – საფაბ-

¹ თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, ნაწილი მეორე, 1640-1815, თბ., 1999, გვ. 87-90.

რიკო-საქარხნო პროლეტარიატი და სამრეწველო ბურჟუაზია“¹.

აღნიშნული საკითხის გაშუქების კიდევ ერთ მცდელობად გვევლინება დავით ლომსაძის სახელმძღვანელო „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“². მან თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა სამრეწველო გადატრიალების წანამძღვრების განხილვამ. სამრეწველო გადატრიალების გამომწვევი პოლიტიკური და იდეური მოტივები გაშუქებულია შედარებით მკრთალად, სუსტად. კარგად აქვს გაცნობიერებული სამრეწველო გადატრიალების ისტორიული მნიშვნელობა. „სამრეწველო რევოლუციის უდიდესი შედეგი იყო შრომის ნაყოფიერების ზრდა და კაპიტალისტური წარმოების სწრაფი განვითარება. ამან ხელი შეუწყო სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირებას და საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებას.“³

მოკლედ, ლაკონურად, არის საუბარი სამრეწველო გადატრიალებაზე გივი ბოლოთაშვილის მე-11 კლასის სასკოლო სახელმძღვანელოში „მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია“. ხაზგასმულია სამრეწველო რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, მისი როლი ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზების პროცესში. „და მაინც, ამ ეპოქაში (ე.ი. სამრეწველო გადატრიალების დროს) მიმდინარე მოვლენები ძირს უთხრიდა ტრადიციონალიზმის საფუძვლებს, ხოლო მე-19

¹ თვალკაძე ვ., ახალი ისტორია, ნაწილი მეორე, 1640-1815, თბ., 1999, გვ. 90.

² ლომსაძე დ., ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი 1, თბ., 1998, გვ. 27-29.

³ ლომსაძე დ., ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი 1, თბ., 1998, გვ. 29.

საუკუნეში მისი ნგრევა ევროპის წამყვან ქვეყნებში თვალსაჩინო გახდა¹.

ეს შრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად გვევლინება. ყინული თანდათან დაიძრა. დადებითისკენ შემობრუნება, ვფიქრობთ, თვალშისაცემი იყო. აქცენტი კეთდება სამრეწველო გადატრიალების პოზიტიურ მხარეზე. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თვალსაზრისით გარკვეულ პოზიტიურ ძვრებს აქვს ადგილი, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. გასაკეთებელი ბევრია.

* * *

ამრიგად, პროგრამა მაქსიმუმში, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების მეცნიერული კვლევა, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა და ქართულ ისტორიოგრაფიას ინგლისში სამრეწველო გადატრიალებაზე სპეციალური სამეცნიერო გამოკვლევა ან ისტორიული ნარკვევი არ დაუწერია, მაგრამ ეს ქართული ისტორიოგრაფიის ნაკლად ძნელია მივიჩნიოთ. ეს არ იყო მთავარი. უფრო არსებითია ამ საკითხის პოპულარიზაცია. ეს არის პროგრამა მინიმუმში. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მან თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ინგლისში სამრეწველო გადატრიალების სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. ჩვე-

¹ ბოლოთაშვილი გ., მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 204.

ნი ღრმა რწმენით, ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიერ გაწეულ შრომას, და მის წარმატებად მიგვაჩნია. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

საქართველოში სამრეწველო გადატრიალების ისტორიით დაინტერესება პოპულარულ ხასიათს ატარებდა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ მან, უმთავრესად, ასახვა ჰპოვა არა სამეცნიერო, არამედ სასწავლო ლიტერატურაში. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ სამეცნიერო კვლევაზე დომინირებს პოპულარიზაცია. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. ეს არ აკნინებს ამ საკითხში ქართული ისტორიოგრაფიის წვლილს. მან საგულისხმო ფერისცვალება განიცადა.

საქართველოს გასაბჭოებამდე შეინიშნება ინგლისში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის მცდელობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ეს თემა გაშუქებული იყო ძალიან მკრთალად, სუსტად. ეს ფაქტობრივად, ამ პრობლემის განვითარების იგნორირების ტოლფასია. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ იყო და ეს მწირი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში მოსწავლე ახალგაზრდობას, ზოგად წარმოდგენას ვერ შეუქმნიდა. ის არ ამართლებს თავის დანიშნულებას.

ამ საკითხის ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნას 1921 წელს საქართველოს გასაბჭოება. სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში იმდროინდელი ქართული სინამდვილის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. საკითხისადმი მიდგომამ მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათ მიიღო და ერ-

თი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ემპირის, ფაქტოლოგიის ღონეზე პროგრესი აშკარად თვალშისაცემი ჩანს და, ამას, ალბათ, არც არავინ უარყოფს. კრიზისმა კონცეპტუალური დატვირთვა შეიძინა და მეთოდოლოგიურ ხასიათს ატარებდა. ეს ჩიხური გზა იყო. აქცენტები კეთდებოდა არა სამრეწველო რევოლუციის დადებით შედეგებზე, არამედ მის სუსტ მხარეებზე. ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შედეგების დრამატიზება, რომელიც იგრძნობოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს სწორ გზას. ბოლო წლებში გამოსული შრომები საქართველოში სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარი შედეგი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ურიგო არ უნდა იყოს და, ჩვენი ღრმა რწმენით, თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამოუვარდება ამ საკითხებში ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყნის მიღწევებს.

დამოწმებანი:

1. Ерофеев Н., Англиская промышленная революция в освещении буржуазной историографии – «Вопросы истории», 1964, №11.
2. ბიკოვი ა., ამბები ინგლისის ისტორიიდან (XI-XIX საუკუნე), თბ., 1901.

3. უზნაძე დ., ი, გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბ., 1919.
4. წერეთელი აღ., მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
5. ავალიანი ს., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს.), თბ., 1920.
6. ჭუმბურიძე თ., ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
7. კალანდაძე მ., საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015.
8. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი 1. თბ., 2011. მ. კალანდაძე, პროფესორი კოტე ანთაძე, თბ., 2014. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხების შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
9. ლუკინი (ანტონოვი) ნ., დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია“, თბ., 1924.
10. Тоинби А., промышленный переворот в Англии, М., 1898.
11. კ. მარქსი, კაპიტალი, თბ., 1930.
12. დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, თბ., 1933.

13. ანთაძე თ., წიგნი სამრეწველო გადატრიალების პოპულარიზაციის ერთი მცდელობა – იბეჭდება ამავე კრებულში.
14. სტალინი ი., კიროვი ს., ჟდანოვი ა., შენიშვნები სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო, ისტორიის შესწავლისათვის, თბ., 1937.
15. მამუკელაშვილი ნ., ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში - ალექსანდრე ნამორადის სახელობის კრებული, თბ., 1993.
- 16 მამუკელაშვილი ნ., საზოგადოებათ მეცნიერების სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში – ალექსანდრე ნამორადის კრებული, თბ., 1993.
17. კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწილი პირველი. თბ., 1970
18. კილურაძე გ., მე-17 საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. ნაწილი 1., თბ., 1979 წ. ნაწ. 2, თბ., 1983.
19. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი 1. რედაქტორები მ. მამფორია და გ. კილურაძე, თბ., 1979.
20. ანთაძე კ., ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, მე-8 კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა. თბ., 2005.
21. კალანდაძე მ., ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005.
22. მენტეშაშვილი ივ., ინგლისის ისტორია. თბ., 2004.
23. გაჩეჩილაძე რ., ინგლისის გეოგრაფია, კულტურის ისტორია, თბ., 1994.
24. თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, ნაწილი მეორე, 1640–1815. თბ., 1999.
25. ლომსაძე დ., ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1998.
26. ბოლოთაშვილი გ., მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2005.

Merab Kalandadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**STUDY ENGLAND INDUSTRIAL REVOLUTION IN
GEORGIA
RESUME**

This work have historiographical character and his goal is to study England industrial revolution in Georgia. This question is inters and not studying yet. This work is the first try of this.

Georgian historiography have his influence to studying and teaching and popularization this England industrial revolution, he generally have scientific-popular character and reflected in teaching literature.

Since sovietization of Georgia, Georgian historiography ignored to study this question.

Studying of industrial revolution in Georgian historiography began after of sovietization of Georgia. this was first period of this studying and this have scientific tone, but this have one-sided character and this was in one Marxist ideology, different opinion was unacceptable. Georgian scholars began serious scientific problem and studying from Marxist position, they have studying English industrial revolution from this opinion. From empirical and factological side progress is obvious and anyone can rejection this, but Marxist interpretation is unacceptable.

After collapse of Soviet Union began the second period who continue since today. Georgian Historiography tries escape Marxist stereotypes and stamps this works is first stage of normal studying in Georgia.

**თანამედროვე ქართული საზოგადოების ეროვნულ-
ფუნქციონალური მაჩვენებელი**

კულტურა არის კონკრეტული მრავალმხრივობის მატარებელი ფენომენი. მას აქვს მთლიანი სტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა ელემენტებისა და ნაწილებისაგან შედგება. დღეს ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი თვალსაზრისი, რომელშიც ახსნილი და განმარტებული იქნებოდა კულტურა, როგორც სტრუქტურული მთლიანობა ან მოდელი. კულტურის პრობლემა ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოებრიობის პრობლემასთან. ამ შეხედულებას იზიარებს სამართლის თეორიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი თომას ჰობსი. კულტურის ძირითად ფენომენად ჰობსი სახელმწიფოს მიიჩნევს; როცა არ არის სახელმწიფო, მაშინ გამეფებულია ვნებები, ომები, შიში, სიღარიბე, სიმდაბლე, მარტოობა, ბარბაროსობა, ველურობა, უეციობა და ა.შ. ხოლო სახელმწიფოს შიგნით პატრონობს გონება, მშვიდობა, უსაფრთხოება, სიმდიდრე, ღირსება, საზოგადოება, დახვეწილობა, ცოდნა, კეთილგანწყობა და ა.შ. კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შეფასება გვევლინება თვით კულტურის ცნებაშიც. მაგალითად, იგივე ჰობსი გვევლინება ციცერონისა და ტაციტუსის, საერთოდ, კულტურის ანტიკური გაგების მემკვიდრედ.

განსაკუთრებული ადგილი კულტურის ფილოსოფიის ისტორიაში ეკუთვნის დიდ გერმანელ განმანათლებელს ი. გ.

ჰერდერს, რომელმაც კულტურის ისტორიას საფუძვლად დაუდო მოძღვრება ადამიანის შესახებ. ჰერდერი საფუძვლიანად განიხილავს სხვადასხვა კულტურებს და ფიქრობს, რომ კულტურის ეროვნული მრავალფეროვნება არ ფარავს კაცობრიობის ურთიერთობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ხალხის კულტურას აქვს საკუთარი ღირებულება და არ შეიძლება ევროპული კულტურა მიჩნეული იქნას მაგალითად, ნიმუშად ყველა ხალხისა და ღროისათვის.

ქართული ეროვნული კულტურის ისტორიის სისტემატური თვალსაზრისით შესწავლაში ჩამორჩენის მიუხედავად, კულტურის ისტორიის ცალკეული დარგების შესწავლას და ღრმა მეცნიერულ ანალიზს საფუძველი ჩაუყარეს XX საუკუნისა და თანამედროვეობის თვალსაჩინო მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ, დ. უზნაძემ, გ. ჩუბინაშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, გ. ჩიტაიამ, გ. წერეთელმა, ვ. ბერიძემ, შ. ამირანაშვილმა და სხვებმა. კულტუროლოგიის მეცნიერების ინტენსიური შესწავლის და გამოკვლევების საფუძველზე შეიქმნა ის მეცნიერული პოტენციალი, რომელმაც ჩვენ გაგვაბედვინა ამ პრობლემისადმი ინტერესი და შეძლებისდაგვარად შემოგვეთავაზებინა ზოგიერთი მოსაზრება.

პრობლემა მეტად რთულია, ხოლო სირთულეს ისიც ქმნის, რომ თვით პრობლემა მრავალგანზომილებიანია, კომპლექსურია და მოითხოვს ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, ქართული ენისა და ლიტერატურის და სხვა სპეციალისტების ერთობლივ შრომას. ალბათ, წამყვანი როლი კულტურის ისტორიის კვლევაში ყველაზე მეტად ისტორიკოსებს ეკისრებათ, რადგან ეს სამეცნიერო დისციპლინა, მისი მრავალწახ-

ნაგოვნების მიუხედავად, განუყოფელი და ორგანული ნაწილია საერთო ისტორიული პროცესისა.

თანამედროვე ქართველმა მეცნიერებმა ეს როლი მაშინაც იკისრეს, როდესაც 1981 წელს ბორჯომის ტრადიციულ შეკრებაზე საგანგებოდ დააყენეს ქართული ეროვნული კულტურის სისტემატური კვლევის პრობლემა. ვინაიდან ქართველი ერი, თავისი ისტორიული განვითარების, ფორმაციისა თუ სტრუქტურების, სხვა ისტორიულ-ეპოქალური პერიპეტების კვალდაკვალ იცვლებოდა, შესაძლებლად მივიჩნიეთ, რათა ქართული ეროვნული კულტურის პერიოდიზაცია განგეხილა და გაგვეანალიზებინა წარსული და თანამედროვე პრობლემათა კონტექსტში, მისთვის გვეწოდებინა ქართული ეროვნული კულტურის კლასიფიკაციის თანამედროვე ასპექტი.

XIX საუკუნის მეცნიერები ადამიანის აბსტრაქტიზებულ სახეს განსაზღვრავენ მისი ცნობიერების წარმოდგენებს იმდროინდელი თავისებურებების მიხედვით. დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის უნივერსალური კატეგორიის ძიებას (ა. გურევიჩი).

ჩვენს სინამდვილეში, როდესაც ვლაპარაკობთ კულტურის უნივერსალური კატეგორიების ძიებაზე, შეიძლება მივუმატოთ გაზიარებული და მიღებული ტერმინი სპეციფიკურობაც, რომელშიც ერთიანდება ტემპერამენტი, მიდრეკილებები, განწყობა, ემოციები და სხვ. თუ სინამდვილის აღქმა შესაძლებელია ისეთი ცნებებითა და ფორმებით, როგორცაა დრო, სივრცე, ცვლილება, მიზეზი, ბედ-იღბალი, რიცხვი, გრძნობადის დამოკიდებულება ზეგრძნობადთან, ნაწილის დამოკიდებულება მთელთან... ეს უნივერსალური ცნებები თითოეულ კულტურაში ურთიერთკავშირშია და ქმნიან თავისებურ „სამყაროს მოდელს“.

ქართული ეროვნული კულტურის განვითარების პერიოდში შემოთავაზებული უნივერსალური მოდელი და პლუს გეოგრაფიული გარემო, რომელიც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელმაც შეიძლება დააჩქაროს, ან შეანელოს საზოგადოების განვითარება და, საერთოდ, კულტურა. საქართველოს ბუნებამ, მდიდარმა ფლორითა და ფაუნით, რომელიც იმყოფება ევროპული და აზიური სამყაროს გზაჯვარედინზე, იძლეოდა და იძლევა განსაკუთრებულობას დღეს და ყოველთვის; შეუძლია შეასრულოს გარკვეული ისტორიული როლიც, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლური კულტურების გასაყარზე, ახლებურად წარმოაჩინოს თავისი წარსული, კულტურული მონაპოვარი და აგრეთვე „კოორდინატების ბადეში“, შექმნას კულტურის ახალი სტრუქტურები.

ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაცია ჩამოყალიბებული და ქრონოლოგიურ სისტემაში ამგვარად იყო წარმოდგენილი:

1. ქართული უძველესი კულტურა;
2. ქართული კულტურა ანტიკურ ხანაში;
3. ქართული კულტურა ადრეფეოდალურ ეპოქაში (IV-XI სს.);
4. ქართული კულტურა XI-XII საუკუნეებში;
5. ქართული კულტურის დაქვეითების ხანა (XIII-XVII სს.);
6. ქართული კულტურა XVIII საუკუნეში.
7. ქართული კულტურის განმანათლებლობის ეპოქა - XIX საუკუნე;
8. ქართული კულტურის გარდამავალი და თანამედროვე ყოფითი კულტურის გამომხატველი XX საუკუნე.

სისტემატური ანალიზის დროს შეგვიძლია ადრეული საუკუნეების ქართული კულტურა პირობითად გავაერთიანოთ და ვუწოდოთ ქართული კულტურის ადრეული კულტურული ცივილიზაცია, რომელშიც ქართული უძველესი კულტურა და ანტიკური ხანის კულტურები ექცევიან; რელიგიისა და კულტურის აღზევების ხანას მივაკუთვნებთ IV-XII საუკუნეებს (ოქროს ხანითაც წოდებული); ქართული კულტურის დაქვეითების ხანაა XIII-XVII სს., რომლის კვალიფიკაცია შემოგვთავაზა პ. აკ. სურგულაძემ, ჩვენ ნაწილობრივად გავიზიარეთ მისი შეხედულება. საქმე ისაა, რომ ასეთი ფორმულირება - რამდენიმე საუკუნის ერთ ქრონოლოგიაში მოქცევა და შეფასება - იმას გვაფიქრებინებს, რომ ზემოთ ხსენებული სისტემური ანალიზის შედეგად ეს ეპოქა კულტურული თვალსაზრისით სხვაგვარად გამოიყურება. მრავალგზის დალაშქრულმა საქართველომ შეძლო შეექმნა თავისი თვითმყოფადი კულტურა და მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლები. კულტურის პერიოდის ქრონოლოგიის ჩვენი კლასიფიკაციით შემოთავაზებული ვარიანტი ასე გამოიყურება: IV-VII სს; VII-X სს; XI-XIII სს; XIV-XVII სს; XVII-XIX სს; XX და XXI საუკუნე (ყოველი საუკუნის დასახასიათებლად შევეცდები შემდგომ ნაშრომში წარმოვადგინო უფრო ზუსტი მახასიათებლები).

რაც შეეხება ქართველი ხალხის კულტურის ისტორიისა და კულტურულ მონაპოვარს, რომელიც გამოიხატება ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, მორალურ-ეთიკურ ნიშნებში, ტრადიციებში და სხვ. ჩვენი მოვალეობაა მოვათავსოთ, ან შევქმნათ ისეთი სტრუქტურული მოდელი, რომელიც კულტურის კვლევის თანამედროვე მეთოდულებს შეესატყვისება.

კულტურული მონაპოვარი, რომელიც გააჩნია ქართველ ხალხს ენისა და ტრადიციების მეშვეობით, დამატებით ქმნის

ეთნიკურ სიმკვრივეს, რაც, ასევე, აუცილებელი პირობაა კულტურის ერთიანობისათვის.

თავს უფლებას ვაძლევ, რათა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: ეს არის ყველა ის კულტურული და კულტურის ღირებულებები, რომლებითაც ეამაყება ერს და ჩვენს თვითშეგნებას, მაგრამ უპირისპირდება ეროვნულ შეზღუდულობასაც, რომელიც შესაძლებელია გადაიზარდოს კულტურის ეროვნულ შეზღუდულობამდე – საგანთა ეროვნული შეფასება, ეროვნული ღირებულების გადაქცევა საგანთა შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად არ უნდა შეფასდეს. ასეთი სახით შეიძლება წარმოიშვას სუბიექტივიზმი სხვადასხვა სახის შეფასებებში, წარმოიშვას ნაციონალიზმი, შოვინიზმი, სხვა ერების ღირსების და, აქედან გამომდინარე, კულტურის შეურაცხყოფა, მესიანიზმი და სხვა. ეროვნულ შეზღუდულობას საფუძვლად უდევს ეთნოცენტრიზმის - ყოველგვარი ცხოვრებისეული მოვლენის აღქმა და შეფასება საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ღირებულებების და ტრადიციების აყვანა საყოველთაო ეტალონის რანგში. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი სამნერი წერს, რომ ყველაზე მცირე და ყველაზე პრიმიტიული საზოგადოების წევრებიც კი ამჟღავნებენ მიდრეკილებას მკვეთრი განსხვავება მოახდინონ თავის თავსა და სხვებს შორის. ეთნოცენტრიზმი არ გულისხმობს კონფლიქტურ ურთიერთობებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის. აქ ყურადღების ცენტრი გადატანილია ეთნიკური ჯგუფის თვითცნობიერების სპეციფიკაზე, „ჩვენ“ და „ისინი“-ს გამიჯვნაზე, ხოლო თვით ცნობიერების შინაარსი რეალურად სხვადასხვა კონკრეტული სოციალურ-ისტორიული პირობების მიხედვით იცვლება. არის შემთხვევები, როცა ურთიერთობის სფერო შეზღუდულა და მაშინ ადგილობრივი ტრადიციები და ღირებულებები, აუცილებლად უნივერსალიზდება. თუ ინტენსიური

ურთიერთობა სხვა ჯგუფებთან არ ატარებენ კონფლიქტურ ხასიათს, რაც ხშირად თავს იჩენს ცხოვრების რეალურ ურთიერთობებში. მაშინ შესაძლებელი ხდება ეთნიკური შეზღუდულობის გადალახვა და უფრო ადვილი ხდება, როგორც საკუთარი, ისე უცხო კულტურების გაგება, ხშირი კულტურული კონტაქტები. განსაზღვრული ეთნიკური იდენტიფიკაციით ამსუბუქებენ ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობის დაძლევას და ხელს უწყობენ ხალხებისა და კულტურების დაახლოვებას.

კულტურა, ისე როგორც საზოგადოება, ზოგადი ისტორიული ხასიათის მიუხედავად, შინაარსს იძენს და გამოვლენას ჰპოვებს კონკრეტულ საზოგადოებასთან, ქვეყანასთან, ეთნოსთან, რეგიონთან და სხვ. ერს, რომელსაც ისტორიული ცხოვრების გზა გამოუვლია, ხანგრძლივი ისტორიული ერთობის შედეგად გამოშუშავებული აქვს ტრადიციები, ფსიქიკა, ცხოვრების წესი, რწმენა, ცრურწმენა, მიღწევები, სიძნელეები, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა მთელი საკუთარი სისტემა და სტრუქტურები.

დღეს კულტურამ ყველა დარგში არნახულ დონეს მიაღწია, მოსალოდნელია, რომ ეს დონე თანამედროვე ურთიერთობების განვითარების პროცესში უფრო გაიზრდება: ღირებულებათა „გაცვლა“ სახელმწიფოებრივი და ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი გახდება, ვინაიდან, ტექნიკის, მეცნიერების, ხელოვნების, მოდის, ზნეჩვეულებების უნივერსალიზაცია მოითხოვს ერის გამუდმებული ადაპტირების პროცესს ახალი ღირებულებებისა და ახალი ქმნილებებისადმი. ახალი ჩვევები, გემოვნება აზროვნების წესი გახდება მოცემული ეროვნული ტრადიციის კუთვნილება; მეორე მხრივ, კიდევ უფრო გაიზრდება წარსულის მემკვიდრეობისადმი ინტერესი, რაც თანამედროვე კულტურის გა-

ნვითარების ერთ-ერთი ფუნქციაა, ხოლო გაძლიერებული ინტერესი წარსულის მიმართ ხან ერთი და ხან მეორე პერიოდისა და მოვლენისადმი არა მარტო აყალიბებს თანამედროვე კულტურებთან ურთიერთობას, არამედ იგი ერის ინტეგრაციის ერთ-ერთი ელემენტია, ე.ი. ხდება მისი კულტურული ინტეგრაცია; ინტეგრაცია კი, თავის მხრივ, მოითხოვს განუწყვეტელ პროცესს, რომელიც მდგომარეობს ძირითადი კულტურული ღირებულებების შენარჩუნებაში. როგორცაა: ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, ერის ისტორია, საყოველთაო ღირებულებათა იდენტიფიცირება. ამავე დროს, კულტურის განვითარება, ერის დიფერენცირებული საზოგადოებრივი სტრუქტურის შედეგად, ქმნის სხვადასხვა სახის ღირებულებებს, რომელიც ყოველთვის ხელს არ უწყობს ინტეგრაციის პროცესებს. ამის გამო ხდება მათი თავიდან მოცილება. ეს ეხება, აგრეთვე, საერთაშორისო კულტურის ელემენტების ასიმილაციას, რომელთა შერევა კრიტიკულად მიმდინარეობს. ამასთან ერთად, ეროვნული კულტურის მოდერნიზაციის თუ განახლების პროცესში მიმდინარეობს ბრძოლა მრავალი მოძველებული, ტრადიციული და კონსერვატიული ღირებულებების განწმენდისათვის.

ახალი კულტურა უნდა აისახოს ერის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებების ფონზე. ეს, ძირითადად, ნიშნავს თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის განვითარებასაც, რაც მეცნიერებისა და განათლების პროგრესს, ე.ი. რაციონალიზმს შეიტანს ადამიანის ცხოვრების მრავალ სფეროში. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს აგრეთვე ზოგიერთ ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტას, უფრო სწორად, ტრადიციის იმ ელემენტებთან, რომლებიც ცრურწმენასა და ლოგიკის საწინააღმდეგო არგუმენტს ეყრდნობა. ამგვარ ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტის აუცილებ-

ლობა გამოწვეულია იმითაც, რომ ერი უსათუოდ უნდა შევიდეს იმ მეცნიერული ღონის ეპოქაში, იმ რაციონალური პრინციპებით, რომლებიც ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ამაღლებისთვის არის საჭირო. ეროვნული ტრადიციების გადახალისებას მიეცემა უფრო ფართო ინტერპრეტაცია, ხოლო სოციალური ურთიერთობების რადიკალური გარდაქმნა ერის ისტორიისა და ტრადიციების, ლოკალური მნიშვნელობის ღირებულებები და ინსტიტუტები იმდენად უწევენ ანგარიშს, რამდენადაც იგი ხელს არ უშლის რაციონალობის პრინციპის განსაზღვრულობას.

ეროვნული კულტურის ბედი და კულტურული კავშირ-ურთიერთობები მაღალგანვითარებული კომუნიკაციების ეპოქაში მეტად რთული და მიმზიდველია. მაგრამ დღეს ხალხები ყველაზე უფრო ახლო არიან ერთმანეთთან, ვიდრე წარსულში; ყოველგვარი ზემოქმედება ადამიანთა ცხოვრებაზე ძალდატანებით შეუძლებელია. აქ შემოქმედების ფორმა, რიტმი, ზოგადი ორიენტაცია ისტორიული დროის ნიშნის მატარებელია, მაგრამ ისტორიული ეპოქა ქმნის ერთიანობას, რომელიც გულისხმობს სტრუქტურულ მრავალსახეობას. ჩვენი ეპოქის კულტურული ატმოსფერო გამოირჩევა ცალკეული შეხედულებების სიმრავლით, რომლებიც ეროვნულ კულტურებში გამოიხატება. საუკუნეებით ჩამოყალიბებულმა პროცესებმა ჩამოაყალიბა აგრეთვე არსი შემოქმედებითი განვითარების სისრულისთვის. ამიტომ ეროვნულ კულტურას უკვე აღარ აქვს მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა, იგი ჩართულია მსოფლიო კულტურებში, ქმნის ორიგინალურ ღირებულებებს და ამ გზით ავლენს თავის თვითმყოფად სახეს.

დამოწმებანი:

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960;
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1966;
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966;
4. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1967;
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ., 1968;
6. მ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1919;
7. გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965;
8. შ. ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი, შრომები, IV, თბ., 1976;
9. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ყოფა და კულტურა. „მეცნიერება“, თბ., 1985;
10. ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, კრ. „მეცნიერება“, თბ., 1988;
11. მ. აბლუშელიშვილი, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 1973;
12. გ. მოწერელია, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოში, „მეცნიერება“, თბ., 1987;
13. ე. ხინთიბიძე, აღორძინების ესთეტიკა და ქართული რენესანსი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №30;
14. ნ. ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, „მეცნიერება“, თბ., 1990;

15. დ. ქერქაძე, ერი და კულტურა, „მეცნიერება“, თბ., 1984;
16. ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1989;
17. გ. ყორღანაშვილი, ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები, თბ., 1987;
18. კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, „მეცნიერება“, თბ., 1977;
19. Мамардашвили М. К., Классические и неклассические идеалы рациональности, Тб., «Мецниერება», 1984;
20. Чавчавадзе Н. З., Культура и ценность, Тб., «Мецниерება», 1984.

Irma Ketskhoverli

Georgian Technical University

**THE NATIONAL-FUNCTIONAL INDICATOR OF
MODERN GEORGIAN SOCIETY
RESUME**

Culture as and society in spite of general historical character gets meaning and its embodiment in concrete society, country, with ethnic, region and etc. Nation which has the way of historical development after long historical life has its tradition, psychology, style of life, faith, untrue faith, achievements, challenges, it has the whole system and structure of spiritual and material values.

Nowadays culture achieve incredible success in each field, it is expected that this level of development of modern processes will be developed more and more. Exchange of values is the main aim of state and national politics for the

reason that the universalization of techniques, science, art, fashion demands the process of adaptation towards new values and creators. New traditions, skills will become the source of national traditions. From other side there will be more interest to the ancient heritage and it is the main function of modern cultural development. Strong interest to the past, to its one or another process will not only create connection to modern cultures but it is main element of national integration. It means there is the cultural integration and integration itself needs non finished process, which means the safe of main cultural values.

მალხაზ მაცაბერიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერის ობსტი და საქართველოს გეოპოლიტიკის საკითხები

შესავალი

ცნობილი გერმანელი გეოგრაფისა და გეოპოლიტიკოს ერის ობსტის (1886-1981) სამეცნიერო ინტერესების სფეროში უმთავრესად აფრიკა იყო მოქცეული. ამ მიმართულებით ობსტის კვლევების ძირითადი შედეგები 1941-1943 წლებში 13 ტომად გამოიცა სახელწოდებით „აფრიკა - სახელმძღვანელო პრაქტიკული კოლონიური მეცნიერებისათვის“. ასევე განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა მისმა ნაშრომმა „ინგლისი, ევროპა და მსოფლიო“ (1927 წ.).

1924 წელს ერის ობსტმა იმოგზაურა საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, მათ შორის საქართველოში. ჩვენ ქვეყანაში ის ჩამოვიდა მალევე, 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ და აქ არსებულმა ვითარებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმავე წლის დეკემბერში ახლადდაარსებულ „გეოპოლიტიკურ ჟურნალში“¹ გამოაქვეყნა წერილი „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“.

¹ აღსანიშნავია, რომ „გეოპოლიტიკის ჟურნალი“ სწორედ 1924 წელს დაფუძნდა და პირველი პერიოდული ორგანო იყო, რომელიც მიზნად ისახავდა გეოპოლიტიკის განვითარებას და პროპაგანდას. ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყვნენ იმდროინდელი ცნობილი გეოპოლიტიკოსე-

ერის ობსტი ამ სტატიაში ეხება 1924 წლის აჯანყებას და იმ ვითარებას, რაც საქართველოში აჯანყების შემდეგ არსებობდა, ახასიათებს კავკასიის ხალხების დამოკიდებულებას რელიგიისადმი, ქართველთა მიერ თავიანთი საცხოვრებელი სივრცის აღქმას, საქართველოს გეოპოლიტიკურ სახეს, ქართველების გაუცხოებას რუსებისაგან და ევროპისაკენ სწრაფვას, თბილისის გეოპოლიტიკურ როლს, ამასთან ერთად მოკლედ გადმოსცემს საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებს. 1925 წელს გამოვიდა ერის ობსტის წიგნი რუსეთში მოგზაურობის შესახებ, რომელშიც საქართველოს რამდენიმე თავი ეთმობოდა.

ერის ობსტის სტატიები საქართველოზე შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ ემიგრაციას. 1927 წელს ივლისში უცხოეთში გამომავალმა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ჟურნალმა „სახალხო საქმემ“ გამოაქვეყნა სტატია „პროფ. ობსტი საქართველოს აჯანყების შესახებ“, რომელშიც ნათქვამი იყო: „გერმანელმა პროფ. ბ-ნ ობსტმა თავის სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ოთხ თვეზე მეტი იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში მისი გაცნობის მიზნით. სამეცნიერო მიზნით შემოიარა ევროპიული რუსეთი, იყო უკრაინაში, ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში კი იმ დროს, როდესაც აჯანყება ახალი ჩაქრობილი იყო, როდესაც ქართველმა ერმა 1921 წელს წაგებული ომის შემდეგ სამნახევარი წელი შეისვენა და ისევ მოჰკიდა ხელი იარაღს დამოუკიდებლობის აღსადგენათ, როდესაც უსწორო ბრძოლაში დამარცხებულმა ერმა იარაღი დროებით გვერდზე გადადო. ბ-ნ ობსტმა დასწერა გეოპოლიტიკურ პერიოდულ გამოცემაში ნაშრომი, სათაურით - „საქართველო“. შემდეგ ის მოათავსა ე.წ. „Russihe

ბი: ა. ჰაუსხოფერი, ე. ობსტი, ო. მაული, ე. ბენზე, ვ. ზივერტი, კ. როსი, ი. კიუნი, რ. პენიგი და კ. ვოვინკელი.

Skizzen”-ში, რომელიც წიგნათ გამოვიდა და მთლიანად იმ სამოგზაურო წერილებს შეიცავს, რომელნიც თავის დროზე სხვა და სხვა გერმანულ გაზეთებში მოთავსებული იყო. წიგნი გერმანული მხრუნველობით და ბეჯითობით გამოცემულია, თან მრავალი სურათი ახლავს საქართველოდან, სამოგზაურო შთაბეჭდილებანი, მეცნიერული და ეკონომიური ხასიათის დაკვირვებით“.¹

ქართულმა ემიგრაციამ ობსტის სტატიებიდან პირველ რიგში ყურადღება მიაქცია 1924 წლის აჯანყების შეფასებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოში არსებული ვითარების აღწერას. 1927 წელს „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული რეცენზიის ავტორი აღნიშნავდა: „მე აზრათ მაქვს, ნაშრომის მხოლოდ იმ ნაწილს შევეხო, სადაც ბ-ნი ობსტი აჯანყების ხასიათზე ლაპარაკობს“.² შემდეგ მოსდევს შესაბამისი ადგილების თარგმანი ობსტის ნაშრომიდან.

უცხოელი ავტორის მიერ დაწერილი სიმართლე 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული ემიგრაციისათვის, რადგანაც აჯანყების შესახებ ბევრი სიცრუე იწერებოდა საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთშიც.

1964 წელს აგვისტოს აჯანყების 40 წლისთავთან დაკავშირებით სპეციალურად ითარგმნა და ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნდა ერის ობსტის ნარკვევი საქართველოს გეოპოლიტიკის შესახებ.³

¹ს.-ძე. პროფ. ობსტი საქართველოს აჯანყების შესახებ – „სახალხო საქმე“, 1927, №3, გვ. 29

²ს.-ძე. პროფ. ობსტი საქართველოს აჯანყების შესახებ – „სახალხო საქმე“, 1927, №3, გვ. 29

³ერის ობსტი. საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი – „კავკასიონი“ (პარიზი), 1964, გვ. 5-11

შემდგომშიც, 1924 წლის აჯანყების წლისთავებთან დაკავშირებით ერის ობსტის მიერ გაკეთებულ შეფასებებსაც იხსენებდნენ. 1985 წელს ჟურნალში „ჩვენი დროშა“ (პარიზი) გამოქვეყნებულ წერილში აჯანყებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ეს ტრაგიკული ამბავი მოედვა მთელს დასავლეთ ევროპას, განსაკუთრებით კი გერმანიას. ქართველი ერის გულისტკივილი გაიზიარა, გულთან ახლოს მიიღო გერმანელმა სწავლულმა, პროფესორმა ერის ობსტმა და ამცნო იგი განათლებულ ევროპას“. იქვე მოცემულია ერის ობსტის სტატიის ძირითადი დებულებები.¹

საქართველოს გეოპოლიტიკური კონტექსტი

ობსტი მიზნად ისახავდა 1924 წლის აჯანყების მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების წარმოჩენას. ამისათვის კი აუცილებლად მიაჩნდა საქართველოს გეოპოლიტიკაში გარკვევა. „ამ საკითხის დასმა ნიშნავს, ამ საოცარი ქვეყნის გეოპოლიტიკური აღნაგობა გამოიკვლიოთ“, - აღნიშნავდა ობსტი.

ერის ობსტი დაწვრილებით ახასიათებს საქართველოს, როგორც ქართველთა საცხოვრებელ სივრცეს. ერის ობსტის დახასიათებით, „საქართველოს საცხოვრებელი სივრცე არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის ერთი მთლიანი და ერთიანი“ და ჩამოთვლის მის შემადგენელ ნაწილებს: „მთიანი ადგილი ზემო მტკვრისა (ქართლი); მთიანი კახეთი ალაზნის ველითურთ და მის პარალელურ იორის ხეობასთან ერთად; კავკასიის შიგანი ნაწილი რიონის მხარისა მთავარი ქალაქით ქუთაისი (იმერეთი); და ბოლოს შავი ზღვის სანაპირო - აბ-

¹ დღეს ბნელა, ხვალ მზე იქნება - „ჩვენი დროშა“ (პარიზი), 1985 წ. აგვისტო, გვ.32-38

ხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, რომელსაც მონღოლების შემოსევამდე ლაზისტანიც ეკუთვნოდა“.

ობსტის აზრით „ქართული საცხოვრებელი სივრცის ტოპოგრაფიულ-კლიმატური სხვადასხვაობა იმით მცირდებოდა, რომ მთელი საქართველო ერთ განსაკუთრებულ და მყარ გეოპოლიტიკურ ძალთა ველზე იმყოფებოდა“.

ობსტი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიის სამ მთავარ ხალხს ისტორიულად მკაფიოდ გამოკვეთილი საცხოვრებელი სივრცე ჰქონდა, მაგრამ ისტორიულ განვითარებას ერთა გარკვეული შერევა მოჰყვა. „თავდაპირველად ეს სამი მთავარი ხალხი - ქართველები, სომხები და თურქო-თათრები - ცხოვრობდნენ განცალკევებულად; თვითეულის ცალკეული საცხოვრებელი სივრცე, როგორც მთლიანობა, დიახაც ინდივიდუალური იყო და თვითეული მეზობელი ბუნებრივად საზღვრებ შემოვლელი იყო. მაგრამ ისტორიულმა განვითარებამ ყოველ შემთხვევაში ის მოიტანა, რომ ნაწილნი ერთი ერისა მეორე ერის საცხოვრებელ სივრცეში შეიჭრენ და იქ დასახლდნენ“, - წერს ობსტი.

ობსტის დახასიათებით, მიუხედავად მეზობელ ხალხთა განსახლებისა ქართველთა საცხოვრებელ სივრცის ნაწილში, ქართველები მას მაინც თავიანთ საცხოვრებელ სივრცედ მიიჩნევენ. „აიხედავს სომხეთის მთებისაკენ, თუ გაიხედავს აზერბაიჯანის სტეპური მინდვრებისაკენ, ქართველი მას სთვლის მკაცრად მოსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილად, რაც მეზობელთა მიერ სავსებით გადასხვაფერებულა“, - აღნიშნავს ობსტი.

ერის ობსტის თქმით, საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ოთხი მხრიდან უტყვედნენ დამპყრობლები, რომლებიც ცდილობდნენ „კავკასია თავისთვის დაენარჩუნებინათ“. მისი დახასიათებით, ეს იყო საქართველოს „ტიპიური გეოპოლიტი-

იკური სახე“. ერის ობსტი მოკლედ აღწერს თუ როგორ იბრძოდა საქართველო საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ეს აღწერა სტატიის არცთუ მცირე ნაწილს მოიცავს და რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს ქართველი მკითხველისათვის, პირიქით, მთელ რიგ უზუსტობებსაც იპოვნის, მაგრამ საქართველოს ისტორიიდან მოშველიებული ფაქტების გააზრება მნიშვნელოვანი იყო თავად ერის ობსტისთვის და ევროპელი მკითხველისთვის, ვისთვისაც განკუთვნილი იყო სტატია.

„საქართველოს ყოველთვის უნდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა მრავალთა საუკუნეთა გასწვრივ. მტრები ერთი მეორეს სცვლიდნენ და მათთან ერთად იცვლებოდნენ ხოლმე ძალთა დამოკიდებულების ურთიერთობანიც. ხშირად ქვეყანა საუკუნოვან დამონებასაც ვერ ასცდებოდა ხოლმე. მაგრამ ყოველთვის მოულოდნელად ავარდებოდა ხანძარი წმიდა ეროვნული აღტყინებისა, რომლითაც აღფრთოვანდებოდა თანაბარი ვნებიანობით აღგზნებული მთელი ხალხი. მდებრივ გლეხიდან დაწყებული დიდ მემამულემდე და თავადამდე: მონობას სიკვდილი სჯობიაო!“, - წერს ობსტი.

განსაკუთრებით გამოყოფს თბილისის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას საქართველოსთვის.

როგორც ერის ობსტი აღნიშნავს, „ქვეყანას აწვებოდნენ კონცენტრული ძალები და საქართველოს შეეძლო მათთვის გაეძლო მხოლოდ იმით, რომ მან გამონახა თავდამცველი ადგილი, საიდანაც მას შეეძლო საჭიროების ჟამს თითოეული ამ ოთხი მიმართულებით მოწოლილი მტრისათვის როგორმე თანაბრად შეეტია“. ასეთი ადგილი იყო თბილისი.¹

¹ ერის ობსტი ამ საკითხზე სხვა წერილიც აქვს გამოქვეყნებული, სადაც თბილისის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზეა საუბარი. მოცემულ

თბილისის როგორც საქართველოს გეოპოლიტიკურ ცენტრს ნაკლიც ჰქონდა - სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ის ძალზედ ახლოს მდებარეობდა იმ საზღვრებთან, რომლებიც საქართველომ ძნელბელობის შედეგად შეინარჩუნა. „ეს ქალაქი ... ძევს მთლიანობის ფარგლებში ექსცენტრიულად, რაც საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურისათვის მძიმე ნაკლს ნიშნავდა“, - აღნიშნავდა ობსტი.

თბილისის როგორც გეოპოლიტიკური ცენტრის ნაკლი ისიც იყო, რომ აქედან ძნელი იყო საქართველოს დასავლეთი ნაწილის დაცვა. „ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთის მიმართ თბილისი იყო მოცემული ბაზისი, მაგრამ დასავლეთის დაცვა თბილისიდან მხოლოდ ძნელად მოსახერხებელი იყო: ამისი შედეგი იყო ხშირი ჩამოტეხა ქვეყნის დასავლეთის ნაწილისა“, - აღნიშნავდა ამის თაობაზე ობსტი.

საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხი

ობსტის თქმით, ქართველებმა მე-18 საუკუნეში ავსტრიასა და პრუსიას სთხოვეს დახმარება სპარსთა და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მაგრამ უშედეგოდ. „ყველაფერი მეგობრული სიტყვით გათავდა; მაშინდელი ევროპისათვის საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორს იმყოფებოდა“, - აღნიშნავდა ობსტი.

ამავე დროს კი „ველიკორუსულმა ექსპანსიამ კავკასიას მიაღწია“. 1774 წელს რუსეთმა ოსეთი შეიერთა და „ამით რუსები საქართველოს კართან დადგნენ“. ობსტის თქმით, 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე იძულებული იყო რუსეთის ვასალი გამხდარიყო და ეს იყო „მხოლოდ უკიდურესი საშუალება“. ამით ქართველებს სურდათ „აღმოსავლეთ-ქართული

ნარკვევში კი მოკლედ შენიშნავდა: „როგორც სხვა წერილში გაჩვენეთ, არჩევანი თბილისზე უნდა შეჩერებულიყო“.

სახელმწიფო ... შეენარჩუნებინათ, რათა შესაფერ დროს ჯაჭვები დაემსხვრიათ და კვლავ თავისუფალი გამხდარიყვნენ“.

ობსტი აღნიშნავს, რომ 1795 წელს რუსები შეგნებულად არ დაეხმარნენ ქართველებს სპარსელებთან ბრძოლაში. „რამდენადაც ცუდად წავაო ქართველების საქმე, - ასე ანგარიშობდნენ პეტერბურგში, - იმდენად ისინი იძულებული გახდებიან რუსეთთან დამოკიდებულება უფრო მჭიდროდ დაიკაონონ“, - წერს ობსტი. შემდეგ კი მოკლედ გადმოსცემს, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო.

ობსტის დახასიათებით, „ქართველი ველიკოროსების პირისპირ სრულებით უცხო არის, თუ არ ვიტყვით, რომ იგი მათ მიმართ მტერი არის“. მისი თქმით, როგორც ცარიზმი, ისე ბოლშევიკური რეჟიმი ქართველებისთვის მიუღებელია და ბუნებრივია ევროპული ორიენტაცია. „ამგვარი სისტემა გულწრფელი, თვითშეგნებული და რაინდული კაცისათვის - ქართველისათვის - პირდაპირ საზიზღარია; წინააღმდეგ, მისთვის დიდი ზომით, ევროპა არის მიმზიდველი. ევროპიული სახელმწიფოები ქართველს სწორედ კარგად ესმის, რადგან აგრეთვე ევროპაში თითოეული ერი, ცოტად თუ ბევრად ბუნებრივ საზღვრებით შემოფარგლულ საცხოვრებელ სივრცეში მოქმედებს და მუშაობს. ევროპიულ ხალხებს ქართველი სულიერ ნათესავად გრძნობს, ვინაიდან ამ ხალხებმა გადასდგეს ბედის გადამწყვეტი ნაბიჯი. როდესაც მისტიურ-რელიგიური კოლექტივიზმიდან ეროვნულ-ინტელექტუალურ ინდივიდუალიზმში შევიდნენ, გარკვეული ადამიანური გრძნობებიდან მტკიცე ეროვნულ შეგნებაზე გადავიდნენ. აბსოლუტური ერთმმართველობის ნაცვლად ლიბერალური წესის სახელმწიფო დაამყარეს“, - აღნიშნავდა ობსტი.

რელიგია როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორი

ერიხ ობსტი განიხილავს რელიგიის როლს სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის. მისი დახასიათებით, „მაჰმადიანისათვის ისლამი არის სანაცვლო იმისა, რაც არა-მაჰმადიანისათვის ეროვნულ გრძნობას ნიშნავს“ და ამ აზრით, „თამამად შეიძლება აზერბაიჯანის თურქ-თათართა მტკიცედ გამოსახულ ეროვნულ გრძნობაზე ლაპარაკი“.

ობსტის თქმით, სომეხთა რელიგიურობაც უდავოდ ეროვნულ სახეს ატარებს. სომხურ-გრიგორიანული ეკლესია „ნაციონალიზმის სიმბოლოდ არის გადაქცეული“.

ობსტის აზრით, ასე არ არის ქართველების შემთხვევაში და მათთვის „რელიგიას გადაწყვეტით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება“. ამის მიზეზად მიაჩნია ის, რომ „საქართველოში ეკლესიას ასი წელიწადია საკუთარი დამოუკიდებლობა აღარ ჰქონია და მისი მთავარი (რუსეთის) მეფის მიერ იყო ხოლმე დანიშნული და იგი ხშირად გარუსების პოლიტიკის დასაყრდენს წარმოადგენდა“. შედეგად „ეკლესია ქართველისათვის უცხო გახდა“.

ამავე დროს კომუნისტების ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და ანტირელიგიური პროპაგანდა „დიდ გამწარებას იწვევს საქართველოში, თვით ნაკლებად რელიგიურ პირთა გულშიც“.

ობსტი ეხება იმ მძიმე შედეგებსაც, რაც საქართველოს ისლამიზაციამ მოუტანა. „შემოჭრა ისლამისა შეიძლება უფრო უარესი იყო ვიდრე თავისთავად უცხო ბატონობა, რადგან მთელს აღმოსავლეთში, და ასე აღსრულდა ეს დასავლეთ საქართველოშიც, რელიგია უმტკიცესად მოქმედობს, ვიდრე სისხლით ნათესავობა, ვიდრე სახელმწიფო ქვითკირი. გაისლამებული ლაზები და აჭარლები, თუმცა სისხლით და ენით წმინდა ქართველები არიან, ნელ-ნელა დაიკარგნენ ქართული

სახელმწიფოსათვის“, - წერდა ობსტი. მისი თქმით, ქართველმა მუსლიმებმა „თავისი ბედი ... სავსებით დაუკავშირეს თურქებისას და ყოველი შემთხვევითაც სარგებლობდნენ, რათა თავისი ხალხის ძველ თანაწევრთათვის დაბრკოლებები შეექმნათ - ცდილობდნენ, სადაც შესაძლებელი იყო, თურქულ სახელმწიფოში მოქცეულიყვნენ. ლაზებმა ამ მიზანს უკვე მიაღწიეს; აჭარლებს უახლოეს დროში უნდა მინიჭებოდათ ფართო ავტონომია, რათა ისინი დედა-ქვეყანას შერჩინოდნენ“.

1924 წლის აჯანყების შეფასება

ერის ობსტი დაწვრილებით ახასიათებს 1924 წლის აჯანყებას, რადგანაც იმ დროისათვის (1924 წლის ბოლოს) მრავალი ტყუილ-მართალი ვრცელდებოდა აჯანყების თაობაზე. ბოლშევიკები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო „ცდა, სასოწარკვეთილი ბრძოლა ქართველ თავადაზნაურთა კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათი დიდი მამულები გაანაწილა და გლეხებს გადასცა“. ქართული ემიგრანტული წრეები კი შეეცადნენ „საქართველოს აჯანყება მთლიან კავკასიურ რევოლუციად გაესაღებინათ“.

ობსტი, რომელიც აჯანყების შემდეგ საქართველოში იმყოფებოდა, კარგად გაეცნო სიტუაციას და აღნიშნავდა, რომ ეს იყო ქართული, ეროვნული აჯანყება. არათუ სომხეთსა და აზერბაიჯანში არანაირი გამოსვლები არ ყოფილა, არამედ „სომხები თბილისში, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, სრულიადაც არ ფიქრობდნენ, აჯანყებულებს შეერთებოდნენ და შფოთის ცეცხლი ქვეყნის მთავარ ქალაქში აეგვიზებინათ“.

ობსტის თქმით, 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, „არა მარტო საბჭოთა სისტე-

მის, არამედ სწორედ რომ მოსკოვეური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული“. 1924 წლის აჯანყება არ ყოფილა თავად-აზნაურობის ან სამღვდელოების მიერ ორგანიზებული გამოსვლა, როგორც ამას წარმოადგენდნენ ბოლშევიკები. „ქართველმა ინტელიგენციამ 1924 წლის ზაფხულში, გლეხებთან და მუშებთან ერთად იარაღს ხელი სტაცა - ჩაიდინეს ეს მათ სამშობლოს მიმართ წმიდა და თავდადებული სიყვარულის გამო. მათ მიმართეს ამ უკიდურესობას იმ შეგნებით, რომ სხვაგვარად, მთელი ქართველი ხალხის მიერ მღვივედ ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მიულწეველი არისო“, - წერდა ობსტი.

ობსტი ხაზს უსვამდა, რომ საქართველო არ დაივიწყებდა 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულ თავის გმირებს, რომელთაც ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ. მისი თქმით, „ქართველი ხალხის ძალიან დიდი უმრავლესობისათვის ეროვნული შეგნება, მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისაკენ დაუსრულებელი უფრო მტკიცე არის“ და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მომავალში საქართველოში კვლავ შეიძლება მოხდეს აჯანყება. „ქართველი ხალხის ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ, რათა მან კვლავ იხილოს ხანა დავით მეოთხისა და თამარისა, გამოიყვანა რევოლუციონერები 1924 წელს საბრძოლველად. უეჭველია, ეს არ იქნება უკანასკნელი“, - წერს სტატიის ბოლოს ობსტი.

აღსანიშნავია, რომ სტატიის ქართულად მთარგმნელი ემიჯნება აჯანყების იდეას და თვლის, რომ აჯანყება „არც დღეს და არც მომავალში ... გამოსადეგი არაა და კიდევ მეტი: - საზიანოც, დამლუპველი“. მთარგმნელის თქმით, საქართველო რუსეთის ბატონობისგან უეჭველად განთავისუფლდება, ოღონდ არა აჯანყების გზით. „საქართველო, ეჭვი არ გვაქვს, რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდება, მაგრამ

არა აჯანყებით, არამედ თვით საბჭოთა კავშირში შექმნილ და საერთაშორისო ვითარებათა შედეგად, და თვითონ ქართველი ხალხის თანამონაწილეობითაც“, - ნათქვამია მთარგმნელის კომენტარში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ობსტის სტატიას პირველ რიგში 1924 წლის აჯანყების შეფასების გამო მიაქციეს ყურადღება, მის მიერ დაწერილი გეოპოლიტიკური ნარკვევი საქართველოს შესახებ, მნიშვნელოვანი სტიმული იყო ქართველი ემიგრანტებისთვის დაინტერესებულყვნენ გეოპოლიტიკით როგორც აკადემიური დისციპლინით. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვიქტორ ნოზაძე, რომელმაც რამდენიმე სტატია მიუძღვნა კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხებს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1930 წელს გამოქვეყნებული სტატია „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო)“.¹

დამოწმებანი:

1. დღეს ბნელა, ხვალ მზე იქნება - „ჩვენი დროშა“ (პარიზი), 1985 წ. აგვისტო, გვ. 32-44
2. ნოზაძე ვიქტორ. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო) – „დამოუკიდებელი საქართველო“, №№54-58.
3. ობსტი ერის. საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი – „კავკასიონი“ (პარიზი), 1964, გვ. 5-11.
4. ს.-ძე. პროფ. ობსტი საქართველოს აჯანყების შესახებ – „სახალხო საქმე“ (გამოცემა უცხოეთში მყოფ სოც.-ფედერების კომიტეტისა), 1927, №3, გვ. 28-31.

¹ ვიქტორ ნოზაძე. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო) – „დამოუკიდებელი საქართველო“, №№54-58.

Malkhaz Matsaberidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ERICH OBST AND THE GEOPOLITICAL PROBLEMS
OF GEORGIA
RESUME**

Erich Obst (1886-1981) – the German Geographer and Geopolitician, travelled to Georgia after the rebellion of 1924 and in December of the same year published the article – “Georgia. A Geopolitical Study” which was primarily based on his impressions (the “Journal of Geopolitics”). Interestingly, the “Journal of Geopolitics” was founded in 1924 and was the first periodical dedicated to the development and propaganda of geopolitics. It could be assumed that Nozadze became interested in the problems of geopolitics through the publications appearing in the “Journal of Geopolitics.”

The work of Erich Obst, a geopolitical study on Georgia, would be a great stimulus for the Georgian emigrants to become interested in geopolitics. In 1964, after 40 years of its first publication, the article of Obst was translated into the Georgian language and published in the journal “Kavkasioni” (“The Caucasus”).

Obst analyzes the rebellion of 1924 and reflects on the subsequent developments; he describes the existing circumstances after the rebellion, provides the description of attitudes of the Caucasian people towards religion and their perception of the outer space. That is he uncovers the geopolitical image of Georgia, alienation of Georgians from Russians and the aspiration of the former towards Europe. He also reflects on the geopolitical role of Tbilisi and provides a brief introduction to the key moments from the history of Georgia (Obst, 1964, pp. 5-11).

The highlights of the main aspects of the Obst's article leads to uncovering the originality of the conception of Victor Nozadze. The geopolitical analysis of Obst and Nozadze are not contradictory; rather they deal with the different geopolitical aspects.

The works of Obst and other geopoliticians created theoretical foundations for Nozadze to reflect on various issues of Georgia and Caucasus in the context of Geopolitics. Nozadze could also rely on those geopolitical approaches which dominated those-days Georgian geopolitical thought.

დოდო ჭუმბურიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

რუსი ისტორიკოსი ნიკალაი დუბროვინი ქართლ-კახეთის სამეფოში 1802 წლის წინააღმდეგობრივი მოძრაობის შესახებ

რუს იმპერატორთა და იდეოლოგთა მტკიცება, რომ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა იმპერიას და ხალხი უფრო დაცულად და მშვიდად გრძნობდა თავს, სიცრუე იყო, რასაც მოწმობდა საქართველოში რუსეთის შემოსვლისთანავე დაწყებული ანტირეჟიმული აჯანყებები. პირველი ანტირუსული გამოსვლა მოხდა 1802 წელს, კახეთში, სოფ. ქელმენჩურში¹, სადაც 60-ზე მეტი თავადი და აზნაური შეიკრიბა და იმპერატორისათვის გასავზავნად საპროტესტო წერილი შეადგინა. მათ გლეხთა ერთი ნაწილის მიმხრობაც შეძლეს. პროტესტი იმით იყო განპირობებული, რომ ყოველმხრივ ირღვეოდა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები. მათი აზრით, მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი გზა, ეს იყო 1783 წლის ტრაქტატის პირობების დაცვა და აღდგენა².

¹ სოფ. ქელმენჩურის ადგილმდებარეობა არცერთ გამოცემაში არ არის დაზუსტებული. დღეს ეს სოფელი მოქცეულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის ზემო მადაროს შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ რუსულ ლოკუმენტში ის „ქალაქადაც“ კი მოიხსენება.

² Акты... т. I, 1866, с. 387; კაკაბაძე ს., ქართველი ხალხის ისტორია, თბ., 1997, გვ. 65.

პროტესტის ორგანიზატორთა შორის იყვნენ ბატონიშვილები: ვახტანგი და თეიმურაზი, თავადები: ოთარ ჯანდიერი, სვიმონ ქობულაშვილი. ხელმოძწერთა შორის კი: ანდრონიკაშვილები, ვაჩანაძეები, ჭავჭავაძეები, ჯანდიერები და ა. შ.

ქელმენურის ისტორიული მოვლენა ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ტერმინითაა მოხსენიებული: ზოგი მას შეთქმულებას, ზოგი „ბუნტს“, „აჯანყებას“, მეფის რუსეთის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლას და ა. შ. უწოდებს. 1802 წლის ანტირუსული გამოსვლებისა და ქელმენურის მანიფესტაციის შესახებ წერდნენ როგორც რუსი ისტორიკოსები (ბელიავსკი, კრასნიცკი, ივანენკო, დუბროვინი, პოტო, ბუტკოვი, მარკოვა და ა.შ), ასევე ქართველი ისტორიკოსები (დავით და ბაგრატ ბატონიშვილები, ს. ქვარიანი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ვ. გურული, დ. შველიძე, და სხვ.). ისინი სხვადასხვაგვარ ტერმინს იყენებენ მოვლენის დასახასიათებლად. ძირითადად, ქართველი ისტორიკოსები ქელმენურის მოვლენას შეთქმულებად მიიჩნევენ. ამ ისტორიული ფაქტის დეფინიცია მართლაც არ ეტევა ერთ რომელიმე ტერმინში. ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე სტატიაში – „კახეთის 1802 წლის პოლიტიკური პროტესტი თანამედროვეთა და ისტორიკოსთა შეფასებებში“ ყველა ამ ფაქტს თავს უყრის და აანალიზებს. მისი აზრით, ეს იყო პოლიტიკური ხასიათის მოძრაობა, რუსული ხელისუფლების მიმართ პროტესტიც, შეთქმულებაც დაუმორჩილებლობაც. „მთლიანობაში, - წერს იგი, - კახეთის თავადთა გამოსვლა ეროვნული თავისუფლების მიზნით წამოწყებული პოლიტიკური ხასიათის მოძრაობა იყო, რომელიც არსებული რეჟიმისადმი შეურიგებლობის, დაუმორჩილებლობისა და პროტესტის ნიადაგზე წარმოიშვა. მოძრაობა პოლიტიკურად უნდა ვიგუღვოთ, თუნდაც იმის გამო, რომ იგი

არღვევდა მართალია, უსამართლო, მაგრამ უმაღლესად დადგენილ წესსა და რიგს. კახელმა თავადებმა თავსმოხვეულ რუსულ მმართველობას ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენა დაუპირისპირეს.¹

მაშასადამე, ერთ რომელიმე სახელდებაში არ ჯდება ქელმენჩურის გამოსვლა, მითუმეტეს, ის შეთქმულება არ ყოფილა, რამდენადაც მისმა მონაწილეებმა სპეციალური დოკუმენტი შეადგინეს და ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინეს (ერთი დოკუმენტი იმპერატორთან გასაგზავნადაც გადასცეს), „შეთქმულებაზე“ საუბარი თითქმის გამორიცხული უნდა იყოს.

ქელმენჩურის გამოსვლა მხოლოდ ერთი სეგმენტი იყო იმ დიდი წინააღმდეგობრივი მოძრაობისა, რაც ქართლ-კახეთის სამეფოში 1802 წელს მიმდინარეობდა და რომელიც დაკავშირებული იყო ქსნისა და არაგვის ხეობის, ასევე ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობის (თაგაურელი ოსების), იმერეთის სამეფოში დაწყებულ წინააღმდეგობრივ მოძრაობასთან. ამ ერთიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ ეს ისტორიული მოვლენა და არა ცალკე აღებულ, კახელი თავადებისა და მათი მოკავშირე გლეხობის გამოსვლად.

მოსახლეობის შესაძლო გამოსვლაზე („ბუნტზე“) ცნობები კავკასიის რუსულ ხელისუფლებას დიდი ხანია მისდიოდა. 1802 წლის ივლისის დასაწყისში გენერალი ლაზარევი მთავარმმართველ კნორინგს წერდა: ხალხის დაუმორჩილებლობა გაძლიერდა, ბატონიშვილი დავითი შეუერთდა იულონ ერეკლეს ძეს, მის მომხრეებს და ეხმარება მას სამეფო ტახტის დაკავებისათვის ბრძოლაშიო. ლაზარევის სხვა პატაკები-

¹ ჯანელიძე ო., კახეთის 1802 წლის პოლიტიკური პროტესტი თანამედროვეთა და ისტორიკოსთა შეფასებებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბ., 2015, V, გვ.

დანაც ჩანს, რომ თბილისის მოსახლეობა ღელავდა, საბრძოლველად შემართულნი იყვნენ ქართველი მთიელები, მასობრივი მოძრაობა აგორდა კახეთში.

1802 წლის გამოსვლის მონაწილეებმა თავიანთი მოთხოვნები ჯერ გენერალ გულიაკოვს მიართვეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ რიგით გენერალთან მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ, რუსეთის იმპერატორისადმი გასაგზავნად შეადგინეს წერილი. აჯანყებულები წერდნენ, რომ **რუსეთის მფარველობაში შესვლა საქართველოს სურდა მხოლოდ ბაგრატიონების სამეფო ტახტის შენარჩუნებით. ამიტომაც თხოვდნენ იმპერატორს – აღედგინა ტრაქტატის პირობები, შეგვისრულეთ მეფე ერეკლეს ანდერძი და ჩვენც შეძლებისდაგვარად გემსახურებითო.**

მიუხედავად დაძაბული ვითარებისა და პროცესის მონაწილეთა რადიკალური განწყობისა, პროტესტი შეიარაღებულ გამოსვლამდე არ მისულა, თუმცა, ყველანაირად გამოჩნდა ხალხის საამისოდ მზადყოფნა. თუ პოლიტიკურად უაღრესად რადიკალიზებული პროცესები აჯანყებაში არ გადაიზარდა, ამის მიზეზი ბევრი იყო, მათ შორის ისიც, რომ ქართველ მოსახლეობასა და მათ ლიდერებს ჯერ კიდევ ჰქონდათ რუსეთის ხელისუფლებისაგან მოვლენების ნორმალიზების იმედი. რუსულმა ხელისუფლებამაც თავი შეიკავა სადამსჯელო მძიმე ოპერაციებისაგან, ქვეყანაში ახლად შემოსულმა და ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელმა საჭიროდ არ ჩათვალა მკაცრი რეპრესიების განხორციელება. ამ პროტესტს არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა, გამოაფხიზლა ხალხი და დაანახა ის საშინელება, რაც რუსულმა მმართველობამ მოიტანა.¹

¹ ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთს ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლი-

მოვლენები ივლისის შუა რიცხვებში გააქტიურდა. 1802 წლის 21 ივლისს, ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის მეტაური – პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი გენერალ ლეონტიევს ატყობინებდა მომხდარ მოვლენას: გავრცელებული სმებით, „საქართველოს თავადობა და ობივატელთა ნაწილი აბუნტდა. კარდენახელი თავადები წავიდნენ კრებაზე ქალაქში, სადაც თავმოყრილი იყო 40 ათასი ადამიანი. მათ კრების სახელით სურდათ გაეფრთხილებინათ კახეთში მდგარი რუსული ჯარის შენაერთები, დაეტოვებინათ სოფლები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ჯარებს მთელი მოსახლეობა იარაღით დაუპირისპირდებოდა“.¹

ამას მოჰყვა გენერალ გულიაკოვის, გენერალ კნორინგის, სამოქალაქო მმართველ პეტრე კოვალენსკის და სხვათა პატაკები, მიმართვები და შეტყობინებები, რაც აისახა ქართველი და რუსი ისტორიკოსების ნაწერებში.

ამ შეთქმულებასა და მის წინაპირობებს საინტერესოდ გადმოსცემს რუსი სამხედრო ისტორიკოსი დუბროვინი. მისი წიგნი ერთადერთი მონოგრაფიული გამოკვლევაა, 1802 წლის მოვლენებზე, მათ შორის ქელმენჩურის, მანიფესტზე.

ნიკალაი თევდორეს ძე დუბროვინი (1837-1904), გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და მუდმივი მდივანი, ავტორია მრავალი ნაშრომისა: „ამიერკავკასია 1803 წლიდან 1806 წლამდე“ («Закавказье от 1803 по 1806 г.», СПб., 1866); „გიორგი XII, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან“ («Георгий XII, последний царь Грузии, и присоединение ее к

ტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი I, თბ., 2016, გვ. 341-343.

¹ Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею, Под редакцией А. Берге, 1866. გვ. 361.

России»); „კავკასიაში რუსეთის მფლობელობისა და ომების ისტორია“ და სხვ.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების, ქართველების უკმაყოფილებისა და ანტირუსული მოძრაობის წარმოქმნის პროცესი კარგადაა ასახული ღუბროვინის ნაშრომში „ათას რვაას ორი წელი საქართველოში“. ნაშრომის VIII თავი დეტალებში განიხილავს სამეფო კარის წარმომადგენელთა უარყოფით განწყობას რუსეთის საიმპერიო პოლიტიკისადმი, განმარტავს ამის მიზეზებს, IX თავში კი თავადთა შეთქმულებასა და მის შედეგებზეა საუბარი. ღუბროვინს მსჯელობის დროს არგუმენტად მოაქვს ის პატაკები და წერილები, რომელიც შეტანილია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების I ტომში.

ღუბროვინის აზრით, კახეთში შექმნილ ანტირუსულ განწყობას ხელს უწყობდა: 1. რუსი მოხელეების არასწორი საქმიანობა; 2. ქართველი ხალხის განსხვავებული დამოკიდებულება ზოგადად მმართველობასა და კანონებთან; 3. შიდა დაპირისპირება, სამეფო კარის წარმომადგენელთა შორის არსებული კონფლიქტები. აქ ის არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფო კარის წარმომადგენლებს, არამედ, იმერეთის მეფეს სოლომონ II-საც ადანაშაულებდა. ზოგადად, რუსული ისტორიოგრაფია განსაკუთრებულ უარყოფით შეფასებას აძლევს იმერეთის უკანასკნელ მეფეს, რუსეთთან ბოლომდე შეურიგებელ სოლომონ II-ს, ამ მხრივ არც ღუბროვინია გამონაკლისი. იმერეთის მეფემ, „თითქოს იმერეთის რუსეთის ქვეშემოდომობაში მიღების თაობაზე თხოვნით, თავისი მდივანი ლეონიძე გააგზავნა საქართველოში¹, წერილებით მიმართა კახეთის ყველა თავადასა და მემამულეს, ასევე ხანებს, იწვევდა

¹ საქართველოს რუსული ისტორიოგრაფია ქართლ-კახეთის სამეფოს უწოდებდა.

მათ რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისაკენ¹. ამ თვალსაზრისის არგუმენტად მას მოაქვს თავად კურაკინისადმი 1802 წლის 30 აგვისტოთი დათარიღებული სოკოლოვის პატაკი. ღებროვინის აზრით, სოლომონმა ლეონიძის საშუალებით შეცდომაში შეიყვანა როგორც კოვალენსკი, ასევე კნორინგი, სინამდვილეში ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის სამეფოს დიდებულებში შეთქმულების გაღვივებასა და წინააღმდეგობის გაძლიერებას.

კნორინგი ფიქრობდა, რომ სოლომონის სურვილი გულწრფელი იყო, რომ მას ნამდვილად სურდა რუსეთის ქვეშემრდომობაში შესვლა, თავად სოლომონი კი ცდილობდა, ეს არ გაეკეთებინა, რადგან ეშინოდა ამით არ მიექცია პორტას ყურადღება, რომლის „გარეშე“ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა იმერეთი, – წერს ღებროვინი².

სანამ გრძელდებოდა მოლაპარაკებები ლეონიძესთან, მან, ღებროვინის აზრით, მოასწრო განეხორციელებინა თბილისში ჩამოსვლის ძირითადი მიზანი, წერილები დაეგზავნა დანიშნულებისამებრ. სოლომონის ამგვარ წამქეზებლურ ქმედებას, მისი აზრით, ამაგრებდნენ დედოფალი დარეჯანი და მისი ვაჟი – ალექსანდრე.

„მეფისწულმა ალექსანდრემ შუშაში გამგზავრების წინ მიიღო წერილი დედისაგან, დედოფალ დარისაგან, დედოფალი ატყობინებდა შვილს, რომ ახლა იყო ყველაზე შესაფერისი დრო მცირერიცხოვან რუსულ ჯარებზე თავდასხმისათვის“³.

¹ ღებროვინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 250.

² გ.ი. კნორინგის პატაკი, 19 ივლისი, 1802 წელი (ყველა პატაკი მოტანილია ღებროვინის ნაშრომიდან, ეს პატაკები შესულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში. – დ. ჭ.)

³ ლაზარევის პატაკი კნორინგს, 20 ივლისის № 356

სპარსეთის ჯარები განლაგებული იყვნენ საზღვართან ახლოს, მეფისწულები იულონი და ფარნაოზი ადრინდებულად იმერეთში იყვნენ, დაღესტნიდან ბელაქანში იკრიბებოდნენ ლეკები¹. განჯის ხანი შეუერთდა რუსეთისთვის არაკეთილგანწყობილ მხარეთ. ერევნის ხანი ღუმილს ინარჩუნებდა. „გეგონებოდა, რომ საქართველოს ცა იმოსებოდა ღრუბლებით და მზადაა ამ საცოდავ ქვეყანას თავს დაატყდეს ახალი და ძლიერი ჭექა-ქუხილი თავისი შედეგებით“, – წერს რუსი ისტორიკოსი. ის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს კოვალენსკის, მაგრამ კნორინგსაც არანაკლებ აკრიტიკებს, უწუნებს მას დიპლომატიასა და მიხვედრილობას.

რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ კნორინგმა დატოვა საქართველო, გაემგზავრა გეორგიევსკში და მას შემდეგ არც ერთხელ ჩამოსულა თბილისში. ღუბროვინი წერს, რომ „მთავარსარდალი ვერ გაერკვა ჩვენთვის საქართველოს დაუფლების მნიშვნელობაში, ვერ გაიგო ის ადმინისტრაციული და საბრძოლო მნიშვნელობა, რომელიც განეკუთვნებოდა ამ ქვეყანას კავკასიის დაპყრობის საქმეში. მისცა რა საქართველოს მმართველს (კოვალენსკის – ავტ.) უფლებამოსილება – თავის ჭკუაზე განეკარგა ყველაფერი, – კნორინგმა უპირატესობა მიანიჭა წვრილმან და უმნიშვნელო მოლაპარაკებებს მთიელებთან, მხარის დროებით ჩამშვიდებას“.

„მთიელები იმთავითვე არ ასრულებდნენ მოცემულ დაპირებებსა და შეთანხმებებს, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს მთავარსარდალს გაეფორმებინა მათთან ახალი ხელშეკრულებები, რაშიც დიდი იმედი ჰქონდა რუსი კაცისათვის დამახასიათებელ თვისებაზე, – ყველა მძიმე მდგომარეობიდან ნახოს გამოსავალი. საქართველოს კნორინგი გეორგიევსკიდან უყუ-

¹ ლაზარევის პატაკი მასვე, 12 აგვისტო, №409, АКК, ტ. I, გვ. 380.

რებდა ცრუ სათვალეებით, რომელსაც მისი მმართველი უხატავდა, რისთვისაც შემდგომში არაერთი შენიშვნა და საყვედური მიიღო, თუმცა პირადად ის სრულებით არ იმსახურებდა ამას, მაგრამ მისი შეცდომები დაშვებული იყო ამ პიროვნების ხასიათის სისუსტისა ან სხვა რაიმეს გამო“, – ასეთია კნორინგის დუბროვინისეული შეფასება.

რუსულმა საიმპერიო კარმაც და კარის ისტორიკოსმა დუბროვინმაც მოვლენები შეაფასა ტენდენციურად: ქართველი ხალხის უკმაყოფილება მთლიანად დააბრალა რუსი მოხელეების არასწორ ქცევასა და უპრინციპობას, ასევე ქართველი ხალხის ცრუ მოლოდინებს, შიდა დაპირისპირებასა და ზოგიერთი პიროვნების მიერ არასწორი ხმების გავრცელებას. მთავარი რუს ისტორიკოსს თითქოს გამორჩა: ეს იყო ის არასწორი პოლიტიკა, რომელიც რუსეთმა გამოიჩინა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებითა და ქვეყნის ოკუპაციით. აი, როგორ აღწერს დუბროვინი კახეთში განვითარებულ მოვლენებს: „ივლისის ბოლოს კახეთში გარკვეული მღელვარება დაიწყო, რუსეთთან მიერთებით უკმაყოფილო თავადებმა დაიწყეს ხმების გავრცელება იმის შესახებ, რომ რუსულ მთავრობას განსაზღვრული აქვს, ყველა ქართველი თავადი გაიყვანოს რუსეთში, რომ ყველა ქართველი იქნება გადასახლებული და მათ ადგილზე კაზაკებს ჩაასახლებენ; რომ ახლო მომავალში განხორციელდება რეკრუტში გაგზავნა; რომ საეკლესიო უძრავი მამულები ჩამორთმეული იქნება, ხოლო ხალხისაგან მოითხოვდნენ ორწლიან ხარკს¹. თელავის სამაზრო პოლიციის უფროსი კაპიტანი ჰყვებოდა, რომ თავადებს ჩამორთმევა მოურავობა და თან ჩამოაცილებენ ყველა თანამდებობას“. აქვე დუბროვინს მოაქვს ამ პოლიციის უფროსის გა-

¹ თავად გარსევან ჭავჭავაძის წერილიდან, დუბროვინი, 1802 წელი საქართველოში, (რუსულ ენაზე), გვ. 252.

მონათქვამი: „ქართველები, როგორც მეტად თავქარიანნი, მაღემრწმენნი და ხშირი ცვლილებების მოყვარულნი, განსაკუთრებით თუ პირად გამორჩენას მოელოდნენ, იჯერებენ ყველაფერს, რასაც მათ ეუბნებიან, რის გამოც, ზოგჯერ ვრცელდება არასასიამოვნო ხმები“¹.

სამაზრო პოლიციის უფროსი სოფლების შემოვლისას უცხადებდა მოსახლეობას, რომ ის არის მოურავი და მათ მას უნდა მიმართონ ყველა საჩივრით, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მას შეეძლო. თავადები, რომელთაც დაკარგეს ძველი პრივილეგიები, ვერ დარჩებოდნენ გულგრილნი გავრცელებული ხმებისადმი, ისინი აცნობიერებდნენ, რომ მათი არსებობა დამოკიდებული იყო თანამდებობით მიღებულ შემოსავალზე.

„იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თავის შენახვა“², ისინი სთხოვდნენ იმპერატორ ალექსანდრეს დაეტოვებინათ დაკავებულ თანამდებობებზე³ და როცა გაიგეს, რომ მათი ეს თხოვნა არ იყო გადაგზავნილი დანიშნულებისამებრ, სთხოვდნენ საქართველოს მმართველს იგივეს, მაგრამ აქაც მიიღეს შეუსაბამო პასუხი⁴. მაშინ თავადებმა თხოვნით მიმართეს გენერალ-მაიორ გულიაკოვს. ისინი ჩიოდნენ, რომ არ სრულდება საქართველოს რუსეთთან მიერთების მანიფესტში მოცემუ-

¹ AKK, ტ. 1, გვ. 245.

² კოვალენსკისადმი კახეთის თავადაზნაურების თხოვნიდან, კომისიის აქტი, 1806 წ., AKK, ტ. I, გვ. 38.

³ თხოვნა იმპერატორს, იქვე.

⁴ დუბროვინის აზრით, კოვალენსკი ამაზე ძალიან უხერხულად პასუხობდა. ცრუ ხმების უარყოფის ნაცვლად, ის წერდა რომ აგროვებს ცნობებსა და ინფორმაციებს თითოეული თავადის უფლებებზე იმისათვის, რათა უშუამდგომლოს ხელმწიფესთან თითოეულის შესაბამის დაჯილდოებაზე. ამ ამბით ის თითქოსდა ადასტურებდა თელავის სამაზრო პოლიციის უფროსის სიტყვებს

ლი პირობები. - „უსაფრთხოებას დაგვიბრუნენ, მაგრამ სად ჩანს ეს? სოფლები და დასახლებები ლეკების მიერ იძარცვება, თქვენ კი არაფერზე ზრუნავთ, ნაბრძანები იყო ეკლესიებისა და ეპისკოპოსების ღირსების ამალღება, თქვენ კი მათ სამემკვიდრეო მამულები და გლეხები ჩამოართვით; ვალდებულება იყო თავადებზე ღირსებების მომატების, და ამასობაში ჩვენ, ვინც ვიყავით ღირსეულნი ჩვენი მპყრობელისაგან და ამით ვიკვებოდით, ამ ღირსებასაც მოკლებულნი ვართ. აგრეთვე დარღვეულია ჩვენს შორის იმათი უფლებები, რომლებიც სოფლებს მართავდნენ თავისი დიდი გმირობებისა და დაღვრილი სისხლის ფასად; გლეხებს ხელმწიფე დაპირდა წყალობას, რომ მათგან 12 წლის განმავლობაში გადასახადებს არ მოითხოვდა¹; ასევე ბრძანა, რომ ჯამაგირებიდან გადარჩენილი თანხა, ჩვენი დანგრეული ქალაქის აღდგენისათვის მოეხმარა², მაგრამ არც ეს არ ახდა...“

კელმენჩურის საზღვართან შეიკრიბნენ კახელი თავადები, თუშებისა და ქიზიყის უხუცესები.

დუბროვინი ამ შეკრებას ასე ახასიათებს: ისინი მოვიდნენ აქ მათი მომავალი ხვედრის, ახალი მოსალოდნელი უბედურების შესახებ მოსალაპარაკებლად. აქ გადაწყდა საკუთარი უფლებებისა და პრივილეგიების დაცვა. თავადები ხელავდნენ, რომ ეს ხალხის მხარდაჭერისა და მასთან თანხმობის გარეშე არ განხორციელდებოდა, აუცილებელი იყო დაყრდნობოდნენ ხალხის ნებას, მაშინ ახლომდებარე სოფლებში წარ-

¹ დუბროვინის შენიშვნით, ასეთი პირობა არასოდეს ყოფილა მიცემული.

² თუმცა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიი. აქტებში ნათქვამია, რომ სიტყვები „გაჩანაგებული ქალაქი“ შეეხება თელავს, მაგრამ არის თუ არა ეს სწორი, ამაზე დუბროვინი ეჭვს გამოთქვამს. მისი აზრით, ეს ეხებოდა „ტიფლისს, რომელიც ალა-მაჰმად ხანმა დაანგრია“.

მოებდა გადაძახილი ღამ-ღამობით, რათა ყველა მოსახლე მოსულიყო საერთო თათბირზე, ამასთან, როგორც ყოველ ასეთ შემთხვევაში, არც ძალადობა იყო გამორიცხული. ვისაც არ უნდოდა თათბირზე წასვლა, ძალით აიძულებდნენ¹.

კელმენჩურის კრებაზე თავადებმა, სასულიერო პირებმა და ხალხმა შეადგინეს ხელწერილი, „წერილობითი აქტი“ და დაიფიცეს წმინდა სამების წინაშე, სთხოვონ რუს იმპერატორს დაამტკიცოს გარდაცვლილი მეფის ერეკლე II-ის სულიერი ანდერძი და დასვან მეფედ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი, რომელიც იქნებოდა რუსი იმპერატორის დაქვემდებარებასა და მფარველობაში.

„ვინც ამ ვალდებულებას გადაუდგება, ნათქვამია შედგენილ აქტში, ის იქნება წყეული წმინდა სამების მიერ, ბაგრატიონთა სახლის მოღალატე, რომლის დასჯაზე უფლებამოსილება ჩვენ გვაქვს“. კელმენჩურის ხელწერილი დაეგზავნა თავადებს, კახეთის ყველა მოსახლეს. მეფისწულ იულონს გაეგზავნა წერილი, რითაც იგი მოწვეულ იქნა მალე ჩამოსულიყო საქართველოში სამეფოს ჩასაბარებლად. იმ მოსახლეობაში, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა კრებაში, კიდევ უფრო მეტი დარწმუნებისათვის, გავრცელებული იქნა ხმა, რომ თავადი სოლომონ ავალოვი იწერებოდა პეტერბურგიდან, თითქოს იმპერატორმა ალექსანდრემ საქართველოში გამოაგზავნა საიდუმლო მრჩეველი ლაშკარევი, ხალხისთვის შესაკითხად, ხომ არა აქვთ მათ სურვილი კვლავ ჰყავდეთ თავისი მეფე². ამ ცნობაზე დაყრდნობით, მრავალი პირი თავის მოქმედებას სამართლიანად და კანონიერად თვლიდა.

პავლე სერგეის ძე ლაშქარევი (ლაშქარაშვილი-ბიბილური) – 1776-1857, იყო ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართუ-

¹ სოლენუსის პატაკი ლაზარევს, 26 ივლისი.

² თავად სიმონ ქობულოვის ჩვენებიდან, АКК, ტ. 1, გვ. 370.

ლი ემიგრაციის წევრი, რუსეთში დაბადებული სამხედრო მოსამსახურე, მიაღწია გენერლობას, სიკვდილის ბოლომდე არ შეუწყვეტია სამხედრო კარიერა. დაკრძალულია პეტერბურგში, ვოლკოვოს სასაფლაოზე. ლაშქარევი ეხმარებოდა რუსეთის საიმპერიო კარს ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებასა და პეტერბურგში სამსახურს უწევდა ქართველ დიპლომატებს – ჭავჭავაძესა და ავალიშვილს. ცნობილია მისი ცინიკური სიტყვები მანიფესტის გამოცხადების ფორმასა და სიონთან შეკრებილი ქართველების უკმაყოფილებაზე. ქართული წარმოშობის საიდუმლო მრჩეველი ს. ლაშქაროვი საქართველოზე კარგს რომ არაფერს ურჩევდა რუს იმპერიალისტებს, ცხადია მისი კურაკინისადმი მიწერილი წერილიდან, სადაც ის კნორინგს აკრიტიკებს თბილისში მანიფესტის გამოცხადების ფორმის გამო და წერს: „ეკლესიისათვის ჯარი გარშემო კი არ უნდა შემოერთყათ, არამედ მოშორებით უნდა განელებინათ, მზადყოფნაში უნდა ჰყოლოდათ ისევე, როგორც მე ყირიმში გავაკეთე ჩემი მინისტრობისას თათრების ფიცის დადების დროს“.¹

სინამდვილეში, ლაშქარევი არ ჩამოსულა საქართველოში. იმპერატორი, დუბროვინის აზრით, ძალზე ჰუმანურად იქცეოდა ქართლ-კახეთის მიმართ და ბაგრატიონების რუსეთში გადასახლებასა და მათ მიმართ რაიმე ძალის გამოყენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. რამდენად მართალი იყო რუსი ისტორიკოსის თვალსაზრისი და შეფასებები, ამას ისტორიული მოვლენები ცხადყოფდა. ისინი დიამეტრულად განსხვავებულ შედეგებზე მიუთითებდნენ.

¹ ჭუმბურიძე დ., კიენაძე ვ., ქოქრაშვილი ზ., სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთს ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, ,, 2016, გვ. 19-20.

დუბროვინის აღწერით, კახეთის სხვადასხვა ადგილებში იკრიბებოდნენ თავადები და ხალხი სამომავლო მოქმედებებზე მოსალაპარაკებლად. ზოგიერთი შეკრება უპირობოდ ეთანხმებოდა იმას, რაც იყო დადგენილი კელმენჯურის თათბირზე; სხვები, პირიქით, - წაიკითხეს რა ხელშეკრულება, უკან აბრუნდებდნენ შიკრიკს და თან ეუბნებოდნენ, რომ „ისინი მეტად უღირს საქმეს, ღმერთისა და ხელმწიფის საწინააღმდეგოს აკეთებენ“.

ამ შემთხვევაში, დუბროვინის აზრით, ყველაზე ტაქტიანად და აზრიანად იქცეოდა უბრალო ხალხი; ის რჩებოდა „ჭეშმარიტად თავდადებული და ერთგული¹. მოსახლეობა მთელი სოფლებით მიდიოდა გენერალ-მაიორ გულიაკოვთან, რჩევების მისაღებად, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ასეთ შფოთიან ვითარებაში. სოფელ კალაურის მცოვრებლებმა განაცხადეს, რომ არა თუ „არ წამოეგებიან ასეთი ბუნტსა და გულისწყრომას რუსი იმპერატორის წინააღმდეგ, არამედ ფიქრიც კი არ უნდათ ამაზე“.

ასე და ამრიგად, ეს მღელვარება იყო მხოლოდ თავადების საქმე და მათი უბრალო პროტესტის გამოხატვა გავრცელებული ცრუ ხმების წინააღმდეგ - მათი საუკუნოვანი პრივილეგიების შეზღუდვის თაობაზე. ამ პროტესტით, ისტორიკოსის დასკვნით, ისარგებლეს რუსეთისადმი არაკეთილად განწყობილებმა და სამეფო კარის ყველა წევრმა.

25 ივლისს კახელმა თავადებმა მათ მიერ მოთხოვნილი მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის თანდასწრებით თავდაპირველად შეპოფიცეს იმპერატორ ალექსანდრეს, შემდეგ კი უფ-

¹ AKK, ტ. I, გვ. 302.

ლისწულ იულონს¹, როგორც კანონიერ მეფეს. ნიშანდობლივია ის, რომ ფიცდადებულნი სთხოვდნენ ნეკრესის მიტროპოლიტს შეეგულიანებინა ხალხი და დაევაღდებულებინა ისინი – ყოფილიყნენ იმპერატორისა და მეფე იულონის ერთგულნი.

კახეთის ამბები მალე თბილისშიც გახდა ცნობილი, კოვალენსკი წერდა ლაზარევს², რომ მიიღო დასაბუთებული ცნობა „კახეთში შედგენილი ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერებზეც კი, საერთო სიმშვიდის დასარღვევად და არსებული ხელისუფლების დამხობის შესახებ“.

ამის შემდეგ ტფილისში მიღებულია 69 პირის მიერ ხელმოწერილი თხოვნა იმპერატორ ალექსანდრეს სახელზე.

„როდესაც ჩვენ ფიცს ვდებდით თქვენი იმპერატორული დიდებულების ერთგულებაზე, – წერდნენ ხელის მომწერნი³, – მაშინ ჩვენ გამოგვიცხადეს უმაღლესი მანიფესტი, რომელშიც სხვათა შორის ასახულია, ვითომ ჩვენ ვაუწყეთ უმაღლეს კარს, რომ არ გვსურს მეფე და თითქოსდა ჩვენ თქვენს ქვეშემრდომობასა და თქვენი ხელმწიფობის უმაღლეს მმართველობაში შემოვედით მეფის გარეშე.

„ეს დაემგვანებოდა ფრანგულ რესპუბლიკას! ჩვენს მეფეებს ჩვენს წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღვით და ჩვენ მათი საუარყოფო არაფერი გვაქვს. ათას წელზე მეტი, ბაგრატიონთა გვარი არის სამეფო, ბევრი მათგანი ქრისტესა და ჩვენთვის ეწამა, თავის სისხლს ღვრიდა და ჩვენც მათთან ერთად ვიღუპებოდით.

¹ გულიაკოვის პატაკი ლაზარევს, 26 ივლისი № 181. მიტროპოლიტის ჩვევები და კახელი თავადების წერილი ლაზარევს; 27 ივლისი, АКК, ტ. I, №476, გვ. 364.

² კოვალენსკის წერილი ლაზარევს, 1802წ. 22 ივლისი, №49.

³ АКК, ტ. I, გვ. 387.

„ასე და ამრიგად, მათი უარყოფა არ არის ჩვენი საქმე, არამედ მატყუარების გამონაგონი; ჩვენი სურვილი და თხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ დამტკიცებულ იქნას მამულის ღირსებისათვის დიდი გმირობებით გაბრწყინებული გარდაცვლილი მეფე ერეკლეს სულიერი ანდერძი და მისი ძალით მოგვეცეს ჩვენ მეფე, რომელთანაც ერთად ჩვენ დავრჩებოდით თქვენი უმაღლესობის მფარველობაში და ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვიქნებით თქვენი უმაღლესობის სამსახურში, ყოველივეს გთხოვთ მუხლმოდრეკითა და ვაებით“.

ამ წერილით უნდოდათ პეტერბურგში გაეგზავნათ დედოფალი დარია¹, რომელმაც ეჭვის გასაქარვებლად, უწინარეს ამ ამბებისა, განუცხადა კოვალენსკის სურვილი, გაემგზავროს ჩვენს დედაქალაქში თავის ორ ქალიშვილთან ერთად.

თავადების ჩვენებებიდან ჩანს, რომ გადაწყვიტეს რა იულონის გამეფება, ისინი ფიქრობდნენ ამას შედგომოდნენ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მათ თხოვნას განიხილავდა იმპერატორი ალექსანდრე.

ამასობაში თათბირები და ყრილობები გრძელდებოდა; მანავის თავადები ყოველდღე მიემგზავრებოდნენ მთის იქით შეკრების ადგილზე, სადაც ელოდნენ უფლისწულ ალექსანდრეს და ემუქრებოდნენ მოსახლეობას გაჩანაგებით, თუ არ შეურთდებოდნენ მათ.

„რჩებოდა რა მოუდრეკელი, ხალხი ითხოვდა შველას“. ასეთი დამოკიდებულება – ხალხის სახელით მოქმედება ახასიათებდა რუსეთის იმპერიულ თუ საბჭოთა ხელისუფლებას, ღუბროვინიც იყენებს ამ რუსულ მეთოდს და მით ამართლებს საოკუპაციო ხელისუფლების მოქმედებას. გადაწყდა დაეპატი-

¹ თავად ჩელოკაევის პატაკი კოვალენსკის, 1802 წ. 15 ივლისი, იქვე, გვ. 383.

მრებიანთ თავადები¹. მანავში გაგზავნილმა რაზმმა მოასწრო დაეპატიმრებინა ორი თავადი, დანარჩენი ოთხი სროლით შეეფარნენ უღრან ტყეს და ბრძანეს მოსახლეობისათვის ეთქვათ, რომ „ისინი მათ, ვერ გაექცევიან და განადგურებულნი იქნებიან“. დევნით შეშინებული გაქცეული თავადები ღამობით იკრიბებოდნენ და თითო ან ორი დღის შუალედით შესახვედრად სხვადასხვა ადგილს ნიშნავდნენ².

აუცილებელი იყო ზომების მიღება იმისათვის, რომ არაკეთილსინდისიერ პირებს არ აეგულიანებინათ ხალხი და არ დამუქრობდნენ მას. მრჩეველები კორნიევი და ლოფიციკი გაგზავნილ იყვნენ ტფილისიდან თელავში გამოსაძიებლად. საქართველოს მმართველი სთხოვდა ლაზარევს, დაუნიშნოს მათ ბადრაგი და უბრძანოს იქ განლაგებული ჯარების უფროსებს, დააპატიმრონ მათ მიერ დამნაშავედ ცნობილი პირები.

მიღებულია ცნობა, რომ რამდენიმე თავადი და სიღნაღის მაზრის მცხოვრებლები წავიდნენ უფლისწულ ალექსანდრესთან. კოვალენსკიმ ჩამოართვა მათ მამულები და ბრძანა მათი თანაზრახველების დაპატიმრება³, რაც შესრულებულ იქნა კორნიევის მიერ გენერალ-მაიორ გულიაკოვის ხელშეწყობით. თავადები წინ აღუდგენ ასეთი სახის მოქმედებას. „რაც იყო ნაბრძანები ყოვლად მოწყალე ხელმწიფისაგან, – წერდნენ ისინი, – ფიცის მიცემა თუ სხვა რაიმე - ჩვენ ყველაფერი შევასრულეთ, რასაც ჩვენი ხელმოწერები ამტკიცებს, თქვენ კი გაგვიმეტეთ ჩვენ ასეთი უბედურებისათვის“. თავადები ითხოვდნენ ეჩვენებინათ იმპერატორის ბრძანება.

¹ გენერალ-მაიორ ლეონტიევის პატაკი, 28 ივლისი, №138, მანავი მღებარეობს საგარეჯოსთან ახლოს, სადაც იდგა ლეონტიევი.

² მისივე პატაკი, 29 ივლისი, №139.

³ კოვალენსკის მიწერილობა, 22 ივლისი №51.

„ხელმწიფის ბრძანების გარეშე, – წერდნენ ისინი, – ნუ იჭერთ თავადებს. ყოველივე ეს ბუნებრივია¹.

დაპატიმრებები ძველებურად გრძელდებოდა. თავადებმა კვლავ მიმართეს თხოვნით გულიაკოვს - „ამის წინ ჩვენ გწერდით და დაწვრილებით მოგახსენეთ, თქვენ კი, ჩვენი წერილის გადმომცემი დააპატიმრეთ², ხელმწიფე კი არ იკადრებდა ამის გაკეთებას. გარდა ამისა, თქვენ კიდევ დააკავეთ თავადები, რომლებიც არაფერში არ არიან დამნაშავე. აქამდე ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვიყავით თქვენით, რადგან თქვენ ჩვენი ქვეყნისათვის ბევრი იღვაწეთ და სხვა შემთხვევაშიც კარგად გვექცეოდით; არ გვეგონა, რომ თქვენ უდანაშაულოდ აწყენინებდით ჩვენს ძმებს. თუ ჩვენს ნათქვამს სხვაგვარად გაწვდიან - ეს არის სიცრუე. როგორც ჩვენი, ასევე მათი (დაპატიმრებულების) აზრი, აი, რაში მდგომარეობს: ჩვენთვის დამაშვრალმა აწ გარდაცვლილმა მეფე ერეკლემ დატოვა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევფიცეთ, რომ მეფე გიორგის შემდეგ ჩვენი მეფე იქნებოდა იულონი. ჩვენც ამ ანდერძისა და ჩვენი ფიცის ერთგულნი ვართ; ჩვენ - ზოგადად ანდრონიკოვებმა, ვაჩნაძეებმა, ჯანდიერებმა, ყველა ქიზიყელმა და სხვა თავადებმა და უბრალო ხალხმა, უპირველესად შევფიცეთ ხელმწიფეს ერთგულებაზე. შემდეგ კი - იულონს, ჩვენს მემკვიდრეობით მთავარს... ამჟამად მოგახსენებთ, ქრისტეს წყალობით, არ მიგვცეთ უბედურებას და არ ჩაგვთვალოთ ხელმწიფის მოღალატედ... კიდევ გემუდარებით, გაანთავისუფლეთ ჩვენი დაპატიმრებული ძმები, რათ დამშვიდდეს ჩვენიცა და ხალხის გულებიც“.

¹ კახელი თავადების წერილი გულიაკოვს, 21 ივლისი, АКК, ტ. I, გვ. 389.

² კახელი თავადების წერილი მასვე, 25 ივლისი, АКК, 1868, ტ. III, გვ. 369.

ზოგიერთს თავადებისაგან უნდოდა ძალის გამოყენებით გაენთავისუფლებინათ დაპატიმრებულები, ხალხს აქეზებდნენ საამისოდ, მაგრამ ვერ მოასწრეს რა, დანაწილდნენ უმნიშვნელო პარტიებად და იმალებოდნენ დღე ტყეებში, ხოლო ღამით სოფლებში. შემდეგ ყველა ისინი შეიკრიბნენ ქიზიყში (სიღნაღი). ვერ მიიღეს რა დამაკმაყოფილებელი პასუხი გენერალ-მაიორ გულიაკოვისაგან, პროტესტით მიმართეს პოლპოლკოვნიკ სოლენიუსს, რათა მას შეეწყვიტა დაჭვრები. ლაზარევი წერდა გულიაკოვს, რომ მან დაპატიმრებები განახორციელოს ფრთხილად, რათა არ დაეჭირათ უდანაშაულონი და ამით არ გამოეწვიათ ხალხის უკმაყოფილება. იგი ფიქრობდა, თვითონ დაძრულიყო კახეთისაკენ ეგერთა ბატალიონით.

29 ივლისს, თავადმა ლუარსაბ ორბელიანმა განუცხადა ლაზარევს, რომ რუსეთის მოწინააღმდეგე პარტია, ისარგებლა რა მხარეში შექმნილი მდგომარეობით, წერდა უფლისწულ ვახტანგს, რომ არ შემოეშვათ საქართველოში ჩვენი ჯარები, დაენგრიათ გზაზე ხიდები და საერთოდ აღეკვეთათ ყოველგვარი კავშირი რუსეთთან. სამეფო კარის წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეჩვენებინათ, რომ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ამ არეულობაში. თეიმურაზი ჩამოვიდა ტფილისში და ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქში. კათალიკოსი, უფლისწული ანტონი ცდილობდა გარეგნულად თავი ეჩვენებინა ჩვენდამი ერთგულად, თუმცა ცნობილი იყო, რომ საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კარის ინტრიგებში¹. დედოფალმა დარიამ განუცხადა გენერალ-მაიორ ტუჩკოვს თავისი სურვილი, რათა მის სახლში დაეყენებინათ რუსი მცველი, ლაზარევმა ისარგებლა დედოფლის ამ განცხადებით და გაავზავნა მასთან 12 ჯარისკაცი,

¹ ლაზარევის პატაკი კნორინგს, 29 ივლისი, 1802 წ.

დავალებით, რომ თვალყური ედევნებინათ მისი მოქმედებებისათვის, დედოფალი კმაყოფილი იყო, თუმცა არ დაუთმია თავისი ინტრიგები, რომლის ცენტრი ამჟამად იყო უფლისწული ვახტანგი. ღუშეთში მყოფი, ის მიწერ-მოწერას აწარმოებდა დედოფალ დარიასთან, უფლისწულებთან იულონთან და ალექსანდრესთან. პირველი მათგანი იყო იმერეთში, მეორე კი - სპარსეთში. ვახტანგი ატყობინებდა მათ ყველაფერს, რაც საქართველოში ხდებოდა, ლებულობდა მათგან სხვადასხვა ცნობას, მიწერ-მოწერა ჰქონდა ბევრ თავადთან, აძლევდა მათ რჩევებს და „ამის გარდა, ართულებდა კომუნიკაციას რუსეთიდან აქეთ“¹.

პეტერბურგში მყოფი უფლისწულებიც – იოანე და ბაგრატე არ იყვნენ არხეინად. სრული სიმშვიდის აღსადგენად ლაზარევი უცილობლად და თითქმის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდა დედოფალ დარიასა და მეფისწულ ვახტანგის დაპატიმრებას, როგორც ყველა ინტრიგისა და მღელვარების გამომწვევით.

თათბირზე დადგინდა, ლაზარევი დაძრულიყო კახეთისაკენ, ხოლო გენერალ-მაიორი ტუჩკოვი – თავად თარხანოვთან ერთად - ღუშეთისაკენ, მოეწვიათ ვახტანგი ტფილისში და თუ ის არ დათანხმდებოდა, დაეპატიმრებინათ უფლისწული.²

ჩამოვიდა რა 2 აგვისტოს მდ. ლაკბეზე და გაიგო, რომ მისი დაბანაკების ადგილიდან მოშორებით იყო თავადების შეკრება, ლაზარევმა 3 აგვისტოს ყველა კახელ თავადს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვდა, რომ მათ აღიარონ თავისი ცდომილება და მოვიდნენ მასთან სიღნაღში 5 აგვისტოს. 3 აგვისტოს ლაზარევი მიაღმა სიღნაღს, განთავსდა

¹ ლაზარევის პატაკი კნორინგს, 29 ივლისი, 1802 წ.

² АКК, ტ. I, გვ. 270.

სოფელ ნუკრიანში, თავისი წერილის შედეგის მოლოდინში. ორი დღის შემდეგ მასთან გამოცხადდა მიტროპოლიტი მაცაშვილი და მასთან ერთად რამდენიმე დიდგვაროვანი თავადი. თავადებმა განუცხადეს ლაზარევს, რომ მას ეახლენ სრული მონანიებით, როგორც ფიცის გამტეხნი, აღიარებენ თავიანთი მოვალეობის საწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენას და მომავალში აუცილებლად შეეცდებიან პატიება დაიმსახურონ¹. მეორე დღეს, 6 და 7 აგვისტოს ცხადდებოდნენ კახეთის დანარჩენი თავადები ზუსტად ასეთივე განმარტებებით.

ლაზარევმა, კვლავ დააფიცა რა ისინი ერთგულებაზე, გაიგო რომ მეფისწულ იულონს ისინი წერილებით მეფედ იწვევდნენ, ურჩია მათ ახლაც მიეწერათ იულონისათვის ამჟამინდელ გადაწყვეტილებაზე. თავადები იმწამსვე დაეთანხმნენ და დაწერეს ახალი წერილი იულონთან, სადაც უარყოფდნენ მისთვის მიცემულ ფიცს. ლაზარევი დაბრუნდა ტფილისში (10 აგვისტოს), სადაც მალევე მივიდა გენერალ-მაიორი ტუჩკოვი მეფისწულ ვახტანგთან ერთად.

ამ ამბების აღწერის შემდეგ, ნიკალაი დუბროვინი დაწერილებით აღწერს ტუჩკოვის მიერ ვახტანგის დაპატიმრებას დუშეთში, მის დაფიცებას იმპერატორის ერთგულებაზე. ამრიგად, – ასკვნის რუსი ისტორიკოსი, – სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა მონაწილეობა კახეთში დატრიალებულ მღელვარებებში ნათლად გამოიკვეთა. მათთვის ძნელი იყო სამომავლოდ აღეკვეთათ ასეთი სახის მოქმედებები. რუსეთის ყველა წარმომადგენელის აზრით, იყო მხოლოდ ერთი საშუალება – საშუდამოდ² მოეცილებინათ ყველა ისინი საქართველო-

¹ ლაზარევის პატაკი კნორინგს, 11 აგვისტო.

² დუბროვინი შენიშნავს, რომ ვახტანგმა გამოიყენა ეს რჩევა, მაგრამ პირიქით, „თავისი წარჩინების რუსულ მთავრობისათვის წარდგენასთან ერთად, იგი ჩიოდა, რომ მას ჩამოართვეს მამული, რომ ტუჩკოვი

დან. მაგრამ იმპერატორი ასეთ უკიდურეს ზომას თითქოს არ იზიარებდა, ის კი არაა, მან რუსეთში წასულებსაც მისცა სამშობლოში დაბრუნების უფლებაო. მეფისწულ ვახტანგის რუსეთში გამგზავრების მცდელობაც ამაო იყო. უფლისწული უარით პასუხობდა.

ცნობამ იმის შესახებ, რომ რუსეთში მყოფ უფლისწულებს საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცათ, შეაგულღიანა რუსეთის მოწინააღმდეგე პარტია, ხალხს კი ეს არ უნდოდაო, – ამტკიცებს ღებროვინი. მაგრამ ეს ცნობა რუსეთის საწინააღმდეგო პარტიას აძლიერებდა, რაც კიდევ უფრო გამოჩნდა რუსეთიდან გარსევან ჭავჭავაძის დაბრუნების შემდეგო. დაინახეს რა ხალხის ერთიანობა და ჭავჭავაძისადმი მისი დაახლოების ნიშნები, ხელისუფლებამ საქართველოს მმართველის წინადადებით შეადგინა საბრალდებო დასკვნა თავად ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ჭავჭავაძე არ მალავდა ხალხის საყოველთაო უკმაყოფილებას და დრტვინვას იქაური მმართველობის მიმართ, ამბობდა, რომ აღარ იცის, როგორ დააღწიოს თავი ყოველი მხრიდან ჩამოსულ მომჩივნებს, რომლებიც ითხოვდნენ ზომების გატარებას, საყოველთაო სურვილის განაცხადზე შეცვლილიყო მთავრობა, რომელიც ხალხისთვის ზომაზე მეტად მძიმე იყო. ჭავჭავაძე იმპერატორისადმი მიცემული ფიცის გატეხვაში დაადანაშაულებს, მან კი ლაშქარევს მიწერა პეტერბურგში შექმნილი ვითარების შესახებ და იმპერატორთან შუამდგომლობა თხოვა მთელი ოჯახით რუსეთში გადასახლებაზე, რადგან საქართველოში აღარ

მოულოდნელად ჩამოვიდა ღუშეთში უამრავი კახაკით, „შეარყია“ აქ მყოფი ხალხი და გულში ეჭვები ჩაუსახა“, უფლისწულის თხოვნა იმპერატორისადმი. 1802 წ. 10 სექტემბერი. შსს არქივი, ნაწ. V, გვ. 51-57.

ეცხოვრებოდა.¹ „უკეთესი წესრიგის დამყარებისა და სიმშვიდის დამკვიდრებისათვის, მმართველობის სათავეში აუცილებელი იყო ისეთი ადამიანის დაყენება, – წერს ღუბროვინი, – რომელსაც ეცოდინებოდა ხალხის ხასიათი, შევიდოდა მის მდგომარეობაში, გაიგებდა მის გაჭირვებასა და მოთხოვნილებებს, შეძლებდა გაეწმინდა ქვეყანა მასში დაგროვილი ნაგვისაგან, შესაბამისად, ექნებოდა მტკიცე ხასიათი და დიდი ენერჯია“. ასეთი იყო გენერალ-ლეიტენანტი თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი.

1802 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრემ გენერალ კნორინგის გაწვევა მხარის მართვისაგან უცილობლად მიიჩნია, საჭიროდ ჩათვალა შეეცვალა კოვალენსკი და დაენიშნა თავადი ციციანოვი კავკასიაში მთავარსარდლად. წარმოშობით ქართველი თავადი ციციანოვი მოწვეულ იქნა წესრიგის დასამყარებლად მმართველობაში და იმპერატორის ყველაზე ბრწყინვალე არჩევანის გამართლებისათვის.

ამრიგად, ღუბროვინის მონოგრაფია დეტალურად მოგვითხრობს ქართლ-კახეთის სამეფოში დატრიალებულ პოლიტიკურ მოვლენებს 1801 წლის იმპერატორის მანიფესტის შემდეგ, რუსული მმართველობის დამყარებასა და ხალხის უკმაყოფილებას იმ რეალური ვითარებით, რაც ქვეყანაში ამ ახალმა სინამდვილემ მოიტანა. მართალია, რუსი ოფიციალური ისტორიკოსი ტენდენციურად, თავისი ქვეყნისა და ხელისუფლების ინტერესების დაცვით აფასებს მოვლენებს, მაგრამ მაინც ჩანს შემდეგი: 1. ფეოდალური არისტოკრატია უკმაყოფილო იყო იმით, რომ რუსულმა ხელისუფლებამ მათ წაართვა თანამდებობები და მისგან სარგოს მიღების შესაძლებლობა; 2. უკმაყოფილონი იყვნენ გლეხები, რომელთაც არ

¹ 1802 წ. 30 ნოემბერი, შსს არქივი, საქართველოს საქმეები, ნაწ. II, გვ. 238.

აუსრულეს პირობა, – 12 წელი გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე; 3. ქვეყანას კვლავ იკლებდნენ და აწიოკებდნენ ლეკები, რუსეთმა ეს საზარელი მოვლენა ვერ ააცილა მოსახლეობას; 4. მოძრაობა არ ყოფილა ლოკალური: ის ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებამდე, აჯანყებული ოსებიც უერთდებოდნენ ქართლ-კახეთის ამბოხებულებს და მოვლენებში დასავლეთ საქართველოს ჩართვის ნიშნებიც გამოჩნდა; 5. ქელმენჩურის მანიფესტანტების გამოსვლა მხოლოდ ერთი მომენტი იყო და ანტირუსული წინააღმდეგობრივი მოძრაობა გაცილებით დიდ გეოგრაფიულ არეალსა და ადამიანურ რესურსებს მოიცავდა; 1802 წლის დიდ წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ჩართული იყო ფართო სპექტრი, მასში სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაც არ სურდა რუსეთის კოლონიური უღლის დადგმა, მათ შორის სამღვდელოებამ დიდი როლი ითამაშა ხალხის ანტირუსული განწყობის შექმნაში; 6. მოვლენამ ცხადყო, რომ ქართულ სამეფო ოჯახში არ იყო ისეთი შუღლი და დაპირისპირება ტახტისათვის, როგორც ამას რუსული იდეოლოგია წარმოაჩენდა: ამ დროისათვის ყველა შეთანხმებულია იმაზე, რომ სამეფო გვირგვინი იულონ ერეკლეს ძეს დაედგა (ვინაიდან დავით ბატონიშვილმა არ დაიკავა ტახტი); 7. ღებროვინის მიერ მოტანილი ზოგიერთი ისტორიული ფაქტი (ქელმენჩურის ქალაქად სახელდება, აქ 40 ათასი კაცის შეკრება, იმერეთის მეფის მიერ კახელი თავადების აჯანყებისაკენ წაქეზება), ისევე როგორც მისი ზოგიერთი შეფასება, არაობიექტურია და კრიტიკას ვერ უძლებს; 8. 1802 წლის დიდი წინააღმდეგობრივი მოძრაობა არის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი ფურცელი და არა ღებრო-

ვინისგან შეფასებული, „თავადებისგან გაბრიყვებული ხალხის ბუნტი“.

Dodo Chumburidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology*

**RUSSIAN HISTORIAN NIKOLAI DUBROVIN ABOUT
THE 1802 YEAR'S CONTROVERSIAL MOVEMENT IN
KARTLI-KAKHETI KINGDOM
RESUME**

The Kelmenchuri's conspiracy of 1802 is properly investigated and referred to various definitions In Russian and Georgian historiography.

The article deals the monograph of Russian military historian Nikolai dubrovinis "1802 in Georgia", the facts, analized by the author and his opinion.

The author of the article sometimes does not agree with these assessments, and refers her own arguments.

In her opinion, the Kelmenchuri's conspiracy was a part of 1802 great controversial movement. It was not conspiracy at all. The authors of "Kelmenchuri Manifesto" have written openly about the the current problems, appealed to the restoration of the paragraphs of 1783 Treaty, to the restoration of the Georgian monarchy. Resistance movement was not a local, limited in time and space, but it involved a wide geographical area, including the North Caucasus.

სრულიად რუსეთის 1917 წლის დემოკრატიული თათბირი და ქართული პოლიტიკური სპექტრი

1917 წელი რუსეთის იმპერიაში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა, რომლებიც კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ამ აჩქარებულ მდინარებას სათავე თვითმპყრობელობის დამხობამ დაუდო. დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებით დაიწყო გარდამავალი ეტაპი, რომლის განმავლობაში რუსეთში სახელმწიფოებრივი განვითარების სხვადასხვა გზა და შესაძლებლობა გამოიკვეთა. მათ შორის: კონსტიტუციით შეზღუდული მონარქიის აღდგენის, პარლამენტარიზმის, ბონაპარტიზმისა და დიქტატურის. პარალელურად მიმდინარე საზოგადოების ტრანსფორმაცია, სხვა ფაქტორებთან ერთად, სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა მმართველობის ფორმასა და ხელისუფლების ევოლუციაზე.

ცნობილია, რომ დროებითმა მთავრობამ რუსეთის მომავლის გადაწყვეტის საკითხი დამფუძნებელ კრებას მიანდო, რომელიც ფართო დემოკრატიული საფუძველზე ახლო მომავალში უნდა მოეწვიათ. ვარაუდობდნენ, რომ ეს ზაფხულისათვის მოესწრებოდა, მაგრამ კადეტებმა მოითხოვეს გადაეღოთ კრება მიმდინარე მსოფლიო ომის დამთავრებამდე.¹ კრების არჩევნების თარიღად ოფიციალურად 1917 წლის 17 სექტემ-

¹ http://redstory.ru/education/history_rus/142.html

ბერი განისაზღვრა, თუმცა შემდეგ იგი 12 ნოემბრისათვის იქნა გადატანილი.¹

მეტროპოლიის მოსახლეობასთან ერთად კრებას დიდი ინტერესით მოელოდნენ განაპირა მხარეებშიც. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა, - აქაურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალებმა ნდობა გამოუცხადეს დროებით მთავრობას და მისი პოლიტიკის მიმართ ლოიალურად განეწყვნენ. სამწუხაროდ, ხელისუფლების ამ დროებითმა ინსტიტუტმა, რომელმაც არსებობის მოკლე ხანში რამდენიმე რეორგანიზაცია განიცადა, ვერ შეძლო ხალხის იმედების გამართლება.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კეთილგანწყობით შეხვდა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მეორე, არაორდინალურ წარმონაქმნს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რომელიც დროებითი მთავრობის თანადროულად აღმოცენდა.² როგორც მაშინ უწოდებდნენ, რევოლუციური დემოკრატიის ამ პოლიტიკურ ინსტიტუტს სათავეში ქართველი სოციალ-დემოკრატი, იმპერიის მესამე და მეოთხე მოწვევების სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე ედგა. ცნობილი ამერიკელი მწერლის, ჯონ რიდის მიერ

¹ დამფუძნებელი კრების მოწვევის გაჭიანურებას ირაკლი წერეთელი თებერვლის რეკოლუციის ერთ-ერთ მთავარ შეცდომად მიიჩნევდა. იხ. Церетели И. Воспоминания о февральской революции. Париж, 1963, с. 403.

² როგორც ესერთა პარტიის ლიდერი ვ. ჩერნოვი წერდა, ერთ მხარეს იყო ფაქტობრივი ძალის არმქონე ფორმალური ხელისუფლება და მეორე მხარეს - ფაქტობრივი ძალა ფორმალური ხელისუფლების გარეშე. სხვაგვარად, ეს იყო: „უძალი ხელისუფლება და უხელისუფლებო ძალა“ („Бессильная власть и безвластная сила“). იხ. Чернов В. М. Рождение революционной России (Февральская революция), Прага, 1934, с. 369.

„რუსული რევოლუციის ბებერ არწივად“ წოდებული კ. ჩხე-
იძე 1917 წლის ივნისში სრულიად რუსეთის მუშათა და ჯა-
რისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებ-
ელი კომიტეტის თავმჯდომარედაც არჩიეს. რევოლუციური
პეტროგრადისა და მთლიანად, მონარქიის დამხობის შემდ-
გომი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში წონადი სიტყვა
ეთქმოდა მეორე ქართველ სოციალ-დემოკრატს, ირაკლი (კა-
კი) წერეთელს. ეპითეტები არც მისთვის დაუკლიათ. ორივეს
ლექსებს უძღვნიდნენ, მიტინგებზე ალტაცებით ხვდებოდნენ
და ხელში აყვანილებს დაატარებდნენ.

დროებითი მთავრობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტა-
ტების საბჭოებთან ერთხანს კონსტრუქციულად თანამშრომ-
ლობდა. გ. ლვოვის კაბინეტი და პეტროგრადის საბჭო ერთ
შენობაში - თავრიდის სასახლეში მართავდნენ სხდომებს.
დროებითი მთავრობა ასრულებდა როგორც საკანონმდებლო-
განმკარგულებელ, ისე აღმასრულებელ ფუნქციებს, ხოლო
საბჭოები მოწოდებულნი იყვნენ მშრომელ მასებზე დაყრდნო-
ბით უზრუნველყვით რუსეთში პოლიტიკური თავისუფლებისა
და სახალხო მმართველობის საბოლოო დამკვიდრება.

ძალაუფლების ამგვარ კომბინაციას, რომელიც ისტორი-
ოგრაფიაში ორხელისუფლებიანობად იწოდება, არ ითვალის-
წინებდა რუსეთის არც ერთი პოლიტიკური პარტიის დოქტ-
რინა,¹ მაგრამ ახლა თითქმის ყველა მათგანს მასთან შეგუება
მოუხდა.

1917 წლის აპრილში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოე-
ბის სრულიად რუსეთის თათბირმა ოფიციალურად გამოხატა

¹ Игрицкая М. Р. Образование Российской республики (февраль 1917 г. – январь 1918 г.)

Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 2001.

მხარდაჭერა დროებითი მთავრობისადმი, ოღონდ ისე, რომ „არ ეკისრა პასუხისმგებლობა მთლიანობაში მთავრობის მთელი მოქმედებისათვის.“¹ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პირველ ყრილობაზე (1917 წ. 3-24 ივნისი), მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკთა ლიდერებმა მთავრობა იმპერიალისტურ მისწრაფებებში ამხილეს და მოითხოვეს მთელი ძალაუფლება გადასულიყო საბჭოების ხელში, უმრავლესობამ (ლენინის საწინააღმდეგოდ) დროებითი მთავრობისადმი სრული ნდობის რეზოლუცია მიიღო. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ფრონტზე ე. წ. „კერენსკის შეტევა“ კატასტროფულად დამთავრდა. 1917 წლის ივლისის დასაწყისში ბოლშევიკებმა ფართო გამოსვლა მოაწყვეს და დროებითი მთავრობის ჩამოგდება დააპირეს. შეიარაღებულ დემონსტრანტებს ტყვიებით გაუსწორდნენ,² ხოლო ბოლშევიკების მიმართ რეპრესიები განხორციელდა (უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე ხანში დაპატიმრებული ყველა თვალსაჩინო ბოლშევიკი - ლ. ტროცკი, ლ. კამენევი, ა. ლუნაჩარსკი, ა. კოლონტი და სხვები - გაანთავისუფლეს).

ივლისის პოლიტიკურ კრიზისს დროებითი მთავრობის მეთაურის გ. ლვოვის გადადგომა და მთავრობის შემადგენლობიდან კადეტთა წარმომადგენლების გასვლა მოჰყვა. მთავრობის თავმჯდომარეობა ა. კერენსკის დაეკისრა, რომელმაც 24 ივლისს ახალი კოალიციური კაბინეტი ჩამოაყალიბა. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების

¹ <http://www.seaofhistory.ru/shists-363-2.html>

² ამბოხებულთა უკუგდებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველმა ოფიცერმა, შტაბს-კაპიტანმა, ირაკლი ცაგურიამ. მისი გაბედილი მოქმედება აღწერილია წიგნში Никитин Б. Роковые годы, Париж, 1937. იხ. ასევე, ბასტაძე მ., პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2015, №3 (6), გვ. 8-9.

საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ახალ დროებით მთავრობას საგანგებო უფლებები მიანიჭა. კრიზისი გადაილახა, მაგრამ მტკიცე და ძლიერი ხელისუფლების პრობლემა მაინც გადაუჭრელი დარჩა.

ერთი თვის შემდეგ გენერალ კორნილოვის წარუმატებელმა გამოსვლამ ქვეყანაში გაამძაფრა ისედაც არამყარი პოლიტიკური სიტუაცია. ბურჟუაზიული პარტიების მონაწილეობით კოალიციური ხელისუფლების იდეა დისკრედიტირებულ იქნა, სამთავრობო კოალიცია კიდევ ერთხელ დაირღვა. დაიწყო დროებითი მთავრობის მესამე, ყველაზე მწვავე და გაჭიანურებული კრიზისი, რომელმაც ერთ თვეს გასტანა.

კორნილოვის ამბოხების ლიკვიდაციამ ა. კერენსკის საფუძველი მისცა თავი ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდლად გამოეცხადებინა და „დიქტატორის უფლებამოსილებითაც“ აღჭურვილიყო. ხელისუფლება კერენსკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ხუთი წევრისაგან შემდგარი დირექტორიის ხელში გადავიდა. მეოთხე სახელმწიფო სათათბირო ოფიციალურად იქნა დათხოვნილი, 1917 წლის 1 სექტემბერს რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა,¹ თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა.

ხალხის უკმაყოფილება დროებითი მთავრობის პოლიტიკით ნელ-ნელა იზრდებოდა. როგორც იმ პერიოდის ქართული გაზეთები წერდნენ: „რევოლუციას წაფორხილების ხანა დაუდგა.“² ამასთან, გააქტიურდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც თითქმის დაუფარავად აჯანყებისათვის იწყებდნენ სამზადისს. ასეთ ვითარებაში სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებ-

¹<https://topwar.ru/19925-kornilovskiy-myatezh-1917-goda-neudachnaya-popytko-pravogo-povorota.html>

² გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 3, 9 აგვისტო.

ბელმა კომიტეტმა მდგომარეობის განმუხტვა ქვეყნის დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევაში დაინახა. საზოგადოებრივი ფორუმის შეკრება, რომელსაც მოსახლეობის დემოკრატიული ნაწილის განწყობა, აზრი და სულისკვეთება უნდა გამოეხატა, რუსეთის დროებითი ხელისუფლების პოლიტიკურ კრიზისს უკავშირდება და არსებითად ამ მოვლენითვე იყო განპირობებული.

თათბირის იდეა მენშევიკმა ფ. დანმა 1917 წლის აგვისტოს ბოლოს ხსენებული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე წამოაყენა. მისი სიტყვით, მომავალ თათბირს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქცია უნდა შეესრულებინა.¹

აღმასკომშივე შეიმუშავეს იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელთაც პეტროგრადში თავიანთი დელეგატები უნდა გაეგზავნათ. სიაში მემარცხენე, სოციალისტური მიმართულების პოლიტიკური პარტიები და დემოკრატიული ორგანიზაციები (საბჭოების, ქალაქის თვითმმართველობების, ერობათა, კოოპერატივების და სხვ.) წარმომადგენლები შეიტანეს. რაც შეეხება ზომიერ და მემარჯვენე ძალებს, ისინი თათბირზე არ მიუხმიათ. ბოლშევიკებს სურვილი ჰქონდათ, შეკრებას ყველა იმ რევოლუციური საბჭოს წარგზავნილი დასწრებოდა, რომელთაც 50 წევრი მაინც ჰყავდათ და ასევე, გაზრდილიყო

¹ Меньшевики в 1917 году, т. 3, часть 1, М. 1996, ст. 17. მკვლევარ ს. რუდნეკას აზრით, თათბირის იდეა ა. ბოგდანოვს ეკუთვნოდა და იგი ჯერ კიდევ ივნისში იქნა გაცხადებული. იხ. Руднева С. Е., Кризис власти и Демократическое совещание, сентябрь 1917 г. автореферат диссертации на сщискание ученой степени кандидата исторических наук, М. 1999. <http://www.dissercat.com/content/krisis-vlasti-i-demokraticeskoe-soveshchanie-sentyabr-1917-g#ixzz4U259DwNV>

არმიის წარმომადგენელთა რიცხვი, მაგრამ მათი წინადადება აღმასრულებელმა კომიტეტმა არ გაითვალისწინა.

აღმასკომის თანათამგჯდომარეების კ. ჩხეიძისა და ნ. აკქსენტიევის მიერ ხელმოწერილ დეკლარაციაში, რომლითაც პარტიებისა და ინსტიტუციების წარმომადგენლებს პეტროგრადში ეპატიჟებოდნენ, აღნიშნული იყო: ვიწვევთ სრულიად რუსეთის ორგანიზებული დემოკრატიის თათბირს, რათა შევქმნათ ძლიერი ხელისუფლება, რომელიც შეძლებს მთელი რევოლუციური რუსეთის შეკავშირებას, მოიგერიებს საგარეო მტრებს და ჩაახშობს ყოველგვარ თავდასხმას მოპოვებულ თავისუფლებაზე.¹

საბჭოთა ისტორიოგრაფია სრულიად რუსეთის დემოკრატიულ თათბირს ბურჟუაზიის დიქტატურის „საპარლამენტო საფარვლად“ მიიჩნევდა.² პოსტსაბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში კი აქცენტი ამ მოვლენის სხვა ხასიათზეა გადატანილი, კერძოდ, თათბირს რუსეთში პარლამენტარიზმის ისტორიის ჭრილში განიხილავენ და მიიჩნევენ, რომ იგი ამ ქვეყანაში დემოკრატიის ტრადიციის არსებობას მოწმობს (ს. რუდნევა და სხვ.).

პეტროგრადის დემოკრატიული თათბირის წინა პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში 4 პარტია აღმინიერებდა, სახელდობრ: სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ისტ-ფედერალისტების, ესერთა და ეროვნულ-დემოკრატიული. მათგან სამი სოციალისტური მსოფლმხედველობისა და მიდრეკილების ძალა იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფედერალისტები მხოლოდ საქართველოს ფარგლებში მოღვაწე

¹ Газ. „Известия“, 1917 г. 3 сентября.

² Ознобишин Д.В., Буржуазная диктатура в поисках парламентского прикрытия // Исторические записки. 1974, т. 93, ст. 113-148.

ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ეს პარტია საქართველოს ავტონომიისა და რუსეთის იმპერიის ფედერაციულ ყაიდაზე გარდაქმნის პრინციპს ერთგულებდა, სოციალ-დემოკრატები და ესერები კი რუსეთის მთლიანობისა და ცენტრალიზმის იდეის დამცველები იყვნენ. ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და ესერებს თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიები იმხანად არ გააჩნდათ და გაერთიანებულნი იყვნენ რსდმპ-სა და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში.¹

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, იგი მემარჯვენე ტიპის ორგანიზაცია იყო, გადაჭრით იცავდა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას და საქართველოს თავისუფლებას ესწრაფვოდა. მართალია, დროებით მთავრობას თავდაპირველად არც ეროვნულ-დემოკრატები დაპირისპირებიან, მათაც „თავისუფალ რუსეთში თავისუფალი საქართველოს“ არსებობა შესაძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ ბოლომდე არ სჯეროდათ რუსეთის დემოკრატიის, სკეპტიკურად უყურებდნენ მის დაპირებებს და არ სწამდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოვიდოდა ჩრდილოელი მეზობელი, რომელიც „კეთილი სამართლებივით მალამოს დასდებდა ყველა ჩვენს ჭრილობას.“²

სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირის მოწვევამდე სამიოდე კვირით ადრე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში ჩამოყალიბებული

¹ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია დამოუკიდებელ ორგანიზაციად 1918 წ. მაის-ივნისში, ზოლო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 1918 წ. ნოემბერში ჩამოყალიბდა.

² ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან თბ., 2002, გვ. 271.

ადგილობრივ პარტიათა გამაერთიანებელი ორგანო „საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოდ“ გარდაიქმნა და ამის შესახებ ოფიციალურადაც გამოაცხადა. „დაარსდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო... საბჭო მიზნად ისახავს რევოლუციის დაცვას და ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიურ, კულტურულ-საზოგადოებრივ და ინტერნაციონალურ საჭიროებათა გაძლიერებას და დაკმაყოფილებას. საბჭო აერთიანებს ერის ცოცხალ ძალებს და ხელს უწყობს ადგილობრივ ერთა საერთაშორისო თანხმობის და კავშირის შედგენას დემოკრატიის და თავისუფლების განსამტკიცებლად“, - ნათქვამი იყო საბჭოს დეკლარაციაში, რომელიც 1917 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა.¹

ინტერპარტიულ საბჭოში გაერთიანებამ და ურთერთთანამშრომლობამ ქართული პოლიტიკური პარტიების შეხედულებანი საქართველოს მომავლის საკითხში ნელ-ნელა ერთმანეთს დაუახლოვა.

საქართველოდან თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვევა მიიღეს თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა, სოციალ-დემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიებმა, თუმცა პეტროგრადში ქართველ მხედართა კავშირის² წარმომადგენე-

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1. საქმ. 6, ფურც. 12.

² კავშირი 1917 წ. მარტის პირველ დეკადაში ჩამოყალიბდა. მის აღმასრულებელ საბჭოში 14 ოფიცერი და 16 ჯარისკაცი შედიოდა. კავშირის მთავარი მიზანი იყო: „ბრძოლა რუსეთის რევოლუციის სასურველად დასამთავრებლად და საქართველოს ეროვნულ ინტერესების დასაცველად“. კავშირი გამოსცემდა გაზეთს „ჯარისკაცი“. იხ. უურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1917, №12, 19 მარტი, გვ. 15.

ლი¹ და საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს დელეგაცია (აკაკი ჩხენკელი, სიმონ მღვიანი, შალვა ამირეჯიბი) იმყოფებოდა.

დემოკრატიული თათბირის დელეგატთა შორის, რომლებიც თბილისის რეინიგზის ვაგზლიდან პეტროგრადში 1917 წლის 7 სექტემბერს გაემგზავრნენ, იყვნენ: ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილი, მიხა ცხაკაია, ი. იდაშკინი, ს. ვერეშჩაკი, დ. მერხალიევი, ი. ქარცივაძე და ლ. თუშანოვი.² მათთან ერთად უნდა წასულიყო სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელსაც გამგზავრებაში ხელი მოულოდნელმა ავადმყოფობამ შეუშალა. უფრო ადრე წავიდნენ ფედერალისტური პარტიის წარგზავნილები შალვა ალექსი-მესხიშვილი, სვიმონ მღვიანი და შალვა ნუცუბიძე.³ მათ დემოკრატიულ თათბირამდე მონაწილეობა მიიღეს პეტროგრადში ჩატარებული ეროვნულ სოციალისტური პარტიების კონფერენციის მუშაობაში.⁴ არ ჩანს, როდის ჩავიდნენ პეტროგრადში, მაგრამ თათბირის მონაწილეთა შორის გვხვდებიან ასევე, ესტატე მაჩაბელი - ქართველ მხედართა კავშირისაგან და საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წევრი, ეროვნულ-დემოკრატი შალვა ამირეჯიბი.

¹ გენერალ გ. მაზნიაშვილის თანახმად, ქართულმა სამხედრო კავშირმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეროვნული სამხედრო ნაწილების შედგენა, თავისი წარმომადგენელი ესტატე მაჩაბელი მიავლინა პეტროგრადში „ქართული კორპუსის შედგენის ნებართვის გამოთხოვისათვის“. იხ. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 4.

² ვაზ. „ერთობა“, 1917 წ., 8 სექტემბერი.

³ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 107, ფურც. 35.

⁴ საქართველოში დაბრუნების შემდეგ შ. მესხიშვილმა მოხსენება წაიკითხა ფედერალისტთა პარტიულ კრებაზე და ისაუბრა ამ კონფერენციის თაობაზე. იხ. ვაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 10 სექტემბერი.

რას მოელოდნენ საქართველოში რუსეთის რევოლუციურ დედაქალაქში მიმდინარე კიდევ ერთი ხალხმრავალი თათბირისაგან?

ქართულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ სპექტრში თათბირის პერსპექტივაზე არ ყოფილა ერთგვაროვანი შეხედულება და, შესაბამისად, განსხვავებული იყო მოლოდინიც. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ რაკი თათბირზე მიწვეულნი იყვნენ დემოკრატიის წარმომადგენლები „ფინლანდიდან კოლხიდანამდე“, რუსეთისათვის დადგადრო, ზოგადი ხასიათის დეკლარაციების სანაცვლოდ, შეიძუშაოს „გადაჭრილი პრაქტიკული ფორმულა“. ფედერალისტებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ დემოკრატიული თათბირი უკანასკნელ სიტყვას იტყოდა მაშინდელ ორ უმთავრეს გამოწვევაზე - ზავსა და მთავრობის პოზიციაზე. თათბირი იკისრებდა რუსეთის ბედის გადაწყვეტას, განსაზღვრავდა ქვეყნის ხელისუფლების დაკომპლექტების პრინციპს და თავს იდებდა პასუხისმგებლობას ისტორიის წინაშე.¹

როდესაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ პეტროგრადის თათბირის პრეზიდიუმში საქართველოს ინტერპარტიული ეროვნული საბჭოს დელეგატი სვიმონ მდივანი და ფედერალისტური პარტიის წარგზავნილი შალვა ნუცუბიძეც აირჩიეს, ქართველ ფედერალისტთა გაზეთი ამ ფაქტს სიამოვნებით მიეგება. „სახალხო საქმე“ ცნობა იმის ნიშნად აღიქვა, რომ „დემოკრატიას სურს საბოლოოდ მოსპოს მონობა, როგორც პოლიტიკურ-სოციალური, ისე ეროვნულიც და ეროვნული წარმომადგენლები რუსებთან ერთად მიიჩნიონ თანასწორუფლებიან ძალად.“²

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 17 სექტემბერი.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 17 სექტემბერი.

ფედერალისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პეტროგრადის თათბირის გადაწყვეტილებები კიდევ უფრო განამტკიცებდნენ აზრს რუსეთში ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელებისა და სახელმწიფოს ავტონომია-ფედერაციის საფუძველზე გარდაქმნის შესახებ. ამ მხრივ საგულისხმოა სამსონ ფირცხალავას მეთაური წერილი გაზეთ „სახალხო საქმეში“ „უფლება და საჩუქარი“.

ავტორის წარმოდგენით, პეტროგრადის თათბირს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რუსეთის რევოლუციის განვითარებისათვის. მისი სიტყვით, რევოლუციის საუკეთესო დამცველები არიან რუსეთის არარუსი ერები, რადგან ყველაზე მეტს ისინი გამოეღიან რევოლუციისაგან. ამასთან, ყველაზე მეტი რისხვაც მათ დაატყდებათ თავს თუ გამარჯვება რეაქციას დარჩა. არარუსი, ჩაგრული ერები თათბირის პოზიციას განსაკუთრებული ყურადღებით ეროვნულ საკითხში მოელოდნენ. უნდა გარკვეულიყო: „დაკმაყოფილდება თათბირი ზოგადი საზეიმო დეკლარაციებით თუ შეეცდება გარკვეული შინაარსი მისცეს ერთა თვითგამორკვევის უფლებას“?

ქართველ ფედერალისტთა ლიდერი მიიჩნევდა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი სხეულის გამთელება და აღდგენა შეიძლება ერების განთავისუფლებით და მათი თავისუფალი კავშირის დამყარებით. „ეს უნდა შეიგნოს სავსებით რუსეთის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ, ამით უნდა განიმსჭვალოს ყოვლის უწინარეს რუსის დემოკრატია, თუ სწადია რუსეთის რევოლუციის გამარჯვება. ... ამას უნდა მოვითხოვდეთ უპირველესად დაჩაგრული ერები, რომელთაც უნდა გვახსოვდეს კარგათ, რომ უფლება საჩუქრად არავის მიუღია. საჭიროა ერების დაუყონებლივ განთავისუფლება. ვინც ამას

ვერ ხედავს, ის ვერ ხედავს რუსეთის რევოლუციის გზას!“ - დაასკვნა ს. ფირცხალავა.¹

„ალიონის ვგუფის“ ლიდერთა აზრით: „ეს თათბირი ისტორიული იქნება ქართველი ერისათვისაც, რადგანაც მას პირველათ ესწრებიან საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წარმომადგენლები. ისინი თავის შეხედულებებს, ტკივილებს, მოთხოვნებებს გააგებინებენ რუსეთის დემოკრატიას. იქნებ ახლა მაინც აღსრულდეს ქართველი ხალხის ანდაზა: ობლის კვერი ცხვა, ცხვა და ბოლოს მაინც გამოცხვა!“²

როგორც ცნობილია, ქართველ ესერებს პეტროგრადის თათბირის დროისათვის ცალკე, დამოუკიდებელი პარტია არ ჰქონიათ და ჯერ კიდევ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შემადგენლობაში შედიოდნენ. ამითაც იყო გაპირობებული, რომ მათი დამოკიდებულება დემოკრატიული თათბირისადმი და მისგან მოლოდინი სპეციფიკური არ ყოფილა. იგი არსებითად ემთხვეოდა მთლიანი პარტიის პოზიციასა და შეხედულებას.

ესერთა პარტიის პოპულარობა, როლი და შემადგენლობა განსაკუთრებით გაიზარდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ. სხვადასხვა მონაცემით, პარტიაში მილიონამდე წევრი მოითვლებოდა და ყველაზე რიცხვმრავალი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო მთელს რუსეთში.³ პარტიის წარმომადგენლები - პ. ალექსანდროვიჩი და ა. კერენსკი, ვ. ჩერნოვი, ნ. ავქსენტევი, ს. მასლოვი - თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ როგორც დროებით მთავრობაში, ისე პეტროგ-

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

² გაზ. „ალიონი“, 1917 წ., 17 სექტემბერი.

³ Ерофеев В.И., Политические партии России: история и современность. М., 2000, ст. 203.

რადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. შემდეგშიც გლხები მთელ სოფლებად ერთიანდებოდნენ პარტიაში, ასეულებად და გუნდებად ეწერებოდნენ არმიაში.

1917 წლის შემოდგომაზე პარტიას გამოეყო მემარცხენე ფრთა, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად გაფორმდა, უარყოფდა დროებით მთავრობასთან თანამშრომლობას და მოითხოვდა აგრარული საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.¹

ზოგადად, რუსეთის სამომავლო განვითარების შესახებ პარტიას ამგვარი აზრი გააჩნდა: დემოკრატიული რევოლუციის თანდათანობითი გატარება კოალიციური მთავრობის მეშვეობით და კოალიციაში ბურჟუაზიისა და მათი პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობით. აუცილებელი იყო რევოლუციის მონაპოვართა დაცვა და განმტკიცება, ომის შეწყვეტა და დემოკრატიული ზავის გაფორმება. ქვეყნის საბოლოო სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს გადაწყვეტდა დამფუძნებელი კრება, რომელიც, ესერთა აზრით, მხარს დაუჭერდა საპარლამენტო ტიპის დემოკრატიულ რესპუბლიკას.² ძირითადად ასეთივე იყო ქართველი ესერების პოლიტიკური თვალთახედვაც იმ ეტაპისათვის. ამასთან, ქართველი ესერები უკვე იზიარებდნენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეასაც.

განსახილველი პერიოდისათვის ერთგვარი გარდატეხა შეიმჩნეოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორისაც. ისინი თანდათან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან დისტანცირების გზას ადგებოდნენ. გერონტი ქიქოძის სიტყვით, „ამიერიდან ჩვენში ფაქტიურად აღარ არსებობს მე-

¹ <http://www.histonow.ru/hisnows-931-3.html>

² Коновалова О.В., Политические идеалы В. М. Чернова: взгляд через годы <http://socialist.memo.ru/books/lit/konovalova/glava2.htm>

ნშევიკური ფრაქცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. მისი ადგილი ქართულმა მესამე დასმა დაიჭირა. ანტიკვარიატის სიყვარულის გამო ამ ხალხმა ერთხანს შეიძლება კიდევ ატაროს ძველი რუსული ეტიკეტი, [მაგრამ] ეს გარემოება ოდნავაც ვერ დაჰფარავს შინაარსის ცვალებადობას.“¹

მართლაც, როგორც გაზეთი „საქართველო“ შენიშნავდა: „ომისა და ძალაუფლების საკითხში ქართველი სოციალ-დემოკრატები დამორღნენ რუს მენშევიკებს“.² ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს ნოე ჟორდანიას შეცდომად მიაჩნდა დროებით მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა, ასაბუთებდა: თუ სოციალისტმა მინისტრებმა არ წამოაყენეს სოციალისტური მოთხოვნები, მუშები დარჩებიან უკმაყოფილონი, ხოლო თუ ასე მოიქცნენ, მაშინ მათ ზურგს შეაქცევს ბურჟუაზია. რსდმპ მენშევიკური ფრთის აზრით (აქ არც თუ უმნიშვნელო სიტყვაა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეთქმოდათ), ვინაიდან თებერვლის რევოლუცია ბურჟუაზიული იყო, ხელისუფლების პასუხისმგებლობაც ბურჟუაზიას უნდა ეკისრა. ზოგადად, რსდმპ მენშევიკურ ნაწილში დემოკრატიული თათბირის წინა დროისათვის რამდენიმე მიმდინარეობა გამოირჩეოდა. მათ შორის: პლენხანოვის მემარჯვენე ფრთა, ჩხეიძე-წერეთელ-დანის ცენტრისტული ჯგუფი და მარტოვის მიმდევარი ინტერნაციონალისტები.

პეტროგრადში ჩასული ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობდა და სიტყვითაც გამოვიდა რსდმპ ფრაქციულ თათბირზე. იგი კვლავ წინააღმდეგი იყო კოალიციისა, რადგან მიიჩნევ-

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 9 (22) დეკემბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 9 დეკემბერი.

და, რომ ბურჟუაზიას ვერ დაყოლიებდნენ, პატიოსნად შეესრულებინა დემოკრატიული პროგრამა.¹

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ეჭვით უყურებდნენ პეტროგრადის თათბირის იდეას და თვლიდნენ, რომ მისი მოწვევა ობიექტური აუცილებლობით არ ყოფილა განპირობებული.² მათი წარმოდგენით, ხალხის დემოკრატიული ნაწილის გამოყოფა ცენზიანი ელემენტებისაგან მოასწავებს რევოლუციური ძალების დასუსტებას. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისი კი მოითხოვს იმგვარი მთავრობის ფორმირებას, რომელსაც ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც შეიწყნარებს რუსეთის რევოლუციური ხალხი. საზოგადოების ერთ ნაწილზე დაყრდნობა ვერ გამოიყვანს სახელმწიფოს კრიტიკული მდგომარეობიდან, პირიქით, უფრო გაამწვავებს ვითარებას.

მოსკოვის სახელმწიფო თათბირისაგან (1917 წ. 12-15 აგვისტო) განსხვავებით, პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი არ მოუწვევია რუსეთის დროებით მთავრობას, თუმცა მთავრობის თავმჯდომარე და რამდენიმე მინისტრი მონაწილეობდა მის მუშაობაში.

სრულიად რუსეთის დემოკრატიულ თათბირზე, რომელიც 14 სექტემბერს გაიხსნა და 22 სექტემბერს დამთავრდა, 1582 დელეგატი შეიკრიბა. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ესერთა პარტიას ჰყავდა - 532; მენშევიკ-დელეგატთა რიცხვი

¹ Руднева С. Е., Демократическое совещание (сентябрь 1917 г.): История форума, М., 2000, с. 81. ჟორდანიას ნ. ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 79-80.

² ამ თათბირის მოწვევა პოლიტიკურ შეცდომად მიაჩნდა კადეტთა პარტიასაც, თუმცა პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი შევიდა თათბირზე შექმნილ ე.წ. წინაპარლამენტში.

172-ს შეადგენდა. ცხადია, მრავლად იყვნენ წარმოდგენილი მუშათა და გლეხთა დეპუტატები და სხვ.

თათბირის მუშაობაში 136 ბოლშევიკი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის: ლ. ტროცკი, ი. სტალინი, ლ. კამენევი, ა. ლუნაჩარსკი და სხვა, მაგრამ შეკრებაზე არ ყოფილა ვ. ლენინი. იგი მაშინ გ. ზინოვიევთან ერთად ფინეთის ქალაქ ჰელსინგფორსში ემალებოდა ხელისუფლებას, რომელსაც გაცემული ჰქონდა ბრძანება მათი დაპატიმრების შესახებ. ქვეყნის ტურბულენტურობაზე აშკარად მიანიშნებდა ის გარემოება, რომ მიმალვაში მყოფი ლენინი იქით უპირებდა შეპყრობას დროებითი მთავრობას, ხოლო პეტროგრადში მიმდინარე თათბირს - დაშლასა და გარეკვას.¹ კორნილოვის გამოსვლის ლიკვიდაციის შემდეგ მოსახლეობაში ბოლშევიკების პოპულარობა შესამჩნევად და სწრაფად იზრდებოდა.

თათბირს დაესწრნენ რუსეთში აკრედიტებული მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც. მთავრობის სახელით ა. კერენსკი მიესალმა შეკრების მონაწილეებს და აღნიშნა, რომ თათბირს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

¹Федюк В., Керенский, Демократическое совещание. http://www.e-reading.club/chapter.php/147723/72/Fedyuk_-_Kerenskiii.html ამავეს ადასტურებდა სტალინი რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის კრებაზე ვ. ლენინის დაბადების 50 წლისთავის გამო წარმოთქმულ სიტყვაში 1920 წ. 23 აპრილს. აღნიშნავდა: „ილიჩი, რომელიც იმ დროს პეტროგრადის გარეთ არალეგალურად ცხოვრობდა, არ ეთანხმებოდა ცენტრალურ კომიტეტს და გვწერდა, ეს არამზადები (დემოკრატიული თათბირი) ახლავე უნდა გავრეკოთ და დავაპატიმროთ.“
<http://bu.org.ge/x302?page=2&tab=3>

დემოკრატიული თათბირის თავმჯდომარე კ. ჩხეიძემ¹ შესავალ სიტყვაში განმარტა, თუ რამ გამოიწვია ასეთი მასშტაბური შეკრების საჭიროება. მისი სიტყვით, უმძიმესმა მომენტმა, რომელსაც რევოლუციური რუსეთი განიცდის, გვაძლავს მოგვეწვიეთ ამ თათბირზე. მრავალმა შიდა თუ გარე ფაქტორმა განაპირობა, რომ რევოლუციის ექვსი თვის თავზე სახელმწიფო ხელისუფლება თითქმის პარალიზებული აღმოჩნდა. „ნაცვლად ნახტომისა თავისუფლების სამეფოში, ჩვენ გადავხვით ანარქიის სამეფოში“. დემოკრატიულმა თათბირმა ქვეყანას უნდა მისცეს მკაფიო და განსაზღვრული პასუხი კითხვაზე: როგორ დავაღწიოთ თავი შექმნილ მდგომარეობას. ქვეყანას ჭირდება პასუხისმგებლური ხელისუფლება, რომელიც აგვაცილებს ახალ კონტრევოლუციურ გამოხდომებს, - განაცხადა კ. ჩხეიძემ.

მომენტის ძირითად ამოცანად თათბირმა ძლიერი რევოლუციური ხელისუფლების შექმნა დასახა, რომელსაც უნდა ჰქონოდა ფართო დემოკრატიული მასების მტკიცე მხარდაჭერა. თათბირის მონაწილე უმრავლესობის აზრით, ასეთი ხელისუფლების დასაყრდენი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა გამხდარიყო ახალი წარმომადგენლობითი ინსტიტუცია, რომელიც თვით ამ თათბირს უნდა აერჩია. დროებითი მთავრობა ანგარიშვალდებული იქნებოდა ხსენებული ორგანოს წინაშე.

თათბირზე მთავარი გამომსვლელებიდან აღსანიშნავია ესერთა ლიდერი ვ. ჩერნოვი (შესთავაზა კოალიცია კადეტების გარეშე), მენშევიკი ბ. ბოგდანოვი (მოუწოდა, ეცნოთ ის

¹ 1917 წ. 9 სექტემბერს კ. ჩხეიძე პროტესტის ნიშნად გადადგა პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეობიდან საბჭოს მიერ ხელისუფლების შესახებ მიღებული ბოლშევიკური რეზოლუციის გამო. საბჭოს თავმჯდომარედ ლ. ტროცკი აირჩიეს.

ხელისუფლება, რომელსაც აირჩევდა მიმდინარე თათბირი), ბოლშევიკი ლ. კამენევი (მოითხოვა მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემა), მენშევიკი მ. სკობელევი (მიემხრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან კოალიციას, ოღონდ იმ ძალების გამორიცხვით, რომელთაც კავშირი ჰქონდათ კორნილოვის ამბოხებასთან). საპროგრამო იყო სოციალ-დემოკრატ (მენშევიკ) ირაკლი წერეთლის¹ სიტყვა, რომლის დედააზრი ასე გამოითქვა: ერთგვაროვანი დემოკრატიული მთავრობა ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი. ბურჟუაზიასთან კოალიცია მისალებია. საჭიროა ისეთი ორგანოს დაარსება, რომლის წინაშე მთავრობა პასუხისმგებელი იქნება დამფუძნებელი კრების შეკრებამდე. ასეთი ორგანო უნდა ჩამოაყალიბოს დემოკრატიულმა თათბირმა.² თათბირმა ირაკლი წერეთლის წინადადების შესაბამისად, მართლაც, შექმნა ახალი პოლიტიკური ინსტიტუტი - სრულიად რუსეთის დემოკრატიული საბჭო, რომელსაც შემდეგ სახელი შეუცვალეს და წინაპარლამენტი უწოდეს. მის თავმჯდომარედ ესერი ნ. ავქსენტიევი აირჩიეს.

თათბირზე ქართველთაგან პირველი მხედართა კავშირის დელეგატი ე. მაჩაბელი გამოვიდა. მან, უპირველესად, სოლიდარობა გამოუცხადა რუსეთის დემოკრატიას, შემდეგ კი დააყენა სამხედლო შენაერთების ნაციონალიზაციის, მათ შორის ქართული პოლკების შექმნის საკითხი. რაც შეეხება საერთო პოლიტიკას, - განაცხადა მან, - ქართველი მხედრები ვემორჩილებით ჩვენი დემოკრატიული პარტიების გადაწყვეტილებებს. ქართული მხედრობა აქამდე ღუმდა, რადგან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ამ რთულ ხანაში არ სურდა გაერთოლებინა ისედაც მძიმე მდგომარეობა. ჩვენ გვჯერა, რომ

¹ კ. ჩხეიძის მსგავსად, ისიც გამოვიდა პეტროგრადის საბჭოს შემადგენლობიდან.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 20 სექტემბერი.

თავისუფალ რუსეთში, რომელსაც ააშენებს დემოკრატია, თავისუფალი საქართველოსათვისაც მონახება ადვილი. ე. მაჩაბელმა თათბირს აღუთქვა, რომ ქართული მხედრობა, როგორც ერთი, აღსდგება რუსეთის დემოკრატიის იდეალების დასაცავად. ორატორი შეეცადა დაერწმუნებინა დელეგატები, რომ ქართველები თავიანთ სიტყვას არ გადაუხვევენ.¹

დემოკრატიულ თათბირზე წარმოთქმული ე. მაჩაბლის სიტყვა პრესაში საგანგებოდ განიხილა სამსონ ფირცხალავამ. მისი დაკვირვებით: „სიტყვა არაა პოლიტიკური, არა სჩანს სახელმწიფოებრივი აზრის ნიშანი. მოგვაგონებს ჩვენი ძველი გენერლების განცხადებას, რომლებიც მაღალს კილოთი შეჭფიცებდნენ ხოლმე რუსის მეფეებს: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თქვენთვის ვიბრძოლებთო!“

ს. ფირცხალავა მიუთითებდა: „თათბირი თურმე მხურვალე ტაშით მიეგება მაჩაბლის სიტყვებს. მაგრამ, უეჭველია, ეს არ იყო მოწონება ორატორის პოლიტიკური გამჭრიახობისა, მომწიფებული ეროვნული შეგნებისა. არა, მოიწონეს გულკეთილობა და ერთგულება ყოფილი ქვეშევრდომისა.“²

საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სახელით პეტროგრადის თათბირზე სიტყვა აკაკი ჩხენკელმა წარმოთქვა. მან განაცხადა, რომ ქართველი ხალხი „მთელი თავისი არსებით მზადაა ემსახუროს რუსეთის რევოლუციას... რუსეთის ხსნა ერთა გაერთიანებაშია. ...ქართველ ერს, მისი პოლიტიკური პარტიების სახით, უკვე აქვს თავისი აზრი, რომელიც ეროვნულ პროგრამაში გამოითქმება. მთელი ერი გაერთიანებულია და მისი პროგრამა მოითხოვს საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის მიკუთვნებას“.

¹ <http://www.alexanderyakovlev.org/almanah/inside/almanah-doc/1008405>

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

შემდეგ ქართველმა დელეგატმა ეჭვი გამოთქვა რუსეთის რევოლუციის პერსპექტივაზე: ღრმად მწამდა, რომ სწორედ რევოლუცია იხსნიდა რუსეთს. მაგრამ, აი უკვე 6 თვე გადის, რევოლუციის დაწყებიდან და მერყევა რწმენა: „გადაარჩენს კი რევოლუცია რუსეთს?“

დასასრულს ა. ჩხენკელმა დასძინა: „ნურავითარ სეპარატიულ გამოსვლას ქართველებისაგან ნუ მოელით და საერთოდ ამიერკავკასიის ერებისაგან, მაგრამ განსოვდეთ კი: ჩვენ შესაძლებელია მაშინ გამოვიდეთ სეპარატიულად, როდესაც ჩვენი დამარცხება აუცილებელი იქნება. თუ ჩვენ დამარცხება გვმართებს, ... იქნებ უმჯობესიც იყოს, რუსეთის დიდი რევოლუციისთვის ნამდვილ თავრიზად გარდავიქცეთ?“¹

ა. ჩხენკელის გამოსვლას, რომელიც თათბირის დელეგატებმა არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშით, უფრო მეტი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში, ვიდრე რუსეთში, თუმცა უყურადღებოდ იგი არც რუსეთის დემოკრატიულ პრესას დაუტოვებია: რუსი მწერალი და ჟურნალისტი სერგეი კონდურუშკინი (1873-1919) გაზეთ „ზემლიაში“ დაბეჭდილი წერილით მიესალმა ა. ჩხენკელის პოზიციას, მოიწონა მისი სიტყვა, რომ ქართველებს არ სურთ დამატებითი სიძნელე შეუქმნან რუსეთს - საერთო სამშობლოს. ს. კონდურუშკინის სტატია მთავრდებოდა ფრაზით: „თითქოს მზადაა ყველა პირობა, რომ „ქართული რესპუბლიკა“ გამოცხადდეს. მაგრამ ქართველებში კეთილშობილური სიდინჯე და დარბაისლობაა. ... ქართველები იცდიან.“²

საგულისხმოა, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებს თათბირზე ა. ჩხენკელის მიერ წარმოთქმული

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 21 სექტემბერი; გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 6 ოქტომბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 30 სექტემბერი.

სიტყვა სრულად არ გამოუქვეყნებია. რსდმპ-ს ჩამოშორებული ქართველი ავტონომისტები („ალიონის ჯგუფი“) ამის გამო გაზეთ „ერთობას“ მწვავედ აკრიტიკებდნენ.¹ თუმცა, იმავე გაზეთში ივანე გომართელი იწონებდა აკაკი ჩხენკელის გამოსვლის იმ ნაწილს, რომელშიც გამოთქმული იყო ქართველი ერის გულითქმა. წერდა: „ჩხენკელის მიერ გადადგმული ნაბიჯი უდიდესი ნაბიჯია ჩვენი ერის ცხოვრებაში. ...ქართველი ერი სრულის უფლებით იმოსება და ეროვნული თავისუფლების ტახტზე ეპირება დაბრძანებას“.²

შესაძლოა სოციალ-დემოკრატიული პრესის თავშეკავება, ფართოდ ხელმისაწვდომი გაეხადა ა. ჩხენკელის სიტყვა, იმით აიხსნას, რაზეც ყურადღება ეროვნულ-დემოკრატიულმა „საქართველომ“ გაამახვილა. ამ გაზეთის თანახმად, ჩხენკელმა კეისრისა კეისარს მიუძღვნა და ვალი მოიხადა ინტერნაციონალური მგრძნობიარობის წინაშე. აღნიშნა, რომ ქართველი ერი მზად არის დიდი რუსეთის რევოლუციას ემსახურს, ქართველებმა ეროვნული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე გადასდეს და სხვ. მაგრამ უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი დეპუტატის სიტყვის მეორე ნაწილია, სადაც „ისეთი ნოტები გაისმის, რომელთაც სრულიადაც ჩვეულნი არა ვართ ქართველი სოციალ-დემოკრატიის ხოროში“.

„გულწრფელად გვიხარია, რომ სკეპტიციზმი გადასდებია ადამიანს, რომლის ბუნება აქამდე უფრო უკრიტიკო რწმენით იყო გამსჭვალული. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბატონ აკაკი ჩხენკელს იმაში, რომ ქართველობისათვის რევოლუციის ინტერესი უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე სახელმწიფო მთლიანობის იდეა. ... უმჯობესია ამ თავითვე ვი-

¹ გაზ. „ალიონი“, 1917 წ., 18 ოქტომბერი.

² გაზ. „ალიონი“, 1917 წ., 28 სექტემბერი.

ზრუნოთ საკუთარი გზების ძიებაზე. თვალწინ ვიქონიოთ თვით ბატონ ჩხენკელის მიერ ნაჩვენები ნიმუში“, - დასძენდა გაზეთი.¹

პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე სიტყვით გამოვიდა ნოე რამიშვილიც. მისი აზრით, საჭიროა, რომ მთავრობა მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის განკარგულებაში იყოს. მთავრობა მხოლოდ იმ ორგანოს წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომელსაც დემოკრატიული თათბირი შეადგენს. რამიშვილმა, ნ. ჟორდანიას მსგავსად, არ გაიზიარა კოალიციის პრინციპი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში კოალიცია უსათუოდ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოექცევაო. მისი აზრით, მხოლოდ კოალიციური მთავრობის გაუქმება დააჩქარებდა დამფუძნებელ კრების მოწვევას, კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციას, მიწის სახელმწიფო ფონდის დაარსების და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი მიწების სამიწათმოქმედო კომიტეტების ხელში გადაცემას. ქართველი სოციალ-დემოკრატი ამასთანავე მოითხოვდა არმიის ხელმძღვანელთა განახლებას, ბოლოს კი დასძენდა: „ყველას სწყურია ძლიერი მთავრობის გამოჩენა. ასეთი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობა. მთავრობა კოალიციურ პრინციპზე უსათუოდ მეორე კორნილოვს აღმოგვიჩენს, უფრო ნიჭიერსა და მოხერხებულს, რაიც რევოლუციის დაღუპვის მომასწავებელი იქნებაო.“²

დემოკრატიულ თათბირზე ეროვნულ-სოციალისტურ პარტიათა სახელით დეკლარაცია წაიკითხა შალვა ნუცუბიძემ. დოკუმენტში ხაზგასმული იყო: „მომავალ სახელმწიფოებრიობის და მძლავრი მთავრობის შესაქმნელად საჭიროა რევოლუციონურ დემოკრატიის შეკავშირება და სოლიდარული

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

ბრძოლა სოციალურ და ეროვნულ უფლებებისათვის, ფედერატიული რესპუბლიკის დეკლარატიულად გამოცხადება უმცირესობების უფლებების დაცვით, ეროვნებათა შეზღუდვის მოსპობა, ენათა თანასწორობა, სკოლების ნაციონალიზაცია და ეროვნულ საბჭოს შედგენა. ... საჭიროა ერთა დამფუძნებელ კრების მოწვევა და ჯარის ნაციონალიზაცია. ეს პროგრამა უნდა იყოს პროგრამა მთავრობისა.“¹

დემოკრატიული თათბირი ერთ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლო დღეებში მისმა მუშაობამ რუტინული ხასიათი მიიღო. გამომსვლელთა ნაწილი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ძირეული რეფორმების დაჩქარებას მოითხოვდა, მეორე ნაწილი ერთა თვითგამორკვევისა და ავტონომია-ფედერალიზმის პრინციპის გატარებისაკენ მოუწოდებდა, ზოგი მიმდინარე ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის წინადადებას აყენებდა, ზოგიც უანექსიო ზავის, არმიის ეროვნულ-ტერიტორიულ საფუძველზე რეორგანიზაციის, სიკვდილით დასჯის გაუქმების და სხვ. საკითხებს სვამდა.

სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირის მთავარი პოლიტიკური შედეგი ცენტრისტული ტიპის ახალი კოალიციური მთავრობის მხარდაჭერასა და წინაპარლამენტის შექმნაში გამოიხატა.² წინა პარლამენტის წევრთა შორის ქართველებიდან არჩეულნი იყვნენ: ფედერალისტები: სვიმონ მდივანი და შალვა ნუცუბიძე, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები: მიხა ცხაკაია და იოსებ ჯულაშვილი (სტალინი), სოციალ-დემოკრატი მენშევიკები: ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ ურატაძე, ნოე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი და

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

² წინაპარლამენტს პ. მილიუკოვი „ეფემერულ დაწესებულებას“ უწოდებდა. იხ. Милуков П.Н., История русской революции. М., 2001, С. 617.

კარლო ჩხეიძე, ესერები: ივანე ლორთქიფანიძე და ჭიჭინაძე.¹ ამ ახალი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში არც ერთ მათგანს ქმედითი მონაწილეობა არ მიუღია. დემოკრატიული თათბირის მონაწილეთა უმრავლესობას თათბირის მუშაობისაგანაც მთავარ შთაბეჭდილებად ტყუილად დაკარგული დროის განცდა დარჩა.²

პეტროგრადის თათბირის შედეგებმა ქართული პოლიტიკური სპექტრი ვერ დააკმაყოფილა. სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძის შეფასებით: დემოკრატიულ თათბირზე გასაგზავნად ამხანაგებს ჩვენ დავავალეთ დაეცვათ მართვა-გამგეობის დემოკრატიის ხელში გადსვლა, მაგრამ მისი განხორციელება მათ ვერ შეძლეს.³

ა. ჩხენკელი მიუთითებდა: „დემოკრატიულ თათბირზე გამოაშკარავდა დემოკრატიის უძლურება. მან უარი განაცხადა მართვა-გამგეობაზე, რადგან არ აღმოაჩნდა საამისო ძალა.“⁴

უკმაყოფილებას გამოხატავდა სოციალ-დემოკრატებისაგან გამოყოფილი ალიონის ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი პავლე საყვარელიძე. მისი სიტყვით: „დემოკრატიული თათბირის მოწვევა სრულიად ამო აღმოჩნდა. მას არსებითად ახალი გზა, ახალი გადაწყვეტილება არ მოუცია. დემოკრატიამ ვერ გამოიჩინა რევოლუციური ერთსულოვნება, დამტკიცდა მხოლოდ მისი შინაგანი ავადმყოფობა და ორჭოფობა. ... მოსა-

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 1 ოქტომბერი.

² Федюк В., Керенский, Демократическое совещание.

http://www.e-reading.club/chapter.php/147723/72/Fedyuk_-_Kerenskiii.html

³ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 4 ოქტომბერი.

⁴ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 8 ოქტომბერი

ლოდნელია, რომ სულ მალე იფეთქებს დიდი სამოქალაქო ომი“.¹

გაზეთ „ერთობის“ თანახმადაც: „დემოკრატიულ თათბირზე გაიღუნა დემოკრატიული ხაზი“. „თათბირმა, რომელზედაც ამდენ იმედებს ამყარებდნენ, ვერ უჩვენა კრიზისიდან გამოსავალი გზა. პირიქით, საქმე ისე მოეწყო, რომ ნიადაგი უმზადდება ახალ კრიზისებსა და კონფლიქტებს. მომავლის პერსპექტივა ნაკლებ მანუგეშებელია. ის ღრობითი სიწყნარე, რომელიც ჩამოვარდა დემოკრატიული თათბირის შემდეგ, არის სიწყნარე, ქარიშხლის წინ.“²

პეტროგრადის თათბირის შედეგები საქართველოში დაბრუნებულმა ნოე ჟორდანიამ შეაჯამა მოხსენებაში „მიმდინარე მომენტი“, რომელიც წაიკითხა თბილისში მოწვეულ რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაციების მეშვიდე საოლქო ყრილობაზე. მისი სიტყვით, „თათბირმა ვერ გამოიტანა ვერც ერთი გადაჭრილი რეზოლუცია. ... თათბირმა დაგვანახა სრული გაკოტრება დემოკრატიისა და სრული გამარჯვება ბურჟუაზიისა.“³

სოციალისტური მიმდინარეობის ქართული პოლიტიკური ძალები, ძირითადად სოციალ-დემოკრატია და ესერები, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულმა თათბირმა მათი მოლოდინი გააწბილა, ბოლომდე ვერ გამოთხოვებოდნენ აზრს რუსეთის მოდერნიზებული განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ისინი სრულად ვერ აცნობიერებდნენ გააქტიურებულ ბოლშევიკურ საფრთხეს და აგვიანებდნენ რუსეთის დემოკრატიისაგან დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმას.

¹ გაზ. „ალიონი“, 1917 წ., 1 ოქტომბერი.

² გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 4 ოქტომბერი.

³ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 3 ოქტომბერი.

ნოე ჟორდანია მოგონებებში დაბეჯითებით წერს: „ყველა ვხედავდით, ცენტრი საიმედო აღარ არის და ადგილობრივი გამაგრება ხსნის ერთად-ერთი გზა და ხიდია“-ო,¹ მაგრამ 1917 წლის შემოდგომაზე, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს იგი ჯერ კიდევ მუშათა კლასთან კავშირის განმტკიცებასა და საკუთარი „პოლიტიკური მოქმედების ხაზის“ შენარჩუნებაში ხედავდა.²

სხვაგვარი დასკვნა გამოიტანეს დემოკრატიული თათბირიდან ქართველმა ფედერალისტებმა. მათ შორის განმტკიცდა შეხედულება, რომ „დადგა დრო, როდესაც უნდა გავიმეოროთ მოხვევის დიდებული აზრი: ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუნოს. ეროვნული უფლების აღდგენა საჭიროა დაუყოვნებლივ.“³

ამგვარი თვალსაზრისი ეროვნულ-დემოკრატიულ შორის ხსენებულ თათბირამდეც სუფევდა. თათბირის შედეგებმა მათი აზრი, შეიძლება ითქვას, შეუქცევადი გახადა. „ქართული დემოკრატია მოვალეა სათანადო ანგარიში გაუწიოს რუსეთის მწარე გამოცდილებას და პატარა კულტურულ საქართველოს მაინც აარიდოს ის შინაური და გარეგანი გასაჭირი, რომლისგანაც ვერც ჩხვიდემ და ვერც წერეთელმა ვერ იხსნეს უზარმაზარი, მაგრამ შეუსმენელი რუსეთი“ - წერდა ერთ-ერთ მეთაურ წერილში გაზეთი „საქართველო“.⁴

„პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატი და არმია კრონშტადტის რევოლუციურ ფლოტთან ერთად ხვალ თუ ზეგ ბოლშევიკებისაგან შემდგარ სოციალისტურ მთავრობას გააბატონებს პეტროგრადში“, - ასეთ პროგნოზამდე მიჰყავდა ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი პეტროგრადის თათ-

¹ ჟორდანია ნ. ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 80.

² გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 3 ოქტომბერი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 6, 7 ოქტომბერი.

⁴ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 23 სექტემბერი.

ბირზე დაკვირვებასა და რუსეთში განვითარებული მოვლენების პირუთვნელ ანალიზს.¹

„თუ ჩვენს მეზობლებსა და თანამეზავრებს თავისუფლების დასაცავად ილაჯი არ შესწევთ, ხოლო რევოლუციური შემოქმედებისათვის ნიჭი აკლიათ, უმჯობესია ამთავითვე ვიზრუნოთ საკუთარი გზების ძიებაზე.“² „გვეყო რაც დრო დაგვარგეთ. საჭიროა საკუთარი დამფუძნებელი კრების მოწვევის თადარიგს შევუდგეთ, თორემ რუსეთის შემაცქერალნი ვგვიანდებით და ვაი თუ სამუდამოდ“,³ - ასე წარმოედგინათ ეროვნულ-დემოკრატიებს ქვეყნის შემდგომი განვითარება, მაგრამ ამ გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმას საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ძალის - სოციალ-დემოკრატიის მესვეურები არ ჩქარობდნენ.

Otar Janelidze

Gori State Teaching Univeristy

**ALL-RUSSIA DEMOCRATIC CONFERENCE OF 1917
AND THE POLITICAL SPECTRUM OF GEORGIA
RESUME**

For All-Russian Democratic Conference, held in Petrograd in September 14-22, 1917, there were invited left-wing, socialist political parties and representatives of democratic organizations.

From Georgia in the work of the Conference participated delegates of the Social Democratic, Socialist-Federalist and

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 23 სექტემბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

³ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 6 ოქტომბერი.

Socialist-Revolutionary parties, also, delegations of the Union of Georgian Riders and Georgian National Inter Party Council. Federalists believed that the Democratic Conference would make a final decision on the issue of war and truce, as well as strengthen the idea of transformation on the bases of the Russian Autonomy-Federation. Georgian SRs and the Social-Democrats (Mensheviks) linked the Conference to the formation of a stronger government. Mensheviks denied the possibility of a coalition with the bourgeoisie, as for the SRs, they supported participation of the bourgeoisie and their political organizations in the activities of the government.

According to the leaders of the National Democratic Party, summon of the meeting was not conditioned by an objective necessity, so they did not expect any significant innovations from the meeting. The results of Petrograd Conference did not meet the expectations of Georgian political spectrum; they did not show the way out of the crisis. After the Democratic Conference among Georgian Federalists and National Democrats there was strengthened an opinion that “national rights needed immediate restoration”, but the Social Democrats and SRs abstained from taking such decisive steps.

შიდა ქართლის საბატონო გლეხთა 1818 წლის აღწერა

1966 წლის 24 აგვისტოს, ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა სარგის კაკაბაძემ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმს გადასცა რუსული ხელისუფლების მიერ გორის მაზრაში 1818 წელს ჩატარებული საბატონო გლეხთა და მემამულეთა კამერალური აღწერის მასალები.

ს. კაკაბაძის მიერ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმისათვის გადმოცემული მასალა მხოლოდ ნაწილია თბილისის ეროვნულ საისტორიო არქივში დაცული 1818 წლის მოსახლეობის (საბატონო გლეხების) კამერალური აღწერისა. აღწერა მთლიანობაში საკმაოდ მოცულობითია, 752 ფურცლისაგან შედგება¹ და მოიცავს დღევანდელ გორის, ქარელის, ცხინვალისა და ხაშურის რაიონებს. როგორც ჩანს, სარგის კაკაბაძემ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს მასალა მხოლოდ კასპის, ცხინვალის, გორისა და, ნაწილობრივ, ქარელის რაიონში შემავალი სოფლების შესახებ გადმოუგზავნა. მაგ., მუზეუმში არსებულ მასალაში არ არის ჩანაწერები ურბნისის, არადეთის, სამწევრისის, ავნევის, დვანის, დირბის (ქარელის რაიონი), ბეკამის, ხაშურის, ოსიაურის, სურამის, ცხრაბუხას, ვაყას, ხცისის, წრომის (ხაშურის რაიონი) შესახებ.

¹ იხ: ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 254, საქმე 58.

ამჯერად, ჩვენ მხოლოდ გორის მაზრის შემამუღეთა და საბატონო გლეხთა კამერალური აღწერის პირველ ნაწილზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

მასალა გორის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში სამ საქმეში განთავსდა. პირველი ნაწილი 187 ფურცლისაგან შედგება და მოიცავს 16 დასახლებული პუნქტის (ერთი ქალაქისა და 15 სოფლის: ცხინვალი, აჩაბეთი, კეხვი, საბაწმინდა, ხეთი, ქურთა, თამარაშენი, ძარწემი, ქემერტი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხეთი, ქვემო ხეთი, ძღვევიჯვარი, ყელქცეული, ფხვენისის ნაწილი) აღწერას¹. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილთაგან დიდი უმრავლესობა დღეისათვის უცხო ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, მოსახლეობისაგან დაცლილია და თითქმის განადგურების პირასაა მისული. ამდენად, ოფიციალური ცნობები სამაჩაბლოს იმდროინდელი მოსახლეობის (დემოგრაფიული, ეთნიკური, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა, და სხვ.) შემადგენლობის შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მეორე ნაწილში აღწერილია 11 სოფელი. იგი სოფ. ფხვენისის გაგრძელებით იწყება და რუისით მთავრდება², ხოლო მესამე ნაწილში 15 სოფელია აღწერილი (კარბი, მერეთი, კულბითი, ზარდიანთკარი, ქსუისი, ქერე, დმენისი, ერედვი, ქორდი, ტირძნისი, დიცი, მეღვრეკისი, ერგნეთი, ფრისი და დგვრისი)³. ამ შემთხვევაშიც, სოფლების ნაწილი, დღეისათვის საქართველოს იურისდიქციის გარეთაა მოყოლილი.

გეოგრაფიულად, პირველი ნაწილის აღწერა მდ. დიდი ლიხვის შუა წელის სოფლებს წარმოადგენს. აქვე გვინდა

¹ გსიემ 8300.

² გსიემ 8375.

³ გსიემ 8235.

განვმარტოთ, რომ აღწერის თანმიმდევრობაში ერთგვარი აღ-
რევაა, მაგ., გეოგრაფიულად, აღწერილი სოფლებიდან ყველა-
ზე ჩრდილოეთით სოფელი სვერი მდებარეობს, მაგრამ იგი
მეორე ნაწილშია წარმოდგენილი თედოწმინდასა და ლელის-
თავს შორის.

პირველი ნაწილის აღწერა სოფ. ცხინვალის მოსახლე-
ობით იწყება, შემდეგ მიუყვება მდ. დიდი ლიახვის ხეობას
ჩრდილოეთით: აჩაბეთი, თამარაშენი, საბაწმინდა, ძარწეში ქე-
მერტი¹, შემდეგ ისევ სამხრეთით მოსდევს დიდი ლიახვის
მარჯვენა მხრის სოფლებით: ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო
და ქვემო ხვითი, ძლევიჯვარი, ყელქცეული და ფხვენისის
ნაწილით მთავრდება.

მეორე ნაწილის აღწერა კვლავ მდ. დიდი ლიახვის მარ-
ჯვენა ნაპირის სოფლებს მიჰყვება მდინარის მიმართულებით
(სამხრეთ-აღმოსავლეთით) და აღრიცხულია 5 სოფელი (ფხ-
ვენისი, შინდისი (შვინდისი) ვარიანი, ახალდაბა, თედოწმინდა
(თევლოწმინდა). შემდეგ წყდება, ანუ მტკვრის შესართავამ-
დე აკლია ორი სოფელი (ოთარშენი და ტინისხიდი), ინაცვ-
ლებს ისევ ჩრდილოეთით, მდ. დიდი ლიახვის ხეობაში და
სამხრეთ-დასავლეთით მოემართება რუისისკენ (სვერი, ლელი-
სთავი, საკველვეთი (საქაშეთი) სასირეთი, რუისი).

პირველი-ორისაგან განსხვავებით, აღწერის მესამე ნაწი-
ლში მოცემული 15 სოფელი პატარა ლიახვის ორივე მხარის
მონაპირე დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს. მათგან, ყვე-
ლაზე ჩრდილოეთით დმენისი, ხოლო სამხრეთით ტირძნისი
მდებარეობს.

1818 წლის აღწერაში რამდენიმე სოფელია, რომელიც
დღეისათვის აღარ არსებობს. მაგ., თვალათუბანი და ლელის-
თავი. თვალათუბანი მოხსენიებულია „დასტურლამალში“ მო-

¹ დელანშია - Келорти.

ცემულ „ურბნისის რუს გარიგებაში“, სადაც მოსახლეობის ვალდებულებებზეა საუბარი: „ურბნისის რუ საქაშეთამდი შინდელთ უნდა გამოიღონ: იქიდამ - საქაშენელთ და თვალათუბნელთ გამოიღონ შირშაბნის საყდრამდი ...მას აქეთ ვარიანელთ, სასირელთ და არაშენდელთ რუისის თავამდი გამოიღონ“¹. ტექსტიდან გამომდინარე, თვალათუბანი საქაშეთსა და სასირეთს შორის მდებარეობდა, იოანე ბატონიშვილს თვალათუბანი მოსახლე სოფლების კატეგორიაში გაჰყავს². ხსენებული სოფელი XIX ს. ბოლოს მოხსენიებულია რუსეთის იმპერიის პირველ საყოველთაო აღწერაში³ და დატანილია ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულ საქართველოს რუკაზე⁴.

რაც შეეხება ლელისთავს, იოანე ბატონიშვილს იგი ფხვენისსა და ვარიანს შორის აქვს მოხსენიებული⁵. მისი ადგილმდებარეობის შესახებ თავის დროზე ჩვენც გამოვთქვით თვალსაზრისი⁶.

¹ „დასტურლამალი“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 531, მუხლი 17.

² იოანე ბატონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ერუქიძემ და გურამ ბელოშვილმა, თბ., 1986, გვ. 41.

³ *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г.* Тифлиси 1893, გვ. 65.

⁴ იხ: საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, შედგენილი ტოპოგრაფ ევსევი ბარამიძის მიერ, თბილისი 1923 წ.

⁵ იოანე ბატონი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, გვ. 41.

⁶ იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. „შიდა ქართლის ქალაქ-სოფლების გასარწყავების საკითხი“, აკადემიკოს თეოფანე დავითაიას 100 წლისთა-

1818 წლის კამერალური აღწერის ჩატარება რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: 1804, 1812 წლის აჯანყებების შედეგად მოსახლეობაში გამოწვეული ცვლილებები, 1810-11 წლებში გადატანილი შავი ჭირის ეპიდემია, რომლის შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ გორში ოთხი თვის განმავლობაში (1811 წ. ივნისი-სექტემბერი) 58 მამაკაცი, 36 ქალი და 19 ბავშვი გარდაიცვალა, ხოლო 1810-11 წლებში მთლიანად გორის მაზრაში - 518 მამაკაცი, 424 ქალი და 235 ბავშვი¹.

მეორეც, ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ, ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც ხუთი მაზრიდან, გორის მაზრა ყველას აღემატებოდა. მისმა ტერიტორიამ 5280 ვერსი² შეადგინა³.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურაც. ჯერ კიდევ ციციანოვის მთავარმართებლობის დროს, თითქმის ყველა ბატონიშვილი, დარეჯან და მარიამ დედოფლები იძულების წესით, ან „ნებაყოფლობით“ რუსეთში გადაასახლეს. მათ თან გაჰყვა თავად-აზნაურთა ნაწილიც. გადახვეწილი დედოფლების, ბატონიშვილებისა და თავად-აზნაურთა ყმა-მამულები და ქონება თანდათანობით სახაზინო უწყებას გადაეცემოდა. ასევე თანდათანობით უქმდებოდა ტრადიციული ქართული სახელოები და რუსულით იცვლებოდა. ხელისუფლებამ ძირეული ცვლილებები შეიტანა არა მარტო

ვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, შრომათა კრებული, ახალი სერია №3(82), თბ., 2011, გვ. 370, რუკა.

¹ Акты..., т. V, Тифл., 1873, გვ. 36, ღოკ 60.

² ვერსი – რუს. [Версть] – ძვ. რუსული საზომი სისტემა, უდრის 1,06 კმ-ს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

³ Обзорения Российских владении за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПб 1836, გვ. 39.

ქართველი თავადაზნაურობის უფლებრივ, არამედ საადგილმამულო ურთიერთობებშიც. რუსული კანონმდებლობა არ ცნობდა აზნაურების სამეფო, საბატონი, საუფლისწულო, საეკლესიო კატეგორიებად დაყოფას, ამიტომ ისინიც სახაზინო უწყებაში გააერთიანეს. სახაზინო, ანუ სახელმწიფო გლეხობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდეც დიდი ხნით ადრე არსებობდა, მაგრამ სახელმწიფო სოფლები, იმ სოფლები-საგან, რომლებიც მეფე-დედოფლის პირად საკუთრებას („სახასოს“) წარმოადგენდნენ, მკვეთრად გამოიჯნული არ იყო, ამიტომ ქართულ ისტორიულ საბუთებში ტერმინები: „სამეფო“, „სახელმწიფო“ და „სახასო“ გლეხებისა თუ მიწების მიმართ, მეტწილად, სინონიმების ხასიათს ატარებდნენ¹.

აღწერის კიდევ ერთი მიზეზი ქართლ-კახეთის მოურჩენელი „სენი“ ლეკთა გაუთავებელი ლაშქრობები იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსი და ზოგიერთი ადგილობრივი ავტორი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს რუსების აღმოსავლეთ საქართველოში შემოსვლით ამ მოვლენას საბოლოოდ ბოლო მოეღო, ფაქტები და დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ XIX ს. პირველ ათწლეულში, წინა საუკუნის ბოლო ათწლეულთან შედარებით, ლეკთა მარბიელ ლაშქრობებს ადამიანთა გატაცების მიზნით, უფრო დიდი ინტენსივობით ჰქონდა ადგილი და მთავარმართებელთა და მოხელეთა ხშირი ცვლილებებიც (მაგ., გუდოვიჩის ტორმასოვით შეცვლა 1809 წელს) ამ ფაქტით იყო განპირობებული. თუმცა, ვერც ტორმასოვს გაუწყვია ლეკებთან ვერაფერი. როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს: „გარნა მანცა ვერა ძალიდვა ალვირახსმად მტაცებლობასა ლეკთასა, რ[ომე]ლნიმცა მარადის რყენიან დაბნებსა და სოფლებსა საქართველოსასა და მარა-

¹ კონსტანტინე ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973, გვ. გვ. 224.

დის სტატუბდინ რუსთა და მათა ყაზახთა ცხენთა პოლკებ-
თასა¹ და იყო ფრიადი განუსვენებლობა და ოხრება მათგან”².

თუ რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ მაინცდამაინც
საბატონო გლეხთა აღწერა, მარტივი ასახსნელია. საქმე
ისაა, რომ იმ დროისათვის საქართველოს მოსახლეობის
80%-ზე მეტს გლეხობა წარმოადგენდა, აქედან, საბატონო
გლეხობა საუკუნის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ დიდ უმ-
რავლესობას შეადგენდა და ძირითადი მწარმოებელი ძალა
იყო. აღწერიდან ცხადი ხდება, რომ 1818 წლისათვის მთელი
ვარგისი მიწის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ საბატონო მიწა
წარმოადგენს. ქვემოთ მოტანილი მე-3 ცხრილიდან გამომდი-
ნარე, მთლიანად აღწერილი მიწიდან (6623 დღიური), საბა-
ტონო მიწა 3467.5 დღიურს, ანუ მთელი მიწის 52%-ს შე-
ადგენს.

აღწერიდან ჩანს, რომ ადგილი აქვს მოსახლეობის შიდა
მიგრაციას. მაგ., მამუკა გაბრიელაშვილი და მისი ძმა გიორ-

¹ ამ ფაქტს გამორჩევით აღნიშნავს გერმანელი მოგზაური ედუარდ
აიხვალდიც, რომელმაც 1826-27 წლებში იმოგზაურა საქართველოში.
ოლონდ, თეიმურაზ ბატონიშვილისაგან განსხვავებით, აიხვალდი
ლექების მიერ რუსი ჯარისკაცების ტყვედ წაყვანასაც არ გამორიცხავს: „მიუხედა-
ვად იმისა, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში რუსთა მფლობე-
ლობა კარგა ხნის დამყარებული იყო, ლექების მხრიდან არა მარტო ქარ-
თველების, არამედ რუსი ჯარისკაცების მოტაცება გამოსასყიდის მიზნით,
ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. ამასთან, ქართველები შედარებით უფ-
რო ძვირად ფასობდნენ, რადგან სასოფლო სამუშაოებში გამოსადეგნი იყ-
ვნენო“ (*ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ*. (XIX ს. პირველი მე-
ოთხედი) გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო
გია გელაშვილმა, თბ., 2005., გვ. 18, 258-259, 301).

² *თეიმურაზ ბაგრატიონი*. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად
მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *ლელა მიქიაშვილმა*, თბ.,
1983, გვ.73-74.

გი ფხვენისში ერედვიდან ჩანან გადმოსახლებულნი¹. შანშე ერისთავს გლეხები ამავე სოფელში - დიდი მეჯვრისხევიდან გადმოუყვანია². ქაიხოსრო მირზაშვილი შინდისში ჯავახეთიდან გადმოსულა³, გენერალ-მაიორ კონსტანტინე ბაგრატიონის გლეხები რუისში - ქვემო ხანდაკიდან⁴ და ა. შ.

თუმცა, არიან მკვიდრი ოჯახებიც, რომლებიც 40-45 წლის წინაც ადგილზე ცხოვრობდნენ იმავე სოფლებში. მაგ., ერეკლე II-ს მორიგე ჯარის სიებში (XVIII ს. 70-იანი წლები) რუისში ჩანან: ბერუაშვილი ივანე და ნანიტაშვილი ოთარა⁵, რომელთა შთამომავლები უნდა იყვნენ 1818 წელს იმავე რუისში დაფიქსირებული ბერუაშვილი გიგოლა⁶, ნანიტაშვილი დათიას, ქიტესას, გოგიას, ტეტიას ოჯახები⁷.

ანალოგიური ვითარებაა ვარიანში, საიდანაც XVIII ს. 70-იან წლებში „მორიგეში“ უნდა გამოსულიყვნენ გიორგი ქებაძე და აღუაშვილი დავითა⁸. 1818 წელს კი ვარიანში ჩანან დავით და ბერო ქებაძეები⁹, პეტრე აღუაშვილი¹⁰. ხსენებული ორი დოკუმენტის შედარებიდან სხვა საინტერესო ფაქტიც ვლინდება. მაგ., XVIII ს. 80-იანი წლების დასაწ-

¹ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 193.

² 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 198.

³ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 207.

⁴ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 320.

⁵ **იასე ლორთქიფანიძე**, მორიგეთა სიები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV- .. თბ., 1947, გვ. 337; 342.

⁶ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 298.

⁷ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 283; 292.

⁸ **იასე ლორთქიფანიძე**, მორიგეთა სიები, გვ. 342.

⁹ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 218.

¹⁰ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8375, გვ. 228.

ყისში „მორიგე“ ჯარში ცხინვალიდან უნდა გამოსულიყო: „სვიმონაშვილი გოგია. კომლი ა, თავი ა“¹. 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერიდან ვიგებთ, რომ გოგია სიმონიშვილი უკვე დაოჯახებულია და ჰყავს ვაჟები ივანე და ეგნატე². თამარაშენში „მორიგე ჯარის“ დავთრებში მოხსენიებულნი არიან: „ქ. აქავ ელბაქიძე გლახა, ოთარა და გოგია, კომლი ა, თავი გ“³. ხსენებული სამი ძმიდან 1818 წლის აღწერაში იმავე თამარაშენში მხოლოდ „გოგია ელბაქიძე და მისი ძმა გლახა“ იხსენიებიან⁴. როგორც ჩანს, მესამე ძმა ოთარი უკვე გარდაცვლილია. ქემერტელი ოთარ კასრაძე „მორიგე ჯარში“ თავის ოთხ ძმასთან (პაატა, პეტრე, ნინია, გივი) ერთად უნდა გამოსულიყო⁵. 1818 წელს ოთარ კასრაძე ძმებს გაყრია და უკვე ცალკე კომლადაა დაფიქსირებული⁶. XVIII ს. 80-იან წლებში ხეთელი მაჩაიძე ნინია სახასო კატეგორიაში იხსენიება⁷. 1818 წლის აღწერაში, იგი ძმებთან: სოსიასა და ღვთისიასთან ერთად, უკვე რევაზ მაჩაბლების ყმებად ჩანან⁸ და სხვ.

თითოეული სოფლის მოსახლეობის აღწერის ბოლოს შეჯამება ხდება, ძირითადად, ორი შენიშვნის სახით. პირველ მათგანში განმარტებულია სოფლის ადგილმდებარეობა, რამ-

¹ აპოლონ თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 57.

² 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 173.

³ აპოლონ თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 67.

⁴ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 57.

⁵ აპოლონ თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 69.

⁶ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 102.

⁷ იასე ლორთქიფანიძე, მორიგეთა სიები, გვ. 306.

⁸ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 82.

დენად ირწყვის. რამდენია ვარგისი და რამდენი დასამუშავებლად გამოუყენებელი მიწის ფართობი, ტყე, წისკვილი, თავდაცვითი ნაგებობაა, ვინ სარგებლობს, რა პირობით და ვის მფლობელობაშია ისინი.

მეორე შენიშვნაში შედარებულია ახალი აღწერის მონაცემები ძველთან. რამდენი კომლი გადამხდელი იყო დაფიქსირებული ძველი მონაცემებით, რამდენია ამჟამად. რა არის კლება-მატების მიზეზი, დაკონკრეტებულია თითოეული მემამულის შემოსავალი, სახე (ხორბალი, ქერი, ღვინო და სხვ.) და რაოდენობა. ტექსტის ბოლოს აღმწერის ხელმოწერებია მონაცემების სიზუსტის დაცვის მიზნით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, აღწერის ჩამონათვალში უზუსტობები მაინცაა გაპარული. მაგ., რუისში ივანე ლოლაშვილის ვაჟის - სტეფანეს ცოლი მითვლილია მამაკაცებში. შესაბამისად, დაჯამებაშიც შეცდომაა. იმავე რუისში ბერუა ყაზარაშვილის ძმები: დათია და ანდრია ჯამში მითვლილი არ არიან. იგივე ვითარება გვაქვს ვარიანში ბერი მაჩაბელაშვილის ძმისშვილის - ნიკოლოზის შემთხვევაში, საქაშეთში გოგია რუსიშვილს ოჯახის ჩამონათვალში უჩანს ორი ვაჟი (სოლომონ და დავით), მაგრამ დაჯამებისას ნაჩვენებია 1. აღწერის დედანში ზოგიერთ ადგილას ოჯახის წევრთა შესახებ რაოდენობაა მითითებული, მაგრამ სახელები დაკონკრეტებული არ არის და მხოლოდ ცარიელი ადგილებია დატოვებული, ზოგან ამა თუ იმ ოჯახის შემოსავლების შესახებ წინადადებები დაუსრულებელია, ან მითითებული არ არის, მაგ., ცხინვალში ივანე ამირანაშვილის ქონებისა და შემოსავლის შესახებ განმარტებულია: „აქვს საცხოვრებელი სახლი, ერთი დღის კენახი, რომლის მემამულის საკუთრებაშია, ხოლო...“¹,

¹ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 10.

ზოგიერთი ოჯახის გასწვრივ ქონება აღრიცხული არ არის და სხვ.

შეცდომებია დაჯამებებშიც. მაგ., ვარიანში ნინია გოგებაშვილს დამუშავებულ ორ დღიურ მიწის ფართობში, ხორბლის მოსავალი 200 კოდი (დაახლ. 10 ტონა) აქვს დაფიქსირებული, რაც იმდროინდელ პირობებში შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, შინდისში ქალთა რაოდენობა დაჯამებულია 64, სინამდვილეში, აღწერის მიხედვით 66 სულია. ვარიანში ქალთა რაოდენობა დაჯამებულია 79, აღწერის მიხედვით - 74-ია. კარბში რაოდენობრივად მითითებულია 94 მამაკაცი და 68 ქალი, სინამდვილეში უნდა იყოს 96 მამაკაცი და 70 ქალი, მერეთში მამაკაცთა საერთო რაოდენობა ნაჩვენებია 140 უნდა იყოს 171, ქალთა რაოდენობა დაფიქსირებულია 132, უნდა იყოს 138. კულბითში მამაკაცი ფიქსირდება 49, უნდა იყოს 53, ქალი - 41, უნდა იყოს 40. შესაბამისად, ცდომილებაა დაჯამებაშიც. განსაკუთრებით დიდი ცდომილებებია რუისში. მართლმადიდებელი აღმსარებლობის მამაკაცთა რაოდენობა დაჯამებულია 238, სინამდვილეში უნდა იყოს 212. მართლმადიდებელი ქალი ნაჩვენებია 191, უნდა იყოს 168 და ა. შ., რასაც ვასწორებთ.

სულ, 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში რაოდენობრივად აღწერილია 854 კომლი, აქედან 3157 სული მამაკაცია და 2225 სული ქალბატონი (სულ 5382 სული) (იხ: ცხრილი 1), ანუ გენდერული ბალანსი აშკარად მამაკაცების სასარგებლოდაა 60% - 40%-ზე, რაც იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

აღმსარებლობის მიხედვით, აღწერილი მამაკაცებიდან სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისაა - 95, იუდეველი - 121, დანარჩენი მართლმადიდებელია. 2225 ქალბატონიდან,

სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას აღიარებს 64, იუდაიზმს - 65, დანარჩენი მართლმადიდებელია.

დასახლებული პუნქტების მიხედვით, ცხინვალში აღწერილი 416 სულიდან მართლმადიდებელია 213 (შესაბამისად, მამაკაცი - 119, ქალი - 94), გრიგორიანი - 102 (მამაკაცი - 61, ქალი - 41), იუდეველი - 101 (მამაკაცი - 62, ქალი - 39). თამარაშენში სულ 238 სული ცხოვრობს, აქედან 153 მართლმადიდებელია (კაცი - 93, ქალი - 60), ხოლო 85 იუდეველი (კაცი - 59, ქალი - 26). ახალდაბაში 112 მოსახლიდან მართლმადიდებელია 71 (კაცი - 42, ქალი - 29), გრიგორიანი 41 (კაცი - 23, ქალი - 18). რუისში, 405 სულიდან მართლმადიდებელია 380 (კაცი - 212, ქალი - 168) გრიგორიანელი - 16 (კაცი - 11, ქალი - 5). ყველა დანარჩენ სოფლებში მხოლოდ მართლმადიდებლები ცხოვრობენ.

თუ ამ რიცხვებს პროცენტებში გამოვსახავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: აღწერილი მოსახლეობის 90% მართლმადიდებელია, 4% სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის, ხოლო იუდაიზმს მისდევს 6%.

აღწერა თვალნათლივ მიუთითებს, რომ შიდა ქართლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მევენახეობაა. მათ მფლობელობაში არსებული მიწის ფართი სულზე დაახლ. 1,85 დლიურს შეადგენს ($9883:5383=1.85$), ხოლო ვენახი - 0,12 დლიურს ($633:5383=0.12$). მისდევენ მესაქონლეობასაც, შინაური ცხოველებიდან, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი კომლზე მოდის 4,4 სული ($3747:854=4.4$), ხოლო ცხვარი - 1,1 ($938:854=1.1$).

ბუნებრივია, 1818 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები შესრულებულია რუსულად. დედანი ნაწერია თაბახის ფურცლებზე გაკრული ხელით, ხოლო ს. კაკაბაძის მიერ გორის

ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადმოგზავნილი მასალა A-4-ის ფორმატის ფურცლებზეა ნაბეჭდი.

როგორც ითქვა, აღწერის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი მოიცავს შიდა ქართლის 43 სოფელს გორის ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით და მასში შეტანილია თავადების: ამილახვრების, აბაშიძეების, ერისთავების, ციციშვილების, გედევანიშვილების, მაჩაბლების, ხერხეულიძეების, ფალავანიშვილების, ფავლენიშვილების, მამაცაშვილების მფლობელობაში მყოფი გლეხები.

1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, XVIII საუკუნეში ჩატარებულ მოსახლეობის აღწერების ნაკლს გენდერული „უთანასწორობის“ შესახებ, ერთგვარად ავსებს. მართალია, რუსული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ აღწერაში მდებრობითი სქესის წამომადგენლები დაკონკრეტებულნი არ არიან, მაგრამ რაოდენობა მითითებულია, მაგ., „ცოლი მისი“, „ქალიშვილები მისი“, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანი მონაცემია. საგულისხმოა, რომ გვართა და სახელით აღწერაში სრულად მხოლოდ კომლის უფროსია მითითებული, დანარჩენი მამაკაცები სახელეობით და ნათესაობის ფორმით (შვილები, ძმები, ნათესაები) არიან დაკონკრეტებულნი. დაზუსტებულია კომლის უფროსი მამაკაცის ოჯახური მდგომარეობაც (ცოლიანი, დასაოჯახებელი, ქვრივი). გვხვდება შემთხვევები, როდესაც გვარის გასწვრივ პიროვნებას ხელობა აქვს მითითებული, მაგ., ქვემო ნიქოში ივანეს გვარის მნიშვნელობით მითითებული აქვს „დურგალი“. ცხინვალში გეუას - „დაბალი“, ხოლო ქიტესას გვარიც და ხელობაც: „ქიტესა, ივივე მექვაბე“.

აღწერა მოიცავს სულ 11 გრაფას. მისი პირველი და მეორე ნაწილის პირველი გრაფა ნუმერაციას ასახავს. მეორეში პიროვნებათა გვარები, სახელები, ნათესაობრივი კავშირებია

მოცემული, ასევე, ესა თუ ის კომლი რომელ თავადს ეკუთვნოდა ძველი და ახალი აღწერების მიხედვით. მომდევნო ოთხი გრაფა მამრობითი და მდედრობითი სქესის რაოდენობებს აზუსტებს. მე-3 და მე-4 გრაფებში (შესაბამისად - კაცი და ქალი) ეთნიკურად ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობა იგულისხმება, მე-5 და მე-6-ში - სომხურ-გრიგორიანული, ხოლო მე-7 და მე-8-ში - იუდაიზმის, ანუ ებრაელები.

აღწერის მესამე ნაწილში ებრაელების ნაცვლად ოსი მოსახლეობის სტატისტიკაა მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხარვეზულადაა წარმოდგენილი, აღწერიდან იკვეთება ხელისუფლების ხელშეწყობა და ინიციატივა ოსური მოსახლეობის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების მიზნით. მაგ., სოფ. ზარდიანთკარის აღწერილობითი ნაწილიდან ჩანს, რომ ეთნიკურად ოსი მოსახლეობა გადასახადებიდანაა გათავისუფლებული. ამის მიუხედავად, ისინი ჯერ კიდევ დიდ უმცირესობაში არიან.

ისიც აღსანიშნავია, რომ აღმწერ მოხელეთა მიერ, ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ ჯერ კიდევ არ გამოიყენება და ჩრდილო კავკასიის ამ რეგიონიდან საქართველოში გადმოსახლებული ოსი ეროვნების მოსახლეობის პირველსაცხოვრების მითითებისას, ყველგან ნახმარია ტერმინი „ოსეთი“¹, რაშიც, ბუნებრივია, დღევანდელი ჩრდილო-ოსეთი უნდა ვიგულისხმოთ.

აღწერის სამივე ნაწილის მე-9 და მე-10 გრაფები წინა გრაფებში აღწერილთ აჯამებს. მე-11 გრაფა ინფორმაციულად ყველაზე დატვირთულია და კომლის უძრავ და მოძრავ ქონებას, ეკონომიკურ მდგომარეობას და შემოსავლებს ასახავს.

აღწერაში გვარები მითითებულია რუსული ფორმით: ამილახვროვი, ერისთოვი, მაჩაბელოვი. ამასთან, ზოგიერთი მათ-

¹ იხ: გსიემ 8235, გვ. 48, 53, 55 და სხვ.

განის ეტიმოლოგია ქართლში გავრცელებულ გვარებს ნაკლებად შეესაბამება, მაგ., „იმმანურიშვილი“ ვფიქრობთ, „ემ-მაკურაშვილია“, „გოზაშვილი“ - „გაზაშვილი“, „არაშიძე“ - „არეშიძე“, „ქაბაძე“ შესაძლოა იყოს „ქებაძე“. სოფ. ხეთში ერთმანეთს მისდევს ჯერ კიკელიშვილი (Кикелишвили) ნიკოლა, ხოლო შემდეგ ნიკოლაიშვილი (Николаишвили) იოსებ. გამორიცხული არ არის გვარი პირველ შემთხვევაშიც ნიკოლაიშვილი იყოს, მით უფრო, რომ სახელიც (ნიკოლა) ხელს უწყობს, მაგრამ საბუთის გადამწერებს რუსული „К“-სა და „Н“-ს მსგავსების გამო ნიკოლაიშვილის ნაცვლად კიკელიშვილი დაუფიქსირებიათ. ამ შემთხვევაშიც, 1818 წლის აღწერის XVIII ს. 80-იანი წლების ქართულ დოკუმენტებთან შედარება, მოხსენიებული გვარების სწორი ფორმის დადგენის საშუალებას იძლევა. მაგ., ირკვევა, რომ იმავე ხეთში მოხსენიებული „Куличашвили“ ქულიჩიშვილია, ძარწემელი „Богидзе“ – გოგიძეა და სხვ.

აღწერის მასალები აქტუალურია არა მარტო სტატისტიკური თვალსაზრისით. როგორც ითქვა, აღწერილ სოფელთაგან, დიდი ნაწილი დღეისათვის უცხო ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. მართალია, აღწერის გრაფაში ეროვნება მითითებული არ არის, მაგრამ, მოსახლეობის გვარებიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მათი უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია. რუსული ხელისუფლების მიერ ჩატარებული სტატისტიკა კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, თუ ვინ ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე 1818 წელს.

მხოლოდ აღწერის მესამე ნაწილში, მდ. პატარა ღიახვის მონაპირე სოფლებში ჩანს ოსი ეროვნების მოსახლეობა (დმენისში, ქსუისში და სხვ.), ისიც ნათელია, რომ ახლად ჩამოსახლებულნი არიან. მიუხედავად ზემოთ ნახსენები ხელისუფლების ხელმეწეობისა, მათ ნაწილს ჯერ კიდევ არ

გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი სახლი, მიწა, არიან ბოგანობები, თავს ირჩენენ დღიური შრომით და ა. შ.

ცნობილია, რომ თუ რუსული ხელისუფლება მანამდე ახალისებდა და ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოკავკასიელთა გადმოსახლების პროცესს, ერმოლოვის დროს ამ ფაქტს იძულებითი ხასიათი მიეცა. აღწერის მასალებიდან იკვეთება, რომ ახლად ჩამოსახლებულები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა ვალდებულებებისაგან.

აღწერის მიზანი გამხდარა მოსახლეობის რაოდენობრივი და ქონებრივი ცვლილებების აღნუსხვა. დიდი ადგილი ეთმობა შემოსავლებს. დაკონკრეტებულია, ფლობს თუ არა საკუთარ სახლს, რამდენი დღიური¹ მიწა უკავია, რამდენს ამუშავებს და რა სახის, ან რამდენი მოსავალი მოჰყავს, რამდენი დღიური ბაღი, ან ვენახი აქვს და რამდენ ღვინოს იღებს, რა რაოდენობის სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ცხვარი, სკა ფუტკარი ჰყავს. აქვს თუ არა წისქვილი და რა სიმძლავრის (ერთთვლიანი, ან ორთვლიანი), რა არის ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო, რა ვალდებულებები გააჩნია (რამდენს ამუშავებს ღალაზე) და ა. შ.

მოცემული დროისათვის, აღწერის მეორე ნაწილის სოფლებიდან ყველაზე შემოსავლიანი („ნასყიდი“ მიწის ფართი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, ცხენი, თხა, ფუტკარი და ა.შ.) რუისი ჩანს, მაგრამ გასათვალისწინებე-

¹ აღწერაში მოსახლეობის მიერ დაკავებული, ან დაამუშავებული მიწის ფართობები მოცემულია დღიური ნორმით. როგორც წესი, „დღიურში“ აღმოსავლეთ საქართველოში იგულისხმებოდა მიწის ის ფართობი, რასაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა, მაგრამ „დღიურის“ სიდიდეს განაპირობებდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, გამწვევი ძალა და ნიადაგის ხარისხი. XIX საუკუნეში „დღიური მიწა“ 0,39-დან - 0,5 ჰექტარამდე მერყეობდა.

ლია, რომ მისი მოსახლეობა მინიმუმ ორჯერ ჭარბობს დანარჩენ სოფლებს. საკმაო შემოსავალი უჩანთ ვარიანელებსაც.

პირველ ნაწილში ყველაზე შემოსავლიანი მოსახლეობა ცხინვალსა და თამარაშენში ცხოვრობს. გარდა მიწაზე შრომისა, ისინი ვაჭრობა-ხელოსნობასაც აქტიურად მისდევენ. აქ მრავლად ჩანან: დალაქები, მკალავები, ფეიქრები, მექუდეები, მეწაღეები, აქეთ სავაჭრო ჯიხურები, წისქვილები და შემოსავალსაც იღებენ. თუმცა, იგრძნობა ღიახვის ზემო წელის სოფლების მოსახლეობის ლტოლვა სამხრეთით, ბარის სოფლებისაკენ. მაგ., კეხველ მოსე მელიქაშვილს 5 დღის სახნავი მიწა აქვს ნასყიდი ქვემო ზვითში¹, ცხინვალელ დანიელ ოქანაშვილს 7 დღის სახნავი მიწა ავნევიში², ბეჟან ოქანაშვილს შინდისში³ და ა. შ.

როგორც ითქვა, მიწის ფართი მოცემულია „დღიური“ ნორმით. რაც შეეხება წონისა და მოცულობის ერთეულებს, გამოყენებულია კოდი⁴ და კოკა⁵. დაზუსტებულია მიწის კატეგორიები: „სამკვიდრო“, „ნასყიდი“, „ლალის მიწა“, „საბატონო“.

აღწერიდან ცხადი ხდება, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიწათმოქმედებასა (მოჰყავთ, ძირითადად, ხორბალი და ქერი) და მევენახეობას, ან მეხილეობას ეწევა. ნაწილი მისდევს მეფუტკრეობასაც. თითქმის ყველას

¹ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 32.

² 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 170.

³ 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა, გსიემ 8300, გვ. 168.

⁴ კოდი - მარცვლეულის საწყაო. XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში კოდი 30-34 კილოგრამამდე მერყეობდა, XIX საუკუნეში კოდის სიდიდე 50 კილოგრამამდე გაიზარდა.

⁵ კოკა - სითხის საწყაო. XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში „სწორ“ კოკად ითვლებოდა 4 ჩაფი, ანუ 30-34 ლიტრა.

ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ნაწილს, ცხენი, ცხვარი, ან თხა.

აღწერაში იხსენიებიან საკმაოდ ცნობილნი და გავლენიანი პირები: გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბაგრატიონი, ოთარ, იესე, ბარძიმი, თეიმურაზ და ივანე ამილახვრები, ბიძინა, ივანე, შანშე და სოლომონ ერისთავები, ქაიხოსრო მამაცაშვილი (იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილების მამა), გიორგი, იოსებ, ივანე, ესტატე ციციშვილები, ზაზა, სიმონ, ლუარსაბ, ჰექტორ მაჩაბლები, დიმიტრი, მანუჩარ, სულხან, შიომ თუმანიშვილები, ივანე და ნიკოლოზ გარსევანიშვილები, ბეცია და ერასტი გედევანიშვილები, დიმიტრი და იასე დიასამიძეები, ომან ხერხეულიძე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავალი დიდი არ არის, აღწერიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ დამახასიათებელია ტრადიციულად დიდი ოჯახები (არის 10 და მეტ სულიანი ოჯახები). კომლის უფროს მამაკაცთან (მემკვიდრესთან) ერთ ოჯახად ცხოვრობენ ძმები (ზოგჯერ სამი და ოთხიც), ნათესავები, თავიანთი ცოლშვილით, დედით. ოჯახების გაყრას ყველა გაურბის, რადგან ფეოდალურ საქართველოში და რუსული მმართველობის დამყარების პირველ წლებშიც, იგი ტრადიციულად მუშახელის, სამუშაო ძალის მოკლებასთან, გამუდმებული „ლეკიანობის“ პირობებში კი თავდაცვისუნარიანობის შესუსტებასთან ასოცირდებოდა, ნიშანდობლივია, რომ ოჯახებში მამაკაცები ბევრად ჭარბობენ ქალბატონებს.

ტრადიციულად, საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი, და, ნორმადაც კი იყო ქცეული ბატონყმური ურთიერთობების ზედმეტი დრამატიზება. გლეხი აუცილებლად ჩაგრულ და უუფლებო ფენად უნდა წარმოჩენილიყო, ხოლო მემამულე უმოწყალო ექსპლუატატორად. დარგის

აღიარებული მკვლევარი პაატა გუგუშვილი, როდესაც პარალელს ავლებდა ქართველი გლეხის ჩამორჩენილობის მიზეზებზე უცხოელ კოლონისტებთან შედარებით, წერდა: „თუ რა იყო მთავარი დაბრკოლება ადგილობრივი გლეხობისათვის, გადაეღოთ კოლონისტებისაგან მეურნეობის უკეთესი ხერხები და წარმოების საშუალებანი, იყო ის შეუწელებელი ბატონყმური ექსპლუატაცია, რომლის უღელქვეშ ჰკმინავდა ადგილობრივი უშუალო მწარმოებელთა მასა. საბატონო ბეგარა, კულუხი, ღალა, სახელმწიფო გამოსაღებნი და გადასახადები მათში სპობდა საშუალებას და სტიმულსაც კი“¹.

ამგვარი „შეუწელებელი ბატონყმური ექსპლუატაცია“ და „უღლის ქვეშ ჰკმინვა“ საბატონო გლეხთა 1818 წლის აღწერიდან ნაკლებად ჩანს. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ გლეხების უმრავლესობას „გაწერილი“ აქვს დიდი რაოდენობით საბატონო სახნავი მიწის დამუშავებისა და ღალის ვალდებულება, დადგენილ მიწის ნორმას თითქმის არავინ ამუშავებს და ბევრად ნაკლებს უვლის. მაგ. 1818 წლის აღწერით შიდა ქართლის 43 სოფელში სულ საბატონო მიწა 4535 დღიურს შეადგენს, თუ ამას დავუმატებთ „ნასყიდ“ 3525.5 დღიურსა და „სამკვიდრო“ 1823 დღიურს (იხ: ცხრილი 3), გამოდის რომ გლეხთა სარგებლობაში სულ 9883.5 დღიური მიწა ყოფილა. ისინი კი ამუშავებენ 2639.5-ს დამატებული 962 დღიური ღალაზე, ანუ სულ 3407,5 დღიურს, ეს კი დასამუშავებელი ფართობის მხოლოდ 43%-ს შეადგენს.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ნაკლები მიწის დამუშავება გლეხის სიზარმაცით კი არ იყო განპირობებული, არამედ, გამწვევი ძალისა და შესაბამისი ტექნიკის არარსებობით.

¹ პაატა გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი I, თბ., 1949, გვ. 503.

როგორც ითქვა, აღწერის დედანი შედგენილია რუსულად. გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა პერიოდში მისი ქართულად თარგმნის, გამოქვეყნებისა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანის აუცილებლობა და საჭიროება არ იყო, მაგრამ ვცნოვრობთ ახალ რეალობაში, გაიზარდა ახალი თაობა, გადაფასდა მთელი რიგი მოვლენები, ღირებულებები. ამასობაში გამოვლინდა და ხელმისაწვდომი გახდა ზოგიერთი ახალი მასალა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, 1818 წლის შიდა ქართლის საბატონო გლეხთა კამერალური აღწერის ანალიზი დღეისათვის არაერთ პრობლემურ საკითხს ჰფენს ნათელს.

დამოწმებანი:

ა) საარქივო მასალა

ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 254, საქმე 58.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ)
8235; 8300; 8375

ბ) ლიტერატურა

ალიმბარაშვილი იოსებ. „შიდა ქართლის ქალაქ-სოფლების გასარწყავების საკითხი“, *აკადემიკოს თეოფანე დავითაიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, შრომათა კრებული, ახალი სერია №3(82)*, თბ., 2011.

ანთაძე კონსტანტინე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973.

ბაგრატიონი თეიმურაზ. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *ლელა მიქიაშვილმა*. თბ., 1983.

ბაგრატიონი იოანე, „ქართლ-კახეთის აღწერა“, *ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბელოშვილმა*, თბ., 1986.

გუგუშვილი პაატა. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი I, თბ., 1949.

„დასტურლამალი“, ქართული სამართლის ძეგლები, *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ*. თბ., 1970.

თაბუაშვილი აბოლონ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013.

ლორთქიფანიძე იასე. მორიგეთა სიები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV- .. თბ., 1947.

საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ **ივ. ჯავახიშვილის** რედაქტორობით, *შედგენილი ტოპოგრაფიკული ვესევი ბარამიძის მიერ*, თბილისი 1923 წ.

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиєю, т. V, Тифл., 1873.

Обозрения Российских владении за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. *Описание произведено Николаем Флоровским*, СПб 1836.

Свод статистических данных о населении Закавказского края из посемейных списков 1886 г. Тифлиси 1893.

Ioseb Alimbarashvili
Gori State Teaching University
**THE DESCRIPTION OF SLAVES, WORKING FOR
THEIR MASTER IN SHIDA KARTLI IN 1818
RESUME**

The article presents the analysis of the population description, which held in Gori district, by the government of Russia in 1818.

The article defined and specified current and disappeared Toponyms and Oikonyms. It also reviews the geographical description. Corrected summarized mistakes.

Description materials is compared with the descriptions held in the Kingdom of Kartli-Kakheti by the Georgian government, in the second *half* of the *18th* century, which, in this period, gives the conclusions of the ethnic, economic, demographic and religious status of the population.

The article discusses the statistical data of the population, also included the information about the land area, vineyards, livestock, bees, real estate (houses, shopping booths, mill, etc.) and the village map of the description.

**ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა შიდა ქართლში 1818 წლის
აღწერის მიხედვით**

| № | აღწერილი სოფლის დასახელება | კომლთა რაოდენობა | მამაკაცი | ქალი | სულთა რაოდენობა |
|----|-------------------------------|---------------------|----------|------|--------------------|
| 1 | ცხინვალი | 46 | 242 | 174 | 416 |
| 2 | აჩაბეთი | 8 | 24 | 13 | 37 |
| 3 | კეხვი | 3 | 14 | 8 | 22 |
| 4 | ქურთა | 18 | 51 | 41 | 92 |
| 5 | თამარაშენი | 42 | 152 | 86 | 238 |
| 6 | საბაწმინდა | 7 | 31 | 19 | 50 |
| 7 | ხეთი | 38 | 141 | 81 | 222 |
| 8 | ძარწემი | 15 | 76 | 43 | 119 |
| 9 | ქემერტი | 9 | 39 | 24 | 63 |
| 10 | ზემო ნიქოზი | 33 | 92 | 58 | 150 |
| 11 | ქვემო ნიქოზი | 10 | 34 | 20 | 54 |
| 12 | ზ. ხეთი | 20 | 64 | 33 | 97 |
| 13 | ქვ. ხეთი | 41 | 124 | 86 | 210 |
| 14 | ძლევისჯვარი | 5 | 17 | 13 | 30 |
| 15 | ყელქცეული | 21 | 66 | 38 | 104 |
| 16 | ფხვენისი | 34 | 106 | 75 | 181 |
| 17 | შინდისი | 24 | 93 | 66 | 159 |
| 18 | ვარიანი | 24 | 118 | 74 | 192 |
| 19 | ახალდაბა | 21 | 65 | 47 | 112 |
| 20 | თეკლორწმინდა | 5 | 22 | 17 | 39 |
| 21 | სვერი | 2 | 9 | 7 | 16 |
| 22 | ლელისთავი | 9 | 20 | 13 | 33 |
| 23 | თვალათუბანი | 9 | 25 | 25 | 50 |
| 24 | საქაშეთი | 39 | 119 | 87 | 206 |
| 25 | სასირეთი | 2 | 10 | 7 | 17 |
| 26 | რუისი | 57 | 223 | 173 | 405 |
| 27 | კარბი | 23 | 94 | 69 | 163 |
| 28 | მერეთი | 42 | 171 | 138 | 309 |
| 29 | კულბითი | 15 | 53 | 40 | 93 |
| 30 | ზარდიანთკარი | 11 | 43 | 24 | 67 |

| | | | | | |
|----|--------------------|------------|-------------|-------------|-------------|
| 31 | ქსუისი | 10 | 32 | 23 | 55 |
| 32 | ქერი | 1 | 4 | 1 | 5 |
| 33 | დმენისი | 6 | 13 | 13 | 26 |
| 34 | ერედვი | 44 | 221 | 137 | 358 |
| 35 | ქორდი | 30 | 60 | 40 | 100 |
| 36 | ტირძნისი | 24 | 128 | 81 | 209 |
| 37 | თერგვისი | 4 | 15 | 7 | 22 |
| 38 | დიცი | 34 | 120 | 94 | 215 |
| 39 | მელვრეკისი | 3 | 6 | 3 | 9 |
| 40 | ¹ | 6 | 19 | 12 | 31 |
| 41 | ერგნეთი | 23 | 70 | 32 | 102 |
| 42 | ფრისი | 3 | 11 | 6 | 17 |
| 43 | დგერისი | 33 | 120 | 77 | 197 |
| | სულ: | 854 | 3157 | 2225 | 5382 |

¹ როგორც აღწერის ჯამური მაჩვენებლიდან ჩანს, სოფელში 6 კომლი ცხოვრობს (119 სული მამაკაცი, 12 სული ქალი, სულ 31 სული), თუმცა, აღწერაში მხოლოდ 3 კომლის შესახებაა (7 სული მამაკაცი, 3 კომლი ქალი) მონაცემები წარმოდგენილი (იხ: წინამდებარე ნაშრომი, შენიშვნა 232, გვ. 281).

ცხრილი 2. შიდა ქართლის საბატონო გლეხების პურისა და ღვინის წლიური შემოსავალი 1818 წლის აღწერის მიხედვით

| № | სოფლის დასახელება | კომლთა რაოდენობა | მოყვანილი პურის (ზორბლის) რ-ბა (კოლი) | მოყვანილი ღვინის რ-ბა (კოკა) | სულ |
|----|-------------------|------------------|---------------------------------------|------------------------------|------|
| 1 | ცხინვალი | 46 | 670 | 1023 | 1693 |
| 2 | აჩაბეთი | 8 | 240 | 10 | 250 |
| 3 | კეხვი | 3 | 220 | 60 | 280 |
| 4 | ქურთა | 18 | 470 | 78 | 548 |
| 5 | თამარაშენი | 42 | 525 | 240 | 765 |
| 6 | საბაწმინდა | 7 | 260 | 92 | 352 |
| 7 | ხეთი | 38 | 1555 | 260 | 1815 |
| 8 | ძარწეში | 15 | 605 | 133 | 738 |
| 9 | ქემერტი | 9 | 250 | 145 | 395 |
| 10 | ზემო ნიქოზი | 33 | 770 | 507 | 1277 |
| 11 | ქვემო ნიქოზი | 10 | 250 | 165 | 415 |
| 12 | ზ. ხვითი | 20 | 470 | 203 | 673 |
| 13 | ქვ. ხვითი | 41 | 1080 | 408 | 1488 |
| 14 | ძლევისფვარი | 5 | 310 | 33 | 343 |
| 15 | ყელქცეული | 21 | 885 | 65 | 900 |
| 16 | ფხვენისი | 34 | 1925 | 488 | 2413 |
| 17 | შინდისი | 24 | 900 | 250 | 1150 |
| 18 | კარიანი | 24 | 1350 | 320 | 1670 |
| 19 | ახალდაბა | 21 | 1195 | 161 | 1356 |
| 20 | თევდორწმინდა | 5 | 290 | 40 | 330 |
| 21 | სვერი | 2 | 100 | 18 | 118 |
| 22 | ლელისთავი | 9 | 270 | 55 | 325 |
| 23 | თვალათუბანი | 9 | 430 | 108 | 538 |
| 24 | საქაშეთი | 39 | 1075 | 442 | 1517 |
| 25 | სასირეთი | 2 | 240 | 100 | 340 |
| 26 | რუისი | 57 | 3440 | 932 | 4372 |
| 27 | კარბი | 23 | 1650 | 729 | 2379 |

| | | | | | |
|----|--------------|------------|--------------|--------------|--------------|
| 28 | მერეთი | 42 | 2370 | 636 | 3006 |
| 29 | კულბითი | 15 | 900 | 417 | 1317 |
| 30 | ზარდიანთკარი | 11 | 510 | 130 | 640 |
| 31 | ქსუისი | 10 | 630 | 73 | 703 |
| 32 | ქერი | 1 | - | - | 1 |
| 33 | ღმენისი | 6 | 95 | - | 95 |
| 34 | ერედვი | 44 | 2990 | 341 | 3331 |
| 35 | ქორღი | 30 | 1365 | 357 | 1722 |
| 36 | ტირძნისი | 24 | 1745 | 207 | 1952 |
| 37 | თერგვისი | 4 | 205 | 21 | 226 |
| 38 | ღიცი | 34 | 1987 | 653 | 2640 |
| 39 | მელვრეკისი | 3 | 60 | 10 | 70 |
| 40 | | 6 | 100 | 22 | 122 |
| 41 | ერგნეთი | 23 | 790 | 197 | 687 |
| 42 | ფრისი | 3 | 220 | 70 | 290 |
| 43 | ღგერისი | 33 | 1385 | 474 | 1860 |
| | სულ: | 854 | 37017 | 10674 | 47691 |

ცხრილი 3. მოსახლეობაზე გაწეული და მის სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი შიდა ქართლში 1818 წლის აღწერის მიხედვით

| № | სოფლის დასახელება | კომლთა რა-ბა | გლეხებზე გაწე-რილი საბატონი მიწის ფართობი ¹ | რეალურად რამ-დენ დღიურს ამუშავებენ | ნასყიდი მიწის ფართობი | სამკვიდრო მიწის ფართობი | რამდენ დღი-ურს ამუშა-ვებს ღალაზე | ვეჩახის (ბაჯის) ფართობი |
|----|-------------------|--------------|--|------------------------------------|-----------------------|-------------------------|----------------------------------|-------------------------|
| 1 | ცხინვალი | 46 | 124 | 40 | 217 | 0.5 | 167 | 34 |
| 2 | აზაბეთი | 8 | 44 | 19 | 4 | - | - | 1 |
| 3 | კეხვი | 3 | 16 | 16 | 13 | - | - | 3 |
| 4 | ქურთა | 18 | 47 | 16 | 18 | - | 11 | 4 |
| 5 | თამარაშენი | 42 | 72.5 | 35 | 19 | - | 172 | 12.75 |
| 6 | საბაწმუნდა | 7 | 23 | 15 | 4 | 4 | - | 4.75 |
| 7 | ხეთი | 38 | 144.5 | 100 | 18 | - | 35 | 13.5 |
| 8 | ბარწკი | 15 | 58 | 56 | 33 | - | - | 7 |
| 9 | ქემურტი | 9 | 33 | 26 | 18 | - | - | 6 |
| 10 | ზემო ნიქოზი | 33 | 233 | 75 | 351 | 58 | 6 | 22 |
| 11 | ქვემო ნიქოზი | 10 | 15 | 26 | 121.5 | - | 10 | 6 |
| 12 | ზ. ხეთი | 41 | 50 | 16 | 1 | 10 | 42 | 11.5 |
| 13 | ქვ. ხეთი | 20 | 161 | 86 | 57.5 | - | 45 | 22.5 |
| 14 | ძლევისჯვარი | 5 | 12 | 26 | - | - | 8 | 1.25 |
| 15 | ფელქეული | 21 | 53 | 53 | 16 | - | 50 | 3.25 |
| 16 | ფხვინისი | 34 | 577 | 138 | 31 | - | 117 | 20.75 |
| 17 | შინდისი | 24 | 120 | 67.5 | 29.5 | - | 24 | 9.5 |
| 18 | გარიაში | 24 | 207 | 93 | 71 | 31 | 6 | 12.25 |
| 19 | ახალდაბა | 21 | 176 | 104 | - | - | 11 ² | 9.25 |

¹ მიწის ფართობში ვეჩხა გრაფში იგულისხმება დღიური ნორმა

² ღალის ქვეშ დაბუშავებული მიწის ფართობი დედანში დაანგარიშებული აქვს მხოლოდ ორ კომლს (6+5=11). ამის გარდა, ღალის გადასახად უნანს კიდევ 15 კომლს, მაგრამ მიწის რაოდენობა დაფიქსირებული არ არის.

| | | | | | | | | |
|----|--------------|------------|-------------|---------------|---------------|-------------|----------------|--------------|
| 20 | თველირწმინდა | 5 | 33 | 20 | - | - | 2 ³ | 2. 25 |
| 21 | სვერი | 2 | 9 | 9 | - | - | - | 0. 5 |
| 22 | ლელიოსიავი | 9 | 21 | 19 | - | - | 10 | 9. 5 |
| 23 | თვალაოუბანი | 9 | 43 | 34 | - | - | 2 | 3. 75 |
| 24 | საქმეთი | 39 | 362 | 139 | 44 | 105 | 13 | 19. 8 |
| 25 | სასირეთი | 2 | 60 | 14 | - | - | - | 1. 5 |
| 26 | რუხი | 57 | 489 | 291 | 385 | 866 | 34 | 40 |
| 27 | კახი | 23 | 255 | 111 | 129 | 120 | 11 | 133.5 |
| 28 | მერეთი | 42 | 130 | 158 | 132 | 41 | 13 | 36.75 |
| 29 | ძუღბითი | 15 | 69 | 59 | 25 | 80 | 10 | 7.25 |
| 30 | ზარდიანთკარი | 11 | 14 | 30 | - | 106 | 42 | 5.5 |
| 31 | ქსუხი | 10 | 34 | 41 | 7 | 100 | 10 | 15.75 |
| 32 | ქერი | 1 | - | - | - | - | - | - |
| 33 | დემისი | 6 | 16 | - | - | - | - | - |
| 34 | კრედი | 44 | 340 | 228 | 367.5 | 15 | 5 | 29 |
| 35 | კორდი | 30 | 81 | 75 | 18 | 21 | 15 | 24.5 |
| 36 | ტირინისი | 24 | 9 | 129 | 11 | 235 | 15 | 20.5 |
| 37 | თურგუხი | 4 | 10 | 20 | 55 | - | - | 2.9 |
| 38 | დოცი | 34 | 182 | 166 | 101 | 14 | 6 | 34.4 |
| 39 | მულერგესი | 3 | - | - | - | - | 6 | 0.5 |
| 40 | | 6 | 40 | 9 | 3 | 15 | - | 1.5 |
| 41 | კრეწეთი | 23 | 57 | - | 5 | - | 2 | 4 |
| 42 | ფრისი | 3 | 30 | 23 | 12.5 | - | - | 1 |
| 43 | დგერისი | 33 | 85 | 57 | 114.5 | 1.5 | 62 | 34.5 |
| | სულ: | 854 | 4535 | 2639.5 | 3525.5 | 1823 | 962 | 633.1 |


3 თველისხება ღალის ქვეშ არსებული კომლით რაოდენობა, მქონ ფართობი დელანში მითითებული არ არის.

ცხრილი 4. შიდა ქართლის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული წისკვილების, შინაური ცხოველისა და ფუტკარის რაოდენობა 1818 წლის აღწერის მიხედვით

| № | სოფლის დასახელება | კომლთა რ-ბა | საკუთრებაში არსებული წისკვილების რ-ბა, მთ შორის, ერთეულიანი, ან ორთეულიანი | ჯიხურების რ-ბა | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა | ცხენი | ცხვარი | თხა | ძირი ფუტკარი | სულ |
|----|-------------------|-------------|--|----------------|--|-------|--------|-----|--------------|-----|
| 1 | ცხინვალი | 46 | 3(1); 1(2) | 8 | 165 | 18 | 260 | 30 | 21 | 494 |
| 2 | აჩაბეთი | 8 | - | - | 23 | - | - | - | - | 23 |
| 3 | მხვი | 3 | - | - | 18 | - | - | - | - | 18 |
| 4 | ქუთთა | 18 | - | - | 33 | 1 | - | - | 1 | 35 |
| 5 | თამარაშენი | 42 | 1(1) | - | 64 | 1 | - | - | 4 | 69 |
| 6 | საბაწმინდა | 7 | - | - | 36 | - | - | - | - | 36 |
| 7 | ხეთი | 38 | 1(1) | - | 150 | - | 12 | - | - | 172 |
| 8 | ბარწემი | 15 | - | - | 75 | 3 | 20 | 75 | - | 173 |
| 9 | ქემურტი | 9 | - | - | 26 | - | 10 | 10 | - | 46 |
| 10 | ზემო ნიქოზი | 33 | 1(1) | - | 75 | 5 | 4 | 10 | 3 | 97 |
| 11 | ქვემო ნიქოზი | 10 | - | - | 28 | 1 | - | - | - | 29 |
| 12 | ზ. ხეთი | 41 | - | - | 71 | 1 | - | 10 | 3 | 85 |
| 13 | ქვ. ხეთი | 20 | - | - | 142 | 4 | - | 15 | 6 | 165 |
| 14 | დღეისჯვარი | 5 | - | - | 31 | - | - | - | - | 31 |
| 15 | ყელქცული | 21 | 1(1) | - | 89 | 8 | - | 2 | 7 | 106 |
| 16 | ფხვინისი | 34 | 1(1) | - | 138 | 5 | - | - | 2 | 145 |
| 17 | შინდისი | 24 | - | - | 80 | - | - | - | - | 80 |
| 18 | კარბანი | 24 | 1(1); 2(2) | - | 140 | 5 | 15 | 37 | - | 200 |
| 19 | ახალდაბა | 21 | 3(1) | - | 141 | 2 | - | - | 6 | 152 |
| 20 | თუქლორწმინდა | 5 | - | - | 26 | 1 | 25 | - | - | 52 |
| 21 | სვერი | 2 | - | - | 10 | - | - | - | - | 10 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|----|--------------|-----|-------------------|---|------|----|-----|-----|-----|----|-----|------|----|-----|-----|
| 22 | ლეღისთავი | 9 | - | - | 22 | - | - | - | - | - | - | 22 | - | - | 22 |
| 23 | თვალთუბანი | 9 | - | - | 56 | - | - | - | - | - | - | 56 | - | - | 56 |
| 24 | საჩაქეთი | 39 | - | - | 189 | - | - | - | - | - | - | 189 | - | - | 202 |
| 25 | სასირეთი | 2 | - | - | 12 | - | - | - | - | - | - | 12 | - | - | 12 |
| 26 | რუისი | 57 | 2(1) | - | 359 | 14 | 200 | - | - | - | - | 359 | 14 | 28 | 601 |
| 27 | კარბი | 23 | 1(2) | - | 163 | 8 | 80 | - | - | - | - | 163 | 8 | 5 | 256 |
| 28 | მერეთი | 42 | 1(2)+1(3) | - | 254 | 7 | - | - | - | - | - | 254 | 7 | - | 261 |
| 29 | კუღბათი | 15 | - | - | 76 | - | 40 | - | - | - | - | 76 | - | - | 116 |
| 30 | ზარდიანთკარი | 11 | 1(2) | - | 41 | 3 | - | - | - | - | - | 41 | 3 | - | 44 |
| 31 | ქსუისი | 10 | 1(1) | - | 51 | 3 | 2 | - | - | - | - | 51 | 3 | - | 56 |
| 32 | ქერი | 1 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| 33 | დმენისი | 6 | - | - | 23 | 1 | - | - | - | - | - | 23 | 1 | 3 | 27 |
| 34 | ერედვი | 44 | - | - | 252 | 2 | 175 | - | - | - | - | 252 | 2 | 53 | 491 |
| 35 | ქორდი | 30 | 1(1) | - | 96 | 3 | - | - | - | - | - | 96 | 3 | 22 | 129 |
| 36 | ტირძნისი | 24 | 1(1)+1(1) | - | 133 | 3 | 60 | - | - | - | - | 133 | 3 | 5 | 201 |
| 37 | თერგვისი | 4 | - | - | 12 | - | - | - | - | - | - | 12 | - | - | 12 |
| 38 | ღიცი | 34 | - | - | 155 | 2 | 20 | - | - | - | - | 155 | 2 | 20 | 201 |
| 39 | მუღვრეკისი | 3 | - | - | 5 | - | - | - | - | - | - | 5 | - | - | 5 |
| 40 | | 6 | - | - | 8 | - | - | - | - | - | - | 8 | - | - | 8 |
| 41 | ერგეთი | 23 | - | - | 70 | - | - | - | - | - | - | 70 | - | 5 | 75 |
| 42 | ფრისი | 3 | - | - | 70 | - | - | - | - | - | - | 70 | - | - | 70 |
| 43 | ღვერისი | 33 | 1(1) | - | 139 | 3 | 15 | - | - | - | - | 139 | 3 | 20 | 178 |
| | სულ: | 854 | 19(1); 6(2); 1(3) | 8 | 3747 | 91 | 938 | 299 | 129 | 91 | 938 | 3747 | 91 | 299 | 129 |

| | |
|----|----|
| 1 | 1 |
| 2 | 2 |
| 3 | 3 |
| 4 | 4 |
| 5 | 5 |
| 6 | 6 |
| 7 | 7 |
| 8 | 8 |
| 9 | 9 |
| 10 | 10 |
| 11 | 11 |
| 12 | 12 |
| 13 | 13 |
| 14 | 14 |
| 15 | 15 |
| 16 | 16 |
| 17 | 17 |
| 18 | 18 |
| 19 | 19 |
| 20 | 20 |
| 21 | 21 |
| 22 | 22 |
| 23 | 23 |
| 24 | 24 |
| 25 | 25 |
| 26 | 26 |
| 27 | 27 |
| 28 | 28 |
| 29 | 29 |
| 30 | 30 |
| 31 | 31 |
| 32 | 32 |
| 33 | 33 |
| 34 | 34 |
| 35 | 35 |
| 36 | 36 |
| 37 | 37 |
| 38 | 38 |
| 39 | 39 |
| 40 | 40 |
| 41 | 41 |
| 42 | 42 |
| 43 | 43 |
| 44 | 44 |
| 45 | 45 |
| 46 | 46 |
| 47 | 47 |
| 48 | 48 |
| 49 | 49 |
| 50 | 50 |
| 51 | 51 |
| 52 | 52 |
| 53 | 53 |
| 54 | 54 |
| 55 | 55 |
| 56 | 56 |
| 57 | 57 |
| 58 | 58 |
| 59 | 59 |
| 60 | 60 |



КАРЛА СЕРЕНА О ГОРИ

Сегодня я буду читать доклад про довольно интересную женщину XIX века. Ее зовут Карла Серена и ее жизнь связана с Кавказом и, особенно, с Грузией. Этнограф, путешественница, писательница, журналистка и наверное даже разведчица.

Эта женщина европейского происхождения путешествовала в одиночестве по Кавказу в годах, когда даже путешественники-мужчины боялись Кавказа. После путешествия она издала статьи и книги в Европе, которые помогли европейцам познакомиться с Кавказом и его народами.

В частности, сегодня я буду говорить о том, как Карла Серена описывает Гори и Уплисцихе.

Каролин Гартог Моргенштейн родилась в 1824 году в Бельгии, в городе Антверпен, в семье еврейского происхождения. В 1847 году она вышла замуж за венецианского купца Леоне Серена, который происходил также из еврейской семьи. После свадьбы Каролин изменила свое имя на итальянскую версию и стала Карлой Сереной.

В Венеции Леоне и Карла жили только два года. Леоне участвовал в восстании против Австрийской Империи. После того, как Австрийцы вернули Венецию в состав Империи, всех повстанцев – и в том числе, Карлу и Леоне – отправили в ссылку. Пара переехала в Марсель, потом в Париж, в Бельгию и наконец поселилась в Лондоне. В этом городе Карла основала салон для

итальянцев и для британцев и проявляла интерес к журналистике.

Впрочем, настоящие приключения Карлы Серены начались с 1-го Августа 1874 года.

Несмотря на то, что ей уже было 50 лет – т.е. она была «старой» по Викторианским канонам – и хотя ее муж был жив, и трём из пятерых ее детей еще нужна была помощь матери, чтобы вступить в брак, Карла Серена уехала и в одиночестве путешествовала шесть лет по всему миру.

Почему «старая» женщина отказалась от своей семьи и так долго путешествовала одна в опасных местах? Трудно сказать. В предисловии ее воспоминаний «Mon voyage» [Мое путешествие], Карла пишет, что сначала она планировала краткое путешествие, потому что она была «souffrante» [больная], но условия вынудили ее к продолжению поездки.

Некоторые исследователи замечали, что Карла путешествовала на территориях так называемой Большой Игры [«The Great Game», конкуренции между Британской и Российской империями за господство в Азии]. Ее родной язык французский но она долго жила в Англии. Всё это дает возможность предполагать, что наверное, Карла Серена работала на Британскую Империю. Но пока в архивах не найдено подтверждение этого предположения, и поэтому я буду говорить о Карле, просто как о смелой путешественнице и внимательном этнографе.

В течение шести лет Карла путешествовала в Швеции, в России, в Молдавии, в Стамбуле, в Греции, в Египте, в Иерусалиме, в Ливане и два года находилась на Кавказе, где она посетила Мингрелию, Имерети, Гурию, Самцхе, Тбилиси, Мцхету, Картли, Кахетию, Нуху, Нагор-

ный-Карабах, Самурзакано, Абхазию, потом она посетила Крым и вернулась в Тбилиси через Владикавказ. Накануне русско-турецкой войны она поехала в Персию, где зимовала до весны 1878 года. Оттуда Карла вернулась в Европу, проезжая через Астрахань, Москву, Варшаву, Вену, Рим и наконец Париж.

В Париже Карла Серена начала публиковать статьи о своих путешествиях в разных журналах на разных языках.

Она поместила две статьи по-французски в географическом журнале «Le Tour du Monde» [Тур вокруг мира], одна про Имерети и другая про Мингрелию. В этих статьях помещены гравюры грузинских регионов, их достопримечательностей и их населения. Они исполнены разными художниками на основе фотографии Ермакова и Раулта.

В 1880 г. Карла публиковала две книги о своих воспоминаниях. В первой части – *De la Baltique à la mer Caspienne* [с Балтийского моря до Каспийского моря] – она описывает свое путешествие в Швеции, в России, в Османской Империи, на Кавказе и обратно в Европу через Россию и Польшу. Вторая часть – *Une européenne en Perse* [Европейская женщина в Персии] – посвящена приключению Карлы о враждебной стране, т.е. в Персии. Все ее воспоминания о Персии приставлены в негативном плане.

Карла Серена хотела опубликовать еще одну статью о Кахетии и одну об Абхазии, но для издания она намеревалась поместить в статьи фотографии этих регионов, но у нее не было таких фотографий. Поэтому в 1881 году Карла вернулась на Кавказ на три месяца, с большой камерой с собой. Целыми днями и ночами она ездила по Кахетии и по Абхазии, снимая более 150 (ста пятидесяти) фотографий.

Карла была не только первой европейской женщиной, которая путешествовала в одиночестве по Кавказу, но она была также первым человеком, который снимал фотографии Абхазии. Две статьи в журнале «Le Tour du Monde» описывают ее второе путешествие.

К сожалению, мы мало знаем о нее последних годах.

После того, как она вернулась из второго путешествия по Кавказу, Карла начала читать лекции по всей Европе, стала членом Французского, Австрийского и Испанского географических обществ, и получила от итальянского короля золотую медаль посвящённую «Карле Серене, за похвальное этнографическое исследование, смелой исследовательнице Кавказских регионов».

До своей кончины она опубликовала еще две книги в Париже, одну опять о Персии и другую о Калмыках и Киргизах. В журнале «Le Tour du Monde» была издана ее последняя статья в цикле о Кавказе, где Карла описывает, вместе с другими местами, Гори и Уплисцихе.

В 1884 году Карла умерла в Греции из-за лихорадки во время путешествия.

Хотя эта смелая женщина сегодня неизвестна многим кавказоведами, в своё время Карла была очень известной личностью. Об ее путешествиях писали кавказские, французские, итальянские, испанские, английские, и даже американские газеты и журналы; известный французский писатель Виктор Гюго написал сердечное предисловие к ее книге воспоминаний; известный писатель в жанре научной фантастики Жюль Верн, спустя два года публикации статьи «Путешествие по Самурзакану и Абхазии» посвятил главу своего романа «Kéran-le-tétu» Абхазии и «бесстрашной путешественнице – Карле Серене».

Поездка Карлы Серены в Гори, освещена в ее последней статье в журнале «Le Tour du Monde» (1884 г). Параграф о путешествии в Гори начинается с описания Тбилиси. Карла свидетельствует, что город готовился к войне. Исходя из того факта, что война приближалась, мы можем утверждать, что Карла посетила Гори, в первый раз в 1877 году, накануне русско-турецкой войны.

Перед описанием путешествия в Гори, она приводит экскурс по истории города начиная с мифологических героев Таргамоса и его сына Кавказоса. Дальше, она объясняет, что термин «эристав» средневекового происхождения, и он обозначает и должность и распространённую фамилию, которая встречается в регионе Гори.

Карла описывает также крепость Гори, которая – по рассказам – вмещает якобы более 70 000 (семидесяти тысяч) человек. На самом деле, во время ее посещения крепости ее встретили только один сторож и два осла.

Она утверждает, что слово «Гори» значит «золотая гора» и происходит от пещеры, где как будто царь Ираклий укрывал свой клад. К сожалению, она ошивалась и византийского императора Ираклия она приняла за царя восточной Грузии Ираклия Второго.

Карла упоминает монастырь Гориджвари [Крест Горы] и старый район города. Там она описывает типичную семью: женщина в комнате качает малыша, муж с папайкой и с кинжалом стоит куря папиросу, дети же в углу дома играют на «даире» и танцуют.

Карла пишет, что в Гори вымощенные улицы выглядели плачевно из-за отсутствия вывоза мусора. В городе, по ее словам, насчитывается 1500 домов и население состоит из грузин, русских и армян, эти

последние являются самым многочисленным этносом в Гори.

Во время ее второго путешествия, Карла снимала улицы Гори. И основываясь на них, художник Mille Marcelle Lancelot выполнял две гравюры (1-2).



Рис. 1. Пекарня в Гори, Гравюра Mille Marcelle Lancelot, фотография Карлы Серены

Первая картинка показывает пекарню и как пекут лаваш.



Рис. 2. Ресторан в Гори, Гравюра Mille Marcelle Lancelot, фотография Карлы Серены

Вторая гравюра показывает «Духан». Кстати, обратите внимание на то, как духанщик сморкается перед съёмкой; интересно, что Карла описывает эти детали в своих статьях...

Про Гори еще Карла пишет, что в школах первым языком является русский, и затем только грузинский, и что в городе находился «Закавказская (церковная) семинария», где 25 школьников учатся бесплатно. Пятеро из этих учеников русские. В семинарии запрещено принимать католиков.

Последняя часть главы о Гори посвящена Уплисцихе. Она пишет, что верхняя часть Уплисцихе – пещерный город; путешественница говорит, что разные барельефы на стенах изображают животных и бойцов, которые воюют друг с другом. Название села, согласно Серене, происходит от мифического царя Уплос. Во время посещения пещерного города Карлой, город был пустым и жители нижнего села – рыбаки и крестьяне – боялись посещения пещерной верхней части Уплисцихе.

Названная статья Карлы Серены иллюстрирована тремя гравюрами, которые изображают разные части Гори (3), село Уплисцихе (4) и церковь в пещерном селе Уплисцихе (5), но эти гравюры не основаны на фотографиях путешественницы.




Рис. 3. Гори – золотая гора



Рис. 4. Село Уплисцихе




Рис. 5. Церковь в пещерном селе Уплисцихе

В заключение, я хочу подчеркнуть значение и актуальность записок и фотографий Карлы Серены в области кавказоведения. Ее описание Гори и Уплисцихе является типичным и здесь она наглядно иллюстрирует ее подход к делу. Карла показывает не только достопримечательные места, но тщательно передает жизнь простых людей, их обычаи, и женским взглядом, она подробно описывает их одежды. Ее статьи и фотографии занимают значительное место как достоверный источник для описания Кавказа второй половины XIX века.

**დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და კ.
გამსახურდიას რომანის თარგმანები უცხოურ ენებზე**

ლიტერატურული პროცესის ერთგვარი ნაირსახეობა – თარგმანი - ერთი ენიდან მეორეში გადატანისას თვით იქცევა ლიტერატურული ცხოვრებისა თუ აზროვნების ახალი ეტაპის დასაწყისად. აქედან გამომდინარე, ქართული ლიტერატურული ტექსტი (იქნება ეს ძველი ქართული სასულიერო მწერლობა თუ ისტორიული რომანი, შექმნილი თანამედროვე ეპოქაში) წარმოადგენს მისი მეორე ქვეყნისათვის არამარტო ავტორის, არამედ თავად ნაწარმოების სხვა სამყაროში გათავისებას, რაც უზარმაზარ პასუხისმგებლობას აკისრებს მთარგმნელს.

შემთხვევით არ შეიძლება ამისათვის საქართველოს მეფისა და პოლიტიკური მოღვაწის, ჰუმანისტიკისა და პოეტის, დავით აღმაშენებლის (1073-1125) „გალობათა სინანულისათა“ და კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანის „დავით აღმაშენებლის“ თარგმანები უცხოურ ენებზე, საიდანაც უცხოელმა მკითხველმა უნდა აღიქვას მისი ავტორისა თუ თავად პერსონაჟის გამორჩეულობა.

როგორც ამერიკელი მოღვაწე, ბიბლიის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოში საგანმანათლებლო საერთაშორისო თეოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი დევიდ ჯილბერტი აღნიშნავს ერთი ინგლისური თარგმანის შესახებ, „დიდი სიამოვნებით წავიკითხე ქალბატონი ლალი ჯოხაძის

თარგმანი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თუმცა ორიგინალის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაინც ვიგრძენი, რომ მთარგმნელმა შეძლო მოეძებნა არა მარტო შესატყვისი პოეტური სტილი, არამედ დაენახვებინა ღვთისმადიებელი ადამიანის გული. მეფის სევდა გამოწვეულია სინდისის ქენჯნით, რომელმაც შეიცნო ღვთის სიწმინდე, უზენასეობა, მრავალმოწყალება და სამართლიანი მსჯავრი. აღნიშნულ ტექსტში იგრძნობა მეფის სულის სიღრმე თავისი ცოდვების აღსარებისას ყოვლისშემცნობ უფლის წინაშე. იგი შეწევნასა და მეოხებას ითხოვს ღვთისმშობლისაგან, რამეთუ მისმა ძემ იტვირთა კაცთა მოდგმის მძიმე ცოდვა და დღესაც გვიხმობს: „შემომიდექით დამაშვრალნი და დამძიმებულნი და აქ ჰპოვებთ სიმშვიდეს“. ქართული ლიტერატურის ამ ღირსშესანიშნავი ნიმუშის ლ. ჯოხაძისეული თარგმანის დაბეჭდვა, ვფიქრობ, მისცემს ინგლისურად მოლაპარაკე სამყაროს შესაძლებლობას გაეცნოს და შეაფასოს არა მარტო პოემა, არამედ გაეცნოს საქართველოს ისტორიასა და მის ღრმა რწმენას¹. აღნიშნული ციტატი მოხმობილია „გალობანი სინანულისანის“ 1996 წლის ინგლისურ ენაზე ლ. ჯოხაძის თარგმანის წინასიტყვაობიდან და ცხადყოფს მკითხველზე თარგმანის ზემოქმედების პროცესს. ჩვენი სტატიის მიზანიც ამაში მდგომარეობს. ვაჩვენოთ, შეძლებისდაგვარად, როგორ მოჩანს ინგლისურ (ლ. ჯოხაძისეული თარგმანით), რუსულ და გერმანულ ენებზე (ლ. გრიგოლაშვილი - ა. გოგეშვილი, ვ. ოფერმანსი) „გალობანის“ ავტორი ქართველი ლიტერატურათმცოდნეთა და უცხოელ მკითხველთა თვალთ, როგორია არა სიტყვასიტყვით, ან შემოქმედებითად განვრცობილი, მთარგმნელის ოს-

¹ დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“ King David the Builder The Canon of Repentance, თბილისი, 2005, გვ. 15.

ტატობასა და ფანტაზიაში ახალშექმნილი ნაწარმოების მიხედვით.

რამდენადაც ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანის (პირველი თარგმანი ეკუთვნის დოლონა კიზირიას) ავტორი ლალი ჯოხაძე წინასიტყვაობაში თავად ცდილობს წარმოაჩინოს მისი, როგორც ქართველის, მიერ აღქმულ-გათავისებული ინგლისურენოვანი ტექსტის მკითხველზე ზემოქმედების მიზანსწრაფვა. აღნიშნულ წინასიტყვაობას მოვიშველიებთ, ხოლო რუსულ, გერმანულ თარგმანებს განვიხილავთ ჩვენეული გაგების მიხედვით.

ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში მთარგმნელი მოიხსენიებს იმ ლიტერატურათმცოდნეთ, რომელთაც უძღვნეს წერილები, თუ მონოგრაფიები დავით აღმაშენებლის ქმნილებას (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, მ. კაკაბაძე, ნ. ნათაძე, ზ. ჭავჭავაძე, რ. ბარამიძე, ნ. სულავა, ლ. გრიგოლაშვილი).

როგორ წარმოჩინდება მეფე დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულის“ ორიგინალში ქართულ ენაზე? დავით აღმაშენებელს, კ. კეკელიძეს მიხედვით, „ახასიათებს აზრთა და გრძნობის სიღრმე და სიტყვაკაზმულობა. დავითის გალობანი, რომელნიც ნათლად მოწმობენ მის საფუძვლიან საღვთისმეტყველო განათლებას, საინტერესოა აგრეთვე როგორც მაჩვენებელი მისი ცხოვრების ინტიმური მხარისა და ავტორის ფსიქოლოგიურ-რელიგიური განცდისა“¹.

ლაურა გრიგოლაშვილი „გალობანის“ 1989 წლის თარგმანების გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორს მოიხსენიებს ლირიკულ გმირად, რომელიც ანდრია კრიტელის „დიდი კანონისაგან განსხვავებით „შეიცავს არა ჩვეულებრივი კაცის

¹ კ. კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, თბილისი, 1980, გვ. 272.

ბიოგრაფიას, არამედ მეფე-გვირგვინოსნისას¹ და იგი, მიმართულია რა მაცხოვრისადმი, ღვთისმშობლისადმი, სიუჟეტური ხაზით აღმავლად გამოხატავს სევდასა თუ გოდებას, რომელსაც „ავვირგვინებს რწმენით გასხივოსნებული ნათელი, ზე-აღმაფრენი ინტონაცია“²

რაც შეეხება ნესტან სულავას, იგი ფიქრობს, რომ „დავით აღმაშენებლის თხზულებაში ჩამოთვლილია ცოდვები, რომლებიც თვით დავითს არ ჩაუდენია, მაგრამ თუ განზოგადებულად განვიხილავთ, ესენი ის ცოდვებია, რომელიც ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს თავისი ცხოვრების განმავლობაში“³. ამდენად „მეფე-პოეტმა თავისი საგალობლით ადამიანის ზნეობრივი იდეალი შექმნა, ერთი მხრივ, ადამიანის დადებითი, მისაბადი და, მეორე მხრივ, მისი უარყოფითი თვისებების წარმოჩენითაც თავისი ეპოქის (არა მხოლოდ თავისი ეპოქის!) იდეალი დასახა. როგორი უნდა იყოს იგი და როგორი არ უნდა იყოს. სწორედ ესაა დავით აღმაშენებლის საგალობლის უმთავრესი მიზანიცა და ღირსებაც“⁴.

თვით ინგლისურ ენაზე „გალობანის“ მთარგმნელის, ლალი ჯოხაძის, გააზრებით, „გალობანის“ ავტორი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს „ადამიანი, რომელიც ცოდვის გამო დასცილდა ღვთის ხატს, კვლავაც დაემსგავსოს მას, უნდა მოკვდეს ძველი და გამოიღვიძოს ახალმა, ანუ მოხდეს სულის რეგენერაცია. მიმდინარეობს მითიურის გადასვლა რე-

¹ დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანი“, თბილისი, 1989, გვ. 6.

² იქვე.

³ ნ. სულავა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ რამდენიმე საღვთისმეტყველო ასპექტი“, გსსუ ჰუმ. მეცნ. ფაკ. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებულიდან“, №14, 2016, გვ. 330.

⁴ იქვე, გვ. 331.

ალობაში და რეალისის მითიურში. ქართული სიტყვის მისტიური სიღრმე, ესტეტურ-შემეცნებითი ფუნქცია და მისი განმწმენდელი ძალა ნათლად ჩანს „გალობანში“. ქართული სიტყვა - მითოსი, საქართველოს მსოფლსახე და მისი მარად მყოფობაა“¹.

მთარგმნელის მიერ, აშკარაა, მიგნებულია ქართული სიტყვის ზემოქმედების ძალა, რაზედაც თავად დავითიც ამყარებს თავის მიმართვას „გალობანის“ 1 თავში:

„რომლისაცა წინაშე
ქედ-დრეკილ არს ყოველი,
მუწლი ყოველი მოდრეკების
და ენად ყოველი შენსა
ვმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!“²

მაშ, სავარაუდოდ, იმ ენის სპეციფიკაშია დამალული ავტორის ლირიკული გმირის იდეაც და თვით პიროვნებაც. მაგრამ იძლევა თუ არა თარგმანი ამის საშუალებას?

როგორც დალი ფანჯიკიძე აღნიშნავს, „თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები. იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით. თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა. ამასთან იგი გვევლინება როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი და ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერგიის სხვადასხვა ენის ბა-

¹ დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულიანი“, თბილისი, 205, გვ. 16.

² იქვე, გვ. 1.

ზაზე გამოძევალების შედეგი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული“¹

მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია ორიგინალისა და თარგმანის ენის განვითარების საფეხურები. როგორც ცნობილია, „გალობანი სინანულისანი“ საშუალო ქართული ენის განვითარების ეპოქაშია შექმნილი, მაგრამ შესაძლოა თუ არა ინგლისური თარგმანი ამავე პერიოდის ინგლისურ ენაზე შეიქმნას, ისევე როგორც, შესაბამისად, რუსულ და გერმანულ ენებზე?

ინგლისური თარგმანის ავტორმა სცადა, უპირველესად, მსგავსებებისა და კონტრასტების მიგნება ორივე ენის ფორმებსა და კულტურებს შორის. „ჯერ მთლიანი ტექსტის ფუნქცია განისაზღვრება და შემდეგ ამ ფუნქციების გადანაწილება ხდება ლექსიკურ, გრამატიკულ და სტილისტიკურ სტრუქტურებში“² ამიტომ მთარგმნელის აზრით, სიტყვას „რომელმან“, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება ღვთაების აღმნიშვნელად, მოეძებნება ინგლისურ ენაში არქაული ექვივალენტი thou, გარდა ამისა ლ. ჯოხაძის მიგნებით, მოიძებნა მხატვრული აზრის რეალობის მასალები ხიზმატური პარალელური კონსტრუქციებით, „რათა ინგლისელ მკითხველს მიახლოებით მაინც წარმოედგინა ორიგინალის პოეტური სიტყვის ძალა, გაეგო მელოდიისა და სულის გამოძახილი. ასე შეძლო თავად მთარგმნელმა ლირიკული გმირის განწყობის დაახლოება მკითხველთან. ამიტომ თუ მთარგმნელისეულ მიზანსწრაფვას გავითვალისწინებთ, სცადა წარმოეჩინა ზუსტად აღმსარებელი, განზოგადებული პიროვნების, რომელიც კარგად იცნობს ანდრია კრიტელის „დიდ კანონს“

¹ დ. ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, „განათლება“, თბილისი, 1988, გვ. 9.

² ლ. ჯოხაძე „გალობანი სინანულისანი“, 2005, გვ. 15.

თარგმანში (იქნებ ორიგინალშიც), სახე, მაგრამ იმდენად ღრმად გაბრძნობილად და ღვთიურად, რომ მიჰყვეს ლიტურგიასა და ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებულ სისტემას. „აღნიშნული გარემოება წარმოშობს განმწმენდილ, ჯანსაღ სულს ყოველ მკითხველ-მთარგმნელში და სიტყვა იღებს მკურნალის ფუნქციას“¹

რუსულ ენაზე თარგმანი (ლ. გრიგოლაშვილი - ა. გოგეშვილი) მიზნად ისახავს ლიტურატურათმცოდნის, ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მკვლევარის ლ. გრიგოლაშვილის მიერ გააზრებულ და სხვა ენაზე გადმოცემულ „გალობანს“, რომელშიც იგივე მიზანსწრაფვას, მაგრამ ჩვენი, როგორც მკითხველის აზრით, უფრო დამდაბლებულია ავტორი, პიროვნების, უბრალო მოკვლევის დონემდე, ენობრივი გარსი კი რამდენადმე ხელოვნურია...

ამგვარად, თარგმანმა, უფრო ზუსტად, მთარგმნელმა სცადა ერთგან (ლ. ჯოხაძის ინგლისურ თარგმანში) ძირითადად ავტორის და მისი ლირიკული გმირის წარმოჩენა, ისე როგორც ქართულ ენაზე, ქართველი მკითხველი თუ მკვლევარი ჩაწვდებოდა მას, ანუ მეფე-პოეტად, რომლის სიტყვა არამცთუ სინანულია, არამედ მოთხოვნაც თითოეული მოკვდავისადმი, არ დაშორდეს ღვთისმძიმსგავსებულ ხატს. ეს ყოველივე თვით მთარგმნელის სათარგმნ ტექსტთან შემოქმედებით მიდგომაში გამოიხატა. ანუ მთარგმნელმა სცადა სხვა ენაზე მკითხველისათვის დავით აღმაშენებლის, როგორც ავტორისა და როგორც ლირიკული გმირის, სახის ჩვენება.

დანარჩენი თარგმანების ანალიზი ჩვენ არ გვიცდია, რამდენადაც იგი მოითხოვდა უცხოური ენის ფლობასთან ერთად, იმ ენაზე მოლაპარაკე ენის რელიგიურ-მსოფლმხედვე-

¹ იქვე.

ლობრივ შესწავლასაც, რაც, ბუნებრივია, აუცილებელია გათვალისწინებულ უნდა იქნას მკითხველისათვის მისი მიწოდების შემთხვევაში.

როგორ წარმოჩინდა დავით აღმაშენებელი, როგორც პიროვნება, კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ რუსულ ენაზე თარგმანში?

აღნიშნული საკითხისათვის თავდაპირველად აუცილებელია თვალის გადადევნოთ „დავით აღმაშენებლის“ ორიგინალისა თუ თარგმანის შექმნის პროცესებს, რომლის პერიპეტეიბიც გასაოცარი სიზუსტითა და ჭეშმარიტებით აისახა სოსო სიგუას შესანიშნავ გამოკვლევა-ქრონიკაში „მარტვილი და ალამდარი“ (ტ. 1, 1997).

„დავით აღმაშენებელი“ კინოსცენარით დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიამ. იგი მალევე მოჰყვა „ბელადს“, იგი უნდა ყოფილიყო სხვა ისტორიულ თემაზე შექმნილი სცენარების გაგრძელება.

„1939 წლის 17 დეკემბერს კონსტანტინემ სცენარის პროექტი წარუდგინა კინოსტუდიას. თან დირექტორს სთხოვა, დირექციის წევრებისა და კონსულტანტების გარდა ხელნაწერი არავის წაეკითხა... პროექტი წარდგენილი იყო ქართულ და რუსულ ენებზე“¹ აკაკი გაწერელიას კი ჯერ კიდევ 1939 წლის 27 ივლისს აცნობებდა, რომ ამზადებდა ტრილოგიას - „დავით აღმაშენებელი“. პროექტი ვერ გავიდა. ავტორმა იგი არქივს მიაბარა და უკვე რომანზე დაიწყო მუშაობა.

კ. გამსახურდია ეცნობოდა მასალებს რომანის ირგვლივ, კითხულობდა უამრავ ლიტერატურას.

¹ ს. სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, ტ. 1, „დიდოსტატი“, თბილისი, 1997, გვ. 221.

თვით ავტორი არაერთგზის იმეორებდა თავისი წიგნების ბოლოსიტყვაობებში, რომ ძნელია და საპასუხისმგებლო ისტორიულ ამბებზე წერა: „საერთოდ, წარსულის ასახვაში დიდი ზომიერებაა საჭირო. ყოველ ერს უთუოდ ფრიად ვნებს როგორც გულსაყრა და ნიჰილიზმი წარსულის მიმართ, აგრეთვე მონსტრუალობის, ბუმბერაზობის მანია... ისტორიული მასალის გადამუშავებისას მე მუდამ ვცდილობდი, არ გადავცდენოდი იმ სამანებს, რომელნიც მოცემულია როგორც ქართული, ისე მეზობელ ერების მატრიანებში...

დავით მეფის ბრწყინვალე ფიგურას არც ესაჭიროება „მონსტრუალობა“. იგი თავის ეპოქის უმამაცესი და უგანათლებულესი სუვერენი იყო იმ ბნელ საუკუნეებში, როცა გერმანიის იმპერატორები ძლივს ითვისებდნენ წერა-კითხვას¹. „მოგზაურობისა და განსწავლის წლებში დიდხანს ვატოლებდი და ვაზომებდი მას ბიზანტიის იმპერატორებს: მაკედონელთა დინასტიის მოუხეშავ კეისრებს, უზურპატორ კომნენებს, კაპეტინგებსა და მეროვინგებს, არაბეთის ხალიფებსა და სასანელთა მეფეებს, ჰიპოხონდრიულ ბურბონებსა და ექსცენტრულ ვალუას, იტალიის გარყვნილ ტირანებს, ჩეზარე ბორჯიასა და სფორცას თავადებს, ბნედიან ჰოჰენცოლერნებს, ვიტტელსბახებსა და გაკრეტინებულ რომანოვებს, საქართველოს დამხობისა და დაქცევის პერიოდში წარმოშობილ უჭკუო მეფეებს, რომელთაც ისეთივე უნიჭო შაირები დაგვიტოვეს, როგორიც პოლიტიკა ჰქონდათ...

ამ შედარებისას უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემს გულში სიყვარული და თავდადება დავით მეფისადმი, რომელსაც ჩვენ ვაფასებთ უპირატესად, როგორც თავკაცს ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა

¹ კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი რვა ტომად, ტ. 3, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960, გვ. 716.

ისლამური ობსკურანტიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ...

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, დავითის ვაჟკაცობამ, მისმა ბრძნულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის თავგამებულმა ბრძოლამ გადაარჩინა XIII. კავკასია როგორც გამუსლიმანებას, ისე ფიზიკურად განადგურებას¹.

ამ მიზნის განხორციელებას 20-ზე მეტი წელი დაჭირდა. მიუხედავად უამრავი დისკუსიებისა, რომლებიც თან სდევდა რომანის პირველ, მეორე წიგნებს, მესამე-მეოთხეზე მუშაობა მაინც შეძლო ავტორმა და აი იგი დასრულდა 1962 წლის 26 მაისს. რამდენადაც 26 მაისის ხსენება დაუშვებელი იყო, ავტორს დაუწერია 25 მაისი, ბოლოსიტყვაობას კი - 28 მაისი.

IV წიგნმა დღის სინათლე იხილა რვატომეულის IV ტომში, 1962 წელს.

რომანის შექმნის პარალელურად იწყება მისი თარგმნაც რუსულ ენაზე. ეს პირველი რომანი არ იყო ნათარგმნი უცხოურ ენებზე. მას ბევრი წინამორბედი ჰყავდა, მაგრამ თავად ქართველ მეფეზე ტეტრალოგიის გამოცემა მაშინ, როცა ალექსეი ტოლსტოის „პეტრე დიდი“ იყო გამოქვეყნებული, ვერ მიიღეს სასურველად ზოგიერთებმა, რადგან ს. სიგუას სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავით აღმაშენებელი“ ალექსეი ტოლსტოის ალტერნატივად აღიქმებოდა...“ „თურმე მწერალს ეს მაინც უნდა ეჩვენებინა, შეექმნა უძველესი ერთიანობის ილუზია, რომ ქართველი ისტორიულად რუსის ხელის შემყურე იყო“².

თუმცა რომანი მაინც ითარგმნებოდა 1942 წლიდან (ჯერ „Новый Мир“-ში), რასაც მოჰყვა „Литературная Газ-

¹ იქვე, გვ. 717.

² ს. სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, ტ. 1, გვ. 253.

eta“-ში ბ. ზახოდერის სტატიაც, „რაც განამტკიცებდა ქართველი მწერლის რეპუტაციას რუსი ინტელიგენციის თვალში“¹

ცნობილი ვიქტორ შკლოვსკი ამზადებს ახალ უარყოფით რეცენზიას კ. გამსახურდიას რომანზე, რასაც მოჰყვა ავტორის პასუხიც. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობს კ. გამსახურდია რომანის ქართული და რუსული გამოცემების ბოლოსიტყვაობებში. 1947 წელს რუსულ ენაზე გამოდის რომანის I და II ტომები, 1949 წელს „Заря Востока“-მ გამოიცა 15 ათასიანი ტირაჟით მეორე წიგნის ავტორიზებული თარგმანი.

ამ პერიოდში დაიჭრა და განადგურდა „სახელგამის“ მიერ რომანის მესამე წიგნი, რომელმაც დღის სინათლე 1953 წელს იხილა მხოლოდ, შესწორებული და გადამუშავებული სახით.

რუსულ ენაზე თარგმანი კი მესამე წიგნისა 1954 წელს გამოსცა „Заря Востока“-მ.

ავტორმა 1954 წლის 19 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც რუსულად გამოვიდა „დავითის“ მესამე წიგნი, განცხადებით მიმართა „Заря Востока“-ს ღირექტორს მარკ ზლატკინს, რათა 1955 წლის გეგმაში შეეტანა „დავითის“ I და II წიგნები“².

„კონსტანტინე რუსულ გამოცემებსაც ყურადღებით ეკიდებოდა. მაგრამ ადეკვატური თარგმანის საშუალებას არ აძლევდნენ, ხან მთარგმნელები, ხან რედაქტორები ტექსტს ცვლიდნენ, კვეცავდნენ, რათა რუსი მკითხველი არ შეცნებულყო“³ - სინანულით აღნიშნავს ს. სიგუა.

¹ იქვე, გვ. 297.

² იქვე, გვ. 348.

³ იქვე, გვ. 348.

რუსულ ენაზე რჩეული თხზულებათა დასაბეჭდად გამოცემას ხელი მოეწერა მხოლოდ 1964 წლის 16 ოქტომბერს. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ, რადგან „საბჭოეთის დედაქალაქი არ ღებულობდა კონსტანტინეს და აიძულებდა მხოლოდ თბილისში ებეჭდა წიგნები, ამიტომ დაიწყო „მერანის“ რუსულმა რედაქციამ რვატომეულის გამოცემა.

1971 წელს საკავშირო მასშტაბით გამოცხადდა ხელმოწერა. თბილისი სცემდა რუსულ რვატომეულს 200 ათასი ტირაჟით. მსურველი მეტი იყო, მაგრამ რესპუბლიკას ქალაქი არ ჰყოფნიდა.

მწერლის ინიციატივას ახორციელებდა მარკ ზლატკინი, რომლის ღვაწლს მცირე ესსეთი გამოეხმაურა მაღლიერი კონსტანტინე.

გამოცემულ ტომებს დუმილით ხვდებოდა მოსკოვი, არც აქებდა, არც აძაგებდა¹.

ეს ვრცელი ექსკურსი რუსულ ენაზე „დავით აღმაშენებლის“ გამოცემის ისტორიიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერლობისადმი კონიუქტურულ დამოკიდებულებას საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელების მხრიდან.

ჩვენი ყურადღება რამდენიმე გამოცემაზე მახვილდება: I „დავით აღმაშენებლის თარგმანი რუსულ ენაზე I-II ტ. (1956) (გამომცემლობა „Зарья Востока“), III-IV ტ. I, ნაწილი (1958) და გამომცემლობა „მერანის“ რვატომეულიდან IV ტ. (წ. III-IV) (1975 წ.).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ყველა გამოცემას აწერია „Перевод с грузинского“ და მხოლოდ სარჩევშია მითითებული მთარგმნელთა ვინაობა.

¹ იქვე, გვ. 384.

„დავით აღმაშენებლის“ ტეტრალოგიის პირველ ტომში 1956 წელს მთარგმნელებად მოხსენიებული არიან ელიზბარ ანანიაშვილი (წიგნი I) და გ. ცაგარელი და ვ. ელსნერი (წ. II), I და II ტომში (1958): მირანდა ფალავანდიშვილი, ანატოლი ფოკინი (წ. III - ავტორიზებული თარგმანი) და ლუდმილა პლატონოვა (III -IV წიგნის I - II ნაწილები).

რვატომეულის IV ტომზე (წ.III) მთარგმნელად დასახელებულია ლუდმილა პლატონოვა.

ამრიგად რომანის რუსულ ენაზე მთარგმნელები არიან ე. ანანიაშვილი, გ. ცაგარელი, ვ. ელსნერი, მ. ფალავანდიშვილი, ა. ფოკინი, ლ. პლატონოვა.

უნდა გამოვხატოთ ჩვენი გაცეცხვაც. როგორ უნდა გადმოეცა თითოეულ მთარგმნელს, წინა თარგმანის სტილი, მიმართულება. აღნიშნულ საკითხს ჩვენ სხვა წერილებში მივუბრუნდებით, ახლა კი ყურადღებას შევაჩერებთ IV ტომის მეორე წიგნის ბოლო თავზე, „უკანასკნელი ომი“, რომელსაც თავად ავტორი მიიჩნევდა ღირსეულად.

„უკანასკნელ ომს“ წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის „გალობანიდან“, რომლის თარგმანიც ერთვის რუსულ თარგმანს და წარმოადგენს „გალობანის“ თარგმანის კიდევ ერთ ვარიანტს და საკმაოდ მაღალმხატვრულსაც.

კ. გამსახურდია ტეტრალოგიის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „თავდაპირველად აგრე მეგონა, თითქოს მე ვწერდი მარტოოდენ ქართულ ენაზე მეტყველთათვის, მაგრამ მრავალმა გულტფილმა წერილმა, რომელნიც მომდიოდა და მომდის ღღემდის, ოთხი ოკეანის ნაპირებზე მდებარე ხალხთა შვილებისაგან, გამახარეს და დამარწმუნეს, რომ ჩემმა შრომებმა თანაგრძნობა გამოიწვიეს არა მარტო საბჭოეთის, არამედ ევროპის და აზიის სხვადასხვა ერების გულში.

თავის დროზე ეს აღინიშნა ქართულსა და ფრანგულ პრესაში. ამ კორესპონდენციების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია და ჩემს არქივში ინახება.

იგიც სასიხარულო იყო ჩემთვის, ჩემი რომანები ჩემგან დამოუკიდებლად რომ ითარგმნა და ითარგმნება მრავალ ენაზე¹.

ამდენად კ. გამსახურდიას სიხარულს ჰგვრიდა რომანის თარგმნა უცხოურ ენებზე და უცხოური სამყაროსათვის საქართველოს ისტორიის ეპიზოდების მხატვრული წარმოჩენა, მაგრამ, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ეს დავით აღმაშენებლის გამორჩეულობამაც განაპირობაო.

ბოლო თავიც თითქოს შეჯამებაა თვით მეფის, მეომრის და პოეტი-აღმსარებლისა პიროვნების დასახასიათებლად.

თუმცა უძლურებას გრძნობს დავითი, მაგრამ მისი ფიქრი ისევ თავის ქვეყანას დასტრიალებს, ამიტომ ელანდება მალემსრობლშიც მტრის ხატი, ამიტომაც იწერება მისი უკანასკნელი აღსარება და სინანული მაცხოვრისა და ღვთისმშობლისადმი, როგორც უწოდებენ მის „რექვიემს“.

ამ თავში მეფის პიროვნება გამოკვეთილია უკვე, მშვიდობიანობის ჟამს, თუმცა ეს არ აძლევს უფლებას, იცხოვროს უზრუნველად სრულ სიმშვიდეში. ამიტომ მიმართავს იგი ნიანიას, მოვალ კიდევ დრო, როცა ბევთარი საჭირო გახდება და თითოეულ მათგანს, იქნება ის მონა თუ ბატონი, მარტოს მოუწევს მასთან გამკლავება.

აშკარაა მთარგმნელი ლ. პლატონოვა კარგად ჩაწვდა ორიგინალის ტექსტს და სწორედ ის გადმოსცა სხვა ენით, რაც ავტორს ჰქონდა გამიზნული: „Не печалься, Нианиа, и знай: у нас с тобой ожидают ещё более ожесточенные

¹ კ. გამსახურდია, ტ. IV, გვ. 802-803.

битвы, ратные доспехи нам ещё понадобятся... И что самое главное, напоследок каждому из нас предстоит великая битва, в которой и царью и его рабу суждено сражаться в одиночку...¹.

მთარგმნელის პოზიცია გარკვეულია და, მიუხედავად, „დავით აღმაშენებლის“ სხვადასხვა ტომებისადმი ქართული თუ რუსული კრიტიკის თავდასხმების პერიპეტეიებისა, მწერლის წინააღმდეგობებისა თავსმოხვეულ პოზიციებთან, იგი ერთი შეხედვით, ჭეშმარიტად წარმოადგენს კ. გამსახურდიას მხატვრული სიტყვის გათავისების შესანიშნავ ნიმუშს. აქ დავითი წარმოგვიდგება ისეთ მეფედ და პიროვნებად, როგორსაც სცნობს ისტორია და, თუმცა მშრალი, ფაქტებს დამყარებული მატრიანე, სიტყვა უცხო მკითხველისათვის შთამბეჭდავია და ამაღლებული, პიროვნება გამოკვეთილი. და თუმცა ეს დასკვნა მეტ-ნაკლებად ზედაპირულ შესწავლად გვეჩვენება, რადგან საკითხი საკმაოდ ღრმა, საფუძვლიან კვლევას გულისხმობს როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე თარგმანმცოდნეობის კუთხით, აშკარაა:

„ამას წინათ, კალუგიდან მომწერა მოხუცებულმა მასწავლებელმა ქალმა. იგი მეკითხებოდა: ბოლოს და ბოლოს, როდის შეირთავს დავით მეფე დედისიმედს? სად არის მეოთხე წიგნი?“ დიან, დავით აღმაშენებელი, როგორც პერსონაჟი, ნამდვილად კარგად აღიქვა უცხოელმა მკითხველმა, სიუჟეტური ძაფიც არ დაიკარგა. ეს კი ზოგადად ნიშნავს რომანის თარგმანის წარმატებასაც.

¹ К. Гамсахурдиа, Давид строитель. Из собр. соч. в 8 томах. т.4, «Мерани», Тбилиси, 1975, стр. 441.

დამოწმებანი:

1. დავით აღმაშენებელი. Давид Строитель. Dawit der Erbauer. გალობანი სინანულისანი. Покаянный канон. Reuegesange. თბილისი - Тбилиси – Tbilissi, 1989;
2. დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი. David the Builder of Georgia. The Kanon of Repentance. თბილისი, 2005;
3. დალი ფანჯიკიძე. „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „განათლება“, თბილისი, 1988;
4. გიორგი წიბახაშვილი. „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“, თსუ, თბილისი, 2000;
5. კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, თბილისი, 1980;
6. გსსუ ჰუმ. მეცნიერებათა ფაკ. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №14, 2016;
7. სოსო სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, ტ. 1, „დიდოსტატი“, თბილისი, 1997;
8. კ. გამსახურდია, რჩ. თხზ. 8 ტომად, ტ. 3, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960;
9. კ. გამსახურდია, რჩ. თხზ. 8 ტომად, ტ. 4, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962;
10. К. Гамсахурдиа «Давид Строитель» 1-2 «Зарья Востока», Тбилиси, 1956;
11. К. Гамсахурдиа «Давид Строитель» 3-4 «Зарья Востока», Тбилиси, 1958;
12. К. Гамсахурдиа. Собр. соч. т. 8 томах, т. 4, «Мерани», Тбилиси, 1975.

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University

**DAVID THE BUILDER OF GEORGIA “THE CANON
OF REPENTANCE” AND K. GAMSAKHURDIA'S
NOVEL TRANSLATIONS OF FOREIGN LANGUAGES
RESUME**

A kind of literary-translation - from one language to another, itself becomes the beginning of a new stage in literary life or critical thinking.. Therefore, translation of a Georgian literary text in a foreign language also to internalize the work to another world, which imposes great responsibility on the translator. Especially if it refers to a sample of an old Georgian literature. It was not randomly selected the work "Hymns of Repentance", by the king and a political figure, philanthropist and poet Davit the Builder (1073-1125). Translating the creative work into foreign languages caused an interest in the last century 80-ies of the (Russian, German languages), I. Grigolashvili, A. Gogebashvili, V. Ofermas), which was followed by the English translation (translated by L.Jokhadze) in early XXI century.

The writer and novelist of the XX century-Konstantine Gamsakhurdia, created a historical tetralogy "Davit the Builder" The issue of translating the same work into Russian-language sprang up. The translation was made with the participation of. E. Ananiashvili, G. Tsagareli, V. Elsner, Anatoly Pokin, Lyudmila Platonova and even the wife of the writer, Miranda Palavandishvili, to whom belongs the translation of the third book of the authorized translation. Our attention is drawn to the latter, but not the translation of this article is intended to be summarized the discussion by translational direction, but the question of how the translation displayed the Georgian king, politician, personality, as an author and as a character of a novel.

იგორ კეკელია
მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის
შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ევროპელი ავტორები სამეგრელოს შესახებ (ედმუნდ სპენსერი)

ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – კარლ კოხის მიერ შედგენილი, თარგმნილი და ქალაქ ლაიფციგში 1855 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული კრებული – „კავკასიის ქვეყნები და სომხეთი“, მნიშვნელოვანი წყაროა XIX ს-ის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით. კრებულში გაერთიანებული ხუთი ავტორის თხზულებიდან ჩვენ ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ **ედმუნდ სპენსერის** უაღრესად საინტერესო ისტორიულ მასალას – „მოგზაურობას ჩერქეზეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს გასწვრივ“. კრებული სწორედ ამ ცნობებით იწყება¹.

ე. სპენსერის მოგზაურობა პოლიტიკურად რთულ და საინტერესო პერიოდს დაემთხვა. ეს ის დროა, როცა საქართველოს ფაქტობრივად „დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის მარწუხებში იყო მომწყვდეული“². დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი (ოდიში, გურია, იმერეთი, აფ-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981, გვ. 10-11.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 13.

ხაზეთი) რუსეთის იმპერიის კონტროლქვეშ იყო. „ეს ვითარება, – შენიშნავს ლ. მამაცაშვილი, – თუმცა საყოველთაოდ ცნობილი და კარგად შესწავლილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაინც ყოველი ახალი წყარო, რომელიც ამ პერიოდს ეხება, დიდი ინტერესის აღმძვრელია და გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ისტორიის შესწავლის დროს“¹.

კავკასიაში სამოგზაუროდ ჩამოსულ ე. სპენსერს, მეცნიერულ ინტერესებთან ერთად, პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდა. ევროპული ორიენტაციის გამოშნატველ მის ჩანაწერებში საკმაოდ გამოკვეთილად იკითხება უკმაყოფილო დამოკიდებულება რუსეთის ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკისადმი. სპენსერის უპირველესი მიზანი, ლ. მამაცაშვილის აზრით, „როგორც დ. ურქარტის თანამშრომლისა და რეზიდენტისა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არამეცნიერული იყო. ამიტომ იგი უფრო მეორე ჯგუფის მოგზაურთ უნდა მივაკუთვნოთ“².

მოგზაურის ჭეშმარიტი სახე და ის რეალური იმპულსი, რამაც სპენსერს კავკასიის ქვეყნებში მოგზაურობისკენ უბიძგა, ლ. მამაცაშვილს ასე ესახება: კავკასიაში კაპიტან სპენსერის გამოჩენა დაემთხვა კავკასიაში ინგლისური დაზვერვის განსაკუთრებული აქტივიზაციის პერიოდს. ოფიციალური ცნობების მიხედვით იგი მიჩნეულია ინგლისის რეზიდენტად ჩერქეზეთში და ინგლისის კომერციული პოლიტიკის ინტერესების დამცველად კავკასიაში. სწორედ ამ მოტივით

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 13-14.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 15.

იყო ნაკარნახევი სპენსერის თანაგრძნობა ჩერქეზებისადმი რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში¹.

სპენსერი დიდ დაინტერესებას იჩენს და დეტალურად აღწერს შავიზღვისპირა სანაპიროზე მდებარე ყველა სამხედრო პუნქტს, ციხესიმაგრეს, დიდ ნავსადგურებს, მათ ადგილმდებარეობასა და სტრატეგიულ მნიშვნელობას. ამ მრავალმხრივ საინტერესო ჩანაწერების სხვა ისტორიულ მასალასა და, წყაროებთან შეჯვრებით, შევეცდებით, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ XIX ს-ის I მესამედის სამეგრელოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაზე.

სამეგრელოს სამთავროში მოგზაურობაზე მოთხრობილია სპენსერის თხზულების IV თავში („სამეგრელო და სვანეთი“).

მოგზაური სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან, კერძოდ სოხუმიდან, ეწვია. სპენსერი აღტაცებულია სამეგრელოს გაუვალი ტყეებით და მარადიული თოვლით დაფარული მთაგრენილებით, მთის მაცხოვრებელთა სახლებითა და დამუშავებული ველ-მინდვრებით. მოგზაური იმედოვნებდა, რომ ამ მშვენიერი ბუნების მფლობელი ხალხი მალე ხელს გამოიღებდა, იარაღით აღიჭურვებოდა და გაილაშქრებდა იმ დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე აფერხებდნენ მათ წინსვლას. დამპყრობელთაგან განთავისუფლების შემდეგ ეს ქვეყანა მაგნიტით მიიზიდავს უამრავ ტურისტს, ხელოვნების მოყვარულს, მინერალოგს, ბოტანიკოსს, გეოლოგსა და ყველას, ვისაც აინტერესებს მსოფლიოში უძველესი და მიმზიდველი ხალხის ისტორია, პოეზია და თქმულებები. ამ დიდებული სანახაობის

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 21.

პატრონმა ხალხმა დიდი სიამაყე გამოიჩინა და შეძლო, რომ წინ აღდგომოდა ისეთ ძლიერ მტერს, როგორცაა ჩრდილოეთის მძვინვარე დესპოტი რუსეთი. კავკასიაზე გადავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებისაკენ სწრაფვას წინ გადაეღობა მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი (გულისხმობს კავკასიელებს, მათ შორის, მეგრელებს), „რომელსაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა ურჩევნია უცხოელების ოქროს და მშობლიურ მთებსა და თავისუფლებას ამჯობინებს უცხოელების მიერ შემოთავაზებულ სიმდიდრესა და ბრწყინვალეობას“¹.

სოხუმ-კალეს ნავსადგურის შემდეგ ედმუნდ სპენსერი ასახელებს კელასურის, კოდორის, ილორისა და ანაკლიის ყურეებს და აღნიშნავს, რომ ანაკლია მდებარეობს ძველი ჰერაკლიას ადგილას, იქ, სადაც ინგური და აფიზი ერთმანეთს უერთდება. „ამჟამად იგი მეთევზეობის სოფელია. – წერს სპენსერი, – შავი ზღვის ეს უბანი სავსეა განსაკუთრებული ჯიშის თართით, რომელიც აქ კეფალის სახელწოდებითაა ცნობილი და საუკეთესო ხარისხის ხიზილალა აქვს. ინგურსა და აფიზში მოიპოვება კალმახი, ხოლო ნაპირთან დიდი რაოდენობით არის ქაშაყი, რომელიც ზომით პატარაა, მაგრამ გემრიელი თევზია“².

ანაკლია ეწოდება სოფელს ამჟამინდელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვის ნაპირას, მდ. ენგურის შავ ზღვასთან შესართავის მარცხენა მხარეს. იგი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს ანაკრიას ფორმით:

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 137.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 137.

ენგური „...მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოს-
მალთა... ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს
ციხე... შემდგომად შემუსრეს ოსმალთა ციხე... და ამის ქვეით
აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“¹. უცხოურ და ქართულ კარ-
ტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დას-
ტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. ლევან II დადიანის
1628 წლით დათარიღებულ შეწირულების სიგელში აღნიშ-
ნულია, რომ მთავარს ბიჭვინტის ღვთისმშობლისთვის შეუწი-
რავს „ანაკლიას კოჩილაი ჩოღია... კიდევ ანაკლიას ფაცულაი
წაწულუა“².

ფრანგ და იტალიელ მისიონერებს და მოგზაურებს მი-
აჩნდათ, რომ ანაკლია ანტიკურ ხანაში არსებული **ჰერაკ-
ლეა**. ასე, მაგალითად, მიქელ თამარაშვილის ცნობით, ლუი
გრანჟიე ანაკლიას მოიხსენიებს ჰერაკლეს სახელით. წერი-
ლი 1615 წლით თარიღდება და წარმოადგენს უძველეს წე-
რილობით წყაროს, სადაც ანაკლია პირველად დასახელე-
ბული³. არქანჯელო ლამბერტი კოლხიდის (ოდშიის) მონას-
ტერთა ჩამონათვალში ასახელებს **ანაკრიას** (d' Anarghia) და
აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი ჰერაკლეა (Heraclea)
იყო⁴.

1823 წლის 7 ივნისს ანაკლიას სწვევია ფრანგი მოგ-
ზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელიც თავის სამოგზაურო

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექ-
სტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვი-
ლის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 779.

² ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ.
I, ტფ., 1921, გვ. 11.

³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,
ტფ., 1902, გვ. 204-205.

⁴ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ. 138.

ჩანაწერებში აღნიშნავს: „მეორე დღეს დილაადრიანად უკვე ანაკლიაში აღმოვჩნდი. იგი პონტოს სამეფოს ძველი ჰერაკლეს ერთ-ერთი კოლონია გახლდათ. ეს ნავსადგური გაშენებულია აჯისა და ენგურის შესართავთან. ძველად იგი ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლთან ძალზე მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა, რაც ძირითადად ტყვეთა სყიდვას ემყარებოდა“¹. შვეიცარიელმა პროფესორმა, საქართველოს გეოლოგიის პირველმა მკვლევარმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. იგი წერს: „როდესაც მივცურავდით ენგურის შესართავის სიახლოვეს, ამ ჩქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე თვალი მოვკარი ანაკრიას, ბერძენთა **ჰერაკლეს**, მისი ძველი ნანგრევებით“ (Фредерик Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа Сохуми, 1937). XVII ს-ის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე (1654 წ.) ენგურის შესართავთან აღნიშნულია დასახლებული პუნქტი ანარკია (Anarghia), ანუ **ჰერაკლეა (Heraclea)**².

ცნობილი ქართველი პოეტი ტიცციან ტაბიძეც მიიჩნევდა, რომ ანაკლია წარმომდგარია ბერძნული ახალშენის – **ჰერაკლეს** სახელისაგან³.

„უსაფუძვლო არ უნდა იყოს იმისი ვარაუდიც, – წერს მამანტი პაჭკორია, – რომ ძველად ენგურის შესართავთან ქალაქიც არსებულა. აქ ქალაქური დასახლების ხელშემწყობ

¹ შაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 94

² მსჯელობისათვის ვრცლად იხ. აბ. ტულუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდ., 1991; მ. პაჭკორია, ანაკლიის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 40

³ ტ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1966, გვ. 100, 138

ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ზღვისპირა პუნქტებიდან სვანეთისაკენ გამავალი სავაჭრო გზა, სვანეთის მთებიდან ძვირფასი ხე-ტყის ექსპორტი, ოქროს საძიებო ღონისძიებანი და სხვ. ჯერ კიდევ ლულოვიკო გრანჟერო, ხოლო შემდეგ არქანჯელო ლამბერტი და ჟან შარდენი ფიქრობდნენ, რომ სახელი ანაკლია ძველად აქ არსებული ქალაქის – ჰერაკლეას სახელწოდებიდან მომდინარეობსო. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, კლავდიოს პტოლემეოსის „ნეაპოლისი“ (ახალი ქალაქი) ენგურის შესართავთან ვივარაუდოთ. მაგრამ ასეთი ვარაუდების დამტკიცებას დამაჯერებელი საბუთები ესაჭიროება¹.

ქ. ჯერვალიძე და ნ. პეტრიაშვილი არ გამორიცხავენ იმ ფაქტს, რომ დღევანდელი ანაკლიის ტერიტორიაზე მდებარე დასახლებას ძველად პონტოს ქალაქ ჰერაკლეას მცხოვრებნი დაუფლებოდნენ, ან ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობით, ან – იძულებით. ავტორთა ვარაუდით ეს უნდა მომხდარიყო 424-423 წლებში².

საქმე ისაა, რომ ისტორიული წყაროების ცნობით, ზღვისპირა ქალაქი ჰერაკლეას სახელწოდებით პონტოს სამეფოში მდებარეობდა. იგი VI ს-ში მეგარიდან გამოსულ ღორიელ ბერძნებს დაუარსებიათ. ჰერაკლეა იყო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ერთადერთი ღორიული დასახლება.

ელჟარდ აიხვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანის სა-

¹ მ. პაჭკორია, ანაკლიის წარსულიდან, გვ. 40-41; საკითხის შესახებ იხ. მისივე, ენგურის სანაპიროზე, წიგნში – მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975, გვ. 5

² ქ. ჯერვალიძე, ნ. პეტრიაშვილი, ტოპონიმ ანაკლიას ეტიმოლოგიისთვის, ჟურნ. „ქართველოლოგია“, 1, იანვარი-თებერვალი, თბ., 2015, გვ. 80

კუთრებას¹. მოგზაური გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძვეს ანაკლია“². საინტერესოა აიხვალდის ცნობა მდ. ანაკლიის შესახებ: „...მდინარე ანაკლია ამ დროს არაა სიცოცხლისათვის უზიფათო გასასვლელად“³. „ანაკლიის“ სახელწოდებით მდინარე ცნობილი არაა. სოფლის ტერიტორიაზე გაედინება თიქორი, რაც ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (ანაკლიის თემი) უერთდება შავ ზღვას. მისი შენაკადია ღელე ფართოღალ, რაც სოფ. ცვანედან მოედინება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანაკლია თიქორის უწინდელი სახელწოდება ყოფილიყო, ან ამ სახელწოდების ქვეშ მოგზაური გულისხმობდა მდ. ენგურის მარცხენა ტოტს.

სპენსერის ცნობით, ანაკლია **ინგურისა და აფიზის შესართავთან** მდებარე მეთევზეთა სოფელია, ხოლო გამბა ანაკლიის ნავსადგურს, როგორც აღვნიშნეთ, **აფისა და ენგურის შესართავთან** მიუთითებს. მდინარე ან ღელე **აფიზის** სახელწოდებით ანაკლიასა და მის მიდამოებში ამჟამად არ არის ცნობილი. უცნობია, რა მდინარეს გულისხმობს მოგზაური ამ სახელწოდების ქვეშ. ასევე გამწვანებულია ჰიდრონიმ **აფის** ლოკალიზაციაც. ხომ არ არის ეს ანაკლიის მახლობლად, ზღვისპირეთში მდებარე სოფ. **განარჯვისმუხურის/განმუხურის** დამახინჯებული ფორმა? ცნობისათვის: თავდაპირველად ასე ეწოდებოდა ენგურის მარჯვენა მხარეს, მდინარის რკალ-

¹ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 184

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 211

³ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 197

ში მოქცეულ მინდორს, სადაც დამკვიდრებულა სოფელ შხეფიდან ორ ძმასთან – ბაიდიასთან და ჯათუსთან ერთად ჩამოსული მწყემსი განარჯია ხუფენია, და კარავი გაუმართავს¹.

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ანარკია**. აღნიშნული ფორმა დასტურდება ტოპონიმებში. კერძოდ, ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილის მონაკვეთს სოფ. ინგირის ტერიტორიაზე **ანარკიაშ შარა/ნაჭკირა** ჰქვია. იგივე სახელით იწოდება გზა ზუგდიდიდან ანაკლიისკენ, კახათის გავლით². მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაშიც სოფლის სახელწოდებად გვხვდება „ანარკია“ ფორმა³.

ანაკლიის შემდეგ სპენსერი იძლევა რელუტ-კალესკენ მიმავალი გზის აღწერას. აცხადებს, რომ სამეგრელოს ჭაობიან ნაპირებსა და დაბლობ ლანდშაფტს, მის ერთფეროვან პეიზაჟს, ცოტაოდენ აცოცხლებს შორეული კავკასიის ალპები და იმერეთის ზეგანი. სამეგრელოს დაბლობი, მართალია, დაფარულია ხშირფოთლოვანი ხეებით და ლელიანით, მაგრამ ამ უდაბურ ადგილს მაინც არ ატყვია ცხოვრების ნიშანწყალი⁴.

სპენსერი ზღვით მოგზაურობს სოხუმიდან სამეგრელოსკენ. ლუზა ეშვება შავ ზღვასთან ხობისწყლის (ძველი ციანესის) შესართავთან, იმ განზრახვით, რომ შემდგომშიც

¹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, გვ., 101, 102, 104.

² პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, გვ. 158.

³ კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1971, გვ. 60, 83, 107; მისივე, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979, გვ. 150.

⁴ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 137-138.

სწევოდნენ რუსეთის კიდევ ერთ ნავსადგურს შავ ზღვაზე – რედუტ-კალეს. მდინარის შესართავთან სამხედრო გემების მიმოსვლისთვის წყალს საკმაო სიღრმე აქვს, მაგრამ შესართავთან დაგროვილი ქვიშის მთა ნაპირთან მისვლას პატარა ნიჩბიანი ნავითაც აძნელებს. ნავსადგურის სავალალო მდგომარეობას ინგლისელი მოგზაური იმ ფაქტის დამამტკიცებლად მიიჩნევს, „რომ ბარბაროსი დამპყრობლები უყურადღებობას იჩენენ იმ დაჩაჩანაკებული მოსახლეობის მიმართ, რომელიც ერთ ღროს ასე ბედნიერად ცხოვრობდა ამ მიდამოებში“¹.

სპენსერის დაკვირვებით, როდესაც რედუტ-კალე თურქებისა და სამეგრელოს მთავრების ხელში იმყოფებოდა, მოქმედი კანონმდებლობით, ყველა გემს უნდა ჰქონოდა ბაგირზე მიმაგრებული რკინის მძიმე გემსათრევი, რომლითაც იგი თავის დატვირთულ გემს გზას უკაფავდა შესასვლელისკენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნავსადგურს რუსები დაეპატრონენ, მათ უარი თქვეს ასეთ იაფ და იოლ საშუალებაზე. ამის გამო ქვიშის მეჩეჩი ყოველწლიურად იზრდებოდა და დაჭაობებული მიდამოები ისეთივე საშიშროებას წარმოადგენდა ჯანმრთელობისათვის, როგორც იტალიაში – პონტინის ჭაობები². რუსეთის ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა სპენსერს გაუგებრად ეჩვენება და დასმულ კითხვას – რატომ აკეთებს ამას რუსეთის ხელისუფლება ხოფის მიმართ, თუკი მათი გეგმებისა და მიზნების შესაბამისად ეს პროვინცია მათი სრული საკუთრებაა?! – ასე პასუხობს: „შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდეს, რომ მათ არ სჯერათ მოსახლეობის ერთგულებისა და ფიქ-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 138.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 138.

რობენ, ამ გზით უფრო იოლი იქნება მეზობლებისაგან მათი მოწყვეტა და დამონება. ალბათ, მათ სურთ რამდენიმე წლის შემდეგ, ან უფრო უკეთ, პირველივე შესაფერის შემთხვევაში იგღონ ხელთ ორი შესანიშნავი ნავსადგური თურქეთის ნაპირზე: ბათუმი და ტრაპეზუნდი, რის შემდეგაც რელუტ-კალეს ნავსადგურისა და ფაზისზე მდებარე ფოთის შენარჩუნებისათვის დახარჯულ ფულსა და შრომას ფასი აღარ ექნება“¹.

სამეგრელოში გავრცელებულ ციებაზე ყურადღებას სხვა გერმანელი მოგზაურებიც ამახვილებენ. მაგალითად, ედუარდ აიხვალდი, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში ეწვია სამეგრელოს, წერს: „რელუტის მდებარეობა ძალზე არაჯანსაღია, რადგან აქ არაჩვეულებრივი ნესტია. როცა დიდი ნიადავები მოვარდებიან, მდინარე ხობი რამდენიმე ფუტით აიწვევს თავის კალაპოტში, ლეკავს მთელ არემარეს და ბევრი მიწაც თან მიაქვს. მდ. სივა (ცივი), რომელიც ბაზრის წინ მიედინება, ერთვის ხობს ამ უკანასკნელის ზღვაში შესართავიდან ერთ ვერსზე“². აიხვალდის თქმით, რელუტ-კალეს სამხედრო ჰოსპიტალში მეტწილად ცივი ცხელება (Kalte Fieber) გავრცელებული, რომელიც ხშირად ავთვისებიან ფაღარათში გადადის, ან იწვევს ჯირკვლებისა და ღვიძლის ქრონიკულ გაღიებას (გამკვრივებას), რაც სიკვდილით მთავრდება. გამოჯანმრთელებულები შრომისათვის გამოუსადეგარნი არიან და მათ, როგორც ინვალიდებს, რომელიმე გარნიზონში აგზავნიან“³.

მორიც ვაგნერი, რომელიც XIX ს-ის 40-იან წლებში იმყოფებოდა სამეგრელოში, აღნიშნავს, რომ „მეგრელები,

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 138-139

² ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 201

³ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 202

რომლებიც ამ ტყეებში გაფანტულად ცხოვრობენ, ძალზე ლამაზი ხალხია, მაგრამ სახეზე ფერმკრთალი. მათ აწუხებთ ის ავი ციება, რომელიც რუს ჯარისკაცებს ასობით ხოცავს“¹.

სპენსერის სამოგზაურო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ხობი ამ დროისთვის სანაოსნო მდინარეა. იგი ტბასავით მშვიდია და მასში დიდი ტვირთის მქონე გემები თავისუფლად მოძრაობენ წყლის საკმარისი სიღრმის გამო. მის დაჭაობებულ შემოგარენში, რედუტ-კალეს ნავსადგურიდან მოყოლებული, თითქმის ოცი ინგლისური მილის მანძილზე, უამრავი გარეული ვარხვი და წყლის ფრინველია. კიდევ ორი კმ-ის შემდეგ სპენსერი ასახელებს მეორე მდინარეს **ზაბას** სახელწოდებით, და დასძენს, რომ იგი „მხოლოდ შესართავთანაა სანაოსნო და ამიტომ უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ხობი“². მოგზაურის აზრით, ხობის სათავე ალპებში, კავკასიონის მთისწინეთშია. ამიტომ თოვლის დნობისა თუ ხშირი წვიმების დროს ძალზე დიდდება და მთელს მიმდებარე ტერიტორიას ტბორავს³.

ხობისწყლის სათავე ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2326 მ-ის სიმაღლეზეა და წარმოადგენს ამჟამინდელი ხობისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების მთავარ საწყლოსნო არტერიას. მდინარის სიგრძე 150 კმ-ია, აუზის ფართობი – 1340 კმ². მთავარი შენაკადებია ოჩხომური, ჭანისწყალი და ზანაძგა. წერილობით წყაროებში მოიხსენიება მდინარე და პუნქტი **ხობის/ხოვის** სახელწოდებით. ა. ლამ-

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 126

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 139

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 139

ბერტის მსჯელობით, ადგილს სახელი „ხოფი“ მდინარისგან მიუღია. „ტეხურს ანუ სივამეს მოსდევს ხობო (Cobo), – წერს მისიონერი, – რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი (Copi). ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირი თევზებით და ნავით სავალია იმ ადგილამდე, რომელსაც ჰქვია ხოფი. ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი“¹.

სპენსერისეული ზაბა იგივეა, რაც ცივი//ონოშქვერე. ასე ეწოდება არხს, ხობისწყლის მარცხენა შენაკადს ზღვიდან 1 კმ-ზე. მისი სათავე ძველ საღვამიჩაოშია², გაივლის სოფ. საბაჟოს³ და ერთვის ხობისწყალს ქარიატა-ყულევის საზღვარზე⁴. ცივს მარცხნიდან ერთვის ღელე ცია, რაც მოედინება ჭალადიდიდან, ადგილ კატალიონიდან.

XVII ს-ის ერთ-ერთი სიგელიდან ირკვევა, რომ მდინარეები – ცივი და ჭურია სახოფოს საზღვრებს წარმოადგენდა: „ჭვირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოველად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობელისა არის უცილობელი“⁵. ამჟამინდელი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცივის სახელწოდებით ორი მდინარეა: ერთი მდ. რიონის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს, ხოლო მეორე ხობისწყლის მარცხენა შენაკადია. ამ უკანასკნელს ციასაც ეძახიან⁶.

¹ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 200

² სოფელია ქვემო ჭალადიდის თემში, რიონის მარჯვენა ნაპირზე, საგვიჩიოსა და საჭოჭუოს შუა, ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ.

³ ქვემო ჭალადიდის თემის ცენტრია

⁴ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007, გვ. 211

⁵ ხობის მონასტერი, თბ., 2000, გვ. 45

⁶ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007, გვ. 225

ამ მდინარეს იცნობს გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი. ბაზრის ბოლოს, – წერს იგი, – ჩამოედინება პატარა მდინარე სივა (ცივი), რომელიც აქ ერთვის ხობს. ზღვასთან ახლოს თვით რედუტი მდებარეობს... აქ არის კომენდანტის საცხოვრებელი, ორიოდე შენობა გარნიზონისთვის, ყაზარმა, ჰოსპიტალი და დამხმარე შენობები ზოგიერთი მოხელისათვის¹.

მორიც ვაგნერი ფაზისსა (რიონი) და ხობს შორის ასახელებს ძველ წყალდამაკავშირებელ არხს, ე. წ. ცივაკანალს (Tsivakanal), რომელიც შავ ზღვას რედუტ-კალესთან ერთვის².

სპენსერი დაწვრილებით აღწერს რედუტ-კალეს გარეგნულ ისერ-სახეს: იგი აზიის ამ ნაწილში მდებარე სხვა დიდი და პატარა ქალაქების ზუსტი ასლია. აქ არის ბაზრები, ბინძური და მოუკირწყლავი, ვიწრო და გრძელი ქუჩები. პატარა, საცოდავი ხის სახლები ქოხებს უფრო ჰგვანან. ქუჩების ერთადერთი მწმენდავი ძაღლი და ძერაა. ქუჩის შუაგულში გაყვანილი თხრილი წყალსადენის როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ყველაზე მავნე ჰაერით გამოირჩევა მთელ შავი ზღვის სანაპიროზე და ჭაობის ანაორთქლი დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ქალაქი ვაჭრობის წყალობით მაინც ინარჩუნებს თავის კეთილდღეობას. რედუტ-კალეს ნავსადგურმა, ცენტრალურ აზიაში ინგლისური საქონლის ამ დიდმა საწყობმა, ადრინდელი დიდება მას შემდეგ დაკარგა, რაც რუსეთმა ჰერმეტიულად ჩაკეტა იგი³.

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 200

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 130

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 139

რედუტ-კალეს ზღვისპირა სანაპიროს აღწერა მოცემულია გერმანელი მოგზაურის – მორიც ვაგნერის სამოგზაურო ჩანაწერებშიც. ძლიერი მოქცევით აქაფებული შავი ზღვა მდინარეების შესართავს სილით და რიყის ქვით ავიწროებს, ხოლო ზოგჯერ სრულებით კეტავს. ამით სანაპიროს ზოლზე იქმნება ვრცელი ჭაობები, რის გამოც ხშირად მზარდი მცენარეულით მოფენილი სამეგრელო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი მხარეა¹.

თითქმის სპენსერის ცნობების ანალოგიურია ხობის-წყლის ვაგნერისეული აღწერილობაც: მდ. ხობი, რომელიც რედუტ-კალეს კვეთს და ქალაქთან ერთვის ზღვას, საკმაოდ ღრმაა და მოზრდილ გემებს შეუძლიათ მის კალაპოტში მშვიდად დგომა; ამას კი ხელს უშლის თვით შესართავთან დაზვინული ქვიშა. სამ ფუტზე მეტი წყალშიდის მქონე გემებს არ შეუძლიათ მდინარეში შესვლა და ამიტომ ყოველთვის ჩქარობენ ბარგის შეძლებისდაგვარად მალე გადმოტვირთვას, რომ მაშინვე გაბრუნდნენ ღია ზღვაში... მხოლოდ პატარა თურქული ცალიალქნიანი გემები ახერხებენ კოლხურ სანაპიროსთან უხიფათოდ დგომას, რადგან ძალიან დაბალი წყალშიდის გამო მდინარეთა თავთხელ შესართავებში ადვილად შედიან და ვაკე ადგილებში არც თუ დიდი გაჭირვებით ნაპირზე ამოათრევენ².

მორიც ვაგნერი, რედუტ-კალეს, ამ მეგრულ სანაპირო ქალაქს, შენების წესით გერმანულ იარმარკას ადარებდა, სადაც ორ რიგად ჩამწკრივებული ხის ბარაკის ტიპის სახლები მიწიდან ერთი ფუტის სიმაღლის ხის ბოძებზე იყო შემდგა-

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 134

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 134-135

რი. ასევე ხით ყოფილა ნაგები რუსი მოხელეების სახლები, ყაზარმა, ეკლესია და ა. შ.¹.

სპენსერი ვრცლად მოგვითხრობს რედუტ-კალეს დიდ ბაზრობაზე და ქალაქზე, მთელი თავისი ნაირსახეობით. აქ თავს იყრიან მახლობელი და შორეული მხარეებიდან სხვადასხვა უცხოური საქონლის საყიდლად ჩამოსულნი, სხვადასხვა ეროვნების ხალხი, მეზობელი მთიანი მხარეების მცხოვრებნი. მეგრელებისა და იმერლების გარდა მოგზაურს აქ შეხვედრია ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველები (ქართლელები), სპარსელები, ჩერქეზები, აბაზები, ლაზები, ლეკები, სომხები, ებრაელები, თურქები, თათრები... თითოეული მათგანი თავისი გამოძეტყველებითა და მოქმედებით ამჟღავნებდა თავისი ეროვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს².

რედუტ-კალეში სპენსერს მეგზურობას უწევდა პირველი მეფისნაცვალი, თავადი მიხეილ ვორონცოვი (1844-1856 წწ.). რუსეთის იმპერიის მიერ ხობისწყლის შესართავის სამხედრო-პოლიტიკური მიზნით დაკავების შემდეგ, რედუტ-კალე, როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთავარი ნავსადგური, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ რედუტის (სიმაგრის) შექმნა დაკავშირებულია 1804 წელს რუსეთის ჯარის ნაწილების განლაგებასთან. კ. სპასკი-ავტონომოვის აზრით, ცივი-ხობისწყლის შესართავთან მანამდე არსებულა სამეგრელოს თავად ჯაიანის სათვალთვალო კოშკი – **კულედ, ყულედ** წოდებული. ჯაიანის ძველი კულე (კალე) და რუსების ახალი რე-

¹ მორიცი ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 133

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 140

დუტი, წერს სპასკი, საფუძვლად დაედო ქალაქ რედუტ-კალეს სახელს¹.

ყულევი ეწოდება სოფელს და თემის ცენტრს შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ხობისწყლის შესართავთან. შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული **კემხელი//კემხალი** ქართველი მეცნიერების მიერ გაიგივებულია რედუტ-კალე-ყულევთან. 1840 წელს რედუტ-კალეს ქალაქის სტატუსი მიენიჭა². სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ საინტერესო მსჯელობაა მოცემული პ. ცხადაიას ნაშრომში: „რატომ დაერქვა ერთ ობიექტს – ხობისწყლის შესართავთან მდებარე ნავსადგურსა და დასახლებას – ორი სახელი – **რედუტ-კალე** და **ყულევი//ყულე**? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი და არაქართველი მკვლევრების მოსაზრებანი ასეთია: თავდაპირველი სახელწოდებაა **ყულე** (აღვ. ვარიანტი: **კულე**). ასე ეწოდებოდა ჯაიანის ძველ კოშკს. 1804 წელს კაზაკებმა მდინარის მარცხ. მხარეს ააგეს რედუტი. მაშასადამე, **რედუტ-კალე** არაქართული ჰიბრიდული სახელწოდებაა. იგი შედგება ორი უცხო სიტყვისაგან: **რედუტი** (ფრანგ.) „მცირე ციხესიმაგრე“ და **კალე** (თურქ.) „კოშკი“³.

ტოპონიმ **ყულევის** ეტიმოლოგიას შეეხო ენათმეცნიერი გურამ ბედოშვილი. მკვლევრის მოსაზრებით, **ყული//ყულე**-ძირიანი ტოპონიმები, ამ შემთხვევაში **ყულევი**, აგრეთვე **საყულია**, აღნიშნავს არა მონების გასაყიდ ადგილს, არამედ

¹ მსჯელობისათვის იხ. მ. პაჭკორია, ყულევის წარსულიდან. წგნ.: ფურცლები კოლხეთის წარსულიდან, თბ., 1974, გვ. 34

² პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, გვ. 220-221, და იქვე მითითებული ლიტ-რა

³ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, გვ. 221-222

ადგილს, სადაც ხატი, ჯვარი, ეკლესია ან რაღაც ისტორიული ძეგლი (ციხე, კოშკი, თავდაცვითი ზღუდე, ჯიხური და სხვ.) იდგა. XIX ს-ის დამდეგს ყულევს რომ **რედუტ-ყალე** ერქვა, იმაზე მიუთითებს, რომ აქ დიდი ციხე-სიმაგრე იდგა¹.

მეგრელები და იმერლები, – წერს სპენსერი, – ქცევი-თა და თავისი ჩაცმულობით ჩერქეზებს ჰგვანან, თუმცა გარე-გნობით ჩერქეზებზე ნაკლებ მიმზიდველნი არიან. ჩერქეზები გამომწვევი ქცევით და ცეცხლოვანი თვალებით გამოირჩე-ვიან². მეგრელებსა და იმერლებს რომ იარაღის ტარების უფ-ლება ეძლეოდათ, ამ გარემოებას მოგზაური იმით ხსნის, რომ ამ სამეგრელოსა და იმერეთში რუსეთს ჯერ კიდევ ვერ მო-უკიდებია მყარად ფეხი, რადგან ასეთივე უფლებით არ სარ-გებლობენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ქართველები და სომხები. „ასეთ ვითარებაში რუსეთის საოკუპაციო ჯარებს შეუძლიათ თავი ბედნიერად ჩათვალონ, ვინაიდან მათ სხვა რუსულ სიმაგრეებში მყოფ ჯარისკაცებთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ რედუტ-ყალეში მხოლოდ ერთადერ-თი მტრის – ჭაობების ანაორთქლის უნდა ეშინოდეთ“³.

რუსეთის იმპერიას, – აცხადებს სპენსერი, – სამეგრე-ლოს, იმერეთისა და გურიის პროვინციებში აჯანყების შიშით ვერ გაუბედავს თავისი თვითმპყრობელური მანქანის ამუშავე-ბა და სახაზინო და საპასპორტო სისტემის დანერგვა. ამას ხელს ის ფაქტორიც უშლის, რომ რუსეთს დაღესტნისა და ჩერქეზეთის მოსახლეობის წინააღმდეგაც უწევს ბრძოლა.

¹ გ. ბელოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიუ-რი ლექსიკონი. თბ., 2001, გვ. 453

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასი-ის შესახებ, გვ. 140

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასი-ის შესახებ, გვ. 141

„მათ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ამ ქვეყნისათვის მოხელეთა არმიის მისევა, რომ ძალმომრეობით გაეტარებინათ აქ თავისი დადგენილებები და კანონები. რუსეთი ხომ ჩვეულებრივ ასე იქცევა თავისი ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების მიმართ“¹.

სპენსერის დაკვირვებით, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში მმართველობის სულ სხვა სისტემის შემოღება მხოლოდ მას შეძდებოდა შესაძლებელი, როცა რუსები „შეძლებენ ჩერქეზებისა და დაღესტნელების დაუოკებელი და დაუმორჩილებელი სულის დამონებას“².

ადგილობრივი მთავრების, თავადებისა და თემის უხუცესთა ერთგულების მოპოვების მიზნით რუსეთის იმპერია პენსიების დარიგებასაც არ ერიდება, მაგრამ ის, რასაც რუსეთი პენსიას უწოდებს, ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ხარკს წარმოადგენს. რუსებმა რედუტ-კალეში სავაჭრო ამხანაგობა რომ იყოლიონ, ამისთვის სამეგრელოს მთავარი ყოველწლიურად 200 მანეთზე მეტს იღებს. და მაინც, განსვენებული იმპერატორის – ალექსანდრეს მმართველობის დროს, სამეგრელო, საქართველოსთან ერთად, რუსეთის პროვინციად გამოცხადდა³.

1801 წლის დასაწყისში ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შესახებ შედგენილ პაქტს ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა. 1801-1802 წლებში, როცა ქართლ-კახეთში რუსეთის ბატონობა მკვიდრდებოდა, დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფე ომს აწარმოებდა ოდიშის მთა-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 142

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 142

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 143

ვარ გრიგოლ დადიანთან. ამ ომში, მ. დუმბაძის თქმით, მეტ-ნაკლებად სხვა სამთავროებიც იყვნენ ჩაბმულნი¹. მეფე გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ახალი მანიფესტით ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა. ამის შემდეგ რუსეთმა დაიწყო იმერეთისა და ოდიშის მიმართ ვასალური გზით დამორჩილების პოლიტიკის გატარება, რადგან ქართლ-კახეთში მიღებული პირველი ორი წლის გამოცდილება, ისევე როგორც მოუშზადებლობა და აქ მყოფი ჯარების სიმცირე აიძულებდა დარჩენილი პოლიტიკური ერთეულების სრული გაუქმებისა და რუსული მმართველობის დაწესებისაგან თავშეკავებას². ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი, რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილი მიმართევებით – გადაერჩინათ იგი იმერეთის მეფე სოლომონ II-ისაგან, „ახლა თავისი სურვილებისაგან დამოუკიდებლად, ხელს უწყობდა რუსეთის გაბატონებას დასავლეთ საქართველოში“³.

სოლომონ II-ის ყველანაირი ცდა, გადაერწმუნებინა დადიანი, უშედეგო აღმოჩნდა – 1803 წლის ივლისში ოდიშის მთავარმა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა, ხოლო იმავე წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა სამფარველო ხელშეკრულებას, რითაც რუსეთის მთავრობა დადიანს სამეგრელოს მემკვიდრეობით მფლობელად და თავის მონა-მორჩილად სცნობდა⁴. იგი ამასთანავე თანხმობას აცხადებდა

¹ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 139

² მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 147

³ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 148

⁴ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 151, 152

სამთავროს ტერიტორიაზე „მუდმივ სამყოფელად“ შემოსულიყო რუსთა ჯარის გარკვეული რაოდენობა. დადიანი საგარეო და საშინაო მტრებისაგან თავისი ქვეყნის დაცვას და მის შიგნით „წესრიგის დამყარებას“ რუსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით ცდილობდა¹. 1803 წლის დეკემბერში გაფორმებული აღნიშნული ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1804 წლის 4 ივლისს იქნა დამტკიცებული². „ამრიგად, სათხოვართა პუნქტების საფუძველზე, – წერს მამია დუმბაძე, – დადიანის სამთავრო ამიერიდან ფაქტიურად ექცეოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც მისი ერთი პროვინციათაგანი, შეზღუდული ავტონომიური უფლებებით... დადიანმა დაჰკარგა ძველი ხელმწიფური უფლებები. რუსეთის დახმარებით იგი მხოლოდ სოლომონ მეფეს გადაურჩა, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს მთავარსარდლის სრულ მორჩილებაში მოექცა. სამეგრელოს მთავარმა ამით გაახანგრძლივა თავისი ხელისუფლების არსებობა და სოლომონ მეფის მიერ წართმეული მამულების დაბრუნების გარანტია მიიღო“³.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დადიანი სრულებითაც არ ფიქრობდა რუსეთის მთავრობის ინტერესებისათვის თავგანწირვას. მას რუსეთთან მიმართებაში საკუთარი ანგარიშები ჰქონდა და გარკვეული ინტერესები ამოძრავებდა. იგი არ ჯერდებოდა სამთავრო ხელისუფლების მინიჭების ნიშნად რუსეთის ხელმწიფისაგან ხმლისა და დროშის მიღებას,

¹ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 153

² მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 154

³ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 154

არამედ ითხოვდა სოლომონის მიერ წართმეული ციხეებისა და მამულების დაბრუნებას. ამასთანავე, სათხოვარი პუნქტების VI მუხლით აღიარებული უფლებებით, დადიანი, თუკი სამთავროში რუსები ახალ ქალაქს აშენდებდნენ, მისგან შემოსავლის ნაწილს მიიღებდა¹. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ედმუნდ სპენსერის ცნობა, რომ რუსები, რელუტკალეში სავაჭრო ამხანაგობის ყოლის უფლებით, ოდიშის მთავარს ყოველწლიურად 200 მანეთზე მეტს უხდიდნენ.

სპენსერს უყურადღებოდ არ დარჩენია სამეგრელოს მოსახლეობის რელიგიური მრწამსიც. მოგზაური შენიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნის. „მაგრამ განა შეიძლება ეწოდოს ქრისტიანი იმ ხალხს, რომელსაც წარმართობის ზოგიერთი ადათ-წესი აქვს შემორჩენილი, მაგალითად, ერთმანეთისაგან ძნელი გასარჩევია ძველი კერპთაყვანისმცემლობა და ქრისტიანული წესი პირუტყვის, როგორც დასახსნელი მსხვერპლის შეწირვისა. ეს ჩვეულებები საყოველთაოდ ცნობილია მეგრელებსა, იმერლებსა და ქართველებს შორის, განსაკუთრებით კი ამ პროვინციების ე. წ. მთიანი მხარეების მოსახლეობას შორის“².

მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლების, ასევე პატარა სამფლობელოების მთავრებისა და უხუცესების, რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულებას სპენსერი პირადი ინტერესებით, კერძოდ, რუსეთისაგან პენსიების მიღებით ხსნის; თუმცა იქვე დასძენს, რომ ხალხი რუსეთის მთავრობის მიმართ სიძულვილის გრძობითაა გამსჭვალული. სწორედ ამიტომ ბრძოლებმა სამეგრელოს ნაპირებს მიაღწია და სავსე-

¹ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 153-155

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 143

ბით შესაძლებელია, რომ „მეგრელებმაც იარაღით ხელში გაილაშქრონ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც კი, ერთი მხრივ, თურქები, მეორე მხრივ, შამილის მომხრეები, ჩეჩნები და ლეკები გაიმართებიან წელში და ფეხს მოიმაგრებენ“¹.

მშობლიური ენის განდევნა პოლიტიკური ცხოვრებიდან, ქვეყანაში მკვიდრთათვის უცხო და გაუგებარი სამართლებრივი ნორმების დაწესება, რუსი სამხედრო მოხელეების თვითნებობა და სხვ., იყო ის ძირითადი მიზეზები, რაც უცხო მმართველობის მიმართ ხალხს სიძულვილის გრძნობით განაწყოდა. „თუ დასაწყისში გლეხები რუსეთისაგან მოელოდნენ თავიანთი ბეჩავი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახლა ისინი უკვე გრძნობდნენ ექსპლოატაციის გამწვავების პირველ ნიშნებს“².

მოგზაური აღნიშნავს, რომ მეგრელები, იმერლები და ქართველები ერთი და იგივე ხალხის ჩამომავლები არიან, ოღონდ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი წინაპრების ძლიერება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავრები თვითონ დაუკავშირდნენ თავის შუერივებელ მტრებს – სპარსელებსა და თურქებს, მათ დაკარგეს ქვეყნის გამგებლობის უფლება. „შეიძლება ითქვას, – წერს სპენსერი, – რომ რუსებს კავკასიაში არ ჰყავთ ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორიცაა საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს მთებსა და ხეობებში დასახლებული ტომები. არავის არ შეუვიწროვებია ისე რუსეთის ჯარები თბილისი-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 144

² მ. ღუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 145

დან დაღესტანში გადასვლისას, როგორც ზემოხსენებულ ხალხს“¹.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი ინგლისელი მოგზაურის – ედმუნდ სპენსერის სამოგზაურო ჩანაწერების მნიშვნელობა, რითაც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ივსება ჩვენი ცოდნა XIX ს-ის I მესამედის ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიულ წარსულზე.

დამოწმებანი:

ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.

გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001.

ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987.

მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

ვასუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

¹კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 144

ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921.

კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981.

მ. პაჭკორია, ანაკლიის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ., 1974.

მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975.

კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1971.

კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979.

ტ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1966.

აბ. ტულუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდ., 1991.

პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007.

პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007.

ქ. ჯერვალაძე, ნ. პეტრიაშვილი, ტოპონიმ ანაკლიას ეტიმოლოგიისთვის, ჟურნ. „ქართველოლოგია“, 1, იანვარი-თებერვალი, თბ., 2015.

Фредерик Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа Сохуми, 1937.

Igor Kekelia

Scientific-research centre of Martvili region history and culture

EUROPEAN AUTHORS ABOUT SAMEGRELO

(EDMUND SPENCER)

RESUME

The collection „Caucasian Countries and Armenia“ that was collected, translated and published in Leipzig in 1855 by a famous German scientist and traveler Karl Kokh is considered to be a valuable source for studying the political, economic and cultural life of the I part of the XIX Georgia. The collection combines the works of five authors. The article deals with the historical material „Travelling across Cherkhezia, Abkhazia and Samegrelo“ written by one of the authors Edmund Spencer. Spencer’s travel recordings fills our knowledge with new nuances and features about the first-third of the XIX century Odishi.

თამილა კოშორიძე
ს. მაკალათიას სახელობის ვორის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ხალხური დღესასწაული, როგორც წყარო ქართულ-ოსური ურთიერთობის კვლევაში

საქართველოში მიმდინარე ეთნიკური პროცესების საკითხის შესწავლისას განსაკუთრებულად აქტუალურად მიგვაჩნია აქ კომპაქტურად მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთათვის დამახასიათებელი დღეობებისა და რიტუალების კვლევა. დღემდე ნაწილობრივ არის შესწავლილი ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების, ოსების, სომხების, აისორებისა და სხვ. ხალხური რელიგიური ტრადიციები, მათი ეთნოსისათვის მკვეთრად დამახასიათებელი და ადგილობრივი ტრადიციების გავლენა მათზე. შიდა ქართლში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ადგილობრივ საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობამ განაპირობა ხალხური დღეობების მიმდინარეობის პროცესში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

„ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ურთიერთობის ანუ კულტურათა დიალოგის თვალსაჩინო მაგალითს მათი თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილება წარმოადგენს. ამ გამოცდილების კვლევა დღეისათვის აქტუალურია, რადგან მას მეცნიერულთან ერთად, ძალზედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი კვლევა, ერთის მხრივ, წარსული რელიქტურ მოვლენათა რეტროსპექტულ წარმოჩენას და, მეორეს მხრივ, ეთნოსთა შორის მიმდინარე თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების სტრუქტურულ თავისებურებათა ანა-

ლიზს ემსახურება, ამავე დროს, ასეთი კვლევა აშკარად ეხმიანება სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და ერთიანი ჰუმანიტარული სივრცის ჩამოყალიბების პრობლემებს.¹

საერთოდ ცნობილია, რომ კულტურული ინტეგრაცია განსაკუთრებით ეხება ენას და წეს-ჩვეულებებს, დღესასწაულებს, სხვადასხვა ყოფით ტრადიციებს, სულიერ კულტურას და სოციალურ ურთიერთობებს.

შიდა ქართლს, საქართველოს გულს, ოდითგანვე ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან მრავალი ხალხი ეტანებოდა. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების აქ თავმოყრას ყველა ეპოქაში ჰქონდა ადგილი. მათ არასოდეს განუცდიათ არანაირი დისკრიმინაცია (რელიგიური, ეროვნული, სოციალური) და ყოველთვის ინარჩუნებდნენ ეთნიკურ თვითშეგნებისა და მენტალობის ძირითად მახასიათებლებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ოსები.

საქართველოში ოსთა ჩამოსახლების, მათი შემდგომი განსახლებისა და ქართველებთან თანაცხოვრების პრობლემებზე არაერთი მონოგრაფია თუ სტატიაა დაწერილი, ამიტომ ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ ოსთა შიდა ქართლში შემოსვლის ისტორიის განხილვისაგან; მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ოსებმა ქართველების ძირძველი ხატ-სალოცავებიც გაითავისეს და ქართველებთან ერთად დადიოდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე. თუმცა, გარკვეული სირთულეები ყოველთვის იყო. რ. თოფჩიშვილის დაკვირვებით: „მართალი არ ვიქნებით ვთქვათ, რომ საქართველოში დასახლებისთანავე ქართულოსური ურთიერთობები ისეთივე მოწესრიგებული იყო, როგორც ქართველთა სხვა ეთნიკურ ერთობებთან ურთიერთო-

¹ გოცირიძე გიორგი, აღმოსავლური დღესასწაულები საქართველოში, თბილისი, 2012, გვ. 63.

ბა“¹. ამის მიუხედავად, ისინი იძენდნენ ქართველ მეგობრებსა და ნათესავებს, ეზიარებოდნენ ქართულ კულტურას, წეს-ჩვეულებებს. თითქმის ყველა ოსს ჰყავდა ქართველი მოკეთე, რომელთანაც ყველა ვითარებაში მიესვლებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას ახდენდა ერთაშორის ურთიერთობაზე. მაგრამ ათეული წლების განმავლობაში იმის დარწმუნებამ, რომ ოსები ცხოვრობდნენ არა საქართველოში, არამედ თავის მიწაზე, თავის სამშობლოში, შიდა ქართლში ავტონომიური ოლქის შექმნამ, ისტორიის ფალსიფიკაციამ, ქართული ენის ჩვეულებების, ტრადიციების უგულებელყოფამ, თავისი შედეგი გამოიღო. ჩვენი კვლევის მიზანია, ამ ურთულესი პრობლემის ფონზე, მოვახდინოთ ქართლში მცხოვრები ოსებისათვის დამახასიათებელი დღეობების ერთგვარი სისტემატიზაცია.

თუ შიდა ქართლში მცხოვრები ოსების დღესასწაულებსაც ქართული კალენდრის მიხედვით დავაღაგებთ, მაშინ პირველად ბარბარობაზე უნდა ვისაუბროთ. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალისა და მოძიებული ცნობების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ოსებმა არ იციან ბარბარობა, თუმცა, შიდა ქართლის ბარში მცხოვრები მოსახლეობა ამ დღესასწაულს ქართული ტრადიციით აღნიშნავს. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ სოფელ ხვითში (ლამისყანის ტერიტორიული ორგანო) ჩვენ მიერ დადასტურებული ცნობა. მთხრობელის გადმოცემით, ამ სოფლის ოსურ მოსახლეობას არ სცოდნია ბარბარობა. ამ დღესასწაულის აღნიშვნა მას შემოუტანია. დღეს ხვითელი დიასახლისები ბარბარობას ქართვე-

¹ თოფჩიშვილი როლანდ, ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, კრებული I, 2013, რეგიონალური კონფერენციის მოხსენებები, თბილისი, 2013, გვ. 52

ლების მსგავსად აცხობენ ლობიანებს და ილოცებიან ბარაქაზე.¹

მართალია, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის მიხედვით შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსებმა არ იციან ინფექციური დაავადებებისადმი მიძღვნილი ბარბარეს დღესასწაული, თუმცა ცნობილია, რომ ოსებს მსგავსი დღესასწაული სხვა სახელით ჰქონდათ. ოსები ყვავილთა ანგელოზს აღარდს (ალერტს) ყვავილის გაჩენიდან მესამე კვირას საღმრთოს გადაუხდიდნენ-ყვავილთა ანგელოზის მშვიდობიანად წასვლისათვის. ისინი ლოცულობდნენ ყვავილთა ანგელოზის სახელზე: „წაბრძანდი ყვავილთა ანგელოზო ზეცაში, რადგან შენს გზაზე ია, ვარდი, თვალთ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლია მოფენილი. ახლა წაბრძანდი ზეცაში, თქვენს ოქროს ტახტზე“.²

ახალ წელს ოსებს სცოდნიათ ყველაფერზე ქონის წასვება ჯვრის სახით. „საქონელზე ქადას გადატეხამდა (ქართული ტრადიციით საქონელზე კვერცხის გადატარება და ბასილას გატეხვაც...). ყველს, ერბოს და ქონს მიულოცამდა. წყალში ჩააგდებდა. მხოლოდ პირველად სახლში არ უნდა შესულიყო წყლიდან ან ბოსლიდან რო მოვიდოდენ. მერე შევიდოდენ“³. მათი მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო, ამიტომ ისინი ძირითადად მათს ჯანმრთელობა-სიმრავლესა და პროდუქციის სიუხვეზე ილოცებოდნენ. საკვლევი რეგიონის ოსურ მოსახლეობაში თავს იჩენს ხალხური დღესასწაულებისადმი მათი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება.

¹ ჩარაევა ლეილა, დაბ. 1969წ. სოფ. ხვითი, ლამისყანის ტერიტორიული ორგანო.

² ჭიჭინაძე ზაქარია. ოსეთი ქართული წიგნებით, ზეპირის ამბებით, ტფილისი 1915, გვ. 251-259.

³ რუხაძე ჯულიეტა, ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, თბ., 2010, გვ. 314.

საკვირველია, რომ თუ თემის ხეობაში კომპაქტურად მცხოვრები ოსები მიმართავდნენ ქართველებისაგან განსხვავებულ გარკვეულ საწესო ქმედებებს, ეს არ შეიძინევა დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქვედა წელში, ქართულ სოფლებში მცხოვრებ ოსებში. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ როგორც ს. მაკალათიას ექსპედიციების დროს შეგროვილი მასალა, ასევე ჩვენ მიერ მოსახლეობაში ჩაწერილი ცნობები.

თემის ხეობაში ს. მაკალათია განსაკუთრებულად გამოჰკვეთს აქაურ ოსთა დღეობებსა და რიტუალებს. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ სოფელი ფიცესი: აქ 1947 წლისთვის (ექსპედიციის პერიოდი) ცხოვრობდა 100 კომლი (სულ ოსები). ისინი მოსულან ლიახვის ხეობიდან, გერიდან და სალოცავად მიდიან გერში. აქ აქვთ გერის ნიშიც მაღალ წვერზე, რომელიც გასცქერის თავგერის ეკლესიას¹. ფიცესშივე, სოფლის თავში, იმ დროისთვის შემორჩენილი ყოფილა ძველი ტაძრის ნანგრევი, რომელსაც ადგილობრივები „თუთრ“-ს, თევდორეს უწოდებენ. თევდორობა სცოდნიათ დიდ მარხვაში, გაზაფხულზე, სანამ სამუშაოზე გავიდოდნენ. ამისათვის მოადულებდნენ ლუდს და ბურახს და მას სათესლე ხორბალთან ერთად მიიტანდნენ „თუთრ“-ში. დაილოცებოდნენ კარგ მოსავალზე და ხორბლის ნაწილს იქ დაყრიდნენ, ნაწილს შინ წაიღებდნენ და სათესლეში გაურევდნენ. ზოგი, ვისაც მეტი მამული ჰქონდა, აადულებდა ორ კოდ ჭირნახულის ლუდს „სამღვთოს“ და ხალხს დააღვეინებდა კარგი ჭირნახულის მოსავალზე.² ს. მაკალათიასავე ცნობით, ამავე ხეობის ქართულ სოფ. ზემო ხანდაკში ყველიერის მეორე კვირას დღესასწაულობდნენ თევდორობას და ეს იყო წმინდა

¹ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, შემდგომში გიემ. 8712, გვ. 110

² გიემ 8712. გვ. 111.

ქრისტიანული, ხოლო სოფ. ახალქალაქის ქართველი მოსახლეობაც დიდმარხვის პირველ კვირას აღნიშნავდა თევდორობას.

საერთოდ ცნობილია, რომ ოსებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს და რიტუალებს. „თუთრი“ ან „თუთირი“-ც მათ რიცხვს განეკუთვნება. ოსების რწმენით, „თუთირი“ მგლების მწყემსია და მისი ნებართვის გარეშე მგლები ვერც ადამიანს და ვერც საქონელს ვერ მიაყენებენ ზიანს.

„თუთირის“ პატივსაცემად მესაქონლე ოსები ინახავდნენ უმკაცრეს მარხვას, შემოდგომას კი კლავდნენ ცხვარს, რომლის ხორცის ჭამა მხოლოდ ოჯახის წევრებს შეეძლოთ. როგორც ჩანს, საქართველოს მთაში მცხოვრები მესაქონლე ოსების „თუთირ“-მა ბარსა და მთისწინა ზოლში საქონლის მფარველის გარდა სხვა, მოსავლის სიუხვის მომტანის ფუნქციაც შეიძინა. ამის დასტურია ს. მაკალათიას მიერ ქართლის ხეობებში შეგროვილი მასალა.

თევდორობას ანუ „თუთრა“-ს განსხვავებულად აღნიშნავდნენ თემის ხეობის სოფ. წითელწყაროს (დღევანდელი ნათლისმცემლის თ.კ.) მცხოვრებლები. აქაც ძირითადი მოსახლეობა ოსური იყო (დღეს ეს სოფლები მთლიანად დაცლილია). გაზაფხულზე თევდორობას, აცხობდნენ ხაჭაპურებს და მიჰქონდათ სალოცავში. უნთებდნენ სანთლებს და მას შესთხოვდნენ კარგ დარობას, მოსავლის სიუხვეს და საქონლის გამრავლებას. ეს დღესასწაულიც, როგორც წინა, აგრარული ხასიათისა იყო და მიმართული იყო კარგი მოსავლის დაბეჭებისადმი. თევდორესვე შესთხოვდნენ გამოდარებას აქაური ოსები ხშირი ავდრობის დროს. ასევე ჰქონიათ ელიას ნიში, სადაც ზარი ყოფილა ჩამოკიდებული და როდესაც სოფელს სეტყვა მიუახლოვდებოდა ან დიდი ავდარი, ზარებს დარეკავ-

დნენ და ამით ავდარი სხვა სოფელში გადავაო.¹ ეთნოგრაფიული მონაცემებით, წვიმისა და სეტყვის ზარების რეკვითა და თოფის სროლით „შეშინება“ დადასტურებულია სვანეთსა და ლეჩხუმშიც. ლეჩხუმური გადმოცემით, ამით ცდილობდნენ ზეცაში მოსიარულე ბრმა ელიასათვის გაეგებინებინათ, რომ ქვემოთ სოფელია და არ დასეტყვო.² მსგავსი რწმენა ელიას შესახებ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი. ოსებში ელიას კულტზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „გარნაყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსაც უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა და თაყვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფნი ქუეყანისანი“³. ამავე სოფლის მოსახლეობა ქართველებთან ერთად მიდიოდა ნათლისმცემელში (ნათლისმცემლობას), მიჰყავდა საკლავი, მიჰქონდა საწირი და ევედრებოდა ჯანმრთელობაზე და ოჯახის სიკეთეზე. სოფელ ხვითში ჩვენ მიერ დადასტურებულია დღესასწაული „ბნათესაო“ – ანგელოზების ერო. „ეს არის ფუძის ანგელოზობა, რომელსაც აქაური ოსები აღნიშნავენ ახალი და ძველით ახალი წლის შუაში პირველ სამშაბათს. იკვლება მამალი და ზეღამედ შენახული ერბოსგან ცხვება სამი ცალი ქადა. ამ ნობათით დატვირთულნი შედიან მარანში, ბოსელში, ანთებენ სამ სანთელს. პირველ რიგში მოიხსენიებენ ფუძის ანგელოზს და დალოცავენ ფუძე-ჭერს, შესთხოვენ მას ოჯახის ბარაქიანობას, შეაგე-

¹ გეგ 8712. გვ. 118.

² მაკალათია სერგი, თემის ხეობა, თბილისი 1959. გვ. 145.

³ ქართლის ცხოვრება, ტომი IV - ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა-ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 638-639.

დრებენ შვილებს. აქვე დაჭრიან ქათამსა და ქადას, რომელსაც იმავე დღეს მიირთმევენ მხოლოდ ოჯახის წევრები¹. ამ შემთხვევაში ოსურ ფუძის ანგელოზობაში ვპოულობთ ბევრ მსგავსებას ქართულთან, თუმცა აქ გასათვალისწინებელია მისი აღნიშვნის დრო და შესაწირი ქათამი. ქართულ სახლთან-გელოზობას ძირითადად იკვლება დედალი.

სოფელ ზვითის დღეობაა „ბენისობა“. რომელსაც აღდგომის მეორე დღეს იმართება. მოსახლეობა მიდის აქვე ტყეში მდებარე ბენისის წმ. გიორგის ეკლესიაში, თუმცა დღესასწაულებზე ღვთისმშობლობას. ნასოფლარი ბენისი მდებარეობს სოფლიდან ჩრდ. დასავლეთით. აქ მდებარე ეკლესია მიეკუთვნება IX საუკუნეს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზვითში მცხოვრები ოსები დღესასწაულებზე მათი მოსვლის პერიოდისათვის უკვე არსებულ ქართულ სასოფლო დღეობას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჩნდება ოსური რიტუალებიც: ამ დღეს იხარშება ლუდი, ცხვება ხაჭაპური და ერბოს ზედაშეს ქაღები.²

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რელიგიური დღესასწაულის როლი ეთნიკური ინტეგრაციის პროცესში. ქართველებისა და ოსების ინტეგრაცია კარგად იკვეთება ლიახვის ხეობაში არსებულ დღესასწაულებში, კერძოდ, გერისთობაში. გერის წმ. გიორგის ეკლესია ოსურ სოფელში მდებარეობს. აქ მავედრებლის დამწყალობებას ორი ოსური გვარიდან-ბეკოშვილი და ალბორიშვილი, არჩეული მნათე ახდენდა³ ოსური

¹ ჩარაევა ლეილა, დაბ. 1969 წ. სოფ. ზვითი, ლამისყანის ტერიტორიული ორგანო.

² ხალიშვილი ბაბუცა, დაბ. 1920 წ. ახალგორის რ-ნის სოფ. დელკანაში. ცხოვრობს სოფ. ზვითში (ლამისყანა). მთხრობელს ზვითში ახსოვს ლაზარეზე სიარული და მისი შემდგომი ლხინი. მისივე თქმით, ზვითში იმართებოდა ყვენობაც.

³ გიემ 5942. გვ. 13.

მოსახლეობისთვის დამახასიათებელ რაიმე განსაკუთრებულ რიტუალს ს. მაკალათია არ ახსენებს. ვფიქრობთ, რომ ყოფილიყო ამას მეცნიერი აუცილებლად გაუსვამდა ხაზს. საერთოდაც, ლიანხვის ხეობის მოსახლეობაში ჩვენ მიერ შეგროვილი მასალიდანაც ირკვევა, რომ ოსური მოსახლეობა დღეობა - დღესასწაულების დროს რაიმე მკვეთრად განსხვავებულ საწესო ქმედებებს არ ასრულებდა. სოფ. ძარწემიდან იძულებით გადაადგილებული ანასტასია გოგობის თქმით, გერში „მღვდლობდნენ“ ოსები. ილოცებოდნენ, სანთლებს ანთებდნენ და ქართველებთან ერთად ასრულებდნენ რიტუალებს. ოსი და ქართველი მლოცველები არ განირჩეოდნენ. ადგილობრივები ქართველებს უცხობდნენ ხაჭაპურებს და დიდ პატივს სცემდნენ¹. ამავე დროს, შიდა ქართლში ჩვენ მიერ დადასტურდა აღნიშნული რიტუალის საპირისპირო შემთხვევა. სოფელ ქვემო ხელჩუაში ვ. რუხაძეს ადგილობრივი მცხოვრები სამსონ ქისიშვილისაგან (32 წ.) ჩაუწერია ერთ-ერთი დღეობის აღწერა. ეს არის მაცხოვრის ნიშის დღეობა. „ამის დღეობა მოდის თიბათვეში. ხელჩუელები და მერეთელები ლოცულობენ. სხვებიც ამოდიან ქართლის ხალხი, კოშკი, კარბი. ასეთი დღეობა მაცხოვრობა დმენისშიც მოდის, ვანათშიც მოდი თვითოეული მოსახლე ვალდებულია დღეობის დროს მოიტანოს სამი ხაჭაპური (ხაბიჟენ), ორი წვადი ხის შამფურზე აგებული (საქონლის), სამი-ოთხი ლავაში. იმდენივე პური, ქათამი ან ისეთივე ხორცი ან კურატი. ზოგს ქათამი ეყოლებოდა შეთქმული. საქონლის რქებს აქ ტოვებდნენ. დოქით ლუდ აბარებდნენ უფროს კაცს. საგვარეულოდან უფროსი ვინც არი. ეს დღეობა ერთი დღე იცის. დილით ამოვლენ და მხართ დაშვების დროს მიდიან. აქაური მუხა, ცაცხვი, ბზა, რცხილა

¹ გოგიძე-მეტრეველი ანასტასია, დაბ. 1923, სოფ. ძარწემი, (კარალეთის ჩასახლება).

ხელუხლებელია“¹. ამ მონათხრობის გაცნობისას, აშკარა ხდება, რომ აქ დღესასწაულში აქტიურად მონაწილეობს ქართული და ოსური მოსახლეობა. შესაწირში ჩნდება ოსური ხაჭაპური - „ხაბიჟენ“, რომელსაც ერთნაირად რიტუალურად აცნობს და სწირავს ხატს ორივე მოსახლეობა. მთხრობელიც ეთნიკურად ოსია. მისივე თქმით, აქვე ყოფილა სამების ნიში. ლოცულობენ მუხის ხეს, რომლის ფესვებზეც აწყობდნენ შესაწირ საგნებს. აქვე, რცხილის ხეზე ყოფილა ჩამოკიდებული ორი ქვაბი, რომლებშიც დღეობის დროს აკეთებენ ხავიწს. ძროხა პირველად რომ მოიგებს, მწყემსები დაივილიან და აკრეფენ. ხის გორდით აგროვებენ კარაქს, მერე აკეთებენ ხავიწს. ეს დღეობა ზაფხულში, თიბათვეში ერთხელ მოდიოდა². ოსი და ქართული მოსახლეობა ერთად დღესასწაულობდა ფრონეს ხეობის სოფელ არკნეთში. აქ „მუხას (ვაჩილას თ.კ.) ლოცულობენ ერთნაირად ქართველებიც და ოსებიც. საქეიფოთ სურსათსაც ერთად აგროვებენ. „ჭირნახულს კრეფავდნენ ერთად ლუდის გამოსახდელათ. ისე ვქეიფობდით, რომ ერთი კვირა იქიდან აღარ ჩამოვდიოდით. ეხლა მუხას წნელი შემოვახვიეთ რომ აღარაფერი შეგვიძლია“³.

თექმის ხეობის ოსებისთვის მთავარ სალოცავად ითვლებოდა რკონის ღვთისმშობელი, სადაც ასევე ქართველებთან ერთად ასრულებდნენ რიტუალებს და მათთან ერთად ილხენდნენ. როგორც ჩვენ მიერ მოძიებული მასალიდან ირკვევა, ოსებსა და ქართველებს ბევრი სხვა დღესასწაული ჰქონდათ საერთო. მაგ.: სოფ. ხვითში (ლამისყანის სოფ. საბჭო) მცხოვრები ვერა კუნდუხაშვილის გადმოცემით, მიუხედავად იმისა,

¹ რუხაძე ჯულიეტა, ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, თბილისი, 2010, გვ. 41.

² იქვე, გვ. 43.

³ გიემ 4629, გვ. 80.

რომ სოფელი მთლიანად ეთნიკური ოსებით არის დასახლებული, მათი დიდი ნაწილი და თვითონაც დღესაც აღნიშნავს მხოლოდ ქართველების დღესასწაულებს.

საინტერესოა ფრონეს ხეობის ოსურ მოსახლეობაში ახალწელიწადის აღნიშვნის ტრადიცია, რომელიც, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უმნიშვნელო ელემენტს, მთლიანად ქართული ტრადიციის მიხედვით სრულდებოდა. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ჯულიეტა რუხაძის მიერ სოფ. ნაკრეფაში (კუდაროს საბჭო) ჩაწერილი მასალა. მოხრობელი ბიძინა ნანიანთე-ნანიაშვილი, ეთნიკურად ოსია, მაგრამ მის მიერ აღწერილი რიტუალი ნაზავია ტრადიციებისა. ამავე დროს, ჩვენთვის საინტერესოა მისი თხრობის ენა, ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მისი სრული ვერსიის მოტანა. ბიძინა ნანიანთე-ნანიაშვილის გადმოცემით: „ახალი წლის დილას ემზადებოდა ოჯახი. საკლავი ღორი თუ ეყოლებოდათ, მაშინ სხვაფრათ იყო, თუ ოთხფეხი ან ხარი ანდა ცხვარი, მაშინ სხვაფრათ იყო. ოთხფეხი დილა რო გათენდებოდა ერთხურონს (რიტუალური მრგვალი პური), ხაჭაპურებს სამს (ალბათ გამოაცხობდნენ - თ.კ.). ერთხურონი იქნებოდა ძალიან სუქანი. გამოაცხობდნენ ძალიან დიდს, ერბოთი შეიძლებოდა, ხორციტ, ყველით, თაფლით აუცილებლათ. უფროსი დიასახლისი წვილებდა, გევიდოდა ბელელში, დეილოცებოდა. 3 ხაჭაპურს, არაყს ან ლუღს შეიტანდა, მობრუნდებოდა. ოჯახში რო შევიდოდა, საუზმე მზათ იქნებოდა და ოჯახის წევრები ყველა დასხდებოდნენ. ერთხურონს სხვა გარეშე პირთაგანს არ აჭმევდნენ. დასჭრიდნენ რამდენი წევრიც იყო ოჯახში და დაურიგებდათ. იქიდან ნამცეცი თუ დავარდა, მუზუკებიც (მუწუკები) იცისო და ცუდიც არისო. საუზმეს რო დაამთავრებდნენ, ადგებოდნენ დეიშლებოდნენ, საკლავზე მივიდოდნენ და დაამზადებდნენ. იმის თავი აუცილებე-

ლია რო გლახობა უსაკლავოთ ტყუილი იყო. მოიწვევდენ მეზობლობას. ხდებოდა რო გიღლით თივა დეედოს გლახს კარებთან ახლოს, რომელიც რო შემოდოდა მოიტანდა თივას, რამე რო არ შეეგანოს ოჯახში მოპატიჟებულ ქალს ან კაცს, მრავალს დეესწარით და გამრავლდითო. ოჯახის დიასახლისი ტკბილი სასმელი, ყანწი დაალოცინებდა, ტკბილათ ოჯახში და მეზობლობაში ყოფილიყოთ. ახლა, მეზობლობაში დანახსოვრებული ყავთ, კაი ფეხი აქვთ. ორ წელიწადს რო დეეპატიჟათ ზარალი არ მოსვლია და დანახსოვრებული აქვს. მოპატიჟება ხდებოდა ასე. ერთი ბაბუიშვილები, რომელიც რო უფროსია განაყოფი, იგი ან უნდა მოიპატიჟოს უმაღლ, მერე მეორემ და მესამემ. ჩამოყოლება ხდებოდა. ახალწლის დღეს თუ თელი მეზობლობა ვერ მოუხდა, ერთი კაცი მაინც უნდა მიიყვანოს. იმის შემდეგ თელ სოფელს. თებახ (თაბახი) იმაზე იდო ღორის თავ-კისერი, სამი პური ლავაში, როგორც ადამიანი ისე უნდა ყოფილიყო. დედა ერქვა კრავებით, თიგნებით, ირმის სახითაც გააკეთებდნენ, წვრილფეხი თუ ეყოლებოდათ იმაში შევიდოდნენ საჩიჩელს დაკიდებდნენ წვრილფეხის თავზე შეიტანდნენ რა საქონელიც ეყოლებოდათ, დაილოცებოდნენ გამრავლდით საქონელისა და ოჯახი წვერობაზე¹ (ვფიქრობთ, მონათხრობი საკმაოდ საინტერესოა. მასში კარგად ჩანს ეთნიკური ინტეგრაციის ის პროცესი, რომელიც განვითარდა ქართველებსა და ოსებს შორის. მთხრობელი საუბრობს იმერული კილოთი (ეს რაიონი ესაზღვრება ზემო იმერეთს) და გვაძლევს ახალი წლის რიტუალების ქართულ-ოსურ სურათს.

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული რიტუალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიდა ქართ-

¹ რუსაძე ჯულიეტა. ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, თბილისი, 2010, გვ. 277-278.

ლის ხალხურ დღესასწაულში მკვეთრად იკვეთება ოსური ეთნოსის ქართულთან ინტეგრაციის სურათი. ეს კი თავის მხრივ, გვაძლევს საშუალებას, რომ ხალხური დღესასწაული მივიჩნიოთ ეთნიკური პროცესების შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ.

Tamila Koshoridze

Sergi Makalatia Gori Historical and Ethnographical Museum

**OSSETIAN FOLK HOLIDAYS AS HISTORICAL
SOURCE FOR THE RESEARCH OF GEORGIAN-
OSSETIAN RELATIONSHIP
RESUME**

While working on the calendar folk holidays of Shida Kartli we also took into consideration to explore the characteristic holidays and rituals of the ethnic compacted settlements on the territory of Shida Kartli. And even nowadays it is partially explored the folk- religious holidays of Ossetians, Armenians, Assyrians etc, characteristic to their ethnos and influence of the local customs.

Shida Kartli, as heart of Georgia attracted a lot of people not only from inside the country but outside the borders. A huge number of different ethnic groups gathered here in various periods in our history. They never experienced discrimination (religious, national or social) and they always managed to preserve their own ethnic self-consciousness and main characteristic features of mentality. Ossetians are a good example for this. They implemented the oldest Georgian worships and joined Georgian on religious holidays. But there were always some complications. Usually it is difficult to

difriantiate the line between Georgian and Ossetian rituals, this gives us the oportunity to see this ethnic conflinct from a new perspective, that in recent times have put an effect on this two ethnicitys relationship.

Thus researching the folk holidays of the ossetians that live in Shida Kartli gives us an opportunity to conclude that it can be appointed as an important source of researching the relationship between Georgia-Ossetia.

საქართველო XIII საუკუნის ინგლისელ ავტორთა ცნობებში

თურქ-სელჩუკებისა და მონღოლების მოძალეობამ, რომელმაც XIII საუკუნეში ევროპის ქვეყნებსაც შეუქმნა საფრთხე, ცალკეულ ადამიანებს იმის სურვილი გაუჩინა, რომ ეძებნათ მოკავშირეები აღმოსავლეთის ქრისტიანულ ხალხებსა და სახელმწიფოებში. ასეთი სურვილის მატარებელია ინგლისელი ქრონისტების—ბართლომე ინგლისელის, მათე პარიზელისა და როჯერ ბეკონის ცნობები, რომლებშიც მოხსენიებულია არიან ქართველებიც. სწორედ ისინი უყრიან საფუძველს ინგლისურ საზოგადოებაში საქართველოზე წარმოდგენას.

ბართლომე ინგლისელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1190–1250 წლებში. ის იყო ფრანცისკანელი ორდენის ბერი, რომელიც 1230 წლიდან მოღვაწეობდა გერმანიაში, იქ კრებდა მასალებს თავისი წიგნისათვის — „სავანთა თვისებების შესახებ“. ამ წიგნის გეოგრაფიულ ნაწილში¹, წერია: „*იბერია — ეს ქვეყანაა აზიაში პონტოს ზღვის ახლოს, მეზობელია სომხეთისა. იქ იზრდება ბალახები, რომლებიც სასარგებლოა სამკურნალო ნაყენებისათვის, როგორც ისიდორე ლაპარაკობს*

¹ ამ წიგნის უიშვიათესი ეგზემპლარი (ალბათ, ერთადერთიც), გამოცემული ნიურნბერგში 1492 წელს /ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ ბიბლიოთეკაში.

*XV წიგნში*¹ (ხაზგასმა აქაც და შემდეგშიც ჩვენია). როგორც ვხედავთ, ამ მცირე ცნობაში ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით და იმის აღნიშვნით, რომ აქ იზრდება სხვადასხვა სამკურნალო ბალახი².

წარმოდგენილი ტექსტი დიდი ორიგინალობით არ ხასიათდება, თანაც საზრდოობს ადრეული შუა საუკუნეების აღიარებული „ეტიმოლოგიების“ ავტორის, ესპანელი საეკლესიო მოღვაწის *ისიდორე სევილიელის* (560–636) მონაცემებით, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანია იმით, რომ გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს (ინგლისელებს და მთელ ევროპელ ხალხს) საქართველოსა და მის ხალხზე, მასთან ურთიერთობის სარგებლიანობაზე.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ცნობები *მათე პარიზელისა*, რომელიც თითქმის ბართლომე ინგლისელის თანამედროვეა, ცხოვრობდა დაახლოებით 1200–1259 წლებში, იყო ბენედიქტელთა მონასტრის ბერი. იგი ავტორია არაერთი თხზულებისა, რომელთაგან ჩვენთვის ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანია „დიდი ქრონიკა“ (*Chronica Majora*), ერთგვარი დოკუმენტების კრებული, რომლებშიც თხრობა გრძელდება

¹ *Bartholomeus Anglicus. De proprietatibus. rerum. Apud A. Koburger, Nurenbergi, 1492, lib.XV, cap.LXXVII; “Hiberia est region in Asia iuxta Pontum Armeniae iuncta. In hac nascuntur herbae quae utiles sunt tincturae, ut/di/cit Ysidorus/libro/XV”.* ამ ტექსტში, როგორც ვ. მატუზოვა შენიშნავს, დაშვებულია მცირე უზუსტობა. „ეტიმოლოგიების“ XIV წიგნის ნაცვლად, მითითებულია XV წიგნი. *Матузова В. И. Английские средневековые источники IX–XIII вв. М., 1979)*

² მედეას დროიდან ბერძენ და რომაელ ავტორებს არაერთი ცნობა აქვთ კოლხეთსა და იბერიაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ (იხ. *შენგელია მ.* უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, თბ., 1979).

1259 წლამდე. მართალია, „დიდი ქრონიკა“ ძირითადად კომპილაციური ხასიათის მატარებელია, მაგრამ აქ მოცემული ბევრი ცნობა, როგორც ისტორიკოსი ვ. მატუზოვა შენიშნავს, უნიკალურია, რადგან, ისინი დაფუძნებულია არა მარტო წიგნიერ ტრადიციაზე, არამედ ასახავენ ქრონიკის პირად დაკვირვებასაც (მას არაერთხელ უმოგზაურია ინგლისის ფარგლებში; ყოფილა ნორვეგიაში როგორც საფრანგეთის მეფის ლუი IX–ის ელჩი)¹; ირკვევა, რომ „დიდი ქრონიკის“ ავტორს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჩნდა, ხელი მიუწვდებოდა სამეფო არქივზეც, პაპისეული და იმპერატორისეული მრავალი მიმართვა შემონახულია მხოლოდ „დიდ ქრონიკაში“².

სწორედ „დიდ ქრონიკას“ შემოუნახავს კონსტანტინოპოლის პატრიარქის გერმანე II–ის (1222–1240) მიერ რომის პაპისადმი, გრიგოლ IX–სადმი, 1232 წელს გაგზავნილი ეპისტოლეს ლათინური თარგმანიც (წერილის ბერძნული ტექსტი არაა გამოცემული)³, რომელშიც ქართველები მოხსენიებულია „მრავალ დიდ ხალხთა“ და „ძლიერთა“ შორის.

ეპისტოლეში, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია იმ „უწინდელ“ დროზე, როცა „ლათინები და ბერძნები გაერთიანებული იყვნენ ერთი რწმენით“ და ერთიანად გამოდიოდნენ „ეკლესიის მტრების“ წინააღმდეგ, როცა რომი „თავშესაფარს“ აძლევდა აღმოსავლეთიდან დევნილ ქრისტიანებს, ან კიდევ, როცა ბარბაროსების მიერ დაპყრობილი რომისათვის

¹ Матузова В. დასახ. ნაშრ., გვ.108.

² იქვე.

³ აღსანიშნავია, რომ არსებობს ამ ეპისტოლეს ფრანგული თარგმანიც; იგი შესულია წიგნში: Les Regastes des actes du Patriarcat de Constantinople, vol. 1(4), par V. Zaurent, Paris, 1971 (დოკუმენტების ნომერია 1257).

აღმოსავლეთის ქრისტიანებს არაერთხელ დაუბრუნებიათ თავისუფლება. ასეთი ურთიერთდახმარება ორივე ეკლესიის უწმინდესი მოვალეობა უნდა იყოს. „თუკი ბერძნები დასუსტდებიან, – ნათქვამია ეპისტოლეში, – ლათინების მოვალეობაა ფეხზე წამოაყენონ ისინი“. ერთი სიტყვით, მასში ის აზრია გატარებული, რომ უნდა დაინგრეს ის კედელი, რომელიც აღმართულია ლათინურ და ბერძნულ ეკლესიებს შორის, რათა „უფრო მტკიცე გახდეს“ მათი ერთიანობა¹. ამასთან, სთავაზობდა რა წინადადებას ბერძნული და ლათინური ეკლესიების უნიის² შესახებ, რათა გაერთიანებული ძალით ებრძოლათ „ეკლესიის მტრების“ წინააღმდეგ, გერმანე II პაპს არწმუნებდა ბერძნების „მსგავსი რწმენის“ მქონე ხალხების ეკლესიისადმი ერთგულებასა და სიძლიერეში, იმაში, რომ მათთან კავშირს უდიდესი სარგებლობის მოტანა შეეძლო მთელი საქრისტიანოსათვის. ჩამოთვლიდა რა ამ ხალხებს, პატრიარქი უძლიერესთა შორის, პირველ რიგში, ქართველებს ასახელებს. აი, ეს ტექსტიც: „...*კიდევ ერთს დაუვმატებ და ამით*

¹ **Matthei Parisiensis**, Monachi Sancti Albani, Chronica Majora, ed H.R. Luard. -Rolls Series, №57, vol.III, London, 1876, pp. 459-460.

² აღსანიშნავია, რომ რომის ეკლესიასთან „ერთიანობის“ სურვილი, რომელსაც ავლენს კონსტანტინოპოლის პატრიარქი გერმანე II, ქართულ ეკლესიას თვით 1054 წლის ამბების შემდეგაც (XIII ს. ჩათვლით) არ განელებია, არ გაუწყვეტია კავშირი მასთან. მ. თამარაშვილის თქმით, ამ ურთიერთობაში ერთგვარი ბზარი გაჩნდა მხოლოდ 1230-1235 წლებში (**თამარაშვილი მ.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 13). ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდშია (1232 წ.) გაგზავნილი გერმანე II-ის მიმართვაც. (ამ და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაწვრ. იხ: **მამისთვალისშვილი ე.** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014, გვ.345–346; **პაპაშვილი მ.** საქართველო რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ.83–84; **მისივე,** 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული, №14, თბ., 2016, გვ. 257-267)

მოვრჩები, რომ, როგორც ჩანს, არსებობს მრავალი და დიდი ხალხი, რომლებსაც ისეთივე რწმენა აქვთ, როგორც ჩვენ, და ჩვენთან, ბერძნებთან, ყველაფერში მსგავსნი არიან. პირველ რიგში, ისინი, ვინც ცხოვრობს ახლო აღმოსავლეთში: ეთიოპები, შემდეგ სირიელები და სხვანი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანნი და ძლიერნი, სახელდობრ: იბერები, ლაზები, ალანები, ვოთები, ხაზარები, უთვალავი რუსი ხალხი და ძლევაპოსილი ვულგართა სამეფო (ივულისხმება ბულგართა სამეფო – ვ.კ.) და ყველა ისინი თითქმის ჩვენი დედის (ეკლესიის) მორჩილნი, აქამდე, უცვლელად იმყოფებიან ძველ ორთოდოქსიაში...“¹.

ამრიგად, როგორც ეს მითითებული ნაწყვეტიდან ჩანს, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ერთმორწმუნე ქართველებში (რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანებთან ერთად) ხედავდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას, რომელსაც შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა „ეკლესიის მტრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად დგება

¹ **Matthaei Parisiensis**, Op.cit. p.460: “Hoc solum addam, et verbo finem imponam, quod vide licet multae et magnae gentes sunt, quae nobiscum sapient, et nobiscum, qui Graeci sumus, conveniunt in omnibus. Primi, illi qui in prima parte Orientis habitant Ethioepes, beinde Syri, et alii qui graviore sunt, et magis virtuosii, scilicet Hyberi, Lazi, Alani, Gothi, Ghazari, innumerabilis plebs Rusiae, et regnum magnae Victoriae Wegarorum. Et hi omnes tanguam matri nostrae obediunt, in antiqua orthodoxia immobiles hactenus permanente...”

ამ ტექსტში, როგორც ვ. მატუზოვა შენიშნავს, მათე პარიზელს გამორჩენია „ავსგი“ (ე.ი. აფხაზები), რომელსაც ვხვდებით ორიგინალში აქ მოხსენიებულ ხალხებს შორის (**Ματϋζοβα Β.** დასახ. ნაშრ., გვ. 162). საბედნიეროდ, ამ შეცდომისაგან დაზღვეულია ზემოაღნიშნული ფრანგული თარგმანი, რომელიც უშუალოდ ბერძნულიდანაა შესრულებული, თუმცა ამ თარგმანშიც გვხვდება ლაფსუსი: ტექსტიდან ამოვარდნილია «ლაზები» (Les Regestes des actes du Patriarcate de Constantinople, vol.1, p.66).

კითხვა: ვინ იყვნენ ეკლესიის ეს მტრები? სამწუხაროდ, კონკრეტულად ვის გულისხმობდა ამაში ავტორი, ეს არ ჩანს ეპისტოლეს ტექსტიდან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გერმანე II-ის მიმართვა გაგზავნილია ნიკეის იმპერატორის იოანე III დუკა ვატაციის (1222–1254) ბრძანებით¹, მაშინ ცხადი ხდება, რომ წერილის ავტორს მხედველობაში ჰყავდა ის ძალები, რომლებმაც უშუალო საფრთხე შეუქმნეს ნიკეის იმპერიას. საქმე ისაა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლთა გამოჩენამ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. 20-იანი წლების დასაწყისში შუა აზიის დაპყრობამ და მონღოლთა ურდოს შეჭრამ (ჯებესა და სუბუდაის ხელმძღვანელობით) ამიერკავკასიაში მუსლიმთა მასიური გაქცევა გამოიწვია ამ ოლქებიდან; ისინი გარბოდნენ იკონიის სასულთნოსა და ნიკეის იმპერიაში. თურქული წყაროების თანახმად, მათი რიცხვი 70 ათასს კაცს აღემატებოდა². მუსლიმური მოსახლეობის ამ მოზღვაებას შედეგად მოჰყვა სასაზღვრო კონფლიქტები. როგორც ამ ამბების თანამედროვე სირიელი ქრონისტი იბნ ნატიფი წერს, „1230 წლის ახლოს მოხდა ორი ბრძოლა იკონიის სულთან კეი-კუბადასა (1220–1237) და ლასკარს (იგულისხმება იმპერატორი იოანე III დუკა ვატაცი – გ.კ.) შორის: პირველში გაიმარჯვეს სელჩუკებმა, მეორეში კი ბერძნებმა“³. ამ მუსლიმებთან ერთად, ვფიქრობთ, „ეკლესიის მტრებში“ მონღოლებიც იგულისხმებიან. ნიკეის იმპერატორ იოანე III-სა და პატრიარქ გერმანე II-ს არ შეიძლება არ გაეთვალისწინებინათ ის საფრთხე, რომელიც მათ მონღოლთა

¹ **Marysova B.** დასახ. ნაშრ., გვ. 162.

² **Werner E.** Die Geburt einer Grossmacht-die Osmann (1300-1481), Berlin, 1972. S. 53.

³ **Cahen Cl.** Pre-Ottoman Turkey. New-York, 1968, p. 135.

მხრიდან ელოდათ; შეუძლებელია მათ ინფორმაცია არ ჰქონოდათ იმის შესახებ, რომ მონღოლები ებრძოდნენ არა მარტო მუსლიმებს, არამედ ქრისტიანებსაც. აკი რუსების დამარცხება კალკასთან 1223 წელს მაშინვე იცოდნენ ვეროპაში¹. რომის პაპს (ამ გზით, ალბათ, ვეროპის ქვეყნებსაც) საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია გააჩნდა მონღოლების შესახებ ამავე პერიოდში გაგზავნილი იმ ეპისტოლეებიდან, რომლებიც ეკუთვნოდათ საქართველოს მეფე რუსუდანსა და მის მხედართმთავარს ივანე მხარგრძელს². აი, რას წერდა ივანე მხარგრძელი პაპს: „როცა... ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნად და წმინდა ადგილების დასახსნელად³, ამ დროს თათარნი, ჯვართა წამძღვარებულნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი გაწყვიტეს. ხოლო შემდგომ, რა ვცანეთ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ, თქვენის (ე.ი. პაპის – გ.კ) ლოცვის ძალით და წმინდა ჯვარის შემწეობით წინ აღვუდექით“⁴. ასევე ცნობილი იყო მონღოლების დაუნდობლობა და სისასტიკე, რომელიც ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. მონღოლთა პირველი შემოსევების მომსწრე არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის გადმოცემით, უბედურება, რომელიც მაშინ დატრიალდა, ადამის დროიდან დღემდე ქვეყნიერებას არ განუცდია, არ ინდობდნენ რა არავის, თათრები ხოცავდნენ ქალებს, მამაკაცებსა და ბავშვებს, ფეხშიძე ქალებს კი

¹ Пашуто В. И. Внешняя политика Древней Руси. М., 1968, გვ. 287.

² თამარაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 7–9.

³ აქ იგულისხმება ჯვაროსნებისადმი ლაშა გიორგის დახმარების ის განზრახვა, რომელიც ჰქონდა მას მონღოლთა შემოსევების წინ. ეს ჩანს რუსუდანის წერილში.

⁴ თამარაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

მუცელს უფატრავდნენ¹ ცხადია, ამგვარი ინფორმაცია გერმანე II–საც ექნებოდა. მას ეცოდინებოდა ისიც, რომ მონღოლთა ჯარის ერთი ნაწილი 1231 წელს ჩრდილოეთ ირანიდან კავკასიისაკენ დაიძრა², მეორე ნაწილი კი 1232 წელს ვოლგის ბულგარეთის საზღვრებთან იდგა³. სწორედ ასეთ ვითარებაშია გაგზავნილი გერმანე II–ის 1232 წლის ეპისტოლეც. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ეკლესიის მტრები“, რომელთა წინააღმდეგაც გაერთიანებული ძალით ბრძოლის წინადადებას იძლეოდა წერილის ავტორი, სხვა არავინ არიან, თუ არა ის მუსლიმები, რომლებმაც უშუალო საფრთხე შეუქმნეს ნიკეის იმპერიას, მასში იგულისხმებიან აგრეთვე მონღოლებიც, რომლებიც, ერთხელ გამოჩენის შემდეგ, კვლავ დაიძრნენ ქრისტიანული ქვეყნებისაკენ.

საინტერესოა, თუ როგორ მოხვდა გერმანე II–ის ეპისტოლე მათე პარიზელის „დიდ ქრონიკაში“. ეპისტოლეს ლათინური თარგმანი 1237 წელსაა შესრულებული. თუ დავუჯერებთ ვ. მატუზოვას მტკიცებას, რომლის მიხედვით „ქრონიკაში“ მოცემული დოკუმენტებიდან არც ერთი არაა შემთხვევით შესული⁴, მაშინ ცხადი გახდება, რომ ქრონიკაში ამ წერილის შეტანასაც გამიზნული დანიშნულება ჰქონდა. საქმე ისაა, რომ „ქრონიკის“ თხრობის ცენტრში მონღოლ–თათრები დგანან⁵ (ჯვაროსნულ ლაშქრობებს აქ მცირე ადგილი უკა-

¹ **Ибн-ал Асир.** Тарих-ал-Камиль. Баку, 1940, გვ. 135.

² **Пашуто В. И.** დასახ. ნაშრ., გვ. 184.

³ **იქვე,** გვ. 283.

⁴ **Матузова В. И.** Монгольское нашествие в свете политических взглядов Матвея Парижского (по материалам „Великой хроники,).- Методика изучения древнейших источников народов СССР. М., 1978, გვ. 182.

⁵ **იქვე.**

ვია)¹, ამ ფონზე მასალებიც ისეა შერჩეული, რომ ყველგან საუბარია კარზე მომდგარი საფრთხის შესახებ, აგრეთვე იმ სავალალო მდგომარეობაზე, რომელშიც ჩავარდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხები და სახელმწიფოები; გამოთქმულია წუხილი და სინანული მოსალოდნელი საფრთხის სათანადო შეუფასებლობის გამოც, რომელსაც იჩენენ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურები და თვით რომის პაპი. მეტიც, დაგმობილია იმპერატორისა და პაპის ურთიერთიმტრობაც, რომლებსაც გამოეპარათ ის გარემოება, რომ მონღოლთა ძლევამოსილი მეფე ის-ის არის გამოვა მათ წინააღმდეგ². დაბოლოს, ყველგან ის აზრია განვითარებული, რომ აუცილებელია ერთიანი მოქმედება მონღოლების წინააღმდეგ. ეს აზრი ყველაზე მკაფიოდაა გამოთქმული იმ წერილში, რომელიც გერმანელი ერის რომის საღმრთო იმპერატორს ფრიდრიხ II-ს გაუგზავნია 1241 წელს ინგლისის მეფე ჰენრი III-ისათვის.³ ჩვენი აზრით, ამგვარი პოზიციით უნდა აიხსნას „ქრონიკაში“ გერმანე II-ის ეპისტოლეს შეტანის ფაქტიც; ჩანს, რომ ეპისტოლეს იდეა ახლოს იყო „დიდი ქრონიკის“ ავტორთან, რომელსაც სურდა დაერწმუნებინა თავისი მკითხველი, უპირველეს ყოვლისა კი, ევროპის მმართველი წრეები – ბერძნული რწმენის მქონე ხალხების სახით, თუ რა ძლიერი მოკავშირის შეძენა შეეძლოთ მათ. თუ რამდენად განსახორციელებელი იყო ეს იდეა მაშინდელ ევროპაში, ეს სხვა საქმეა (ამჯერად ეს არც შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს), მაგრამ ის ფაქტი, რომ ჯერ პატრიარქმა გერმანე II-მ, შემდეგ

¹ იქვე, გვ. 186.

² **Matthei Parisiensis.** Chronica Majora, ed H.R.Luard-RS, №57, vol.VI, London, 1882, p. 115.

³ Ibid, vol. I, London, 1877, pp. 112-119.

კი „დიდი ქრონიკის“ ავტორმა ასეთი იდეა წამოაყენეს, მრავლისმეტყველია.

დასახელებულ წყაროებთან მიმართებაში ინტერესმოკლებული არც *როჯერ ბეკონის* ცნობებია. მისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ მისი ავტორი განეკუთვნება არა რიგით ქრონისტებს, არამედ თავისი დროის დიდ მოაზროვნეებს. თანამედროვენი მას მისი აზროვნების თავისებურებებისა და მომხიბვლელობის გამო „საოცარ დოქტორს“ უწოდებდნენ.

ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1214–1294 წლებში, სწავლობდა ოქსფორდისა და პარიზის უნივერსიტეტებში, ეცნობოდა არისტოტელეს თხზულებებს, ისმენდა ალბერტ მაგნუსისა (დიდი) და თომა აკვინელის ლექციებს. შემდეგ, დაუბრუნდა რა ოქსფორდის უნივერსიტეტს, აქვე იწყო ლექციების კითხვა, გააჩნდა თავისი ლაბორატორია, ცდილობდა ბუნების საილუმლოებათა გაგებას, მან განჭვრიტა მიკროსკოპის, ტელესკოპის, თვითმფრინავის გამოგონება, შექმნა მაშინდელი კომპასი – წყალზე დასმული ისარი, რისთვისაც იგი ფრანცისკანელებმა ჯადოქრად გამოაცხადეს და ჩასვეს ციხეში, სადაც 14 წელი დაჰყო. გამოსვლის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ბეკონი ავტორია მრავალი წიგნისა. ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „დიდი თხზულება“ (*Opus mejlus*), რომელიც, როგორც ფიქრობენ, დაწერილია 1266–1268 წლებში¹. მსგავსად წინამორბედი ავტორებისა, არც ბეკონი ყოფილა საქართველოში; მას უსარგებელია იმ ცნობებით, რომლებიც დატოვეს ადრინდელი საუკუნეების მწერლებმა და მისმა თანამედროვეებმა – პლანო კარპინიმ და რუბრუკვისმა. ამის მიუხედავად, ამ დი-

¹ Матузова В. Английские средневековые источники...გვ.189.

დი მოაზროვნის ცნობა, თუნდაც კომპილაციური ხასიათისა, მაინც ძვირფასია ჩვენთვის მიზანდასახულობის თვალსაზრისით..

საქართველოს შესახებ ბეკონს „დიდი თხზულების“ მეოთხე წიგნში აქვს საუბარი. აღწერდა რა აქ მონღოლთა მიერ დაპყრობილ ხალხებს ჩრდილოეთში, ბეკონი იქვე დასძენდა: *„ამ თათრული მხარის სამხრეთით, პონტოს ზღვის გადაღმა, ცხოვრობენ იბერები და ქართველები. საქართველოში არის სატახტო ქალაქი, რომელსაც ტეფელისი ეწოდება, და რომელშიც ძმა მქადაგებელთ აქვთ ტაძარი“*. მართალია, ამ მცირე ცნობაში დაშვებულია უზუსტობა, როცა „იბერები და ქართველები“ ცალკე ხალხებადაა წარმოდგენილი (ამ შემთხვევაში ბეკონი იმეორებს იმ შეცდომას, რომელიც დაშვებული აქვს პლანო კარპინს²), მაგრამ ეს ფრაგმენტი, ადრე განხილული სხვა ცნობებისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ხაზგასმულია საქართველოს სახელმწიფოს არსებობაზე, საუბარია მის „სატახტო ქალაქზე“. ცნობა ნიშანდობლივია იმითაც, რომ მასში ქართველების ქრისტიანობაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ მინიშნებულია ფრაზით „თბილისში... ძმა—მქადაგებელთ აქვთ ტაძარი“. ამასთან, ჩვენი აზრით, ბეკონის მიერ მოხსენიებულ ტაძარში იგულისხმება ის მონასტერი, რომელიც 1240 წელს დაარსეს თბილისში რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა „წმინდა დომინიკეს ორდენის მონაზვნებმა“ და რომლებიც, როგორც მ.

¹ The Opus Majus of Roger Bacon, vol. I, p.361” “A meridie vero istius regionis Tartarum super mare Ponticum sunt Hiberi et Georgian. Et in Georgia est metropolis civitas, quae vocatur Thephelis, in qua fratres predicatores habent domum...”

² პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1942, გვ. 52.

თამარაშვილი წერს, „საქართველოს ერის გასანათლებლად შრომობდნენ“¹. „ძმა-მქადაგებელთა ტადრის“ ამგვარი მოხსენიებით, ვფიქრობთ, „დიდი თხზულების“ ავტორს იმის თქმაც სურდა, რომ ქართველები იყვნენ ტოლერანტები და კეთილმოსურნედ ეკიდებოდნენ კათოლიკეებსაც.

მართალია, „დიდ თხზულებაში“ პირდაპირ არაფერია ნათქვამი, თუ როგორ ეკიდებოდა მისი ავტორი მონღოლების უღელქვეშ მყოფი ქართველების ბელს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი თანაგრძნობით ეკიდებოდა მონღოლების „მოხარკე“ სხვა ხალხების ბელს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ბეკონი არც ქართველი ხალხის ბელისადმი იქნებოდა გულგრილი. ამასთან, არ გამორიცხავდა რა მონღოლების მიერ „ლათინთა“ (ე.ი. ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოების – გ.კ.) გარემოცვის საშიშროებას², უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბეკონს ქართველებში უნდა დაენახა ძალა, რომელთანაც ურთიერთობას და კავშირს სარგებლობის მოტანა შეეძლო ინგლისელებისათვის და საერთოდ ევროპელებისათვის.

ამრიგად, მოტანილი მცირე ცნობები გვარწმუნებენ, რომ, როგორც რომში, ასევე ინგლისში იმდროინდელი მოწინავე ადამიანები საქართველოსთან მოკავშირეობისა და ურთიერთობის სურვილს გამოთქამდნენ. ამაზე მიუთითებს მათ მიერ საქართველოზე წარმოდგენილი ცნობები. ეს ცხადყოფს იმას, რომ საქართველოს არ დაუკარგავს ავტორიტეტი თვით მონღოლთა უღლის ქვეშ მოქცევის შემდეგაც.

¹ თამარაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 17; ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 17; პაპაშვილი მ. 1274 წლის ლიონის..., გვ. 272.

² The Opus Majus of Roger Bacon, vol.I, p. 370.

დამოწმებანი:

1. **Bartholomeus Anglicus.** De proprietatibus. rerum. Apud A.Koburger, Nurenbergi, 1492, lib.XV.
2. **Матузова В. И.** Английские средневековые источники IX-XIII вв. М.,1979.
3. **Matthei Parisiensis.** Chronica Majora, ed H.R.Luard-RS, №57, vol. III, London, 1876.
4. **თამარაშვილი მ.,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.
5. Les Regestes des actes du Patriarcat de Constantinople, vol.1(4), par V.Zaurent, Paris, 1971.
6. **შენგელია მ.** უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, თბ., 1979.
7. **Werner E.** Die Geburt einer Grossmacht-die Osmann (1300-1481), Berlin, 1972.
8. **Cahen Cl.** Pre-Ottoman Turkey. New-York, 1968.
9. **Пашуто В. И.** Внешняя политика Древней Руси. М.,1968.
10. **Ибн-ал Асир.** Тарих-ал-Камиль. Баку, 1940.
11. **Матузова В. И.** Монгольское нашествие в свете политических взглядов Матвея Парижского (по материалам „Великой хроники,,).-Методика изучения древнейших источников народов СССР. М.,1978.
12. The Opus Majus of Roger Bacon, ed. J-H.Bridges, vol. I, Oxford-London, 1897.
13. **პლანო კარპინი.** ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1942.
14. **მამისთვალიშვილი ე.,** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014.

15. პაპაშვილი მ., საქართველო რომის ურთიერთობა, თბ., 1995.

16. პაპაშვილი მ., 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული, №14, თბ., 2016.

Guram Kutalia

Gori State Teaching University

**GEORGIA IN THE STATEMENTS OF ENGLISH
AUTHORS OF THE XIII CENTURY
RESUME**

Violence of Turk-Seljuks and Mongols, who posed threat to European countries as well. The people of the countries created a desire to seek for allies among the Eastern Christian peoples and states. Carrier of such desires were the statements of English Chronists – ***Bartholomaeus Anglicus (1190-1250), Matthei Parisiensis (1200-1259) and Roger Bacon (1214-1292)*** . In these statements along with other peoples are mentioned Georgians as well and their Government is considered as a force, which will be able to repel the Mongols with joint efforts and collaborative actions.

So, even in Farther England appeared people, who wished to have alliance and relationship with Georgia . It shows that Georgia has not lost its authority even after falling under Mongols' yoke.

მარიამ მარჯვანიშვილი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

თავისი მეფობით უკვდავი გვირგვინოსანი

საქართველოს მეფეთა შორის უდიდესსა და უნიჭიერეს დავით IV - შემდგომ ერისაგან აღმაშენებლად წოდებულს, მძიმე ვითარებაში - „დიდი თურქობისა“ და მიწისძვრისაგან მთლად დანგრეულ ქვეყანაში მოუწია ტახტზე ასვლა.

სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რეფორმებით პოლიტიკის, განათლების, კულტურისა და ცხოვრების ყველა სფეროში მეფე დავითმა მოაშენა - მოამრავლა ქვეყანა, გააერთიანა საქართველო, სრულიად გაანადგურა თურქ-სელჯუკები, შემოიმტკიცა მეზობელი ქვეყნები და საქართველოს საზღვრები გადაჭიმა „ნიკოფსიიდან დარუბანდამისა ზღუამდე და ოფსეთიდგან - სოერად და არაგაწამდე.“

ბუნებრივია, საქართველოსა და თავის ერზე შეყვარებულ მეფეზე ხალხი ათას ლეგენდას თხზავდა. დიდი იყო თანამედროვეთა ინტერესი 60 ომის მომგებ სახელოვანი მეფისა და კალმოსანის „გალობანი სინანულისანის“ ავტორისადმი, რადგან სამშობლოს სიყვარულს და მის სამსახურს ქართველს ასწავლის ქართველი ერის წამების ისტორია და ქართველ გმირთა ცხოვრებანი.

საერთოდ, საქართველოს გმირულ ცხოვრებას უდიდესი ამაგი დასდეს ჩვენმა საამაყო გვირგვინოსნებმა - საქართველოს დიდმა მეფეებმა ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა დინასტიებიდან. მათგან კი, როგორც კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, ყველა როდი იყო ქება-დიდების ღირსი, ბევრ მათგანზე „მელანსაც არ დახარჯავდა კაცი.“

კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიას „დავით აღმაშენებელს“ ფართო რეზონანსი მოჰყვა საქართველოში. ამ ფაქტს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია.

შორეული არგენტინიდან ესეისტი თამარ პაპავა თბილისელ მეგობარს სარა მერაბაშვილს წერდა: „რაც შეეხება ჩვენს თხოვნას, არ გვინდა დიდად შეგაწუხოთ, მაგრამ თუ თქვენ მოახერხებთ და გვიშოვით კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნს, დიდად დაგვაკვალბოთ.“

ჩვენი მეგობარი კ. გამსახურდია სიყვარულით მოგვიკითხეთ და თუ წიგნი აქვს, გადმოგცემთ ჩვენთვის.

ისეც იმედი გვაქვს ძველი მწერლები არ დაგვივიწყებენ და მათ უკანასკნელ ნაწარმოებებს მოგვაწვდიან.“

ცხადია, რომ მწერალმა თავისი ტრილოგიის ტომები მიაწოდა ემიგრაციაში მყოფ თამარ პაპავას, რომელიც 1963 წლის 22 მაისით დათარიღებულ ეპისტოლეში აღნიშნავდა:

„ჩემს ძმადნაფიცს კონსტანტინეს დიდი მადლობა წიგნისათვის.“

ემიგრაციაში კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“ მარტო სამხრეთ ამერიკაში როდი იყო ძნელი მოსაპოვებელი, - ამ თხზულებებზე ხელი იოლად არც ევროპაში მიუწვდებოდათ. ამის დასტურია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებლისა და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ავტორის, გიორგი კერესელიძის, ეპისტოლე.

1958 წლით დათარიღებულ წერილში იგი თავის დას, ელენე გლურჯიძეს, თბილისში სწერდა: „ჩემო კარგო და საყვარელო ელენე, მივიღე კიდევ ორი წიგნი შენგან. უღრმესი მადლობა. შენ მწერ შენს 21 თიბათვის წერილში რომ აპირებ კიდევ გამომიგზავნო გამსახურდიას „დიდი ოსტატის“

მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“. გამსახურდია ნიჭიერი პოეტია. ხოლო მაგისი რომანები, ჩემი აზრით დიდად გაჭიანურებული არიან, და ავტორს სურს გაგვაკვიროს თავისი ლექსიკონით და ორიგინალობით. წავიკითხე (მათხოვეს) „ოსტატის მარჯვენა“. შინაარსით კარგია, ფორმით და მოთხრობის მანერით, არ მომეწონა. წავიკითხე ეგრეთვე პირველი ნაწილი მაგის „დავითისა“. ჩემზე უფრო ქრონიკის შთაბეჭდილება დასტოვა, ვიდრე მხატვრული ნაწარმოებისა - მოსაწყენად გაგრძელებულია სრულიად ზედმეტი ეპიზოდები ანდა აღწერა იმისა, რაც არას არ ახასიათებს (ეს წიგნიც მათხოვეს). არ ვიცი თუ ამ რომანის სხვა ნაწილები უკეთ არიან დაწერილნი“.

მეფე დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობა, რომელმაც ქართველ კაცს საკუთარი თავისადმი რწმენა დაუბრუნა, დიდ ეროვნულ მუხტს აღვივებდა ემიგრაციაში.

საქართველოს სამეფო ტახტის საჭეთმპყრობელებს მიუძღვნა ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრებულმა ქართველმა ემიგრანტმა ალექსანდრე მანველიშვილმა თავისი ორი მოზრდილი ნაშრომი: „ძველი ქართული მწერლობა“ (სან-ფრანცისკო, 1987 წელი) და „ოქროს ხანა ქართველი ერის ისტორიისა“ (სან-ფრანცისკო, 1989 წელი).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ავტორის ბოლოდროინდელი ნაშრომი, სადაც რამდენიმე თავი აქვს დათმობილი დავით აღმაშენებლის პიროვნებას.

საქართველოს აღორძინების (რენესანსის) ხანას ალექსანდრე მანველიშვილი პირველად შეეხო 1951 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ (მე-6 – მე-8 თავები: საქართველოს რენესანსი, დავით აღმაშენებელი, თამარი).

ოქროს ხანა „ქართველი ერის ისტორიისა“ წარმოადგენს ფრანგულად შეკვეცილი საქართველოს ისტორიის გაფართოებულ ვარიანტს ქართულ ენაზე, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „საერთოდ, ქართველს, რომელიც საქართველოს წარსულს სუსტად იცნობს, ამ წიგნის წაკითხვა არ აწყენს, ხოლო მეტად მცოდნეს არ მოაწყენს, რადგან ყველა ცნობილი გამოკვლევა, რაც კი ჩვენს განკარგულებაში იყო, გამოვიყენე, რომ მკითხველისათვის ეპოქის სრული წარმოდგენა მიმეცა. აქ მოცემულია ჩვენი ერის ყოველი ასპექტი: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული...“

ამ ნაშრომის გაცნობა საუკეთესო პირობაა მთელი ჩვენი წარსულის შესაფასებლად და მომავლის გასათვალისწინებლად.“

ალექსანდრე მანველიშვილის სან-ფრანცისკოში დაბეჭდილი პირველი წიგნი „ძველი ქართული მწერლობა“ საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებსა და ქართული მწერლობის განვითარებას ეძღვნება. იგი 14 თავისაგან შედგება.

ამ წიგნის დანარჩენ თავებში გაშუქებულია დავით აღმაშენებლის ისტორია. ავტორი „აბდულმესიანის“ განხილვისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ სახოტბო პოემაში შექმნილი დავითი „ზოგს“ დღესაც დავით სოსლანად მიაჩნიაო, მაგრამ „ნაწარმოების სწორი ანალიზი ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს.“

როგორც ჩანს, ალექსანდრე მანველიშვილმა აქ შალვა ნუცუბიძის კომპრომისული თვალსაზრისი გაიზიარა იმის თაობაზე, რომ „აბდულმესიანი“ ორი სახოტბო ძეგლის შემდეგდროინდელი შერწყმის ნაყოფია, ერთია დავით აღმაშენებლის ქება, მეორე - ქება თამარისა და დავით სოსლანისა.

ავტორიც ორი ყოფილად - შავთელი პირველი (დავით აღმაშენებლის დროინდელი მოღვაწე) და შავთელი მეორე (თამარის თანამედროვე).

ალექსანდრე მანველიშვილი ამავე კონცეფციას აგრძელებს სან-ფრანცისკოში გამოცემულ თავის მეორე წიგნში: „ოქროს ხანა ქართველი ერის ისტორიისა“.

კერძოდ, აქ იგი იმოწმებს თავის წინანდელ ნაშრომს - „ძველი ქართული მწერლობის ისტორიას“ და ამბობს: „სწორი ანალიზის შედეგად „გაირკვა, რომ „აბღულმესიანის“ საგანია დავით აღმაშენებელი.“

თამარის თაობაზე იგი შენიშნავდა: „ის მხოლოდ სპორადიულად“ და „გაკვრით“ იხსენიება, მაშინ, როცა ალექსანდრე მანველიშვილი „ოქროს ხანაში“ ბეჯითად აცხადებს: „ნათლად სჩანს, რომ ესე ნაწილი მიეძღვნა თამარს. დავით სოსლანი? იგი კვლავ იგნორირებულია. აშკარაა, მკვლევარი თავის ორთავე წიგნში იზიარებს შალვა ნუცუბიძის კონცეფციას, სადაც შესაქებ პირთა შორის გულისხმობს სამ პირს: დავით აღმაშენებელს, თამარს და დავით სოსლანს.“

ამასთან, წინააღმდეგ შალვა ნუცუბიძისა ალექსანდრე მანველიშვილის კვლევებში წინა პლანზეა წამოწეული ორი ბაგრატოვანი მეფე - დავით აღმაშენებელი და თამარი, ხოლო დავით სოსლანის პიროვნება კვლავ იგნორირებულია.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტების მიერ გამოცემულ წიგნებში, ნაშრომებში თუ ჟურნალ-გაზეთებში შთამბეჭდავად იყო აღწერილი ის დიდი ღვაწლი, რაც დავით აღმაშენებელმა გაწია სამშობლოსათვის.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გაზეთ „კლდეში“ გერმანულ ენაზე გამოცემული ვასილ სადათიერაშვილის ნაშრო-

მი „დავით აღმაშენებელი.“¹ ასევე საინტერესოა ემიგრანტ რომან მკურნალის მოგონება „მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა“, სადაც ავტორს მაგალითად მოჰყავს დავით IV-ზე ერთი ასეთი აბზაცი: „რიცხვს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მოწინააღმდეგენი ერთისა და იმავე ხარისხის არიან გულადობით, შეკაზმულობით, იარაღით და მსგავსს პირობებშიაც იმყოფებიან. ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის, როდესაც რიცხვით მცირე ჯარმა სძლია 5-10 ჯერ რიცხვით მოწინააღმდეგეს. გაიხსენეთ დავით აღმაშენებლის ომები.“

ამავე მოგონებაში ავტორი ერთგან წერს: „ჩვენი ეკლესიის უდიდესი მოღვაწენი იყვნენ აგრეთვე უდიდესი ქართველი პატრიოტები. ტყუილად კი არ აღიარებს ხალხი დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს წმინდანებად.“

აქვე, რომან მკურნალი, გენიალურ პიროვნებათა შორის, რომელთაც შექმნეს ეპოქები, ასახელებს დავით აღმაშენებელს და აღნიშნავს: „იგი რომ არ ყოფილიყო მაშინდელ დროის ხალხთან, არც დიადი საქმენი იქნებოდნენ და არც ერთი თქმულება.“

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ მხედართმთავარს, გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს პარიზში, რუსულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ სტატიასში „საქართველოს დამარცხების მიზეზები“ სამაგალითოდ მოჰყავს დავით აღმაშენებლის ხატება.

„წარსულში ჩვენ ბედნიერი ვიყავით მაშინ, როცა მთელი ჩვენი მოსახლეობა, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება, მზად იყო ჯარში გასვლისა და მტერთან შებრძოლებისათვის. ამ დროს მხოლოდ გვიჩნდებოდნენ დავით აღმაშენებლები და

¹ Wasil Sadathieraschvili, konig David II. der Erbauer, გაზ. „კლდე“, ბერლინი, 1936, №20-21.

თამარები. როდესაც ამ სახელების გარშემო ჩვენ ვთხზავთ ჯადოსნურ ლეგენდებს და ვაღმერთებთ მათ“.

ცნობილია, რომ 1953 წლის ბოლოდან სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე ლიტერატურულ-სამეცნიერო, კულტურულ-საგამომცემლო საქმიანობამ არგენტინიდან სანტიაგო-დე-ჩილეში გადაინაცვლა, ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ვიკტორ ნოზაძე. ნაშრომების გამოცემა იკისრა მრეწველმა ავთანდილ მერაბაშვილმა, რომელიც დაინტერესებული იყო შოთას გენიის მეცნიერული კვლევებითა და „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე გამოცემით. რუსთველოლოგიური ნაშრომების გარდა, ასევე დაიბეჭდა აკაკი პაპავას კრებული „1500 წლოვან თბილისს“ და გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებული „გვიანი რთველი“.

აკაკი პაპავას „1500 წლოვან თბილისს“ - გამოცემასთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძე 1960 წელს ჟენევიდან ავტორს სწერდა: „ძვირფასო აკაკი! დიდი მადლობა შენი წიგნისათვის „1500 წლოვან თბილისს (ლექსები და წერილები)“ წავიკითხე: რასაკვირველია, დიდი ინტერესით. უმღერ ჩვენს დედა-ქალაქს, რომელიც მაჯისცემაა და გულის-ფეთქვაა მთელი ჩვენი სამშობლოსი. თავს ევლები: ხან ამ მხრით, ხან იმ მხრით, შეფარვით ეხვევი, ეტანები. ვერ ელევი, ვერ ცილდები. თუ ცილდები, კვლავ უბრუნდები. ვერ ეშვები. უმღერ ლეგენდარულ ტფილისს, რომლისათვის დანთხეული სისხლი ქართველთა მზის ნაკადად ქცეულა.“

აკაკი პაპავა ამ კრებულში თბილისზე მოთავსებულ წერილებში დავით აღმაშენებლის არნახულ გმირობას ეხება და აღნიშნავს: „თბილისის საბოლოო შეერთება საქართველოსთან დავით აღმაშენებლის ძლიერი ხელის ქვეშ ხდება 1122 წლიდან, როცა მან მტერი სასტიკად დაამარცხა... აქედან

დაიწყო თბილისის ნამდვილი აყვავება, რაიც 1226 წლამდე გაგრძელდა.“

ემიგრაციაში ასევე აღინიშნებოდა დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღეები, რაც ქართველთა სოლიდარობისა და გაერთიანების საწინდარი იყო.

დავით IV - აღმაშენებელმა, რომელმაც XI საუკუნის 60-70 წლებში შემოსეულ მტერთაგან განადგურებული საქართველო გააერთიანა და ააყვავა, წიგნი და ხმალი ორივე საქართველოს სამსახურში ჩააყენა.

ღვთის მოშიში და ჭეშმარიტად ქრისტიანი მეფე მთელი ცხოვრება „ცოდვებს“ ინანიებდა: „ჟამი რაი წულილთა ამოფშვნათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დამრტეს, შენობანი უქმნ იქმნენ, ყვავილოვნებაი დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაი, სხვუასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო“.

ჭეშმარიტად, დავით აღმაშენებელი გახლდათ ჩვენი ქვეყნის ის პირველი დიდი მეფე, რომლის მოღვაწეობა იყო და იქნება ქართველი ერისათვის მუდამ უკვდავსაყოფი.

დამოწმებანი:

1. კერესელიძე გ., პირადი წერილი, ვეზინე, 20 მკათათვე, 1958.
2. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფ. 28103/6, ბუენოს-აირესი 26.04.1961.
3. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი ფ. 28103/10, ბუენოს-აირესი 22.05.1963.
4. პაპავა ა., 1500 წლოვან თბილისს, სანტიაგო-დე-ჩილე, 1960.
5. რობაქიძე გ., ნაწერები, ტ. IV, თბილისი, 2012.

6. შარაძე გ., ალექსანდრე მანველიშვილი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ (5, თებერვალი 2), თბილისი, 1990.
7. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბილისი, 2005.
8. შუბითიძე ვ., საქართველოს დიდი მეფეები, თბილისი, 1991.

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical Museum

**THE GREAT KING IMMORTALIZED FOR HIS REIGN
RESUME**

For many centuries, numerous stories, legends have been created about the Georgian king of the kings, David Agmashenebeli, a lot of works and research papers have been written about him. This process was continued in foreign countries by the creative work of Georgian political emigrants of 1921.

Konstantine Gansakhurdia's trilogy "David Agmashenebeli" raised great interest among the emigrants as well, which is proved by the epistolary works of Tamar Papava.

Alexander Manvelishvili, who lived and worked in the United States of America, did a serious research on the life and activity of David Agmashenebeli, which he published in two volumes.

The second book, "Golden Era of the history of the Georgian nation", describes political, economic and cultural

life of our nation. As the author remarks: “This work is the best reason to estimate our past and consider our future”.

In the above mentioned book, Alexander Manvelishvili shares Shalva Nutsbidze’s concept about David Agmashenebeli: “Abdul Mesiani” is a combination of two odes, one is the ode of David Agmashenebeli and the other is the ode of Queen Tamar and David Soslani.

The works of Georgian political emigrants depict the great contribution that David Agmashenebeli made for our nation.

In this respect, we should mention Vasil Sadatierashvili’s work “David Agmashenebeli” published in German in the newspaper “Klde” (Wasil Sadathieraschvili, konig David II. der Erbauer).

Roman Mkurnali, Ilia Odishelidze and other’s memoirs and research are also of great interest.

**ქალდეა და მისი საზღვრების საკითხი ძველი ქართული
ლიტერატურული ტექსტების მიხედვით**

საცნობარო ლიტერატურაში ქალდეასა და მისი საზღვრების შესახებ ვკითხულობთ: „ქალდეველები (ბაბილონურად-ქალდე; ებრ. כַּלְדַּיִם-ქასდიმ; ძვ. ბერძნ. Χαλδαίοι) - სამხრეთ მესოპოტამიაში მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის მიდამოებში, სპარსეთის ყურის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები სემიტური ტომები ძვ. წ. X-IV ს.ს. აწარმოებდნენ ომებს ასურელებთან ბაბილონის დაუფლებისათვის. ძვ.წ. 625-536 წ.წ. ბაბილონს მართავდა ქალდეველთა დინასტია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალბაბილონურ სამეფოს.“

უკვე აღარვინ დაობს იმაზე, რომ ქალდეა უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია. ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ძველი წყაროები ქალდეველებს მოიხსენებდნენ ჯადოქრებად, მაგებად, მოგვებად, ნათელმხილველებად, ასტროლოგებად, ვარსკვლავთმრიცხველებად. ცნობილია ისიც, რომ, ბერძნები და რომაელები დასაბამიდან იცნობდნენ მათი აღმოსავლური სიბრძნის სალაროს. ნეოპლატონიზმი მაღალ შეფასებას აძლევდა ქალდეველთა ორაკულს, მისნობას, მაგიას, მითოლოგიურ სამყაროს.

ბერძნები ქალდეველებს მიიჩნევდნენ ბაბილონელებად. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ სწორედ ქალდეველები იყვნენ ის მოგვები, რომლებიც ყრმა იესოს თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან მოვიდნენ.

მეცნიერები თანხმდებიან იმაშიც, რომ ქალდეველთა კულტურის, ენის, რაობის მიმოხილვა ვერ მოხერხდება ძველ ქართულ ტომთა ისტორიისგან დამოუკიდებლად. ამ გარემოებაზე უცხოელმა მეცნიერებმა (ლენორმანი და სხვა) ადრევე გაამახვილეს ყურადღება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საქართველოში, სვანეთში შემორჩენილია სოფელი-სიმაგრე ქალდე, აგრეთვე ცნობილი წარმართული სიმღერა ქვიან ქალღზე.

წერილობით წყაროებში ქალდეველები პირველად მოიხსენიებიან ძვ.წ. 878 წელს ასურეთის მეფე ასურნასირფალ II-ის ანალებში. რომელთა მიხედვით, თავდაპირველად ქალდეველები ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურის სანაპიროზე ჭაობიან რაიონში მდინარეების, ტიგროსისა და ევფრატის ქვემო დინების გასწვრივ.

ძვ. წ. IX ს. ქალდეველებმა მჭიდროდ დაიკავეს ბაბილონის სამხრეთი ნაწილი და თანდათან გადაადგილდნენ ჩრდილოეთისაკენ.

გამოჩენილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერს: „საქართველო არის გასაღები წინა აზიის უგზუ-უკვლოდ დაკარგული ხალხების გამოსაცნობად. მისი ტომები, განსაკუთრებით სვანები და ხევსურები, არიან ნაგლეჯები ძველი ათასწლოვანი კულტურებისა. მათ ზნე-ჩვეულებებში არის რაღაც ისრაელის ხალხისა, ჰეტიტებისა, როგორც აგრეთვე სუმერელების და ბაბილონელებისა... მხოლოდ ერთი მაგალითი: 2700-3000 წლების წინ ტბა ვანის სანაპიროზე წარმოიშვა ძლიერი იმპერია ქალდეველებისა. ერთი მისი მპყრობელის არგიშტის მიერ. კლდის კლდოვან ნაპირზე ლურსმულის მსგავსი წარწერაა დატოვებული, რომელიც დღემდე ახსნილი არ არის.. ამბობენ, რომ მისი ახსნა შესაძლებელია სვანურის მეშვეობით. სვანთა ტომობრივ შეგნებაში

დღესაც ცოცხლობს უძველესი სიტყვა „ქალდე“, მდინარე ენგურის ხევის ერთ გვერდზე მდებარე ფერლობზეა კლდოვანი უბე, პატარა სოფელი, რომელიც ამ სახელს ატარებს“.¹

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი: „პირველ ათასეულში ჩ.წ.-მდე ნაირის ცალკეული სამთავროების შეერთებით ურარტუელების ანუ ხალდეების სახელმწიფო შეიქმნა, რომლის დედაქალაქი თუმშა ანუ მერმინდელი ვანი იყო. რაკი ვანის ტბის სანახები ჰურრიტების ძველი მიწა-წყალი იყო, ამიტომ გოტცე ფიქრობს ხალდეები-ურარტუელები თავიანთი წინამორბედი ჰურიტების პოლიტიკური ტრადიციების გამგრძელებელი იყვნენ.“²

ქალდეასა და ქალდეელების შესახებ არსებულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში ერთხმად შენიშნავენ, რომ ქალდეა მდებარეობდა სპარსეთის ყურის სანაპიროზე, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ქვემო რაიონებში, თითქმის ბაბილონამდე. სტრაბონის ცნობით, ქრისტეშობამდე მეორე საუკუნეში „სამხრეთის იბერია ვრცლად გადამლილი ქვეყანა იყო ქალდეა ჭანეთიდან მტკვრამდე და თითქმის ვანის ტბამდე“. საყურადღებოა ისიც, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი ჭანეთსა და ხალდეას ერთმანეთთან აიგივებს.

უფრო მოგვიანებით, ქალდეად ითვლებოდა ტერიტორია ურარტუედან პონტოს მიდამოებამდე. ქალდეა ერქვა ასევე „უფრო ჩრდილოეთით ურარტუსა და მის დასავლეთით მოქცეულ შემდგომდროინდელ ჭანეთის მიწა-წყალსაც“.³

¹ გრ. რობაქიძე, ნაწერები, წიგნი IV, თბ. 2012, გვ. 786-787

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, თბ. 1950, გვ. 7.

³ წმინდა პეტრე იბერი და მისი სამშობლო ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო. გამოცემა მანგლელი მიტროპოლიტ ანანიას ლოცვა-კურთხევით, თბ., 2016, გვ. 6

ასევე შენიშნულია, რომ შემდგომ ხანებში, ქალდეას ჩრდილოეთით, აღმოცენდა ქართლის სამეფო. ისტორიკოსთა თვალსაზრისით, ქართლის სამეფოს, რომლის მკვიდრიც ქართველები იყვნენ, სახელი ეწოდა ქალდეას ქვეყნის სახელის მიხედვით. ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერს: „უწინარეს ჟამებშივე ხალდეველთა მოდგმას სჭერია მთელი შუამდინარე და მცირე აზია ეგვიპტის საზღვრებამდე, **კუნძულები კვიპროსი** (ხაზგასმა ჩვენია - მ. მ). (ამას მათებურად ერქვა აგრეთვე იავნანა) და კრეტა“.¹

ცნობილია ისიც, რომ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი ქართველებსა და ქალდეველებს ერთმანეთს უკავშირებდნენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ერთი ცხადი და შეუწყვეელი ისტორიული საბუთი გვიჩვენებს, რომ კავკასია ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა, რომ უძველეს დროს ქართველებს კავკასიაში არ უცხოვრიათ. სად იყო ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო საბუთებში რასაკვირველია, ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ამ საყურადღებო საგნის გამორკვევას თვით ენა გვშეველის. ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უუძველესი ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ მაგალითად სიტყვა „ქართუელი“... (მორფოლოგიური ანალიზი მისგან გამოჰყოფს სადაურობის ანუ ჩამომავლობის საკვეცს -ელს; ამის შედეგად სიტყვა ქართველის პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს“ ... ამგვარად დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ.-მეგრულ შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთიდაიგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი

¹ თ. ვერულავა, მოსე ჯანაშვილი - ქართველ ერს, „ბურუსი“, ელ. ვერსია.

არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიაზვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაც აქვთ შერჩენილი... ერთი სიტყვით ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის¹

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ქალდეას საზღვრებმა შემდგომ გადაინაცვლა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, შუმერებიდან - ქართველებისაკენ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ანანია ჯაფარიძის ნაშრომი „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“ (თბ., 1994 წ.)

აკად. ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, დაახლოებით 6 ათასი წლის წინათ ხეთურ-იბერიულ ხალხებს (ქართველთა წინაპრებს) ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში. აქედან ისინი გავრცელებულან აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში. სწორედ მათ შექმნეს კაცობრიობის უძველესი კულტურული კერები, რომლებმაც შემდგომში დიდი გავლენა იქონია მათ ტერიტორიებზე მოსულ ინდოევროპელებზე. პირინეის ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე, ძველი იბერიელი მოსახლეობის შთამომავალნი - ბასკები დღემდე არიან შემორჩენილნი. ასევე მოხდა აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც ეტრუსკებმა (პელაზგურ-ტირენულმა ტომებმა) შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი გავლენა იქონია რომის იმპერიის კულტურაზე. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გვიან მოსულმა ინდოევრო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 403.

პელმა ბერძნებმა კი ქართველთა წინაპრების - პელაზგების კულტურა აითვისეს. ამ ხალხის მიერ შექმნილი მაღალი კულტურის კერათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად წინააზიური კერები უნდა ჩაითვალოს... ევფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში შუმერებმა ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა - ჯერ იეროგლიფური, შემდეგ ლურსმული“.¹

აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს: „ბიბლიაში ბაბილონის ქვეყანას ქალდეველთა ქვეყანაც ეწოდება, ხოლო ორივენი ხშირად გაიგივებულნი არიან სპარსეთთან“.²

ამ კვლევათა გათვალისწინებით საინტერესო ხდება საკითხი იმის შესახებ, გვხვდება თუ არა სახელწოდება ქალდეა ძველ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში და რა კუთხითაა ის წარმოჩენილი.

აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალდეა რამდენიმე ძველ ქართულ ლიტერატურულ თხზულებაში ფიქსირდება.. პირველი კი მათ შორის არის იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობა“

იოანე საბანისძე აბოს წამოსვლას ქართლში უფლის ნებად თვლის და მას უფლისავე მიერ ქალდეველთა ქვეყნიდან აბრაამის გაყვანას ადარებს. „ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვაი იგი არა თუ თვით თავით თვისით განიზრახა, არამედ ვითარცა იგი უფალმა ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ „გამოვდ ქვეყნისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან

¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 5, თბ., 1987, გვ. 20

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 512

მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო
შენ“.¹

ამავე გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას იოანე ქონ-
ქოზისძე აბოსადმი მიძღვნილ საგალობელში „გალობანი ქრი-
სტეს ნათლისღებისანი და ჰაბო-ისმაელყოფილისა ქართველი-
სანი“.

ვითარცა მსგავსი მამათ-მთავრისაი
ქალდეველთა ქუეყანისაგან
გამოსლვითა, და მოწამე
ქრისტეს ვნებათაი, ღირსებით
იდიდები მორწმუნეთაგან
შესხმითა ყოვლად ქებულო²

თავისთავად ის ფაქტი, რომ აბო შედარებულია აბრაამ-
თან, რომელიც იყო ქალდეველი, მიგვანიშნებს მის მნიშვნე-
ლოვან მისიაზე ქართველი ხალხის სულიერი განმტკიცების
საქმეში.

ქალდეა მოიხსენიება აგრეთვე იოანე შავთელის ჰიმნოგრ-
აფიულ თხზულებაში „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი:

აწ განუსუენო
ღლისა მის წილ ჳირისა,
აღსვლასა ჩემსა მრესახეობისაგან
ქალდეველთა მათ სპარ(ს)თა და სომეხთა,
აგარის ტომთა
ლეგიონი მოიშთვის
წყლითა ოხათა შენთაითა დიდებულო.³

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი
სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ. 1946, გვ. 60

² იქვე, გვ. 347

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. დასახ.
გამოცემა, გვ. 384

დაუბრუნდეთ ისევ აბოს. ქართლში შემოსული აბო თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან ეს ქვეყანა, მიუხედავად არაბთა ბატონობისა, ქრისტეს ნათლითაა გაცნისკროვნებული.

აბოს სულიერ მდგომარეობასთან ერთად ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის საზღვრებზე, კერძოდ - საიდან სადამდე გრძელდება ქართველთა ქვეყანა. იოვანე საბანისძე წერს: „და ნეტარი ჰაბო უფროის-ლა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაი იგი სავსეი ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარი მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაი, მისაზღვრამდე ქალდიასა“.¹

ამ ცნობასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „იოანე საბანიძის თხზულების ის ადგილი, სადაც აფხაზეთის სამთავროს სამხრეთ საზღვარია აღნიშნული, დამახინჯებული ჩანს გადამწერთაგან. იქ ნათქვამია: „საზღუარ მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი... მისაზღვრადმდე ქალდეისა ტრაპეზუნტაი მუნ არს სოფელი იგი აფსარეიასაი და ნაფსაის (მეორე ხელნაწერში: ნაფსეის) ნავთსადგური“-ო.

სოფელი აფსარეიასაი აფსარის ხეობას უდრის. ფლ. არრიანეს მოხსენებითგან ვიცით, რომ მდინარე აფსარი არქაბეს წყალზე 60 სტად. ყოფილა დაშორებული... ე.ი. ეხლანდელი ჭანეთის თემში იყო. ამასვე ადასტურებს იოანე საბანისძის სიტყვები მისი ქალდეასა და ტარპიზონის მოსაზღვრეობა, რომელნიც მდინარე აფსარის ხეობის დასავლეთით მდებარეობენ. „ნაფსაი“ ნავსადგურის სახელი გადამწერთაგან უნდა იყოს დამახინჯებული. რაკი აფსარის მდინარის უახლოესი ადგილი აკამფსის ხეობა და მდინარე იყო, რომელიც სანაოსნოდ ითვლებოდა, ამიტომ იბადება საკითხი, ნაფსაი

¹ იქვე, გვ. 62

ხომ აკამფსაის დამახინჯებას არ წარმოადგენს?“¹ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აკად. კ. კეკელიძის დაკვირვება: „აფხაზეთის საზღვარი არის „ზღვაი იგი პონტოი“, ესე იგი შავი ზღვა „მისაზღურამდე ქალდიასა“, ქალდიის პროვინციის საზღვრებამდე. ამ საზღვრებში, ავტორის ცნობით, იმყოფებოდა („მუნ არს“) „ტრაპიზუნიაი“, სამყოფელი აფსარეაისაი და ნაფსიის ნავსადგური“.

ამრიგად, ტრაპიზონი იმ ხანებში აფხაზეთის საზღვრებში შედიოდა და ეს რომ სწორია, ჩანს 787 წლის საეკლესიო კრების აქტებიდან“¹.

სხვაგან, ამავე გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს აკად. ივ. ჯავახიშვილი. მეცნიერი წერს: „შავი ზღვის ნაპირი, ეხლანდელი ჭანეთი, ანუ ლაზისტანი ეკუთვნოდა ქუეყანასა „ქალდიასა“ (ც-ი აბო ტფ-საი, 19), მას უწოდებდნენ „ქუეყანასა ხალდიასა“ (სუმბატის ც-ბა და უწ-ბა, 69). მისი მდებარეობა იმით შეიძლება გამოირკვეს, რომ „ტრაპეზუნტიაი მუნ არს“ (ც-ბა აბო ტფ-ლსი, 19). ბაგრატიონთა მემკვიდრე სუმბატიც ამბობს: „ბასილ კეისარმა იზამთრა ქუეყანასა ხალდიასა ქალაქსა ტარეზუნთას“-ო (ც-ბა და უწ-ება, 69). მერვე საუკუნეში ეს „ადგილები საბრძანებლად ქრისტეს მსახურისაი იონთა მეფისაი“ იყო (ც-ბა აბო ტფ-ლსი, 19). ამ ქვეყანასვე ეკუთვნოდა ადგილი ხუფად წოდებული, რომელიც მთელ ქალდეასთან ერთად IX-XI საუკუნეებში კვლავ ბერძენთა ქვეყნად ითვლებოდა“ (ც-აი სრ-პნ ზარზმ-სი, 42; სუმბატის „ცხ-ბა და უწ-ება, 69). ქალდეას ჩრდილოეთით

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, თბ., 1950, გვ. 44.

კლარჯეთის საზღვრავდა, ხოლო აღმოსავლეთით ტაო, ბაიანი და სპერი”.¹

მაშასადამე, „აბბოს წამებაში“ ნახსენები ქალდეა უკვე არის არა ძველი, არამედ შემდგომ საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ქვეყანა ამ სახელწოდებით, რომელიც იმ ძველი და დიდი ქვეყნის მხოლოდ აჩრდილსლა წარმოადგენს.

შემდეგი მხატვრული ტექსტი, რომელშიც ქალდეაა მოხსენიებული არის „ცხოვრება შიოსი და ევაგრესი“. ტექსტში სხვა მრავალ სასწაულს შორის მოთხრობილია შემდეგი: შიომ ხელით ნაკვერჩხალი აიღო, ხელზე, დაიღო და საკმეველი დააფრქვია. როცა იქ მყოფთ ეს სასწაული გაუკვირდათ, შიომ გაიხსენა ერთი საინტერესო ამბავი: „რაისა დაგიკვირდების ძმანო, რამეთუ იცის ცეცხლმანცა ძალობაი ღვთის-მცნობელთაი, რამეთუ ამან ცეცხლმან იცნა სამნი ყრმანი ბაბილონს, რაჟამს იგი სახმილსა შინა შესთხოვნეს ქალდეველთა. ხოლო სახმილთა მას შინა მდგომელთა ცუარი ზეგარდმო ეცურეოდა. ხოლო გარემოსა მდგომელენი შეიწუებოდეს და ყრმანი უვნებლად დაიცვებოდეს, რამეთუ წინაშე ღმრთისა არარაი შეუძლებელ არს და მისი არს სიკვდილთ-მოქმედებაი ესე“.

ქალდეას იცნობს „თამარიანიც“. მისი ავტორი ერთგან წერს:

ვერა დამატონ სოკრატ და პლატონ, გრძნობდეს სამნივე
ეფრემის წყებად,
აპეტოსესგან მოპოვებულ არს ქვეყანის ზომა ქალდეველებად,
ვარსკვლავთ აღრიცხვა ზოროასტროსგან, ვერცა მათ
ხელყვეს შენდა დარებად,

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბ., 1983, გვ. 68.

არისტოტელმან მეძიებელმან თვით თავი მისცა საძიებელად.

აპეტისე - ქალდეველთა გეომეტრი „თამარიანის“ ივანე ლოლაშვილისეულ გამოცემაში განმარტებულია როგორც იაფეტი, ნოეს ძე. ფსევდონოეს კომენტარებში ვკითხულობთ: „პირველ ქალდეველთა მიერ მოპოვებულ იქნა ვარსკვლავთმრიცხველობაი და ქუეყანისმზომელობა – ვარსკვლავთმრიცხველობაი უკუე ზოროასტრისგან, ხოლო ქუეყანისმზომელობა - პლეტისგან“.

ქალდეა გვიანდელ წყაროებში მოიხსენიება ასევე როგორც გუმიშხანი.

როგორც ცნობილია, 1755-1759 წლებში ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ ტიმოთე გაბაშვილმა იმოგზაურა წმინდა მიწაზე. თავისი შთაბეჭდილებანი მან აღწერა ნაშრომში „მიმოსვლა“, სადაც სხვა მრავალ საინტერესო საკითხთან ერთად, ის ეხება ქალდეასაც და მის ადგილ-მდებარეობას: „და მიერთგან მივიწიენით ქალდეას, აწ უხმობენ გუმიშხანას, სადა ეწამნენ წმინდანი ევგენი, კანდიდოს, ვალერიანე და მიერთგან განვიხილენით ეკლესიანი და იყო აღშენებული ქართველთაგან. და ვიკითხევდი რა, იგინი მეტყოდნენ, ვითარმედ გუმიშხანა საქართველოს მეფეთა არისო, რამეთუ ვეცხლი გამოსავალი, აქაური საქართველოთი ყოფილაო. ჭოროხის წყლის სათავე - ეს არისო სამზღვარი საქართველო“.¹

ცნობილია, რომ მოსკოვში ემიგრაციის დროს მეფე-პოეტმა არჩილმა რუსულიდან თარქმნა „ალექსანდრიანი“, რომელშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

¹ ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 98.

ტექსტში ალექსანდრეს გარდაცვალების აწერისას ყურადღებას იქცევს ჩვენთვის საინტერესო ერთი ეპიზოდი: ესე რა სოქვა ალექსანდრე, მოკვდა ქვეყანასა მას, რომელსა ჰქვიან გესემი, კიდესა მას ქალდეველთასა, მახლობელ ეგვიპტისა მდინარეთა შორის ჩრდილოეთისათა, მდინარესა ზედა ნილსა, ალაგსა მას ზედა, სადაც იოსებ შვენიერმან შვიდი საუნჯე ფარაოზ მეფესა აღუშენა“.

როგორც ამ ტექსტის გამომცემელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი რევაზ მირიანაშვილი შენიშნავს: ქართულ ტექსტში დაშვებულია შეცდომები (პარალელური რუსული ტექსტი გვ. 70) „В стране Халдейстей бабилоნი გაგებულია „в стороне“ - „კიდესა“ „Междуречьи северstem“ სირიის ასურეთის შუამდინარეთი, მესოპოტამია თარგმნილია, როგორც აღვნიშნეთ, Север - ჩრდილოეთის გაგებით. სიტყვა „житница“ გარდა საუნჯისა ნიშნავს ბელელსაც. რუსულშია: сем житницъ фараону царю сътворил „შვიდი ბელელი აღუვსო“. სლავურშია в стране Герсем в земле сирсии ბიბლიის მიხედვით გესემად იწოდება ეგვიპტის ჩრდილო-დასავლეთი მხარე. აქ ცხოვრობდა იაკობი, რომლის შვილმაც, იოსებმა, ააშენა შვიდი ბელელი და გაჭირვების დროს ხალხს კვებავდა“¹.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ორ სხვადასხვა რედაქციაში არმაზის კერპთან დაკავშირებული ამბები ასეა გადმოცემული: არმაზის კერპთან მისული ნინო „ილოცვიდა 6 დღე. „ხოლო ერისა სიმრავლე კვალად განვიდა ხილვად ადგილსა მის, სადა დგომილ იყო არმაზ კერპი. და იხილეს რაი ადგილი იგი, დაუკვირდა და იტყოდეს სიტყუათა სიცოფისათა

¹ ალექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბ., 1980, გვ. 60

ესრეთ: „მტერ არს ღმრთისა ჩუენისა არმაზისა ღმერთი იგი ქალდეველთაი და ურთიერთას მძღვრობენ და ესე ყოველი მის მიერ მოიწია“.¹

„და მერე ეძიებდა მეფე და ყოველი ერი კერპთა თვისთა და ვერა პოვებდეს და დაეცა მათ შიში და ძრწოლა და იტყოდეს ვითარმედ ქალდეველთა ღმერთ ითრუჯან და ჩვენი ღმერთი არმაზ მტერ არიან და მის მიერ მოიწია ესე“.²

ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ უნდა ყოფილიყვნენ მტრები ეს ორი წარმართული ღვთაება.

მკვლევართა ერთი ნაწილი ათრუჯანს აიგივებს ატროშანთან. აკად. კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ეს ფალაური სიტყვა ქართულში უკვე მეხუთე საუკუნეში გვხვდება ი. ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ და ეს არის ატროშანი. ამავე აზრისაა ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი: „ითრუშენა ანუ ითრუჯანის ღვთაებაზე არაფერს ვამბობთ, რადგან თვით წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორსაც ქართველთა ღვთაებად არ ჰყავს მიჩნეული და მას არც სალოცავი და კერპი ჰქონია საქართველოში. იგი „ქალდეველთა ღვთაებად“ იწოდება. მაშასადამე ის ქართულ წარმართულ პანთეონს არც ეკუთვნის“.³

როგორც უკვე ვთქვით, იმდროისათვის ქალდეველებს უწოდებდნენ სპარსელებს. სწორედ ამიტომ არიან ერთმანეთის მტერები ეს ორი ღვთაება.

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, დასახ. გამოცემა, გვ. 222

² ცხოვრება წმიდისა ნინოსი, შემდგენელი და რედაქტორი მ. ჩხაიძე, თბ. 2013, გვ. 22.

³ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბ., 1979, გვ. 142-143.

დასკვნა ასეთია: ძველ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში გეოგრაფიული სახელი „ქალდეა“ გვხვდება მერვე საუკუნიდან და ის, ძირითადად, აღნიშნავს შავი ზღვის ნაპირზე არსებულ პატარა ქვეყანას ამავე სახელწოდებით. ანალოგიური სურათი გვაქვს მოცემული მე-18 საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის „მოგზაურობაში“. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ტ. გაბაშვილს ქალდეა და ქალდეელები ქართველთა მონათესავე ხალხად ჰყავს წარმოდგენილი. ამის შესახებ „აბოს წამებაში“ არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება ქალდეელებს ვრცელ სახელმწიფოს, რომელიც პროტოქართველური ტომებით ყოფილა დასახლებული, ლიტერატურული წყაროები ამის შესახებ დუმან.

Murad Mtvarelidze
Gori State Teaching University
**CHALDEA AND ITS BORDERS IN THE ANCIENT
GEORGIAN LITERARY TEXTS
RESUME**

In old Georgian literary texts the geographical name "Chaldea" is acknowledged from the eighth century, and mainly it represents a small country of the same name located on the Black Sea coast. A similar picture is given in "The Journey" by Timote Gabashvili, a Church figure of the 18th-century. It should also be noted that T. Gabashvili presents Chaldea and the Chaldeans as a kindred nation of the Georgians. Nothing about this is mentioned in "The Martyrdom of Abo". As for the vast land of the Chaldeans, which was inhabited by proto-Georgians tribes, the knowledge of this state and its culture is revealed in old Georgian literary texts ("Tamariani" by Chakhrukhadze), though any kind of kindred relations with the Georgians in these texts is not mentioned.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის მეფის სადროშოს დავთარი, როგორც საისტორიო წყარო

ხალხთა აღწერის დავთრების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა სახელოვანი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილ ზემო ქართლის სადროშოს დავთარის 4 ფრაგმენტს XVII ს. მეორე ნახევრით ათარიღებდა და აცხადებდა, რომ ქართველი ხალხის აღწერის უძველეს დავთრად უნდა ყოფილიყო ცნობილი.¹ თან იმელოვნებდა, რომ იგი არ იქნებოდა ამ პერიოდის ერთადერთი დავთარი, რადგან აღწერის წესი სამეფოს ოთხ სადროშოდ, ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე იყო დამყარებული და შესაბამისად ხალხის აღწერის ოთხი დავთარის არსებობას ვარაუდობდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დოკუმენტებზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო Hd ფონდის 14534 საბუთმა. მის შესახებ კვლევა დღემდე არ ჩატარებულა და შესაბამისად არც წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე არაფერი იყო ცნობილი. ისტორიკოსი დ. გვრიტიშვილი მას დავთრად მოიხსენიებს, მაგრამ როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი მცირე ფრაგმენტით უსარგებლია და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით საციცია-

¹ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930, გვ. 10.

ნოს შემადგენლობაში მხოლოდ 64-70 სოფელს ვარაუდობდა.¹ დავთარი ყმათა ნუსხადაც მოიხსენიება,² თუმცა ჩვენს ხელთ არსებული XVII ს. საციციანოს ყმათა ნუსხისგან³ არსებითად განსხვავდება. ჩვენი კვლევით დადგენილია, რომ ირანიდან დაბრუნებული მეფე ვახტანგი 1719 წ. აუქმებს ქვემო საციციანოს და ამდენად ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები საციციანოს სოფლებისა და მოსახლეობის სრულ სურათს ვერ იძლევა. ვფიქრობთ, ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მეფის სადროშოს აღწერის თავნაკლული დავთარი, რომლის მხოლოდ ორმა მცირე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. შესავალში წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობები იქნებოდა წამძღვარებული: მეფის ბრძანება, აღწერის მიზანი, ცნობა ხალხის აღწერის წესისა და რიგის შესახებ, როგორც ამას ვხვდებით „დასტურლამალაში“ და 1721 წლის მეწინავე სადროშოს წინასიტყვაობაში.⁴ დავთრის შედგენის თარიღი არსად არის დაცული, თუმცა დავთრის ორივე ფრაგმენტს მეფე შაჰნავაზის (ვახტანგ V-ის) ხელრთვა ახლავს.

¹ გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955, გვ. 128-130.

² მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, წიგნი I, (X-XVII სს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და პ. ბურჯანაძემ), თბ., 1964, გვ. 25.

³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. 5041.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 516-517; თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, თბ., 1907, გვ. IX;

წყაროს სანდოობის საფუძველს იძლევა მასში მოხსენიებული პირები სამეფო კარზე დაწინაურებული მეფის უახლოესი გარემოცვიდან, ციციშვილთა საგვარეულოს ცნობილი მოღვაწეები, აზნაურები და ზემოთ მოხსენიებული XVII ს. მეორე ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარის ცნობები.¹ ეს ორი დავთარი შედარებითი ანალიზით შინაარსობრივად, ენობრივად შედგენის წესით და ინფორმაციულობის თვალსაზრისით თითქმის იდენტურია. მეფის სადროშოს დავთარი მრავალმხრივი მნიშვნელობის ინფორმაციის მომცველია XVII ს. მეორე ნახევრის საციციანოს და ასევე ქართლის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ისტორიისათვის. მასში ციციშვილთა ისტორიული სამკვიდრო მამულების ძირითადი ნაწილია წარმოდგენილი, აკლია ქვემო ქართლის და გუჯარეთის ხეობის სოფლები, თუმცა სრული სახით არც ზემო საციციანოს სოფლებია შემონახული, რომელთა შესახებ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობებია დაცული ჩვენს მიერ მოკვლეულ და გამოქვეყნებულ XVII ს. მეორე ნახევრის საციციანოს სარქივო დოკუმენტში² და ციციშვილთა გაყრის დავთრებში.³

დავთარი სრულ საფუძველს იძლევა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის გაერთიანებისა და ირანის ქვეშევრდომობიდან გათავისუფლების პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე აღწერა უნდა ჩატარებულიყო სადროშოების მიხედვით. მეფე ვახტანგ V-ის უშუალო ბრძანებითა და მეთვალყურეობით, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო შემოსავლების აღრიცხვას,

¹ ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 41-56; 83-87.

² სცსსა, ფ. 1449, ს. 328.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, ს.873; სცსსა, ფ. 1448, ს. 1050

გადასახადების გადამხდელთა და საბრძოლველად გამოსაყვან მოლაშქრეთა რაოდენობის დადგენას. ხალხის აღწერის კანონმდებლობის შესახებ როსტომის დროინდელი „სააღწერო დავთარის“ არსებობაც მიანიშნებს.¹ აღწერისას, როგორც ჩანს, სადროშოების მიხედვით ცალკე დგებოდა მოლაშქრეთა ნუსხები, რასაც ადასტურებს საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი,² რომელიც ს. კაკაბაძის მიერ პირველად იქნა გამოქვეყნებული 1925 წელს³ და დაათარილა კიდევ XVII ს. მეორე ნახევრით. დავთარი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საციციანოს მოლაშქრეთა შეიარაღებაზეც. აღწერა მეფის ბრძანებით უნდა ჩატარებულიყო შვიდ წელიწადში ერთხელ, რასაც მოწმობს 1689 წლით დათარიღებული მეფე ერეკლე I ნაზარალიხანის სიგელიც.⁴

ირანის გართულებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა როგორც ჩანს, ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევდა მეფე შაჰნავაზს მოჩვენებითი კომპრომისული პოლიტიკიდან შეტევაზე გადასულიყო. გადამწყვეტი ბრძოლისთვის, როგორც სახელოვანი მეცნიერი, ნ. ბერძენიშვილი იტყოდა „აღდგომისა და გამოსხნისათვის“ ძალას იკრებდა და საამისოდ ფარულად ირაზმებოდა. მეფის სადროშოს დავთარმა საფუძველი მოგვცა დაგვეზუსტებინა, მისი შედგენის დრო. დავთარი შედგენილი უნდა ყოფილიყო მეფის ბიძაშვილის, დომენტი კათალიკოსის დისწულის, მეფის სადროშოს სარ-

¹ ცინცაძე ი., ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ.74;

² დოლიძე ი., საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი (1656-1696 წწ.), მაცნე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976 წ., №3, გვ.90.

³ კაკაბაძე სარგის, საამილახვროს დავთარი, მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925;

⁴ Пурцеладзе, Дворянские грамоты стр. 10-11.

დალ-სახლთუხუცესის ზაზა ციციშვილის მკვლელობის შემდეგ, რომელსაც წყაროები სპასპეტადაც მოიხსენიებენ. ისტორიკოს გ.ჯამბურას მოსაზრებით: „ეს უკვე მესამე პირია საბარათიანოს სარდალი, რომელიც ბარათაშვილების გვარიდან არ არის-ო“¹. სამწუხაროდ, ისტორიკოსი ზაზას მკვლელობის შესახებ არაფერს ამბობს. ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებას, რომ ზაზას შემდგომ, ვახტანგ V-ის მეფობაში, სპასპეტობა მიიღო, თამაზ ყაფლანიშვილმა სრულად იზიარებდა. ყაფლან ორბელიშვილის ასული როდამი ცოლად ესვა მეფეს, რაც საფუძველი ხდება ამ საგვარეულოს აღზევებისა. ზემო ქართლის სადროშოს სარდალი კი მეფის სიძე, ერთგულებით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, გივი პირველი² ამილახვარია, რომელსაც ცოლად ჰყავდა თამარ ბატონიშვილი. ერთგულთა დასით გაძლიერებული ცენტრალური ხელისუფლება ქვეყნის გაერთიანებისა და შაჰის ვასალობიდან თავის დაღწევის მიზნით მალე ფართომასშტაბიან ანგარიშსწორებაზე გადადის დაუმორჩილებელი და სპარსოფილი საგვარეულოების წინააღმდეგ. ზაალ არაგვის ერისთავი ურჩობის გამო საკუთარ ძმისწულებს მოაკვლევინა, რომლებიც მეფის დისწულები იყვნენ: „ამის წილ მეფემან მისცა ოთარს არაგვის ერისთავობა, ედიშერს-მსაჯულთუხუცესობა, იასონს-დედოფლის სალთხუცობა.“³ ამის შემდეგ მეფის რისხვა გავლენიან დიდგვაროვანს, ზაზა ციციშვილს და მის საგვარეულო შტოს დაატყდა თავს. გატარებულ სადამსჯელო ღონისძიე-

¹ ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955, გვ. 29;

² მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, გორი, 1996, გვ. 17-19;

³ ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 448.

ბებს და სამეფო კარის პერსპექტიულ გეგმას ბუნებრივია უნდა მოჰყოლოდა მოსახლეობის აღწერა. რაც შეეხება სპასპეტის მკვლევლობას, ციციშვილთა შეუვალობის მოშლის შემდგომ პირველ რიგში უნდა გარკვეულიყო: 1. საციციანოს სოფლებისა და მცხოვრებთა რაოდენობა, 2. ყმა-მამულის მფლობელთა კუთვნილების საკითხი, 3. სახელმწიფო გადასახადების გამომდებთა რაოდენობა, რადგან ამიერიდან სადროშოთა შემოსავლების განმკარგველი მეფე ხდებოდა, 4. მეფის სადროშოს მოლაშქრეთა რაოდენობის გარკვევა, 5. მოლაშქრეთა შეიარაღებაზე ზრუნვა და საციციანოზე გამავალი სტრატეგიული გზების დაცვა და უსაფრთხოება, რომელიც ამიერიდან მეფის გაძლიერებული ხელისუფლების პრეროგატივა ხდებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ამირსპასალარის მკვლევლობის პოლიტიკური მიზნების გადაფარვას ცდილობს.¹ მეცნიერის ტენდენციური შეფასებით სამეფო კარზე თავგასულობა და სიამაყე გამხდარა მისი დასჯის მიზეზი: „განდიდნა და იქცეოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. ამისთჳს ინება მეფემან წვრთნა მისი... ძემან მეფისამან გიორგიმ... უგვანოდ ინება შეპყრობა მისი...მოკლეს...ბრძანებითა გიორგი მეფის ძისათა. მსმენელი ამისა დამძიმდა მეფე ფრიად, ვინადთგან იყო ნათესავი (გარნა იტყოდიან მართლისა ამის სისხლისთჳს იქმნა შფოთნი ესე ძეთა შორის მეფისათა...)ხოლო სპასპეტობა შემდგომად მისა მისცეს თამაზ ყაფლანისშვილს.“² ამონარიდი ისტორიკოსის ხელთ არსებულ ფარულ ინფორმაციაზე მიუ-

¹ მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 83-91.

² ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 455.

თითებს, „უნებლიედ წამოცდენილი ფრაზა“, საკმარისი მტკიცებულებაა მეფის ძეთა შორის აშკარა დაპირისპირებაზე, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრებულა ზაზას მკვლელობის შემდგომ. თუმცა სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ქვეყნის გაერთიანებისა და ერეკლე ბატონიშვილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ზაზა ციციშვილს დამსახურებას არ უკარგავს.¹ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სპასპეტის ღალატის ფაქტის შესახებ არც ვახუშტი ბატონიშვილი და არც სხვა პირველწყარო არაფერს ამბობს. ფაქტიურად ამირსპასალარი ემსხვერპლა რეალურ მოსალოდნელ საშიშროებას, რათა შაჰის ვერაგული გეგმების გამო, საფრთხე არ შექმნოდა გიორგი ბატონიშვილის გამეფებას, ირანს მყოფი, ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი უფლისწულისგან. ქართლის სამეფოს გაძლიერება, იმერეთის (1660-1663 წწ.)² და კახეთის (1664 წ.) შემოერთების მცდელობა, დაუმორჩილებლობა, რომელიც შეუმჩნეველი არც კათოლიკე მისიონერებს³ დარჩენიათ, ახალი მოკავშირეების ძიება და შაჰისთვის მიუღებელი სხვა კონფიდენციალური გადაწყვეტილებანი, რომელიც შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში (დ. კაჭარავა, თ. ტივაძე, ა. იოსელიანი ე. მამისთვალიშვილი, გ. ჯამბურია და სხვ.) თვალნათლივ მიანიშნებდა საქართველოზე ირანის გავლენის დაკარგვის რეალურ საშიშროებაზე, რასაც

¹ იქვე, გვ. 452; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ თბ., 1955, გვ. 305-306; ფ. Hd, ს. 14538.

² ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 66.

³ ჟან შარდენის ოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 61.

შაჰი ადვილად ვერ შეეგუებოდა. შაჰ სულეიმანის (1666-1694 წწ.) ალტერნატიული, ვერაგული ჩანაფიქრი ადვილად ამოიცნეს ქართლის სამეფო კარზე. მუხრანბატონთა სამეფოს გვერდითი შტოს მემკვიდრის, სარდალ ზაზა ციციშვილის, ისპაჰანის ტარულთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ნათესაური ურთიერთობა და „ინსპირირებული შეხვედრები“ შაჰის კარზე, სამეფო ტახტის დაკარგვის საფრთხედ იქნა შეფასებული მეფისა და ირანთან შემტევი, უკომპრომისო პოლიტიკის მომხრე გიორგი ბატონიშვილის მიერ. სწორედ ამიტომ დაგეგმეს და განახორციელეს სპარსოფილი სპასპეტის თავიდან მოცილება. საამისო საფუძველს იძლეოდა ასევე მამამისის, მეფის სადროშოს სარდლის, პაპუნა ციციშვილის შაჰის კარზე დიდი გავლენა და კავშირები. ცნობილია, რომ როსტომს ირანიდან თან მოჰყვებოდა შაჰის კარზე მყოფი ქართველ დიდგვაროვანთა ამაღა, რომელთა შორის იყო პაპუნა.¹ როსტომ მეფის კეთილშობილთა ამაღის წევრი, შაჰ-სეფის ფირმანის მიხედვით იმავდროულად შაჰის პირადი ლუღამის წევრიც იყო და სამსახურის სანაცვლოდ თიულს დროებით მფლობელობაში ფლობდა შირვანის ოლქშიც. 1649წ. შაჰ-აბას II ფირმანით კვლავაც ინარჩუნებდა სოლიდურ ჯამაგირს და მამულებს შირვანში.² იმავე დოკუმენტში ევალებოდა შაჰნავაზს: „დაწერილის თანახმად დადგენილად იცნოს... ბრძანებულება.“³ 1659 წლის 11 მარტის ოქმით კი მეფე უსიტყვოდ ასრულებს შაჰის ბრძანებას: „რადგანაც მაღალ

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, წიგნი II, გვ. 240;

² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურაძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I₂; თბ., 1962, ლოკ. №29, გვ. 60-61.

³ იქვე, ლოკ. №29, გვ. 73-74.

დავთრებში გატარებულია [ჩვენც] სამუდამოდ [გაგვიჩენია]... მოხსენიებული თანხა... მისთვის დაგვიმტკიცებია.“¹ როსტომის გარდაცვალებისთანავე სწორედ მეფის სადროშოს სარდალი, პაპუნა გაისტუმრეს ჩაფრად ირანს დედოფალ მარია-მის სურვილით: „მეფობაცა და დედოფალიც მუხრანის ბატონს ვახტანგს მისცა... პაპუნა საახალწლოდ მოვიდა. სოლანლუხს მეფე ჩავიდა და ყაენის ხალათი ჩაიცვა, რაყამი თავზე დაირჭვა და ისე შემოვიდა ქალაქში, მეფე გაათათრეს.“² ფარსადან გორგიჯანიძის ცნობითვე, ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ კი შაჰის კარზე ალექსანდრე ბატონიშვილის გამეფების საკითხიც იხილებოდა: „მანამდისინ გიორგი ჩავიღოდა, მის ძმას ალექსანდრეს კარი ქრთამით შე(ე)კრა და მეფობას თავის თავისთვის ცდილობდა... ცოტას ხანს გიორგის მეფობა უკუევარდა.... კიდევ გაათათრეს...“³

ქართლის სამეფო კარის ასეთი გავლენიანი უმაღლესი მოხელე, ზაზა ციციშვილი მეფის სადროშოს აღწერის დავთარში არ მოიხსენიება, არსად გვხვდება ცნობები მისი ყმა-მამულის მფლობელობის შესახებ. გავლენადაკარგული ჩანს ზაზას ძმა, ზაალ ციციშვილი, მაშინ, როცა თავადთა სიძლიერეს ყმა-მამულის სიმრავლე განსაზღვრავდა, იგი დავთრის მიხედვით ფლობდა მხოლოდ 5 კომლოს: „ზაალისა:ზედა:ქც-წრჯს:კუამლი:ერთი:ღუარებს:ერთი:და:სასირეთს:კუამლი:ერთი:... ჭკრებს:ზალის:ყმითა:კუამლი:ორი:“ სარდლის სახელზე კი

¹ დუნდუა ნ., აღმოსავლეთსაქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით შესავლითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა ნ. დუნდუამ, თბ., 2010, გვ. 27.

² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925, გვ. 269;

³ იქვე, გვ. 275-276.

შემორჩენილა მხოლოდ ერთი კომლი, „წრომს:სარდრისა:ჭა-
ჭნიძე:ერთი“.¹ ზაზას მომხრეთა და სახლისკაცთა შტოს
დარბევის, დასჯა-შევიწროების შესახებ ერთადერთი ცნობაა
ჩვენამდე მოღწეული: „როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო,
მაშინ შანავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები და
მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო... სარდალის შვი-
ლებისა წიგნები აღარ ჩნდა.“² წართმეული დიდძალი ყმა-მა-
მულის დაბრუნების შესახებ ცნობები დაცულია ნაზარალიხა-
ნის მეფობისას ზაზას შთამომავლების არზა-დოკუმენტებში.³
ზაზას გავლენაზე და ქონებაზე მიუთითებს წმიდა ნიკოლო-
ზის ეკლესიაში თ. ჟორდანიას მიერ აღმოჩენილი ეპიგრაფი-
კული წარწერა: „ქ.ესე თავადთა უთავადესი ფანასკე[რტელი
ც[იცი]შვილ... სახლთხუცესიპატრონი ზაზა მე... მ...ლისა
ქონებისა დიდებისა პატრონი იყო.“⁴ როგორც ჩანს, საეჭვოდ
და გამიზნულად „დაკარგულა“ ცნობები სარდალ-სახლთუხუ-
ცესის შესახებ. მრავალმხრივი კვლევის მიუხედავად ჯერჯე-
რობით მხოლოდ ამ მწირ მასალას მივაკვლიეთ, რომელიც
მეტად მნიშვნელოვანი პირველწყაროებია და ჩვენთვის საინ-
ტერესო ფაქტის დეტალებზე ინტერპრეტაციის შესაძლებლო-
ბას იძლევა. მოწინავე და მეფის სადროშოს სარდალი,
სახლთუხუცესი ზაზა ციციშვილი 1672 წლის შემდგომ დო-

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, ს.14534.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 206; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფ. Hd, ს. 647.

³ სცსსა, ფ. 1450 დავთ. 50, საბ. 26; ფ. 1450 დავთ. 51, ს.6, 8, 10; ზეც., ფ. Hd ს.802.

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერ-
ლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ.
ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897; გვ. 478.

კუმენტებში არსად მოიხსენიება. ვფიქრობთ, მისი მკვლევლობა 1672 წ. მისი სპარსეთიდან დაბრუნების შემდგომ უნდა მომხდარიყო, ამის საფუძველს იძლევა ჩვენამდე მოღწეული 1671 წლის დეკემბრით დათარიღებული შაჰ-სულეიმანის (სეფი მეორე) ფირმანი ზაზა ბეგის სახელზე ძვირფასი სამოსელის ბოძების შესახებ.¹ ამდენად, საკვლევი თემისთვის სრული საფუძველი გვაქვს დაგვეზუსტებინა დავთრის შედგენის ზუსტი დრო და საციციანოში მიმდინარე ისტორიული გარემოებანი.

საციციანოს დავთარის მიხედვით, ხეობათა სოფლების კომლთა ერთიანი აღწერის ნაცვლად, მებატონეთა კუთვნილ სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ კომლთა აღწერით ხდებოდა, თუმცა თითოეული მათგანის კუთვნილი კომლები ხეობების მიხედვით არის ჩამოთვლილი. სავარაუდოდ გადასახადების ამოღებაც ამ პრინციპით ხდებოდა და ხშირად მინიშნებულია კომლის მფლობელთა სამოხელეო სახელო, ან სახელი. მაგ. „თურმანისა:სკრას:კუამლი:რვა:ზენაფლაზს:კუამლი:სამი:ღუარებს:კუამლი:ორი:ოლოზს:კუამლი:ხუთი:წედის:კუამლი:თხუთმეტი:ბნავის:თავყელიშვილის:ზუბიტასი:ერთი:წეროს:მოსაურე:კუამლი:ორიჯ.“ დავთარში მოსახლეობის აღწერა გაბმულია, ცალკე სტრიქონად არ არის გამოყოფილი, განკვეთის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. მის ფრაგმენტზე კომლების ჯამი არ არის დაანგარიშებული. როგორც ჩანს, დავთრის შემდგენელს კომლთა საერთო ჯამის გამოანგარიშება მიზნად არ ჰქონია, თუმცა ეს უცხო არ უნდა ყოფილიყო, რადგან ამ პერიოდის საციციანოს ყმათა ნუსხაში² მითითებულია სოფლების კომლთა რაოდენობა გვარი-

¹ ზუბუა მ., საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, თბ., 1949, დოკ. №9, გვ. 18.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 5041.

თა და სახელით, ხშირად სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით და ბოლოს დაჯამებულია კომლთა რიცხვი. მეფის სადროშოს დავთარის ფრაგმენტები, ისევე როგორც ზემო ქართლის სადროშოსი, ამით განსხვავდება XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრების შედგენის წესისაგან, სადაც ხეობის, ან თემის აღწერა თავდება სოფლის მცხოვრებთა ჯამით და ცნობილი ფრაზებით: „იქმნა:სრული:ამისი:ჯამი“ ან „იქნა:ერთპირად:მოსახლე“. ზემო ქართლის სადროშოს ტექსტსაც განსხვავებული ხელით აქვს მიწერილი კომლთა ჯამი, რაზეც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ხალხის აღწერის შემდგენელს საერთო ჯამის გამოანგარიშება მიზნად არ ჰქონია და ვარაუდობდა, რომ მოგვიანებით ვიღაც სხვა პირის მიერ უნდა ყოფილიყო გამოანგარიშებული და მიწერილი. დავთრის მიხედვით გადასახადის გამომღებ თითოეულ კომლში რამდენი „თავი“ მოიაზრებოდა გარკვევით არ არის მითითებული, მათ ვინაობაზე სახელებიც იშვიათადაა მინიშნებული, განსხვავებით საამილახვროს დავთრისგან. თუმცა ჩანს, რომ ზოგიერთ კომლში ორი და მეტი „თავი“ ერთიანდებოდა: „ანდერმანის:შვილისა:კუამლი:ორი:საყავრეს:ბერუასი:კუამლი:ორი:და:ორი:უნდა:გამოიღონ:და:მახარაც:ჭაბა:შვლს:მიუდგეს:და:ორი:უნდა:გამოიღონ:პატასი:ქვენადრეს:კუამლი:ერთი:ბერუაშვილებისა.“ სამაგიეროდ მეფის სადროშოს დავთარში, აშკარად ჩანს კომლების მფლობელთა ვინაობის გარკვევაზე განსაკუთრებული ინტერესი. რაზეც სახელოვანი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მდივან-მწიგნობარნი მარტო იმას კი არ აქცევდნენ ყურადღებას, თუ ვინ სად ბინადრობდა და იმყოფებოდა, არამედ იმას, ვინ რომელი მებატონის ყმა იყო, ვინ რომელს ეკუთვნოდა.“¹ როგორც ჩანს სამეფო კარი გივი ამი-

¹ ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, მოამბე, თბ., 1901, №4, გვ. 9.

ლახვარს სრულ ნდობას უცხადებდა. სამაგიეროდ ზემო ქართლის სადროშოს დავთარში ცნობები „თაგების“ რაოდენობის შესახებ შედარებით სრულყოფილად არის აღწერილი: „წაბლოვანს საუფლისწულოს მსახლობელი მოყალნე: წაბლოვანს ნოზაძე პატა კუამლი ერთი, მისი ძმა სტეფანა ერთი, გიორგი ერთი, იმათი ნაშენი ერთი ვაჟი: ტაბატაძე ზაზუნა კუამლი ერთი, მისი ძმა დათუნა ერთი, იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი.... ტკოცას მსახლობელი ბატონის სახასო მსახური: კოკავიძე მამულა კუამლი ერთი, შვილი მისი ოთხი ვაჟი სალაშქრო, ძმისწული ორი, იმათი ნაშენი ორი ვაჟი..“¹ საციციანოს დავთრის ამონარიდიდან კი აშკარად ჩანს ეს ერთადერთი განსხვავება: „ატენს: ბატონი დედოფლისა: კუამლი: ორი: ბაბათასი: თარხანი: ბობნავს: კუამლი: სამი: და: კოდის: პურიჯსა: თარხანია: და: საურჯსა.“ ამდენად, საციციანოს დავთარში აღმწერლის მიზანია დააზუსტოს, რომ „ატენს ბატონი დედოფლის კუამლი: ორია: ბაბათასი და ის თარხანია.“ ბაბათას ორ კომლში არ აზუსტებს „თაგი“ ვაჟია ბაბათასი, თუ ძმა. თუმცა ყურადღებიდან არ რჩება სამეფო სახასო ყმების რაოდენობის დაზუსტება: „მეფის: ქალაქს: სახასო: კუამლი: ორ: მოცდა: სამი: კავთის: ხევს: სახასო: კომლი: ოცდა: ცხრა: ელიზბარისა: ერთი: ბეჟასი: ერთი: ჯავსანასი: კუამლი: ორი: დათუნასი: ორი: ქავთარაძის: ნაქონი: კუამლი: ხუთი: გრაკალს: წმიდის: გიორგისა: თარხანი: კუამლი: ექვსი: ჯოხის: კუამლი: თოთხმეტი და ვანთას: ექვსი.“ დავთრის აღმწერელი მიუთითებს მებატონეების სოციალურ მდგომარეობაზე და სამოხელეო თანამდებობაზე ყორჩიბაშის, მდივანბეგის, სახლთუხუცესის, ფარეშთუხუცესის კომლებზე, მათი ვინაობის დაზუსტება სახელებით, ან გვარებით არც კი უცდია. მაგ. „ზაკს:

¹ ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 42, 49.

დივანბეგისა: მოსაურე: ღაგრადე: და: მოშიტა: ორიჯ: “ დავთრის შე-
მდგენელისთვის, როგორც ჩანს, ქართლის სამეფო კარზე და
სადროშოში იმდენად ცნობილი და გავლენიანია ციციშვილთა
საგვარეულო და სახელმწიფო მოხელენი, რომ მათ ძირითა-
დად სახელებით ან, თანამდებობით მოიხსენიებს და საჭიროდ
აღარ ჩაუთვლიათ გვართ მოხსენიება. დავთარში სამეფო კა-
რის სამოხელეო თანამდებობის კუთვნილ კომლთა ჩამოთვ-
ლისას მინიშნებულია მოლაშქრეების რაოდენობა: „დივანბეგი-
სა: ხანდაკს: მოლაშქრე: გიორგით: კუამლი: მოსაურე: რვა... ღჯულებს:
დივანბეგისა: კუამლი: ერთი: ქვენადრის: მოლაშქრითა: მოსაურე: კუ-
ამლი: ოთხი: და: მელებს: კუამლი: ერთი... ფცეს: მოლაშქრითა: საურავ
ს: გამომღები: კუამლი: ოთხი... ფარეშთუხუცესის: პატასი: ნოსტეს:
მოლაშქრითა: კუამლი: ცამეტი.“ ვფიქრობ, დასჯილ, სპარსო-
ფილ ციციშვილებს ადვილად აღარ ენდობოდა და მათგან
საომრად გამოსაყვან მოლაშქრეთა ნუსხას მეფე სარდალთან
ერთად საგანგებოდ ადგენდა. სამეფოს ერთიან მოლაშქრეთა
ნუსხის არსებობაზე კი მიანიშნებს ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრში დაცული XVII ს. მოლაშქრეთა სიის ფრაგმენტი,¹
რომელშიც შესულია მოლაშქრეები საციციანოს სოფლებიდან.

დავთარი საინტერესო ცნობებს იძლევა ამ პერიოდის
ციციშვილთა საგვარეულო, სამკვიდრო მამულები, მათ შო-
რის სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლები, როგორ გადა-
ნაწილდა სამეფო კარის ერთგულ მოხელეთა და სამეფო
ოჯახს შორის, რომელთა რაოდენობამ შეადგინა – 432 კომ-
ლი. მდივანბეგი - მეფის დისწული ედიშერი, ფლობდა 61
კომლს; დათუნა - 16; მის შესახებ საინტერესო ცნობები და-
ცულია წყაროებში.² სახელოვანი მეცნიერის ვახუშტი ბატო-

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-1631.

² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925, გვ. 66; ცხოვრება საქართველოსი

ნიშვილის ცნობით: „ხოლო გიორგის, ძესა მეფისასა, მამისა-
ვე ჟამსა შინა მოეყვანა თუშეთილამ დათუნა ძე შალვასი და
იმყოფებოდა მის თანა.“ 1675 წ. ირანის სამეფო კარზე დაბა-
რებული ვახტანგ V-ე მითითებას აძლევს ქართლის გამგებ-
ლად დატოვებულ გიორგი ბატონიშვილს, მეფის ახლო ნათე-
სავის, ქსნის „უკუძღვარი“ ერისთავის იასეს დარბევისა და
საერისთავოდან გაძევების შესახებ: „შეუქდნენ ჳსანს...და და-
სუეს დათუნა ერისთავად. მოგვიანებით მეფე გიორგიმ:
„...მისცა ასული თვისი მეფემან დათუნას ჳსნის ერისთავსა და
უქმნა ქორწილი კოჟორსა ზედა“.¹ აღნიშნულ ფაქტს ადას-
ტურებს ფარსადან გორგიჯანიძე.² ფარემთუხუცესს პაატას
მფლობელობაში³ - 54 კომლია. ფარემთუხუცესი და ზაზა
ციციშვილი ერთად იღებენ მონაწილეობას მეფის ბრძანებით,
1670 წ. ბარათაშვილთა გაყრაში.⁴ მეფის კარის მდივან-მწიგ-
ნობარ თურმანის⁵ - 81 კომლი ჰყავს. სახლთუხუცესს, მუხ-
რანის ბატონ პაპუას - 52 კომლი. მცირე კომლი ჰყავთ:
შანშეს - 4; სუფრაჯის - 8; ყორჩიბაშს - 9; საეკლესიო -
89 კომლი. დიდი წყალობა მეფისაგან ციცი ციციშვილს მიუ-

(პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნე-
ბი და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 122.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამე-
ფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის
მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 456-460;

² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა,
საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925, გვ. 275

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Sd-794;

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერ-
ლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ.
ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 486-487;

⁵ ბაქრაძე ა., მდივან-მწიგნობრის სახელოს საკითხისათვის, მაცნე,
თბ., 1966, №6, გვ. 273-275;

ღია: ბრბონას - 6; ჯალებს - 12; თაგოეთს - 4; მიწობს - 17; ყრისის ხევს - 2; წიმოეთს - 4; წრომს - 8; ბოსლეთს - 2; ცუქითს და მაწლეთს - 15; წინარეხს - 1; გუძინეთს - 14; ყელეთს - 2; მძოვრეთს - 25 - აგარას - 1; ატენს - 5; ბარამათ უბანს - 4; გარდატენს - 2; დოესს - 8.

1670-1673 წწ. საბუთებით ციცი ციციშვილი იმერეთის სამეფო კარზეა და მეფე ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზი იმერეთის „დაჭერაში“ დახმარებისათვის ციცის დიდ საფასურს ჰპირდება.¹ „იმერეთის დაჭერას ეცადე...უკლებლად დაგიმტკიცო ჯელშეუვალად... შენი სამკვიდრო მამული. წყნეთი ვეძისი, დილომს ზანდარაშვილები, ნიჩბის შენი კერძი იყოს, დოესის ციხე, ავკეთი, ლუვის ხევი, მისის შესავლითა. ატენს შენი კერძი რაც იყოს შტლაშაძეებიანათ. ვერე გარდატანიანათ, თრიალეთისა რაც შენი კერძი იყოს. შენი წუბენი, რეხა და კარალეთი, თვალთუბანი, რუის შენი კერძი, არადეთს მუჩანიძეები, ქვენა ფლაზი, ხველურეთი, აფნისი, ქარელი, კეხიჯვარი, ლეთეთი, სამწევრისი მაზმნისშვილი და მღვთისია შვილი, აგარა, ჭალისუბანი სანებლის ხეობიანათ. ბნავისი, ქორაზნა, იმერხევი, მძოვრეთი, გვეძინეთი, სუქითი, მაწლეთი, ბოსლეთი, წრომი, მიწობი, ჯალები, თაგეთი და ბრბონა. აზნაურიშვილები ქურდევანიძეები, ბუნიათისშვილები, მამუკა მალრაძე, ლეთმოძეები, უზნაძეები ...ჩაკა [ჩაკაშვილები - მ.მ] ფარემუზ... გვერდწითლები, გიორგი მაზიტა გედიაშვილები, ალექსი ალექსიძე, ალაიბეგისშვილი, ბულუტაური ჩაჯავაზი, წინამძღვრისშვილები, ციხისთავისშვილები, მელქისაძე-ქისშვილები... ჩალაძეები, ღანჯა ერანმისშვილები, მტელისშვილი, გამცემლისშვილი, ღარაძე... ალექსიძე... რუისში კლიმინაშვილები, ბულუტაური ზაქარია, გოსტამ[ბ]იშვილები... მის

¹ სცსსა, ფ.1449 საქმე № 328.

გარეთ სადგერი, გუჯარეთი, ბაგინეთი... შენის ნასყიდი ნამ-
ზითვი მამული.“ დავთრისა და ამ საარქივო დოკუმენტის შე-
დარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა დაგვეზუსტებინა მე-
ფის „პირობა და საფასე“ ციცი ციციშვილისათვის. თუმცა
წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ გაცილებით მეტ სამკვიდრო
მამულებს ფლობდა ციცი ციციშვილი აღწერამდეც, მხოლოდ
ერთი განსხვავებით მისი კუთვნილი სტრატეგიული მნიშვნე-
ლობის სოფლებიც სახასო გამხდარა.¹ ზემოაღნიშნულის გა-
თვალისწინებით, საკომპესაციოდ, იმერეთიდან გადმოსული
ციცი ციციშვილი მეფისგან სახლთუხუცესობის სამოხელეო
სახელოს წყალობას იღებს 1674 წელს.² მეფისგან შერის-
ხულ სარდლისშვილებს გასაგები მიზეზების გამო სრულ
მხარდაჭერას უცხადებს შაჰ-სულეიმანი.³ რა თქმა უნდა, შა-
ჰის მფარველობის ქვეშ მყოფ ციციშვილთა საგვარეულოს,
ციცის იმერეთიდან გადმოსვლამდე აღარ ანდობს მალაღ სა-
მოხელეო სახელოებს. სახლთუხუცესობას და მეფის სადრო-
შოს სარდლობას დროებით ერთგულ მუხრანის ბატონიშვილ
პაპუას უბოძებს. ციცი ციციშვილის იმერეთიდან გადმოსვლ-
ვას და აღზევებას მალე ახალი დაპირისპირება გამოუწვევია
ციციშვილთა შტოებს შორის. რასაც იგი მალევე ეწირება
(1679 წ.).⁴ ციცი ციციშვილის მკვლელობის შემდეგ მისი

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი
(XVI- XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურ-
თო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ. 68, გვ. 128-132;

² იქვე, დოკ. 69, გვ. 132; დოკ. 70, გვ. 134;

³ ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები
დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურაძემ, წიგნი 1,
ნაკვ. I2; თბ., 1962, გვ.44-45, 70-71, 74-75;

⁴ ქართლის ცხოვრება ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამე-
ფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის
მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 458.

მცირეწლოვანი მემკვიდრე ციცი საგამებლოდ იღებს საციციანოს. სახელოების მემკვიდრეობითი გადაცემის წესი, მეფის ღალატის გარდა იშვიათად ირღვეოდა, მაგრამ მემკვიდრე მნიშვნელოვან სახელოს ვერ მიიღებდა მცირეწლოვნობის გამო. როგორც ჩანს, შექმნილი ვითარება სწორად გათვალა მეფე გიორგიმ, ციციშვილთა ეს ერთგული შტო აღარ მოიმდურა, ოფიციალურად „კანონის დარღვევით“ მცირეწლოვნობის მიუხედავად ამჟობინა საციციანო მისთვის „დაეთმო“, მაგრამ მხოლოდ პაპუას ზედამხედველობით. ამით ფაქტიურად, საციციანოს მართვა-გამგეობა და სარდლობა უმტკივნეულოდ გიორგი მეფის უშუალო გამგებლობაში მოექცა: „სიმცირისათვის მოუდგინა მუხრანის ბატონისშვილი პაპუა და თვით მეფე მოვიდა კოჟორსა ზედავე.“¹

ღავთარის მიხედვით ციციშვილებს მხოლოდ 387 კომლი შერჩენიათ. აქედან ყველაზე მეტი მეფისგან აღზევებულ ციცი ციციშვილს ჰყავს - 132 კომლი, თან კოდის პურისაგან თარხნობის პირობით. დანარჩენ ციციშვილებს - 255. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაძლიერებული სამეფო ხელისუფლება ამკარად ცდილობდა სამეფო აზნაურთა რაოდენობრივ გაზრდას სათავადო აზნაურთა ხარჯზე. მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაზა ციციშვილის მკვლელობის და მის მომხრეთა დასჯის შემდეგ ეს იქნებოდა ყველაზე ეფექტური გზა, რომელთა მხარდაჭერით სამეფო ხელისუფლება საბოლოო გამარჯვებას მიაღწევდა საციციანოს შეუვალლობის მისწრაფებებზე. ამდენად, გასარკვევი რჩება დავთარში ჩამოთვლილ საციციანოს აზნაურთა ბედი, მათი კუთვნილების საკითხი.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 458.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოკვლეული საბუთი¹ საფუძველს იძლევა ავლნიშნოთ, რომ ციციშვილთა თავს დატეხილი უბედურებით შეშინებული სათავადო აზნაურები იძულებულნი გამხდარან მეფის ხელისუფლებას მფარველობა და ქვეშევრდომობა სთხოვონ: „დამდაწაურზედ... მამუკა მალრაძე, ომან უზნაძე, ალექსი ალექსიძე, ლარაძე და ქურდევანიძე ვითაც ჩემს სამკვიდროს სამწყერაოზედ ესახლენ, შემამეხვეწნენ და აღარ გავჰყარეო.“

1783 წლის ტრაქტატს დართული საციციანოს აზნაურთა სია, რომელსაც თითქმის უცვლელად იმეორებს იოანე ბატონიშვილი² და მის გარეთ დარჩენილი საციციანოს სათავადო და სამეფო აზნაურების კვლევამ³ საშუალება მოგვცა იდენტიფიცირება დავთარში მხოლოდ სახელებით ცნობილი მებატონე-აზნაურებისა, როგორცაა: „ომანასი: (ომან უზნაძე, სამეფო აზნაური - მ.მ) კუამლი:ხუთი:ყრჯისის ხევს:ქურდევანიძისა:ოხუნასი:კუამლი:ორი:ყრჯისის:ჰევს:თუთუშიძის:ოთარასი: ორიჯ, იქითვე აფრასიობისა:ორჯ:ყრჯისის:ხევს:და:სადაცა:ჰყავს: მამუკასი (მალრაძე, აზნაური - მ.მ.): კუამლი:ხუთი:გედიაშვილის:დათუნასი (ციციშვილების აზნაური - მ.მ): მიწობს:კუამლი: ხუთი:წიმოეთს:ორიჯ:იესესი:ყველგან:კუამლი:ოთხი:მიწობს ციციასა:ჩუდმეტი:მიწობს და თხილნარს:კიდევ მამუკასი:ორიჯ: როინისა:შვლის: (აზნაური - მ.მ) ყრის კუამლი ოთხი:და: ყრისის:ხევს:ორიჯ:ციცისა:წიმოეთს:კუამლი:ოთხი:ციხის:თაჯ:კოდის:პურის:თარხანია:და:საურავი:უნდა:გამოილოს:ოთხი:აღამიან-

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd. ს. 804.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, ს. 3409; ფ. S, ს.3729.

³ მიჩიტაშვილი, მ., საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 299-300.

ისა:ყრიცის:კუამლი:ზუთი:იქით:ჩაკასი:კუამლი:სამი:იქით:ფარემ-
 უზისა: (გვერდწითელი - მ.მ.) კუამლი:ოთხი:წიმოეთს:მაზიტა-
 სი: (გედიაშვილი - მ.მ.) კუამლი:ორი:გუერდ:წითლის:გიორგი-
 სა:კუამლი:სამი:უზნადის:ოთანასი:ყრცის:ერთი.¹ დავთარის მი-
 ხედვით საციციანოს აზნაურები 156 კომლს ფლობენ: ომან
 უზნაძე - 6 კომლი; ქურდევანიძის - 12; მალრაძე მამუკასი -
 9; გედიაშვილის დათუნასი - 7; მაზიტასი გედიაშვილი წი-
 მოეთს - 4; როინაშვილის - 4; ჩაკასი - 5; ფარემუზი გვერ-
 დწითელის - 7; გვერდწითელი გიორგის - 3; გვერდწითელი
 ალექსისა - 7; ბულუტაურის - 3; ციხისთავიშვილის - 7;
 გამცემლიშვილისა - 1; როსებისა და პატასი - 4; ალაისბე-
 გისშვილები - 3; ფრანგიშვილების - 2; ლარაძისა - 17;
 საყვარელიძის - 7; რევაზაშვილების - 6; გლურჯიძე პატასი
 - 12; ავთანდილისა - 14; რაზმანაშვილი დემეტრასი - 6;
 როჭიკასი - 9; ზემოთ დასახელებული აზნაურთა საგვარეუ-
 ლოები გვხვდება საციციანოს გაყრის დავთრებში, რომელთა
 მნიშვნელოვანი ნაწილი ნაზარალიხანის მეფობაში კვლავ ცი-
 ციშვილების აზნაურებად მოიხსენებიან.²

ამრიგად, დავთრის აღმოჩენამ შესაძლებლობა მოგვცა
 დაგვედგინა არამართო საციციანოს სოფლები, არამედ კომლ-
 თა რაოდენობაც, რომელმაც შეადგინა 95 სოფელი და 1064
 კომლი. ესენია: 1. აგარას - 1; 2. ატენს - 37; 3. აფნის - 11;
 4. ავკეთს - 5; 5. აბანოს - 11; 6. ახალშენს - 4; 7. ბარამა-
 თუბანს - 4; 8. ბრბონას - 10; 9. ბოსლეთს - 2; 10. ბობ-
 ნევს - 8; 11. სიქალეთს - 2; 12. ბოშურს - 1; 13. ბნავის -
 5; 14. ბის - 3; 15. ბარეთალს - 3; 16. გარდატენს - 5; 17.
 გუბინეთს - 14; 18. გრაკალს - 7; 19. გომიჯვარს - 5; 20.

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, ს. 14534.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 5010-ა; ფ. 1448, ს. 4968; მიჩიტაშვილი, მ.,
 საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 259-283.

გუდალეთს - 7; 21. დოესს - 9; 22. დრეს - 5; 23. ეზატს - 3; 24. ვერე - 14; 25. ვანთას - 6; 26. ზენაფლის - 6; 27. ზენადრის - 2; 28. ზაკს - 5; 29. თაგოეთს - 13; 30. თხილნარს - 6; 31. თრელვს - 6; 32. თელათგორს - 11; 33. თეზს - 2; 34. იმერხევს - 4; 35. იკუნევს - 1; 36. იისციხეს - 13; 37. კლდუ - 3; 38. კეხიჯვარს - 10; 39. კავთისხევს - 45; 40. ლეთეთს - 18; 41. მძოვრეთს - 37; 42. მიწობს - 39; 43. მუხათ - 2; 44. მელეს - 4; 45. მაწლეთს - 17; 46. მეფის ქალაქს - 43; 47-48. ნიჩბის და ოხერას - 22; 49. ნოსტეს - 14; 50. ორმოთს - 6; 51. ოლოზს - 8; 52. ოძის - 16; 53. რიეთი - 6; 54. სანებელს - 11; 55. სამწევრის - 55; 56. სასირეთს - 12; 57. სიონს - 4; 58. სკრას - 27; 59. საყავრეს - 7; 60. ქუახვრელს - 20; 61. ქცრვს - 2; 62. ზედა-ქცრვს - 1; 63. ქვენადრის - 5; 64. ქორაზანს - 17; 65. ქვენაფლიზს - 8; 66. ღვლევს - 6; 67. ღვარებს - 10; 68. ღუისხევს - 7; 68. ღართას - 4; 69. ღვედრეთს - 4; 70. ღუწეს - 3; 71. წიძოეთს - 21; 72. წრომს - 19; 73. წედის - 23; 74. წეროს - 2; 75. წინარეხს - 6; 76. ცამნათუბანს - 4; 77. ცუქითს - 2; 78. ცხირეთს - 9; 79. ფცას - 6; 80. ფავნის - 5; 81. ფელს - 3; 82. ჭალისუბანს - 5; 83. ჭვარებს - 6; 84. ყელეთს - 5; 85. ყრისის ხევს - 33; 86. ყინწვის - 20; 87. ყრის - 5; 88. ყარაღაჯს - 17; 89. ხანდაკს - 27; 90. ხიდისთავს - 6; 91. ხოვლეს - 13; 92. ჯოხის - 14; 93. ჯალებს - 21; 94. ჯუედურეთს - 43; 95. ჯამლეთს - 3; საციციანოს სოფლების რაოდენობის დასაზუსტებლად დავთრის ამ მონაცემებს დავუმატეთ ციცი და ქაიხოსრო ციციშვილთა გაყრის განჩინებებსა (1664-1673 წწ.) და მეფე ვახტანგ V-ის მიერ ციცის წყალობის სიგელში დასახელებული სოფლები, რომელთა შესახებ ცნობები არ შემოუნახავს დავთარს. ამავე პერიოდის საციციანოს ყმათა

ნუსხასთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ საციციანოს კომლთა რაოდენობაც: 1. არადეთს - 4; 2. რუისს - 5; 3. ქარელს - 12; 4. თვალათუბანს - 11; 5. წყნეთი - 11; 6. თრიალეთის რეკა - 15; 7. საპონაური - 8; 8. კოდმანს - 3; 9. კრობანს - 2; 10. ახალსოფელს - 2;

ამდენად, XVII ს. 60-იან წლებში მეფის სადროშოს სოფლების რაოდენობა, გუჯარეთის და ქვემო ქართლის სოფლების გამოკლებით, დაახლოებით შეადგენდა 105 სოფელს და მასში მცხოვრებ 1137 კომლს, რაც მნიშვნელოვნად ცვლის, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ვახუშტი ბატონიშვილისეულ მოსაზრებას.

დამოწმებანი:

1. ბაქრაძე ა., მდივან-მწიგნობრის სახელოს საკითხისათვის, მაცნე, თბ., 1966, №6.
2. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
3. დოლიძე ი., საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი (1656-1696 წწ.), მაცნე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976 წ., №3.
4. ღუნდუა ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით შესავლითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა ნ. ღუნდუამ, თბ., 2010.
5. თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, თბ., 1907.

6. ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუტურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი 12; თბ., 1962.
7. კაკაბაძე სარგის, საამილახვროს დავთარი მე-17ს-ნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925.
8. მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, გორი, 1996.
9. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, (X-XVII სს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და პ. ბურჯანაძემ, თბ., 1964.
10. მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016.
11. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.
12. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972.
13. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973;
15. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუტურიძემ, თბ., 1955.

16. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897.
17. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925.
18. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
19. ხუბუა მ., საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949.
20. ცინცაძე ი. ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.
21. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
22. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930.
23. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974.
24. ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955.
25. Пурцеладзе Дворианские грамоты стр. 10. 11;
26. ხეც, ფ. Hd-873; Hd -14538; Hd -802; Hd 14534; ფ. Hd-804; ფ. Hd-647; ფ. Hd-3409; Sd-794; ფ. S, ს.3729; ფ. Ad-1631.
27. სცსსა, ფ. 1448. ს. 5041; ფ. 1448, აღწ. 1, ს. 64; ფ. 1448. ს. 1050; ფ. 1448, ს. 5010-ა; სცსსა, ფ. 1448, ს. 4968; ფ. 1449, ს. 1905; ფ. 1449 ს. 328; ფ. 1450, დავთ. 50, ს. 26, ფ. 1450 დავთ. 51, ს.6, 8, 10.

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

**THE MILITARY ARMY DISTRICT REGISTER OF
THE KING AS THE HISTORICAL SOURCE FROM
THE SECOND HALF OF THE 17TH CENTURY
RESUME**

The paper studies the issues related to the Register of the military army district/banner of the King as the historical source from the second half of the 18th century. The Register contains the multipoint and significant information about social-economic, political and demographic situation of Satsitsiano and Kartli Kingdom of that time.

On the basis of the analysis of important primary sources the exact date and the historical situation of a compilation of the Register is determined. The objectives of registration of population and their ownership are well defined in the paper. In addition, those collecting the taxes are identified; the number of warriors (including their weapons) fighting under the military army district/banner of the King is determined; the strategic routes within Satsitsiano and its security, being a prerogative of strong governance of the King, are well described.

The villages of Satsitsiano and number of people living there are specified. The paper describes how as a result of immunity of the central governance of the King majority of the Tsitsishvili family owned land was distributed among Royal Family and their trustees.

**აფხაზეთი და აფხაზები არაბ და სპარს მწერალთა
ნაშრომებში**

საქართველო, თავისი მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის ცივილიზაციათა გზაჯვარედინსა და კულტურათა შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა.

ისლამური სამყაროსა და საქართველო შორის საუკუნეების მანძილზე არსებობდა ინტენსიური ურთიერთობები. საქართველო როგორც რეგიონის კულტურული კერა, ხშირად არის მოხსენიებული მუსლიმ მწერალთა ნაშრომებში და განსაკუთრებული ადგილი უკავია.

თბილისში ქართველთა შემწნარებლობის გამო იზრდებოდნენ და მოღვაწეობდნენ მრავალი მუღიმი ალიმი.

თარიხ ყუმის ანუ ყუმის ისტორიის ანონიმური ავტორი წერს, რომ უფალმა სამყაროს ქალაქთაგან აირჩია, ყუმი, ქუფა და თბილისი.

საქართველო და მისი ქალაქები და მხარები მუსლიმ მწერალთა ნაშრომებში ხშირად არის ნახსენები. იბნ ხორდადბეკ. ისთახრი, მასუდი, იაყუთ ჰამავი, თაბარი, აბულფადა. იბნ ჰავყალი, მაყდასი, იბნ როსტა, ბელაზორი თავიანთ ნაშრომებში წერენ საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

აღმოსავლელი (არაბი, სპარსი) ავტორებისთვის აფხაზი ქართველია, ხოლო აფხაზეთი საქართველო.

ჰამდოლაჰ მოსთოფის თავისი ნოზჰათოლ ყოლუბში, იბნ ხორდადბეჰს თავისი მასალიქ აღმამალიქში და იაყუთ ჰამავის თავისი მოეჯა ალბოლდანში აფხაზი და აფხაზეთი მოხსენებული აქვს როგორ ქართველი და საქართველო.

მეცამეტე საუკუნის არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი იაკუთ ჰამავი წერს, რომ აფხაზეი არის ქრისტიანი ხალხით დასახლებული ქვეყანა, რომელთაც გურჯებს უწოდებენ. ისინი ცხოვრობენ ალბანელთა მეზობლად.

მეცამეტე საუკუნის დასასრულის სელჩუქი ქრონისტი იბნ ბიბი საქართველოს მეფე თამარზე წერს, რომ ის გურჯთა მეფეა რომელიც მართავს აფხაზეთა სამეფოს, რომლის დიდი ქალაქია თბილისი.

ასარ ალბელადის ავტორი წერს: არანი არის ადგილი აზერბაიჯანისა და აფხაზეთა ქვეყნის შორის .იწყება ხაზართა ტერიტორიებიდან აფხაზეთა ქვეყანასთან, სადაც ქალაქ თბილისი არის.

ემადელდინ ქათიბ ისფაჰანი თავისი ერაყის სელჩუქთა ისტორიაში წერს: მალიქ ალ აბხაზ ბოყრათ იბნ გიორგი, ანუ აფხაზეთის მეფე ბაგრათი გიორგისძე. ის 1155 წლის მოვლენებზე წერს: აფხაზეთა ლაშქრობა არანში, აზერბაიჯანში და განჯის აოხრება. ის ჯელალედინის შემოსევაზეც წერს: ჯელალედინის ომი აფხაზეთთან და დედოფლის გაქცევა და თბილისის აღება.

მოჰამედ უფი თავისი ლოზაბ ალბაბში წერს: 1062 წელს თოყროლ ბეიქ სელჩუქმა აიღო აფხაზეთი და აფხაზეთის უფლისწული ლიპარიტი თავისი თანმხლებთან ერთად ნიშაბურში გადასახლა. ის მას აფხაზეთის ვალის უწოდებს. ამასობაში ბაგრატ მეოთხემ თავისი ქალიშვილი ალბ არსალანს მიათხოვა ცოლად და აფხაზეთის მეფე გახდა. ავტორი

ძალიან საინტერესო ამბებს გვიყვება ლიპარიტის ირანში ყოფნის შესახებ.

იბნ როსტა წერს: ხაზარეთის ქვეყანა ფართო ტერიტორიაა, ...რომელიც გრძელდება თბილისამდე.

მასული წერს „აფხაზები ალანთა სამეზობლოდ ცხოვრობენ და ქრისტიანები არიან.

ძალიან საინტერესოა ნიზამი განჯელისა და ხაყანი შერვანის ნაშრომებში და ლექსებში სიტყვა „აფხაზის“ გამოყენება, სადაც ყოველგან და ყოველთვის იგულისხმება საქართველო და ქართველები.

أبخاز نشین گشتم و گرجی گوئی
شد موی زبانتم و زبان هر مویی

از عشق صلیب موی رومی رومی
از بس بگفتمش مویی مویی

ამ თმასუჭუჭა, პირმნათი მზეთუნახავის სიყვარულით მე აფხაზეთში ცხოვრება და ქართულად ლაპარაკი დავიწყე

ბევრჯერ ვუთხარი: მოდი, მოდი,
ლამის თმებმაც მიპასუხონ.

ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველა არაბ და სპარს ავტორთა ნაშრომებში აფხაზეთი და აფხაზი გაიგივებულია საქართველოსა და ქართველთან.

ნესტან სულავა

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სულიერი განვითარების საფეხურები საღვთისმეტყველო
ლიტერატურაში და დავით აღმაშენებლის
„გალობანი სინანულიანი“**

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თხზულებაა, რომელშიც საღვთისმეტყველო და ლიტერატურულ-ესთეტიკური პრობლემატიკა ერთმანეთსაა გადაჯაჭვული და ამიტომ თხზულება ყოველი ხსენებული მიმართულებითაა საკვლევი. საგალობელში ადამიანის სულიერი განვითარების საფეხურების, ბაძვისა და ზიარების, ადამიანის სულიერი განღმრთობის შესწავლამ ერთდროულად აჩვენა სასულიერო მწერლობის ტრადიციების გაგრძელების ტენდენცია და სიახლე, რაც პიროვნების სულიერი განვითარების საფეხურების გავლით გამოიხატა.

ვიდრე უშუალოდ დავით აღმაშენებლის საგალობელში ადამიანის სულიერი განვითარების საფეხურების – ბაძვის, ზიარებისა და განღმრთობის შესახებ ვისაუბრებდეთ, საჭიროა ბიბლიურ-ევანგელური მოძღვრების, წმინდა მამათა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების დამოწმება, რათა უფრო სრულყოფილად წარმოჩინდეს დავითის „გალობანის“ კონცეფცია ადამიანის სულიერი ზეალსვლის, ღმერთთან ზიარებისა და განღმრთობის შესახებ, რაც, თამამად შეიძლება ითქვას, სხვა ჰიმნოგრაფიული თხზულებებისაგან განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მართალია,

საგალობელთა თემატიკა და სახისმეტყველება მსოფლმხედველობრივად და აზრობრივ-შინაარსობრივად თანხვდება, მაგრამ დავით აღმაშენებლის საგალობელი მათგან მაინც განსხვავებულია. მის წინამორბედებად ამ მხრივ დავით წინასწარმეტყველი და წმ. ანდრია კრიტელი გვევლინებიან.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ბაძვისა და განღმერთობის, ანუ ღმერთთან ზიარების სიმბოლურ გააზრებას ევანგელური საფუძველი აქვს. ამიტომ აუცილებელია **ბაძვისა და ზიარების, ანუ განღმერთობის** არსობრივი თვალსაზრისით განხილვა ქრისტიანულ ლიტერატურაში, რომელშიც ბაძვისა და ზიარების საგანი ღმერთია; **ბაძვის ცნების ქრისტიანული ასპექტი გულისხმობს საღვთო ჭეშმარიტების ასახვას, ამაღლებულის, მშვენიერის, სილამაზის ანტიკური თვალთახედვისაგან არსობრივად განსხვავებულ გაგებას, რაც სისადავის საფუძველზე ამაღლებულის ჭვრეტის მცდელობაა;** ბაძვის ქრისტიანული თვალსაზრისი დროსივრცულად დაუსაზღვრელია, ვინაიდან საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, უმეტესად ჰიმნოგრაფიასა და ჰომილეტიკაში, დრო და სივრცე დაუკონკრეტებელია; ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები ორ სივრცესა და ორ დროს წარმოსახავს: წმინდანის ცხოვრებას ამქვეყნიურ სამყაროში, რომელიც დროული თვალსაზრისით დასაზღვრულია და სულის მარადიულობაში არსებობას, რომელიც ზესთასოფელში, ზეციურ ქალაქში გრძელდება. ჰიმნოგრაფიასა და ჰომილეტიკაში ყოველივე ზედროული და ზესივრცულია.

ქრისტიანულ ლიტერატურაში, კერძოდ ჰაგიოგრაფიასა და ჰომილეტიკაში, ბაძვის საფუძველი პავლე მოციქულის ეპისტოლეებითაა მოტივირებული და განსაზღვრული: „მობაძავ ჩემდა იყვნით, ვითარცა მე ქრისტესა“ (I კორ. 4, 16; 11, 1); „შეუდგით სიყუარულსა და ჰბაძევდით სულიერსა

მას“ (I კორ. 14, 11); „კეთილ არს ბაძვად კეთილისათჳს მარადის“ (გალატ. 4, 18). პავლე მოციქულისეული ბაძვის გააზრება ქრისტეს, საღვთო სიბრძნის და მისი მშვენიერების, ამაღლებულობის, საღვთო სიყვარულისა და კეთილის, სულიერი მშვენიერებისა და სილამაზის, პირველსახის ბაძვას გულისხმობს. **ბაძვა ღვთის მიმსგავსებაა, რაც სახის ესთეტიურად გააზრებისა და აღქმის საფუძველს ქმნის.** ჰაგიოგრაფიისა და ჰომილეტიკისაგან განსხვავებულია ჰომოგრაფია, რომელშიც ბაძვა წმინდანის სულიერი განვითარების გავლილი საფეხურია, აქ ღმერთთან უკვე ნაზიარები, განღმრთობილი სულია წმინდანისა წარმოჩენილი.

შუა საუკუნეების ესთეტიკის მკვლევარმა ვ. ბიჩკოვმა მსგავსების, ბაძვის, ასახვის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისეული მოძღვრების განხილვისას განმარტა მსგავსებისა და არამსგავსების არსი: „ვინაიდან ნებისმიერი საგანი ერთსა და იმავე დროს მსგავსიცაა და განსხვავებულიც ტრანსცენდენტური პირველმიზეზისაგან (იხ. „საღმრთოთა სახელთათვის“; 9, 7), ამიტომ შესაძლებელია „არამსგავსება“.¹ არეოპაგითული სწავლებით, მსგავსება იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც მიუმსგავსებლისადმი, ანუ ღვთისადმი მსგავსება, არა მსგავსია იმის გამო, რომ შედეგი (ქმნილი) მიზეზს (ღმერთს) ვერ ასახავს, ვერანაირად, ვერანაირი საზომით ვერ მიაღწევს მას². „ამ ანტინომიური ფორმულით, აგრეთვე სხვა მრავალი მსგავსითაც, ფსევდო-დიონისე თავისი სისტემის პრინციპულ განსხვავებას წარმოაჩენს კლასიკური ფილოსო-

¹ В. В. Бычков, Проблема образа в византийской эстетике, Вестник МГУ, 1972, #1, 55.

² Дионисий Ареопагит, Сочинения. Максим Исповедник, Толкования. Греческий текст с русским переводом Г. М. Прохорова, "Алетейя", СПб. 2002, 508-509.

ფიური სისტემისაგან. არეოპაგელი სწორედ ასეთ შემთხვევაში უპირისპირებს მიმესისის, ვითარცა ბუნების მიბაძვის, კლასიკურ გაგებას პირველმიზეზის სახეობრივი გამოხატვის თავის თეორიას¹. მსგავსისა და განსხვავებულის, ანუ არამსგავსის, ამგვარი გააზრება ამაღლებულისაგან წარმართავს ადამიანის გონებას, რომელიც ამაღლებულს ღვთაებრივი ქმნადობის ყოვლისმომცველობის კონტექსტში ესთეტიკურად აღიქვამს. ვ. ბიჩკოვის დაკვირვებით, ქრისტიანულ კულტურაში სახის კონცეფციამ, რომელიც მსგავსება-უმსგავსობას ემყარება, უმთავრესი ადგილი დაიკავა. მისივე სიტყვით, „გვიანანტიკურ მოაზროვნეთა შორის წინა პლანზე გამოდის „სახე“ მთელი თავისი მოდიფიკაციებით: სახე-მსგავსება (ბაძვა), სახე-სიმბოლო, სახე-ალეგორია, სახე-ნიშანი“².

ეფრემ მცირის საღვთისმეტყველო და ესთეტიკურ ნააზრევში ბიზანტიური რიტორიკის თეორიული პრინციპების გათვალისწინებით, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტის განხილვის საფუძველზე ქეთევან ბეზარაშვილმა გამოავლინა ბაძვის ტრადიციულ, კლასიკურ (ანტიკური) და ქრისტიანულ თეორიულ მოძღვრებებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი და დაასკვნა, რომ ბაძვის კლასიკური გააზრება „საუკეთესო რიტორიკული ფორმის გამოყენების მნიშვნელობით იმემკვიდრა ბიზანტიური რიტორიკის თეორიამაც“, ოღონდ განსხვავებული საზრისით³. ბაძვის ქრისტიანული ცნება „საღვთისმეტყველო სტილის მთავარი მახასიათე-

¹ В. В. Бычков, Проблема образа в византийской эстетике, Вестник МГУ, 1972, #1, 55.

² В. Бычков, 2000 лет христианской культуры. Sub specie aesthetica. Т. 1. Раннее христианство. Византия. М., 1999, 83.

³ ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, მაცნე, ელს, 1998, №1-4, 140.

ბელია“¹. მისივე თვალსაზრისით, „პავლეს ბაძვა გულისხმობს ზეშთა აზრის, მისი ცხოველმყოფელობის, საღვთო სიბრძნის და მისი ე. წ. ევანგელური სისადავის ბაძვას შინაარსობრივ-ფორმობრივი ასპექტით“².

რისთვის სჭირდება ადამიანს ბაძვა და ზიარება? ესაა კითხვა, რომელიც მოითხოვს ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის წმინდანის სახისმეტყველებით ანალიზს, წმინდანის ხატ-სახის წარმოსახვის პრინციპებზე დაკვირვებას.

ჰაგიოგრაფიის წმინდანი ბაძავს მაცხოვარს, ღვთაებრივი და კაცებრივი საწყისებისა და ბუნების მქონე ღმერთს და ეზიარება ღმერთს, ტრანსცენდენტურს, პირველმიზეზს. ასევეა ჰიმნოგრაფიაშიც. თუმცა წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები ჰომილიებში, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში დინამიურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით განსხვავებულია მიუხედავად იმისა, რომ წმინდანის წარმოსახვის მიზანი ამ ჟანრის ნაწარმოებებისათვის ერთი და იგივეა. ჰაგიოგრაფიაში წმინდანი საფეხურებრივად ვითარდება, ე. ი. დინამიურად წარმოისახება, რაც მას ესთეტიურობითაც გამოარჩევს. ჰიმნოგრაფიაში კი წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები დინამიური არ არის, სულიერი განვითარების პროცესი არ აისახება, იგი სტატიკურია; ასე იმიტომ ხდება, რომ საგალობელი და ნაწილობრივ ჰომილია წმინდანს ზესთასოფელში გადასვლის, სასუფეველში დამკვიდრების შემდეგ აჩვენებს, მას უკვე ზეციურ მოქალაქედ სახავს.

¹ ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, მაცნე, ელს, 1998, №1-4, 140.

² ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, მაცნე, ელს, 1998, №1-4, 140.

ჰიმნოგრაფია და ჰომილეტიკა წმინდანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში მომხდარს წარმოადგენს, როგორც შედეგს. საგალობელი მრევლს უჩვენებს წმინდანის მიერ იდეალურობის წვდომის გზის შედეგს. აქ არ გადმოიცემა სიკვდილის შიშის დაძლევის რთული მომენტი, უკვე შედეგი ჩანს – სიკვდილის შიში დაძლეულია, ზეციური მოქალაქეა და თავად წმინდანი მეოხი ყოველი მორწმუნისა. სიკვდილის შიშის დაძლევა პიროვნებისაგან დიდ შინაგან ძალას მოითხოვს. საგალობელში წმინდანს არ ახასიათებს ორჭოფობა, სისუსტე, რაიმე უარყოფითი თვისება, იგი სულიერად გამარჯვებული და ღმერთისაგან დაჯილდოებულია ზეციური მოქალაქობით, ღმერთთან ზიარებულია, განღმრთობილია. აქვე აღვნიშნავ, ღვთაებრივის, ამაღლებულის განცდა მშვენიერია, ე. ი. ესთეტიზმს ნაზიარებია, ხოლო ზიარება, განღმრთობა სულის ხსნის უმთავრესი და უძირითადესი საშუალებაა. ბაძვა და მსგავსება უთუოდ უკავშირდება მშვენიერს, რომელიც ესთეტიკურ შინაარსს ატარებს.

ჰავიოგრაფიაში სიყვარულით ვლინდება წმინდანის სულიერ განცდათა ღმერთთან წვდომა, განღმრთობის გზაზე მდგარმა გმირმა ამქვეყნიურობა უნდა დაძლიოს. წმინდანობას აღწევს ის, ვინც ამქვეყნიურ ვნებათა მძლავრობას, საცთურს დათრგუნავს, რაშიც მას ასკეტურ ღვაწლთან ერთად შიში ღმრთისა, ძლიერება, ზრახვა, ცოდნა, გულისხმისყოფა, სიბრძნე ეხმარება. წმინდანის „სივრცე გონებისა“ ამზადებს ყოველი ადამიანის სულიერ მომავალს, რაც ღვთაებრივი სრულყოფილების, უზენაესი ჭეშმარიტების შეცნობაში მდგომარეობს. ამიტომ სიყვარულის, მშვიდობის, სულგრძელობის, სიტკბოების, სახიერების, რწმენის, მყუდროების, მოთმინების სათნოებები სული წმიდისაგან აქვს მიმადლებული. ღმერთმა ჰიმნოგრაფიის წმინდანს ღმერთშემოსილობით, განღმრთობით,

ღმერთთან ზიარებით, ზეციური ქალაქის მკვიდრობით მიაგო პატივი.

წმინდანთა შესახებ დაწერილ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებში წარმოჩენილია პირველსახეს, მაცხოვარს მიწვენილი ადამიანის შინაგანი, სულიერი სამყარო. ეს იმგვარი ადამიანია, რომელმაც საკუთარ თავში პირმშობატი აღიდგინა და ზეციური მოქალაქობა მოიპოვა. ევანგელურ-აპოსტოლური სწავლების მიხედვით, **ადამიანის სულიერი განვითარების უმაღლესი საფეხური განდმრთობაა, ღმერთთან ზიარებაა. იგი ღვთისადმი ბაძვაზე უფრო მაღალი საფეხურია.** დავიმოწმებ იოანე ღვთისმეტყველის პირველ ეპისტოლეს: „რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქვენ, რაღთა თქვენცა **ზიარება**დ გაქუნდეს თქვენ თანა და **ზიარება**დ ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესსა“ (ი. 1, 3); „უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ **ზიარება**დ გუაქუს მის თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდით, ვტყუევით და არა ვიქმთ ჭეშმარიტებასა. ხოლო უკუეთუ ნათელსა შინა ვიდოდით, ვითარცა იგი ნათელსა შინა არს, **ზიარება**დ გუაქუს ურთიერთას. და სისხლი იგი იესუ ქრისტეს ძისა მისისა და განმწმედს ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (ი. 1, 6-7); პეტრე მოციქულს: „რაღთა ამის მიერ იქმნეთ საღმრთოდსა მის **ზიარ ბუნებისა**“ (II პეტრე, 1, 4). პავლეს ეპისტოლეებს: „**ზიარ** ჩემ თანა მაღლისა მის თქუენ ყოველნი იყვნეთ“ (ფილიპ. 1, 7). „სარწმუნო არს ღმერთი, რომლისა მიერ იჩინენით **ზიარება**სა მას ძისა მისისასა იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისასა“ (I კორ. 1-9). იოანე ღვთისმეტყველის, პეტრე მოციქულის, პავლეს ეპისტოლეებისა და ამ ეპისტოლეთა წმ. ეფრემ ასურის, ნეტარი ავგუსტინეს, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. კირილე ალექსანდრიელის, წმ. თეოდორიტე კვირელის, წმ. იოანე დამასკელის განმარტებების მიხედვით, ზიარების საფუძველს მაცხოვრის გა-

ნკაცება ქმნის. მაცხოვრის ორბუნებოვნებით – ღვთაებრივი და კაცებრივი ბუნებით გახდა შესაძლებელი ადამიანის ზიარება ღვთაებრიობასთან. ზიარების შედეგად ადამიანი ცოდვათაგან განიწმინდება და ზეამაღლდება. ადამიანი ეზიარება ქრისტეს ბუნებას – ღვთაებრივსა და კაცებრივს. ღმერთმა განგებით მიანიჭა ადამიანს ღმერთთან შეერთების, ზიარების უფლება. ქრისტესთან ზიარება თავისთავად წმიდა სამებასთან ზიარებაა, რასაც იოანე ღვთისმეტყველის პირველი ეპისტოლე ადასტურებს. ზიარებით აღწევს ადამიანის სული სრულქმნილებასა და განღმრთობას, ამავე დროს, ამიერიდან, ანუ ზეციური მოქალაქობის მოპოვებიდან მოყოლებული, იგი თავად ხდება საღვთო მისტერიის მონაწილე.

ბაძვის, ზიარების, განღმრთობის იდეის ასახვით განსაკუთრებით საყურადღებოა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნი, წმ. ანდრია კრიტელის „ღიღი კანონი“ და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რომლებიც არა საზოგადოდ წმინდანის, არამედ კერძო პიროვნების, ადამიანის სულიერი განვითარების საფეხურებს წარმოაჩენენ, რის საფუძველზეც თითოეულ მათგანს ესთეტიკური ფენომენის მქონე თხზულებად მოვიაზრებთ. არც დავითის ფსალმუნებში, არც წმ. ანდრია კრიტელის „ღიღი გალობანისა“ და არც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ ტექსტებში კონკრეტულ წმინდანზე არაა საუბარი, ყოველი თხზულება ადამიანის სულიერი განცდის, ფსიქოლოგიური მდგომარეობის, ცოდვის აღიარებისა და სინანულის საშუალებით ღვთისადმი მიბაძვის, ზიარების, განღმრთობის გზას სახაავს.

თავისი სინანულითა და ღვთისადმი მსასოებელი მხერით დავით წინასწარმეტყველი წმინდანად ქრისტეანულმარეალიზამ აღიარა. დავითი იესეს ძეთაგან ადამიანის უმთავრესი თვისებებით – მორჩილებითა და თავმდაბლობით, სუ-

ლიერებითა და შინაგანი სამყაროთი გამოირჩეოდა, რამაც მასთან ღმერთის სიახლოვე და მფარველობა განაპირობა. ამიტომ მოგვიანებით ღვთის „ცხოვართა“ მწყემსადაც მოგვევლინა. ღმერთმა იგი საულის ნაცვლად აირჩია ისრაელის მეფედ, რადგან უფლის სიტყვის მორჩილება დავითისათვის ცხოვრებისეული არჩევანი იყო. იგი მწყემსის ცხოვრებით ცხოვრობდა და სიყრმიდანვე გაიგო სიმარტოვის სირთულე და სიმძიმე, თუმცა მისთვის სულიერი წინსვლის აუცილებელ პირობად სწორედ მარტობა იქცა. პალესტინის ბუნების წიაღში ვითარდებოდა და ყალბდებოდა დავითის, როგორც წინამძღვრის, მონაცემები და ფენომენალური პოეტური ნიჭი. დავითის ქმნილებებში, ფსალმუნებში წამოწეულია ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარული, იმედი, რწმენა, ერთგულება, რომელთა ერთიანი სახის გამოვლენით ფსალმუნთა ავტორი მის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვისაგან განიწმინდა. ღვთისაგან გამორჩეულმა დავითმა რთული ცხოვრება განვილო, რომელიც ადამიანური განცდით, მწუხარებით იყო სავსე, მაგრამ უსაზღვრო ერთგულებითა და რწმენით ღვთის უსასობას არასოდეს მისცემია; ამავე დროს, მან ომებში მოპოვებული გამარჯვების სიხარულიც განიცადა, რაც ფსალმუნთა ტექსტებშიც აისახა. დავითის მეფობა უფლისათვის სათნო იყო და ყველა მეფეს, რომელიც ღვთის ერის სამართავად ჰყავდა მოვლენილი უფალს, ევალებოდა, დავითს მიმსგავსებოდა. ამიტომ იქცა მომდევნო თაობების მეფეთათვის დავითი ჰიპოდიგმურ სახედ.

დავით მეფსალმუნე იყო ადამიანი, რომელსაც ჰქონდა რწმენა, სასოება და სიყვარული ღვთისა და დავითის ყველა ცოდვა სწორედ ამ სამმა სათნოებამ განაქარვა. ღმერთთან ახლოს ყოფნის მიუხედავად, დავითმა უამრავი შეცდომა დაუშვა, ცოდვით დაეცა, მაგრამ ყოველ განსაცდელს, ღვთის სა-

სჯელს მშვიდად, დინჯად, მოთმინებით ხვდებოდა და სასოებით იტანდა. მის ფსალმუნებში ამგვარი განცდები აისახა, რის მაგალითად შეიძლება 50-ე და 90-ე ფსალმუნები უნდა მივიჩნიოთ. დავით წინასწარმეტყველმა სხვა საღვთისმეტყველო ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად სამი მცნება დაარღვია: 1) მე-6: არა კაც ჰკლა; 2) მე-7: არა იმრუშო; 3) მე-10: არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა. სინანულის განცდით განსაკუთრებით 50-ე ფსალმუნი გამოირჩევა და მას მონანული წმინდანის უმშვენიერესი საგალობელი ეწოდა. ისეთი სინანული, როგორც დავითმა გამოავლინა, კაცობრიობას არ სმენია: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აკოცე უშჯულოებად ჩემი. უფროდს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. რამეთუ უშჯულოებად ჩემი მე უწყო და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რადთა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო შჯასა შენსა“... (ფს. 50, 3-6). დავითის 50-ე ფსალმუნი ღვთის რწმენის, სასოების, სიყვარულის ლოცვაა, რომელთა ერთიანობით ყოველი იმ დაბრკოლების გადალახვაა შესაძლებელი, რომელიც ადამიანს უფლისაკენ სავალ გზაზე შეიძლება შეხვდეს. ეს ფსალმუნი მარადიული და ცოცხალი მოწმობაა იმისა, რომ ადამიანების სიყვარული ღვთისადმი უსაზღვროა და ადამიანს ღვთისაკენ მიმავალ გზაზე ვერ დახვდება ისეთი დაბრკოლება, რომლის გადალახვასაც რწმენით, სასოებითა და სიყვარულით „სული წრფელი“ ვერ შეძლებდა: „გული წმიდად დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ შენგან“... (ფს. 50, 12-13). „მსხუერბლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი,

გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“... (ფს. 50, 19).

წმ. ანდრია კრიტელი დავით მეფესალმუნის გზას ადგას, რომელმაც ზოგადად ცოდვათა აღიარებითა და სინანულით ადამიანის დაცემული სახის აღდგენის გზა აჩვენა, ყოველი ადამიანის ცოდვა ჰიმნოგრაფმა თავად იკისრა; ამიტომ „დიდი კანონი“ პირველცოდვის შეგნების, არსებობიდან მოყოლებული კაცობრიობის მიერ ჩადენილი ცოდვების გულწრფელი სინანულის, ადამიანის სულიერი განვითარებისა და ზეალსვლის საუკეთესო ნიმუშია. სულიერი ზეალსვლის ჰიპოდიემურ-პარადიგმულ სტრუქტურაში თავსდება მთელი საგალობელი. დავიმოწმებ ერთ ტროპარს: „მოწყალე მექმენ, მაცხოვარ, ქმნილსა შენსა და ვითარცა მწყემსმან მპოვე წარწყმედილი, მეწიე შეცდომილსა, გამოძისსენ მხეცთაგან და შემრაცხე ცხოვართა-თანა სამწყსოღსა შენისა თანა. რაჟამს დასჯდე სჯად, ვითარცა მოწყალე, და გამოსჩნდეს მაღალი დიდებაჲ შენი, ვითარ შიში იყოს, სახმილი რა ოხრვიდეს და ყოველნი სძრწოდეს ზარისაგან საყდრისა შენისა“¹.

ლ. გრიგოლაშვილის დაკვირვებით, „ანდრია კრიტელი-სა და დავით აღმაშენებლის საგალობლებს ანათესავებთ ერთი თემა და ეთიკური იდეების ერთი წრე. ორივე საგალობელი შექმნილია 50-ე ფსალმუნის მოტივზე. ორივე ნაწარმოებში ლირიკული გმირი წარმოთქვამს აღსარებას უზენაესის წინაშე, ინანიებს ჩადენილ ცოდვებს და იმედოვნებს ღმრთის მოწყალეობასა და სახიერებაზე. ორივე საგალობელს საფუძვლად უდევს ახალი აღთქმისეული მოძღვრება ადამიანზე, რომელიც ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად ითვლებოდა მოძღვრებად ღვთაებასა და სამყაროზე. ამ მოძღვრებით ადამი-

¹ წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქიის გამოც., 2002, 103.

ანის შემეცნება სამყაროს წვდომას ნიშნავს, სამყაროს შემეცნებით კი ადამიანის ღვთაებრივი არსი იხსნება“¹.

დავით აღმაშენებელი ღმერთთან შესართველად და საზიარებლად, სულიერი ზეაღსვლისაკენ თავისი საგალობლით ადრეული საგალობლების ავტორებისაგან განსხვავებული გზით მიემართება, რაც ადამიანთა მიერ ჩადენილი ცოდვების პიროვნული განცდითა და ღმერთისადმი მისი ინდივიდუალური დამოკიდებულებით წარმოჩნდება. საზოგადოდ, საგალობლებში განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება ღმერთთან დიალოგს ეკისრება; დავითიც, როგორც ჰიმნოგრაფი, დავით წინასწარმეტყველისა და წმ. ანდრია კრიტელის მსგავსად, ღმერთთან დიალოგს ირჩევს, რაც მის საგალობელს იშვიათი ღირიზმით აღავესებს. თხზულებას გასდევს თავმდაბლობის, ვითარცა ერთ-ერთი სათნოების, სულის ხსნისა და ნათლის ხილვის მოტივები. დავით აღმაშენებელმა პირველ გალობაში ღმერთისადმი მიმართვისას საკუთარი თავი ქედადრეკილად წარმოაჩინა: „რომლისაცა წინაშე ქედადრეკილ არს ყოველი, მუხლი ყოველი მოდრკების...“². დავით აღმაშენებლის ეს სიტყვები ჰიმნოგრაფიული სამეტყველო სტილითა და სახისმეტყველებითაა მოტივირებული. საამისოდ დავიმოწმებ წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „პარაკლიტონიდან“ რამდენიმე ტროპარს: „ყოველი მუკლი მოდრკეს შენდა, ღმრთისა სიტყვაო, ვითარცა შემოქმედისა ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ, რომელმან ჯუარცუმაჲ დაითმინე კაცთათჳს ჴორცითა და ყოველი ენაჲ შიშით ღმრთისმეტყუელებით აღვიარებს შენ“ (A-93, 32v); „რომელსა მოუდრეკენ

¹ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბილისი, 2005, 146.

² ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბილისი, 2005, 214.

ყოველნი მუკლთა შიშით ზეცისა და ქუეყანისანი, თავმოდრეკით ინება განბანად შენგან, წინამორბელო და ნათლისმცემელო, მისა მიმართ მეოხ გვეყავ კსნად ჩუენდა“ (A-93, 88r). მერვე გალობაში მაცხოვარს მუხლმოდრეკილი მეფე სულის ხსნას ევედრება, მეცხრეში კი მეფე-პოეტი კვლავ ქედღადრეკილი უნდა წარდგეს ღვთის სამსჯავროზე, სადაც მსაჯული ჭეშმარიტად განსჯის, რის შემდეგაც მართალნი ინეტარებენ, ხოლო ცოდვილნი ცეცხლში აღმოჩნდებიან. მეფის თავმდაბლობა, სიწრფელე, სიდიადე, სულის სიმაღლე და ზნეობრივი სრულყოფილება საგალობელში ერთი სიტყვის – „ქედღადრეკილის“ – ასე მოხდენილად გამოყენებით გამოქვამდა, რამაც ამ სიტყვას, აგრეთვე, მთელ ტროპარს სახისმეტყველებითი ფუნქცია შესძინა. ამ ერთმა სიტყვამ მთელი ნაწარმოები კომპოზიციურად შეკრა და მისი ძირითადი აზრიც აჩვენა.

„ქედღადრეკილობის“ მოტივის ამსახველ ამ ტროპარებს შორისაა მოქცეული საგალობლის ერთ-ერთი უმთავრესი სათქმელიც, თუ ვინაა ბაძვის საგანი, ვის უნდა მიბადოს თხზულების ლირიკულმა გმირმა და ვის ემსგავსოს. ცხადია, ღვთის ხატის მსგავსება ადამიანის სულიერი სრულყოფის გამოხატულებაა, რაც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სიღრმისეულადაა ასახული და შეფასებული, მაგრამ ადამიანი ვერ ინარჩუნებს ღვთის ხატის მსგავსებას. დავით აღმაშენებელმა განაცხადა: „ხატსა თუსსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმაღლო გექქმენ“; „მსგავსებისაგან დავაკლდი და დავკბადე ბოროტი“¹; ჰიმნოგრაფმა ჩამოთვალა ის ცოდვები, რომლებიც

¹ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბილისი, 2005, 214.

კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე ჩაუდენია და აღნიშნა, რომ ღვთისაგან მათი არა-მსგავსება//არა-ბაძვა იყო ნაბრძანები, მაგრამ ყოველი ცოდვა მან მაინც ჩაიდინა „მეგვპტური გულმძიმობად, ქანანელთა ჩუეულებანი, მსხუერპლვად ნაგებთად, ზმნად და სახრვად, კოწოლი თმათად და სხუანი, რომელთად შენ ჰბრძანე არა-მსგავსებად, უწარმდებესად მოვიგენ თუთ მათ პირმშოთა სახეთაცა“¹. იგი ბაძვდა „ისრაელისა მეფეთა“, რომლებშიც რამდენიმე ღვთისმომშიში მეფე იგულისხმება, ისინი დავითისათვის მისაბაძნი გახდნენ, არადა ცოდვილნი იყვნენ, ე.ი. დავითი მათ ცოდვებს ეზიარა და მათი მსგავსი გახდა, ემსგავსა. მეფე-პოეტი გულწრფელობითა და აღიარებით კიდევ უფრო მეტად წარმოჩნდა მონანულ და მართალი გულით აღსარების წარმომთქმელ პიროვნებად, რომლის მიზანი აღსარებითა და სინანულით სულიერი სიმშვიდის, სულიერი განვითარების აღმავალი გზით სვლის აუცილებლობაა. მომდევნო გალობაში კი დავითი მხეცთა მსგავსად სახავს საკუთარ თავს, რაც, ლაურა გრიგოლაშვილის შენიშვნით, აპოკალიფსური ხილვის გამოხატულებად უნდა აღვიქვათ და ესეც სულიერი განვითარების გზაზე აუცილებლად გასავლელი საფეხურია.

ნათლისა და შინაგანი ხილვის სიმბოლოებით დატვირთული დავითის საგალობელი მთავრდება მსასოებელი ვედრებით, საიდანაც ცხადად გამოსჭვივის მონანიე პიროვნების იმედიანი მზერა ნათლის სამყაროსაკენ, მზის საუფლოსაკენ, რომლისკენაც მიისწრაფვოდა ჰიმნოგრაფი მთელი თხზულების მანძილზე. ღვთისმეტყველი წმინდა მამები თავიანთ თხზულებებში განმარტავდნენ სინანულის არსს და იგი უმაღლესი ნათლის ხილვის უმთავრეს საშუალებად მიაჩნდათ. სინა-

¹ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბილისი, 2005, 215.

ნულის გრძნობის გაჩენა ადამიანში პიროვნების სულიერი, თვისებრივი გარდასახვის, ზნეობრივი ამაღლების, სიმდაბლის, სათნოების ფაქიზი გამოვლენის შედეგია, რის შემდეგაც იგი პირველსახის დაბრუნებას, „ღვთაებრივი“ „მეს“ წვდომას აღწევს და სასუფეველს იმკვიდრებს. დავით აღმაშენებლის საგალობლის ორიენტირი მაცხოვარი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია, რომელთა მეოხებით რთული სულიერი ცხოვრებითა და ტკივილიანი გზით მიღის ჰიმნოგრაფი სულის განწმენდისაკენ.

წმ. ანდრია კრიტელმა და დავით აღმაშენებელმა სწორედ კატაფატიკურ-აპოფატიკური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებითი გამომსახველობითი საშუალებებით წარმოადგინეს ადამიანის სულიერი ზეაღსვლა, სწრაფვა ღმერთთან შეერთებისაკენ, რადგან ორივე საგალობელში სულიერი სისრულის მიღწევამდე ადამიანი ურთულეს საფეხურებს გადის; ამ გზაზე უნდა დაძლიოს კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამიანთა მიერ ჩადენილი ყველა ის ცოდვა, რომელთა გამო წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი, როგორც ჰიმნოგრაფები, საკუთარ თავს უცოდველესად მიიჩნევენ და ღვთის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობენ. დავით წინასწარმეტყველი საკუთარ ცოდვებზე მსჯელობს, აღიარებს მათ და ინანიებს, ხოლო წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი საკუთარ ცოდვათა აღიარებასთან და მონანიებასთან ერთად მთელი კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველებად წარმოგვიდგებიან. დავით წინასწარმეტყველი, წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი მსოფლმხედველობრივად თანაბარი სულიერი მცდელობით, სულიერი განვითარების გზით მიემართებიან ზესთასოფლისაკენ, რაც ღმერთთან დიალოგით გადმოიცემა, მაგრამ ადამიანის, როგორც ინდივიდის, მისწრაფებით სულიერი ზეაღსვ-

ლისაკენ, სრულყოფისაკენ, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებისაკენ განსხვავებული გზით მიდიან. ესაა მათი ლირიკული მემკვიდრეობის განმასხვავებელი ნიშნები.

წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლები ადამიანს წარმოგიდგენენ როგორც ზესთასოფელში, ზეციურ დასში დამკვიდრებულს, ზეციურ მოქალაქეს, ზეცათა ქალაქის მკვიდრს, რომელმაც ადამიანის სულიერი ზეალსვლისათვის აუცილებელი ყველა საფეხური განვლო. ეს საფეხურები ჩამოთვლილია ორივე საგალობელში, რომელთა წინასაფეხურად, ბიბლიურ ჰიპოდოგმად დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები მიიჩნევა.

ადამიანის სრულყოფილების მოპოვებას საფუძვლად დაედო მისი სწრაფვა ღვთის შემეცნებისაკენ, ღვთისმომშიშებით წარმართვა ცხოვრებისა, სვლა ზეციური მოქალაქობის მოსაპოვებლად, რაც ბაძვითა და ღმერთთან ზიარებით მიიღწევა. წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი, როგორც ჰიმნოგრაფები, ადამიანს გამოყოფენ საზოგადოებისაგან და მასზე, როგორც კერძო, ინდივიდუალურ პიროვნებაზე, ამახვილებენ ყურადღებას, მას ამკობენ სულიერი სილამაზით, მშვენიერებით და, რაც მთავარია, ამაღლებულობით, რომელთა საფუძველი სულიერობაა. ჩვეულებრივ, საგალობლებში ადამიანის სულის მოძრაობა, სულის განვითარება არ შეინიშნება, არც უნდა იყოს, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საგალობელი ზესთასოფლად დამკვიდრებული ადამიანის უკვე განღმრთობილ სულზე გვესაუბრება, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებში, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლებში კი ადამიანი თავის აღსარებას წარმოთქვამს, ფსალმუნების, „დიდი კანონისა“ და „გალობანი სინანულისანის“ ლირიკული გმირი თვით საგალობელთა ავტორები არიან, რითაც მკვეთრად განსხვავდები-

ან სხვა, კერძოდ – ღმერთის, ღვთისმშობლის, წმინდანებისადმი მიძღვნილი საგალობლებისაგან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსალმუნები ცოდვილი ადამიანის ლირიკული აღსარებაა და ლირიკული სასულიერო პოეზიის განვითარებას სწორედ ფსალმუნთა წიგნით დაედო საფუძველი. ადამიანის შინაგანი სამყაროს, თვითშემეცნების გზისა და მისი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის წარმოჩენა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით დაიწყო. ესაა ადამიანის პიროვნულ, ინდივიდუალურ განცდათა ასახვის საუკეთესო ჰიპოდიგმური ნიმუში, რომელსაც მიჰყვებიან წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი თავიანთ საგალობლებში.

ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა და ჰიმნოგრაფია, როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურის დარგები, წმინდანის სულიერი განვითარების ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენენ. ესაა 1. ბაძვა და 2. ზიარება, რაც განღმრთობით სრულდება. წმინდანისათვის ბაძვა ის საფეხურია, რომელიც აუცილებელია ზიარებისათვის, სულიერი განღმრთობისათვის. ბაძვასა და ზიარებას შორის დიდი ზღვარია, მაგრამ ზიარება ბაძვის გარეშე ვერ მიიღწევა. ბაძვა ღვთის მიმსგავსებას ნიშნავს, რაც საფუძველს ქმნის ესთეტიურობის თვალთახედვით სახის გასააზრებლად, აღსაქმელად. ბაძვა ამქვეყნიურ, მიწიერ მოვლენათა და საგანთა მიმართებაა ზესთასოფლური მოვლენებისა და საგნებისადმი, ხოლო ზიარება ღმერთთან შერთვაა, განღმრთობაა, ზიარების შედეგად ადამიანი ახალ მეობას იძენს, მარადიულ ღირებულებებს მოიპოვებს, ღმერთთან სულიერ ქორწინებას აღწევს, ღვთაებრივ, ანუ ზესთასოფლურ სულს, სამოსელს პირველს იბრუნებს, ღმერთშემოსილი ხდება. როგორც ფსალმუნები, ისე წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“

ყველა სხვა ჰიმნოგრაფიული თხზულებისაგან განსხვავებულად წარმოაჩენს ადამიანის სულიერი განვითარების გზას, რაც, მართალია, გულისხმობს ბაძვას, ზიარებას, განღმრთობას, მაგრამ ამის საჩვენებლად თითოეული ხსენებული ავტორი სხვა გზას ირჩევს. ეს გზა არა წმინდანის იდეალური სახის, არამედ ადამიანის სულის მოძრაობის ასახვაა, რაც, აგრეთვე, ადამიანის ლიტურგიულ ცნობიერებას ეფუძნება, ამაღლებულის კატეგორიას განეკუთვნება და სულიერობის მშენიერებითაა მოტივირებული. თხზულებათა ლირიკულობის საფუძველი, შესაბამისად, მხატვრულობის საფუძველიც სწორედ ესაა.

დამოწმებანი:

წმ. ანდრია კრიტელი, 2002: წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქიის გამოც., 2002.

ახალი აღთქუმაძე, 1994: ახალი აღთქუმაძე, წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციით, საქართველოს საპატრიარქოს გამოც., თბ., 1994.

ბეზარაშვილი, 1998: ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, მაცნე, ელს, 1998, №1-4.

ბიჩკოვი, 1972: В. В. Бычков, Проблема образа в византийской эстетике, Вестник МГУ, 1972, #1.

ბიჩკოვი, 1999: В. Бычков, 2000 лет христианской культуры. Sub specie aesthetica. Т. 1. Раннее христианство. Византия. М., 1999.

გრიგოლაშვილი, 2005: ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისი, 2005.

დიონისე არეოპაგელი, 2002: Дионисий Ареопагит, Сочинения. Максим Исповедник, Толкования. Греческий

текст с русским переводом Г. М. Прохорова, "Алтейя", СПб., 2002.

პეტრე იბერიელი, 1961: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1961.

ფსალმუნნი, 1960: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა მოამზადა მზექალა შანიძემ, თბილისი, 1960.

Nestan Sulava

Samtskhe-Javakheti State University; Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

**STAGES OF SPIRITUAL DEVELOPMENT IN
THEOLOGY AND DAVIT THE BUILDER'S "HYMN OF
REGRET"
RESUME**

Psalms are the lyric confession of sinful human and those were the base of development of lyric spiritual literature. The process of human development, the process of development of internal world of the human starts from psalms. It is the sample of emphasizing emotions of human, individuals after which the Saint Andrew Kriteli and Davit the Builder follow in their hymns.

Hagiography, Homylies and hymnodgraphy as a fields of theology giving two ways of spiritual development of the Saints. Those are: 1. Imitation and 2. Eucharist which will be finish to become like the Lord. Imitation is the stage for saints

person which is necessary for eucharist, for spiritual development. There are great difference between eucharist and imitation but the eucharist can nto be reached without imitation. Imitations means to be like the God which makes the base to interpret the image as symbol. Imitation is the process to emphasize the mortal world like heaven, to emphasize the things and facts like heaven ones, but eucharist is the something like to join the God. After eucharist person will recieve new character, will enter the eternal world, will the reach the spiritual wedding with the God, all this means the human will regain, recieve back the spiritual dress, first dress, she or he will become dressed in teh God. Psalms, Saint Andrew Kriteli's "Big Law" and Davit the Builder's "Hymns of regret" are differ from other hymnographical works and the show different ways of human's spiritual development which means the imitation, eucharist but each abovemention authors chose different way to emphasize this. It is not the weay to show us the face of the saints but it is the way to show the movement of human's spirits and it is based on human's liturgical consciousness, it belongs to sublime category and motivated by spiritual beauty. It is the base of the lyric motifs of the stories.